სერგი ჯილაია

ოქტომბერი ჭავჭავაძე

I

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი

წიგნის მთავარი გმირია მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის მუზა — ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ასული ეკატერინე ჭავჭავაძე.

ავტორს ეკ. ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა ორ წიგნად აქვს მოფიქრებული.

პირველ წიგნში აღწერილია ალ. ჭავჭავაძის ოჯახური წრე და ამ ფონზე ოცდან-ოცდაათიანი წლების საქართველო. წიგნში გაიელვებს ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის, პლ. იოსელიანის, ალ. ორბელიანის, ნინო ჭავჭავაძის სახეები.

ეკ. ჭავჭავაძე ცოლად გაჰყვა დავით დადიანს. წიგნში თანმიმდევრობით არის ნაჩვენები ეკ. ჭავჭავაძის ცხოვრება, მოთხრობილია თუ დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ როგორ გაუძღვა დედოფალი ქართულ მილიციას თურქეთის ომში.

პირველი წიგნის დასასრულს აღწერილია 1857 წლის გლეხთა აჯანყება და ამ ფონზე ეკატერინე დადიანის პეტერბურგს გაწვევა.

გამხიარულდი, ბუხარო!..

იყო 1816 წელი, დღე მარტისა; დილიდანვე მზიანი ამინდი დადგა. მახათასა და მამადავითს შუა დაკიდებულ მზეს თავისი ცხოველმყოფელი სხივებით აღევსო მთებში ჩამჯდარი თბილისი. ზამთრისაგან დამზრალი მიწა მზეს ეფიცხებოდა, თბებოდა და ლხვებოდა. იმ წელს ცივი ზამთარი იყო და სითბოს მონატრებული ქალაქელები ქუჩებში გამოფენილიყვნენ.

ადიდებულ, მღვრიე მტკვარს ორთაჭალის ჯებირი გადმოელახა და ბაღებში ტბორებად დამდგარიყო. ნაპირებზე მკერდგადაღეღილი ყარაჩოღელები ბადით ხელში დააბოტებდნენ. მტკვრის შვილებს სხვა დარდი არ აწუხებდათ, ოღონდ ქეიფმოწყურებული ძმაბიჭების სუფრას მტკვრის ცოცხალი არ მოკლებოდა. ყარაჩოღელთა უდარდელ ღიღინს ადიდებული მდინარის ხმაური ბანს აძლევდა და ასე აღწევდა მეორე ნაპირამდე მებადურთა ქალაქური ჰანგი.

სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

მაშინ იმ ყარაჩოღელმა მომღერალმა რა იცოდა, ან იმათ რა იცოდნენ, ვინც მიჯნურობის დამწველ ჰანგებს ისმენდა, რომ ამ ლექსის დამწერს იმ დღეს ქალიშვილი შეეძინებოდა, და ეს ქალიშვილი თვითონ იქნებოდა ხელმწიფე და თვითმპყრობელი მიჯნურობისა.

* * *

შუადღე არ იყო მოტანებული, რომ აღმოსავლეთის ცივმა ქარმა დაჰბერა და ერთბაშად ცაზე ღრუბლები აირია. ქარს წვიმა მოჰყვა, წვიმას ~~ფოფლჭყაპი~~

ჭავჭავაძიანთ უბანში კი დილიდანვე დიდი ფუსფუსია. ალექსანდრეს სახლში მშობიარე ქალი წევს და მოლოგინებას ელოდებიან. გარეთ ქარი ქრის... ბუხართან ალექსანდრე ზის და ვერ ისვენებს. იქ, მეორე ოთახში, მის მეუღლეს, სალომეს, შინაურები, ბებიაქალი და ექიმი გარს ახვევიან. მშობიარე ქალი დროდადრო კვნესის.

ჭავჭავაძიანთ კერა მოთმინებით ელოდება ძეობას.

მშობიარე ქალი ისევ კვნესის და შფოთავს... ალექსანდრე ისევ ბუხართან ზის და ფიქრობს. ფიქრი ფიქრს გადაეება. სწორედ ამ დროს სალომეს ხმა შემოესმა. ალექსანდრე წამოდგა და იმ ოთახის კარს მიადგა, სადაც მეუღლე იწვა. შიგ შესვლა კი ვერ გადაწყვიტა. ამ ყოყმანში ბებიაქალიც გამოვიდა. ალექსანდრემ სულმოუთქმელად ჰკითხა, როგორ არის საქმეო.

„კარგად, ბატონო, ნუ სწუხართ. წადით, მოისვენეთ თქვენს ოთახში. მე თვითონ მოვალ და გახარებთ ყოველივე კარგს. მოისვენეთ, ბატონო, — დაუყვავა ბებიაქალმა შეწუხებულ ალექსანდრეს.

ალექსანდრე ვერ ისვენებს, ღელავს, ექიმის გამოსვლას ელოდება. ექიმსაც არ დაადგა საშველი. არ გამოდის. ალექსანდრე ფიქრობს... ფიქრობს და თავისი განვლილი ცხოვრება აგონდება. აი, უკვე ოთხი წელია ნაპატიები, შეწყალებული საქართველოში დაბრუნდა. უკვე ერთი ქალიშვილის მამაა. ახლა ნატრობს, ეს მეორე შვილი ნეტავ ვაჟი იყოსო.

ეს წელი და ეს თვე მისთვის ბედნიერი გამოდგა: სულ რამდენიმე დღის წინათ როტმისტრობა ებოძა, დღეს კი მეორე შვილს ელოდება.

სამსახურში კვლავ დაწინაურებულ პოეტ-მეომარს ახლა ისევ წარსული აგონდება: რთულად, მაგრამ კეთილად წარიმართა საქმენი მისნი. არა, ნამდვილად გადაურჩა ქარიშხალს.

ფიქრობს ალექსანდრე, გულიც და ფიქრებიც, თითქოს, ორად აქვს გაყოფილი: ნაზი და მგრძნობიარე გული, მამულის სიყვარულით გამთბარი, მამულისათვის ტყვეობაში ნამყოფი გული ისევ აქეზებდა პოეტს.

ახლა მამა მოაგონდა და ასე იფიქრა: მამამ თავისი ხელით ჩააბარა ჩვენი ქვეყანა რუსეთს. მე, მის მიერ კეთილად გაზრდილი შვილი, ვეურჩე მამის გზას, მამულის გამოხსნა განვიზ-

რახე და სისხლი დავღვარე, მაგრამ რა გამოვიდა? — ტყვეობა, გადასახლება... საქმეში კეთილი და გავლენიანი მამა რომ არ ჩარეულიყო, ალბათ, სადმე გადასახლებაში აღმომხდებოდა სული.

ახლა პოეტი ამ ფიქრებს აჰყვა. და ეს გონება, გონიერება უკარნახებდა მას, კვლავ მეფის ერთგულება გამოეჩინა, კვლავ ესახელებინა მახვილით რუსეთის ჯარი.

ალექსანდრეს უკვე დიდი გამოცდილება და მეომარი კაცის სახელი ამშვენებდა. მაგრამ გული, ნაზი გული, მაინც თავისკენ ეზიდებოდა. და ორი გული ერთმანეთს ებრძოდა: გული სამხედრო მუნდირში გამოწყობილი მეომრისა და პოეტის ნაზი, მგრძნობიარე გული. ისევ გაახსენდა გადასახლება და ტყვეობა, ომი და ბრძოლა, ისევ მწარედ აღმოხდა პოეტს:

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად.

მერე ოცნების ბურუსი გაეფანტა, სინამდვილეს დაუბრუნდა და ისევ მამა დაუდგა თვალწინ.

პოეტის მამა, გარსევან ჭავჭავაძე, ერეკლე მეფის „პირველი სანდო და საყვარელი კაცი იყო". ქალაქ გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, რომლითაც საქართველომ რუსეთის მფარველობა მიიღო 1783 წელს ერეკლე მეფის რწმუნებით, ხელს გარსევან ჭავჭავაძე აწერდა. ხოლო ერთი წლის შემდეგ ერეკლემ იგი პეტერბურგს წარგზავნა ასეთი მანდატით: „მომრთმელი წიგნისა ამის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი წარმოვგზავნეთ სამყოფლად უმაღლესსა კარსა ზედა თქვ. იმპ. დიდსა ძალითა ყოვლად, მოწყალებითსა, ტრაქტატისათა, მეხუთე არტიკულისა, რომელსაც შეევედრებ მოწყალებითსა მფარველობასა თქვ. იმპ. დიდსა ვითარცა შვილსა ჩემსა და სარწმუნოსა ყოველსა საქმესა შინა, რომელსაც აქვს რწმუნებულ ყოველნი საქმენი ჩვენნი მოსახსენებელნი უმაღლესისადმი კარისა თქვ. იმპ. დიდსა".

პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლესა და მის მემკვიდრეს გიორგი მეფეს, თვრამეტი წელი ემსახურა დესპანად. თავს არ იზოგავდა საქართველოს საქმეთა კეთილად წარმართვისათვის და, მერე რა მიიღო ამისათ-

ვის? — ზოგმა უმადურმა ღალატიც კი დასწამა. ერეკლეს მემკვიდრენი ბატონიშვილები მას რუსეთის მსტოვრად სთვლიდნენ. ეს რომ მოაგონდა, ალექსანდრეს გუნება გაუფუჭდა.

სწორედ ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა და გაწყდა ფიქრთა ძაფი... მერე ისევ დაწყნარდა ყოველივე. ალექსანდრე ადგა, მივიდა კართან, ისევ გამობრუნდა, ბუხარში ცეცხლს შეუკეთა, აგიზგიზდა, გამხიარულდა ბუხარი... კვლავ მამა დაუდგა თვალწინ: საქართველო ისტორიული ქარცეცხლის წინაშე იდგა. ცუდი დრო იყო. რა გზა უნდა ერჩია საქართველოს, რა გზას უნდა დასდგომოდნენ ქართველები, — ძნელი იყო მაშინ ამაზე ფიქრი. სამშობლოს ყოველ წელს მტერი ადგა კარზე. იყო ლეწვა და ნგრევა ჩვენი ქალაქებისა, სოფლებისა და დაბებისა... და აი, ჩვენი დედა თბილისიც ამ ოცი-ოდე წლის წინათ აღგავეს პირისაგან მიწისა... ქვა ქვაზეც არ დატოვეს...

ახლა ისევ პეტერბურგი გაახსენდა. მაშინ პატარა იყო ალექსანდრე, როგორ წუხდა და არ ისვენებდა მამამისი გარსევანი. ყოველ დილას ეკატერინეს კარზე იყო აყუდებული და აღა მაჰმად-ხანისაგან აოხრებული თბილისის მოსაშველებლად, ერეკლე მეფის დავალებით, ორი ბატალიონის გამოგზავნას ევედრებოდა. ეკატერინე ჰპირდებოდა, და გარსევან ჭავჭავაძეც მოთმინებით ელოდა. ელოდა და ამაოდ. ერეკლე ისევ სწერდა გარსევანს: „გარსევან, დადგა დრო, რომ ყოველი ღონე იღონოთ სამშობლოს, ეკლესიის და ქრისტეან ერის დასაცავად, — აღარაფერი აღარ გაგვაჩნია, ყოველივე განადგურდა; შენ თვითონ კარგად იცი, ჩვენ ჩვენის ფიცით რომ არ ვყოფილიყავით დაკავშირებული რუსეთთან და აღა მაჰმად-ხანთან კეთილი განწყობილება გვქონოდა, ამ უბედურებას ავცდებოდით“.

ისევ შეირხა ფიქრების ძძივი და ერთბაშად აღა მაჰმად-ხანის ფირმანი გაახსენდა, ერეკლეს რომ გამოუგზავნა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღადგინა ოდესღაც მის მიერ წაკითხული ფირმანის მუქარით სავსე ადგილები:

„ბრძანებასა ამას ჩვენსა გამოუცხადებთ მისს სიმაღლეს საქართველოს მეფეს. მომლოდინესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრედ გეუწყოს:

„სამოცდაათისა წლისა უწინარეს, რომელიცა საქმე ყანდაარს ქართველთა დაიჭირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულია რომელ შაჰსულთან უსეინიც მომკვდარი არის და აღარც არის.

„ახლა თქვენმა უმაღლესობამ იცის, რომ ეს ასი თაობა არის რომე ერანისანი ჰყოფილხართ, ახლა განკვირვებით ვჰბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაცა ამის გარდა სხვა არა არის-რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის.

„ოთხმოცდაათი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს შვრები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულხართ, ნება მიგიცია.

„თუმცა თქვენი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვადასხვა არის და განთვისება აქვს, მაგრამ ყოველთვის ერანთან შეერთება გქონიათ.

„ერანში თურქი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავალი ჰსჯულის სხვანიცა არიან; ამისათვის ჰხამს, რომ ყოველისავე სირცხვილი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა.

„შარშანდელს დროსა, რამდენიმე ქართველნი მე გამაფუჭებინე მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის ხელით წამახდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის: ჩვენ ღვთის მოწყალებით, რომლისაცა ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ. ამგვარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბი არის და რუსების შეერთებულება დაჰხსნა. „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ.

„რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთვის ეს ფირმანი მოგწერეთ. ჩვენს ბრძანებასა არ გადახვიდე და შენი მდგომარეობა იცნა“...

— არა, მაინც რა უკულმართად წარიმართა მაშინ ბედი ქართლისა! მონღოლების შემდეგ საქართველოს არ ახსოვს ისეთი აოხრება და განადგურება თბილისისა, მაგრამ ღმერთმა სულ მთლად მაინც არ გასწირა ბედი ქართველთა. და, როცა

აღა მაჰმად-ხანი მეორედ ემზადებოდა თბილისის ასაოხრებ-ლად, საქართველოს ცოდვამ უწია — იგი მძინარე საკუთარ. კარავში მოკლეს 1797 წელს. მერე ის იყო, მამაჩემი 1799 წელს თბილისში ჩამოვიდა, საქართველოს მეფეს დიდხანს ესაუბრა და იმავე წელს კვლავ დაბრუნდა პეტერბურგს. მერე ათასი გაჭირვება და წვალება...

1803 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე, ეკატერინე მეორეს ნათ-ლული, დიდებულად აღზრდილი და განათლებული, თბილის-ში ჩამოიყვანეს. ახალგაზრდა მამულიშვილი ბატონიშვილებმა აიყოლიეს და 1804 წელს მთიელებთან მხარდამხარ, ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად, საქართველოს გამოხსნისათვის იბ-რძოდა, მერე მეფის ურჩი ახალგაზრდა კაცი ტამბოვში გადა-ასახლეს. პეტერბურგის კარზე მყოფმა გარსევან ჭავჭავაძემ სთხოვა იმპერატორს და კვლავ პეტერბურგს დააბრუნეს. მერე პაჟთა კორპუსი... სამხედრო კარიერა... 1811 წელს ისევ თბი-ლისში ჩამოსვლა... 1813-14 წლებში ნაპოლეონის ჯარის წინა-აღმდეგ ომში მონაწილეობა... ამ ომიდან დიდების სახელით დაბრუნდა საქართველოში, და აგერ კვლავ წინ მიიწევს. ხვა-ლინდელი დღე ისევ და ისევ დაწინაურებას, პატივს და სა-ხელს უქადის.

ალექსანდრე თითქოს დამშვიდდა. ისევ სიჩუმე რომ ჩამო-ვარდა, თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

— არა, მამაჩემი ჩემზე უფრო მტკიცე კაცი იყო. და რა იბრუნა პირი პეტერბურგისაკენ, მერე ერთხელაც არ მოუხე-დავს უკან. იქვე დავმარხე, ნევის მონასტერში. ბოლომდე ერთ-გული დარჩა ერეკლეს გზისა. იქნებ, მართალი იყო მამა? იქ-ნებ, არ იყო მართალი! ვინ იცის, ვინ იცის!—მწარედ აღმოხდა კვნესა ჭავჭავაძეს,—რა იქნებოდა საქართველო თურქეთის ან სპარსეთის პროვინცია რომ გამხდარიყო? ალბათ, უფრო უბე-დური იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. იქნებ იყო სხვა გზა—მესა-მე გზა? ეგებ, გამოჩენილიყო ვინმე ძლიერი კაცი, რომ ერთ-პირად შეეკრა საქართველო და დავით აღმაშენებლის დარად, გაეწია მისი კიდე და განი?

ისევ დაუბრუნდა პოეტი მშფოთვარე ფიქრებს, ისევ მოი-წყინა მეოცნებე პოეტმა და ჩუმად აღმოხდა კვნესა სულსა:

...მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი,
ჯაჭვი დამსდვა მონებისა,
კისრად ვიღე და დავდუმდი!

„მესამე გზა“, „მესამე გზა“, ეს ხშირად გვესმის, მაგრამ მე მგონია, ყოველივე ეს ოცნებაა. განა ამ ოცნებას არ შევამსხვრიე ჩემი ახალგაზრდობა? და ალბათ მთლად დავიღუპებოდი მამაჩემი რომ არ ყოფილიყო. ისტორიამ დაადასტურა, რომ მამაჩემი ჩემზე უფრო მიწიერი პოლიტიკოსი იყო.

ერეკლე და მამა მართალნი იყვნენ. მესამე გზა ლაყბობა და ოცნებაა. პატარა ერს ჩვენს დროში დიდი ქომაგი სჭირდება, რომლის დახმარებითაც უნდა შეინარჩუნოს თავისი მეობა, თავისი სახე, თავისი ისტორია!

მფარველობა და დაცვა — აი, რა გვჭირდება ჩვენ. და ამ შემთხვევაში ჩვენ ახალ რუსეთს უნდა დავეყრდნოთ და არა იმას, ვინც მოინდომებს მფარველობის დროშით ჩვენს დამონებას. დიდისაგან მცირის გადაყლაპვა ცხოველთა კანონია. ადამიანები იმით გასხვავდებიან ცხოველებისაგან, რომ ისინი შევნებით ქმნიან ისტორიას და ამ შეგნებული საზოგადოების კანონს ურთიერთდახმარება და მფარველობა უნდა ედოს საფუძვლად.

აი, რა უნდა ვიწამოთ და რა უნდა დავიჯეროთ. აი, რის იმედი უნდა გვქონდეს და რისკენ უნდა ვესწრაფოდეთ!

დიახ, 1804 წელს მე მთიელებთან ერთად ვიბრძოდი მეფის რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს განთავისუფლებისათვის, მაგრამ მძიმე ტვირთად მაწევს 1812 წლის კახეთის აჯანყება. მე იქ თავი გამოვიჩინე ჩემთა თანამემამულეთა დამარცხებაში, რის გამოც იმპერატორმა ვლადიმერის ორდენით დამაჯილდოვა: საკუთარი ძმების სისხლის ფასად ვიპოვე ეს დამსახურება. ყოველივე ამისა გამო ჩემი სინდისი ვერც ვერასოდეს მოისვენებდა, რომ ერთ კახელ გლეხს ჩემთვის სისხლითვე არ ეზღვევინებინა ეს დანაშაული. მე იმ ბრძოლაში ერთმა ჩვენებურმა გლეხმა ფეხში დამჭრა. დრო გავიდა, თითქოს განვიკურნე კიდეც, მაგრამ ეხლაც მტკივა ეს ნაჭრილობევი ფეხი, უფრო კი გული მტკივა, გული. მე მაშინ სწორედ გულში მომაყენეს ჭრილობა. ვაი, რომ ჩემს გულს ვერც ექიმი განკურნავს და

ვერც დრო. სწორედ ახლა ამ ბედნიერების დღეს, როცა ძეს ველოდები, ვეკითხები ჩემს თავს: როდის ვიყავი მე მართალი, მაშინ როდესაც ტახტწართმეულ ბატონიშვილებთან ერთად ვიბრძოდი, თუ მაშინ, როცა რუსეთის ჯარის მხარდამხარ კახეთის აჯანყებას ვამარცხებდი? ასე რად ვარ გაორებული? ნუთუ ჩემში ორი ჭავჭავაძე ებრძვის ერთმანეთს? მე ეს არ ვიცი, ხოლო ის კი ნამდვილად შემიძლია ვსთქვა, ორსავე შემთხვევაში გულწრფელი ვიყავი და თანაც მწამდა, რომ სიმართლე ჩემ მხარეზე იყო.

მხოლოდ ოცნებით არ შეუძლია ერს ცხოვრება. ჩვენ ამ ქვეყანას ფხიზლად უნდა ვუყუროთ, შექმნილი პირობები ფხიზლად შევაფასოთ. ისტორიულ მოვლენათა თვალნათლივი შეფასება, — აი რა მართებს ყოველ დაკვირვებულ კაცს. ამაო ოხვრა და კვნესა, ოცნების ღრუბლებში ფრენა ჩვენი საქმე არ არის...

სწორედ ამ დროს ისე განწირულად იკივლა ქალმა, რომ ალექსანდრე ფეხზე წამოხტა. მერე თითქოს ყველაფერი დამშვიდდა. ადგა. გარეთ გაიხედა. აღარც ქარი ქროდა და აღარც თოვლ-ჭყაპი იყო. ღრუბლები გადაერეკა თბილისის ცას. ღამემ შემოიხედა ოთახში. მაგრამ ოდნავ მბჟუტავი ლამპარი შიგ არ უშვებდა წყვდიადს. ალექსანდრეს აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა და კარისკენ გაიხედა. ოთახში ბებიაქალი შემოვარდა.

— მოგვილოცავს, ბატონო ალექსანდრე, მოგვილოცავს ქალიანობა!

ალექსანდრემ წარბები შეიჭმუხნა, გაოგნდა. ვაჟს ელოდა და, ცოტა არ იყოს, ეწყინა ქალიშვილის დაბადება, მაგრამ უსიამო ფიქრები ერთბაშად თავიდან მოიცილა, ოთახში შევიდა, სადაც პატარა ჩვილს მამისეულ თეთრ სამოსში ახვევდნენ, მეუღლეს მიეჭრა, ლოგინის წინ დაიჩოქა, გონმიხდილ ქალს შუბლზე ეამბორა...

ჭავჭავაძიანთ ოჯახი გათენებისას დამშვიდდა. ალექსანდრესაც მაშინ ჩაეძინა, მაგრამ სამხედრო წესზე აღზრდილი პოეტი დილით მაინც ადრე ადგა. და ცხოვრება ისევ თავისი წესით წავიდა.

ალექსანდრე დილიდანვე შეუდგა ოჯახისათვის ზრუნვას,

წუხელ ვერაფერი მოემარაგებინათ, რადგან საშინელ წყვდიადში გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო. იმ დროს მთელ თბილისში ხუთად ხუთი ფარანი იყო. ორი თუ სამი ფარანი მთავარმართებლის სასახლის წინ ანათებდა, ერთი — მადათოვის მოედანზე, სულ ახლო, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ცხოვრობდა, და ერთიც — შტაბის მოედნის წინ, პოლიციასა და შტაბს შუა.

მაშინ თბილისის ცენტრალური უბანი შტაბის მოედნიდან თათრის მოედნამდე იყო გაჭიმული. ვაზივით დაგრეხილი ვიწრო ქუჩები ხელოსნების უბნით იწყებოდა. აქ ერთმანეთს მისდევდა ბაყლების, თერძების, ხარაზების დუქნები. დუქნებში შეხიზნული ვაჭრები იქვე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ხელოსნები და ვაჭრები მუშაობას მორჩებოდნენ, იქვე ქუჩაში ნარდს თამაშობდნენ და ნუნუას შეექცეოდნენ.

სიონის ტაძრის გუმბათი მზის სხივებზე ბზინავდა და მთელს უბანს ეფრქვეოდა გუმბათიდან ანასხლეტი, ოქროსფრად მოციმციმე სხივები. სიონის შემდეგ უფრო ვიწრო და ბნელი ქუჩები იწყებოდა. აქ დაბაღები მუშაობდნენ, და მუდამ ყარდა აქაურობა.

თვით თათრის მოედანი თბილისში ყველაზე ხმაურიანი უბანი იყო, ამ მოედანზე ვაჭრობდნენ ხელოსნები და მეწვრილმანეები. აქვე სავაჭრო საქონლით დატვირთული აქლემების ქარავანი ისვენებდა. კამეჩები ურმებიდან გამოუშვებლად იწვნენ და იცოხნებოდნენ. იქვე მაწვნის ქილებით სავსე აბგებაკიდებული სახედრები იდგნენ; მოედანზევე ძვირფას ფარჩეულსა და ნოხებს, სოფლიდან ჩამოტანილ თუ ორთაჭალაში დაკრეფილ ხილსა და ბოსტნეულს ჰყიდდნენ. აქვე ცეკვა-თამაში იმართებოდა და ათასგვარ ბაიათებს გაჰკიოდნენ. მოედანი ერთადერთი ხიდით უერთდებოდა თბილისის მარცხენა მხარეს, რომლის გაღმა ქამარ-ხანჯლების და იარაღების სახელოსნო დუქნები იდგა. დუქნებში გამოკიდებული იყო ვერცხლის ზოლებიანი თოფები, სპილოს ძვლითა და ოქროთი გაწყობილი ხანჯლები და ოქროთივე მოვარაყებული ხმლები, ვერცხლის კულები, აზარფეშები, მერე ზურნა, დოლი, ჩონგური და ფანდური. ასე გამოეფინათ ომის, ღვინის, მუსიკის იარაღები და სამკაულები. შემდეგ მას ავლაბრის ყაზარმების მთელი უბანი

მოსდევდა. ამ უბანში რუსის ჯარი იდგა. მოედნის მარჯვნივ, ნარიყალის ძირას, ბანიანი სახლების ქვემოთ, თბილისის განთქმული აბანოები იყო. აქვე იბანდნენ, აქვე რეცხავდნენ, აქვე სინჯავდნენ საპატარძლოებს, და მთელი ეს ხმაურიანი უბანი შტაბის მოედანზე თავდებოდა. მას სამხედრო შტაბი, მეფისნაცვლის სასახლე, სასულიერო სასწავლებელი და გიმნაზია მოსდევდა. შემდეგ კი ევროპული ყაიდის მრავალსართულიანი სახლებით, დიდი ბაღებითა და ვენახებით დამშვენებული თბილისის გარეუბანი იწყებოდა. მერე მტკვრის მარჯვენა მხარეზე გაგრძელდა ახალი სახლების მშენებლობა. უფრო გვიან გარეუბანში თვით ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაიდო ბინა. იმჟამად კი იგი მთაწმინდის ძირში, „ნაკადულ სოლოლაკთან“ გენერალ ახვერდოვის სახლის ფლიგელში ცხოვრობდა.

ეკატერინე რომ დაიბადა, იმ დღეს მარტიც მიიწურა, ნუში და ატამი უკვე ჰყვაოდა თბილისის ბაღებში, ხოლო ცად აზიდული ალვის ხეები და კაკლები ჯერაც არ იყო შეფოთლილი. ზამთრის სიცივე ჯერ კიდევ სჯაბნიდა ახლადფეხადგმულ გაზაფხულს.

გამუდმებული თოვლისა და წვიმებისაგან ატალახებულ თბილისის ქუჩებში გავლა ჭირდა. ქვაფენილები არ იყო. მარტო მთავარმართებლის სახლის წინ დაეგოთ პირველი ქვაფენილი, ხოლო აქა-იქ ქვააყრილ ქუჩებში ტლაპო იდგა და ურმით, ცხენით ან ეტლით თუ გაივლიდა კაცი. მთელ თბილისში ექვსი თუ შვიდი კარეტა იყო, ისიც ყველა მთავრობას ეკუთვნოდა.

შეძლებული ოჯახებიდან პირველი „დროშკა“ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰყავდა. ახლა იგი გენერალ ახვედროვის სახლის წინ იდგა და მოსამსახურე ბიჭს ელოდა, რომელიც ჯერ ბაზარში და მერე თბილისის პირველ რუს მეფუნთუშესთან უნდა წაეყვანა. ეს მეფუნთუშე თბილისში ერთადერთი იყო და ყველა აქედან ეზიდებოდა ფრანგულ ფუნთუშს ავადმყოფისთვის.

თბილისში ცხოვრება ძვირი არ იყო. ერმოლოვის განკარგულებით, ქალაქის მახლობლად, მტკვრის მარცხენა მხარეს, გერმანელების ახალშენი გაშენდა, მათი მეოხებით თბილისში აუარებელი რძე, კარაქი, კარტოფილი და ლუდი იყო. ორთაჭალის ბაღჩა-ბაღებში მოწეული ბოსტნეულით, ხილით და ყურძნით ხომ თბილისი ძველთაგანვე იყო განთქმული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მოსამსახურე იმერელი ბიჭი ბაზარში მაშინ მივიდა, როცა იქ აუარებელი ხალხი ირეოდა.

მოსამსახურე გაბრუებული იდგა შუა ბაზარზე და აქეთ ინით შეღებილ ჭრელ-ჭრულებში გამოწყობილ ვაჭრებს შესცქეროდა, იქით — შავი სატინის ტომარაშარვლიან კინტოებს; მათ თავზე ხილით დატვირთული თაბახი ედგათ და გაბმულად გაჰკიოდნენ: „დული, დული“, ამქრებსა და ხელოსნებს თავიანთი ნახელავი შუა მინდორზე დაელაგებინათ და სხვადასხვა ენაზე მუშტარს ეძახდნენ. და ასე ირეოდა ერთმანეთში ქართული, თურქული, სომხური და სპარსული. ასევე არეული იყო ხილის, შემწვარი თევზის, დამპალი ტყავის, მტვრისა და ნაგვის სუნი. აგერ ვიღაც დათვს ათამაშებდა. ხალხი სეირს უცქეროდა. ვიღაც სპარსელს მთელ ტანზე უხსენებელი მოხვეოდა და სპარსელი რაღაც გაუგებარს ჩასძახოდა. ბაზარში ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ულვაშებაპრეხილი თავადიშვილი გამოჩნდა, რომელსაც გვერდით მუნიანი ბიჭი მოსდევდა. ბიჭი დამფრთხალი თვალებით დააცქერდა კინტოს. სწორედ ამ დროს კინტომ თავში ჩაუტყაპუნა და ხმამაღლა იყვირა: „ხა, ხა, ეს ვინ მოსულა!“ და მთელმა ბაზარმა ხარხარი ატეხა...

შეურაცხყოფილმა თავადიშვილმა ხანჯალი იშიშვლა. ჩოხოსანი ხელებგაკავებული გაიყვანეს. სირცხვილნაჭამ თავადიშვილს ისევ ხარხარი და გაბმული სიცილი მიაყოლეს.

მერე მოქეიფე ყარაჩოღელები შემოცვივდნენ და ღრიანცელი გააბეს.

იმერეთიდან ახლად ჩამოსული ბიჭი გაოგნებული იდგა და უკვირდა ყოველივე ეს. შეეშინდა, მეც არ მიკივლონო. ბოლოს ფრთხილად და მოხერხებით იყიდა, რაც დააბარეს, და უმალვე გაეცალა იქაურობას.

ჭავჭავაძის მოსამსახურე ბიჭს ამასობაში შინდაბრუნება დაუგვიანდა. შინ კი პეტერბურგიდან ახლად მოყვანილი პრასკოვია არსენიევა, გენერალ ახვერდოვის ცოლი, ნერვიულობდა. სტუმრები უკვე მოსულიყვნენ, და სუფრის გაშლა უგვიანდებოდათ.

დილიდანვე მთელ თბილისს გაეგო ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილის დაბადება; ახლობლები უკვე მოსულიყვნენ, რომ დიდი თავადისათვის შვილის შეძენა მიელოცათ.

მოსამსახურეც დაბრუნდა, სუფრაც გაიშალა და ძეობის მოსალოცად ალექსანდრეს ახლად დანიშნული მეფისნაცვალი ერმოლოვი ეწვია. — ალექსანდრე ჭავჭავაძემ ამ პატივით დიდად გაიხარა.

სწორედ იმ დილით სახელდახელოდ გამართულ ძეობაზე ალექსანდრემ ახლადშობილ შვილს თავისი ნათლიის — იმპერატრიცა ეკატერინეს პატივსაცემად ეკატერინე დაარქვა.

* * *

ეკატერინე ჭავჭავაძე რომ დაიბადა, იმ წელს დავით დადიანს დაბადების სამი წელი გადაუხადეს.

ეს დღე იყო 26 იანვარი. თოვდა, გადაუღებლივ თოვდა. ხარისთვალას ოდენა თოვლის ფანტელები ფრიალ-ფრიალით ეფინებოდა გაყინულ მიწას. თოვლს უკვე ამოევსო თხრილები და ორღობეები, სქლად დაეფარა ველები და ხეობები. კვლავ თოვდა.

მთელი დღე ითოვა. ასე უგონათ, ეს თოვა მთელი საუკუნე გაგრძელდებოდა. ხალხი სახლებში შებუდულიყო. სოფელი სრულ დუმილს მოეცვა.

ქეიფისა და ნადირობის მოყვარულ ლევან დადიანს დიდი წვეულება ჰქონდა.

საღამოჟამს თოვამ გადაიღო, ბუნება დაწყნარდა. თოვლით დაბურულ სოფელში უბრალო ჩურჩულსაც გაიგონებდით.

დადიანების სასახლის დიდ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, დარბაზში კი ნუნუასაგან შუბლგახურებული სტუმრების სიმღერა გუგუნებდა.

გამხიარულდით, სტუმრებო, გამხიარულდი, ჭერო და კარო. გამხიარულდი ბუხარო! დადიანები დღეობას უხდიან სამთავროს მემკვიდრეს — შესძახა ქეიფის ეშხში შესულმა ლევან დადიანმა და, ის იყო, აიწყვიტა ღრეობამ.

შუაღამე გადასულიყო, მთელ სოფელს ღრმა ძილით ეძინა. მხოლოდ დადიანთა სასახლეში არ ეძინათ, ღამის მყუდროება ერთბაშად რამდენიმე თოფის გავარდნამ დაარღვია. გეგონებოდა, სოფელს თათრები შემოესიაო. თოფებს კი დადიანის სასახლიდან ისროდნენ გამომთვრალი სტუმრები.

დავით დადიანი 1813 წლის 26 იანვარს დაიბადა. 26 იანვა-

რი დავით აღმაშენებლის დღეობაა საქართველოში. ლევან დადიანს თავი მოჰქონდა, რომ მისი პირველი შვილიც სწორედ ამ დღეს დაიბადა, და ვაჟსაც დავითი დაარქვეს.

დავითი ლევან დადიანისა და მარიამ წერეთლის პირმშო იყო. ლევანის ცოლი მარიამი, ქართული მწერლობის მცოდნე და მოყვარული, საღმრთო წიგნებზე აღზრდილი, დიდად მორწმუნე ქალი იყო. პირველი ვაჟიშვილი ცოლქმარმა ღვთის წყალობად ჩათვალეს და იმავე დღეს დიდი პარაკლისი გადაიხადეს, შემდეგ, ყოველ წელს, დავითის დაბადების დღეს ზეიმით იხდიდნენ. იმ წელს კი ძეობის სამი წელი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს. საქმე ის იყო, რომ იმ დღეს ლევან დადიანს ლიტვინოვი ჰყავდა საპატიო სტუმრად მოწვეული. ამ ლიტვინოვს გუბერნიაში სამეგრელოს საქმეები ებარა. ლიტვინოვს ზუგდიდთან ახლო მდგომი ბატალიონის ოფიცრებიც ახლდნენ. იმ ღამეს სწორედ ეს თავგასული, მთვრალი ოფიცრები ისროდნენ.

ამ დროს სამეგრელოს სამთავროს მეფის რუსეთის პროტექტორატი უკვე მიღებული ჰქონდა.

* * *

1801 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზით რუსეთის ჯარი თბილისს შემოვიდა. რუსული ბარაბანის ხმებმა მთელ საქართველოს ამცნო მოკავშირე ჯარის შემოსვლა თბილისში.

ერეკლე მეფის — ქართლ-კახეთის კანონიერი მეფის მიერ რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით, აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მეფის ჯარს უნდა დაეცვა. მაგრამ თბილისში მეფის ჯარის შემოსვლის პირველი დღიდანვე ნათელი გახდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გუბერნია გახდებოდა, და დღეს თუ ხვალ ეს შეერთება დასავლეთ საქართველოზედაც გავრცელდებოდა. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის სამთავროებს იგივე ბედი ეწეოდათ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს, ეს ისეთი ისტორიული ფაქტი იყო, რომლის წინააღმდეგ ცალკე დაყოფილი სამთავროები უძლურნი იყვნენ და ხმას ვერ აიმაღლებდნენ. საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლის პირ-

ველ წლებში შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ საქართველო დამშვიდდა, დაშოშმინდა. სპარსეთისა და თურქეთის მხრიდან დაპყრობის, აოხრებისა და აკლების შიში გაქრა. ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუდამ შიშით მოცული ქართველი კაცისათვის, რომ ქართლ-კახეთში შექმნილი ახალი ვითარება სამაგალითო გახდა საქართველოს სხვა კუთხეებისათვის, და საქართველოს სხვა სამთავროებმაც ნელ-ნელა იწყეს რუსეთის მფარველობის ძებნა.

გრიგოლ დადიანმა 1803 წელს წერილი მისწერა საქართველოში მეფისნაცვალს თავად ციციანოვს, რუსეთის ხელმწიფესთან იმპერატორ ალექსანდრე პირველთან მიშუამდგომლე, ჩემი სამთავრო-სამეგრელო თავის ქვეშევრდომად მიიღოსო.

გრიგოლ დადიანი ძლიერი მთავარი იყო. მან ენგურის პირას ორჯერ დაამარცხა საქართველოს დასაპყრობად ამხედრებული თურქეთის ჯარი. იგი თავის მოძმეებსაც არ ინდობდა. იმერეთის მეფეს ლეჩხუმი წაართვა, ეს კუთხე სამეგრელოს განუყოფელი ნაწილიაო, საჩიქვანიოს უბანიაო, მარტვილიდან კინჩხამდე ჩიქოვანების გვარია დასახლებული და, სამეგრელოს ეკუთვნისო. სოლომონ მეორე განრისხებით დაუხვდა მოძალადე დადიანს. მაგრამ ბოლოს დადიანმა სძლია. და აი, ასე გათამამებული და გაძლიერებული გრიგოლ დადიანი, რომელსაც თურქეთის შიში ჯერ არ დაჰკარგოდა, რუსეთის ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ციციანოვის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. რუსეთის პატივისცემის ნიშნად სამთავროს ქალაქს მაშინდელი მთავრის სახელი დაარქვა და ზუგდიდს გრიგოლიოპოლი უწოდა. რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, მთავარს ამტკიცებდა რუსეთის ხელმწიფე და უგზავნიდა მას სამთავროს დროშასა და ხმალს, ხოლო სამეგრელოში უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი. ის იყო იმ წელს გრიგოლიოპოლში რუსეთის ჯარის ერთი ბატალიონი დააბანაკეს. სწორედ ამ დროს გრიგოლი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამბობდნენ, ლეჩხუმის წართმევისთვის იგი სოლომონ მეორემ მოაწამლიაო.

გრიგოლ დადიანის სიკვდილის შემდეგ, სამთავროს ტახტზე მისი შვილი ლევანი ავიდა.

რამდენადაც გრიგოლი მრისხანე და სასტიკი იყო, იმდენად ლევანი ლმობიერი და კეთილი აღმოჩნდა. უმთავრეს დროს ნადირობასა და ქეიფში ატარებდა. ცხოვრება კი თავისი წესით ძველებურად მიდიოდა. და როცა ამ მოქეიფე კაცს 1837 წელს ნიკოლოზ პირველი ესტუმრა, ლევან დადიანმა რუსეთის იმპერატორი და მისი ამალა განსაკუთრებული პატივით მიიღო, ერთი კვირა უმასპინძლა და მოხიბლული, კმაყოფილი და მადლიერი გაისტუმრა.

ლევან დადიანი დიდად არ იწუხებდა თავს სამთავროს საქმეებით, საქმე მაინც კარგად მიდიოდა. ეს იმის წყალობით ხდებოდა, რომ სამთავროს მართვა ლევანმა თითქმის მთლიანად გადააბარა სახლთუხუცესს — დიდ ნიკო დადიანს, კაცს განთქმულს გონიერებითა, ცოდნითა და მოხერხებით. მაგრამ, როდესაც ლევანი სიბერეში შევიდა, გადაწყვიტა თავისი შვილი დავით დადიანი თავის სიცოცხლეშივე გაემთავრებინა.

მაგრამ ჩვენ უკვე შორს წავედით...

დავითი დაიბადა თუ არა, მესამე დღეს ძიძად გლეხის ქალი მოჰგვარეს სასახლეში. ძიძა მარტვილელი გეგეჭკორის ცოლი იყო. ეს გეგეჭკორი გრიგოლ დადიანს თან ახლდა მურის ციხის აღებაში. მან დიდად გამოიჩინა თავი, გრიგოლი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა, რის გამოც დადიანმა აზნაურობა უბოძა და სასახლის ამალაში ჩარიცხა. გეგეჭკორის ცოლმა — სოფიომ, ინჩხირელი გლეხის წოწორიას ქალიშვილმა, ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ქართულად ლექსებს, ლოცვებს ზეპირად ამბობდა, გლეხი ქალის პირობაზე ფრიად ზრდილი და კეთილი იყო. მათი პირველი შვილი ანდრი ორი წლით უფროსი იყო დავითზე, ხოლო დავითის ძუძუმტე თეო ერთი თვისა, როცა სოფიო ძიძად აიყვანეს. დავითი თეოსთან და ანდრისთან ერთად იზრდებოდა, მათთან ერთად სწავლობდა ქართულ ლოცვებს და იზეპირებდა ხალხურ ლექსებს. დავითსა და თეოზე უფროსი ანდრი ორივეს სჯობნიდა. დავითი ექვსი წლისა იყო, როცა ძიძას მოაშორეს და სასახლეში დედამ ქართული წერა-კითხვა დააწყებინა. ჭირვეულმა უფლისწულმა, რომელიც ანდრი გეგეჭკორთან ერთად ~~ყოფნას შეეჩვია. მოითხოვა მასთან~~

ერთად ძიძის შვილისთვისაც ესწავლებინათ. მერე ის იყო, დავითი ქუთაისს გაგზავნეს. უფლისწული ისევ გაჭირვეულდა და ისევ მოჰგვარეს მეგობარი გეგეჭკორი, რომელიც შემდეგ მას თბილისშიც ახლდა.

ამ დროს ქუთაისში იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მმართველად დანიშნეს ვასილ ბებუთოვი. სწორედ ამ ბებუთოვმა თავს იდო მთავრის ვაჟიშვილის აღზრდა. შემდეგ, როცა ბებუთოვი თბილისს დაბრუნდა, დავით დადიანიც თან წაიყვანა. აქ დავით დადიანის მზრუნველი და მფარველი თვითონ მეფისნაცვალი ბარონი როზენი იყო. ბარონმა როზენმა რუსული განათლება და ცოდნა გადასცა მისთვის აღსაზრდელად მინდობილ დადიანის ვაჟს. დავით დადიანი ამავე დროს ქართულ ენასაც სწავლობდა. მას ქართულ ენას დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი ასწავლიდა. შემდეგ ბარონმა როზენმა დავით დადიანი თავის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ დანიშნა კანცელარიაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მე-19 საუკუნის ოციანი წლების თბილისში ყველაზე გამოჩენილი და საპატიო ოჯახი იყო. აქ მარტო ქართველი მოღვაწეები კი არ იყრიდნენ თავს, არამედ რუსეთის დიდი ჩინოსნებიც.

ეს ის დრო იყო, როცა ახალი ევროპული თბილისი იბადებოდა, ფრანგული და რუსული ცხოვრების წესი ფეხს იკიდებდა.

თბილისის კარები ფართოდ შემოაღეს აღებ-მიცემობის ოსტატებმა. ამას კვალდაკვალ შემოჰყვა ევროპული ჩაცმულობა, ჩვეულება და ადათი. აღმოსავლური საკრავების ხმა, ყარაჩოღლური ქეიფის წესი, ლოთი-ფოთური და ხმაურიანი ქალაქი ადგილს უთმობდა ფორტეპიანოს, ფრანგულ და რუსულ მოდებს, შექცევათა და გართობათა ახალ წესს.

ევროპული ფერუმარილი უხვად წაეცხო ქალაქის სახეს. ახალ მოდებს ახლა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი — ყველა განურჩევლად აჰყვა. ახალი ცხოვრების ფეხისხმას ისიც აჰყვა, ვისაც არ ესმოდა ამ ახლის სული და მხოლოდ გარეგ-

ნული ნიშნებით ითვისებდა მას. დაიწყო მძაფრი დავა და გაყრა ძველისა და ახლისა.

ევროპული ცხოვრების წესმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. მის სახლში მოსვლა ყველასთვის სასიხარულო და სასიამოვნო იყო. იქ დიდი გულთბილობა და შინაურობა იგრძნობოდა. ამას მარტო ის კი არ ჰქმნიდა, რომ ალექსანდრეს კარგი მეუღლე და მშვენიერი ასულები ჰყავდა, არამედ ის დიდი ეროვნული ტრადიცია, რომელიც ახლა ევროპული ცხოვრების წესსა და ჩვეულებას ბუნებრივად ითავსებდა და იხამებდა. ყოველივე ამის გამო ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი თბილისის ფონზე.

თბილისში გაჩნდა გაზეთი, ჟურნალი, კულტურული დაწესებულებები. 1818 წელს დაიბადა პირველი ქართული გაზეთი „თბილისსა შინა, ბუნებისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაც ეწოდება საქართველოს გაზეთი“, ხოლო 1832 წელს დაარსდა გაზეთი „თბილისის უწყებანი“. მას ჰქონდა ლიტერატურული დამატება, რომელსაც ოცდარვა წლის ახალგაზრდა მეცნიერი და მწიგნობარი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა. დოდაშვილს უმაღლესი განათლება პეტერბურგს ჰქონდა მიღებული.

დაიწყო ეროვნული გამოღვიძების ხანა, და ამის პირველი მედროშენი ქართველი მწერლები — სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი იყვნენ. საქართველოს საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ეს მესვეურნი დაქვეითებულ ეროვნულ კულტურას ფეხზე აყენებდნენ... თბილისში გამოჩნდა პირველი თეატრალური სანახაობები, შინაური წარმოდგენები და თეატრალური დადგმები. 1802 წელს დაარსებული ორკლასიანი „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ 1830 წელს ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა, თბილისი გახდა გული და ტვინი ახალი საქართველოსი.

მაშინ ახალი თბილისის მესვეურებს ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ თავისუფლად განეგოთ ქართველთა ეროვნული სა-

ქმე. დიდ წინააღმდეგობასა და ბრძოლაში გზას იკაფავდა და იბადებოდა ახალი საქართველო თავისი დიდი სოციალური და ეროვნული ინტერესებით.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ შვილების აღზრდა პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსულ არსენიევას მიანდო. უაღრესად განათლებული, პეტერბურგში აღზრდილი, მხატვრობისა და მუსიკის მოყვარული, მწერლობისა და ხელოვნების მცოდნე ეს რუსი ქალი, დიახაც რომ შესაფერისი აღმზრდელი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებისა.

პრასკოვია არსენიევა 1815 წელს ცოლად გაჰყვა მაშინ პეტერბურგში მყოფ თბილისელ გენერალს ახვერდოვს. გენერალი ახვერდოვი 1816 წელს თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ. მას თავისი საკუთარი სახლი ჰქონდა სოლოლაკში. სწორედ მის სახლში, უფრო სწორად, გენერალ ახვერდოვის სახლის ფლიგელში, ცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი. ამ დროს ნინო უკვე ექვსი წლისა იყო, და მისი აღზრდა. რუსულ და ევროპულ ყაიდაზე, ალექსანდრემ პრასკოვია ახვერდოვას მიანდო, შემდეგ ალექსანდრეს სხვა შვილებიც წამოეზარდა — ეკატერინე და დავითი. სამივეს აღზრდა ახვერდოვას ქალმა იდო თავზე. პრასკოვიას 1820 წელს ქმარი გარდაეცვალა და გენერალ ახვერდოვის ქვრივის შვილების მეურვეობა ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიენდო. ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე ახვერდოვის ნათესავი იყო. ყოველი პეტერბურგელი თავის მოვალეობად სთვლიდა თბილისში ყოფნისას პრასკოვიას სახლში მოსულიყო და მისთვის პატივისცემა დაედასტურებინა. პრასკოვიას პეტერბურგში უამრავი მეგობარი და ნათესავი ჰყავდა, ამიტომ იქიდან ჩამოსული ყოველი გამოჩენილი რუსი მისი უპირველესი სტუმარი იყო. სწორედ აქ, პრასკოვიას ოჯახში, გაიცნო ნინო ჭავჭავაძემ გრიბოედოვი, და პრასკოვიას უშუალო მონაწილეობითა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის დასტურით, 1828 წელს გრიბოედოვს ჯვარი დასწერეს ნინო ჭავჭავაძეზე.

ახვერდოვის ქვრივი პრასკოვია 1830 წელს ისევ პეტერბურგში გადასახლდა, მაგრამ კავშირი და ურთიერთობა არ გაუწყვეტია ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან. პეტერბურგიდან ჩამოსულ ბევრ გამოჩენილ მწერალსა და სახელმწიფო მო-

ხელეს ხელთ ჰქონდა ახვერდოვის ქვრივის სარეკომენდაციო ბარათი ჭავჭავაძის ოჯახში წარსადგენად.

გადასახლებული ჭავჭავაძე 1834 წლიდან 1837 წლის სექტემბრამდე პეტერბურგში ცხოვრობდა, სადაც, პრასკოვიას დახმარებით, მრავალი მეგობარი შეიძინა. თბილისიდანაც ყოველ ამბავს მისი მეშვეობით ტყობილობდა.

და ასე, პრასკოვიას ოჯახი, ჭავჭავაძის ოჯახის შემწეობით ქართველ და რუს გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა მეგობრობისა და ძმობის ერთგვარი ხიდი გახდა.

ნინო, ეკატერინე და დავით ჭავჭავაძეები პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას მუდამ მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ, მეორე დედად სთვლიდნენ და არასოდეს არ ივიწყებდნენ მის მადლსა და ამაგს. ჭავჭავაძეების უმცროსი ქალიშვილი სოფიო კი დაბადებული არ იყო (სოფიო 1834 წელს დაიბადა), როცა არსენიევას ქალი პეტერბურგს გადასახლდა.

დავით დადიანიც ახვერდოვის ოჯახის ხშირი სტუმარი და მეგობარი იყო, და სწორედ აქ გაიცნო და დაუახლოვდა ეკატერინე ჭავჭავაძეს.

* * *

ეკატერინე ჭავჭავაძე ისე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი ქალიშვილი ნინო, მაშინდელი რუსეთის მაღალი საზოგადოების წესზე და კვალზე იზრდებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში — იმპერატრიცა ეკატერინეს ნათლულის ოჯახში წმინდად ინახავდნენ პეტერბურგის სამეფო კარის წესებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილებს ბავშვობიდანვე რუსულ და ფრანგულ ენებს ასწავლიდნენ, დიდკაცობის წესზე ზრდიდნენ, ამპარტავნების გრძნობებს უღვივებდნენ, დილიდან საღამომდის წიგნებს უკითხავდნენ, მათთან ხან ფრანგული ენის მასწავლებელი ანჩხლობდა, ხან მუსიკის მასწავლებელი ართობდა ბავშვებს, ხან კიდევ სიმღერისა და ხატვის მასწავლებლები ამღერებდნენ და ახატვინებდნენ. ჭავჭავაძის ულამაზესი, პატარა ასულები განცხრომასა, ნებივრობასა, სწავლასა და მეცადინეობაში იყვნენ.

ნინო და ეკატერინე თითქმის ტოლებივით იზრდებოდნენ, თუმცა მათ შორის განსხვავება ოთხი წელი იყო. ისინი ერთმა-

ნეთისაგან ხასიათითა და გრძნობებითაც განირჩეოდნენ. რამდენადაც ნინო პოეტური იყო, იმდენად ეკატერინე —ამაყი და ანგარიშიანი. გონებრივი სიფხიზლე და გამჭრიახობა, საკუთარი მდგომარეობის შეგნება, ამპარტავნობა ბავშვობიდანვე თან დაჰყვა ეკატერინეს. ახლობლები ამჩნევდნენ დების ხასიათთა ამ განსხვავებას. ეკატერინეს თვით მასწავლებლებიც კი ერიდებოდნენ, განსაკუთრებულად ანებივრებდნენ. ეს გარეგნულად ნაზი, ბავშვობიდანვე თამამი და დამცინავი ეკატერინე, წამოიზარდა თუ არა, უფრო მომაჯადოებელი შეიქნა, თუმცა დამცინავი ღიმილი არაძოდეს შორდებოდა მის ცისფერ თვალებსა და პაწია ტუჩებს. ეკატერინე ფიცხი იყო, ზვიადი, მაინც ყველას იზიდავდა, მაინც ყველას ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. თვითნება გოგონას ოჯახშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, თუმცა სილამაზითაც, სიკეთითაც ეკატერინეს ნინო სჯობდა, შავთვალწარბა ნინოს წამწამებში ჩამდგარი უსაზღვრო სევდა სინაზეს ანიჭებდა, გასაოცარი კეთილშობილება და სიკეთე არ სცილდებოდა მის მიბნედილ სახეს. იგი ისეთი სათნო იყო, რომ არათუ არ დიდგულობდა, პირიქით, სიყვარულითა და ალერსით ათბობდა ნაცნობებსა და მეგობრებს. ეკატერინე კი თვითონ მოითხოვდა თაყვანისცემასა და პატივს.

ეკატერინეს ბავშვობიდანვე მკვეთრად ემჩნეოდა დიდკაცობისაკენ მისწრაფება. ამპარტავნობა ჭავჭავაძის ასულისა ჩანს ყველაზე მეტად ახვერდოვების ოჯახში ვლინდებოდა, სადაც ეკატერინე სწავლობდა. ამ ოჯახის სიძეს, შემდეგ მეფისნაცვალს მურავიოვს, ეკატერინეს ხასიათი ასე აღუბეჭდავს მოგონებათა ფურცლებზე:

„... ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანს, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილს, ნინო გრიბოედოვას ღვიძლ დას, კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ყმაწვილქალობის დროს, იმ ხანმოკლე შეხვედრების მეშვეობით, რაც მე მქონდა ჭავჭავაძიანთ ოჯახთან, რომელიც ჩვენი სახლის მომცრო ფლიგელში ცხოვრობდა. მაშინ ცამეტი წლის კატინკა ჭავჭავაძე სწავლობდა და თითქმის იზრდებოდა კიდევაც ჩვენთან. მას უაღრესად ფაქიზი, თითქმის გამჭვირვალე სახის ნაკვთები ჰქონდა. იგი ულამაზეს ასულად მიაჩნდათ, მაგრამ მე ამ შეხე-

დულებას არ ვიზიარებ, რადგან მის სახეში ქედმაღლობა გამოსჭვივოდა, იგი მუდამ გონიერი და დაძაბული იყო და იშვიათად იცინოდა. კატინკას ზნეობრივი განწყობილება უფრო მეტად ვლინდებოდა, როცა ხედავდით მისი უფროსი დის ნინოს თვინიერ და მშვენიერ გარეგნობას. კატინკას იმ ხანებში მე, მისი ზვიადი წარმოსადეგობის გამო, ხუმრობით დედოფალს ვეძახდი და ტახტზე ასვლას ვუწინასწარმეტყველებდი. ასეც მოხდა. თუმცა მას მხოლოდ სამეგრელოს ტახტი ერგო, მაგრამ მაინც მბრძანებელი იყო.

მაშინ მე საქართველოში უკვე არ ვიყავი, როცა იგი ცოლად გაჰყვა თავად დავით დადიანს, გონიერ კაცს, რომელმაც ეკატერინე ჭავჭავაძის სახით იპოვა ერთგული თანაშემწე მის მიერ სამეგრელოში შემოღებული ევროპული თადარიგის საქმეში".

მურავიოვი სიძე იყო ახვერდოვებისა. მას ცოლად ჰყავდა ახვერდოვების უფროსი ქალიშვილ სოფიო, ნინო ჭავჭავაძის ტოლი. ნინოსა და ეკატერინეს ახლო მეგობრობა ჰქონდათ ახვერდოვის ქალიშვილებთან—სოფიოსა და დარიასთან. უფრო მეტი: ეკატერინე და ნინო ახვერდოვის ქალიშვილებთან ერთად იზრდებოდნენ ევროპულად განათლებულ პრასკოვია არსენიევას ხელმძღვანელობითა და მეთაურობით. ამიტომ მურავიოვის ეს ცნობა ფრიად სანდოა.

ბავშვები ხან წინანდალში იყვნენ, ხან —თბილისში, მეტწილად კი თბილისში. წინანდალშიაც და თბილისშიაც ერთნაირი გარემოცვა ჰქონდათ: იგივე მეგობრები და ამხანაგები. ეს გოგონები სულ მალე მომწიფდნენ, სულ მალე გამოვიდნენ საზოგადოებაში, სულ მალე დაიმსახურეს მამაკაცების თაყვანისცემა და სიყვარული. ამ მხრივ პირველობა მაინც ნინოს ერგო. ნინო ტანადი იყო, შავგვრემანი და შავთვალა. ყველას ყურადღებას იპყრობდა, ყველა მოხიბლული და აღტაცებული იყო მისი სილამაზით. მაგრამ არა თუ შეყვარება, უბრალო ბავშვური გატაცებაც კი ვერ მოასწრო. ისე მოსტაცეს მას ეს გასაოცარი სილამაზე და სინაზე ქალწულობისა, რომ თექვსმეტი გაზაფხულიც არ გადაეხადა. თოთხმეტი წლით ნინოზე უფროსმა გრიბოედოვმა წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა. თხუთმეტი წლის გოგონას არც დრო ჰქონდა და არც გა-

მოცდილება, რომ ამ წინადადებას დაფიქრებოდა. მისთვის ქალიშვილობის გაზაფხული მხოლოდ იწყებოდა და ისე იყო აღტაცებული და გაბრუებული, რომ იდგა გრიბოედოვის წინ და ბავშვივით იღიმებოდა, მოულოდნელობის სიხარულს ვერც კი ფარავდა. მას პირველად ესმოდა ასეთი სიტყვები მამაკაცისაგან. მერე თითქოს გონს მოეგო და მეორე ოთახში გავარდა. იქ თურმე მამა და დედა ელოდებოდნენ, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ბედი ქალიშვილისა. ნინო დაემორჩილა ასე მოულოდნელად, განუსჯელად ერთბაშად მოვარდნილ ბედს.

ალექსანდრემ ნინოს ქორწილი ძველისძველი ღვინით გადაიხადა. იმ დღეს, როცა ნინო დაიბადა, ალექსანდრეს უბრძანებია, სარდაფში ყველაზე დიდი კასრი გაევსოთ ღვინით, ამ კასრისათვის ნინოს სახელი დაერქმიათ და იგი მხოლოდ ნინოს ქორწილში გაეხსნათ, მართლაც სწორედ ქორწილის დღეს გახსნეს ეს კასრი. წინანდლის ღვინო საუცხოო, საამო გემოსი იყო. იმ დღეს საჯაროდ გამოაცხადეს, ეს ის ღვინოა, რომელიც, ალექსანდრეს განკარგულებით, საქორწილოდ იყო შენახულიო.

ქორწილში ნეფე-დედოფალმა, სხვა სტუმრებთან ერთად, გიორგი ერისთავიც დაჰპატიჟეს. გიორგი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო, რომელსაც გულში ეკატერინეს სიყვარული ჩავარდნოდა. ახალგაზრდა მაყარი საგანგებოდ გამოეწყო. სასახლის კარებს ქართული ტანისამოსით მორთულ-მოკაზმული მიადგა. ქორწილს მთავარმართებლის სასახლეში იხდიდნენ. მეფისნაცვალი პასკევიჩი გრიბოედოვს ნათესავად ერგებოდა, და იგი უხდიდა ქორწილს გრიბოედოვს. გიორგი ერისთავი სასახლის კიბეებს რომ მიადგა, გუშაგებმა ხელი სტაცეს ახალგაზრდა ყმაწვილს, მომავალ პოეტსა და დრამატურგს ასე მოახსენეს: ჩვენ ნაბრძანები გვაქვს მხოლოდ სამხედრონი და ევროპულ კოსტუმებში გამოწყობილნი გავუშვათ. მიბრძანდით, ტანისამოსი გამოიცვალეთ და მერე მოდითო.

გიორგი ერისთავმა ეს დიდ შეურაცხყოფად მიიღო.

— მე სამხედრო პარადზე კი არა, ქორწილში მივდივარ.

— რა ვქნათ, ჩვენ ასე გვაქვს ნაბრძანები! —უთხრეს გუშაგებმა.

გიორგიმ ერთი ქართულად შეუკურთხა ყეყეჩ მოხელეებს და უკანვე დაბრუნდა თავის სახლში.

ეს ამბავი გახმაურდა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახამდე მიაღწია. დიდად შეწუხდნენ ჭავჭავაძენი, მაგრამ უკვე გვიან იყო, თუმცა არც ადრე შეიძლებოდა საქმის გამოსწორება, რადგან ასეთი იყო პასკევიჩის ბრძანება, და ვინ გადაუდგებოდა წინ იმ დროის საქართველოს გამგებელს.

გრიბოედოვი აღტაცებული იყო. ახალგაზრდა ცოლი გაგიჟებამდე შეუყვარდა; „მურილიოს მადონა“ შეარქვა. მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. გრიბოედოვმა საყვარელ ცოლთან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. ამ ერთი წლის განმავლობაში ცოლსა და მეგობარს თავისი ლექსები და საფორტეპიანო პიესები შეასწავლა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთი სპარსეთის წინააღმდეგ ომობდა, 1826 წლის ივლისს, სპარსეთის ჯარი ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა კავკასიაში. სპარსეთს მეფისნაცვლის ერმოლოვის მეთაურობით რუსეთის ჯარმა ომი გაუმართა და შუშის ციხის სიმაგრეებთან სასტიკი დამარცხება აგემა. 1827 წელს კი, უკვე პასკევიჩის მეთაურობით, რუსეთის არმიამ თავრიზი აიღო. 1828 წლის 10 თებერვალს სპარსეთი იძულებული გახდა რუსეთის მიერ შეთავაზებული ზავი მიეღო. ამ ზავის მიხედვით, სომხეთის მხარე კვლავ რუსეთის მფარველობაში ექცეოდა. ამ ახლად შექმნილი სომხეთის ოლქის ჯარების სარდლად გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა, რომელმაც სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ ომში თავი ისახელა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ დროს უკვე სიმამრი იყო გრიბოედოვისა. სპარსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება კი რუსეთის მეფემ სწორედ გრიბოედოვს მიანდო.

1828 წლის სექტემბერს ახალჯვარდაწერილი გრიბოედოვი თეირანს გაემგზავრა. ოთხი თვის შემდეგ, 1829 წლის 30 იანვარს, თეირანში ტრაგიკულად დაიღუპა.

თავრიზში მყოფ ნინოს არ გაუმხილეს ქმრის სიკვდილი და უთხრეს, თითქოს ქმარმა შემოუთვალა, უკანვე თბილისში, მამასთან დაბრუნდი, მეც რამდენიმე დღეში ჩამოვალო. ნინო

დაემორჩილა ქმრის სურვილს და თბილისში დაბრუნდა. დიდხანს ელოდა ქმარს, მაგრამ არც გრიბოედოვი ჩანდა და არც მისი ამბავი ისმოდა. ერთ საღამოს ჭავჭავაძიანთა სტუმრად მოსულ პასკევიჩის მეუღლეს, გრიბოედოვის ბიძაშვილს, შემთხვევით წამოსცდა და მერე დაწვრილებით უამბო ნინოს თეირანში მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ჯერ გული შეუღონდა ნინოს, მერე კანკალმა აიტანა და ერთბაშად ისტერიული კივილი მორთო. ვერაფრით დაამშვიდეს, მთელი ღამე ბორგავდა, ტიროდა, სახეს იხოკავდა, თავში ხელებს ირტყამდა. ეფერებოდნენ, ეშინოდათ, ისედაც უბედურ ქალს მუცელი არ მოშლოდა, მაგრამ ამაოდ.

მეორე დღეს შვილიც დაკარგა ნინომ. შვილიც და ქმარიც. ასე მოულოდნელად შეიცვალა ჭავჭავაძეთა პირველი ქალიშვილის ბედი. შემდეგ თეირანიდან ქმარი თბილისში ჩამოასვენებინა და ყველაზე ულამაზეს და უწმინდეს ადგილს —მთაწმინდის მიწას მიაბარებინა.

ნინო ჭავჭავაძემ ქმრის სიკვდილის შემდეგ ოცდაათი წელი იცოცხლა. მთხოვნელი უამრავი ჰყავდა და არავის მისთხოვდა. გრიგოლ ორბელიანი მის სიყვარულს გადაჰყვა და მისი შემყურე უცოლოდ დაბერდა. ახალგაზრდა ქვრივი ნინო გრიბოედოვი მეტწილად კახეთში, —წინანდალში იყო, ხან თბილისში დედ-მამასთან, ხანაც —სამეგრელოში ეკატერინესთან, და ასე მიდიოდა ამ ულამაზესი ქალის სევდიანი დღეები.

სულ სხვანაირი ბედი ერგო ეკატერინე ჭავჭავაძეს. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ეკატერინე ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა იგი ცამეტი წლისა იყო, მაგრამ ვიდრე დავით დადიანს მისთხოვდებოდა, ეკატერინეს რამდენიმე თაყვანისმცემელი ჰყავდა. მან ქალიშვილობის გაზაფხულიც ბედნიერად გალია და შემოდგომაც უკეთ მოიმკო, ვიდრე მისმა ტოლებმა. ქალიშვილობაში ბევრი ჰყავდა ეკატერინეს მოტრფიალე: ქართველი, რუსი თუ უცხოელი, ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ეკატერინეს სილამაზით, მისი სიმღერით, პოეტური ცეკვით. არც ეკატერინე იყო გულცივი. გართობის მოყვარულ ქალიშვილს ისე მოეწყო საქმე, რომ მუდამ თავს ეხვეოდნენ მოტრფიალენი, იმ წელს კი ეკატერინე ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს მეგობრობდა და ახლად

გაცნობილ დავით დადიანზედაც რჩებოდა თვალი, ვერ გადაეწყვიტა, ვის მინდობოდა მისი გული, კეთილ, მაგრამ ღარიბ პოეტს —ტატო ბარათაშვილს, თუ ზვიად მემამულეს, დიდებულ დადიანს. გული მომხიბვლელ ქალიშვილს უკარნახებდა, რომ მხოლოდ ტატოსთან ეწეოდა ბედნიერებას, რომ მისი ცხოვრების ნამდვილი მეგობარი ტატო იქნებოდა, მაგრამ თავად ჭავჭავაძეების შთამომავალს გონება, თავმოყვარეობა დიდებისაკენ, დედოფლის ტახტისაკენ მოუწოდებდა, და აი, ამ ორ გრძნობას ორად გაეყო მისი გული...

* * *

დავითი ტატოზე უფროსი იყო. მან უკვე ყურადღება მიიქცია და თბილისის მოწინავე ახალგაზრდობაში კარგი სახელი დაიმსახურა. ბარონ როზენის საგანგებო საქმეთა რწმუნებული მაშინდელი თბილისის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მოექცა. სასახლეში მას სანდო კაცად სთვლიდნენ, ხოლო მის გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდები— გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ივანე მუხრანსკი და სხვები მეგობრობდნენ მასთან. როგორც ნიჭიერ ახალგაზრდასთან და მოწინავე ქართველ მამულიშვილთან.

ვახტანგ ორბელიანი მაშინ პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული იყო. დავითი პეტერბურგს აპირებდა წასვლას და ვახტანგთან მივიდა ამბის შესატყობად, ისინი სამნი იყვნენ: დავითი, გიორგი და ვახტანგი. საუბარი საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას შეეხებოდა. გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და დავით დადიანი თითქმის ტოლები იყვნენ. იმ წელს გიორგის ოცდაერთი წელი შეუსრულდა, ვახტანგს — ოცი, დავითს კი ცხრამეტიც არ გადაეხადა, და მათ ერთნაირად აღიქვეს საქართველოს სამეფოთა ბედი. ეხლაც საქართველოს ბედით გამოწვეული ფარული სევდა თანაბრად ღრღნიდა მათს გულს.

საუბარი ისევ ვახტანგმა წამოიწყო, დინჯად, ოდნავ გაბზარული და სევდიანი კილოთი ლაპარაკობდა.

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა. გაივლის წლები, მოვა სხვა დრო, სხვა თაობა და ჩვენ ის დრო მკაცრად გაგვასამართლებს. ჩვენ ვერ მოვუარეთ და ვერ ვუპატრონეთ ჩვენს ქვეყანას.

ახლანდელ ქართველებში კაცს ვერ იპოვნით, ერთი აზრი და ერთი მიზანი რომ ჰქონდეთ. ყველა ცალკე ფიქრობს, ცალკე ოცნებობს პირად ბედნიერებასა და კარიერაზე; საზოგადო საქმე და სამშობლო კი, აბა, ვის ახსოვს ახლა ჩვენს დროში — ზოგისთვის სულ ერთია სად იქნება, საქართველოში, თუ სადმე შორეთს გადახვეწილი, ოღონდ კმაყოფილი იყოს და ბედნიერი, ლამაზი ცოლი ჰყავდეს, ძვირფასი ავეჯი და ბევრი ფული ჰქონდეს. ეს არის და ეს ახლა ქართველი კაცის ოცნება. მეზიზღებიან ეს ადამიანები, არა, ადამიანები კი არა, ღორები არიან, პირი დაუღიათ და ხახაში ყველაფერს იყრიან... ჩინმენდლებზე ჰყიდიან პატიოსნებას, ენასა და მამულს... არა, ძნელია, მეტად ძნელი ჩვენი მდგომარეობა და ვერც გვიპოვნია გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

— არა ხარ, ვახტანგ, მართალი. ჩვენში ბევრია ისეთი, რომელსაც საქართველოს ბედი აფიქრებს და აღელვებს, მზად არის თავი შესწიროს მის ბედნიერებას, თუ ეს მამულმა მოითხოვა. მაგრამ ისიც მართალია, რომ მძიმე დღეები დამდგარა ჩვენი ერთი მუჭა ერისთვის, —ამბობდა დავით დადიანი, ოდნავ აღგზნებული, თან გარშემო იხედებოდა, თითქოს თავისივე ამ ნათქვამისა არ სჯეროდა და სხვის დასტურს მოითხოვდა. შემდეგ ისევ განაგრძო:

— არა, რა ქნას, რა გზას დაადგეს ჩვენი ქვეყანა? ის კი მართალია, ვახტანგ ჩემო, რომ მართლაც ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, საკუთარი ფიქრებით, საკუთარი განცდებით, საკუთარი ზღუდეებით შემორაგულნი, თითქოს გვეშინია ჩვენი ფიქრი და ჩვენი ოცნება სხვას გავანდოთ. მაგრამ ვაი, რომ დიდიხანია ეს გამთიშველობა ჩვენს სულსა და გონებას დაუფლებია. აი, სამიოდე წლის წინათ, თურქებმა შავი ზღვა გადმოლახეს და ქართველებს ფოთი მოსტაცეს. ეს მაშინ, როდესაც ფოთთან რუსეთის მთელი არმია იდგა. რუსები გვიყურებდნენ, რას მოვიმოქმედებდით, ჩვენ კი რუსებს შევცქეროდით. ამით ისარგებლა მტერმა და ქალაქი აგვაცალა. თურქებმა აიკლეს ფოთი და გაძარცვეს ხალხი, შემდეგ ჩვენებმა ჯარი აშალეს და მტერს შეუტიეს. მე მახსოვს მამაჩემმა ლევან დადიანმა გურიელს სთხოვა მოსისხლე მტერს შეერთებული ძალით შევუტიოთო. თქვენ იცით, რომ გურიელი ჩვენი სისხლით ნათესავია,

და აი, როცა მეგრელებისა და გურულების შეერთებულმა რაზმმა, მტერი მარწუხში მოიმწყვდია, სწორედ მაშინ გადაუდგა გურიელი დადიანს. მათ უკვე ჩხუბი აეტეხათ, განთავისუფლების შემდეგ ფოთი ვისი იქნებოდა, სამეგრელოსი თუ გურიისა. ამ აშლილობით მტერმა ისარგებლა და მუსრი გაავლო ჩვენს ჯარს, კიდევ კარგი, ამ დროს რუსის არმია მოგვეშველა და სამარცხვინო მარცხისაგან იხსნა ჩვენი ქვეყანა. ეს სულ გუშინწინდელი ამბავია, სამი წლის წინანდელი. და ვინც ჩვენს ისტორიას გადახედავს, განა სულ ასე არ ვიყავით? გურიელი დადიანს ებრძოდა, დადიანი —სოლომონ მეფეს, სოლომონ მეფე და ერეკლე ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდნენ. აი რამ დაგვღუპა, აი, რამ დაგვაქცია. ასე მგონია, დავითისა და თამარის შემდეგ, საქართველოს არც ჰქონია ამ ერთიანობისა და მთლიანობის გრძნობა. მე ამას გულწრფელად ვამბობ. მამაჩემმა წერილი მომწერა და სამთავროს მთავაზობს, მაგრამ მე ვიცი და თქვენც ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ეს სამთავრო ისევე უდღეურია, როგორი უდღეურიც იმერეთის სამეფოს და გურიის სამთავროს ცალკე არსებობა იყო. მე ახლა მხოლოდ მოგონებით ვცხოვრობ, რაკი სხვა გზა არ არის, სამთავროს ვებღაუჭები.. სხვა შემთხვევაში და სხვა დროში მე თქვენთან ერთად ვიბრძოლებდი და დაგიმტკიცებდით, რა ერთგულება შეუძლია ქართველ კაცს, როცა თავის სამშობლოს ბედს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

ახლა უკვე რიტორობდა დადიანი, მაგრამ გიორგი ერისთავმა მოულოდნელად შეაწყვეტინა:

— ასე მგონია, არც ეხლაა გვიან, ქართველმა კაცმა თავის საქმეს მიხედოს. ჩვენ ცალ-ცალკე ყველა ვოხრავთ და მოვთქვამთ, მაგრამ ერთხელაც არ შევყრილვართ და არ განგვისჯია ბედი ჩვენი. ჩვენ თუ არა, ჩვენი თაობის ახალგაზრდა კაცმა თუ არა, მაშ ვინ უნდა მოუაროს დაკნინებულ ქვეყანას.

გიორგი ერისთავს უნდოდა უფრო ღრმად გადაეშალა თავისი ფიქრები დადიანისათვის, მაგრამ მას, შეთქმულების მონაწილეს, თუ იმავე შეთქმულებაში ვახტანგის მონაწილეობა გაგონილი ჰქონდა, დადიანის მონაწილეობაზე არაფერი გაეგონა და აშკარად თქმას მოერიდა.

თუმცა დადიანის პატრიოტული სიტყვები დიდად მოეწონა, წინდახედული ერისთავი მაინც ვერ ენდო ახლად გაცნობილს და სამშობლოს ბედზე ისევ ზოგადი ლაპარაკით დაკმაყოფილდა:

— ჩვენი უბედურება ისიც არის,—განაგრძო ერისთავმა,— რომ უღონონი და სუსტნი ვართ, ახალი გართულებული ცხოვრებისათვის სხვები ჩვენზე უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ, და ისინი ეუფლებიან ეხლა ჩვენს მამულს, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ქალაქებს და, ალბათ, სულ მალე სახლებიდანაც გამოგვრეკავენ. თბილისში დავდივარ და ხშირად ჩემი თავი ვერ დამირწმუნებია, რომ ჩემს თბილისში ვარ, ჩემს ვეერდით ვიღაც საქმოსნები მიმოდიან, ქუდმოგლეჯილნი გარბი-გამორბიან, რაღაცას აკეთებენ, რაღაცაზე ლაპარაკობენ. ხშირად არც მათი საუბარი მესმის, არც ენა, არც გულისთქმა, მაგრამ ვხედავ და კარგადაც ვხედავ, რომ ეხლა ცხოვრების საჭე მათ ხელშია. ეს ცხვირმოუხოცავი, უზრდელი ბიჭები მარჯვედ და მოხერხებით, შარაგზაზე ჩამდგარნი, გვტაცებენ ყველაფერს: მაგრამ თოფითა და იარაღით კი არა, ათასგვარი ხრიკებით, ოინებით, თვალწინ, ცხვირწინ გვაცლიან ყველაფერს, გვატყუებენ და ხმა კი ვერ გაგვიცია, წინააღმდეგობა ვერ გაგვიწევია. თითქოს განგებამ ისე მოაწყო ყველაფერი, რომ მათ ხელში ჩავეყარეთ და ეხლა, ამ ჩვენს გუშინდელ მოსამსახურეებსა და ბიჭებს, კარისკაცებსა და ნოქრებს, ხელოსნებსა და ბაყლებს თვალებში შევყურებთ, შევციცინებთ, ეგებ ორიოდე გროში გამოვართვათ და მზადა ვართ სახლ-კარიც დავაგირაოთ, მამულიც, კარმიდამოც და ლამის სამშობლოც გავყიდოთ. აი რა არის, ჩემო ძმებო, ყველაზე უფრო სადარდებელი და საფიქრელი.

ესა თქვა და შეჩერდა გიორგი ერისთავი, ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც ამოატანაო, შეხედა დავითსა და ვახტანგს, მაგრამ მათ ხმა არ ამოუღიათ, სიტყვაც არ დაუძრავთ. სრული დუმილი ჩამოვარდა, და ამ სევდიანი ფიქრებით შეპყრობილნი დასცილდნენ ერთმანეთს.

1832 წლის იანვრის ერთ საღამოს თბილისში, ბაგრატიონის სასახლეში, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ დაიდგა. ამ წარმოდგენას დაესწრო კავკასიის მთავარმართებელი ბარონი

როზენი. მთავარმართებელს თან ახლდნენ მეუღლე და ახალგაზრდა დავითი, რომელსაც მკერდს ორდენი უმშვენებდა. თეატრში იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეც მეუღლითურთ და ქალიშვილებით.

წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართა. მაზურკა, ფრანგული კადრილი და ქართული ცეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ყველაზე მეტი ყურადღება ეკატერინემ მიიპყრო. გაწითლებულმა აღგზნებულმა ეკატერინემ დავით დადიანთან იცეკვა. ისინი მთელი გატაცებით დაგოგავდნენ დარბაზში. ეს მათი პირველი საჯარო ცეკვა იყო.

დადიახი და ეკატერინე ახლა „ქართულს“ ასრულებდნენ. სწორედ რომ შესაფერი წყვილი იყო. დადიანი გამხდარი და მაღალი, სირმებიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, წელში გამოყვანილი და მხრებში ოდნავ მოხრილი, თითქოს დასაჭერად ეპარებოდა მასზე ოდნავ დაბალს, ტანწერწეტა, მოკლეკაბიან ეკატერინეს, რომელიც შველივით უსხლტებოდა მისთვის გაგიჟებულ ვაჟს. სალომე, ალექსანდრე და ნინო ერთად იდგნენ და ღიმმორეულნი შესცქეროდნენ დადიანისა და ეკატერინეს ცეკვას. სალომემ კმაყოფილებით წასჩურჩულა შვილსა და ქმარს:

— ლამის გადარიოს ეს დადიანი ჩვენმა კატინამ. შეხედეთ, ყმაწვილი კაცი რა დღეშია, სწორედ რომ ოფლად იწურება.

ალექსანდრეს გაეღიმა და თვითონაც ხმადაბლა გაიმეორა:

— მართლა რომ გაუგიჟებია ეს კოლხელი ჩვენს კატიას.

შემდეგ თითქოს თავისთვის თქვა „კოლხელი და კახელი“. და სწორედ ამ დროს მათთან როზენის მეუღლე ელისაბედი მივიდა, რომ მშობლებისათვის თავისი აღტაცება გაეზიარებინა.

როზენის მეუღლე ელისაბედი და მისი ქალიშვილები კვირაში ორჯერ სასახლეში ბალს მართავდნენ. აქ იკრიბებოდა თბილისის საზოგადოების ნაღები. აქვე ხშირად ნახავდით ალექსანდრე ჭავჭავაძეს მეუღლითა და ქალიშვილებით, ხოლო დავით დადიანი ბარონ როზენის სასახლის შინაური კაცი იყო.

1832 წლის 6 დეკემბერს მთავარმართებლის ბინაში კვლავ

დიდი ბალი გაიმართა. ამ ბალს ალექსანდრე ჭავჭავაძე, მისი მეუღლე სალომე და ქალიშვილები ნინო და ეკატერინეც ესწრებოდნენ. ნინო, ეკატერინე და დავითი ახლა ისე იყვნენ ერთმანეთს შეჩვეულნი, რომ ბალზე სულ ერთად იყვნენ, საუბრობდნენ, ერთად ცეკვავდნენ, ნინო ჭავჭავაძე ხელს უწყობდა ეკატერინესა და დადიანის დაახლოებას.

ეკატერინე ჭავჭავაძეს სოსანი ფერის, ქვემოთ გოლშემოვლებული, მოკლე კაბა ეცვა. ამ ტანისამოსით ბრწყინავდა. ბავშვური მიამიტობა და თავადური სიამაყე თავისებურად იყო შეზავებული ამ ცქრიალა ქალიშვილის ქცევასა და მოქმედებაში.

დავით დადიანმა ისევ გაიწვია ეკატერინე საცეკვაოდ. ახლა მაზურკა იცეკვეს და მოხდა ისე, რომ ეკატერინე ჭავჭავაძე და ელენე ორბელიანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ამ აღგზნებული ცეკვის დროს დადიანმა ჩასჩურჩულა ეკატერინეს:

— ხედავთ, მთელი დარბაზი თქვენ გიყურებთ!

— მე, თუ თქვენ, ბატონო დავით?!

ეს თქვა და დადიანს ხელიდან გაუფრინდა მოცეკვავე გოგონა.

ახლა იგივე სიტყვები ორბელიანის ქალს გაუმეორა მასთან მოცეკვავე დადიანმა.

ელენემ მორცხვად დახარა თავი და ვაჟისათვის პასუხი არ გაუცია.

შეწყდა მუსიკა. დავით დადიანმა მდაბლად დაუკრა თავი ეკატერინესა და ელენეს. მობრუნდა, აელვარებული ეკატერინეს უნებლიეთ მკლავში ხელი გამოსდო და იქვე მდგომ ნინოსთან მიიყვანა. ნინო გულმხურვალედ შეეგება წყვილს და აღფრთოვანებულმა დადიანს უთხრა:

— დიდებული იყავით, ბატონო დავით! არა, დიდებული ცოტაა, ბრწყინვალე, ნამდვილად ბრწყინვალე იყავით!

— დიდებული და ბრწყინვალე თქვენი და ეკატერინე იყო. აი, ვინ არის ნამდვილად ქების ღირსი.

— მე გეთანხმებით, ბატონო დავით, კატიაც ჩინებული იყო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ვაკვირდებოდი და მამაკაცთაგან ცეკვაში თქვენი ტოლი და სწორი, აქ ვერავინ დავიგულე.

— თუ მე რამეში ღირსი ვარ ქებისა, ამას ისევ ეკატერინეს უნდა უმადლოდეთ.

— შესაფერისი წყვილი იყავით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლეკურს ცეკვავდით. ეს ცეკვა კი არა, გაბმული ჰიმნი იყო, ჰიმნი სიყვარულისა.

— აქ კი უნდა დაგეთანხმოთ, ქალბატონო ნინო, სიყვარული ყველგან იმარჯვებს და, ალბათ, ამან შემაძლებინა თქვენი მოწონება და შექება დამემსახურებინა.

ეკატერინე ამ საუბრის დროს განზე იდგა, თითქოს მას არ შეეხებოდა, რაც იქ ითქვა, ეს გამომწვევი დუმილი ცეცხლს უკიდებდა ეკატერინეს ეშხით ისედაც გახელებულ დადიანს...

* * *

1832 წლის შეთქმულება გამეღავნდა. როზენმა პირადად დაჰკითხა დავით დადიანი. დავითი სრულ უარზე იყო. არაფერი ვიცი შეთქმულებისაო, უმტკიცებდა თავის ყოფილ მასწავლებელს.

— ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარ, ეს მართალია, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ჩვენს ქვეყანას არ ძალუძს რუსეთის დაუხმარებლად არსებობა. მე დიდად დავალებულიც ვარ პირადად თქვენგან. დიდად დავალებული ვარ რუსეთის მართებლობის უმაღლესი წყალობით, რომ სამთავროს ტახტის მემკვიდრედ დამამტკიცა...

როზენმა შეაწყვეტინა პასუხი დავით დადიანს, ამ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს თავი დაანებეო, მე უკვე ყველაფერი უშენოთაც ვიციო... მართლაც, როზენმა იცოდა საქმის ვითარება, ისიც იცოდა, რომ დავით დადიანი არ იყო უშუალო მონაწილე შეთქმულებისა, მაგრამ ახლო იყო შეთქმულებთან, მეგობრობდა მათ და არ შეიძლებოდა არაფერი სცოდნოდა ამ საქმისა. ამიტომ გაუწყრა როზენი თავის ურჩ დადიანს.

დატუქსული და პატიებული დადიანი იძულებული გახდა სამეგრელოში დაბრუნებულიყო. ერთი თვის შემდეგ კი პეტერბურგს გაემგზავრა. ამასობაში შეთქმულების მონაწილე, ტამბოვს გადასახლებული ალექსანდრე ჭავჭავაძეც პეტერბურგს დააბრუნეს.

ოცნების გურანში

მოსკოვსა და პეტერბურგში მრავალი ახლო ნათესავი და მეგობარი ეგულებოდა დავით დადიანს. საქმე ის იყო, რომ მე-17 საუკუნიდან, არჩილ მეფის ამალიდან მოყოლებული, ტახტის ბევრი მაძიებელი და საქართველოდან გაქცეული ბატონიშვილი თავს მოსკოვსა და პეტერბურგს აფარებდა. და ასე შეიქმნა აქ ქართული კოლონიები, მთელი უბნები და ქუჩები, სამეფო ამალითა, ეკლესიებითა და კარის მოძღვრებით. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, ერეკლე მეფის მემკვიდრეები, შვილები და შვილიშვილები თავიანთი მხლებლებით აქ გადმოვიდნენ (ზოგი იძულებით, ზოგი კიდევ — ნებით). ასევე აქ გადმოსახლდნენ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი საქართველოს სხვა კუთხეთა გაუქმებული ტახტის პრეტენდენტებიც.

პეტერბურგში იყვნენ ერეკლეს ძენი — ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები, აგრეთვე ერეკლეს უფროსი ვაჟის — საქართველოს მეფის გიორგი მეთორმეტის შვილები, ყველა ისინი, რომლებიც დაუცხრომლად ებრძოდნენ მეფის რუსეთს თვით რუსეთშივე. აქვე იყვნენ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მეუღლე მარიამი და მისი შვილები. 1811 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა გიორგი XII-ის თანამეცხედრე მარიამი, გიორგი ციციშვილის ასული. მარიამს გენერალ ლაზარევის მკვლელობაში მონაწილეობა დაბრალდა, ჯერ იყო და ბელგოროდის დედათა მონასტერში გაამწესეს, 1811 წლიდან კი მოსკოვში ცხოვრების ნება დართეს, ხოლო მისი შვილები პეტერბურგში დასტოვეს. კერძოდ თეიმურაზ ბატონიშვილიც — ცნობილი ქართველი მეცნიერი, შემდეგ სამეცნიერო აკადემიის წევრი და ქართული სამეცნიერო მუშაობის მეთაური პეტერბურგში იყო, ყოველივე ამის გამო მოსკოველ და პეტერბურგელ ბატონიშვილებს ერთმანეთთან გამუდმებული მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდათ.

დავით დადიანს ბატონიშვილები, კერძოდ, მარიამ დედოფალი და მისი ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი, ნათესავად ხვდებოდნენ, და როდესაც იგი პეტერბურგს მიდიოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მოსკოვში მარიამ დედოფალი და ნინო მოენახულებინა და შემდეგ კი პეტერბურგში თეიმურაზ ბატო-

ნიშვილთან ეცხოვრა. აქ გადმოსახლებული სამეგრელოს დედოფალი ნინო საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტის შვილი იყო, მეუღლე დავით დადიანის პაპის გრიგოლ დადიანისა. ამ ხაზით ბაგრატიონთა შთამომავალი იყო დავით დადიანი და თეიმურაზ ბატონიშვილს დისწულად ერგებოდა.

ბატონიშვილებს თან ახლდა მთელი ამალა და თავიანთ სამეფო წესისამებრ ოჯახური თადარიგი და წესრიგი აქაც ისევე მოეწყოთ, როგორც საქართველოში. ყოველივე ამას, ამ ამალისა და კარის მღვდელთა თუ სხვა მოსამსახურეთა შენახვას, უამრავი ფული და ქონება სჭირდებოდა, მაგრამ ბატონიშვილები მაინც არ ეშვებოდნენ ამ ჩვეულებას, იმ დროს იქ მყოფ კარის მღვდელთა შორის ყველაზე დიდი სახელი იონა ხელაშვილს ჰქონდა.

იონა ხელაშვილი წარმოშობით ქიზიყელი გლეხი იყო... მისი წინაპრები სოფელ ვაქირში ცხოვრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ლეკებთან ომში მამამისმა თავი ისახელა და ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს, ერეკლემ მისი ობლები თელავში შეიყვანა. მათგან ყველაზე ნიჭიერი იონა აღმოჩნდა, და მეფემ იგი თელავსა და თბილისში კარის მღვდლებს მისცა აღსაზრდელად. მისი მასწავლებელი თბილისში მეტეხის დეკანოზი იასე იყო, ხოლო თელავში — თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსიშვილი, ირაკლის შემდეგ ნიჭიერ იონას დიდი პატრონობა გაუწია გიორგი მეფემ.

1800 წელს იონამ თავი მიანება ბატონიშვილების სასახლეს და ბერად აღიკვეცა ქვათახევის მონასტერში. ბერის სამოსელით შემოიარა მან სამთავროებად დაყოფილი საქართველო და ყველა ყოფილ ბატონიშვილს თავისი პატივისცემა და ერთგულება დაუდასტურა, მერე ის იყო, რომ „კალმასობის“ ეს მოუსვენარი გმირი იულონსა და ფარნაოზ ბატონიშვილებს აეკიდა და თან გაჰყვა მოსკოვში. აქედან 1809 წელს, დავითის, იოანეს და მიხეილ ბატონიშვილების დახმარებით, ალექსანდრე ნეველის აკადემიაში მოეწყო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების განყოფილების სტუდენტად. ყოფილ ბერს საჭმელ-სასმელს მიტროპოლიტ ამბროსის კარზე აძლევდნენ, ხოლო დამატებით ყოველწლიურად საიმპერატორო სალაროდან 250 მანეთს ჯამაგირს იღებდა. სა-

სულიერო აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, პეტერბურგის კოლონიის ქართველმა მღვდელმთავარმა დოსითეოზმა მღვდლად აკურთხა. ამის მერე იონა ჯერ დავით ბატონიშვილის კარის მოძღვარი იყო, — შემდეგ ანა დედოფლისა; იგი ყოველი ბატონიშვილის ოჯახში მიღებული კაცი იყო და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. პატიოსნებით და ერთგულებით ცნობილი ბერი სულ მუდამ იმას ცდილობდა, რომ გადამტერებული ბატონიშვილები შეერიგებინა და დაემეგობრებინა. 1832 წელს ბაგრატმა, თეიმურაზმა, ილიამ, ოქროპირმა და ირაკლიმ ასეთი შინაარსის სიგელი უბოძეს იონას: „დღე და ღამე არ დასცხრები შენ შრომისათვის და შესთხზე შენ წიგნნი საღვთისმეტყველონი, რომელთამე განმარტებანი, ქადაგებანი სადღესასწაულონი წელიწადისა და კვრიაკეთა დღეთანი, ლექსიკონი ვრცელი ქართულისა ენისა, შესხმანი და სხვადასხვანი ეპისტოლენი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნისმოყვარეთა კაცთადმი და კუალადცა არა ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადჟამ შრომობ“.

მოსკოვს, გიორგი XII მეუღლის მარიამის სასახლეში, დავით დადიანი, აი, ამ იონას შეხვდა და გაიცნო კიდეც. ბერი დადიანების სასახლეში ნამყოფი იყო, მაგრამ დავითი მაშინ არც იყო დაბადებული, და ამიტომაც არც იცნობდა მას, იონამ ისე მიუალერსა და მოეფერა დადიანს, თითქოს ბავშვობიდანვე მისი გაზრდილი ყოფილიყოს. დადიანი უკვე ოცი-ოცდაერთი წლის ყმაწვილი იყო, თავმომწონე და თავის კვალობაზე განათლებული. ის ისე მოიხიბლა განსწავლულ ბერთან საუბარით, რომ, რაც მოსკოვში იყო, გვერდიდან არ მოუშორებია ეს კეთილი ბერი. დავით დადიანს მოსკოვი დაწვრილებით სწორედ ამ ბერმა გააცნო.

იონა მღვდელმა დავითი მოსკოვის კრემლში მიიყვანა და პირველად იქ შეაჩერა, სადაც კრემლის ეზოში ვეებერთელა ზარი ეგდო, ნახევრად მიწაში ჩაფლული. ბერმა დადიანს დაწვრილებით უამბო ამ ზარის ამბავი. ამის შემდეგ მან იგი კრემლის სამრეკლოში შეიყვანა. ბერმა ზარებისაკენ ხელი გაიშვირა და ასე უთხრა დავითს:

„აბა თუ დაითვლი... ოცდაცამეტი ზარი ჰკიდია ამ სამრეკლოზე. მათში ყველაზე დიდი მიძინების ტაძრის ზარია. იგი

ოთხიათას ფუთს იწონის. აი, მის გვერდით რომ ასევე დიდი ზარია, იმას ნოვგოროდის ზარს უწოდებენ. როცა იოანე მრისხანემ ქალაქი ნოვგოროდი შემუსრა, ეს ზარიც აქ დამოატანინა. შემდეგ ბერმა დადიანს სხვა ზარების ამბავი უამბო.

„და მაინც, — დასძინა ხელაშვილმა—ყველა ამ ზარზე უფრო დიდი ის ზარია, კრემლის ეზოში ჩაფლული რო ვნახეთ, მას ზარების მეფეს უწოდებენ, თორმეტიათას ფუთს იწონის“.

ამის შემდეგ მღვდელმა დადიანს სათითაოდ აჩვენა კრემლის მონასტრები და დაწვრილებით გააცნო მათი ისტორია. ამ მონასტრებში პირველი უსპენსკის ტაძარიაო, — ხმამაღლა ჩასძახა უკვე გარეთ გამოსულმა მღვდელმა დავითს. დადიანი უცბად შეცბა და გულში ისღა გაიფიქრა: „ამ ბერს ყრუ ხომ არ ვგონივარო“.

„ეს მონასტერი — ისევ ხმამაღლა ამბობდა ბერი, — 1327 წელს აუგიათ და ამის შემდეგ ქალაქ ვლადიმირიდან სამიტროპოლიტო, აქ, მოსკოვს გადმოუტანიათ. ასე გამხდარა მოსკოვი დიდი სამონასტრო და საქალაქო ცენტრი რუსეთისა. მერე, ასი წლის შემდეგ, ეს მონასტერი მეფეებს გადაუკეთებიათ და ამ სახით იგი მიტროპოლიტ გერონტის უკურთხებია, რუსეთის ყოველ მეფეს, აქ, ამ მონასტერში აკურთხებენ“.

არც ის დაივიწყა ბერმა, თუ როგორ გაძარცვა ეს მონასტერი ნაპოლეონმა, „ფრანციის მეფემ“ 1812 წლის შემოსევის დროს. ბერმა დადიანს ისიც კი უთხრა, იმ მონასტერში ერთი ვერცხლის კიდობანია, რომელშიაც ძევს ლურსმანი იესო ქრისტესი, 1686 წელს საქართველოდან არჩილ მეფის მიერ მოტანილიო.

ახლა მიხეილის მონასტრის დარბაზში შეაჩერა ბერმა დადიანი და აქ დამარხული მეფეები ჩამოუთვალა სათითაოდ. და ბოლოს იქ მიიყვანა, სადაც იოანე მრისხანე იყო დამარხული. ეს მეფე დიდი მრისხანე და ურჯულო ვინმე იყოო, — დაუმატა ბერმა და პირჯვარი გარდაისახა.

როდესაც მონასტრის დათვალიერებას მორჩნენ, ბერმა დადიანი მეფეების საჭურჭლეთა პალატაში შეიყვანა. კიბეებზე მარჯვნივ და მარცხნივ სხვადასხვა ზომის და მორთულობის ზარბაზნები იყო დალაგებული. ყველა მათგანს საკუთარი წარწერა ჰქონდა. დავითი ეხლა თვითონ კითხულობდა ამ წარ-

წერას, ზოგი ნაპოლეონის ჯარის ნადავლი იყო: ფრანგული, პრუსიული, ბავარიული და სხვადასხვა ადგილას ჩამოსხმული. მეორე მხარეს რუსული, თვით მოსკოვში ჩამოსხმული ზარბაზნები ელაგა. კიბეების შემდეგ დარბაზები იწყებოდა, სადაც გამოფენილი იყო რუსეთის მეფეთა ტანისამოსი, იარაღ-საჭურველი. დავითის ყურადღება ყველაზე უფრო იმ უნაგირმა მიიპყრო, რომელიც პეტრე პირველისა და მისი მეუღლე ეკატერინესათვის ხონთქარს ეჩუქებინა. ალბათ ზუგდიდელი მეუნარგიას ნახელავს თუ ადარებდა. ახლა თავისი მზერა დავითმა სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსსა, აღჭურვილობასა და იარაღებზე შეაჩერა. დიდხანს დაბორიალობდა ეს ბერი პალატის დარბაზებში და დავითიც უკან მისდევდა.

ისინი პალატიდან დაღლილები გამოვიდნენ. მაცხოვრის კარებიდან მოედანზე გამოსული დავითი მღვდელმა სწორედ ძეგლის წინ შეაჩერა და მოედნის წარსულიც გააცნო.

დადიანმა ბერისგან გაიგო, რომ ეს მოედანი ბევრის მოწმეა. აქ, ამ მოედანზე, კრემლის კარიბჭესთან დაამარცხა რუსეთმა მრავალი მტერი და ამ მტერთაგან ყველაზე ძლიერი მტერი— საქართველოს ამაოხრებელი და გამანადგურებელი მონღოლთა ურდოები; მაგრამ ამავე მოედანზე 1570 წელს ივანე მრისხანემ ორას ნოვგოროდელ ვაჟკაცს წააგდებინა თავი. აქვე სამი დღე ეგდო უპატრონოდ ცრუ დიმიტრის გვამი. მერე ბერმა დადიანი მინინისა და პოჟარსკის ძეგლთან მიიყვანა. დავითმა ამოიკითხა ამ შესანიშნავ ძეგლზე ლამაზად ამოკვეთილი რუსული ასოები: „მოქალაქე მინინისა და თავად პოჟარსკის, მადლიერი რუსეთი. 1818 წელი“.

საღამოს დავით დადიანი დიდ თეატრში წავიდა. თეატრში იტალიური ოპერა მიდიოდა, ჰაეროვანი მელოდიები ჟღერდა, მაგრამ დავითს თითქოს არაფერი ესმოდა, ისე იყო მოხიბლული და გაოგნებული ასეთი დიდებული დარბაზით. ასეთი დიდი და უზარმაზარი ჯერ არაფერი არ ეხილა მის თვალებს. შესვენების დროს დავითი დიდი თეატრის ფოიეში გამოჰყვა მოზიმზიმე და მოსეირნე მაყურებლებს. ყველაფერს აკვირდებოდა და გუნებაში აღიბეჭდავდა. საღამოს, როცა სახლში დაბრუნდა, სიზმარშიაც არ ასვენებდა დღისით ნახული. მთელი ღამე ბორგავდა.

მეორე დღეს დადიანი გამოემშვიდობა თავის დიდ მასპინძელს მარიამ დედოფალს, რომელმაც წუხილითა და გულისტკივილით დაწვრილებით უამბო თავისი გასაჭირი. არც 1832 წლის შეთქმულების ამბავი დაუტოვებია განუსჯელად და განუკითხავად; ყველაფერს ამას დიდი გულისწუხილით ჰყვებოდა. დედოფალს არც ისე დაუმალავს, რომ მისი შვილები, ამ შეთქმულების საქმეში გარეულნი, რუსეთის მეფის მიერ ასე დასჯილნი, მაინც არ ჰკარგავენ იმედს. ოხვრით ესღა თქვა: „ჩვენს კანონიერ უფლებას, სანამ პირში სული გვიდგას, ვერავის დავუთმობთ“.

დავითს ხმა არ გაუცია დედოფლისათვის. თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა. ეხლა მისთვის ცხადი იყო, რომ ყველაფერი დაკარგულია და ბატონიშვილების ოხვრა და წარსულის მოგონება მხოლოდ მოგონებაა და მეტი არაფერი, მაგრამ არ უნდოდა გული ეტკინა მოხუცებული დედოფლისათვის და, თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად, თავი დახარა, ხელზე ეამბორა და გამოემშვიდობა. დედოფალმაც გზა დაულოცა და ასე გაისტუმრა მოსკოვიდან პეტერბურგს მიმავალი თავისი ნათესავი.

დავით დადიანი იონა მღვდელს მოჰყვებოდა. იონას მოსკოვში თავისი საქმეები უკვე მოეთავებინა და დიდად ესიამოვნებოდა, რომ ბატონიშვილების ნათესავს — დავით დადიანს მოაცილებდა პეტერბურგს. ასე ეგონა ბერს, ჩემს პატრონებს საქართველოდან ჩამოსული კაცის მიყვანით დიდად გავახარებო, და მთელი სამი დღე, ვიდრე ისინი პეტერბურგს ჩავიდოდნენ, თავიც მოაბეზრა დავითს სხვადასხვა ამბის მოყოლით.

დავითი მაინც დიდად მადლიერი იყო იონა ხელაშვილისა, მისი სიყვარული ბოლომდე შერჩა სამეგრელოს მთავარს, ხოლო მისგან ნაჩუქარ წიგნს წააწერა:

„1835-სა წელსა, მარტის 9-სა ს. პეტერბურღს მაჩუქა წიგნი ესე, სახელსა ზედა ჩემსა შეთხზული, მამა იონა ხელაშვილმან, ფრიად კარგად შეკრული, ხოლო რაიცა შეეხების წიგნთხზულებასა, ყოველი წამკითხველი იგულსიიტყვებს ვითარებასა ამა წიგნისასა და ამისთვის არღა ვნახე საჭიროდ, რომ დამეწერა. ხოლო მე ვმადლობ მის იერომონახსა, რომელ

აქუნდა გულსმოდგინება ამებად ჩემდა და ჰგონოდა ამა წიგნითა ჩემსა კმაყოფილების მოტყვება. სადაც · არს სიბრძნე. მუნ სურვილითარე აღწერა, ხოლო სადაცო არსო ლიტონ გულსმოდგინება, მუნ სიბრძნე არაა მარადის ეგებისო. დავით დადიანი". ასე სიყვარულით იხსენიებდა სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი ბერ ხელაშვილს, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილი, ვისთანაც მიჰყავდა ბერ ხელაშვილს დავით დადიანი, ასე სწერდა 1835 წელს ცნობილ ისტორიკოსს მარი ბროსეს.

„შენ მოგელოდით მეცა და მუსიეი შარმუაცა, რა უყო, შენი ნახვა კიდევ დამიგვიანდა, ახლა დავაჯერე გული, რომ თქვენ თბილი ჰაერი გიყვარსთ და ცივს ჰაერს ერიდებით, მაგრამ საქართველოში ძალიან თბილა. აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი დისწულის შვილი. ჩვენი ქვემო საქართველოს მეგრელიის სამთავროს მემკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზდილი, მშვენიერი, ჯერეთ ყმაწვილი, ოციდაერთი წლისა იქნება ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარე, სხვა ენებისაც კარგა მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანციცულიც იცის, ძალიან კარგი გულისა და ჭკვიანი. გულით მინდოდა ამ ჟამში აქ ყოფილიყავით, იმისათვის გამეტანებინე. ეს ერთი თვე იქნება, წავიდა საქართველოში".

მართალია, თეიმურაზმა ფრანგ მეცნიერს თავისი დისწულის შვილი პეტერბურგში ვერ შეახვედრა, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ბროსე მაინც გაეცნო და დაუმეგობრდა დავით დადიანს.

* * *

კარგა დაღამებული იყო, როდესაც დავითი პეტერბურგს ჩავიდა იონა ბერთან ერთად. დადიანმა გადაწყვიტა, სხვა არავინ შეეწუხებინა და პირდაპირ თეიმურაზ ბატონიშვილთან მისულიყო. ფიქრობდა, ის უფრო გულით მიმიღებს და ნაკლებად შეწუხდება, ვიდრე სხვა რომელიმე ბატონიშვილი.

საქართველოს მეფის ძეს თეიმურაზ ბატონიშვილს პეტერბურგში საკუთარი სახლი ჰქონდა. პეტერბურგს რომ მიუახლოვდნენ. დადიანმა ჯიბე მოიჩხრიკა და ქაღალდი ამოიღო. შიგ თეიმურაზ ბატონიშვილის მისამართი ეწერა: „ვასილის ოსტროვსა შინა მეცხრეს ლინიაზედ მახლობელ მდინარისა ნევისა № 81", — ხმამაღლა წაიკითხა დადიანმა.

— მაშ პირველად თეიმურაზ ბატონიშვილთან მივდივართ? — შეეკითხა ბერი დადიანს, რომელიც ქაღალდს ჩასცქეროდა.

— დიახ, — მიუგო ბატონიშვილმა.

— მე კარგად ვიცი მისი სახლი, ნუ ეძებ მანდ მისამართს. — ბერმა რამდენიმე ადგილას შეუხვია და დადიანი პირდაპირ ზედ მიაყენა იმ სახლს, რომელშიაც თეიმურაზ ბატონიშვილი ცხოვრობდა.

დადიანი ბატონიშვილების ოჯახში დიდი ზეიმით მიიღეს. იქ დახვდა პლატონ იოსელიანიც. უკვე ერთ წელზე მეტი იყო, რაც პლატონი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. დადიანი მისი ახლობელი იყო, სანამ პლატონი დადიანს ხელს ჩამოართმევდა, მანამ იგივე ხელი ბაკენბარდებზე მოისვა, თითქოს უსწორმასწოროდ დაბანდილი ბაკენბარდები გაისწორაო. მერე გადაკოცნა ახლობელი მეგობარი.

თეიმურაზი და პლატონი ერთმანეთს არ აცლიდნენ კითხვებს. მღელვარებითა და სულმოუთქმელად ეკითხებოდნენ საქართველოს ამბებს. როცა გული მოიოხეს და ყველაფერი გაიგეს მისგან, ახლა თავათ მოჰყვა ახალ ამბებს თეიმურაზ ბატონიშვილი. პლატონს, ბერსა და დადიანს მარი ბროსესაგან მოწერილი წერილიც წაუკითხა.

თეიმურაზ ბატონიშვილი იმ დღეებში 1821 წელს პარიზში დაარსებულ აზიური საზოგადოების წევრად მიეღოთ და ახლა მარი ბროსე ბატონიშვილს ამ ამბავს ატყობინებდა. მარი ბროსე ქართულად წერდა ბარათს ბატონიშვილს. დადიანმა ხელთ აიღო ბროსეს წერილი, დახედა, გაოცდა და თან გაიხარა, ჩინებულად წერს, ასე გარკვევითა და კარგად ჩვენებურებიც ვერ დასწერენო. აი, რა შეუძლია თურმე მონდომებას.

— დიახ, მონდომებას, — დასძინა ბატონიშვილმა, —ამ ჩინებულმა ფრანგმა გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენა და აი, როგორ ისწავლა კიდეც. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩამოვა და გავიცნობ. უკვე მესამე წერილს მიგზავნის. საქართველოს ამბებს მეკითხება და ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს მთხოვს. მარი ბროსეს განზრახული აქვს პარიზში ქართული წიგნები გამოსცეს ქართულად, ზოგი რამ კი ფრანგულად თარგმნოს. ახლა ფრანგული ჟურნალი გადმოიღო ბატონი-

შვილმა და იქ მოთავსებული მარი ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი წაუკითხა.

პლატონ იოსელიანი ფრიად აქებდა თარგმანს, დავით დადიანი, რომელმაც იცოდა ფრანგული ენა, კამათში ჩაერია, თეიმურაზ ბატონიშვილმა გულით გაიხარა ამ საოცარ, აღგზნებულ პაექრობაში, ახლა ისიც ჩამოთვალა დაწვრილებით, თუ რა წიგნები მოსთხოვა მარი ბროსემ დავით ბატონიშვილს.

თეიმურაზ ბატონიშვილი 1811 წელს დასახლდა პეტერბურგს და მას აქეთ შეუდგა ქართული ხელნაწერების მოგროვებასა და გამოცემას და დიდად ნაყოფიერი ლიტერატურული შრომა გასწია: აგროვებდა ხელნაწერებს, უცხო ენიდან თარგმნიდა საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებს. მან ზედმიწევნით იცოდა ფრანგული, ბერძნული, სპარსული, რუსული და სომხური. და როდესაც გაიგო, რომ პარიზში საზოგადოება დაარსდა, რომელიც ქართული ენითა და ისტორიით იყო დაინტერესებული, მაშინვე პარიზს ფრანგულად დაწერილი ბარათი აფრინა და საზოგადოებას დახმარებას შეპირდა. ასე დაიწყო მიმოწერა მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილს შორის.

ახლა მეგობრებს ბატონიშვილმა იმ წერილის შინაარსი გააცნო, რომელსაც პასუხად სწერდა მარი ბროსეს. წერილი იმით იწყებოდა, რომ ბატონიშვილი მარი ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს უქებდა: „მე ვიხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილისა დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციცულს ენაზე, ვაშა! ვაშა.“

აქ ოდნავ შეჩერდა ბატონიშვილი, და იოსელიანმა და დადიანმა უმალვე დაუდასტურეს — მართალია, მარი ბროსე ქების ღირსიაო.

შემდეგ ისევ განაგრძო წერილის კითხვა. აქ ბატონიშვილი მარი ბროსეს იმ წიგნების სიას ატყობინებდა, რომლებსაც იგი უგზავნიდა პარიზში ახლად გაცნობილ მეცნიერს: „ორი წიგნი მეაზიელეს საზოგადოებას მოვართვი, პირველი არის ღრამატიკა ქართული და მეორე ერთისა ღირსსახსოვარისა ჩვენისა გმირისა შემთხვეულებანი. ორი მათგანი ჩვენს მეაზიე-

ლე პარიჟის საზოგადოებას შევწირე, ხოლო ორნი იგი წიგნი, რომელიც საკუთრად შენ გიძღვენ. პირველი არის სრული დიდი ღრამატიკა ქართული და მეორე ლიტერატურანი და ორი თქვენ მოგართვით საკუთრად თქვენს სასარგებლოდ და ჩემს სახსოვრად".

ბატონიშვილმა ახლა წერილის ის ნაწილი წაიკითხა, სადაც მარი ბროსეს შეკითხვებზე პასუხსა და განმარტებას უგზავნიდა: „განმარტება (ანუ ახსნა) ვახტანგ მეფის ბეჭდისა:

1. რტოდ ვარ დავითის (ამას ნიშნავს), რტოდ ვარდისა ქმნა იგი, ვით დავით ეგ სახედ.

2. ძველმა დავითის (ამას ნიშნავს), ძველმა დავითი იგი, ესე იგი, ძველმა დავით წინასწარმეტყველმან და მეფემან ანუ ძველმან დავით წინასწარ-მეტყველის შთამომავლობამან"...

საზოგადოდ, — წერდა ბატონიშვილი, — მთელი მეფეები ლექსად აწერდნენ ხოლმე თავიანთ ბეჭედს ტიტულს. ასე. მაგალითად, ჩვენს დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს, „საკვირველი ძლიერი და ბრძენი მეფე სრულიად ივერიისა ზემოისა და ქვემოისა მპყრობელი და სხვათა, ამის ბეჭედზე ეწერა ლექსი ესე:

1. ჯვარითა მტერთა მძლეველი
მე დავით ვარ უძლეველი.

ამაში ზმა კი არ არის რა გამოყვანილი, მხოლოდ სტიხათ არის". მაგრამ შემდეგ ბატონიშვილი ისე განმარტავდა. რომ ზოგ მეფეს კალამბურის სახით აქვს ბეჭედზე ლექსი დაწერილიო და მაგალითად ერეკლე მეფე მოჰყავდა:

„პაპის ჩემის ირაკლის მეორის ბეჭედზე ეწერა:

1. მე ფერხთ განბანილთა მიერ
ეკლესია ვადიდე

ამაში ზმათ გამოდის: პირველად მეფე, მეორედ (სწორად რომ წაიკითხავ) ფერხთგანბანილნი წმინდანი ქრისტეს მოციქულნი არიან. მეორე ტაეპში ზმით სახელი გამოდის — ერეკლე. და სწორედ წაკითხვით: ერი და ეკკლესია ვადიდე, (ესე იგი) მე მეფემან ირაკლიმ, ქრისტეს მოციქულთ სჯულითა ერი (ჩემი) და ეკლესია დიდებულვყავ და ჭეშმარიტიც არის".

ამ ათგვერდიანი წერილით ბატონიშვილი საქართველოს ის-

ტორიის და ლიტერატურის საინტერესო საკითხებს ასე დაწვრილებით განუმარტავდა მარი ბროსეს. როდესაც თითქმის მოათავა წერილის კითხვა, ისევ შეჩერდა ბატონიშვილი და კვლავ განუმარტა მეგობრებს.

— ხომ ასე დიდებული კაცია მარი ბროსე, იგი უკვე მეგობრად მიმაჩნია და მაინც არ დაგიმალავთ, ცოტა უნდა ვაწყენინო. იმ დალოცვილს ყოველ წერილში ჩემ ტიტულს ვწერ: „საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ ბატონიშვილი". ის კი თავის წერილებში სრულიად უბრალოდ მომმართავს ხოლმე. და ახლა ის ადგილი წაიკითხა, სადაც მარი ბროსე ბატონიშვილს სწერდა „მუსიე თეიმურაზსაო". ამის გამო ახლა იგი ბროსეს სწერდა:

„ეს შეცდომა არის ამისთვის, ჩვენს საქართველოს ხალხში მრავალი მუსიე თეიმურაზები არიან, ქართველებში თუ, სომხებში... ამისთვის საჭირო არის და მიეცით ესეც ჩემს მიერ გამოგზავნილი ტიტული ორსავე ზემოდ მოხსენებულს ადგილას, რადგანაც მე თვით მეფის გიორგის შვილი ვარ, რომელიც თავისუფალი მეფე იყო საქართველოისა და არა თუ შორიელი ნათესავი ვარ მისი. და ამა მიზეზითა შეურაცხება იქნება ჩემი, თუ ჩემის ტიტულით არ იქნება ჩემდამი მისაღებელი რაიცა და ვისგანაცა მომივა წერილი".

ცოტა გაუკვირდათ იოსელიანსა და დადიანს ეს გაწიწმატებული კილო ბატონიშვილისა, მაგრამ ეცნაურათ. ამ განსწავლულ კაცს, ორი თუ სამი აკადემიის წევრს, ისევ მეფის კვერთხისკენ ეჭირა თვალი და არავის აძლევდა ნებას იგი სხვა ღირსებით მოეხსენიებინათ.

ბატონიშვილმა შეატყო, რომ სტუმრებს მაინცდამაინც არ ესიამოვნათ მისი ეს განმარტება, და, რომ დაეფარა უკმაყოფილება, ახლა მეორედ წაუკითხა წერილის ის ადგილი, სადაც თვითონ ასე იცავდა საქართველოს ღირსებასა და დიდებას. ეს ადგილი იმის პასუხი იყო, მარი ბროსე რომ უჩიოდა ბატონიშვილს „უხმარად უჩნსთო და უსარგებლოდ ჩვენი ქართული ლიტერატურა ზოგიერთებს", ამის პასუხად სწერდა ბატონიშვილი: „მე ჭეშმარიტად ვიტყვი, ამას ვერავინ მარწმუნებს, რომ ევროპიაში დიდი სიბრძნე არ იყოს დამკვიდრებული", მაგრამ მაინც მათ მხრივ სხვა ქვეყნების კულტურის უგუ-

ლებელყოფას აქვსო ადგილი. მე ჩემის მხრივ ამას ვიტყვი: „იმ ძველს ჟამებში, როდესაც არც ჯერ თქვენში და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოებოდა, რომ სწორეთ ანბანი თავიდამ ბოლომდის ჩაეკითხათ. მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ ჟამებში. თუ სთქვა, სრულს განათლებაში და წერილებით აღსავსედი, სიბრძნით აღყვავებულნი და, რომლის ჟამთაგანაც სირიასა, ეგვიპტესა, სპარსეთსა და საბერძნეთში იყო განათლება. ეგრეთვე საქართველოშია“.

შემდეგ ბატონიშვილი ატყობინებდა, გასულ წელს გერმანიაში ვიყავი, ბევრი რამ ვნახე იქ დიდებული და კარგი, მაგრამ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი საქართველოს დიდებულებასა და სიდიადეში. დაბოლოს ეს წერილი მინაწერით მთავრდებოდა. ბატონიშვილი სთხოვდა მარი ბროსეს საქართველოში ჩამოსულიყო და თვითონ ეხილა დიდება და ღირსება ამ ქვეყნისა.

დაამთავრა თუ არა ბატონიშვილმა წერილის კითხვა, ახლა დადიანს უთხრა, როგორც მპირდება მარი ბროსე აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და აბა, თქვენ იცით, როგორ დახვდებითო. შენ იცი, როგორ მოუვლი და უპატრონებო. დადიანი დიდი თანაგრძნობით შეპირდა დახმარებას და სიხარულით მიიღო ეს წინადადება.

მეგობრები გვიან დაიშალნენ. იოსელიანი და ბერი წავიდნენ. იმ საღამოს დადიანი ბატონიშვილთან დარჩა.

მეორე დღეს დავით დადიანი მარიამ დედოფალს ესტუმრა. მარიამ დედოფალი, სოლომონ მეორის მეუღლე, კაცია დადიანის შვილი იყო და ახლო ნათესავად ერგებოდა დავით დადიანს. მაგრამ მათ შორის მდგომარეობა იმან გაამწვავა, რომ ლევან დადიანის მამას გიორგის იმერეთის მეფესთან სოლომონ მეორესთან დიდი უთანხმოება და ომი ჰქონდა. ეს მარიამსაც ასსოვდა. მაგრამ პეტერბურგში აბა რა ამის მოგონების დრო იყო, და, როდესაც, წესისამებრ, დადიანი მეორე დღეს მასთან გამოცხადდა, დედოფალმა გულში ჩაიკრა დავით დადიანი, დედაშვილურად გადაკოცნა და როცა გაიგო, წინადღეს ჩამოსულიყო პეტერბურგში, იწყინა. პირველად ჩემთან უნდა მოსულიყავიო, — უთხრა ნაწყენი კილოთი. ჯერ საქართველოს ამბები გამოჰკითხა და შემდეგ კი სადილად მიიწვია.

სადილად იმავე წესით დასხდნენ, როგორც ეს სამეფო კარ-

ხე იყო მიღებული. სახლთუხუცესმა მოიწვია სტუმრები. გვერდით თვითონ მოუჯდა დედოფალს, ხოლო მეორე მხარეს დავითი მოისვეს, შემდეგ მოლარეთუხუცესი, და ამგვარად ტიტულისამებრ, მთელი ამალა გარს ეხვია დედოფალს. დავითს გაუკვირდა, ყოფილი დედოფალი ამდენ ხალხს რა საშუალებითა და რა სახსრებით ინახავსო. უფრო უცნაური ის იყო, რომ მთელმა ამ საუბარმა და სადილმა ისე ჩაიარა, თითქოს სტუმრები, მართლაც, ნამდვილ მეფის კარზე ყოფილიყვნენ მოწვეული.

მარიამი იხტიბარს არ იტეხდა და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს კვლავ იმერეთის დედოფალი ყოფილიყოს. და როცა ამ ტრაგი-კომედიას დააკვირდა, დავითმა სადღაც გულის სიღრმეში მწარე ტკივილი იგრძნო. იცოდა, რომ მასაც და მის სამთავროსაც დღეს თუ ხვალ იგივე ბედი ეწეოდა, და მაინც უკვირდა, რომ ეს ბატონიშვილები ისე იქცეოდნენ, თითქოს საქართველოში კვლავ ორი სამეფო — კახეთისა და იმერეთის სამეფოები არსებობდეს და მათ ახლა განზრახვა ჰქონდეთ დათრგუნონ ურჩი მთავრები, მთელი ამ ცერემონიალის შემყურე დავითს გულში მწარედ ეცინებოდა. სწორედ ამ დროს დედოფალმა საქართველოს უკანასკნელი ამბები ჰკითხა. ახლა იგი ყველას სწყევლიდა. პირველ რიგში კი, — ციციანოვს, ერმოლოვს და პასკევიჩს, მათ მოუღეს ბოლო საქართველოს მეფეებს, თორემ რუსეთის მეფისაგან ასეთი მითითება არ ჰქონიათო. ხოლო როცა გული იჯერა ციციანოვისა და პასკევიჩის კილვით, ახლა ერეკლესა და მის შვილებს მისდგა, საქართველო მათმა უხეირობამ დაღუპაო; არა, გეთაყვა, ასე, არ იყო არც განსვენებულ ჩემს ქმარს სოლომონს, არც სამეგრელოსა და გურიის მთავრებს არაფერი ჰკითხა და ქართლის ბედი ისე გადაწყვიტაო. მაგრამ ღმერთია მსაჯული, ერეკლეს სამაგიერო მიეზღო ამ ბოროტებისათვის, ახლა მისი შვილები ფარნაოზი და იულონი აქ დაძრწიან და ტახტის დაბრუნებაზე ოცნებობენო. არა, გეთაყვა. თვითონ ჩააბარეს ტახტი რუსთ ხელმწიფეს და ეხლა რა ნამუსით თხოულობენ მის დაბრუნებასო; ახლა იქ თბილისში თავადიშვილები აუბუნტებიათ და შენ უფრო იცი რა მოჰყვება ყოველივე ამასო.

ბრაზობდა, კაპასობდა, ანჩხლობდა იმერეთის დედოფალი, დავითი უსმენდა ამას და ხმას არ იღებდა. უკვირდა.

დადიანი ხედავდა, რომ ბატონიშვილები ახლაც ცალკ-ცალკე ცხოვრობენ, ერთი მიზანი არა აქვთ, ერთი სული არ უდგათ, მათთვის საქართველო თვითეულის საკუთარ ბედნიერებას უდრის, მეტს არაფერს. ეცნაურა ეს, ეწყინა და ეტკინა კიდეც, ცუდ გუნებაზე დადგა. დედოფალმა, სტუმარს რომ უგუნებობა შეატყო და საქართველოს მოგონებამ თვითონაც ცუდ გუნებაზე დააყენა, ასე იფიქრა: დადიანს არ ესიამოვნა ყოველივე ამის მოგონება, — მისი წინაპრები ხომ მუდამ ეპრძოდნენ იმერეთის სამეფოს, და, ალბათ, შეგნებულად გაურბის თავისი გულის ხვაშიადი გვამცნოსო. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ბატონიშვილები ყველაფერს მალავენ. საიდუმლოს გულში ინახავენ, და დადიანი რა შვილია, ყველაფერი ჩამიკაკლოსო. ეს გაიფიქრა და ადგა. ამით სტუმრებსაც ამცნო, სადილი დამთავრებულიაო. სტუმრები ერთბაშად გაიკრიფნენ დარბაზიდან.

დავით დადიანი ისევ თეიმურაზ ბატონიშვილის ბინაში დაბრუნდა. თეიმურაზი აკადემიიდან ჯერ კიდევ არ მოსულიყო, შინ პლატონ იოსელიანი დახვდა. პლატონმა გულით გაიხარა, როდესაც დაიმარტოხელა დავითი და მასთან გულახდილი საუბარი დაიწყო. იოსელიანს ყველაზე უფრო თბილისში მომხდარი ამბები აინტერესებდა, და პირველი, რის გაგებაც მას სურდა დადიანისაგან, შეთქმულთა ბედი და საერთოდ შეთქმულების ამბავი იყო. იოსელიანმა ბევრი რამ იცოდა ამ შეთქმულების შესახებ, მაგრამ თბილისიდან ჩამოსული კაცი მაინც სხვა იყო და მისი პირით სურდა გაეგო ყოველივე დაწვრილებით.

დავითი რომ პეტერბურგს ჩამოვიდა, შეთქმულების საქმის გამოძიება დამთავრებულიყო, მონაწილეები დასჯილნი იყვნენ და ამბავიც საყოველთაოდ ცნობილი. დავითი ამ საქმეში არ ჩარეულა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ დავითი როზენის სახლში იზრდებოდა, ხოლო ივანე მუხრანსკისთან მეგობრობდა. ივანე მუხრანსკი თუმცა იცნობდა შეთქმულების ამბავს, მაგრამ არ თანაუგრძნობდა. ერთ ჩვენებაში ვახტანგ ორბელიანი წერდაო:

„1832 წლის გაზაფხულის დამდეგს მთავარმა ივანე მუხრანსკიმ მითხრა: იცი რა გავიგონე? ერთმა კაცმა მითხრა, ვითომ თავად ჭავჭავაძეს ეთქვას მისთვის, რომ ყოფილმა სამოქალაქო გუბერნატორმა ზაველეისკიმ მითხრაო, რომ პეტერბურგიდან

ჩამოსული ახალგაზრდები თავისუფლების აზრს ნერგავენო. იცოდე, ვახტანგ, — მეუბნებოდა მუხრანსკი, — თავი დაანებე თავისუფლებაზე და სხვადასხვა სისულელეებზე ლაპარაკს.

1832 წელს გაზაფხულის პირზე თავადმა მუხრანსკიმ მაჩვენა დიმიტრი ბატონიშვილთან მიწერილი წერილი. ამ წერილში იგი იხსენიებდა შემდეგ პირებს: რაზმაძეს, დოდაევს, ჩემს ძმას ალექსანდრეს, ელიზბარ ერისთავს, გიორგი დავითის ძე ერისთავს, ყიფიანოვს, ავთანდილოვსა და მე. ის ჩვენ გვიწოდებდა ლიტერატორთა საზოგადოებას და დაგვცინოდა, როდესაც მე სამდურავი ვუთხარი მუხრანსკის, თუ რისთვის მისწერა მას ასეთი სისულელე, მიპასუხა, რომ მას ის წერილი არ გაუგზავნია დიმიტრი ბატონიშვილთან და დახია ის".

ამგვარი განწყობილების კაცი იყო ივანე მუხრანსკი, ვისაც დავით დადიანი მეგობრობდა, მაგრამ დავითთან როგორც ფრიად ფრთხილ და როზენთან დაკავშირებულ კაცთან, რასაკვირველია, კრინტიც არ დაუძრავს შეთქმულების ამბავზე. დავითი შერვაშიძესაც იცნობდა, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა შეთქმულებთან. იგივე ვახტანგ ორბელიანი აჩვენებს, რომ მისთვის თითქოს შერვაშიძეს უთქვამს: მე შემიძლია მთელი აფხაზეთი ავაჯანყო, ორი ათასი აფხაზით სრულებით გავწმენდავ აფხაზეთს რუსებისაგანაო. „ხოლო როდესაც მე ვკითხე — შეუძლია თუ არა მან აჯანყების დაწყების დროს თბილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა ადვილად შემიძლია სამასი კაცი გამოვგზავნოო. თავად შერვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და, მგონი, ელიზბარ ერისთავიც".

დადიანი ამ წრეში ტრიალებდა, მაგრამ ისე მალე იქნა გამჟღავნებული ეს შეთქმულება, რომ მან აქტიური მონაწილეობის მიღება ვერ შესძლო, თუმცა ამაზე დავითთან ულაპარაკნიათ გიორგი ერისთავს და ვახტანგ ორბელიანს. როცა შეთქმულები შეიპყრეს, დავითი დატუქსა როზენმა, და აი, ახლა ამ საქმის ისტორიის მოწმეს — დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან საუბარში ოფიციალურად ეჭირა თავი.

შეთქმულების მონაწილენი, ზოგი — შორეულ მხარეებში იყო გადასახლებული, ზოგიც — პეტერბურგსა და მოსკოვში საცხოვრებლად დაბრუნებული. ბატონიშვილების რომანტი-

კული ხმაური, მარცხით დამთავრებული ყოველ თავადიშვილს სევდასა და ოხვრას ჰგვრიდა. იოსელიანს ყოველივე ეს კარგად მოეხსენებოდა, ამიტომაც დავითი მის დაკითხვას, ცოტა არ იყოს, უნდობლად მოეკიდა. ბოლოს, მაინც გაიბა მათ შორის გულახდილი საუბარი. გამოირკვა, რომ იოსელიანი დავით დადიანზე უფრო კრიტიკულად აფასებდა მთელ იმ აურ-ზაურს, რომელიც ბატონიშვილებმა ატეხეს.

მაგრამ რაკი დადიანი სდუმდა, თვითონ წამოიწყო პლატონ იოსელიანმა:

— მე საქართველოს ისტორიაში ცოტა ჩახედული ვარ და, ნუ გეწყინება, თუ გაგახსენებ. ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ერეკლე მეფის უფროსი ვაჟი გიორგი XII ავიდა. ამ ნიადაგზე უთანხმოება ჩამოვარდა გიორგი მეფესა და მის ძმებს შორის. მალე გიორგი XII გარდაიცვალა, მაგრამ მტრობა ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებს შორის არ ჩამქრალა. ამით ისარგებლა რუსეთის იმპერატორმა და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. მე მართალი გითხრა, დიდი თაყვანისმცემელი ვარ გიორგი მეფისა და, თუ დამცალდა, განზრახული მაქვს აღვწერო მისი ცხოვრება და ღვაწლი, ხოლო რაიც შეეხება ერეკლე მეფის სხვა შვილებს, კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილს, ეჭვის თვალით ვუცქერი მათ კაიკაცობას. ტახტის მაძიებელი ამ ბატონიშვილებისა მე აღარ მჯერა. ალბათ, ეს შეთქმულებაც მათ თავიანთი პირადი ზრახვებისთვის სურდათ გამოეყენებინათ... — აქ შეჩერდა იოსელიანი, თვალებში ჩააჩერდა დადიანს და, რაკი თანხმობის დასტური არ მიიღო მისგან, მცირე დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო, — საერთოდ უნდა იცოდე, ჩემო დავით, სიმართლე მუდამ ჩუმად არის სადმე კუთხეში მიმდგარი და იქიდან გვიცქერის. ვინც მეტს ყვირის, იგი თავისი ყვირილით მალავს სიმტყუნეს. ასე იყო და ასე იქნება. ჩვენ ერთმანეთისათვის სიყვარული თუ გვისესხებია, თორემ სხვა ვალი ერთმანეთისა, აბა, რა გვმართებს, რომ გულახდილები არ ვიყოთ. მინდა გითხრა, საქართველო, ჩვენი სათაყვანებელი საქართველო მტრობამ და შურმა დაღუპა. საქართველოს მარტო გარეშე მტრები კი არ მტრობდნენ, არამედ ჩვენი შინაგანი მტრებიც. ჩვენ, ძმები, არ ვინდობდით ერთმანეთს, სისხლით და ხორ-

ცით ძმები ერთმანეთს ვებრძოდით, ხოლო როდესაც რომელიმე ჩვენს სამეფოს გარეშე მტერი მოადგებოდა, სამთავროს მესვეურები, ხშირად ნაცვლად დახმარებისა, მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს, ან აბეზღებდნენ, ან ჩუმად ეხმარებოდნენ მტრებს თვით საქართველოს წინააღმდეგ და აი, ხომ ხედავთ, საქართველოსგან აღარაფერი დარჩა, ახლა ჩვენ რუსეთის შემყურე უნდა ვიყოთ, რუსეთი თუ მოუღებს ბოლოს ამ შინაგან მტრობასა და შუღლს, თორემ თვით საქართველოში არავინ არის ისეთი, რომ ჩვენს ქვეყანაში წესრიგის დამყარება შესძლოს და საქართველოს დამოუკიდებლობას გაუძღვეს. საქართველოს მარტო არსებობა არ შეუძლია, არა და არა, თუ ვინმე დიდსა და ძლიერს ზურგი არ მიაყრდნო. შენ კარგად მოგეხსენება, ჩემო დავით, ჩვენ ასეთ ზურგად არც სპარსეთი გამოგვადგება და არც თურქეთი, ჩვენ მხოლოდ რუსეთიღა დაგვრჩენია, ერთმორწმუნე და განათლებული რუსეთი, და მისი შემყურე უნდა ვიყოთ.

დავით დადიანი სულგანაბული უსმენდა ეშხში შესულ მოსაუბრეს, მაგრამ არ ეთანხმებოდა მეგობარს. შემდეგ ასე უპასუხა:

— თქვენ ბრძანებთ, პლატონ ბატონო, რომ საქართველო ვერ გასძლებს დამოუკიდებლად. არა ხართ მართალი. აბა გაიხსენეთ დავით აღმაშენებლის საქართველო. მაშინაც იყვნენ საქართველოში განდგომილი მთავრები და თავკერძა ბატონიშვილები, მაგრამ ძლიერმა მეფემ — დავითმა დათრგუნა ყველა ისინი, ერთ ძალად შეაკავშირა, ერთ მუშტად შეკრა და უძლიერესი სახელმწიფო შექმნა; ქვეყანას აჩვენა, რომ საქართველოს სრული უფლება და ნიადაგი აქვს იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქართველოში შემდეგ მისი ტოლი და სწორი კაცი არ გამოჩენილა, დავითის მსგავსი სახელმწიფოებრივი მეთაური არ დაბადებულა. მართალია, მაშინ მდგომარეობა სხვანაირი იყო, შემდეგ კი, მტრები ჩვენზე ძლიერნი აღმოჩნდნენ, მაგრამ მოვა დრო და ასეთი კაცი გამოჩნდება და პირადი განდიდების მოტრფიალეთა და მოყვარულთ ამ პატარა გაბღენძილ კაცუნებს გულის ჭიას მოუკლავს. საქართველოს მესვეურები სხვანაირად შეხედავენ საკითხს და თავის

პირად საქმეს საქართველოს ძლიერებას ანაცვალებენ. მე ასე მჯერა და ასე მწამს.

ჩვენ იმერეთის მეფეს სოლომონსაც იმიტომაც ვებრძოდით, რომ საქართველოში მეორე სამეფოს ამკვიდრებდა. საქართველოში ორი სამეფო არ შეიძლება იყოს, ერთიანია საქართველოს ერი და მისი მეფეც ერთი უნდა იყოს. ხოლო სამთავროები, სამთავროები იმ წესითა და იმ რიგით, როგორც დიდი დავითისა და დიდი თამარის დროს იყო. საქართველოს სხვანაირად დაყოფის უფლება არც ყოფილა და არცა უნდა ქონდეს ვინმეს და ვინც საქართველოში მეორესა და მესამეს სამეფოს ამკვიდრებს ის საქართველოსაც ორს და სამ სახელმწიფოდ ყოფს და ამით საქართველოს ასუსტებს, მის ერთიანობასაც ძირს უთხრის. ეშხში შესული დადიანი ისე გატაცებით ამტკიცებდა ამას, თითქოს ის საქართველოს სამეფო დარბაზის სხდომაზე ყოფილიყოს და იქ უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ბედი. ავიწყდებოდა კი, რომ ახლა არც ერეკლეს სამეფო იყო და არც სოლომონისა და დღეს თუ ხვალ დადიანების სამთავროსაც ბოლო მოეღებოდა.

პლატონ იოსელიანმა მსხვილი დაბურული წარბები ზეაზიდა, ხშირწამწამებიანი თვალები დაახამხამა, ხელები ბაკენბარდებზე მოისვა, გაკვირვებით შეაცქერდა დადიანს, არა სჯეროდა, რომ ამას თავადი დადიანი ლაპარაკობდა. თავადი დადიანი, რომელიც ახლა იმისთვის იბრძოდა, რომ თავისი სამთავრო განემტკიცებინა, თავისი კეთილდღეობა უზრუნველეყო და დიდკაცობა გაეხანგრძლივებინა. უყურებდა პლატონ იოსელიანი და უკვირდა: ნუთუ ეს დავით დადიანი იყო, ლევანის შვილი, ტახტის მაძიებელი... მაგრამ რაკი მისგან ასეთი სიტყვები მოისმინა, სამაგიერო ვერა უთხრა რა, გაჩუმება არჩია და საუბარი ახლა იმაზე გადაიტანა, თუ როგორი იყო განზრახვანი დადიანისა, რის გაკეთებას ფიქრობდა იგი პეტერბურგში თავისთვის და ქვეყნისთვის.

გამოირკვა, რომ დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან პირველი სათხოვარი ისა ჰქონდა, რომ დახმარებოდა პეტერბურგში არსებული ქართული ხელნაწერების შესწავლაში. ზოგი რამის გადაწერაში, პეტერბურგის დათვალიერებასა და

გაცნობაში. პლატონმა დადიანს დახმარება აღუთქვა. ასე დაშორდნენ იმ ღამეს.

პლატონი და დავითი დამეგობრდნენ. მთელი დღე ერთად იყვნენ, საუბრობდნენ ახლად გამოსულ წიგნებზე, ძველ ქართულ ხელნაწერებზე, მათ გადაწერასა და გამოცემაზე, სად არ მოძებნეს და სად არ გამოჩხრიკეს ეს ძველი ხელნაწერები; ბატონიშვილები რომ ინახავდნენ თავიანთ ყველაზე ძვირფას ნივთებთან ერთად.

ერთ დღეს პლატონმა დავითი პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში წაიყვანა. ეს ახლად დაარსებული ბიბლიოთეკა მდიდარი იყო ძველი ხელნაწერებითა და რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნებით. პლატონი ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო. ახლა დავითიც აიყოლია. მას თავისი რუსი მეგობარი გააცნო. ეს უკანასკნელი დავითს შეპირდა ყოველდღე ახალ წიგნს წაგაკითხებო. ქართველ უფლისწულს ძლიერ მოეწონა ეს რუსი ბიბლიოთეკარი, გაოცებული იყო მისი დიდი ნაკითხობითა და განათლებით. დავითი ამ ბიბლიოთეკის ყოველდღიური სტუმარი გახდა.

დავითი კარგად გაეცნო პეტერბურგს, მაშინდელი რუსეთისა და მთელი ევროპის ერთ-ერთ დიდ კულტურულ ცენტრს. ამ საქმეშიაც პლატონ იოსელიანი დაეხმარა.

ერთ დღეს დავით დადიანი პლატონ იოსელიანმა ქალაქის კოშკზე აიყვანა. ეს კოშკი საგანგებოდ იყო აგებული ქალაქის დასათვალიერებლად, პლატონმა აქედან მეგობარს პეტერბურგის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი დაანახა და თავისი არქაული ქართულით ბევრი რამ განუმარტა. ამ კოშკიდან პეტერბურგი ხელისგულივით მოჩანდა. პლატონმა, ჯერ აკადემიის შენობებისაკენ გაიშვირა ხელი. პეტერბურგში ცხრა აკადემიაო, — უთხრა და სათითაოდ გააცნო ამ აკადემიების ხასიათი; ორმოცდაათი სასწავლებელიაო სახელმწიფო ხარჯზე და ორმოცზე მეტი კერძო პანსიონატი. ახლა ნევის გაღმა უნივერსიტეტი დაანახა. მის გვერდით თეთრი შენობები რომ მოჩანს, ესენი საავადმყოფოები და ჰოსპიტლებია, პეტერბურგში ასეთი სულ თოთხმეტია, ყველა ისინი სახელმწიფო ხარჯზეაო. შემდეგ მოსდგა და სულ სათითაოდ ჩამოუთვალა მონასტრები და ეკლესიები. პეტერბურგში სულ ჩვიდმე-

ტი მონასტერიაო, ეს ქრისტიანთა სალოცავი, ხოლო ამის გარდა, რამდენიმე მუსულმანთა და ებრაელთა მეჩეთი და სინაგოგაა.

შემდეგ პლატონმა ჩრდილოეთისაკენ გააშვირა ხელი და თქვა: ეს მთელი უბანი ფაბრიკებისა და მანუფაქტურების რაიონია, აქ ორასზე მეტი ფაბრიკაა, ულუკმაპურონი და გლახაკნი სამუშაოს და საზრდოს აქ შოულობენო. შემდეგ დასძინა, ღამე სამი ათასი ფარანი ანათებს, ქალაქი კვარტალებად არის დაყოფილი და ყოველ უბანს თავისი ზედამხედველი და პოლიციელი ჰყავს, ყოველ უბანში სამხედრო ჯიხურია, რომელთაც ქალაქის წესრიგის დაცვა აქვთ მინდობილიო. მერე მიუბრუნდა და უთხრა:

— შენ თვითონ ხედავ, რა წესრიგია ამ ქალაქში. ყოველი ქართველის ვალია დააკვირდეს და ისწავლოს წიგნების ბეჭდვა, სასწავლებლის მოვლა-პატრონობა, ჯარის გაწყობა და წესრიგი.

დავით დადიანი ყურადღებით უსმენდა თავის მეგზურს და დაკვირვებით იბეჭდავდა გულში ყოველივე ახალს, მისგან გაგონილს.

ახლა მარჯვნივ მობრუნდა იოსელიანი და პეტროვსკის კუნძული დაანახა დავითს.

— ეს პეტერბურგის ცენტრალური ნაწილია, სადაც გაშენებულია ციხე პეტრე-პავლესი თავისი ეკლესიით, სადაც იმარხებიან რუსეთის მეფენი და იმპერატორები. ხოლო ნევის პირას, პატარა სახლი რომ მოჩანს, ეს პეტრე პირველის სახლია, მის მიერვე აშენებული.

მერე პლატონი დაწვრილებით მოჰყვა პეტერბურგის ისტორიას.

— მის იქით კუნძულებია კამენისა და ელაღინისა, მშვენიერი სასახლეებით და ბაღებით, გრაფ სტროღონოვისა და გრაფ ბესბოროდოვისა. წინ ტავრიჩესკის სასახლეა, იგი ახლა პეტერბურგში ყველაზე დიდი სასახლეა. იმის გაყოლებით, სულ ბოლოს, ნევის და სმოლნის მონასტრებია.

მზიანი დღე იყო. პეტერჰოფისა და კრონშტადტის ციხე-სიმაგრე კოშკიდან კარგად მოჩანდა. პლატონი ახლა მათს ის-

ტორიას მოჰყვა. დავითი დაინტერესდა და გადაწყვეტა თვითონ მოენახულებინა ეს ადგილები.

უკვე დაიღალნენ კოშკზე დგომითა და გაბმული საუბრით. ბოლოს, ძირს ჩამოვიდნენ, ისაკის მოედანი გაიარეს და ბაღში შევიდნენ. აქ უამრავი ხალხი ირეოდა. შემდეგ დღის ოთხ საათამდე იხეტიალეს ქუჩებსა და პროსპექტებზე. სად არ შეიარეს და რა არ ნახეს: სასტუმროები, დუქნები, მაღაზიები. დავით დადიანი განსაკუთრებით კარგად მოწყობილმა მაღაზიის ვიტრინებმა გაიტაცა. იოსელიანმა უთხრა: პეტერბურგში სამასი მაღაზიაა, მათ შორის ოცდაათზე მეტი — მარტო წიგნისა. ეს მაღაზიები კარგად ამტკიცებს, როგორ შედის რუსეთი განათლების დიდ ტაძარშიო.

აქედან პლატონმა სტუმარი ყაზანსკის ტაძარში შეიყვანა და მისი კურთხევის ამბავს მოუყვა. მერე კუტუზოვის საფლავთან მიიყვანა. ბოლოს ალექსანდრე ნეველისა, სმოლნისა და სხვათა მონასტრები დაათვალიერებინა. ახლა პეტერბურგის ჩიდთან მარცხნივ ჩაუხვიეს და პეტრე პირველის სახლში შევიდნენ. კრამიტით დახურული ხის პატარა სახლი იყო. დავითმა წაიკითხა წარწერა: „1703 წელი". მერე უკან მობრუნებულმა იოსელიანმა და დადიანმა პირველ კადეტთა კორპუსს ჩამოუარეს. პლატონმა განუმარტა, ჩვენი თავად-აზნაურობა ახლა სამხედრო საქმეს აქ სწავლობს, სამხედრო განათლებას ყოველ წელს ორი-სამი ათასი კაცი ღებულობს, აი, მის გვერდით კი, მეორე კადეტთა და მეზღვაურთა კორპუსი არისო.

სექტემბერი იყო. კვირა დღე. ნევის მარჯვენა მხარეს ვასილევსკის კუნძულზე მხატვართა აკადემიაში გამოფენა იყო მოწყობილი.

დავით დადიანი ახლა ამ გამოფენას ესტუმრა. ისევ პლატონ იოსელიანი ახლდა, პლატონმა დავითს უთხრა: ამ აკადემიაში სამასი მოსწავლე სწავლობს, ყველაზე ნიჭიერებს აქედან ევროპაში გზავნიანო.

— მაგრამ ახლა შენ ის უნდა ნახო, ის— ერმიტაჟი! — უთხრა პლატონმა დავითს, — დიდი საოცრება რამ არის, ვის ნახატს არ ნახავ.

დავით დადიანი დიდად დაინტერესდა და სთხოვა წამიყვანეო.

ერმიტაჟშიაც ბევრი ხალხი იყო. იოსელიანი წინ წაუძღვა დადიანს, შესასვლელთან ქანდაკებების წინ გააჩერა და ასე უთხრა: ეს შენობა ეკატერინე მეორის განკარგულებითა და მისივე მონაწილეობით არის აშენებული 1775 წელს, საგანგებოდ მხატვრობისათვის. ხომ ხედავ იგი ზამთრის სასახლის გაგრძელებაა. ამბობენ, ეკატერინე როცა დაიღლებოდა, საიდუმლო გვირაბით აქ გამოდიოდა და სულიერად ისვენებდა, ამ დიდებული ძეგლთა ჭვრეტითო... შემდეგ ალექსანდრე მეფემ უფრო გაამდიდრა ეს სასახლე. 1814 წელს პარიზში შეიძინა ხელოვნების საუკეთეო ნიმუშები და აქ მოატანინა. ახლა აქ ოთხი ათასი სურათია გამოფენილი, იტალიელების, ფრანგების, რუსების და სხვათა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებიო.

დავითი ყოველ დარბაზს აკვირდებოდა, ინიშნავდა და იწერდა რაღაცას. გულში ნატრობდა: ეს ერთი რამდენიმე სურათი მაინც მომცა, რომ მისი ნახვით ზუგდიდი გავაკვირვოო. ესღა ჰკითხა იოსელიანს, ეს სურათები საღ აყიდებაო. ახლა იოსელიანმა უპასუხა, ყოველი დიდი ხელოვანი თავის ნამუშევარს ჰყიდის, მაგრამ დიდად ფასობსო. „აბა დახედე. შენ წინ რომ სურათია", — უთხრა პლატონმა. დავითმა დახედა. ოცდაათი ათასი მანეთი ეწერა ღირებულება. გაოცდა დავითი, ოცდაათი ათასი მანეთი ერთი სურათისთვის როგორ გაიმეტესო, მაგრამ დიდებული კი არის, დიდებულიო.

ერმიტაჟში საღამომდე იბორიალეს. გამოვიდნენ თუ არა, ნევის პროსპექტი გადაჭრეს და ისევ პეტრე პირველის ძეგლს მიადგნენ. პეტრე ყალყზე შემდგარ ცხენზე ზის, ცხენი ორივე უკანა ფეხით გველზე შემდგარა, ჰკლავს ქვეწარმავალს, მარჯვენა ხელი კი ზღვისკენ, შვედეთისკენ გაუშვერია. ისე მოეჩვენა დავითს, თითქოს პეტრე პირველი ჯარს უბრძანებს „წინ—შვედეთისაკენო", და მოაგონდა, თუ რუსეთის იმპერატორმა, განთქმულმა სარდალმა ამ ჭაობებსა და გაუვალ ჭენჭყოში როგორ დაამარცხა შვედების საუცხოოდ შეიარაღებული და ძლიერი არმია, დადიანი სულ ახლო მიეახლა სპილენძის ამ დიდ მონუმენტს და ამოიკითხა წარწერა: „პეტრე პირველს — ეკატერინე მეორე".

შთაბეჭდილებით გაბრუებული დავითი შინ მისვლისთანა-

ვე პირაღმა დაწვა, ნახულითა და გაგონილით აფორიაქებულს დიდხანს არ დაეძინა.

„არა, დიდი, უაღრესად დიდი ქვეყანაა ეს რუსეთი... მოსკოვისა და პეტერბურგის აღმშენებელ ხალხს არ შეიძლება პატივს არ სცემდე. არა, რუსეთი დიდი განათლების გზაზე გამოვიდა, და სხვა ერი, ვინც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს მას, მაინც რა დაულეველია და ვეებერთელა ეს დალოცვილი რუსეთი, თავისი ველებით, თვალმიუტანელი ტრამალებით, ქალაქებითა და სოფლებით... დიახ, დიდი ქვეყანაა იგი“ — ფიქრობდა დავითი.

გვიან ღამით ჩაეძინა და ასე ეზმანა: თბილისში იყო.

თბილისი თავისი ახალი სასწავლებლებით, ბიბლიოთეკებით, მონასტრებით ყველას აცვიფრებდა. დავით დადიანი მთაწმინდიდან დაჰყურებდა ქალაქს. პეტერბურგს ადარებდა და გულში ფიქრობდა: არა, პატარაა თბილისი, მაგრამ ულამაზესი ქალაქია დედამიწის ზურგზე, ულამაზესი და უტკბესი...

მთელი ზამთარი დავით დადიანმა პეტერბურგში გაატარა. ხან კადეტთა კორპუსის სტუმარი იყო, ხან — საჯარო ბიბლიოთეკისა. მას თეატრის არცერთი წარმოდგენა არ გამოუტოვებია. განსაკუთრებით კი მაშინ მოიხიბლა, როცა „ვაი ჭკუისაგან“ ნახა.

იმ ზაფხულს ისევ პეტერბურგს დარჩა, ახლა კი სათითაოდ მოინახულა ცარსკოე სელო, პავლოვსკი, პეტერჰოფი, ორინიენბაუმი...

პეტერჰოფმა მოხიბლა დავით დადიანი, როდესაც მაღალი გორაკიდან ნაძვნარებით გარშემორტყმული ბილიკით ძირს, ბალტიის ზღვისაკენ ეშვებოდა. მის წინ გასაოცარი სანახაობა გადაიშალა. ამის მსგავსი არაფერი ეხილა მის თვალს. დიდ სიღრმეში შემოყვანილ არხზე თითქოს შადრევანების მთელი ხეივანი აღუმართავთო. განსაკუთრებით მონუმენტური იყო სამსონის ძეგლი. — მითიური სამსონი — ეს ვეებერთელა ტანის კაცი, წელში ოდნავ მოზნექილი, ლომსა ხლეჩდა, ხოლო პირიდან გაბრაზებულს შადრევანის წყალი ამოსდიოდა, რომელიც შხეფს ორმოც მეტრზე სტყორცნიდა. დავითი დიდხანს იდგა გაოგნებული ხელოვნების ამ იშვიათი ძეგლის წი-

ნაშე. შემდეგ მას უთხრეს, სამსონის ძეგლიც და აქ ჩამწკრივებული ხელოვნების ყველა ნიმუში ოქროსიაო.

ლეგენდარული სამსონის ძეგლის გარშემო თავმოყრილ ქანდაკებათა მთელი ანსამბლი გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. შემდეგ დავითმა ზღვის პირას პეტრე პირველის სასახლე მოინახულა. სასახლე უკვე მუზეუმად გადაეკეთებინათ. რას არ ნახავდით შიგ: პეტრე პირველის ნაქონ იშვიათ ნივთებს, მის ტანისამოსს თუ პატარა ნავებს, — პეტრეს ხელით აგებულსა და გაკეთებულს.

მეორე დღეს დავით დადიანი ცარსკოე სელოს ესტუმრა. აქ მისი ნაცნობები და მეგობრები ბლომად აღმოჩნდნენ. ხელმოცარული ქართველი ბატონიშვილების მთელი ამალა ახლა თავს ცხენოსნობით ირჩენდა და ერთობდა. მეფის კარზე განთქმული ცხენოსნები უმთავრესად ქართველები, ჩერქეზები, ჩეჩნები და კაზაკები იყვნენ, მაგრამ ქართველი ცხენოსნები მაინც გამოირჩეოდნენ ჩაცმულობითა და შეხედულებით. ვინ არ ნახა აქ დავითმა: აბაშიძეები, დადიანები, ანდრონიკაშვილები, შერვაშიძეები... დოღში, ჯირითში, ცხენზე გადახტომაში, თუ წინააღმდეგობათა გადალახვაში, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. დიდებული თავადიშვილები მოეწონა დავითს, მაგრამ თან გულიც ეტკინა, ალბათ, სხვა დროს სამშობლოს — საქართველოს დამცველი უებრო მეომრები იქნებოდნენ, ეხლა კი რა ტაკიმასხარაობა დაუწყიათო. გული ეტკინა, მაგრამ არ გაუმხელია, ისე გაშორდა ამ ძველსა და ახალ ნაცნობებს.

მეორე დღეს ისევ პეტერბურგს დაბრუნდა. ახლა უკვე თავის მეგობარს პლატონ იოსელიანს ეკამათებოდა, როგორც ბევრის მნახველი და გამგონე.

დავითი უკვე სამშობლოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე მოინახულა. დიდხანს ესაუბრა. ალექსანდრემ ის ღამე მოაგონა დადიანს, როზენის სახლში ეკატერინესთან ერთად რომ ლეკურს ცეკვავდა. ჭავჭავაძემ ამოიოხრა და ესღა თქვა, ნეტავ ახლაც თუ იმართება თბილისში ბალიო. რატომღაც ეს კითხვა თვითონვე უადგილოდ ეჩვენა და უცბად ღვინო შესთავაზა სტუმარს, ეს ორი

დღეა, თბილისიდან წინანდლის ღვინო გამოგვიგზავნეს, საუცხოო რამ არისო...

ეუხერხულა მასპინძელს თავის ღვინოს რომ თვითონ აქებდა და რომ გამოესწორებინა ნათქვამი, ალექსანდრემ ისევ მიმართა სტუმარს. მოდი, გავსინჯოთ, ვნახოთ, ჩემი წინანდალი სჯობს თუ თქვენებური ოჯალეში, რომელსაც შერვაშიძე ეგრე აქებსო.

ბოლოს კახურით შეზარხოშებულებმა, რა არ მოიგონეს, ვისი სადღეგრძელო არ დალიეს. გამოთხოვებისას ჭავჭავაძემ ღიმილით უთხრა დადიანს:

— ალბათ სულ მალე თბილისში შევხვდებით ერთმანეთს და აბა, მაშინ შევაჯიბროთ შენი ოჯალეში და ჩემი წინანდალი, ნამდვილი ქეიფი იქ მოგველის, ჩვენს სამშობლოში...

გვიან ღამით გამოემშვიდობა დადიანი ჭავჭავაძეს.

ალექსანდრესგან მოხიბლულ და მასთან საუბრით გაოგნებულ დავითს იმ ღამეს არ უძინია.

არა, რა საოცარია ბედი კაცისა! ამ ჩინებულ პოეტს, ამ თავდადებულ მეომარს, რომელმაც ყველაფერი შესწირა რუსეთის მეფის ძლიერებას, უბრალო შეცდომის გამო, აი, აგერ რამდენი ხანია აქ, იძულებით მეფის კარზე ამყოფებენ.

ბოშა

დადიანი დილით ადრე გამოვიდა სახლიდან და ბაღში შევიდა. შემოდგომის ცივი ქარი ქროდა. ხეებზე შერჩენილ ფოთლებს ციებით შეპყრობილი ადამიანის ფერი ედო. ბაღში მარტოობა და სიცარიელე სუფევდა, დარაჯს კიდეც გაუკვირდა, ასე კარგად გამოწყობილი და კარგი შესახედაობის კაცი, ასე ადრე რამ გამოიყვანაო. დავითმა დიდხანს იბორიალა ბაღში და შემდეგ იქ, სადღაც, ბაღის სიღრმეში, სკამზე მჯდარი ქალი შენიშნა. უცბად ყვირილი მოისმა. უკან მოიხედა, დარაჯი ბოშა ქალების მთელ ჯგუფს ერეკებოდა ბაღიდან. ბოშა ქალები ხელს უქნევდნენ სკამზე მჯდარ ქალიშვილს და რაღაცას ანიშნებდნენ. ქალი გაშეშებული იჯდა და ხმას არ იღებდა. ეოცა დავითს, ახლო მივიდა მასთან და თითქოს გამოსაუბრების საბაბი იშოვაო, ასე ჰკითხა: რას განიშნებდნენ ის ბოშა ქალები?

ქალს ხმა არ გაუცია. ახლა უფრო დაინტერესდა დადიანი. ბოლოს ესღა უთხრა ამ უცნაურმა ქალიშვილმა: „გინდა გიმკითხაოთ“? ეს ისე მოულოდნელი იყო დადიანისათვის, რომ უნებურად ხელი გაუწოდა. ქალმა ხელის გულზე დახედა. გაიღიმა და თვალები შეანათა. დავითმა ვეღარ გაუძლო მის თვალთა მზერას, არსად ენახა ასეთი გამსჭვალავი თვალები. გაოცებული ჩასცქეროდა. ქალს შავი, მაყვალივით შავი თვალები, უბზინავდა. ახლა ჯიბიდან კარტი ამოიღო ქალმა, ხელის გულზე დაულაგა და ჰკითხა, კარტით გიმკითხაოთ თუ ხელის გულითაო.

დადიანი ისევ დააცქერდა ქალს, გაოგნდა: ხორბლისფერი, გასაოცარი, სილამაზის ეშხით სავსე პირსახე, მსხვილი ტუჩები მას უცნაურ მიმზიდველობას ანიჭებდა. დავითი მზად იყო ხელი მოეხვია მისთვის, მოფერებოდა. ცალი ხელი კიდეც შეახო, მოუცაცუნა. ქალმა ეს იუკადრისა და განზე გასწია თავი, შემდეგ კარტს დახედა და დავითს ხმამაღლა უთხრა: „თქვენ მიჯნური ბრძანდებით, მაგრამ იმ ქალს უფრო ადრე უყვარდით, ვიდრე თქვენ განუცხადებდით სიყვარულს. თქვენი სატრფო დარდობდა, და გაახარეთ სიყვარულის გამოცხადებით. ახლა ხარობს და თქვენ გელოდებათ. აი, შეხედეთ, შეხედეთ, რა ლამაზია ეს ქალი“! დავითი მკითხავ ქალს დააცქერდა, თავის თავზე ხომ არ ამბობსო. მართლაც რომ ლამაზი იყო, და ასე თქვა დადიანმა: „ჰო, ლამაზია, ლამაზი, ძლიერ ლამაზი“. მკითხავ ქალს ეგონა, ოცნებით წარმოსახულ სილამაზეს თვითონაც ხედავსო და გაუხარდა. დავითმა მეორე ხელი მკითხავს ხელებში ჩაუდო და უცბათ ორივე ხელებით თავისკენ მიიზიდა. ქალი გაუძალიანდა, ხელი ძალით გააშვებინა: „არა, მე მკითხავი ვარ, ის კი არა ვარ“. არ დაამთავრა ეს სიტყვები. გახელდა დადიანი და, როცა ვერაფერი მოუხერხა, ისღა უთხრა, ეს მაინც მითხარი, რამდენი შვილი მეყოლებაო. მკითხავმა შვებით ამოისუნთქა, წარბები ზეაზიდა, კარტი გაშალა და ასე უთხრა: „ხუთი ვაჟი და სამი ქალი“. „ხუთი ვაჟი და სამი ქალი“ — გაიმეორა კიდევ. დავითი წამოხტა, — „რა ამბავია, შე ქალო, ამდენი შვილი“.

„არა, თქვენ იმდენად სვებედნიერი კაცი ბრძანდებით,

ისე გულუხვი, რომ თქვენთვის ეს კიდევ ცოტაა“, — მიუგო მკითხავმა.

დავითს მოუნდა ხელით შეხებოდა ამ უცნაურ სილამაზეს. არა, მაინც რა გასაოცრად უბზინავდა თვალები, მაყვალივით შავი თვალები! ისევ სძლია ვნებათა ღელვამ თავადიშვილს და ლოყებზე მოუთათუნა ხელი მკითხავს. ქალი ისევ გაუსხლტა ხელიდან. ახლა უკვე სიცილით: „რატომ არ მაცლი ბოლომდე გიმკითხაო“?

დავითს სურდა ქალის ვინაობა გაეგო. გასაოცარი სილამაზის ქმნილება, ეს სადად და უბრალოდ ჩაცმული ქალი, ეტყობოდა, კეთილშობილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამგვარი სილამაზე ჯერ არსად ეხილა და მზად იყო, მისთვის ფიანდაზად გაეგო თავისი გული. ბოლოს ესღა სთხოვა: „მე ჯერ არ მისაუზმია, წავიდეთ სადმე, წავიხემსოთ“, მკითხავმა ქალმა გაკვირვებით შეხედა და უთხრა: „ხომ დაინახე, აი იმ დარაჯმა, — და დარაჯზე მიუთითა, კინწისკვრით, რომ გააგდო ბოშა ქალები? ისინი ჩემი მოდგმის არიან. დედაჩემი ბოშა ქალი იყო. იგი ბატონს შეუცდენია, შემდეგ შესცოდებია და მოსამსახურედ აუყვანია. ბატონს შვილი არა ჰყოლია. და მე, უკანონო შვილის პირობაზე, განსაკუთრებულად გავუზრდივარ. მერე დედაც გარდამეცვალა. დიდხანს ვტიროდი დედას. შემდეგ ბატონმა ბრძანა და ქალბატონის პირფარეშად ამიყვანეს. ის ბოშა ქალები დედაჩემის მეგობრები არიან და არა მტოვებენ უპატრონოდ. მე ერთი უბედური ქალი ვარ. ბუში და ბოშა! აი, ვინა ვარ მე! მაგრამ ჩემი სილამაზის გამო, ბატონის წყალობით, ის უფლება მომიპოვებია, რომ სასახლეში სეფე ქალების გვერდით ყოფნას აღარ მიშლიან. რად გინდა შენ ჩემისთანა უბედურ ბოშა ქალთან პურის ჭამა და დროსტარება“?

ეს თქვა და ხორბლისფერი ლოყები ცრემლებით დაენამა. პატარა ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები მოიწმინდა და ფეხზე წამოდგა. ყოველივე ამისი გამგონე დადიანი დაიბნა, ცოტა შეჩერდა, მაგრამ ისევ სძლია ვნებათა ღელვამ. თავს პატარა კაცად გრძნობდა ამ სილამაზის წინაშე. ახლა უკვე ძნელი იყო უკან დახევა.

„ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინა ხარ შენ, ბოშა თუ

თავადის ასული. მე შენს წარმოშობას კი არა, მაგ სილამაზეს ვეთაყვანები". ამბობდა ამას დავითი და თვითონვე არ სჯეროდა თავისი ნათქვამის, მაგრამ რაკი ეს სიტყვები წამოსცდა, ისევ გააგრძელა უნებლიეთ: „არა, წამომყევი, წავიდეთ. გავიდეთ ამ ბაღიდან, სადმე მარტო ორნი დავრჩეთ, და მაშინ უფრო გასაგები იქნება, ვინ ვართ და რანი ვართ". დავითი ბოშა ქალს არ ეშვებოდა. ბოლოს ძლივს დაიყოლია, რომ საღამოს ისევ ამ ბაღში შეხვედროდნენ ერთმანეთს.

დადიანმა მთელი დღე ვერ მოისვენა, საღამოს ისევ ბაღში შეიარა დანიშნულ დროზე ადრე. ისევ იმ სკამზე დაჯდა, სადაც ამ დილით ისხდნენ. მოუთმენლობამ შეიპყრო. ეჭვმა სადღაც გულში გაჰკრა, ვაი თუ არ მოვიდესო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა იგი. ერთი შეხედვით ვერც იცნო, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა, მოკაზმული და მორთული იყო. სიცილით მიეახლა დავითს და თამამად გაუწოდა ხელი. ეს უკვე ის ბოშა ქალი აღარ იყო, ამ დილით რომ იხილა დავითმა. უფრო ლამაზი, უფრო მიმზიდველი, უფრო ეშხიანი და თამამი ეჩვენა, არც ერთ თავადიშვილის ქალს არ ჩამოუვარდებოდა.

ბოშა ქალი და დავითი ახლა ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ერთმანეთს შესციცინებდნენ.

კარგა ხნის შემდეგ დავითი და ბოშა ქალი სასტუმროდან სიყვარულით და ტკბილი ღვინით თავბრუდახვეულები გამოვიდნენ და ისევ ბაღში შეუხვიეს. დავითმა თავის სატრფოს ხელი მოჰხვია, მკერდზე მიიკრა. ბოშა ქალი აღარ ეურჩებოდა დავითს. ღვინისა და ვნებისგან მთვრალ დავითს თავბრუ უარესად დაეხვა. ასეთი ქალი არასოდეს ეხილა. ასეთი კოცნა, ასეთი ალერსი სხვამ არავინ იცისო, — ფიქრობდა დავითი და ეხვეოდა ბოშა ქალს. სადღაც სიბნელეში მიმსხდარნი დიდხანს ტკბებოდნენ ერთმანეთის ალერსით და როცა დავითი გონს მოეგო, ბაღის დარაჯი თავზე დასდგომოდა. ეს ის დარაჯი იყო, დილით ბოშა ქალებს ბაღიდან რომ ერეკებოდა. როცა შეხედა ამ ახალგაზრდებს, დარაჯმა ისღა თქვა, გვიანიაო, ბაღში აღარავინ არისო.

დავით დადიანი გაოგნებული და არეული გამოვიდა ბაღიდან. ასე ეგონა, ბოშა ქალს სამუდამოდ დაკარგავო და მისი

მოცილება აღარ უნდოდა. სახლში გამომყევიო, უთხრა. ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ჩვენები შინ მელოდებიანო.

დადიანმა ისევ დაიბარა მეორე დღეს ბოშა ქალი. ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ბოშა ქალის სიყვარულითა და ეშხით დამთვრალმა დადიანმა ათი დღით გადადო სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ მესამე დღეს, ის იყო, დავით დადიანი თავის საყვარელს ისევ იმ ბაღში ეხვეოდა და ეალერსებოდა, რომ ბოშა ქალებიც შემოვიდნენ. ისინი სამნი იყვნენ. მათ ხელი ჩაავლეს ამ ბოშა ქალსა და ძალით გაათრიეს ბაღიდან. დავითს უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, მაგრამ ვერ გაბედა, გარშემო ხალხი იყო. მხოლოდ ისღა მოასწრო ხვალ გელოდებიო, უთხრა.

დავით დადიანი მეორე დღეს ისევ იმ დროს მოვიდა ბაღში. მაგრამ ბოშა ქალი არსად ჩანდა. გავიდა მეორე დღე, მესამე... მეოთხე... აღარ გამოჩნდა ბოშა ქალი, დავითი სინანულმა შეიპყრო. ვაი, როგორ არ ჰგავდა ეს ბოშა ქალი იმ ქალებს, რომელთა ვნება და ალერსი ბევრჯერ უგემნია! არა, ეს სულ სხვა ეშხის, სხვა გრძნობებისა და სხვა ვნებების მქონე, სულ სხვა ბუნების შვილი იყო. ისე მოხიბლა დადიანი ამ ბოშა ქალმა, რომ მზად იყო, ერთ წელს კიდევ დარჩენილიყო პეტერბურგს, ოღონდ იგი არ დაეკარგა, მაგრამ არც მისამართი იცოდა მისი და არც ადგილსამყოფელი.

დადიანმა მთელი კვირა იხეტიალა პეტერბურგის ქუჩებსა და ბაღებში, რესტორნებსა და სასტუმროებში, მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო ძას. დაღონებული, სევდიანი დადიოდა, არავის ელაპარაკებოდა. ახლა თვით პლატონ იოსელიანსაც გაურბოდა. თვითონვე უკვირდა, ეს რა დამემართაო. ეძებდა, ყოველდღე ეძებდა რაღაცას, დაკარგულს, შეჩვეულს და ვერ პოულობდა. წუხდა დადიანი, ოხრავდა. ნაცემი და გალახული მეძებარი ძაღლივით დადიოდა ქუჩებსა და პროსპექტებზე, ბაღებსა და რესტორნებში, ეძებდა, მაგრამ ბოშა ქალი არსად ჩანდა.

დავით დადიანი იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა, სამუდამოდ დაკარგულად ჩაეთვალა ერთბაშად მოვარდნილი ბედნიერება, ასეთი სიხარული რომ მოუტანა მის სულს, და გადაწყვიტა გასცლოდა ეგზომ საყვარელ ქალაქს — პეტერ-

ბურგს, რომლის მშვენიერებამ და სილამაზემ აგრერიგად მოხიბლა.

წინანდლის ვარდი

ეკატერინე ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა შეთქმულება გათქვეს. შეთქმულების მონაწილე მაშინდელი გამოჩენილი ახალგაზრდა და თავადიშვილი ყველა უკლებლივ გადაასახლეს.

დაცარიელდა თბილისი, სევდამ მოიცვა ეკატერინეს ოჯახიც. მამა — ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგს გადაასახლეს, ხოლო ოჯახის ახლო მეგობრები — შორეულ რუსეთის სხვა ქალაქებში.

თბილისელებს პირდაპირი კავშირი გადასახლებაში მყოფ მეგობრებთან მიწერ-მოწერით ჰქონდათ. წერილებით ყველაზე უფრო გულუხვი გრიგოლ ორბელიანი იყო. გრიგოლი მეტწილად მანანა ორბელიანს სწერდა წერილებს. ამ წერილებში ყოველთვის გულთბილად იყვნენ მოხსენიებულნი: სალომე, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები.

ჭავჭავაძეების ოჯახი ამ დროს ხან წინანდალში იყო, ხან თბილისში. მანანა ორბელიანი განუშორებლად თან ახლდა ნინოსა და ეკატერინეს წინანდალში, ხოლო თბილისში ხომ სულ ერთად იყვნენ და ერთად! გრიგოლ ორბელიანის წერილებსაც ერთად კითხულობდნენ. ერთად ხარობდნენ და ერთად წუხდნენ, ამ წერილების სევდიანი სტრიქონებითა და სახუმარო ანეგდოტებითაც.

ერთ წერილში სალომე ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ძმაო გრიგოლ! ამჟამად აქ ვართ, ქალაქში. შენი წიგნი ვნახე მანანასთან მიწერილი. შენ ნუ მომიკვდები, ასე ვისიამოვნე შენს ნახვამდის! როდის იქნება ის მომენტი, რომ შენის ნახვით ვისმინო შენი ლამაზი ლაპარაკი. გმადლობ, ძმაო, რომ გახსოვარ, ყოველთვის მოკითხვას მწერ. ჩემმა ეკატერინემ თავი დაგიკრა, ნინო წინანდალს არის, მეც მალე წავალ .ისეთი ქალი გვყავს მესამე, სოფიო, რომ მოიწონებ, როცა ნახამ. ნუ დამივიწყებ, შენი დაი სალომე. 1835 წელი“.

ამ წერილის პასუხად გრიგოლ ორბელიანი იმავე წლის 23 მარტს სწერდა სალომეს:

„უმოწყალესო და უსაყვარლესო დაო სალომევ!

მოულოდნელად მივიღე წერილი თქვენი, რომლისათვის ჭეშმარიტად არ ვიცი, თუ ვითარ მოგახსენოთ ანუ მადლობა, და ანუ სიამოვნება ჩემი. — სადაც გრძნობანი არიან აღუვსილი სიხარულითა, — აქ ენა მდუმარებს; მარამა თქუენდამი ჩემს უღრმეს პატივისცემაზე და სიყვარულზე უნდა კი ბრძანდებოდეთ დარწმუნებულ, და სადაცა გინა ბედმა გადამაგდოს, მაინც თქუენდამი გრძნობა ესე თანაწარმყვების; და რადგანაც თქუენ გახსოვარ, მაშა არა ვარ ჯერ სრულებით უბედურ.

რა განგშორდით, ბევრი ბუკი დაიკრა ჩემს თავზე, რომლისა აღწერა არის უსიამოვნოცა და გრძელიცა; ამისთვის მოკლედ მოგახსენებთ ჩემს ცხოვრებასა. ვიყავ კავკასიის ლინიაზე. იქიდამ მოველი ლიფლანდიაში, რომელიცა ძალიან ჰგავს მდებარეობითა საქართველოს; ვიხილე ჩინებული ციხე ფალავნებისა დანგრეული ვენდენში. ვნახე რიღა ჩინებული ქალაქი, სადაც ჩემმა დივიზიონმა და ბრიღადნის ნაჩალნიკმა მიმიღეს ფრიად კარგათ და გამაცნეს ზოგიერთს სახლებში, — აქ არის რამდენიმე კლუბები, რომელთა უპირველესნი არიან სახელად მუსი და ე ფ ო ნ ი და არის თეატრიცა, თუმცა არა შეედრება პეტერბურღისა და მოსკოვის თეატრებსა. — აქაური მცხოვრებნი არიან ნემენცნი; მაშასადამე განათლება, სიფაქიზე და ანგარიში შეადგენს მათსა თვისებასა; და ამისათვის რაღა თქმა უნდა, რომ აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩვენს ქალებს; მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხ რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუენს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მათ რიცხვში, — მშვენიერია სანახავად რ ი ღ ა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნავნი ქალებით, კაცებით სიმღერით აქა-იქ. — აწ გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი პოლიაკებში, რომელნიცა არიან ჩვენებურად მოლხინენი და პურადნი. მათი ქალები არიან ძალიან თამამნი ყოფაქცევაში, არშიყობის მოყუარენი და კოკეტკები. აქაც გავიცან რამდენიმე პომეშჩიკები, რომელთანაც ხშირად ვარ მიწვეული და დროცა მხიარულად მიდის მათთან.

ეს მესამე დღეა, რა მოველ რიღიდამ აქა. სადაც დამხვდა წერილი თქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას,

ესე იგი მესამე გრაციას. — მოგილოცავთ, მაგრამ, რა გინდა სალომეე! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბურღიდან ისპაანამდის გაგიქებულნი იყვნენ ხალხნი. ახლა ეგ მესამეც. — ნუ გამიწყრები კი სალომეე! და მგონია ეჭვი იყოს ანგარიშში მაგ ახალ შობილზე ბეჟანამ მკერვალმა რაღაც მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემიძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისათვის ეს ლექსი ბეჟანისაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმევია. — სახელი დიახ კარგი დაგირქმევიათ. ყველა სოფიები რამდენსაც ვიცნობ ლამაზნი არიან. — ახ! ჩემი სოფიკო! სად არის ნეტავ ვახსოვარ თუ. შარშანდელს თოვლსავით არღა ვჰმყოფობ იმისთვის. — ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს; როდესღა უნდა შევიყარნეთ! — ძალიან არ ვიცი, რომ ნინო ეხლა პატარა სოფიკოს გამდელი შეიქნება, და დაუწყებს თანადევნას. თქუენი სიყუარულიც იმისკენ იქნება, რადგან ნაბოლარი არის, ამაში საბრალო ეკატერინა, ანუ კატინა, არა კეკელა, არის მართლაც შესაბრალისი, რომ კიდევ დარჩება დედმამის უსიყუარულოდ, აქამდის დავით იყო თაიგულად, ახლა სოფიკო გაუჩნდა! — იი! მეხი კი დაეცა, რა მოუწერია, ვიცი იტყვის.

ნეტავ ღვთით როდის მაღირსებს კ-დ თქვენს ხილვას უწინდელის თქუენის მხიარულის გულით და ბედნიერებით. — დღენი თქუენთანა განტარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში, — ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა, და იმღეროდა ბროლის ფიცარი, აფიცარი. გულს დაგეკონოს.

შევიტყე კნიაზი ჩემთვის თურმე ჰსდილობს პეტერბურგღში ღ-თმა მიჰსცეს ნაცვლად სიკეთისათვის, და მე მადლობის თქმის მეტი რა შემიძლიან სხუა.

ჩემს საყუარელს ძმას სიყუარულით მოვიკითხავ, შევიტყე, რომ მაგ საბრალოსაც კლეოპატრა გაუთხოვდა. ეგეც ჩემსავით ბაიყუში".

ამ წერილის პასუხად სალომეს მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილს ეკატერინემ თავის ხელით მიაწე-

რა: „პაპინკა სკორო პრიედეტ“. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩამოსვლას ელოდნენ.

იმავე წლის 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი სწერდა:

„უმოწყალესო და სალომევ!

წერილი თქვენი მაისის 22-ის მივიღე ხუთ ივლისს.

ხუთ ივლისს ვიჯექ მარტო და დაფიქრებით გავყურებდი ფანჯარაში... ამ დროს მოვიდა ჩვენი ადუტანტი და მომიტანა ორი პაკეტი, ერთი ჩემის ძმისა და ერთი კი ვერ ვიცან... ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას... სიხარულით დავაძახებინე მომღერალთ სალდათებს და საღამომდის ვაღრიალე. ამათი ხმა რიღაში ისმოდა...

აქაური პირველი კრასავიცაა რიღის კამენდანტის ღენერალ დრიზენის ქალი, რომლისა მშვენიერება არის განთქმული, — მერწმუნეთ თქუენი დარეჯანა და თალალა უმჯობესნი არიან. — ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის თუ რა არის კრასავიცა — ეს არის რომ დაშორება მაწუხებს, თორემ მე აქ უფრო გამოჩენილათა ვარ, ვიდრე ვიყავ საქართველოში. —რა უყოთ, ლოცვა და მოთმინება, როგორც ამბობს ბამა იონა. — ეს ლექსები, რომელიც არის მიწერილი ჩემს დასთან, მომირთმევია თქვენთვის, სადაცა არის აღწერილი ჩემი საპყრობილეში ყოფნა. — წაიკითხეთ ყურადღებით და მომწერეთ სწორე თქვენი ჰაზრი. — სალომევ! ნუ დამივიწყებთ თქვენს ჭეშმარიტად პატივისმცემელს და სიკვდილამდის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“.

მინაწერი:

„უსაყვარლესო დაო ნინავ!

გმადლობთ და კიდევ ჩვიდმეტი ურემი დაბარგებული მადლობითა მომირთმევია თქვენთვის. — ჭეშმარიტად არ მოველოდი თქვენგან მოწერასა და მით უფრო სიხარული ჩემი იყო უმეტეს რაოდენცა მოულოდნელ... ჩვიდმეტი ურემი დაბარგული მადლობითა მომირთმევია მოწერისა და ჩემის დაუვიწყებლობისათვის. — უნდა ჩემსავით იყუნეთ დაშორებულ ყოველთა გულის საყუარელთაგან, რომ ჰსცნათ სიხარული ჩემი ჟამისა წერილის მიღებისასა. მყვედრით, რომ წერილი ჩემი იყო პირველად, მართალია, მაგრამ პატივისცემა

ჩემი და სიყუარული არაოდეს არ შემცირდების გინა სადა ვიყო. — გიჟი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, გადამკიდებია... მითარგმნეო, მე მგონია რომ თქუენ ერთხელ დამპირდით ქისა. აღთქმას აღსრულება უნდა. — უწინდელი თქუენი ქისა სულ ლუკმა ლუკმა დაიგლიჯა, მაგრამ ასეთი ბედნიერი იყო, რომ ფული არ გამომლევია. — პატარა თქუენს დას ვაკოცებ შუბლზე. —მშვიდობით.

ღ≈თი იყოს მფარველი თქვენდა, ნუ დაივიწყებთ თქვენს მორჩილს ძმას

გ რ ი გ ო ლ ი.

მეორე მინაწერი:

წინანდლის ვარდო,
სახით ცისკარო,
სულითა მტრედო.

ჩემო საყვარელო დაო კეკელავ! შენს ხასიათის გამოცვლასა მწერ და არა მწერ მიზეზსა.

Будь откровенна со мною, ей Богу никому не скажу, это я сам угадаю, признайся не влюблена ли? — Какой злодей осмелился произвесть такую перемену в характере, столь преложном, скажите слово и я его убью, зарою в могилу.

ეს წერილი თავდებოდა ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსით. გრიგოლ ორბელიანმა ლექსი 1829 წელს დაწერა. ახლა სუფთად გადაწერა და წერილთან ერთად გამოუგზავნა ეკატერინეს.

წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!
ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რომე მხილველის გული ახარო.
იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;
ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!
ქმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაბნელი.
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია;
ვიდრე ამ სოფლის
დაუდგრომელის
ვარდნი ეკლად არ გარდაგცვლია!

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, სავსე ხუმრობით, ზმებით, ანდაზებით, ახალი ლექსებითა. ამბებითა და „შინაური ჭორებით“, ავსებდა იმ სულიერ სიცარიელეს, რომელიც შეთქმულთა „ყაზარმობას“, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გადასახლებას მოჰყვა. გრიგოლ ორბელიანი „მპყრობელი ქართული ენისა“, ნამდვილად იყო მპყრობელი და მეთაური ამ დროის ქართული სულიერი კულტურისა და მისი წერილები და ლექსები, მეგობრებისადმი გამოგზავნილი, ხელიდან ხელში გადადიოდა.

დავით ყორღანაშვილის, ზაქარია ორბელიანის, მანანა ორბელიანის, სალომე, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილები ნათელ სურათს ხატავს იმ სულიერი და საზოგადოებრივი სიცარიელისა, რომელიც შეთქმულების დამარცხების შემდეგ გამეფდა თბილისში:

„რა ვქნა, ქალაქიდან ვიცი, რომ ასე მოკლე წიგნი შენთვის არ იქნება სასიამო, — წერდა დავით ყორღანაშვილი გრიგოლ ორბელიანს, — მაგრამ ახლა ფიქრში სრულებით არ მომდის რა საყვარელმა მიღალატა და მისი ფიქრისაგან შემეკ“ ვრა ყოველივე აზრი, ხელიც აღარ წერს“. ამავე წერილს ზაქარია ორბელიანის ასეთი მინაწერი ამშვენებდა: „ჩემს ამბავს თუ იკითხამ, ვჭამ, ვსვამ, თუმან ფაჩით დავდივარ, ფეხებზე ჰკიდია მთელი ქვეყანა... დილას ნაჰარს, ვიმღეროდი ჩონგურს ვუკრავდი საკრავებზე და გულს ვიოხებდი, ძლიერ სევდიან სტრიქონებით ვტიროდი“...

ეკატერინე, როცა თბილისში იყო, რაღაც სულიერ სიმშვიდეს მაინც გრძნობდა: წინანდალში უფრო უჭირდა ყოფნა. წერილში გრიგოლ ორბელიანს შესჩიოდა: „შენი ჭირიმე, გრიგოლ, წიგნი მომწერე შენებურად ლაზათიანი და თუ რომ გქონდეს რამე ახალი ნათქვამი, შენი ნათქვამი ლექსი გამომიგზავნე, აგრეთვე „არი არალიც“. ასეთი მომწყინდა სოფელში ცხოვრება, შენმა გასდამ, სიცოცხლე აღარ არის, უგემურად ვართ“... მეორეგან ისევ შესჩიოდა პოეტს მეოცნებე ქალიშვილი: „ნუ დაგვივიწყებ ჩვენ, საცოდავ სოფლელებს“... შახახა, ხინო. ეკატერინე, ასეთ დროს თავს ლექსებისა და მოთხრობების კითხვით ირთობდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულები ნინო და ეკატერინე ყველას, უცხოელს თუ შინაურს, არა მარტო მომხიბლავი სილამაზით აცვიფრებდნენ, არამედ მაღალი კულტურით, ნაკითხობით და განათლებითაც. ამ მხრივ ისინი სანიმუშონი იყვნენ მთელ საქართველოში. დები იმ დროს ქართულად, რუსულად და ფრანგულად ხელმისაწვდომ არც ერთ წიგნს წაუკითხავად არ სტოვებდნენ. პეტერბურგიდან გამოწერილი ჰქონდათ ჟურნალი „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“, და ეცნობოდნენ ყოველ ახალ ნაწარმოებს. ასევე პეტერბურგიდან მამის დახმარებით ღებულობდნენ რუსულად და ფრანგულად გამოცემულ ყოველ ახალ წიგნს. თბილისსა და წინანდალში თან ჰქონდათ და კითხულობდნენ რომანებს: ლესაჟის „კოჭლ ქალს“, გრეჩის „ჩორნაია ჟენშჩინას“, ზაგორსკის „როსლავლევი ანუ რუსნი ათას რვაას თორმეტში“, გრიბოედოვის, პუშკინის, ბესტუჟევ-მარლინსკის და სხვათა ლექსებსა და მოთხრობებს. ეს ქალები რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებსა და მხატვრებს, მოგზაურებსა და სამხედრო პირებს თავისუფლად ესაუბრებოდნენ, როგორც გონებითა და წოდებით ტოლნი და სწორნი.

ასევე სილამაზითა და გონიერებით ცნობილი სხვა ქართველი ქალებიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებს ჰბაძავდნენ.

1835 წლის მაისს მანანა გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„ახლა გთხოვთ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა. ხომ კიდეც დამპირდი წიგნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა. „როსლავლევი“ ან „რუსნი ათას რვაას თორმეტში“-ს წიგნი მითარგმნე, შენი ჭირიმე, ისე კარგად და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა რომ შეიტყო — ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე, სადაც იყოს მიშოვნე და მითარგმნე“. მანანას ეს სათხოვარი გრიგოლ ორბელიანმა ნინო ჭავჭავაძეს შეატყობინა. ამ წერილით განაწყენებული მანანა გაბრაზებით წერდა გრიგოლს: „ესეა, უფალო კნიაზო. რომ ნინოს სწერთ: მანანა თავად გიჟი იყო თქვენ უფრო გაგიგიჟებიათო და მწერს „როსლავლევი“-ს გადათარგმნასო. ნუ შეწუხდებით, თუ ძნელი არის“.

მანანა, მაიკო და მაია ორბელიანები ხშირი სტუმრები იყვნენ წინანდალში ჭავჭავაძეებისა.

მანანა 1836 წელს ისევ სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ეე ახლა ვარ წინანდალს, ამ წიგნს იქიდამ გწერ... ჩვენი ქალები „ჩორნაია ჟენშჩინას“ კითხულობენ და მითარგმნიან. ასე ვატარებ დროს“.

ასე ცოცხლობდა და ხარობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში დიდი ინტერესი წიგნებისადმი, განათლებისადმი, კულტურისადმი და მაშინდელი ულამაზესი ქართველი ქალებიც ამ ინტერესთა წრეში ტრიალებდნენ.

გავიდა წლები. უმცროსი თაობა წამოიზარდა. ახლა ტატო ბარათაშვილი და მისი მეგობრები გახდნენ ხშირი სტუმრები ეკატერინე ჭავჭავაძისა. ისევ გამოჩნდნენ ეკატერინეს ახალი თაყვანისმცემლები, ქართველი და რუსი ახალგაზრდები.

ზაქარია ორბელიანი ერთ წერილში სწერდა გრიგოლს: „გუბერნატორს ბალი ჰქონდა, მთავარმართებელსაც და ჩვენი ქალები ძალიან კარგად იყვნენ მორთული. ასე რომ სულ გაგიჟდნენ რუსები. ჩვენი სალომე და კატინა აქ არიან, ნინა კი არა!“ ამავე წერილში ზაქარია ატყობინებს გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი კვდება კატინასათვის, ნე ნა შუტკუ, — ცოლობა სურს, მაგრამ სტარუხები აყენებენ, ნათესავი არისო. იქნებ ვაკანსია გაიხსნას სხვისთვის საქართველოში“.

ახლა ეკატერინეს საფიქრებელს ახალი დარდი დაემატა: დავით დადიანი უკვე დიდი ხანია თბილისში ჩამოვიდა და ერთხელაც არ შემოუვლია ჭავჭავაძიანთ სახლში. სადღაც ქუჩაში გადაეყარა დავითს, მაგრამ იგი ისე გულცივად შეხვდა, რომ ახლა სურვილიც აღარ ჰქონდა მისი ხელმეორედ შეხვედრისა. თან ყოველდღე ახალი და ახალი ჭორები მოჰქონდათ ეკატერინესთან. ბოლოს ნინომ დაწვრილებით შეიტყო, რომ დადიანს კაცი მიეგზავნია ორბელიანებისთვის, ელენეს ხელი უთხოვნია. შეწუხებულმა დამ ისიც უთხრა ეკატერინეს, რომ თბილისში ზაქარია ერისთავი ჩამოსულა და იმასაც უთხოვნიაო ელენეს ხელი. ეკატერინე უსმენდა კეთილი დის საუბარს და გული უკვდებოდა, ხედავდა, რომ ახლა ბედის სასწორს ელენე ორბელიანის მხარეზე გადაეწონა და ეს აკვნესებდა ამ ყ ქალიშვილს.

ზაქარია ორბელიანი გრიგოლს სწერდა: „ელენე კინაღამ გათხოვდა ზაქარია ერისთავზე; მაგრამ კნიაზ დადიანმა შეუშალა ხელი. მშობლები უპირატესობას დადიანს აძლევენო.“ ამ

წერილზე ეკატერინემ სევდიანი სტრიქონები მიაწერა: „ოხ, უსაყვარლესო ძმაო გრიგოლ, წერილი, რომელიც მომცემდა დავიწყებას, მომწერე, რომელიც ამ ბოროტ სოფელში არავის ვიგონებ ჩემის გულის მეგობრად“...

მაინც რა რთული სამიჯნურო ქსელი მოიქსოვა დადიანსა, მუხრანსკისა, ზაქარია ერისთავსა და, მეორე მხრივ, ეკატერინე ჭავჭავაძესა და ელენე ორბელიანს შორის! მაგრამ სულ მალე შეიცვალა ეს მდგომარეობა. 1836 წლის 10 აგვისტოს ზაქარიამ ელენე ორბელიანი შეირთო ცოლად, შემდეგ მუხრანსკიმ ცოლად შეირთო დადიანის და ნინო. ასეთ ვითარებაში ეკატერინესათვის საქმროდ ახლა დადიანი ყველაზე უფრო სასურველი ყმაწვილი იყო, მაგრამ ელენე ორბელიანისაგან გაწბილებული დადიანი ერთ ხანს დუმდა.

ეკატერინე იჯდა შინ და გულს მწარედ იოხებდა. სატრფოთაგან უყურადღებობას და უპატივისმცემლობას ხედავდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და დარდს ისევ მამის ლექსების კითხვით იკლავდა. აი, ისევ ჩამოიღო ჩონგური და ააკვნესა:

მშვენიერთა ხელმწიფავ,
მკლავს სიშორე შენითა.
ჰკვნესის გული საკვდავათ
მსწრაფლ მჩივარის ენითა.
შენ განმშორდი, მკურნალო,
ვითარ მექმნას შვებანი;
ნაცვლად შენსა ვინ ვპოვო,
მომცეს ჭმუნვის ესებანი.
თუმცა მომკლავს ტრფიალსა,
და ჰხმობს ეშხით მწყაზარსა,
უჭირობეს არს მომვაჭრო
ჩემებრ ოხვრით ბაზარსა.
შორის მჭვრეტელ მოსწრაფე
სული შენკენ მფრინვალებს.
ოღეს თვალი შენ გნახავს,
ყოველად გაგვაბრუნვალებს.
შენთან ყოფნა მცირე ხანს
მომცემს რასმე ლხენასა,
შენ მტანჯავ და მე გაქებ,
რისთვის იხშავ სმენასა?

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები ეკატერინემ ზეპირად იცოდა და დიდი გრძნობით წარმოთქვამდა ხოლმე. თვითონ

ალექსანდრე დიდად მოხიბლული და გახარებული იყო ამ ლექსების მოსმენით. ეკატერინემ გრიგოლ ორბელიანის ლექსებიც ზეპირად იცოდა. ხოლო, როდესაც გრიგოლ ორბელიანმა 1835 წელს მანანას გამოუგზავნა თავისი ცნობილი ლექსი — „ჩემს დას ეფემიას", იგი ეკატერინემ საკუთარი ხელით გადაწერა. ზეპირად ისწავლა და მეოცნებე ქალიშვილი მთელი კვირის განმავლობაში ამ ლექსის სევდიანი სტრიქონებით ცოცხლობდა. ეკატერინეს მწუხარე სამიჯნურო სულიერ ცხოვრებას ეხმაურებოდა გრიგოლ ორბელიანის სევდიანი სტრიქონები. ასე ცოცხლობდა და ოცნებობდა ეკატერინე ჭავჭავაძე პოეზიით. ასევე გატაცებით ოცნებობდა ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი მიჯნურობაზე, სიყვარულზე და თან ამაყად უთვალთვალებდა თაყვანისმცემლებს. ეს ოცნებით სავსე ქალიშვილი წინათ ყოველივე ამას ადვილად პოულობდა, რადგან ბუნებას მისთვის ყველაფერი მიეცა — სილამაზეც, ნიჭიც და მოხერხებაც. ახლა კი. ასე ეგონა, თითქოს ყველა თაყვანისმცემელი განუდგა. ყოველ შემთხვევაში, მისთვის წარმოუდგენლად შეურაცხმყოფელი იყო ეგზომ გულცივობა დადიანისა.

მაგრამ ტატო, ტატო ბარათაშვილი? ბარათაშვილზე სერიოზულად უკვე აღარ ფიქრობდა დიდების ტახტის მაძიებელი ეკატერინე.

ტატო ეკატერინეზე ორი წლით უმცროსი იყო. ადრე მომწიფებული და ცხოვრებაში გამოსული ქალიშვილი უფროს ვაჟებთან მეგობრობდა და ერთობოდა, როცა ტატო მას გაეცნო და დაუახლოვდა. ცნობისმოყვარე, ნაკითხი და დაფიქრებული გიმნაზიელის საუბარი მოსწონდა ეკატერინეს, დიდად იტაცებდა, და იყო დრო, როცა თანაუგრძნობდა კიდეც, ახლა კი უზომოდ განებივრებული ზევიდან დაჰყურებდა გულჩათხრობილ ჭაბუკს. ტატო უზომოდ მოხიბლული იყო ეშხიანი და სხივოსანი ქალიშვილით, ბავშვური მიამიტობითა და გულუბრყვილობით უყვარდა დიდ კაცებზე გამიჯნურებული ეკატერინე, უყვარდა და ვერ გაებედა თავისი გულისნადები გაემხილა ჭავჭავაძის ასულისათვის. ფარულ სიყვარულს იმით ახარებდა, რომ ყოველ დღე ხვდებოდა სასურველ ქალიშვილს, საიდუმლოდ უკითხავდა ახალ ლექსებს, ცისა და ბარისას უამბობდა, ართობდა და ახალისებდა.

ცნობისმოყვარე ეკატერინე გულისყურით უსმენდა გატაცებულ და სევდიან ჭაბუკს. ცელქ ქალიშვილს ვაჟის გაუმხელელი სიყვარული არ გამოპარვია, მაგრამ ყურადღების ღირსად მაინც არ ჩათვალა უზომოდ და უნუგეშოდ შეყვარებული. სად არ ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, „დიდი ღამის თევებში", „ყაბახზე მთვარიან ღამეში", ნათლობასა, თუ ბალებში, ყველგან ეკატერინე უფროსების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ტატოს, უიღბლოდ შეყვარებულ ტატოს კი, ყურადღება აკლდა სათაყვანებელი ქალიშვილის მხრივ. ტატომ შეატყო ეკატერინეს გულგრილობა და დიდად მოიწყინა. ასე დადიოდა დიდხანს სევდიანი და მოწყენილი, ამ ნიადაგზე გაებუტა მას, მერე სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და ერთ ლამაზ ფრანგ ქალიშვილს გაუმიჯნურდა. ეგონა, ამით ოდნავ მაინც ატკენდა გულს მიუწვდომელ სატრფოს.

თავის მხრივ დავით დადიანიც დიდად განიცდიდა ელენე ორბელიანის დაკარგვას. საქმე ის იყო, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული დავითი ელენე ორბელიანის სიყვარულმა ისე გაიტაცა, რომ ამ საქმეში როზენიც ჩარია, მაგრამ ამაოდ. დადიანმა წამუდამოდ დაკარგა ელენე და უზომოდ დარდობდა ამის გამო.

დავითი შინ დაღონებული იჯდა, პეტერბურგიდან ჩამოტანილ წიგნებს ფურცლავდა და ყუთებში ალაგებდა ზუგდიდს წასაღებად. აი, გადაშალა ჯერ „აბდულმეჯიანი", შემდეგ „თამარიანის" ხელნაწერი. მერე თეიმურაზის მონაწერი ჩუმად ჩაიკითხა:

„უგანათლებულეს მთავრის დადიანის მემკვიდრეს ძეს დავითს, ჩემს სასურველის დისწულს, გძღვნი სახსოვრად მშვენიერთა ამათ ლექსთა იოანე აბდულმესია შავთელისათა და თანვე ამავე წიგნისა მშვენიერათვე შაირსიტყვაობათა ჩახრუხაძისათა. სასოებ სიბრძნის მოყვარებისაგან თქვენისა — მიიღეთ ძღვნათ სათნოდ ჩემ მიერ. უერთგულესისა ბიძისა, სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძე თეიმურაზ".

ამ მინაწერს მოსდევდა მინაწერი დავით დადიანისა: „ბიძამან ჩემმან, ძემან მეფისამან, გონებით ვრცელმან თეიმურაზმან ბატონიშვილმან, ჩემს საყვარელმან, ყოვლად კეთილმან, გულმშვენიერმან, წიგნთმოყვარემან, სიბრძნით აღუსილმან, ჩემის

გულისა მოსალხინომან, მაჩუქა წიგნი ნათხზნი კეთილნი, აბდულ-მესნი ნახმარკ და ნაშურნი.

1835 წელსა; მირკანისთვის 4-სა
ქალაქსა შინა ს.-პეტერბურგსა
დავით დადიანი"

ახლა მეორე ხელნაწერი აიღო და წაიკითხა: „წელთა წერა კორნელიო ტაციტოსისა თარგმნილი ქართულად მენგრელიის მემკვიდრის დავითის მიერ.

ხოლო დავითისაგან გაგზავნილ ბესარიონ გაბაშვილის „რუხის ბრძოლას" პლატონ იოსელიანის ასეთი მინაწერი ჰქონდა: „ლექსი ესენი ქმნილნი, ვითარცა ჰგონებენ, ბესარიონ გაბაშვილისაგან, გადმოვაწერინე ლექსით ლექსად და მარცვლით მარცვლად დედანით, რომელიცა აქუნდა დავით ლეონის ძე დადიანს, წელსა 1837-სა ნოემბრის 12-სა დღესა, ქალაქ ტბილისს".

პეტერბურგში დაწყებული ლიტერატურული ურთიერთობა და მეგობრობა პლატონ იოსელიანისა და დადიანისა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა ეს მეგობრული ურთიერთობა, ლიტერატურული საქმიანობა და ქართული მწერლობის სამსახური დავით დადიანს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნებულმა დადიანმა თვითონ მიჰყო ხელი მამისეული ბიბლიოთეკის გამდიდრება-შევსებას. თბილისში ყოფნის დროს „როსტომიანი" გადააწერინა. ამ ხელნაწერს წინ წაუმძღვარა თავისი სიტყვები: „ეს როსტომიანი დიდის ძებნით ვპოვე დაფშული ფურცლებად და რამდენადაც შესაძლო იყო, შევაწყობინე და შევაკრეკინე, მაგრამ დედანის უპოვარებისა ძალით მეტად ვერ გავამთელეთ, ბოლო დაკლებული აქვს საშვალ ქაღალდის ჩაწებების გარდა. 29 თბილისი დავით დადიანი".

ხოლო ხელნაწერის ბოლოს დადიანი მკითხველებს მიმართავს: „წაიკითხეთ ეს წიგნი და შიგ იპოვით ძველ ქართულს ზნესა და ჩვეულებას, ძველთა ქართველთა და გმირული მოთხრობანი, რომლითაც ძველნი ქართველნი შთამომავლობით ანდაზად დაუდევნიან და ამით მათ შორის სიმხნეეცა და ახოვა-

ნობაც სულისა განიღვიძებდნენ და სასიბრძნოცა მრავალი იპოვება. დავით დადიანი“...

დავით დადიანმა უმეთაურა, თბილისში გადააწერია და ათარგმნია პლუტარქის ცხოვრების აღწერანი (პირველი და მეორე ტომი), მილოტის (აბატის) მსოფლიო ისტორია 13 წიგნად, იოსებ ფლავიოსი „იუდეველი ძველ სიტყვაობა“ 5 წიგნად და სხვა მრავალი. დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან გაუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა სასახლის წიგნთსაცავისათვის ახალი და ახალი ხელნაწერებისა და დაბეჭდილი წიგნების შეძენის თაობაზე.

ძველი წიგნებისა და ხელნაწერების მოპოვებით გატაცებული დავით დადიანი ვერ იცლიდა პირადი საქმეებისათვის. ბოლოს ელენე ორბელიანისაგან განაწყენებაც დაუცხრა და ისევ განაახლა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებთან — ნინოსთან და ეკატერინესთან ურთიერთობა.

ეკატერინე ჭავჭავაძე კვლავ იპყრობდა ყველას ყურადღებას, ყველა მოწინავე ქართველი და რუსი ახალგაზრდა მასთან ნაცნობობას და მეგობრობას ნატრობდა. ხმით მშვენიერით. ტკბილი სიმღერით, მომხიბლავი გრაციით, კატინკა კვლავ ყველას თავს აწონებდა, და განა მარტო მისი მშვენიერებით მოხიბლულმა გრიგოლ ორბელიანმა უწოდა მას წინანდლის ვარდი? განა მარტო მისი სიყვარულით დამწვარმა ტატომ უძღვნა მას უბრწყინვალესი ლირიკული შედევრები? ყველანი, ვისაც მაშინ კალამი ხელთ აეღო, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ შეამკობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ მშვენიერ ასულს.

ეკატერინე პოეტების მუზა იყო. თვით თეიმურაზ ბატონიშვილს ასეთი ლექსი აღმოხდენია:

სვერეტს ორიონით, ნათელ-მკრთიალინა
მთიებრ შუქმფენი სპეტაკ-ბროლინა.
თვალშავარდენა, მკერდმწყაზარინა,
გულს მიდამოს სურს მომნადირნა.
მშვილდნი მოზიდნა, გიშრის ისრინა,
ჰინდთ რაზმით მფრინა, გულს განარინა,
ვარდ კოკობ მცინა; კაეკას ზეორინა,
ისრეთს შემკულობს ეკატერინა.

ხოლო დავით დადიანის უმცროს ძმას — გრიგოლ დადიანს უფრო გვიან ასეთი სიტყვებით მიუმართავს რძლისათვის:

ვნახე მთოვარე, შუქით მოარე
და კუთხე ჩემი მან განაშვენა,
მკითხე, ვით მოდი ნათლისა მდენა,
შენ, დედოფალო, ცისა მისს ზენა.
მისგან მომესმა ქართული ენა
მრქვა: მომეწყინა ცასშიგან რბენა.
მეჩვენა, რომ შენს სახლშიაც ბნელა
და თუ არა მე, ვინ გაგითენა.

მაგრამ მაშინ ეკატერინეს სიყვარულით ყველაზე დამწვარი დავით დადიანი იყო. ეკატერინესადმი მიძღვნილი დადიანის ლექსები არ შენახულა, მაგრამ მისი ტრფიალების კვალი, ამ სიყვარულით გამოწვეული უზომო წუხილი აღბეჭდილია პირად ბარათებში.

დავით დადიანმა ეკატერინე ჭავჭავაძე პირველად ახვერდოვის ოჯახში გაიცნო. ნინო ჭავჭავაძეც იმ წელს დაქვრივდა და დიდი ხნით ჩამოსცილდა ლამაზმანების მეჯლისს. ამ ამბავმა ეკატერინე უფრო მეტი ყურადღების ცენტრში დააყენა.

პირველად სწორედ ახვერდოვის ოჯახში გამოჩნდა ეკატერინე წითელი ატლასის ფეხსაცმლით, რომელიც მისთვის დარია ახვერდოვას ლაქიას — ეგორ ტიტოვს შეეკერა. გამოჩნდა თუ არა, დადიანმა თვალი დაადგა. მერე დავითი პეტერბურგს წავიდა და თითქოს ჩამოსცილდა ჭავჭავაძის ასულს. ახლა კვლავ თბილისში რომ დაბრუნდა, ელენე ორბელიანმა გადარია. სწორედ ამ დროს დაუახლოვდა ივანე მუხრანსკი ეკატერინეს.

ზაქარია ორბელიანი თავის ძმას — გრიგოლს სწერდა: „ახალი ეხლა ის არის თბილისში, რომ ივანე კვდება კატიასათვის". მაგრამ ივანე ნათესავად ერგებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს და მამამ — ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იყო, მასთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად ჩასული ივანე მუხრანსკი უარით გამოისტუმრა.

თავის მხრით კი დავით დადიანმა, ელენე ორბელიანისაგან გულმოკლულმა და გაწბილებულმა მიჯნურმა, თავისი არჩევანი ისევ ეკატერინეზე შეაჩერა და გულით ეწადა მოქიშპე ივანე მუხრანსკი თავიდან ჩამოეცილებინა.

1836 წელს ბარონი როზენი სამეგრელოში წავიდა, ივანე მუხრანსკიც თან გაიყოლია. მანამდე დავით დადიანი სამეგრე-

ლოში გაემგზავრა და საქმე ისე მოეწყო, რომ როზენის კურთხევითა და დავით დადიანის ხელის შეწყობით ივანე მუხრანსკი დავითის დაზე დაინიშნა. ეს ამბავი გიორგი ერისთავმა პოლონეთში რომ გაიგო, აღტაცებით მისწერა გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს... ღმერთო, იქნებ კატინკა მე მერგოს“...

ასევე ეტრფოდა ეკატერინეს მიხეილ თუმანიშვილი. 1838 წელს პოეტი წინანდალში ეახლა თავის სატრფოს, ლექსიც უძღვნა, ალაზნის ველის ყვავილი უწოდა, თუმცა ეკატერინეს ყურადღება მაინც ვერ დაიმსახურა, რადგან მისი გული უკვე მოეგო დავით დადიანს.

დავით დადიანმა გადაწყვიტა თავისი საიდუმლო ჯერ ნინოსათვის გაენდო. ერთ მეჯლისში ერთგვარი შიშით და რიდით ნინო დაიმარტოხელა, მაგრამ ვერა და ვერ მოაბა სათქმელს თავი. ისევ ნინო მიეშველა: „ოი, რომ იცოდე, როგორ მენატრება სამეგრელოში წასვლა, ზღვა... ზღვა ალბათ ახლოა თქვენთან. ამბობენ, თქვენ ძალიან მდიდარი ბრძანდებით“... — კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, გადაიფიქრა, ერთბაშად შეჩერდა. დავით დადიანმა იდროვა და სევდიანი, გაბზარული ხმით დაიწყო:

— მე ერთადერთი სიმდიდრე მაქვს, ეს თქვენი დის კატიას სიყვარულია. მე მდიდარი მისი სიყვარულით ვარ. სანამ ეს სიყვარული ჩემია, მანამდის მე უძლეველიცა ვარ და მდიდარიც.

ნინო სულგანაბული უსმენდა, შემდეგ ამოიოხრა და ასე მიმართა დადიანს:

— მართალს ამბობ, დავით ჩემო, შენმა სიტყვებმა მე ჩემი იარა ისევ გამიხსნა. მეც შენებრ მდიდარი და ბედნიერი ვიყავი, ალბათ ვერ წარმოვიდგენდი ვერასოდეს უფრო დიდ ბედნიერებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შენსავით ვეტრფოდი გრიბოედოვს, მაგრამ ვაი რომ წარმტაცეს ეს სიყვარული და ჩემი ბედნიერებაც თან გაჰყვა. ჩემი სიყვარული იქ, მთაწმინდაზე მარხია და სიყვარულით გათანგული გულიც ქმრის სამარეში დავტოვე, ხოლო ჩემს სულს კიდევ შერჩა რაღაც ჩაუქრობელი ალი იმ სიყვარულისა, და, როცა გაქრება ეს სიყვარული, მაშინ მეც მოვკვდები სულიერადაც და ფიზიკურადაც. მე ისევ მისით ვარ ცოცხალი. მისი სიყვარულით ვცოცხლობ. ბევრს ვერ წარ-

მოუდგენია ეს და მე მაოცებენ ის ადამიანები. ალბათ, არასოდეს არც ჰყვარებიათ და არც შეუძლიათ შეიყვარონ ვინმე.

დავითი უსმენდა ნინოს და უფრო და უფრო იხიბლებოდა მისი სილამაზით, მისი საუბრით. ქალის ბაგიდან არასოდეს მოესმინა ქმრისადმი მსგავსი პატივისცემა და სიყვარული. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ასე მიმართა ნინოს:

— გისმენდით და თვალი რომ დავხუჭე, მეგონა, თქვენი ბაგით ჩემი კატია მეტყველებდა, როგორ ჰგავს თქვენი ხმა კატიას ხმას. ბედნიერი ვიქნები, თუ გულითაც თქვენ დაგემგვანათ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ კატია ისე მოიქცევა და ისე იფიქრებს, როგორც თქვენ ფიქრობთ ახლა. უბედნიერესია გრიბოედოვი, რომელსაც თან წაჰყვა იმ ქვეყანაში თქვენი სიყვარული. და ეს უკვდავება სიყვარულისა მე პირველად ახლა გავიგე. ყოველი კაცი ადვილად ისურვებდა სიკვდილს, ამგვარი სიყვარულის სანაცვლოდ. მე მირჩევნია მალე მოვკვდე, ოღონდ დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემს სატრფოს, შემდეგ ისე ვეყვარები, როგორც თქვენ თქვენი მეგობარი გიყვართ. მაგრამ მაპატიეთ, ქალბატონო ნინო და, უნდა გამოგიტყდეთ, ეს სიყვარული დიდი პატივისცემისა და თაყვანისცემის ღირსს გხდით თქვენ, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ მართალი იყოთ, როცა გადაგიწყვეტიათ ასე განდეგილივით გაატაროთ თქვენი მშვენიერი ცხოვრების დღენი. არა, მე მჯერა, თქვენ ღირსი ხართ სიყვარულისა და ისე უნდა ლოცულობდნენ თქვენთვის, როგორც თქვენ გრიბოედოვისათვის. და რაკი ცოცხალი ვართ, რაკი სიცოცხლე გვინდა, სიყვარულიც აუცილებელია. უსიყვარულოდ, უგაზაფხულოდ, უმზეოდ სიცოცხლე შეუძელებელია და არც არვინ არ მოისურვებდა ასეთ ცხოვრებას.

—არა, ჩემო, ჯერ ერთი, მე უკვე გითხარი, რომ გრიბოედოვი ისევ მიყვარს. ამას გარდა, რომანტიკული სიყვარულის დრო უკვე წავიდა. წავიდა იგი და არასოდეს არ განმეორდება. ეხლა თუ ვინმე მომეწონება, მხოლოდ გონების განსჯით. და სადაც გონებაა მსჯავრმდებელი, იქ ნამდვილ გრძნობასა და სიყვარულზე ძნელია ლაპარაკი. მე არასოდეს არავინ შემიყვარდება, ჩემი გული ეხლა ფუღურო ხესა ჰგავს, გული მაქვს ამოცლილი და უგულო ქალი აბა რის მაქნისია? იქ ბინას და ად-

გილს ვერავინ დაიდებს, ფუღურო ხე კი ნამდვილ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ასეთ სიყვარულს რა აზრი აქვს, იგი ცივი იქნება და სიცივე და სიყვარული ვის გაუგონია! ასეთი. სიყვარული ანგარიშზე იქნება აგებული.

ანგარიშზე აგებული სიყვარული და ოჯახი მე არასოდეს მდომებია, რადგან სიყვარული საანგარიშო და სახარჯო ფული როდია. თქვენ იცით, დავით ბატონო, რომ არც სიმდიდრე მაკლია და არც ქონება. მე ისევ უზრუნველყოფილი ვარ ჩემი მომავალი დღეებით, ალბათ, ფიქრი არ დამჭირდება ლუკმა-პურისათვის. ამიტომ ჩემთვის ანგარიში აბა რა საკადრისია, ხოლო გულით, გულით სიყვარული, მე, როგორც ჩანს, უკვე აღარ შემიძლია.

ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული ერთხელ მეწვია. ის ისევ ჩემთან არის. როგორც გითხარით, გული კი იქ, მთაწმინდაზე, ჩემს მეგობართან ერთად დავმარხე. მე ახლა მხოლოდ ლანდებს დავდევ, ლანდებს, სიყვარულის სანეტარო ლანდს დავდევ და ამით ვცოცხლობ, ჩემს სულს ესეც ეყოფა. ვიცი, თავსაც დავიტანჯავდი, მომავალ მეუღლესაც დავტანჯავდი, თუ სხვა გზას ღავადგებოდი, სხვა არჩევანს დავუწყებდი ძებნას.

არა! ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის და, ჩემო დავით, არავინ არ მოგატყუოს. მას მეორედ ვერავითარი ძალა ვერ შესცვლის, თუმცა თქვენ, როგორც ამბობენ, სხვითაც ყოფილხართ გატაცებული, მაგრამ გატაცება ერთია და სიყვარული მეორე. მე ასე მგონია, გულით და მთელი გრძნობით გიყვარს ჩემი და, მე მჯერა ის ბედნიერი იქნება შენს ხელში, რადგან ასე უზომოდ გიყვართ, ბედნიერება ქალისათვის მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს მოაქვს... ამიტომ რადგან ჩემი კატიასათვის ნამდვილი ბედნიერება მინდა, მე მზად ვარ შუამავალი ვიყო. და ვფიცავ ბოლომდე თქვენი ერთგული ვიქნები, თუმცა არ დაგიფარავ, ჩემო დავით და, გეტყვი — ჩემს კატიას მთხოვნელები ბევრი ჰყავს, მისგან მოხიბლული და ცრემლმორეული ცოტა როდი შემხვედრია. ბევრს უთხოვია ჩემთვის მასთან შუამავლობა, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ასეთი პირობა არავისათვის მიმიცია და გჯეროდეთ ჩემი ერთგულებისა...

ნინო ჭავჭავაძისაგან გამხნევებული დავით დადიანი ამაყად

დადიოდა თბილისის ქუჩებში და ასევე შედიოდა ბატონიშვილების სახლებში. ეს დიდებული თავადი კვლავ მოექცა იმ ქართველი ახალგაზრდების წრეში, რომელთა რომანტიკული მიჯნურობის პოეტური მუზა სილამაზით განთქმულ ქართველ ქალებთან — მანანა, მაიკო, ელენე და სოფიო ორბელიანებთან, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებთან სიახლოვე იყო. მთელი მაშინდელი თბილისი მოხიბლული იყო ამ ულამაზეს ქალთა ეშხით, განათლებითა და კულტურით. ყველა იმას ცდილობდა, რომ მათს წრეში ყოფილიყო. ამ ულამაზესი ქალებით ეოჯადოებული იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავით დადიანი, ვახტანგ ორბელიანი და ზაქარია ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი და ლევან მელიქიშვილი, ივანე მუხრანსკი და ზაქარია ერისთავი... ვინ არ ეჯიბრებოდა ერთმანეთს ამ დაუბერებელი პოეტური მუზებისა და ამურების დასაკუთრებაში.

უკვე მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას სწერდა: „მომაგონდა თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დროს სხვანისა მრავალნი დახატულნი სილამაზითა. მიმზიდველნი მაღალი ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო სავსე მხიარულებითა, უზრუნველყოფითა და ამასთან საითაც შევხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნოვას ლექსსა „ნეტა რომელს ვენაცვალო განა რამდენი თავი მაქვს“. ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო მეტად ლამაზი — დრო ჩემის აწ დაბერებული გულის გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერათ, რომ მეცა თქვენსა საზოგადოებაში ვიქცეოდი და მათ ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად. გახსოვთ ჩვენი ჩხუბი საწყალ მანანასთან?“

ასეთ რომანტიკულ მოგონებად დარჩნენ გრიგოლ ორბელიანის სულში ის ქართველი ლამაზმანები, რომელთაგან ერთი დადიანს არგუნა ბედმა. ბედმაო, ვამბობთ, თორემ დადიანი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ადვილი ყოფილიყოს ეკატერინეს დასაკუთრება. დავით დადიანი ქალების ყურადღებით მართლაც განებივრებული იყო. ჯერ კიდევ სამეგრელოში მას —

ახალგაზრდა კაცს თავს ევლებოდნენ ულამაზესი ასულები. მათგან დადიანს პირველობა სვანეთის მთავრის დადეშქელიანის ასულისათვის მიეკუთვნებინა და ის იყო დაენიშნათ დადიანი დურუჭანაზე — დადეშქელიანის ასულზე, მერე ჩამოვიდა თუ არა თბილისში, ამ ულამაზესი ქალების ეშხმა და მადლმა ერთბაშად დაავიწყა თავისი დანიშნული.

ეკატერინეს შემდეგ, პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებული დავითი ლუარსაბ ორბელიანის ასულმა ელენემ გაიტაცა და სულ მალე იგი თავის დანიშნულად გამოაცხადა. მაგრამ ბედმა უმტყუნა, დადეშქელიანი საქმეში ჩაერია და ქორწინება გადაიდო. მერე ის იყო, მოულოდნელად ელენე ორბელიანი ზაქარია ერისთავმა მოსტაცა დავითს.

დავითი ახლა ისევ ეკატერინეს სიყვარულმა გაიტაცა.

ნინო ჭავჭავაძეც ჩაერია ამ საქმეში.

დავითის ხელახალ წინადადებას ეკატერინე ცივად შეხვდა, რადგან ყმაწვილმა ქალმა იცოდა, რომ მას ელენე ორბელიანი უყვარდა და ახლაც იმედგაცრუებული ჭაბუკის გულში ისევ სხვისი ცეცხლი ენთო. ძნელი იყო ახლა ამ ცეცხლის ჩაქრობა და ამაყი ქალი უკადრისობდა სხვის ცეცხლზე ხელის მოთბობას. ზვიად ეკატერინეს თავმოყვარეობა უკარნახებდა ივანე მუხრანსკის შემდეგ ვინმე დიდებული და ჩინებული აერჩია. ამ ამაყმა ქალიშვილმა ისიც იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავროს პატრონზე უფრო დიდი თავადიშვილის აღმოჩენა ადვილი არ იყო.

სწორედ ამ დროს ეკატერინეს წერილი მოუვიდა — დავით დადიანი პატიებას სთხოვდა.

ნინო ჭავჭავაძემ დადიანისადმი მიცემული პირობა შეასრულა და დამდურებული მიჯნურები — დავითი და ეკატერინე ერთმანეთს შეახვედრა.

—ძვირფასო, იქნებ, ვერ შევძლო და ჩემი სიყვარული ენით ისე ვერ გადმოგცე, ვით ჩემს გულშია ღრმად გამჯდარი. ასე მგონია, ჩემო კატია, უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე ამას გაგიმჟღავნებდი. ღმერთმა ხომ იცის, მაშინაც, როცა მე სხვებს დავსდევდი, ჩემი გული შენს სიყვარულს უფრო მეტსა გრძნობდა, შენ გეძახდა. ჩემი თხოვნა ამიერიდან მხოლოდ ესღა იქნება, მეპატიოს ყოველივე. დე, ჩემი სიყვარული მარად ენთოს

შენს გულში, ვითარცა შენი ტრფობა ჩაუქრობლად ანთია ჩემს სულში. ოღონდ სიყვარულში იყავი ერთგული და სხვა ერთგულებას მე შენგან არ მოვითხოვ. ჩვენ ყველაფერი გვექნება იმისათვის, რომ ბედნიერი იყო შენი ხვედრით. იცოდე, სხვა დარდი და საფიქრებელი მე არასოდეს აღარ მექნება.

ეკატერინე ანგარიშმიუცემლად აჰყვა ვაჟის მოჭარბებულ გრძნობებს და როცა გონს მოეგო, იფიქრა, „აგრე დაჟინებული მტკიცება და ფიცი დადიანს იმიტომ ხომ არ სჭირდება, რომ ამით თავისი ნამდვილი ზრახვა დამალოს, ეგებ ყველაფერი ეს თავადიშვილური თვალთმაქცობა იყოს. დადიანი ხომ ქალების მოყვარულია, ეგებ მეც ისევე მიმტკიცებს ამ სიყვარულს, როგორც ერთ დროს სვანეთის ასულს ეფიცებოდა, ან იქნებ ისე, როგორც ორბელიანის ქალსა... მაგრამ ხომ ამბობენ ორბელიანის ქალმა დადიანს თვითონ უმუხთლაო. და თუ ეს ასეა, ეგებ გაწბილებული მიჯნური სამაგიეროს მიხდიდეს“.

ეკატერინე ფიქრობდა, მოდი ახლა და სუყველაფერს ვეტყვი. იმასაც ვეტყვი, დადეშქელიანის ქალს მიცემული ფიცი რათ გაუტეხეო. იგი ისეთ გუნებაზე იდგა, რომ უნდოდა მწარედ გაეკიცხა დადიანი, მაგრამ სწორედ ამ დროს დავითმა მის წინ დაიჩოქა, ეკატერინეს ვნებიანად ჩააცქერდა, ერთბაშად პეტერბურგელი ბოშა ქალის თვალთა ელვარებამ შემოანათა და ვაჟმა შეჰღაღადა: „მიიღე ჩემი გული, შენთვის სამიჯნუროდ გამზადებული... შემდეგ უცბად ხელი ჩაავლო ეკატერინეს ხელს, ჯერ მკერდთან მიიხუტა, შემდეგ კი გაშმაგებულმა კოცნა დაუწყო. ქალი გონს ვერ მოეგო, სულ დაიბნა, მერე ძლივსღა გამოსტაცა გახელებულ ვაჟკაცს ხელი, აბა რასა ჰგავს ეს საქციელი, ვინმე დაგვინახავსო, რას იფიქრებენო. დადიანმა ისევ ჩაავლო ხელში ხელი, კვლავ მიაპყრო თვალები და ასე მიმართა: — „რაც უნდა ის იფიქრონ, მე ეხლა მზადა ვარ საჯაროდ ვიყვირო, რომ მიყვარს ჭავჭავაძის ასული ეკატერინე და ვერც ვერავინ წამართმევს მის თავს“... ისევ ხელებზე ჰკოცნიდა და ჩურჩულით ბუტბუტებდა: „ეკა, ჩემო ეკა“...

ეკატერინემ თვალი ვეღარ გაუსწორა ვაჟკაცს და თავი დახარა. დავითის ბაგე თავდახრილი ქალის მხრებს შეეხო. გრძნობათა ტალღამ ისევ ერთბაშად გადალახა მოკრძალება და ვაჟმა გახელებით დაუწყო კოცნა ქალის თმას. მერე მისწვდა ყურის

ბიბილოს, თვალებს... ეკატერინე გონს მოვიდა და დადიანს გაუწყრა, მაგრამ ქალის თმის სურნელებით დამთვრალი ჭაბუკი არაფერს ერიდებოდა, რაღაც გამოუთქმელ სიამეს განიცდიდა და აღარ სურდა ამ ბედნიერების დათმობა. რომ ნახა დადიანი არ ცხრებოდა, ეკატერინემ მუდარით უთხრა, თუ შენ ჩემი თავი მართლაც მეუღლედ გინდა, მაშინ საცოლეს ასე რათ ექცევიო.

ახლა კი შერცხვა ზრდილ დადიანს და უკუ დგა. ეკატერინე გაჯავრებული შეჰყურებდა. უნდოდა მკაცრად დაეტუქსა საზღვარს გადასული ჭაბუკი, მაგრამ ისევ შეიკავა თავი. ბავშვობიდანვე ისე დაეჩვია იგი უზომოდ თაყვანისცემას, ისე შეეთვისა და შეეზარდა დიდკაცურ სურვილს, რომ გულისთქმა ახლაც აქეთკენ ეძახდა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ისევ გასწყრომოდა დადიანს, თუ დაეყვავებინა.

ეკატერინე გაოგნებული იდგა, არ იცოდა, რით ეპასუხა ვაჟის მოჭარბებული გრძნობებისათვის. მერე, თითქოს ვიღაც სხვამ უკარნახაო, ისე ეუბნებოდა: — „დავით, ისა სჯობია დამშვიდდე და შემდეგ სხვა დროს მოვილაპარაკოთ ყოველივე ამაზე. შენ ხომ იცი და მეც ვიცი, რომ ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. ისიც ხომ ვიცი, რომ როგორც მე მეფიცები, ასე სხვისთვისაც შეგიფიცავს მეგობრობა“.

აქ შეჩერდა. იფიქრა, ნუ ვიქნები გულახდილი, ნუ ვაწყენინებ ეგზომ მონდომებულ ვაჟკაცს, ეგებ გულში მართლა სწამდეს ჩემი სიყვარულიო, და ესღა უთხრა:

„რამდენიმე დღე დამაცალე, ვიფიქრებ და პასუხსაც მოგახსენებ, ბატონო დავით“.

1838 წლის დეკემბერში დავით დადიანი თავის ძმას გრიგოლს პეტერბურგში ატყობინებდა, 18 დეკემბერს ნიშნობა მაქვსო. გრიგოლისადმი გაგზავნილ დავითის წერილს ეკატერინემ მიაწერა: „ჩემო საყვარელო ძმაო, სრულიად დარწმუნებული ვარ, რაღამც ღვთის ნებით შევიქენ შენი უმახლობლესი და, გეყვარები ისე, როგორც გიყვარს შენი ძმა, რაიც შემეხების მე, მიმიღე ისე, როგორც შენი ძმა. შენი და ეკატერინე“.

იმ დროს, როცა ეკატერინე ჭავჭავაძით გატაცებული იყვნენ გიორგი ერისთავი, მიხეილ თუმანიშვილი, ივანე მუხრანსკი და დავით დადიანი, ეკატერინესგან განაწყენებულ ტატოს ფრანგი

დელფინა დაბიელი უყვარდა, ხოლო როცა ამ ქალზე გული აიყარა, ეკატერინე უკვე დაენიშნა დავით დადიანს.

ფრანგ ქალიშვილზე გულაყრილი ტატო ახლა მთელი მომხიბვლელობით დაინახავს ეკატერინეს და გაოცდება, თითქოს პირველად ენახოს ჭავჭავაძის ასული, თითქოს ახლად აღმოეჩინოს. ტატო მიხვდა, რომ უიმისოდ ყოფნა ძნელი იქნებოდა, მაგრამ უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო. ამასაც მიხვდა და იდარდა, სევდამ შეიპყრო...

ხუთი თვის შემდეგ ეკატერინე ჭავჭავაძემ და დავით დადიანმა ჯვარი დაიწერეს ქაშვეთის ეკლესიაში. დარბაზში ტევა არ იყო. აქ ყველაფერი დიდებული და მეფური იყო. ეკატერინე და დავით დადიანი დარბაზში შემოიყვანეს, წინ მღვდელი მოუძღოდათ. აღსავლის კარიდან კათალიკოსი გამოეგებათ. ამბიონზე შემდგარმა კათალიკოსმა და მღვდელმა ეკატერინესა და დავით დადიანს მარგალიტებით შემკული საქორწილო ვერცხლის გვირგვინები დაადგეს. თეთრ ტანისამოსში გამოწყობილ ეკატერინეს სახე თაფლის სანთლების ფერმკრთალ სინათლეზე უფრო მკრთალი ჩანდა, ოღონდ გვირგვინიდან უკუქცეული ბრჭყვიალა სხივები ნათელს ჰფენდა მის სახეს. იდგა ეკატერინე გაოგნებული და იმეორებდა ფიცის სიტყვებს. სწორედ ამ დროს დარბაზის სიღრმეში, იმდენ ხალხში, ახლა პირველად შენიშნა ეკატერინემ ტატო ბარათაშვილის გამჭვალავი თვალები. ღმერთო, რა გამოხედვა იყო, რა საყვედურებით სავსე თვალები! იწვოდა თაფლის სანთლები, გაფითრებული და მოცახცახე ეკატერინე ისე იმეორებდა ფიცის სიტყვებს, რომ თვითონაც არ ესმოდა თავისი ნათქვამი, ბაგე უცახცახებდა და ძლივს იდგა ფეხზე. მის მოპირდაპირე დარბაზის სვეტთან კი ასევე გაოგნებული და მთლად მოცახცახე იდგა ბარათაშვილი და ისმენდა დაკარგულ სატრფოს საქორწინო ფიცის სიტყვებს. რომ არ წაქცეულიყო, ღონემიხდილი ტატო სვეტს მიეყრდნო. შემდეგ ერთბაშად გონს მოეგო, გასწორდა, თავისთავისა შერცხვა, თვალებიდან ბინდი გადაეცალა და ისევ ვედრებით შეხედა მის სალოცავ ხატს. ისევ შეკრთა და ახლა მზერა ნამდვილ ხატზე გადაიტანა. და ისე მოეჩვენა, თითქოს კედელზე დაკიდებული ხატის თვალებიდან ცრემლმა იწვიმაო. ეკატერინემ ვეღარ გაუძლო ტატოს თვალთა ელვარებას, საყვედურით აღ-

სავსე გამჭვალავ გამოხედვას და შეირხა ქალი. განზე გაიხედა და ისევ ტატოს თვალებს წააწყდა, ველარ გაუძლო მის თვალთა მზერას და ერთბაშად გული შეუღონდა. გულშეღონებულ ქალს ხელი შეაშველა დადიანმა. ეკატერინე მოცელილივით გადაესვენა დადიანის მკლავებს. ჩოჩქოლი და ხმაური ატყდა საეკლესიო დარბაზში. შეწუხებულმა და დაღონებულმა პოეტმა ჩქარი ნაბიჯით დასტოვა ტაძარი. ეს შემთხვევა მთელს ქალაქში გახმაურდა. მანანა ორბელიანი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ჯვარისწერის დღეს ეკატერინეს გული შეუღონდა და არც არავინ იცის, რის გამო მოხდა ეს“...

მაყრიონი

ალექსანდრე ჭავჭავაძის დიდი დარბაზი ისევ სავსე იყო სტუმრებით. საქორწილოდ მორთულ ვრცელ ოთახს განსაკუთრებული იერი ჰქონდა, აქ საგანგებოდ გამოირჩეოდა სამეგრელოდან ჩამოსული დავით დადიანის მაყარი. იგი ორმოცდაათი კაცისაგან შედგებოდა. ესენი შერჩეული, ულამაზესი თავადიშვილები და აზნაურები იყვნენ. ყველა სირმებით გაწყობილი თეთრ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ვერცხლის ქამრები ერტყათ და ვერცხლითვე მორთული ხანჯლები ეკიდათ. ერთმანეთს ჰგავდნენ, წლოვანებითაც ტოლები იყვნენ და სიმაღლითაც. კაცს ეგონებოდა, ეს ლამაზი ვაჟკაცები ტყუპები არიანო. მათში ორად ორი ქალი ერია — მენიკ დადიანი და ეკა ჩიჩუა, ორივე — ულამაზესი.

ისე მოხდა, რომ სამეგრელოს მაყრიონი ერთ მხარეს დალაგდა, მოპირდაპირე მხარეს კი — ალექსანდრე ჭავჭავაძის ახლობლები და სტუმრები ისხდნენ. მარჯვნივ მანანა ორბელიანი იჯდა, მარცხნივ — გიორგი ერისთავი, შემდეგ — ზაქარია ერისთავი, რომელსაც მარჯვნივ მაიკო ორბელიანი უჯდა, მარცხნივ — გოლოვინი, გოლოვინის გვერდით ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა. მათ მოჰყვებოდნენ დიდი და მცირე ჩინოსნები, მანდილოსნები.

სუფრის თავში ალექსანდრე ორბელიანი დასვეს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიდი პატივისცემით სთხოვა ორბელიანს თამადობა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა.

ალექსანდრე ორბელიანი — პოეტი და მწიგნობარი, დრამატურგი და ისტორიკოსი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ადგა, კედლიდან პაპისეული დიდი ყანწი ჩამოიღო, ბოთლით ღვინო შიგ ჩააპირქვავა, წელში გაიმართა, თვალი მიმოავლო სუფრას და დაიწყო: — „ბატონებო და ქალბატონებო! მე დიდად ბედნიერი ვარ, რომ ერეკლე მეფის ნაქონი ყანწი, რომელიც მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს ვაჩუქე ნინოს ქორწილში, კვლავ შემიძლია ხელში ავიღო და დავლოცო ეს ოჯახი, ეს დიდებული წყვილი, ნეფე-დედოფალი. დღეგრძელნი და ბედნიერნი იყვნენ, გამრავლდნენ, გაღონიერდნენ და გაძლიერდნენ, მუდამ ახსოვდეთ სამშობლოს ვალი.

გახსოვდეთ წინაპართა ჩვენთა თავდადება მამულისათვის. გახსოვდეთ, რომ წინაპარნი ჩვენნი გმირნი იყვნენ, მამულისათვის თავშეწირულნი. თხუთმეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც ქართველ კაცს ცალ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში — ჯვარი ქრისტესი. ჩვენი ქვეყნის ძველი დიდება ამ ჯვარსა და ხმალს დაუცავს, საქართველოსათვის ზვარაკად შეუწირავთ თავი დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, სამას არაგველს, ცოტნე დადიანსა თუ ერეკლე მეფეს. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ნეტავ იმ გმირებს! მათს საქმეებს სიკვდილის მსახვრალი ხელი არასოდეს შეეხება. საუკუნეების მანძილზე ქართველი დედები მათს სახელოვან გმირობასა და ვაჟკაცობას ჩვილ ყრმათ აკვანში უმღერენ. და თუ ინატრებს კაცი რასმე, უნდა ინატროს ასეთი დიდება გმირისა. მაგალითი მამულისათვის თავშეწირვისა. ისინი მამულისათვის თავდადებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. აურაცხელია სახელი, რომელიც ჩვენს ხალხს დაუღვრია, რომ დაეცვა მამული ჩვენი, ჩვენი ენა ქართული, ხოლო, შვილებო, — აქ კინაღამ ცრემლი მოერია ალექსანდრე ორბელიანს, — ვის არ უნდოდა ჩვენი დაქცევა: ფინიკია და არაბეთი, სპარსეთი და თურქეთი, ვინ არ გვებრძოდა! აგვაოხრეს და აგვაწიოკეს, მაგრამ ვერ მოგვსპეს. ძველი ფინიკელები და ზოგნი სხვანიც აღიგავნენ მიწისაგან პირისა. ჩვენ კი კვლავ ფეხზე ვდგავართ. ჩინგისხანს და შაჰაბაზს, აღა-მაჰმად-ხანს და თემურ-ლენგს ყელზე დაადგათ ჩვენი ქვეყანა, მოისპნენ ჩვენი მომსპობნი, ჩვენ კი ისევ ვცოცხლობთ, ისევ მუხასავით დგას ჩვენი სამშობლო. ამიტომ

ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყანა დიდია, დიდი სულიერი კულტურით. აბა, შეაღეთ სიონის, სვეტიცხოვლის, გელათის, ყინწვისის, ხობის და მარტვილის მონასტრების კარი, ნახეთ მათი ფრესკები, მოიგონეთ მათი ოსტატები, არ დაივიწყოთ ჩვენი ვარძია, ადამიანის გონებით შექმნილი ეს საოცრება, მოიგონეთ კოლხეთის, იყალთოს, გელათის აკადემიები, ნახეთ ჩვენი ხელთნაწერები, მეხუთე საუკუნიდან დღემდე მოყოლებული არა მარტო საქართველოში, არამედ პეტრიწონსა და ათონში, ჯვარის მონასტერსა და სინაში, გაიხსენეთ მთაწმინდელები, ჩახრუხაძე, შავთელი, თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი, ბესიკი და მაშინ იკითხეთ, ვინა ვართ, ვისი შვილები ვართ, ვინ არიან ჩვენი წინაპრები. ერს, რომელსაც რუსთაველი წარმოუშვია, პატარა არ ეთქმის. რუსთაველის შვილებსა და შვილიშვილებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი მამა, ჩვენი წინაპარი რუსთაველი იყო. მოიგონეთ ყოველივე ეს და თქვენ წინ გაიხსნება საოცრების კარი. ჩვენ ამ ძველ კაცთა ნაამაგარის ვალი გვმართებს. მე იმ ძველ საქართველოს ანასხლეტი ვარ და ხატად ის გამიხდია. ახლა ჯერი თქვენზეა, ახალგაზრდებო, ბურთი და მოედანი ქართველი ერისა თქვენზეა მონდობილი. ერთი ანდერძიც მითქვამს თქვენთვის:

— გახსოვდეთ, საქართველოს მეთაური და წინამძღოლი, ერთიანი საქართველოს დედა თბილისია. თბილისზეა აღმართული ქართული დროშა, რომელიც მუდამ უნათებდა ქართველ კაცს სავალ გზას. ამიტომ ყოველ დუშმანსა და მტერს მუდამ თბილისი ჰქონდა მიზანში ამოღებული. ჩვენმა ძველებმა იცოდნენ, რომ სანამ თბილისი ფეხზე დგას და საქართველოს ეროვნული კულტურის მედროშეა, მანამდე უძლეველია საქართველო. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომ იყო, რომ თბილისისთვის თავს სდებდა საქართველოს ყოველი კუთხე. გახსოვდეთ ეს და არ დაივიწყოთ პატივისცემა ჩვენი დედა თბილისისადმი. ვისაც მამული უყვარს, ვისაც მამულის სიკეთე სურს, დაუცხრომლად უნდა ცდილობდეს იმის გაბედნიერებასაც. კაცი თავისთვის არ არის დაბადებული. ღმერთმა კაცი მამულის ბედნიერებისთვის დაბადა.

აქ შეჩერდა, უნდოდა თავისი ლექსი „რუსთაველი“ წაეკითხა, მაგრამ უცბად გადაიფიქრა და ისევ განაგრძო: — ორი

ათას წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა გაუმაძღარ, ხარბ და ურიცხვ მტერს ებრძოდა, რაც ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია. არც არასოდეს დაჟანგდება ქართველთა ხმალი! რა ტანჯვაც არ უნდა მოგვაყენონ, ჩვენ მონები არასოდეს აღარ გავხდებით! ჩვენ დიდებული ერი ვიყავით, ვართ და ვიქნებით, ერი მოყვარული თავისუფლებისა და თავისი მამულისა.

მე მჯერა, რომ ჩვენი ასული ღირსეულ მეგობრობას გაუწევს დიდებულ დადიანს, ოჯახს ასახელებს, მამულს გაახარებს. მჯერა, რადგან ქართველი ქალები ოდითგანვე მარტო ოჯახის მოვლით კი არ იყვნენ ცნობილი, არამედ დიდი მამულიშვილობითაც.

მე მახსოვს, ჩვენ დროში, მძიმე დროში ხნიერ დედაკაცსა და ყმაწვილ ქალს, ჩვენს ვაჟკაცებთან ერთად, ერთი აზრი ჰქონდათ, ბევრმა დედაკაცმა დაიფიცა, კაცურად ჩავიცვამთ მამულის გამოსახსნელადო. ზოგიერთმა ქალმა ბაირაღის კერვაც დაიწყო და საბრძოლველად მოემზადა... ეს წინათ იყო. მაშინ თითქმის მთელს საქართველოს ხალხს გატენილ თოფებზე ეძინათ... ეხლა კი მშვიდობაა ჩვენს ქვეყანაში“.

აქ თამადამ ოდნავ წაიბორძიკა. პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი ალექსანდრე შეჩერდა. პირდაპირ მჯდომ მეფის ნაცვალს გოლოვინს შეხედა, ისევ თავი ასწია და განაგრძო:

„მაგრამ ვალი მამულის დაცვისა ქართველ ქალს კვლავ მართებს და ჩვენ გვჯერა, ისინი არ დაივიწყებენ ამ ვალს“.

ისევ შეისვენა თამადამ. ახლა დავით დადიანს მიაპყრო მზერა და განაგრძო:

„ჩვენი ეკატერინე ულამაზესი და ჩინებული ქალია. ვერ ვიტყვი, ცოტა გული არ მწყდებოდეს, ეს ულამაზესი ასული დადიანმა რომ მოგვტაცა“.

ესა თქვა და ახლა გოლოვინის გვერდით ნინო ჭავჭავაძესა და მანანა ორბელიანს გადახედა, გაიღიმა და ისევ გააგრძელა:

„...წინათ სხვა დრო იყო. მაშინ ჩვენ სამეგრელოდან მოგვყავდა ქალები, დადიანებს ვტაცებდით ლამაზ ასულებს. მამაჩემი ახლდა ერეკლე მეფეს, დარეჯან დადიანი რომ მოვტაცეთ სამეგრელოს. ახლა ისინი გვტაცებენ ჩვენ. რა ვუყოთ. დრო იც-

ვლება, მაგრამ ჩვენ მაინც ერთნი ვართ, სულით და ხორცით ერთნი. აბა, ვინ გაყო ჩვენი მამული!“

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ალექსანდრე ორბელიანი.

როცა შეატყო, რომ დაღალა ხალხი გრძელი სიტყვით და აქა-იქ ჩურჩული დაიწყეს, თამადამ სიტყვა შეამოკლა, ისევ დღეგრძელობა უსურვა ნეფე-დედოფალს, ეს ვეებერთელა ყანწი მიიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა. ამას ვაშა, ტაში და კახური გრძელი მრავალჟამიერი მოჰყვა. სიმღერის გუგუნი დაცხრა და სავსე ყანწი გოლოვინს მიართვეს. გოლოვინი ადგა, მედიდურად გადახედა დარბაზს, სიტყვის უთქმელად მოიყუდა ყანწი, მაგრამ ამ დროს ცოლმა უჩურჩულა, სიტყვა თქვიო. გოლოვინმა ძლივს გაიმეტა ორიოდე სიტყვა ჭავჭავაძეთა და დადიანთა საქებრად, ადღეგრძელა ნეფე-დედოფალი, ისევ მიიყუდა ეს გრძელი ყანწი და დიდხანს იდგა ფეხზე. სამჯერ დასჭირდა შესვენება, ვიდრე ამ დიდ ყანწს დასცლიდა.

ახლა დავით დადიანის მაყრიონმა წამოიწყო გაბმული სუფრული „გევშვათ ღვინი ხარათია“. დარბაზი ისევ გაივსო სიმღერის გუგუნით და ასე გადაება ყანწი ყანწს, სანამ ის ბოლოს ნეფემ — დავით დადიანმა არ გამოცალა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ცალკ-ცალკე ლაპარაკი გაიმართა. თამადა ახალი სადღეგრძელოსათვის ემზადებოდა. დავით დადიანმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მზერა ეკატერინეს მიაპყრო. თეთრ საქორწილო ქართულ კაბაში გამოწყობილი, ოდნავ ფერმკრთალი ეკატერინე ბრწყინავდა, მთელი ქალების დასში გამოირჩეოდა, თუმცა ძნელი იყო თქმა — გამოირჩეოდაო. მის ახლოს ნინო გრიბოედოვა და მანანა ორბელიანი, მოპირდაპირედ კი მენიკ დადიანი და ეკა ჩიჩუა ასევე ბრწყინავდნენ და ადვილი როდი იყო კაცს ეთქვა, ვინ ვისა სჯობდა. დავით დადიანი ჩუმათ უმზერდა ამ დიდებულ ლამაზმანებს. იგი ხან ეკატერინეს შეხედავდა, ხან კიდევ მანანას და ბოლოს ნინოზე შეაჩერებდა თვალთა მზერას, ხანაც თავის მეჯვარეებს მენიკს და ეკას გადახედავდა. ისე დაჟინებით, უცნაურად აცქერდებოდა ამ ქალებს, რომ მანანამ შეამჩნია კიდეც ესა და მაიკო ორბელიანს გადაუჩურჩულა: „იმ დიდმა ყანწმა ხომ არ დაათრო ჩვენი სიძე-ბატონი...“

დავით დადიანი აქ მსხდომ მანდილოსნებს უფრო იმიტომ აკვირდებოდა, რომ ამით ამ დიდებულ მწყობრში უფრო ნათლად დაენახა ეკატერინეს ღირსება. ნინოსაც ადარებდა, მანანასაც, ეკასაც და, როცა დარწმუნდა, რომ არც ერთს არ ჩამორჩებოდა, გულით გაიხარა, დარწმუნდა, რომ უკეთეს არჩევანს ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა, დამშვიდდა და უზომოდ მიეცა ლხენას, თამადა კი ისევ და ისევ სცლიდა ნაირ-ნაირ სასმისებს. დარბაზში ისევ სიმღერის გუგუნი იდგა და მოლხენას ბოლო აღარ უჩანდა.

ქორწილმა დილამდე გასტანა.

სტუმრები დილით ადრე აიშალნენ. შორი გზა იყო სავალი: ეკატერინე სამეგრელოში მიჰყავდათ. ყველაფერი გამზადებული იყო. დადიანი ერთი წელი ემზადებოდა ამ ქორწილისათვის, მან თითქმის ამდენივე ხანი დაჰყო თბილისში თავის დანიშნულთან, და აი, ახლა მიჰყავდა თავისი გულისტოლი. ყველაფერი საზეიმოდ იყო მორთული, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, დავით დადიანს მაინც ჰქონდა შიში. მას უნდოდა ეკატერინე ყოველმხრივ გაეხარებინა და მთელი ეს საქორწილო მოგზაურობა, რომელიც რამდენიმე დღისათვის იყო გაანგარიშებული, ბედნიერად დამთავრებულიყო.

ნეფე-დედოფალი ტახტრევანში ჩასვეს, გვერდით ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნინო გრიბოედოვისა მოუსხდნენ. სალომე შინ დარჩა, ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძე მცხეთამდე აცილებდა ნეფე-დედოფალს. ტახტრევანს უკან სამი ეტლი მიყვებოდა. პირველში ლევან დადიანი, მენიკი და ეკა ისხდნენ. მეორესა და მესამეში — ალექსანდრე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ახლობლები. ეტლებს უკან ასი ცხენოსანი მისდევდა, ორმოცდაათი ჩოხოსანი და ნაბდოსანი მეგრელი და ამდენივე — ქულაჯებში გამოწყობილი კახელები და ქართლელები. როდესაც ისინი დილით ადრე თბილისის ქუჩებზე გამოიშალნენ, ბანებზე გამოფენილ ხალხს ასე ეგონა ერეკლე მეფე გაცოცხლებულა და თავისი ჯარი შემოუყვანიაო.

მაყრიონი მცხეთაში შეჩერდა. უკვე ერთი თვე იყო, რაც ქაშუეთის ეკლესიაში დავით დადიანმა ჯვარი დაიწერა, მაგრამ ახლა სვეტიცხოვლის ტაძარში დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის დაქორწინების პატივსაცემად საგანგებო წირვა-

ლოცვა იყო დანიშნული. როდესაც ეს ასიოდე კაცი მონასტრის დარბაზში შევიდა, მათთვის ადგილი ძლივს მოინახა, რადგან ნახევარ დარბაზზე მეტი ადრიდანვე ამ საინტერესო ცერემონიალის საყურებლად მოსულ ხალხს დაეკავებინა.

სვეტიცხოველში სამი ეპისკოპოსი სწირავდა: სიონისა, მცხეთისა და ჭყონდიდისა (გიორგი ჭყონდიდელი საგანგებოდ ჩამოსულიყო დავით დადიანის პატივსაცემად). წირვა-ლოცვამ და გალობამ ერთ საათს გასტანა. სწორედ მაშინ, როდესაც ეკატერინე და დავითი ტახტრევანთან დასასხდომად მივიდნენ, მეეტლესთან თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნა მიიჭრა და აღგზნებულმა უთხრა: „წაიკითხეთ, რა ეწერა ქვაზე?“ ნათქვამი ხმამაღალი გამოდგა, ეკატერინემ და დავითმა ყური მოჰკრეს და ერთბაშად მოიხედეს. ცნობისმოყვარე დადიანმა პატარა ბიჭს ჰკითხა: „რა ნახეო?“ სანამ ბიჭი პასუხს გასცემდა, გამოცდილმა მეეტლემ მოუჭრა: „მონასტრის ეზოში საფლავის ქვების წარწერაზე მოგახსენებთ, ბატონო, უტუ გაბრუებულია გაგონილითა და ნახულით და აღტაცებას ვერ ფარავს“.

— უტუ, — ჩურჩულით განიმეორა ეკატერინემ და ჩასხდნენ ტახტრევანში.

— იცი, დავით, უტუს ჩემს ძმას — დავითს ეძახდნენ მოფერებით, ეს სახელი ძალიან მიყვარს. ვინ არის ეს შავტუხა ბიჭი?

დავითმა გაიღიმა და უპასუხა:

— სულ მალე გაიცნობ, ერთი ჩვენებური ბიჭია. შარშან დოღში თავი გამოიჩინა და ამის შემდეგ მეჯინიბეთუხუცესი თავიდან არ იშორებს, ყველგან თან დაჰყავს. ახლა აქაც წამოიყვანა.

იმ საღამოს, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის დიდ დარბაზში დიდებულები ისხდნენ და ალექსანდრე ორბელიანი სტუმართა და წინაპართა სადღეგრძელოს მიირთმევდა, სამეგრელოს მაყრიონის მეჯინიბე ბიჭებს — მეეტლეებს, განცილებლებს და გამყოლებს — თავი ჭავჭავაძის სასახლის სარდაფში მოეყარათ. მათთვის აქ გაემართათ პურმარილი. დადიანის ათიოდე მოსამსახურეს გვერდით ხუთიოდე ჭავჭავაძიანთ მოსამსახურე ბიჭი ეჯდა და მთისა და ბარის ამბავს ჰყვებოდნენ.

უტუს ყველაზე მეტად ბლიაძის მონაყოლი მოეწონა, ეს არსენა ოძელაშვილის ამბავი იყო. ბლიაძემ ზუგდიდელებს მარაბდელის თავგადასავალი დაწვრილებით უამბო და ხალხისთვის თავდადებული ეს ვაჟკაცი ქება-დიდებით შეამკო. მერე სხვათაშორის თქვა, მცხეთელებმა დიდი მონასტრის გალავნის გვერდით ოძელაშვილი დიდი ამბით დაასაფლავესო.

სწორედ მაშინ, როდესაც სვეტიცხოველში ნეფე-დედოფლის პატივსაცემად წირვას იხდიდნენ, მცხეთელებმა ზუგდიდელ მეჯინიბე ბიჭებს არსენა ოძელაშვილის საფლავი უჩვენეს. უტუს ღრმად დაამახსოვრდა საფლავზე წარწერილი სიტყვები: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“. ამ ამბით მოხიბლული უტუ აღტაცებით ელაპარაკებოდა მეეტლეს. ამ დროს მათთან დავითი და ეკატერინეც მოვიდნენ ეტლში ჩასასხდომად.

დადიანის მაყარი არ ჩქარობდა. გეგმით ღამე მუხრან-ბატონის სასახლეში უნდა გაეთიათ. მცხეთიდან მუხრანამდე სულ ოცი-ოცდახუთი ვერსი იყო გასავლელი, და ისინიც არ ჩქარობდნენ. უკვე შეღამებული იყო, როდესაც ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის მაყარი მუხრან ბატონის ეზოს მიადგა. დიდი ზეიმითა და პატივისცემით მიიღეს ნეფე-დედოფალი და მათი მაყრიონი. აქაც სიტყვებს, სადღეგრძელოებს, ქეიფს ბოლო არ უჩანდა. დაქანცულ ნეფე-დედოფალს კი მოსვენება ენატრებოდათ.

შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა ნეფე-დედოფალი ცალკე მიჩენილ ოთახში მიიწვიეს. დავით დადიანმა მიუალერსა თავის მეუღლეს, მოეფერა. ხელით რომ შეეხო, გაოცდა, ეკატერინე შეციებულივით ძაგძაგებდა, კანკალს აეტანა. ეცადა დაეშოშმინებინა, დაეწყნარებინა. ბოლოს ძლივსღა გათბა, ძლივსღა დამშვიდდა დედოფალი, მაგრამ მაინც არ დაეძინა, ბორგავდა, ფიქრსა და მოგონებაში გაატარა მთელი ღამე. ყოველმხრივ ბედნიერი ეკატერინე სევდას შეეპყრო, თითქოს ახლა მოეგო გონს. ახლა იგრძნო, თუ რა ძნელი იყო მისთვის თბილისის დატოვება, სადაც თავის ყმაწვილქალობის დღეები გაატარა, სადაც არა ერთი და ორი ჭაბუკის ბაგეს მოსწყვიტა სიტყვები მოწონებისა.

ისევ ეძახდა, ისევ მოუხმობდა თავისი თბილისი.

დან ისე წამოვიდა, რომ მეგობრებს არც კი გამოთხოვებია. და აი ახლა ყველაზე მეტად ეს აწუხებდა, ფიქრობდა, მთელი ღამე ფიქრობდა: სად მიდის ასე შორს, რას უმზადებს ბედი, რა დახვდება იქ, სამეგრელოში; ნათქვამი და გაგონილი ბევრი რამ ჰქონდა. მართლაც, ახალგაზრდა ქალიშვილის ფრთაგაშლილ ოცნებას ზღაპრულად დახატული დედოფლობის ტახტი და ზუგდიდის სასახლე განა არ იზიდავდა? მაგრამ მაინც ძნელი იყო თბილისისა და ტოლ-მეგობრების დატოვება. და ასე მთელი ღამე იბორგა, იხვნეშა, დარდობდა...

გათენდა. დედოფალს თავი სტკიოდა. უგუნებოდ იყო. თითქოს არაფერი ენატრებოდა, არაფერი უნდოდა, დავითი უკვე ამდგარიყო, ეკატერინეც ასადგომად ემზადებოდა, როცა მასთან მენიკ დადიანი და ეკა ჩიჩუა მივიდნენ. მოეფერნენ რძალს, მიუალერსეს, ისევ ზუგდიდზე ჩამოუგდეს სიტყვა, უქეს მისი სამთავრო, სასახლის ცხოვრება და ხალხი. დედოფალმა ტანთ ჩაიცვა, თითქოს გახალისდა.

ეკატერინე ტახტრევანში შესვეს. საქორწილო მგზავრობა გაბმულ ზეიმად გადაიქცა. დადიანსა და ჭავჭავაძის ასულს ყველგან პატივისცემასა და სიყვარულს უდასტურებდნენ.

გომთან მხარმარჯვნივ გადაუხვია მაყრიონმა. ნეფე-დედოფალი ცხენებზე შემსხდარ მაყრიონს წინ მიუძღოდა. სოფელი ვაყა გალიეს და ალს მიადგნენ. სოფელი ალი განთქმული იყო თავის ძველთაძველი ტაძრებით. აქ, ტაძრის წინ, ცხენებიდან ჩამოხდნენ, პირჯვარი გადაიწერეს. ისევ შესხდნენ და, სოფელი მცხეთისჯვარი მოათავეს თუ არა, ჯვრის უღელტეხილი დაიწყო. უღელტეხილის გზა პატარა მდინარეს მიჰყვებოდა. ეს დაკლაკნილი გზები თანდათან აღმართისაკენ მიიმართებოდა. მთებით დაბურულ ტყეში საოცარი სიმშვიდე იდგა, მხოლოდ ცხენების თქარათქური თუ არღვევდა მყუდროებას.

ჯვრის გადასასვლელი გადაიარეს, და მათ წინ იმერეთის მთები და ვაკე გაიშალა. სოფელ გორისძირიდან ახლა დაღმართი დაიწყო, მათ თვალწინ ბუნების ახალმა საოცრებამ იელვა. სოფელ გორისაში რომ შევიდნენ, ნეფე-დედოფალს იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეეგებნენ, საჩხერისაკენ გაუძღვნენ და შემდეგ ჭიათურის ქვაბში შევიდნენ. იმ საღამოს

იქ დარჩნენ. ნეფე-დედოფალს ზეიმი გაუმართეს. მეორე დღეს დილაადრიან ადგნენ, ჭიათურის აღმართზე ავიდნენ და კაცხის თავზე მოექცნენ. უკან რომ მოიხედეს, კაცხის მხრიდან ქვაბში მოტოვებული ჭიათურა მათ ფეხქვეშ იყო გაშლილი. მარჯვნივ კაცხის სვეტი აღიმართა. კაცის ჩონჩხივით ტიტველ, ვეებერთელა სვეტად აღმართულ ამ სალ კლდეს მოლისა და ბუჩქების ქუდი ეხურა. მაყრიონი კაცხის მთას ზურგზე მოექცა, ქვემოთ მარჯვნივ და მარცხნივ მიჯრილი ლიხისა და რაჭა-ლეჩხუმის მთები გამოჩნდა. თუ გომიდან გზა იმერეთამდე ხევში მიუყვებოდა, ახლა ვიწრო ბილიკი მთის ზურგზე მიდიოდა, თითქოს მთელი საქართველოს მთები მის ფეხქვეშ გაწოლილიყო, ეკატერინემ ქმარს უთხრა, გზა თვით გომბორის მთებში არ არის ასე მაღლა ასულიო.

ასე მიდიოდნენ ისინი მთებით, ვიდრე ბოსლევი და დილიკაური უკან არ მოიტოვეს. მერე თავდაღმართი დაიწყო. საქარას გასცილდნენ და ზესტაფონს ჩავიდნენ. ახლა იქ შეისვენეს და მეორე დღეს ქუთაისის გავლით სამეგრელოსკენ გასწიეს.

ცხენისწყალი რომ გაიარეს, დადიანმა უთხრა დედოფალს, ჩვენი სამწყსო აქედან იწყებაო. ეკატერინემ უფრო ყურადღებით დაუწყო თვალიერება მთელ მიდამოს, ყოველ ხეს, ყოველ სახლს. მისი ყურადღება იმერეთის კოპწია ოდა სახლებმა და მოლით მოფენილმა მინდვრებმაც მიიქცია. მაგრამ დედოფალი უფრო საგანგებოდ დააკვირდა ამ ლამაზად და სუფთად მოვლილ ეზოებსა და სახლ-კარს. უხაროდა, რომ ყოველივე ამის პატრონი თვითონ იყო.

გზა თავქვე დაეკიდა, ზღვისკენ. წინ ვაკე გადაშლილიყო. ორივე მხრიდან ისევ ეზოები და ლამაზად მოვლილი კარმიდამო იტაცებდა დედოფლის თვალს. დავითი გვერდით უჯდა დედოფალს და აცნობდა თითოეულ სოფელს, გორაკს, ციხესა და ეკლესიას. ქალი დიდი გულისყურით უსმენდა ქმარს და ტკბებოდა ამ მშვენიერი სანახაობით. ცოტა გაიარეს და ნეფე-დედოფალს ბანძის, სუჯუნის, აბაშისა და სენაკის თავადები და აზნაურები შემოეგებნენ. ახლა დედოფლის განსაკუთრებული ყურადღება მეგრელმა ქალებმა მიიქციეს. ეკატერინემ ქმარს უთხრა, აქ რა ლამაზი ქალები სცოდნიაო. „როგორ? — გაიკვირვა დადიანმა, — მარტო ქალები? განა მამაკაცები არ არიან

ლამაზები?...“ რასაკვირველია, მამაკაცებიცო, — თქვა დედოფალმა, — მაგრამ ქალები უფრო მომეწონაო.

ახლა მარჯვნივ შეუხვიეს და ტეხურის პირას, დიდი სასახლე გამოჩნდა. ეს მენიკ დადიანის სასახლე იყო. სამეგრელოს რჩეული საზოგადოება ნეფე-დედოფალს აქ ელოდებოდა.

ტეხურის გალმა კოხტად ჩაცმული, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მკლავზე წითელლენტგაყრილი ცხენოსანი ელოდებოდა მაყრიონს. მხედარმა ხმამაღლა შესძახა და უკან მიაბრუნა ცხენი ჭენებით. ეს იყო მაცნე, რომელმაც იცნო დადიანის მაყრიონი და უმალვე გაქუსლა, რომ დროზე ეხარებინა ამბავი, მაყრიონის მიახლოვებისა. პირველი შეხვედრა ქვაშხორში, მენიკ დადიანის სასახლეში მოხდა.

სოფელი ქვაშხორი სენაკიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. მენიკ დადიანი მდადეთ მოჰყვებოდა ეკატერინე ჭავჭავაძეს. მენიკი ნიკოს ქალიშვილი იყო. იგი ჯერ იმერეთს გაათხოვეს, შემდეგ, დაქვრივებულს, მიხეილ შარვაშიძეს ურიგებდნენ, მაგრამ შარვაშიძემ შარი მოსდო მამამისს და დანიშნული ქალი შინ ჩაუტოვა დადიანს. მენიკის მამა ამ დარდმა თან გადაიტანა, ხოლო ანდერძით საუკეთესო სასახლე ქვაშხორში თავის ასულს დაუტოვა.

მენიკ დადიანის ორსართულიანი სასახლე, ერთ-ერთი ლამაზი შენობა იყო სამეგრელოში, მავთულხლართითა და ქვაყორით შემოღობილი დიდი ეზო, საუკეთესო ბაღით იყო დამშვენებული. სასახლე მდინარე ტეხურის პირას იდგა. ეზოში დიდი შესასვლელი იყო, და ვიდრე სასახლეში შეხვიდოდით, ერთი ვერსის მანძილზე ჭადრების დიდი ხეივანი უნდა გაგევლოთ.

სწორედ ეს სასახლე აერჩიათ დავით დადიანის მაყრიონის შესახვედრად. სამი დღე ემზადებოდნენ, წინასწარ ყველაფერი გაანგარიშებული და მოწყობილი იყო. და აი, როდესაც მაყრიონი მენიკ დადიანის სასახლეს მიუახლოვდა, ორასამდე ცხენოსანი — ჩოხაახალუხით და ქამარხანჯლით გამოწყობილი თავადები და აზნაურები შემოეგებნენ ნეფე-დედოფალს, წინ წაუძღვნენ მაყრიონს და, როდესაც ეზოში შევიდნენ, ამ ორასმა კაცმა ორასი ნაბადი გაფინა ჭადრების ხეივანში. ნეფე-დედოფალი ნაბდებზე გაატარეს. მათ წინ მიუძღოდა ოცდახუთი კაცი, რომლებიც „კუჩხა-ბედნიერს“ მღეროდნენ. ეს გუგუნი სო-

ფელს იქით, სადღაც მთებში წყდებოდა, მისი ექო კი მთელ სამეგრელოს სწვდებოდა. ეს შეხვედრა და ქეიფი განსაკუთრებული იყო, მაგრამ უფრო დიდი ზეიმი მაყრიონს ზუგდიდში, ლევან დადიანის სასახლეში ელოდა.

მენიკ დადიანის სასახლის აივანი ტეხურს გადაჰყურებდა. ეკატერინე აივანზე იდგა და სივრცეს გასცქეროდა, წვიმებისაგან ადიდებული მთის მდინარე—ტეხური ჯებირში არ ეტეოდა და ღრიალით მოედინებოდა ზღვისკენ დაქანებული. ღილა იყო. მზეს ჯერ ასხის მთა არ გადმოელახა. ტეხურის ჭალები ნისლს დაეფარა. ეს უცნაური ზოლი ნისლისა მთელ მდინარეს გასდევდა. ზღვაურმა წამოუბერა და ნისლი მთებისაკენ გადარეკა. ნისლმა ახლა ფეხაკრეფით გადაიარა ჭალები, ნაქალაქევის ნანგრევებს მისწვდა და, ვით მობალახე ცხვრის ფარა, მთებს შეეფინა, გამჭვირვალე ნისლს რაღაც ხასხასა, მოლურჯო, ცისარტყელის ფერი გასდევდა. ზღვაურმა ნისლს ნაქალაქევის მთებიც დაატოვებინა და ამ ფრიალა მოწმენდილ ცის შუქზე ნაქალაქევის ციხის კონტურები გამოჩნდა. ბოლოს ნისლმა მარტვილს გადაუარა. მარტვილის მონასტრის გუმბათი მზის სხივზე აციაფდა. ამ სურათის შემყურე დედოფალი იდგა და გაოგნებული შესცქეროდა ბუნების საოცარ სახეცვლას.

ლევან დადიანის სასახლეში კი დილიდანვე შლიდნენ სუფრას, რაკი კარგი ამინდი იდგა, სუფრა ეზოში, დიდი ცაცხვის ქვეშ გაეშალათ. ყველაფერი ისე კეთდებოდა, რომ ეს ქორწილი დიდი მთავრის შესაფერისი ყოფილიყო.

ქვაშხორიდან დავით დადიანის მაყრიონი დილიდანვე გაემართა ზუგდიდისაკენ. გზადაგზა ყვავილებით, სიმღერებით, პატივისცემითა და სალმით მიაცილებდნენ ნეფე-დედოფალს.

უკვე საღამო იყო, როდესაც სოფელ ცაიშს მიუახლოვდნენ. ცაიშიდან ზუგდიდამდის შვიდი ვერსი იქნება. მთელ გზაზე მარჯვნივ და მარცხნივ ჩირაღდნები აენთოთ. ჩირაღდნები სულ უბრალოდ იყო გაკეთებული. ჯოხის გრძელ ტარზე ჩამოცმული იყო ნავთში ამოვლებული სიმინდის გუგა. ჩირაღდნები გზის ორივე მხარეს ყოველ ათ ნაბიჯზე იყო ჩარჭობილი ზუგდიდამდის, და როცა მაყრიონი ცაიშს მიუახლოვდა, ჩირაღდნების ანთებაც დაიწყეს, ფარნებსა და მაშხალებს მთელი ქალაქი გაენათებინა. ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევდა. როდესაც

ნეფე-დედოფალი სასახლის ეზოს მიუახლოვდნენ, სამჯერ დასცალეს ზარბაზანი — მთელ ქვეყანას ამცნეს დადიანების ქორწილის ამბავი.

შიგ სასახლეში შესასვლელ ბილიკებზე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შეიარაღებული ასეული იდგა, ყველას ჩოხა-ახალუხზე საგანგებოდ სირმები ჰქონდა შემოვლებული, მკერდზე განსაკუთრებული ნიშნები ეკეთა და ხმალი ჰქონდა დაკიდებული. სასახლის ეზოს ჭიშკარი შეაღეს თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულმა მხედრებმა ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს გადაჯვარედინეს, ნეფე-დედოფალი ამ ხმლების ქვეშ გამოატარეს. მათ წინ ულამაზესი ქალ-ვაჟი მოუძღოდა და ფეხქვეშ ყვავილებს უყრიდა. ასე შეიყვანეს ნეფე-დედოფალი სასახლეში. კართან პირქვე დამხობილ თეფშს ნეფემ ფეხი დაჰკრა და დაფშვნა. ამ დროს მაგიდაზე მდგარ ღვინით სავსე ჭიქაზე ანიშნა ჩიჩუას ქალმა ეკატერინეს და ყურში ჩასჩურჩულა: „მაგ ჭიქას ხელი უნდა ჰკრაო“.

ეკატერინემაც ხელი ჰკრა ჭიქას და თეთრი ღვინო იატაკზე დაიღვარა. კარს რომ მიადგნენ, ნეფე-დედოფალს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შვიდი წლის ბიჭი შემოხვდა და პატარძალს ღომის მარცვლით სავსე ჯამი ხელში შეაჩეჩა. ახლა აქაც ჩასჩურჩულა ჩიჩუას ქალმა დედოფალს: „ჯამში ხელი ჩაყავი და მარცვალი დარბაზში მოაბნიე“.

ეკატერინე აბნევდა მარცვალს... ნეფე-დედოფალი უვლიდა დარბაზს გარშემო. მაყრიონი უკან მისდევდა მათ და „კუჩხაბედნიერს“ გუგუნებდა. ნეფე და დედოფალი შუა დარბაზში დასხეს. პატარძალს ცხელი ხაჭაპური მიაწოდეს, კალთაში კი პატარა ბიჭუნა ჩაუგორეს. ლევანი მიეჭრა პატარძალს, გადაკოცნა და დალოცა: „ბედნიერი იყოს ფეხი თქვენი ჩვენს ოჯახში“. ერთმა მაყარმა პატარძალს ხაჭაპური ხელიდან აართვა და ნატეხები სტუმარმაყარს დაურიგა. მერე დარბაზიდან გარეთ გამოვიდნენ და ეს მოწვეული ოთხასამდე სტუმარი და მაყრიონი ეზოში გამართულ დიდ სეფას გარს შემოუსხდა.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა, სიმღერას სიმღერა, ჩონგურს — ხმაშეწყობილი შაირები. გულის დამწველად მღეროდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ამ სიმღერებს გაბმული ფერხული მოჰყვა. ფერხულში ორი

დიდი გუნდი მონაწილეობდა. მერე პატარძალი გაიწვიეს საცეკვაოდ. ეკატერინე ნაზად, მორცხვად ეცეკვებოდა დადიანს და ეზოში, დიდი ცაცხვის ძირას, სტუმარ-მასპინძლები სულგანაბული შესცქეროდნენ მათს გოგმანს.

ეს დიდებული, მომხიბვლელი, ლამაზი, ნამდვილად მეფის საფერი ქორწილი იყო. მარტო ასამდე ფეხზე დამდგარი მერიქიფე უსხამდა ღვინოს მაყრიონს, ამდენივე სანოვაგის მოტანას ძლივს ართმევდა თავს.

თამადა არ აურჩევიათ. თვითონ მამამ ლევან დადიანმა ინება თამადობა და აბა ვინ აღუდგებოდა მის სურვილს, მით უმეტეს, ლევანის თამადობა მთელ საქართველოში იყო ცნობილი.

წესისამებრ, პირველი სადღეგრძელო ნეფე-დედოფლისა შეისვა. ლევან დადიანმა გულით დალოცა თავისი შვილი და რძალი. მათ დღეგრძელობა და ბედნიერება უსურვა და თან დასძინა:

„კეთილი იყოს ჩვენს ოჯახში ჭავჭავაძიანთ ასულის ფეხი. გამრავლდეს დადიანების ოჯახი, ხუთი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი ეყოლოთ დავითსა და ეკატერინეს. მე ახლა უკვე მოვხუცდი, სიბერე მჭირს, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ჭირზე უფრო დიდი ჭირი, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი შვილი დავითი მამის სახელს, დადიანის სახელს, ჩვენს ქვეყანას და ჩვენს სამთავროს არ შეარცხვენს. ეს მე ნუგეშად წამყვება იმ ქვეყანაში. და დღეს, როდესაც ასეთი შესანიშნავი რძალი შეემატა ჩემს ოჯახს, მე უფრო მჯერა, რომ ჩემი ოჯახი ბედნიერი იქნება“.

მივიდა, ჯერ ეკატერინეს ეამბორა შუბლზე, შემდეგ შვილი გადაკოცნა და დიდი ყანწი ბოლომდე დაცალა. და დაიწყო გაბმული ლხინი...

თენდებოდა. ნისლში გაცრეცილ სინათლეზე სუფრას ღვინის ოხშივარი ასდიოდა. გადაბმულ ქეიფსა და ლხინს ბოლო აღარ უჩანდა... დადიანი ფეხზე წამოდგა. სუფრა გაისუსა. თამადამ ბრძანა: „ჩვენში ასეთი წესია, ქალის მომყოლ მაყრიონს ბეგარად ადევს: სანამ თამადის სადღეგრძელო დაილეოდეს, ხიდან თოფით ჩამოაგდოს ფრთოსანი და დაკლული თამადას მიართვას. ფრთოსანს გაპუტავენ, შეწვავენ და ნეფე-დედოფლის სახელით თამადა ისევ მაყარს მიართმევს.

სანამ ფრთოსანი ხეზეა, ეს წესი უნდა შესრულდეს. აბა, ვის სურს მაყრის მოვალეობა შეასრულოს? — იკითხა თამადამ.

ეკატერინეს მაყრიონს გრუზათმიანი ყმაწვილი კაცი გამოეყო და ფრთხილად გავიდა ეზოში. მას თან გაჰყვა დავითის უმცროსი ძმა კონსტანტინე. იქვე ახლოს ხურმის დიდი ხე იდგა. ხე ქათმებით იყო დახუნძლული. ხის მაღალ წვეროზე დიდი მამალი იჯდა. სწორედ ამ მამალს დაუმიზნა ყმაწვილმა კაცმა, ესროლა და ძირს ჩამოაგდო. სულმოუთქმელად დასტაცა ხელი და აფართქალებული მამალი თამადას ფეხქვეშ დაუდო.

ატყდა ერთი ყიჟინა, ხმამაღალი შეძახილები. ისევ გამხიარულდა სუფრა. ისევ გაგრძელდა სმა.

ქორწილი თავდებოდა, და ისევ ფხიზელი იყო კახელების მაყარი. ქეიფის მოყვარულ დადიანს ეს არაფრად ეჭაშნიკა და მეგრულად ჩაილაპარაკა, არ თქმულა ქორწილიდან მაყარი ფხიზელი ადგესო. ესა თქვა და სუფრაზე უმალვე გაჩნდა მისი საყვარელი დიდი კულა. ეს სასმისი მაშინ შემოჰქონდათ ხოლმე დადიანის სუფრაზე, როდესაც ყველას სადღეგრძელო დაილეოდა. ამ კულის დალევა კი ყველას როდი შეეძლო. ცნობილი მსმელები ძლივს ახერხებდნენ მის გამოცლას, და ახლა ეს დიდი კულა დადიანმა იმიტომ მოაყენა სუფრას, რომ დაეთრო შეჯიბრებაში გამოწვეული ეკატერინეს მაყარი.

კულას თან მოჰყვა მომღერლების ჯგუფი. მერიქიფემ გაავსო კულა და სახლთუხუცესმა იგი თამადას მიართვა. დადიანმა ჩამოართვა კულა, კახელების მაყრის სადღეგრძელო თქვა და ეს სავსე კულა პირზე მიიყუდა. მომღერლებმა სიმღერა დასცხეს:

ჰოო, ოლური, კულარე!
ჰოო, ოლური, კულარე!
კულათ ღვინს მით გეშუნს,
კოჩი თინარე!
კულათ ღვინს მით გეშუნს!
კოჩი თინარე!

ჰოი, წასვლისა, კულავ!
ჰოი, წასვლისა, კულავ!
ამ კულით ღვინოს ვინც შესვამს,

კაციც ის არის!
ამ კულით ღვინოს ვინც შესვამს,
კაციც ის არის!

სიმღერაში დადიანმა კულა შესვა და გულბათ ჭავჭავაძეს გადაულოცა. გულბათმაც სულმოუთქმელად გამოცალა. მერე რომელიღაც ჩიქოვანს გადააწოდა, ჩიქოვანმა კი — ისევ ჭავ-ჭავაძის მაყარს. ერთი მაყარი შებორძიკდა და აჰ დროს ისევ მიაშველეს სიმღერა:

ჰოო, ოლური, კულარე!
ჰოო, ოლური, კულარე!
კულათ ღვინს მით ვაშუნს,
თელო ღურარე!
კულათ ღვინს მით ვაშუნს
თელო ღურარე!

ჰოი, წასვლისა, კულავ!
ჰოი, წასვლისა, კულავ!
ამ კულით ღვინოს ვინც ვერ შესვამს,
ცოცხლად მკვდარია!
ამ კულით ღვინოს ვინც ვერ შესვამს,
ცოცხლად მკვდარია!

ასეთი მიმღერებით გამოაცლევინა დადიანმა ყოველ მა-ყარს ეს დიდი კულა და, როცა დარწმუნდა, რომ უკვე მეტის დალევა აღარავის შეეძლო, ისევ გაავსო კულა და კვლავ დაილოცა, ისევ დალია, მაგრამ მისი გამომრთმევი და გამო-მცლელი არავინ აღმოჩნდა.

ო, რარიგად გაიხარა მაშინ ღვინის სმაში განთქმულმა და-დიანმა.

ეკატერინე ჭავჭავაძის მაყრიონი მხოლოდ მეოთხე დღეს წამოვიდა თბილისს. თავისიანების გამოთხოვების ჟამს კიდევ ერთხელ დასწყდა გული ეკატერინეს. მართალია, იგი მოხი-ბლული იყო ნახულითა და მოსმენილით, დიდად ახარებდა რაც ხდებოდა მის გარშემო, მაგრამ როდესაც ახლობლებმა დატოვეს, ცრემლები წამოსცვივდა.

ოდიშის სიგელი

ქორწილის შემდეგ ოცდოდე დღე გავიდა და დავითს თბილისიდან სტუმრები ჩამოუვიდა. ეს საქართველოს ეგზარხოსისა და მეფის ნაცვლის საგანგებო კომისია იყო, რომელსაც სამეგრელოში სასულიერო სასწავლებელთა მდგომარეობა უნდა შეესწავლა. ამ რუსებს შორის ერთმა ქართული ჩინებულად იცოდა, დედა ქართველი ჰყავდა. დავითმა პატივისცემით მიიღო სტუმრები. საუბარში გამოირკვა, რომ მათ, პირველ რიგში, მარტვილის სასულიერო სასწავლებლის გაცნობა აინტერესებდათ: ეს ყველაზე დიდი სასულიერო სასწავლებელი იყო სამეგრელოში. იმ საღამოს ვახშამზე გადაწყდა, მეორე დღესვე გამგზავრებულიყვნენ მარტვილს. ეკატერინე შეწუხდა, არ უნდოდა ახლად დაქორწინებულ დედოფალს თუნდაც ერთი დღე გაეტარებინა უდავითოდ. დავითმა შეატყო ეს და ღიმილით უთხრა: ხვალ შენც ჩვენთან ერთად წამოხვალო.

მეორე დღეს ადრიანად გაემგზავრნენ. დავითი და ეკატერინე ეტლში ჩასხდნენ. სტუმრები მეორე ეტლში ჩასხეს, ხოლო მარქაფად თხუთმეტი ცხენოსანი თან წამოიყვანეს; ნაქალაქევის შემდეგ გზა ცუდი იყო და შეიძლებოდა ეტლს ვერც კი აეღწია მარტვილამდე. როდესაც ძველ სენაკს მიუახლოვდნენ, გაწვიმდა. ეტლები შეაჩერეს და გადაწყდა, ღამე ტარიელ დადიანის სახლში გაეთიათ. დადიანმა დიდი ზეიმით მიიღო ბიძაშვილი, სულით და გულით მიულოცა ნეფე-დედოფალს გაბედნიერება.

ეკატერინე დაღლილი იყო და მაშინვე საწოლს მიაშურა. კაცები სუფრას მოუსხდნენ და ღრეობა შუაღამემდე გაგრძელდა.

ეკატერინეს რიყრაეზე გაეღვიძა. ადგა. გარეთ გამოვიდა, ეზოში გაიარა. წვიმას უკვე გადაეღო.

ზღვისპირეთიდან დაძრული ლეგა ღრუბლები ასხისა და ტაბაკონას მთებს შორის გაჩხირულიყო. ცილიდან ამოვარდნილ ძლიერ ზღვაურს ეს საწვიმარი ღრუბლები მთებამდე მიერეკა, მაგრამ ზაფხულ-ზამთარ თოვლით დაფარული ასხის მთებისათვის მაინც ვერ გადაეცილებინა. სქლად მიჯრილი ღრუბლები იქ თავდებოდა, სადაც თოვლით დაფარული ასხის მწვერვალები იწყებოდა. პირისპირ მდგარი ტაბაკონას და

ასხის დიდი ხეობა ღრუბლებს ამოევსო. კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს მოქიშპე მთები ღრუბლებისა და თოვლის ერთიან ველად გაერთიანებულიყო. ეკატერინე უყურებდა ამ სურათს და კახეთის თოვლით დაფარული მთები აგონდებოდა, მათ შორის რაღაც ნათესაურს, მსგავსს და ახლობელს პოულობდა...

თუმცა დავითი და მისი თანამგზავრები გვიან დაწვნენ, დილით მაინც ადრე ადგნენ. დიდი მანძილი არ იყო გასავლელი, მაგრამ ისინი მაინც ეშურებოდნენ.

ძველი სენაკიდან მარტვილამდე ფართო შარაგზა იყო. ამ გზას ნაქალაქევთან მდინარე ტეხური სჭრიდა. ტეხურზე პატარა ხის ბოგირი იყო. ეს ბოგირი იქ გაედოთ, სადაც მდინარე ყველაზე ვიწროა. სწორედ ეს ვიწრო ადგილი აერთებდა ნაქალაქევის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს, სენაკისაკენ. მარჯვენა მხარეს, სამიოდე დუქანი იყო, ხოლო მარცხენა მხარეს— ძველთაძველი ნაქალაქარი. როცა ბოგირს მიადგნენ, ჩამოქვეითდნენ, ეტლები წინ გაუშვეს და თვითონ ფეხით მიჰყვნენ. ბოგირს გასცილდნენ თუ არა, დავითმა გააცნო ამ ისტორიული ადგილის ამბავი. უთხრა, ამ ქალაქს ძველად ეასი რქმევია, ასე აქვსო ჰეროდოტეს მოხსენიებული, მეორე ბერძენი— სტრაბონი არქეოპოლისს უწოდებსო.

ეს კოლხეთის სატახტო ქალაქი ყოფილა, რომელსაც პირველად ეწვივნენ არგონავტები, სტეფანე ბიზანტიელს მოხსენიებული აქვს „ეა —კოლხიდელების ქალაქიო". შემდეგ ამ ციხე-ქალაქისათვის არქეოპოლისი შეურქმევიათ. პროკოფ კესარიელი ამბობს, მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში არქეოპოლისი არისო. მთების ფერდობზე გაშენებული ქალაქი, მართლაც, რომ დიდებული ბუნებრივი სიმაგრეებით იყო დაცული —მდინარე ტეხურითა და მთებით.

საუბრით გართულნი ციხე-სიმაგრის კედლებს მიადგნენ. ციხე-სიმაგრის კედლებს შუა ქვიტკირით გადახურული გვირაბი გაიარეს.

წინათ ციხე-სიმაგრის შესასვლელთან ჩრდილოეთის კარი იყო, ახლა სუროთი შემოსილი ეს კარი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა თითქოს ამ ციხე-სიმაგრის ერთადერთი შესასვლელი ყოფილიყოს. აქ შეჩერდა დავით დადიანი, ხელი გაიშვირა

ციხე-სიმაგრისაკენ და ასე განმარტა, ოდესღაც აქ ცხოვრება დუღდა, ვის არ შეხვდებოდით ციხის ამ კარიბჭესთან, ფინიკიელს თუ ბიზანტიელს, ბერძენს თუ არაბს. ახლა სრულ მდუმარებას მოუცავს კოლხეთის ეს დიდებული ქალაქი. ეჰ, ვინ გაიგებს ამ ცხოვრების უკუღმართ განაჩენს...

— მინდა ეხლა აქ არქეოლოგიური გათხრები დავაწყებინო, არ შეიძლება რამე დიდი და მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდეს...

ნაქალაქევის გვირაბს გასცდნენ და ისევ ეტლში ჩასხდნენ. უკვე საღამო ხანი იყო, როცა მარტვილში ჩავიდნენ.

მარტვილში ძვირფასი სტუმრები დიდი პატივისცემით მიიღეს: მონასტრის მოედანზე გავიდნენ და თვალწინ არაჩვეულებრივი სანახაობა გადაეშალათ. მონასტრიდან მთელი სამეგრელო და იმერეთი ხელისგულივით მოჩანდა. შავი ზღვიდან ლიხის მთამდე გაჭიმული ვეებერთელა კოლხეთის ველი, ჩამავალი მზის სხივებით დაფერილი, მომხიბლავად ლივლივებდა.

— ეს მონასტერი —მარტვილი, —აუხსნა დავით დადიანმა სტუმრებს, —მეათე თუ მეთერთმეტე საუკუნეში, ისევ გადაუკეთებიათ. ქართველთა ყველა დიდი საეკლესიო დღესასწაული აქ სრულდებოდა. შემდეგ ეს წმინდა ადგილი გაუხდიათ მეფეთა და დიდებულთა საკრძალ სავანედ, —დასძინა დავითმა და სათითაოდ ჩამოუთვალა ყველა დიდებული, რომელიც მარტვილის მონასტრის დარბაზში თუ გალავანში იყო დასაფლავებული. ამას საქართველოს ძველი ამბავი მოაყოლა და ასე მასლაათით შევიდნენ ისინი მონასტრის ძველ სენაკს მიშენებულ ჭყონდიდელის საცხოვრებელ სახლში, სადაც სუფრა გაეშალათ სტუმრებისათვის.

ვახშამს საქმიანი საუბარი მოჰყვა. ამბავს დავით დადიანი ჰყვებოდა.

— ქართველ ერს ერთ მთლიან ეროვნულ სხეულად ქრისტიანობიდანვე აერთიანებდა სარწმუნოება და ენა. საქართველოს დალოცვილ მიწაზე ქართველთა ეროვნული შენობა ამ ორ დედაბოძზე აშენდა. ყოველ მტერსა და ავის მდომელს ამ ორი ბოძის მოშლა სურდა. ყოველი დამპყრობელი ჩვენს გადარჯულებას, სარწმუნოების შეცვლასა და ენის წართმევას

ლამობდა, და ამ საქმეში ბევრი იმითაც სარგებლობდა, რომ ქართველ ტომებს განსხვავებული კილოკავი ჰქონდათ. ძმათა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად მტრები ამ განსხვავებას აზვიადებდნენ, ერთმანეთის წაკიდების საშუალებად იყენებდნენ. მაგრამ ხალხი არ ცდებოდა და დედაშვილობის დუღაბი მთელ საქართველოს ერთ სხეულად აკავშირებდა. თუმცა სპარსელები ცდილობდნენ საქართველოსათვის ქართლ-კახეთი მოეგლიჯათ, თურქებს სურდათ სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, გურია, აჭარა თუ აფხაზეთი ჩამოეცილებინათ, მაგრამ ყველა ეს ცდა იფუშებოდა, მარცხდებოდა. და აი ახლა ზოგიერთს კვლავ განუზრახავს საქართველო ცალ-ცალკე დაყოს და ასე დაყოფილზე იბატონოს.

დავითმა შეისვენა, ერთი ამოისუნთქა, შემდეგ შეჩერდა, ნახა, რომ ერთ რუს სტუმარს ღვინო მოჰკიდებოდა და ძილი ერეოდა. მაშინვე ბრძანა მისთვის ლოგინი გაეშალათ. როცა რუსი სტუმარი გაიყვანეს, დავითმა საუბარი ისევ განაახლა. ლაპარაკი ისევ მარტვილზე ჩამოაგდო.

— მე უკვე ვიცი თქვენი მობრძანების მიზეზი, და ვიდრე თქვენ დამიწყებდეთ ამ საქმეზე საუბარს, მსურს ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ, თქვენ იცით, რომ პაპაჩემმა, გრიგოლ დადიანმა, ერეკლეს კვალზე თავათ მოიწვია აქ რუსები და ისურვა მათთან მეგობრობა. ჩვენ, ქართველებს ეს მეგობრობა გვჭირდება. იგი დაგვიცავს თურქებისა და სპარსელებისაგან. ერთმორწმუნე რუსებსა და ქართველებს აბა, რა გვაქვს სადავო! ჩვენს მონასტერს — მარტვილს რამდენიმე რუსი შეეკედლა. ისინი ქართველებთან ერთად ლოცულობენ, მათთან ერთად სჭამენ და სვამენ, განუყოფელი ძმობა და მეგობრობა აქვთ. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ძმობას და მეგობრობას, მაგრამ ახლა ზოგიერთ ავისმზრახველსა და ჩვენი ძმობის მტერს განუზრახავს ჩვენს ბავშვებს ქართულ ენაზე სწავლის უფლება წაართვან და რუსულ ენაზე ასწავლონ. არ გამოვა ეს, ჩვენო კეთილებო, ყველა ჩვენი მეგობარი წინ აღუდგება ამ განზრახვას, თვით რუსი მეცნიერები იმას ამტკიცებენ, ბავშვები თავიანთ დედაენაზე უნდა იზრდებოდნენ, თუ არ გვსურს ისინი სულით დავამახინჯოთო. მე მგონია, ახლა თვით რუსი მოხელეებიც მიხვდნენ, რომ შეუძლებე-

ლია ქართველი ტომების ერთმანეთთან გადაკიდება, იმ მოტივით, რომ ზოგიერთ ამ ტომს სხვა კილოკავი აქვს; უნდა მიხვდნენ, რომ ეს შეუძლებელია, და მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველოს სხვადასხვა ტომებს სარწმუნოებრივი ტრადიცია აერთიანებს, არამედ თვითონაც დაინახეს: მეგრულსა და ქართულს შორის როდია ისეთი განსხვავება, რომ მათი გათიშვის საბაბად გამოდგეს. ერთ დიდ რუს ჩინოვნიკს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა სამეგრელოში, მამაჩემთან — ლევან ბატონთან საუბარში ასე უთქვამს:

„ჩემდა საბედნიეროდ, სამეგრელოში სამსახური რომ დავიწყე, ქართული, როგორც ვთქვი, უკვე მესმოდა და აქ კი მეგრული უნდა შემესწავლა, რომელიც გამოთქმით განსხვავდება ქართულისაგან. ჩემი ყური ცოტ-ცოტა მეგრულსაც შეეჩვია, თანდათან მესმოდა. სულ მალე უთარჯიმანოდ ვბედავდი ლაპარაკს“.

ყოველივე ამის შემდეგ მაოცებს იმათი სურვილი, ვისაც საქართველოს ცალკე ტომების გათიშვა სურს. ის რუსი მეგობარი, რომელიც ეხლა ტკბილად ხვრინავს, გუშინ მიმტკიცებდა, აბა, რატომ უნდა იყოთ მეგრელები წინააღმდეგნი თქვენს სკოლებში სწავლა რუსულად შემოიღონო, თქვენ ხომ ქართველები არა ხართო. კინაღამ სილა გავაწანი ამ უცოდინარ კაცს. როგორც ჩანს, მან არ იცის კარგად ჩვენი ისტორია. მიხარია, რომ ჩვენს საუბარს არ ესწრება. ხვალ მას უფრო სხვანაირად მოველაპარაკები. თქვენ მაინც გამიგებთ, რომ მე ვერ დავუშვერ მხარს ჩვენი დაწესებულებებისა, და მათ შორის, ეკლესიისა და სკოლების გარუსებას. მე მგონია, რუსები ამისათვის არ მოგვიწვევია საქართველოში, ჩვენ გარუსება კი არ გთხოვეთ, არამედ —დახმარება და მხარდაჭერა, ძმობა და მეგობრობა გამოგიცხადეთ. მონობა და გადაგვარება რომ გვინდოდეს, მაშინ გვერჩია გავთურქებულიყავით, რადგან თურქეთი უფრო ახლოა ჩვენთან, ვიდრე რუსეთი“.

დავითმა ეს თქვა და გაჩუმდა, ცოტა ღვინო მოსვა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— თქვენ, ალბათ, გითხრეს, რომ სამეგრელოს საშუალო სკოლებში სწავლება ქართულ ენაზეა. ბევრი მოწინააღმდეგე

გამოუხტა ამ საქმეს. ახლა სასულიერო სკოლას მიადგნენ ჩვენი მტრები, მაგრამ არც ეს გამოუვათ.

რუსმა თვალები დააფახულა, ზეასწია, ირიბად შეხედა მოსაუბრეს, მაგრამ თვალი თვალში ვერ გაუსწორა და ჩაილუღლუღა.

„თქვენ გავიწყდებათ რუსეთის იმპერატორის კეთილი განზრახვა. აბა, მოიგონეთ, რა დღე დააყენა ინგლისმა ინდოეთს, ჩინეთს, იქ ყველაფერი ისე დატოვა, როგორც იყო. ინგლისი ვაჭრობს და ინდოეთისა და ჩინეთის ეკონომიური დოვლათი აინტერესებს მხოლოდ. ჩვენ კი, პირიქით, გვინდა დავეხმაროთ ჩვენს მოძმე ქართველებს. აი, მოიგონეთ თქვენი თანამემამულე ციციანოვი. იგი ქართველი თავადიშვილი იყო, რუსულად აღიზარდა და, აი, მას მთელი კავკასიის მმართველობა ჩააბარეს. ასე მოკექცევით ყველას, ვინც დაიმსახურებს. ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი თავადაზნაურობა გვერდში ამოუდგება რუსეთის მეფეს. ამისათვის კი საჭიროა რუსული ენის ცოდნა, ურუსულოდ ახლა ვერაფერს გახდება ქართველი კაცი, მას მხოლოდ რუსული ენის მეშვეობით შეუძლია გაიკვლიოს გზა მომავლისა“.

ისე აღტაცებით ლაპარაკობდა ამას ეს ქართულის მცოდნე რუსი, რომ დავითს შეჯავრდა იგი. ფეხზე ადგა და ამით ანიშნა, ჩვენ შორის საუბარი დამთავრდაო, მაგრამ ვერ მოითმინა, ისევ დაჯდა და სიტყვა გააგრძელა:

— არა, ჩემო კეთილო, ჩვენთვის სულერთი არ არის. ჩვენი ბავშვები ქართულად აღიზრდებიან, თუ რუსულად. ალბათ, თქვენ არ გაგიგონიათ ჩვენი წინაპარი, ცოტნე დადიანი. იგი სულ ახლად დაქორწინებული იყო, როდესაც გაიგო, რომ ქართველებს მტერი შემოესია, ქვეყანა ააოხრა და ერის მეთაურები ტყვედ წაიყვანა. ცოტნემ ახლად შერთული ცოლი დატოვა, თავის ძმებთან —ქართველებთან გაეშურა და ყველას დაუმტკიცა, რომ ქართლის ჭირი, მეგრელების ჭირიც არის, ისევე, როგორც კახელებისა და იმერლების. ჩვენს წინაპრებს ამ შეგნებით უცხოვრიათ და აბა, ჩვენ როგორ გადავუდგებით ჩვენს რჯულსა და ტრადიციას, წინაპართა ჩვეულებასა და ადათს.

დავითი ისევ ადგა.

ახლა ქართულის მცოდნე რუსმა მოუჭრა დავითს:

— თქვენთვის ვამბობ, თორემ მე ქართულიც ვიცი და რუსულიც, და ვხედავ, რამდენად საჭიროა რუსული და რამდენად აღარ მჭირდება ეს ქართული".

ახლა კი გაჯავრდა დავითი:

— პირდაპირ უნდა გითხრათ, ეს იმას უდრის, რომ მითხრათ ქრისტიანული სარწმუნოება მაჰმადის რჯულზე გავცვალო. თქვენ, მართალია, დედით ქართველი ხართ, მაგრამ, როგორც ჩანს, არ დაინტერესებულხართ საქართველოს ისტორიით: ჩვენ კავშირი დიდ საქართველოსთან არასოდეს გაგვიწყვეტია, თვით იმ შავბედითობის დროსაც, რომელიც საქართველოს მონგოლთა შემოსევის შემდეგ დაატყდა თავს. აი ამის ერთი გვიანდელი საბუთიც.

დადიანმა ოსიძეს უბრძანა, ანტონ ჭყონდიდელის ხელნაწერი მოერთმია და ვიდრე მოართმევდნენ, სტუმარს დაწვრილებით უამბო ჭყონდიდელის ამბავი. უთხრა, რომ ანტონ ჭყონდიდელი მისი პაპის პაპის ოტია დადიანის შვილი, ე. ი. კაცია დადიანის ძმა იყო, რომ ჩინებულმა დედამ ჩინებულად შეასწავლა მას სამღვთო წერილი და სხვათა შორის თურქული ენაც. შემდეგ ანტონი ბერად შემდგარა და საეკლესიო განათლების მისაღებად ძმას თბილისში ბიძამისთან —ერეკლე მეორესთან წარუგზავნია, ერეკლეს ცოლად ჰყოლია ანტონის მამიდა დარეჯანი. თბილისიდან ის თელავს გადასულა და იქ ვიღაცა ფილიპეს მოწაფე გამხდარა. სამეგრელოში დაბრუნებულს 1761 წელს, ცაგარელ-ჭყონდიდელის ტიტულით ჭყონდიდის კათედრა ჩაუბარებია. მარტვილის ჭყონდიდის კათედრას, თურმე, იგი 1788 წლამდე განაგებდა. მერე უბრალო ბერად შემდგარა და აი, აქვე, მარტვილის მონასტრის მარჯვნივ, ნახარებავოს მონასტერი აუშენებია, იქ დაუმკვიდრებია მუდმივი ბინა და მრავალი მნიშვნელოვანი რამ დაუწერია. შემდეგ იქვე, ნახარებავოს მონასტერშივე დაუსაფლავებიათ.

დავით დადიანს ჭყონდიდელის თხზულებები ოსიძემ სწორედ ამ დროს მოართვა. დადიანმა გადაშალა ხელნაწერი და წაიკითხა:

„ და მოუწოდე მასვე მღვდელსა ჰარმანთასა ფილიპეს, რათა ჯერ ჩინებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემის სამეგრელოი-

სა და თაკუერისა და მპყრობელისა. დადიანისა. კაციანისითა. დავიწყოთ გარდამოცემათ ესრეთ, რამეთუ იგი მღვდელი ჰარმანითა გარდამოსცემდა ჰარმანულთაგან, ენათა ჩვენსა ზედა ენასა, რაიოდენაცა ძალედვა, და მეცა შეძლებისამებრ ჩვენსა ზედა ენასა, ვითარცა აწ იხილვების... გარდამოღებაი ვყავ ენასა ზედა ჩუენსა დიდისა სხოლაპეტისა ჰარმანთა მღვდლისა ფილიპეს მიერ რომელი გარდმოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა უბრწყინვალესისა საქართველოს ირაკლი მეორის მეფისაითა, ხოლო წიგნი ღვთისმეტყველებითი ბრძნისა ალფერდისი და წინამდებარე ესე ლოღიკა დიდი გარდამოვეც მე ამის ფილიპეს მიერვე ბრძანებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, დადიანისა კაციას მიერ".

ლოღიკა ესე სამი ნაწილისაგან შედგებოდა: „1) სიტყვასა მყოფისათვის, რომელი სჩურეტს პირველსა გონებისა მოქმედებასა. 2) სიტყვასა მყოფისათვის, რომელი სჩურეტს გონებისა მეორესა მოქმედებასა 3) სიტყვასა მყოფისათვის, რომელი არს წარმმართებელ მესამე გონების მოქმედებისა ანუ ჴელხებისათვის".

— ბატონებო, —თქვა დადიანმა — თქვენს ყურადღებას მარტო იმას კი არ მივაქცევ, რომ ანტონ ჭყონდიდელის მიერ დაწერილი ეს ლოგიკის სახელმძღვანელო ჩვენთვის საყურადღებოა, არამედ იმ გარემოებასაც, რომ როცა ასი წლის წინათ საქართველო სამთავროებად იყო დაყოფილი და ერეკლე ქართლ-კახეთის მეფე იყო, ჩვენი ჭყონდიდელი მას იხსენიებს, როგორც საქართველოს ბრწყინვალე მეფეს, კაცია დადიანს კი —როგორც დიდ მთავარს. მე მინდა ვთქვა, რომ არავითარ შავბედითობითს მოქცევას ჩვენის ქვეყნისას არ შეეძლო საქართველოს განუყოფლობისა და ერთიანობის მტკიცე ბურჯი შეერყია. ვერც ეხლა მოშლის ვერავინ ამ ერთიანობის გრძნობას. ქართველი კაცის გულში ასე ღრმად ჩანერგილს!

სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო რომ ვთქვათ, ეს ცოტაა. სამეგრელო საქართველოა და ჩვენთვის ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო გადაწყვეტილი, როცა წარმართები ვიყავით. მცხეთაში —არმაზში და სამეგრელოში, ჭყონდიდში, ერთნაირი სალოცავი გვქონდა და მეგრელი ისევე ლოცულობდა არმაზში, როგორც ქართელი ჭყონდიდში. დიახ, მეგრე-

ლები არმაზში ლოცულობდნენ, ქართლელები და კახელები კიდევ —ჭყონდიდში.

როცა ქრისტიანული სარწმუნოება მივიღეთ, ორივენი — ქართლელები და მეგრელები ბერძნულად ვწირავდით და ვლოცულობდით. შემდეგ, როცა —ქართლელებმა წირვა-ლოცვა ქართულად შემოიღეს, ჩვენ მაშინვე მათს კვალს მივყევით. აბა რა გვრჯიდა ჩვენ, ხალხი უკვე შეჩვეული იყო ბერძნულად ლოცვას და, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მეგრულიც განსხვავებული იყო ქართულისაგან, მაგრამ წირვა-ლოცვა ქართლის კვალობაზე, ქართულად შემოვიღეთ! და ეს იმიტომ, რომ ჩვენ განუყრელი ერთი დედის შვილები ვართ.

შემდეგ ჩვენს მონასტრებში და სკოლებშიაც სწავლება ქართულად წარმოებდა. რვა საუკუნეა მარტვილის მონასტერში ჩვენი ბავშვები ქართულად სწავლობენ და თქვენ ეხლა გინდათ ეს რუსულად გადააკეთოთ. არა, ეს არ მოხდება! ეს ეწინააღმდეგება ჩვენს რჯულს, ადათს, წესსა და სურვილს. თქვენ ალბათ არც ის გეცოდინებათ, რომ მარტვილის მონასტერშიც და ზუგდიდშიც ისევე ეწეოდნენ ქართული ენისა და ქართული მწერლობის ტვირთს, როგორც ქართლსა და კახეთში. აი ჩვენ დავბრუნდებით ზუგდიდში და მე გაჩვენებთ ჩემი პაპისპაპის ლევან დადიანის ბრძანებით გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“. ნახეთ რა დიდი სიყვარულით არის იგი შესრულებული! დიახ, მთელი სულია ჩატანებული ამ საქმეში! ჩვენ, ყველა ქართველ ტომს ეს ქართული სული გვაერთიანებს და არ არის დედამიწის ზურგზე ძალა, რომელსაც შეეძლოს მოშალოს ჩვენი ერთიანობა. და თუ თქვენ მხოლოდ ამისთვის ხართ ჩამოსული, გთხოვთ ეს კამათი ამით დავამთავროთ და ისევ ლხინს შევუდგეთ. ხოლო ზუგდიდს რომ დავბრუნდებით, კიდევ ერთ საბუთს გაჩვენებთ, მას ჰქვია „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისსა 1790 წელს“. ამ ისტორიულ დოკუმენტებში, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, როცა ერეკლემ გიორგიევსკში დადებული ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთა, კატეგორიულად არის განცხადებული, „რომ ჩვენ ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები და გურულები ვართ ძენი ერთი

ეკლესიისაგან შობილნი, ერთი ენის მქონებელნი, სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთაშორის და საუკუნოდ აღუთქვამთ პირობას არასოდეს არ ვუღალატოთ ამ კავშირს, რათა არა გაყოფილ იქნას საუკუნოდ ერნი: ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიასა ზედა მიწერითა და რათა მგზავსად ქართლ-კახეთისა მთელი ივერია იყოს მიწერილი იმპერიასა ზედა რუსეთისა".

ამ სიგელს ოდიშის სახელით პაპაჩემი გრიგოლ დადიანი აწერდა ხელს ერეკლესთან, სოლომონთან და სვიმონ გურიელთან ერთად. ეს ისტორიული დოკუმენტია. შეიქმნა თუ არა საფრთხე საქართველოს დანაწევრებისა, ცალ-ცალკე მეთაურები საქართველოსი, მაშინვე ერთად შეიყარნენ, ერთი მთლიანი საქართველოსათვის პირობა შეკრეს და ამ ერთიანობის პირობას არც არასოდეს ვუღალატებთო. ეს დოკუმენტი მაშინ შედგა, როდესაც საქართველო დანაწევრებული, დაყოფილი იყო, და, მაშინდელი ავბედითობის გამო, ქართველები, შინაურ და საგარეო საქმიანობაში ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. აი, ამ ვითარებაში ასე მოიქცნენ ისინი. და ეხლა რა უფლება მაქვს მე, დავით დადიანს, საქართველოს მთლიანობას არ დავუჭირო მხარი. კარგად ჩავიხედოთ ამ დოკუმენტში, დავაკვირდეთ ამ სიტყვებს: „ერთი ეკლესიისაგან შობილნი, ერთისა ენის მქონებელნი, ერთი სისხლითა შეკრულნი". აი რა არის საგულისხმო, აი, რა არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებმა...

მარტვილის სამრევლო ძველთაძველი სასულიერო-სასკოლო კერა 1830 წელს სასულიერო სასწავლებლად გადააკეთეს. ამ სასწავლებლის ზედამხედველი მაშინ დიდი რუსიფიკატორი დეკანოზი რომანოზ ბორისოვი იყო. ეს კაცი დიდად ავიწროებდა ქართული ენის მასწავლებელს ივანე ჭიჭინაძეს. ძნელი იყო მარტვილში სწავლა. მოსწავლეები ადვილად ვერ ითვისებდნენ რუსულს. ამიტომ განსაკუთრებით უყვარდათ ქართული ენა და ქართულის მასწავლებელი. ერთხელ ისიც მოხდა, რომ სამი მოწაფე —აფაქიძე, ფალავა და გეგეჭკორი დეკანოზ რომანოზ ბორისოვისაგან შევიწროებულნი, რომელთაც ვერ ისწავლეს კარგად რუსული ენა, —სასწავლებლიდან გაიპარნენ, სკოლა დასტოვეს. დეკანოზი ბორისოვი იძულებული

გახდა წერილით მიემართა საქართველოს ეგზარხოსისათვის. ამ უკანასკნელმა კომისია აფრინა სამეგრელოში. ახლა დავით დადიანი და ეკატერინე ამ კომისიას ამოჰყვნენ. დავითი ცდილობდა ეს მდგომარეობა გამოეყენებინა და პირველ ოთხ კლასში მაინც შეენარჩუნებინა ქართული ენის სწავლება. ასე ამიტომ ცხარობდა სტუმართმოყვარე დადიანი.

ღამით გვიან დაიძინეს, მაგრამ მეორე დღეს დავით დადიანი ჩვეულებისამებრ, მაინც ადრე ადგა. მონასტრის სენაკიდან გარეთ გამოვიდა. იქვე კარებთან მეეტლე მელიტონი დახვდა. მომღიმარი, წელში სამად მოხრილი მიესალმა ბატონიშვილს ხომ არავინ ჩამოსულა სალხინოდანო —ხმადაბლა ჰკითხა ბატონიშვილმა. დავითი სალხინოდან სახლთუხუცესის წერილს ელოდა. ორი დღის წინათ იგი თავის საზაფხულო რეზიდენციაში —სალხინოში გაგზავნა, რათა იქ თადარიგი დაეჭირა და ეკატერინე დედოფალს შეხვედროდა. სწორედ ამ დროს მონასტრის ეზოში მაცნე შემოვიდა და ბატონიშვილს ჩიქოვანის ბარათი გადასცა. სახლთხუცესი წერილით იტყობინებოდა: „ყველაფერი რიგზეა, დილიდანვე გელოდებით, სასახლე დიდებით მიიღებს თავის პატრონს დედოფალ ეკატერინეს“.

დავით დადიანმა დიდად გაიხარა, ეამა, რომ ასე ზეიმით ხვდებოდნენ დედოფალს სალხინოში. მთავარი კარგ გუნებაზე დადგა. ისევ სასტუმრო დარბაზში შებრუნდა.

ეკატერინეს ჯერ კიდევ ეძინა, მეორე ოთახში კი ოსიძის ქალი, სახლის პატრონის, ბლაღოჩინის ქალიშვილი კარებთან ატუზული ელოდა დედოფლის გაღვიძებას. უკვე საუზმე გაეშალათ და სტუმრების მოლოდინში იყვნენ. სულ მალე დედოფალმაც გაიღვიძა, გარეთ გამოვიდა, თან ახალი მეგობარი — ჩიჩუას ქალი და მარტვილის მონაზვნები ახლდნენ.

ყველაფერს, რაც მარტვილის მონასტერში თუ მონასტრის გარეთ იყო, დედოფალს დიდი გულმოდგინებით უხსნიდნენ და განუმარტავდნენ. დიდი აღგზნებითა და ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ, ზოგ რამეს აზვიადებდნენ და აჭარბებდნენ. ტაბაკონის მთიდან გადმომდგარი დილის მზე მონასტრის გუმბათს მისდგომოდა. მოოქროვილი გუმბათი მზეზე ზიმზიმებდა, ბრწყინავდა და გარშემო ოქროს ნაპერწკლებს ჰყრიდა. მერე, როცა დედოფალმა მონასტრის მარცხნივ გაიხედა, მის წინ

უშველებელი მთები აღიმართა. ოსიძის ქალმა განუმარტა: ეს ტაბაკონას და ასხის მთებია, ქალბატონო, ასხის მთები მუდამ თოვლით არის დაფარული. ზაფხულობით ამ მთების ძირას ერეკებიან ბატონიშვილის ჯოგს, ცხენების რემას. იქ თურმე საუცხოო საძოვრებია და მიდამოც დიდებულია. შემდეგ პირი მარჯვნივ იბრუნეს და ახლა შავი ზღვის სანაპიროები გამოჩნდა. მოწმენდილი ცის დასავალში ზღვა მზის სხივებზე ლაპლაპებდა. ლურჯად მოლივლივე მისი სივრცე გარკვევით მოჩანდა მარტვილის მონასტრიდან. ამ სანახაობამ ფრიად მოხიბლა დედოფალი და მხოლოდ ახლა აღმოხდა: „ამის მსგავსი ჯერაც არაფერი მინახავსო“. ეს თქვა და გომბორის მთების შვილს ალაზნის ხედი წარმოუდგა თვალწინ. ერთმანეთს ადარებდა, გონების თვალით ზომავდა და უპირატესობა ვერცერთისათვის ვერ მიენიჭებინა, ორივე ლამაზი იყო, ორივე მომხიბლავი.

დედოფალი დიდხანს იდგა და გაჰყურებდა ზღაპრულ სანახებს. სწორედ ამ დროს საუზმედ მიიწვიეს, — დედოფალო, სტუმრები გელოდებიანო. ეკატერინე ნახულით გაოგნებული და აღფრთოვანებული დაბრუნდა სასტუმრო ოთახში.

საუზმის შემდეგ, მარტვილის მონასტერი დაათვალიერეს. დედოფალსა და სტუმრებს მონასტრის ისტორია გიორგი ჭყონდიდელმა გააცნო:

— ჭყონდიდლები მუდამ საქართველოს მეფეთა პირველი ვეზირები იყვნენ და, ცხადია, მათი საკათედრო ტაძარიც შესაფერისი უნდა ყოფილიყო ამ საპატიო ტიტულისა. და აი, თქვენ თვითონ ნახეთ და დარწმუნდით, რა ძვირფასი ხელნაწერები, ფრესკები და სხვა სამკაულებია დაცული ამ უძველეს მონასტერში.

აქ დამარხულია საქართველოს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე და დიდებული. აქვეა დასაფლავებული მეფე ბაგრატ მეოთხე, მეფე აფხაზთა და ქართველთა, და გიორგიმ სათითაოდ წაიკითხა საფლავის ფიქალებზე და მონასტრის კედლებზე წარწერილი ცნობები მათი დაბადებისა, გარდაცვალებისა, თუ დამსახურებათა შესახებ. ყველა ეს წარწერა შენდობის სიტყვებით თავდებოდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ გაქართველებულმა რუსმა ჩაილაპარაკა, მაინც რა ჰქონდათ ამდენი შეცოდება ამ დალოცვილებს, ასე ხელგამოშვერილი

რომ სთხოვდნენ ყველა გამვლელსა და წამკითხველს შენდობასა და პატიებასო.

ჭყონდიდელმა მოიხედა, მაგრამ ნათქვამი ვერ გაიგო და ისევ გააგრძელა:

—ამბობენ, იმ ადგილას, სადაც ეხლა მარტვილის მონასტერია აგებული, წინათ დიდი მუხა იყოო. მუხას მეგრულად ჭყონს უწოდებდნენ და ჭყონდიდელიც ამ სახელიდან უნდა იყოს წარმოებული. თურმე წინათ ამ მუხის ძირას ისევე ლოცულობდნენ, როგორც არმაზსა —მცხეთაში. შემდეგ კი, რაც ქართველებმა ქრისტიანობა მივიღეთ, ეს მუხაც მოუჭრიათ და მის ფესვებზე აგრე განთქმული ჩვენი მონასტერი აუშენებიათ.

— მაინც, როდის უნდა იყოს აგებული? —ჰკითხა ცნობისმოყვარე ეკატერინემ ჯყონდიდელს.

— ასე ამბობენ, დედოფალო, ეს მონასტერი თამარ მეფის განკარგულებით აუგიათ. მაგრამ მე არა მგონია მართალი იყოს. საქართველოში ხომ ყველა ციხესა და მონასტერს დიდებული თამარის სახელი ჰქვია...

მონასტრის პირველი ეკლესიის გეგმა ისეთივეა, როგორიც მცხეთისჯვრის მონასტრისა, ატენის სიონისა, თუ ძველი შუამთის მონასტრისა. ჩვენში ასეთი ეკლესიები მეშვიდე საუკუნეშია აგებული. ასე რომ, მარტვილის ეკლესია თამარზე ადრე ყოფილა აშენებული. ხოლო შემდეგ, მოგეხსენებათ, ურჯულოებს მრავალჯერ აუოხრებიათ საქართველო, მათ შორის —მარტვილის მონასტერიც. ამის კვალობაზე ეს მონასტერიც ხელმეორედ აუშენებიათ, გადაუკეთებიათ, ალბათ, ერთერთი ასეთი გადაკეთება თამარის დროს დაემთხვა. იმასაც მოგვახსენებენ, რომ თამარი აქ თვით მობრძანებულა და ეკლესიისათვის დიდძალი ოქრო და ვერცხლი შეუწირავსო.

ამ მონასტერს რამდენიმე მიშენებული ეკვტერი აქვს. ერთი ასეთი ეკვტერი მე-10 საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. აქ ბევრჯერ მოსულან ჩვენი მეცნიერები და სწავლულები, ბევრჯერ უჩხრეკიათ და ურკვევიათ ამ მონასტრის კედელთა წარწერები და ფრესკები. ამას წინათ ერთმა მათგანმა დასავლეთ ეკვტერზე მიწერილი გაშიფრა და ასე წაიკითხა:

„ღმერთო, შეიწყალე მეფე აფხაზთა და ქართველთა ორთა-

ვე შინა ცხოვრებათა აღაშენი წმინდა ასე სანათლავი დასაბამითგანა წელთა ქორონიკონსა სივ.“ ე. ი. აფხაზეთისა და საქართველოს მეფეს ბაგრატ მესამეს, როგორც ეს წარწერა მოგვითხრობს მონასტერი ცხრაას ოთხმოცდა თექვსმეტ წელს აუშენებია. იქვე მიწერილია: „ქრისტე შეიწყალე მიქელ კალატოზი ოპიზარი“. მაშასადამე, მარტვილის მონასტერის ეს დასავლეთ ეკვტრი ოპიზარს აუშენებია.

მის გვერდით მეორე პატარა ეკლესიას ჩიქოვანის ეკლესიას უწოდებენ, რომელზედაც წარწერილია: „თქვენისა ფარვისამან სახლთუხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხოვრებლად მრჩობლთა შინა ცხოვრებითა თვით და მეუღლისა ჩემისა აღვაშენე ეს ეკლესია“. ასე რომ ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აგებულია შენობათა მთელი ანსამბლი. მასში გამოირჩევა ეს დიდებული ლამაზგუმბათიანი მონასტერი მარტვილისა.

ახლა ხატებისა და ჯვრების ამბავზე გადავიდა ჭყონდიდელი. —რაც რამ საუკეთესო ხატებია და ჯვრები, აი ამ სარკეებიან ფანჯრებში მოათავსეთო, —ბრძანა ჭყონდიდელმა და თვითონ ერთი სარკეებიან ფანჯრის წინ გაჩერდა: ეს სამიტროპოლიტო ჯვარი სულ ოქროსია, მინანქრებით, მარგალიტებით, ფირუზებით, ზურმუხტებით და სხვა ძვირფასი თვლებით არის შემკული. ასე ამბობენ, ეს ჯვარი მეშვიდე თუ მერვე საუკუნისაა. იგი კონსტანტინეპოლიდან გამოუგზავნიათ რომელიღაც ჭყონდიდელისათვის. ის კი, იმის გვერდით რომ პანაგია, მეთერთმეტე საუკუნისაა, ის ერთი მთლიანი მინანქრიანი მედალიონია. სულ მარგალიტებით, მინანქრით არის გამოსახული ჯოჯოხეთის წარტყვენა იესო ქრისტეს მიერ. აი, დააკვირდით: ქრისტეს ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს ადამი და ევაც იქვეა გამოსახული. წარწერა ბერძნულია.

ახლა მეორე უჯრასთან მიიყვანა სტუმრები ჭყონდიდელმა და განმარტა: ეს ღვთისმშობლის ხატი ლევან დადიანის მეორისა და მისი მეუღლის ჭილასძის ასული ნესტანდარეჯანისა გახლავთ. ეს დიდი ჯვარი სამიტროპოლიტო, ან საჭყონდიდო, მეთორმეტე საუკუნის ნახელავია. აქ მოხსენიებულია მეფე ბაგრატ მეოთხე, ხოლო მის გვერდით ხატი რომ არის, დავით აღმაშენებლის ხატს უწოდებენ.

ჭყონდიდელმა ხატი ხელთ აიღო და წარწერა წაიკითხა.

„წა-ხა-ტი ესე დიდებულისა მეფისა და სრულიად ივერიისა ქართველთა და აფხაზთა თვითმპყრობლისა დავით მესამისა აღმაშენებლისა დავითიან ბაგრატოვნისა“.

ჭყონდიდელმა სტუმრებს ახლა მონასტერში დაცული ხელსაქმის ნიმუშები, ძვირფასი ნაკერ-ნაქსოვი ნივთები აჩვენა. ეკატერინე თვითონ იყო ხელსაქმის დიდი მოყვარული და ყოველ ნაქსოვსა და მოქარგულს განსაკუთრებით აკვირდებოდა. ჭყონდიდელმა სირმით ნაკერი, გარდამოხსნაზე ხუცურად ამოგრეხილი წარწერა წაიკითხა: „დაგვიფარენ ჩვენ საფარველითა ფრთეთა შენითა, დედაო მარტვილთა ღვთისა მშობელო, ქალწული მარიამ ყოვლისა სასოებისა შენდა დამდები დედოფალი ოდიშისა ანნა წვილებრ მიძღვნილ მცირესა საწირავსა, რომელი გარდამოხედა ძელსა და წარუმართე დადიანს კაციას, შენი ძენი ჩვენი გრიგოლ, მანუჩარ, გიორგი დაიფარე“.

ეს გარდამოხსნა ძლიერ მოეწონა ეკატერინეს. გონების თვალით ადარებდა იმას, რაც მას და მის დას ნინოს შუამთის მონასტრისათვის შეუწირავთ. ეკატერინეს მოაგონდა: ბებია რომ გარდაეცვალა, იმ ზამთარს ნინომ და ეკატერინემ მოქარგეს და შეამკეს გარდამოხსნა, რომელიც შუამთის მონასტერს შესწირეს. დავით დადიანს უთხრა: — ასეთი გარდამოხსანი მე და ნინომ შუამთის მონასტერს შევწირეთ. აი როცა იქ ვიქნებით, გაჩვენებ, ამაზე ნაკლები როდია იგი“.

ახლა საჭყონდიდო და სამღვდელთმთავრო შესამოსებს შეავლეს თვალი და ის იყო მონასტრის იმ ოთახში შევიდნენ, სადაც მარტვილის ხელნაწერები ინახებოდა. ჭყონდიდელმა ხელთ აიღო მოზრდილი, 850 გვერდიანი ხელნაწერი:

„ეს ათონში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ხელნაწერია. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვისგებანი, მეთექვსმეტე საუკუნისა, ნუსხა-ხუცურია. ახლა უფრო მოზრდილი ხელნაწერი აიღო. ეს „დავითნის“ თარგმანი იყო. ეს იშვიათი ხელნაწერია,—განმარტა ჭყონდიდელმა, — ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი „დავითის ფსალმუნი“. მის მიერვეა ქაღალდზე ხელით გადაწერილი, მეთორმეტე საუკუნისაა.

ეკატერინემ აიღო ერთი მოზრდილი ხელნაწერი და თვითონვე წაიკითხა მხედრულად გადაწერილი: „ცხოვრება გიორგი

მთაწმინდელისა“, იქვე იყო მეორე ხელნაწერი „ლოღიკა“ ანტონ კათალიკოსის თარგმანი, მიმოსვლა ტიმოთე მიტროპოლიტისა 1752 წელს იერუსალიმსა და ათონს, მოქვის სახარება ეტრატზე... სტუმრები დიდად დაინტერესდნენ ამ ხელნაწერებით. ეს რომ შეატყო, დავითმა განაცხადა:

— ჩვენები მეშვიდე საუკუნიდან აწარმოებდნენ აქ თარგმნას, გადაწერასა და ორიგინალურ თხუზულებათა თხზვას. და მარტო ამ მონასტერში კი არა, სხვაგანაც ბლომად არის დაცული ხელნაწერები. ხობის მონასტერში დაცულია ჩვენი დიდი წინაპრის დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომელსაც ეწოდება „ანდერძი დიდისა მეფისა საქართველოსა დავით აღმაშენებლისა“. განზრახული გვაქვს ეს ყველაფერი აღვრიცხოთ და აღვწეროთ.

საუბარში ისევ ჭყონდიდელი ჩაერია, მან სიამაყით განაცხადა:

— ჩვენ სამწყსოში ასამდე ხელნაწერია აღრიცხული, დავით ბატონო, მათგან ოთხმოცზე მეტი მარტო მარტვილშია, დანარჩენი ხობის მონასტერსა და ზუგდიდის მაცხოვარის ეკლესიაში ინახება.

ესა თქვა და სალაროდან მომცრო ჯვარი ამოიღო.

— ეს ხომ სულ პატარა ჯვარია, დააკვირდით რა ლამაზი წარწერაა. ეს წარწერა მე-11 საუკუნისაა. ჭყონდიდელმა ხმამაღლა წაიკითხა წარწერა: „წმინდაო იოვანე ნათლისმცემელო. მეოხ ეყავ ხორანშა დედოფალს ბაგრატს და დავითს“. ეს ჯვარი ხატში იყო ჩადებული, ხოლო ხატის არშიაზე წარწერილია ზვიად დადიანი. ეს დადიანი გიორგი I-ის მხედარმთავარი იყოო.

ეკატერინემ ხელთ აიღო ეს ლამაზი ჯვარი, მეტად მოეწონა იგი, ერთბაშად ქალურმა ცნობისმოყვარეობამ სძლია და გადასწყვიტა გულზე დაკიდებული ჯვარი ამოეღო და მისთვის შეედარებია, მაგრამ უცბად მიხვდა, რომ ეს უხერხული იყო საზოგადოებაში, მერე ისევ დააკვირდა, ხელიდან ხელში გადაიტანა და უკან დაუბრუნა ჭყონდიდელს, გიორგიმ შეატყო ჯვარით დაინტერესება დედოფალს და ასე უთხრა, ამაზე უფრო საინტერესო ჯვარი, თამარის ნაქონი, საკუთარი ყელსაკიდი ჯვარი, ხობის მონასტერში გვაქვსო. თამარ მეფის გულსაკიდ

ჯვარზე ასეთი წარწერაააო: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინასწარ ძღოლითა ყოვლადვე შემწე და ფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.

ეს ჯვარი ახლა მაცხოვრის ხატის გულშია ჩასმული, რომლის აშიაზე აწერია შერგილ დადიანი. ჩანს, ჯვარი შერგილ დადიანს ჩავარდნია ხელთ. იქნებ აჩუქა თამარმა დადიანს ეს ჯვარი! დადიანს კი იგი სასოებით ჩაუსვამს ძვირფასი თვლებით შემკულ ხატში.

ახლა მარტვილის ფრესკების ამბავი მოუთხრო ჭყონდიდელმა სტუმრებს:

— ეს ფრესკები, თქვენ რომ ხედავთ, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებისაა. უფრო ძველები ამ ფრესკების ქვეშ არის მიქცეული. ამ მხრივ უფრო შენახულია ხობის მონასტრის ფრესკები. როცა იქ იქნებით, დააკვირდით ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე დაცულ წარწერას, იქ ასომთავრულით სწერია: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი, დედოფალთ დედოფალი ნათელა ძე მათი ცოტნე“. ეს უძველესი ფრესკაა, რადგან როგორც მოგეხსენებათ, შერგილი და ცოტნე დადიანი მეცამეტე საუკუნის მოღვაწეები არიან.

ქადაგად გადაქცეულ ჭყონდიდელს დაწვრილებით უნდოდა მოეთხრო მონასტრების ფრესკების ამბავი, მაგრამ დავით დადიანმა უთხრა, ჯერხნობით ეს გვაკმარე. ძლიერ გვეშურებაო...

ჭყონდიდელმა ამის თქმა მაინც მოასწრო: მე მინდა დავწერო მარტვილის ქებათა ქება. და თუ ეს შევძელი, იმქვეყნად პატივით მიმიღებენ წინაპრები...

ეკატერინე და სტუმრები დიდის პატივისცემით გამოემშვიდობნენ გიორგი ჭყონდიდელს. ეკატერინემ ასე უთხრა ქმარს: გიორგი ჭყონდიდელი მე ერთი გამეგონა; მწიგნობართუხუცესი, სახელოვანი თანამოღვაწე დავით აღმაშენებლისა: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა“. ახლა მეორე გიორგი ჭყონდიდელიც მეცოდინება. ესა თქვა და გაუღიმა ქმარს.

ეკატერინე, დავითი, სტუმრები და მათი მხლებელნი სალხინოში გაემგზავრნენ.

მარტვილიდან სალხინომდე ოცდოდე ვერსია. მარტვილიდან ინჩხირამდე სწორი, ლარივით გამართული გზა მიიმართე-

ბოდა, ხოლო ინჩხირის ბოლოს დიდი თავდაღმართი იწყებოდა. გავაკებიდან ვიწრო ბილიკის ბოლოს აბაშის დიდი წყალვარდნილი იყო, რომლის სიმაღლე 100 არშინამდეა. მგზავრები სწორედ აქ შეჩერდნენ.

თეთრი, აქაფებული მდინარე აბაშა მაღალი სალი კლდიდან ძირს ვარდებოდა. გადავარდნილი მდინარის შხეფები შიგ უფსკრულში, გასიპულ სალ კლდეზე ისე ცვიოდა, ვით დაფანტული თეთრი მძივები. ნამსხვრევებად ქცეული წყლის წვეთები წყალვარდნილის ნაპირას მდგარ დავითსა და ეკატერინეს ეშხეფებოდა, გრილი სიო კი სახეზე ესალბუნებოდა ნეფე-დედოფალს. წყლის შხეფებსა და ბურისგან ამოვსებულ უფსკრულში ჩამჯდარი მზის სხივები შვიდფრად ცისარტყელას ქმნიდა. ნეფე-დედოფალი და მათი მხლებელნი მოჯადოებულნი უმზერდნენ ამ არაჩვეულებრივ სურათს.

როცა ამ სანახაობით გული იჯერეს, ცხენებზე შესხდნენ, რადგან აქედან ცუდი გზა იწყებოდა.

კიდევ რამდენიმე მანძილი გაიარეს და მათ წინ ტეხურის ჭალა გადაიშალა. ტეხურა აბაშაზე უფრო დიდი და ცივი მდინარეა, კალმახებით სავსე.

ტეხურის ჭალებიდან მარჯვნივ აუხვიეს და სულ რამდენიმე ვერსის შემდეგ პატარა მდინარე გადალახეს. ეს წაჩხურა იყო. სამეგრელოს მდინარეთა შორის ყველაზე ცივი და კალმახებით უხვი. მის ჭალებზე უკვე გამოჩნდა დიდი ეზო და ორსართულიანი სასახლე დავითისა. ორი-სამი ვერსის სიგრძის ჭალებიდან ჭადრების დიდი ხეივანი იწყებოდა. ამ მოშრიალე ზღაპრულმა სილამაზემ ერთბაშად დაიპყრო ეკატერინე. როდესაც დავითს ეზოს შესასვლელთან ასიოდე კაცი შეხვდა სიმღერითა და ვაშას ძახილით, უკვე გაბრუებულმა ეკატერინემ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა, ისე მიჰყვა ამ გაუთავებელი ზეიმის ტალღას.

დედოფალს ყველა სათითაოდ აცნობდა ამ საგაზაფხულო რეზიდენციას. მოახლეები პატივითა და დიდებით ეგებებოდნენ თავიანთ დედოფალს. სალხინოს სასახლეში გაუთავებელი მოლხენა და მხიარულება გვიანობამდე გაგრძელდა.

მეორე დღეს დავითი იძულებული გახდა დედოფალი სალხინოში დაეტოვებინა, რადგან ზუგდიდს უხმობდნენ სამთავ-

როს გადაუდებელ საქმეთა გამო. დავითი და მისი სტუმრები კრძალვით გამოემშვიდობნენ დედოფალს და ზუგდიდისაკენ გასწიეს.

დავითს ისე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ დედოფალს მარტვილსა, სალხინოსა და გორდში თან ხლებოდა. მაგრამ გადაუდებელმა საქმემ მას იგი სალხინოში მიატოვებინა.

ეკატერინე მარტო იყო სალხინოში, მაგრამ ჩიჩუას ქალმა ისეთი ერთგულება გაუწია, ისე კარგად უამბო დავითის, ახლობლებისა და სასახლის კაცთა ამბავი, რომ ამ ნაამბობმა ეკატერინე დიდად გაართო და კარგ გუნებაზე დააყენა. მაგრამ ეს მხიარული დღეები დედოფალს ერთმა შემთხვევამ ჩაუმწარა.

კვირა დღე იყო. ეკატერინე დედოფალმა, ჩვეულებისამებრ, გვიან გაიღვიძა, ჯერ არ იყო ამდგარი, როდესაც გაბმული კივილი მოესმა. ქალის ამგვარი კივილი მას ჯერ არ სმენოდა. დედოფალი ლოგინში აწრიალდა. მოახლე იხმო, მაგრამ ვიდრე მას საქმის ვითარებას ჰკითხავდა, კივილის ხმა უკვე დერეფანში გაისმა. თან აურზაური, ხმამაღალი ყვირილი და გინება ისმოდა. ღამის პერანგისამარა დედოფალმა წამოსასხამი მოიხურა, კართან მივიდა თუ არა, სწორედ იმ დროს კარიც გაიღო და დედოფლის წინ ძონძებში გახვეული, ფეხშიშველი დედაკაცი დაეცა. იგი ტიროდა, მოსთქვამდა, ლუღლუღებდა, დედოფალს რაღაცას ევედრებოდა. მას ფეხდაფეხ შემოჰყვა სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი. დედოფლის წინ დამხობილ შაოსან ქალს ხელები ჩაავლო და გარეთ გაგდება მოუნდომა. ეკატერინემ ბრძანა, ხელი არ ახლოთო. შაოსანმა ქალმა თავი ასწია და ცრემლით სავსე თვალები დედოფალს შეანათა. ეკატერინეს არასოდეს ენახა ასეთი დატანჯული, ცრემლიანი, მრისხანებით, ვაებითა და უბედურებით სავსე თვალები. ეს ძონძებიანი ქალი დედოფალს ფეხებში ჩაუვარდა, კალთაზე მოეპოტინა. ცრემლები ღაპაღუპით წასკდა. მერე ცოტა მოეშვა გულზე, კვლავ ასწია თავი და დედოფალს შეპღაღადა:

— მოიღე მოწყალება, ჩვენო დედოფალო! ერთბაშად დაგვხოცე და ამით ბოლო მოეღება ჩვენს უბედურებასა და ვაებას, ან არა და, მოიღე მოწყალება! თუმცა თქვენ, ალბათ, ჯერ შვილების სიყვარული არ იცით, მაგრამ მაინც გაიგებთ უბედური დედის ტანჯვას, ჩემს გაუსარელ დედობას და უბედურ დღეს.

ჯერ იყო და მჯიჯგნა აი იმ ბატონმა,—და ხელი იქითკენ გაიშვირა, საითაც თავისი ბატონი დავით ჩიქოვანი ეგულებოდა,— მერე იყო და სამზარეულოში შემაგდო. როცა ბიჭი და გოგო წამომეზარდნენ, მკერდიდან მომგლიჯეს და სხვაგან გაყიდეს. მე, უბედურმა, დედამ, არც კი ვიცი, სად არიან ისინი, ამ ამბის გამგებმა გონი დავკარგე, ავად გავხდი, გონს რომ მოვედი, რომ მოვრჩი, სხვა ბატონის ხელში აღმოვჩნდი, მერე მეორე ბატონმა, გიორგი ბატონიშვილმა, — ახლა ქალმა მარჯვნივ გაიშვირა ხელი, — იმ გაუმაძღარმა ბატონმა მჯიჯგნა. ამ ბატონის ხელშიც ორი შვილი მეყოლა, ისევ ქალ-ვაჟი. ისინი ამ წუთს გარეთ დგანან, სახლთუხუცესმა დააკავა. ახლა მათი გაყიდვით მემუქრება ბატონი. თქვენი ჭირიმე, ქალბატონო, ჩვენო დედოფალო, ნუ წამართმევთ ამ უკანასკნელ იმედს, შემირჩინეთ შვილები, ისინიც და მეც ერთად გვიმსახურეთ! სანამ პირში სული გვიდგას, თქვენი ერთგული მონა ვიქნებით!

ეს თქვა და წელში გაიმართა, ფეხზე წამოდგა, ცრემლით და მრისხანებით სავსე თვალები კვლავ მიანათა დედოფალს, მაგრამ თავს ვერ მოერია, ისევ დახარა თვალი და ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. მერე გაქვავდა, ხმა არ ამოუღია. ელოდა განაჩენს დედოფლისას.

შეწუხდა ეკატერინე. აბა, ყმა და მონა ქალი როგორ არ უნახავს, მაგრამ ასე გაბოროტებულს და ფეხქვეშ გართხმულს პირველად ხედავდა. პირველად სთხოვდნენ დედოფალს მოწყალებას. პირველი იყო ასეთი შემთხვევა, როცა მისი განკარგულება ან იხსნიდა ადამიანს, ან დაღუპავდა. დედოფლის გულში სიკეთის გრძნობამ გაიღვიძა. ორიოდე დასამშვიდებელი სიტყვა უთხრა ყმა ქალს და შემდეგ იქვე მდგომ სახლთუხუცესს მიმართა: „ეს ქალი და მისი ორივე ბავშვი სასახლეში დატოვეთ, მოუარეთ და უპატრონეთ. იმ ბატონს კი ჩემი სახელით შეუთვალე, ხელი არ ახლოს, არ გაბედოს მათი გაყიდვა“.

ეკატერინე დედოფალს დიახაც გაეგონა, რომ ყმებს ჰყიდდნენ ბატონები. მაგრამ ეს ხომ ძველად ხდებოდა. თუ კვლავ ძალაში იყო ეს კანონი, აღარ ეგონა. ახლა ამის გამოკვლევას აღარ შეუდგა, ასე ეგონა, განკარგულება რომ გასცა, ეს საკმარისი იყო. როდესაც გახარებული ყმა ქალი ფეხებზე მოეხვია, დედოფალს რატომღაც უცნაურად გააჟრჟოლა ტანში,

თვითონაც არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, სწორედ ამ დროს სახლთუხუცესმა გაიყვანა უბედური დედა.

ეკატერინე ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, ამ უცაბედად დატრიალებული ამბისაგან იყო გაოგნებული. ტანთ ჩაიცვა, გარეთ გამოვიდა და სასაუზმოდ ემზადებოდა, რომ ისევ ორი უცხო ქალი და კაცი — ცოლ-ქმარი გამოეცხადა. ისინიც აღელვებულნი და ატირებულნი იყვნენ. დედოფალს შველასა და დახმარებას სთხოვდნენ. თურმე ბატონს მათი ერთადერთი ქალიშვილი გაუყიდია.

აღშფოთდა დედოფალი, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ჩაუმწარდა, რაც ამ ერთ თვეში ისიამოვნა. თურმე სიამოვნებას საზრუნავიც და უსიამოვნებაც თან სდევს. ახალგაზრდა დედოფალს ეგონა, მარტო ზეიმი და ლხენა მოელოდა, დიდი უსიამოვნება კი ყოფილა მოსალოდნელი! შეწუხდა, დაღონდა, ცუდ გუნებაზე დადგა.

მას, კახეთში აღზრდილს, დიახაც გაგონილი ჰქონდა, რომ ქალებსა და ვაჟებს ლეკები იტაცებდნენ, მაგრამ თუ საქრისტიანოში ქრისტიანები ერთმანეთს მოიტაცებდნენ და სათათრეთში გაჰყიდდნენ, არც ენახა და არც გაეგონა. და როცა ახლა ატირებულ დედებს და მამებს თვალებში უცქერდა, პატარა დედოფალი ერთბაშად აღშფოთდა და განკარგულება გასცა, ეხლავე დედას შვილი დაუბრუნეთო. გაბრაზებული დედოფალი თვალებიდან სულ ცეცხლსა ჰყრიდა. სახლთუხუცესი ამ სათნო დედოფლისაგან არ მოელოდა ასეთ გაბრაზებას. უსიტყვოდ დაემორჩილა მის განკარგულებას.

შემდეგ სახლთუხუცესი ეახლა დედოფალს და მოახსენა: „დედოფალო, თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, ყმა ბატონისაა და ბატონს უფლება აქვს, როგორც სურს ისე მოექცეს ყმებსო“. მაგრამ ეკატერინემ არ გაიკარა სახლთუხუცესის ნათქვამი. სახლთუხუცესი უსიტყვოდ გასცილდა.

დედოფალი მთელი დღე უგუნებოდ იყო. უსიამოვნო შემთხვევით დაღონებულს ღამით გვიან ჩაეძინა. დილით ადრე კი საშინელი თავის ტკივილი იგრძნო. საღამოს სიცხე მისცა. შეეშინდათ და მაშინვე ზუგდიდში კაცი აფრინეს, რომ დავითისათვის შეეტყობინებინათ დედოფლის ავადმყოფობა.

სამი მაცნე ცხენებს დაუზოგავად მიაჭენებდა. დიახაც რომ

საშური ჰქონდათ: დედოფლის ავადმყოფობის ამბავი ამაღამვე უნდა ემცნოთ დავითისათვის. ზუგდიდი კი საკმაოდ დიდი მანძილით იყო მოცილებული ეკატერინეს ახლანდელ სამყოფელს, სალხინოს. დილით ალიონზე გამოსული ცხენოსნები ახლა ჭყონდიდის აღმართს ადიოდნენ.

ეკატერინე დილით ცოტა დამშვიდდა. უფრო გვიან ადგა კიდეც. შილიფად ჩაცმული აივანზე გადმოდგა და სახლთუხუცესი მოიხმო. დავითი გაოცებული შესცქეროდა აივნიდან გადმომდგარ დედოფალს. უსიამოვნებისაგან შეწუხებული დედოფალი, ოდნავ გაფითრებული და შეშფოთებული, ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი იყო. ქალის ასეთი მშვენიერება და სილამაზე სახლთუხუცესს ჯერ არასოდეს ენახა. იგი უცნაურად შესცქეროდა დედოფალს. მისკენ გამომწვევად მაცქერალი თვალები დედოფალმა გვიან შენიშნა. შენიშნა და შეკრთა. რაღაც გაახსენდა, რაღაც მოაგონდა, ვიღაცას მიამგვანა, მაგრამ, მოგონების ბურუსი ვერ გაარღვია...

გაიგო თუ არა დავითმა ეკატერინეს ამბავი, მაშინვე ჩაჯდა ეტლში, გვერდით ექიმი მოისვა და დედოფლისაკენ გასწია. მეორე დღეს ისინი უკვე სალხინოში იყვნენ. ექიმმა დაკვირვებით გასინჯა ავადმყოფი, ურჩია კიდევ ათიოდე დღე დაესვენა და შემდეგ შეიძლებოდა ზუგდიდში გამგზავრებულიყო. დავითმა სახლთუხუცესი ზუგდიდს გაგზავნა, თვითონ კი დედოფალთან დარჩა.

დ ო ღ ი

28 აგვისტოს დედოფლის პატივსაცემად ზუგდიდში დოღი იყო დანიშნული. დავითს გულით ეწადა ეს ტრადიციული დოღი ახლა განსაკუთრებულად ჩატარებულიყო. დოღისათვის სამზადისი სახლთუხუცესს მიენდო.

დოღის მხედართაგან ყველაზე დიდ ინტერესს უტუ იწვევდა. უტუ დოღში უკვე მეორედ იღებდა მონაწილეობას. შარშან პირველობა ერგო და ამ ამბის წყალობით ეკატერინეს მაყრიონში მოხვდა. დედოფალი უტუს უკვე იცნობდა, მაგრამ ეს ახალგაზრდა მხედარი მაინც ღელავდა.

უტუ გლეხი იყო, ყმა გლეხის სახლში დაბადებული და გაზრდილი. ათი წლისა ყოფილა, როდესაც დადიანების სასახლეში მოუყვანიათ და საჯინიბოს ერთი კუთხე მიუჩენიათ. უდრტვინველად თავის კუთხეში მიგდებული ბავშვი ჯერ ჩუმად და სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა ყველას ბრძანებას. მერე, სულ მალე, საერთო ფერხულში ჩაება და ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ერთი წლის შემდეგ უტუ მის ტოლ კოჩიასთან ერთად ცხენების მოვლასა და მწყესობაში ისე გაერთო, რომ მძიმე დღეებს ადვილად იტანდა. იგი ცხენის მოვლასა და ცხენოსნობაში ისე გაიწაფა, რომ როცა ცხენებს მოაჭენებდნენ, მისი ცხენი რემაში ყოველთვის პირველი მოდიოდა, ჰოდა, აი, შარშან დოღში პირველი გამოვიდა და ამ უბირმა და უპატრონო ბავშვმა პირველად მაშინ იგრძნო სიამაყე, მისწრაფება თავის გამოჩენისა. ახლა ის არავის დაუთმობდა მოპოვებულ პირველობას. უტუ გულისფანცქალით ელოდებოდა 28 აგვისტოს — დოღის დღეს.

დედოფალი ზუგდიდში დაბრუნდა. მისმა გამოჩენამ იმედი დაბადა, რომ დოღი არ გადაიდებოდა. მხედრებიც დამშვიდნენ, გამალებულ მზადებას შეუდგნენ, მწვრთნელები ცხენებს საგანგებოდ უვლიდნენ, მხედრისათვის საგულდაგულოდ დამზადებულ ტანსაცმელს იზომებდნენ, ირგებდნენ, ვარჯიშობდნენ და გულის ფანცქალით ელოდნენ დოღის დღეს.

იმ წელს ცხელი ზაფხული იდგა, ასეთი სიცხე მოხუცებსაც არ ახსოვდათ. დოღი გადაიდო. მაგრამ სწორედ 28 აგვისტოს წვიმები დაიწყო, ისეთი გადაუღებელი წვიმები, როგორიც ზღვისპირეთში იცის. ისევ მოიწყინეს მხედრებმა, მაგრამ ვარჯიშს წვიმასა და ტალახში მაინც არ სწყვეტდნენ. მერე გადაიღო, ისევ მოისარკა ცა, ღამით ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ლურჯად ლივლივი ყველას არწმუნებდა, რომ კარგი დარები დადგებოდა. 10 სექტემბერს ისევ დაინიშნა დოღი. დოღის დღეს ზუგდიდელები დილიდანვე გამოეფინენ შარაგზებსა და ორღობეებს. მაღალ ალვისხეებზე აცოცებული ბავშვები, ხის ქვეშ მოკალათებული მოხუცები, თუ გზებსა და ხეივნებში ჩაცუცქებული ახალგაზრდები მოუთმენლად ელოდნენ დოღის დაწყებას.

დადიანმა წესრიგის დაცვა სახლთუხუცესს მიანდო. უშვე-

ლებელ ულაყზე შემჯდარი ჩიქოვანი დილიდანვე განკარგულებებს იძლეოდა. სასახლის წინ ათისთავები დაეყენებინა და წესრიგის დაცვა მიენდო. მოედანზე, დიდი ტრიბუნა აღემართათ, ტრიბუნაზე ასასვლელ კიბეებთან კი სახლთუხუცესს ჩოხაახალუხში გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილები დაეყენებინა. მორჩა თუ არა ათისთავების დაყენებას, ჩიქოვანმა დოღში მონაწილეებს მიხედა, აქაც თადარიგი და წესრიგი დაამყარა, სულ თხუთმეტი ცხენი ღებულობდა მონაწილეობას დოღში. ცხენოსნებს თავში აფაქიძე ედგა, მთელს საქართველოში ცხენების ცნობილი მწვრთნელი და უშიშარი მხედარი. მას ყველაზე პატარა მხედარი დანელია მიჰყვებოდა. უტუ მიქავა რიგით მესამე იყო.

სახლთუხუცესმა შეამოწმა ცხენების და მხედრების მზადყოფნა და, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, სასახლეში შებრუნდა და დავითსა და ეკატერინეს ტრიბუნისაკენ გამოუძღვა.

სრული თორმეტი საათი იყო, როცა დავითი და ეკატერინე გამოვიდნენ სასახლიდან. გვერდით სახლთუხუცესი მოჰყვებოდა, დავითის მარცხნივ ძმები — გიორგი და კონსტანტინე იყვნენ, ეკატერინეს თავისი რძლები ახლდა, მათ ახლო მეგობრები და ნათესავები მოაცილებდნენ. ორმოცი-ორმოცდაათი კაცი იქნებოდა ამ გუნდში. ისინი ტრიბუნაზე მოეწყვნენ თუ არა, სახლთუხუცესი უმალ თავის ულაყს მოაჯდა და ერთ რიგზე გამწკრივებულ დოღის მონაწილეებს ნიშანი მისცა. ისინი, როგორც ერთი კაცი, ისე მოსწყდნენ მოედანს, ჩამოუქროლეს ტრიბუნას და მათგან აყენებულმა გრიგალმა ტრიბუნას გადაუარა, ტრიბუნის წინ მოკალათებულმა თავადებმა და აზნაურებმა ტაშის ცემა ასტეხეს.

ცხენოსნებს ზუგდიდიდან ცაიშამდე შვიდი ვერსი უნდა გაერბინათ და ამდენივე — უკან. ცაიშში მსაჯთა ერთი ჯგუფი იდგა. გზაზე სამი საგუშაგო იყო დანიშნული, ხოლო მთავარი მსაჯი ზუგდიდში უთვალთვალებდა მხედრების დაბრუნებას. ტრიბუნიდან დიდხანს უმზერდნენ ამხედრებულ ცხენოსნებს. პირველად პატარა დანელია გაიჭრა, უტუ აღვირით აკავებდა და არ უშვებდა ცხენების ჭენებას აყოლილ ქუჩარას. ბოლოს მიუშვა ერთგული ცხენი და უტუს ქუჩარა ერთბაშად თავში

მოექცა. ტრიბუნიდან თვალი მოჰკრეს თუ არა ამას, აქამდე სულგანაბულმა ხალხმა, ახლა ტაში დასცხო. ეს ვეებერთელა ველი ისეთმა ხმამაღალმა ყიჟინმა მოიცვა, რომ კაცს ეგონებოდა დარბაისელი მოხუცნი და ჩოხოსანნი საჩხუბრად ემზადებიანო.

საკამათო ერთი რამ იყო: რომელი მხედარი მოვიდოდა პირველი. ზოგს დანელიას ბიჭზე დაედო სანაძლეო, ზოგი კიდევ უტუს უჭერდა მხარს. რომელი თავადიც სანაძლეოს წააგებდა, დიდი ქეიფი უნდა გაემართა. აზნაურებს უფრო პატარა ქეიფი ევალებოდათ. ზოგს ფულით დაედო პირობა და ზოგს — რით. ხოლო გლეხები უფრო დამშვიდებულნი იყვნენ. ერთ ხაწილს კი თავი გამოედო და ზოგი მათგანი დაუნაძლავებლად დანელიას ბიჭს უჭერდა მხარს, ზოგი კიდევ — უტუს.

გაუთავებელ ყაყანსა და კამათში უცბათ ხმა გავარდა, — ცაიშში პირველად უტუ მისულაო. თურმე ზუგდიდისაკენ მომავალ ვიღაც ცხენოსანს მეორე საგუშაგოზე შეუნიშნავს, რომ ცხენების გუნდს უტუ მიუძღოდა და ეს ამბავი ზუგდიდში მოუტანია.

ვიღაცამ დაიძახა: „მოდიან, მოდიანო“, და ეს ზღვის ტალღებივით აბობოქრებული ხალხი ერთბაშად ისე გაჩუმდა, როგორც ქათმები გაყუჩდებიან ხოლმე ცაზე ქორის გამოჩენისას. მართლაც ცაიშის გზაზე სულ მალე ჯერ ერთი და შემდეგ რამდენიმე მხედარი ბუზებივით გამოჩნდნენ. მაგრამ წინ ვინ მოდიოდა, ამის გარჩევა ჯერ მეტად ძნელი იყო. კვლავ დაიყვირა ვიღაცამ: „უტუ, უტუ მოდის წინ“! ახლა უფრო ადვილი იყო ცხენოსნების გარჩევა. წინ უტუს ქუჩარა მოუძღოდა მხედრებს. უტუს ფეხდაფეხ დანელიას ბიჭი მოსდევდა. ის იყო დანელიას ბიჭი ქუჩარას გაუსწორდა, რომ უტუმ ქუსლი ჰკრა, ერთი დასჭყივლა და ცხენი გამოფრინდა, დანელიას ბიჭი დიდი მანძილით მოიტოვა. კვლავ გაისმა „უტუ, უტუ“ და უზანგებზე შემდგარმა მხედარმა ამაყად მოათვალიერა მოედანი. მხედარი თვალით დედოფალს ეძებდა. უტუ ტაშის გრიალში მკერდით შეეხო გაბმულ ბაწარს და ის იყო ჩამოხტა ცხენიდან, რომ პირველად აფაქიძე მიეჭრა, ხელი მოჰხვია, მამაშვილურად გადაკოცნა და გამარჯვება მიულოცა. მეორე ადგილი დანელიას ბიჭს ერგო, მესამე — თავად ჩიჩუას.

თითქოს დაწყნარდა ეს არეული ბრბო. ეხლა სახლთუხუცესი მოეჭრა უტუს, დავით დადიანი გიხმობსო უთხრა, და წინ წაუძღვა. უტუ ახლო მივიდა მთავართან და დედოფალთან. მაგრამ თვალის გასწორება ვერ გაბედა. დავითმა მხარზე ხელი დაჰკრა, გამარჯვება მიულოცა, ხოლო ეკატერინემ თვალებში ჩახედა ყმაწვილს, გამარჯვება მიულოცა და საჯაროდ გადასცა დანიშნული ჯილდო.

ტრადიციულად მხოლოდ პირველად მოსულ მხედარს აჯილდოებდნენ, თუ მუდამ ერთი ჯილდო იყო დაწესებული, მთავრის ბრძანებით, იმ წელს სამი საჩუქარი დააწესეს. საქმე ის იყო, რომ მომავალ აგვისტოს გაგარინის განკარგულებით ქუთაისში დიდი დღე ეწყობოდა. ამ დღეში სამხედროებთან ერთად ქუთაისის გუბერნიაში ცნობილი ცხენოსნებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. დადიანი აქედანვე ემზადებოდა ამ საქმისათვის. ეს სამი ჯილდოც ამიტომ შემოიღო ამ წელს.

დანელიას და ჩიჩუას ჯილდო სახლთუხუცესმა გადასცა, ხოლო დავით დადიანმა სასახლის მდივანი გეგეჭკორი მოიხმო და უბრძანა, უტუსა და დანელიას ბიჭისათვის წერა-კითხვა ესწავლებინა. დადიანი ფიქრობდა, ეგებ ქუთაისის დღეში გამარჯვებულნი გაგარინისათვის წარედგინათ.

უტუ დავითისა და ეკატერინეს ამალას თან გაჰყვა და სასახლის ეზოში შევიდა. მოედანზე კი დიდხანს გრძელდებოდა კამათი და დავა. ყველანი ერთპირად უტუს აქებდნენ. მაგრამ ზოგი დანელიას ბიჭსაც ემხრობოდა და ამტკიცებდა, დანელიას ბიჭს დროზე რომ დაეკრა მათრახი ცხენისთვის, უთუოდ პირველი მოვიდოდაო. მესამე ადგილზე მოსული ჩიჩუას მომხრეები კი იჭაჭებოდნენ და ამტკიცებდნენ, ჩიჩუას ცხენს გზაზე აბჟანდი გაწყვეტია და იმან დააბრკოლა, თორემ აბა რას გახდებოდნენ მასთან ეს გლეხის შვილებიო... წელში გამართული უტუ კი დადიანების ამალის გვერდით მიაბიჯებდა და ასე ეგონა, მთელი ოდიში მას შესცქეროდა, მის ქებაში იყო. ქუჩარა, ოფლში გაწურული, ნაბადში შეფუთული ქუჩარა, გვერდით მიჰყვებოდა მხედარს.

შინამოსამსახურენი გალავანზე აცოცებულნი გასცქეროდნენ მოედანს. ხალხი შემოეხვია ქუჩარას და უტუს. გამარჯვებულ მხედარს გულით ულოცავდნენ და ჰკოცნიდნენ. ბოლოს

იგი ბურთივით ზევით ააგდეს და ერთი ყვირილი მორთეს: „უტუს გაუმარჯოს. უტუს გაუმარჯოს“!..

ხალხის ზეიმი გვიან მიწყდა. უფრო გვიან დასრულდა საჯინიბოში გამართული ქეიფი.

უტუს გვიან ჩაეძინა და ეზმანა, რომ მიაჭენებდა თვის ქუჩარას და უკან ათასი თავადი და აზნაური მისდევდა. ყველას გაუსწრო, ყველას აჯობა, მაგრამ ბოლოს გამარჯვებულს წინ გადაუდგა ჩიჩუას ბიჭი და ხმალი მოუქნია, როგორ გაბედა გლეხის შვილმა თავის აგდება და თავადებსა და აზნაურებს აჯობაო. უტუმ ხმალზე ხმალი აუკრა და ფოლადმა ზარივით გაიწკრიალა. ჩიჩუას ხმალი გადაუტყდა, გაბრაზებული ახლა ხელებით ეცა, ყელში წაუჭირა, უტუმ ხრიალი მორთო. ამ ხრიალსა და ყვირილში უტუ მეჯინიბე დანელიამ გააღვიძა, რა მოგივიდაო, ვის უყვირი, ავად ხომ არ გახდიო, ჩასძახოდა ნახევრად მძინარს. უტუ ძლივს მოვიდა გონს. გუშინდელი ამბით გახარებულმა ეს რა უცნაური სიზმარი ნახა! ეწყინა, დაღონდა ყმაწვილი, ვერ აეხსნა სიზმარი. უფრო ის აწუხებდა, ჩიჩუამ როგორ მაჯობაო. ცუდ გუნებაზე წამოდგა. მაგრამ სულ მალე დაავიწყდა ყოველივე.

თავის მეგობარ ბიჭებთან ერთად უტუმ ცხენები ენგურის ჭალისაკენ გარეკა და თავის საყვარელ ქუჩარაზე გადამჯდარი კვლავ წინ წაუძღვა მწყემს ბიჭებს.

ურთა

ეკატერინე გაზაფხულს მოიყვანეს სამეგრელოში. ის ზაფხული და შემოდგომა დიდებული იყო და ჭავჭავაძის ასული მოიხიბლა ზღვისპირეთის ბუნების სილამაზითა და სინაზით. ზამთარიც იმ ზამთრებზე უფრო თბილი იყო, კახეთსა და თბილისში რომ გაეტარებინა ეკატერინეს.

17 თებერვალს დიდი მარხვა დაიწყო. მარტში ამინდი ერთბაშად შეიცვალა და გათავდა კიდეც ზამთარი. იებმა და ენძელებმა ნაზად გაუღიმეს დადიანების ბაღსა და ნაკრძალს. სასახლე დიდი ამბით შეუდგა სააღდგომოდ მზადებას. დადიანები აღდგომის დღესასწაულს ყოველთვის დიდი ზეიმით იხდიდნენ.

იმ წელს კი, ეკატერინეს პატივსაცემად, დავით დადიანმა იგი განსაკუთრებულად იდღესასწაულა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოიწვია პატივსაცემი სტუმრები. გურიელი რჩეული ახალგაზრდებით მოსულიყო, მას არც იმერეთის წერეთლები, ქართელი მუხრანსკები და აფხაზეთის შერვაშიძეები ჩამორჩებოდნენ. დადიანის კარზე აღდგომის დღესასწაულს რჩეული დიდებულნი ბრწყინვალებას ჰმატებდნენ. დადიანი სტუმრებს ღირსეულად დახვდა: მომღერალთა გუნდი, მოჯირითეთა ჯგუფი შეადგინა, სტუმრების დასახვედრად საგანგებოდ შეარჩია ქალები და ვაჟები.

ამ წელს დავით დადიანს ქუთაისიდან გენერალ-გუბერნატორი გაგარინი, ხოლო თბილისიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე ეწვივნენ.

გუბერნატორსა და მის მეუღლეს ცხენებით, მომღერლებით შეხვდნენ.

სტუმართა შორის იყო ისტორიკოსი მარი ბროსე და პლატონ იოსელიანი.

სტუმრები რომ ეწვივნენ ის დღე 25 მარტი იყო, ხარება. იმ საღამოს სამარხვო სუფრას ამშვენებდა სალხინოდან საგანგებოდ ჩამოტანილი კალმახები და სალხინოს განთქმული ოჯალეში.

გრძელ მაგიდას ორმოცდაათამდე კაცი მიუჯდა. ისე მოხდა, რომ გრიგოლ დადიანს ალექსანდრე ჭავჭავაძის გვერდით დაჯდომა მოუწია. გრიგოლი მას გვერდიდან არ სცილდებოდა, რადგან თვითონაც წერდა ლექსებს „კოლხიდელის“ ფსევდონიმით და თავი პოეტად მოჰქონდა, დიახაც, ესიამოვნებოდა საქართველოს სახელგანთქმული პოეტის გვერდით ჯდომა. სულ ელაპარაკებოდა და შესციცინებდა ჭავჭავაძეს. ის იყო დასხდნენ, რომ ჭყონდიდელი მსწრაფლ ფეხზე წამოდგა, სამი თითით ჯვარი გადასწერა სუფრას. სასახლის მღვდელი თევდორე, არქიმანდრიტი ბიქტორი და სამი მარტვილელი ბერი, ჭყონდიდელს რომ ახლდნენ, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ.

თაფლის სანთლებისა და კელაპტრების შუქზე ბრწყინავდა სავსე სუფრა: დოქები, თასები, აზარფეშები, მაღალ-მაღალი სურები, რიგზე გამწკრივებული ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ყანწები საზეიმო ლაზათს აძლევდა სუფრას. სამღვ-

დელოება ალექსანდრეს და გრიგოლის პირდაპირ მოკალათდა: ეპისკოპოსი გიორგი ჭყონდიდელი მაღალი და კაფანდარა, სასიამოვნო შეხედულების მოხუცი იყო. მის გვერდით თევდორე მღვდელი იჯდა — ერთი დაბალი, ჯუჯა, შეუხედავი კაცი, — თევდორეს გვერდით ბიქტორი, ისიც ჭყონდიდელივით მაღალი და გამხდარი, მერე — ასევე მაღალი სამი ბერი. მათ შავი ანაფორა ემოსათ, მაგრამ ბერების ანაფორები უფრო დაჭმუჭნული და უხეში ქსოვილისა იყო. მღვდლებს მთელი დღე არაფერი ეჭამათ, თანაც ადრე უნდა წასულიყვნენ, წირვაზე ეშურებოდათ და პირგაუჩერებლივ, ისე გამგელებული შეექცეოდნენ ვახშამს, რომ ყველას ყურადღებას იქცევდნენ.

დავით დადიანი ადგა, გაგარინი და მისი მეუღლე ადღეგრძელა. სწორედ ამ დროს გრიგოლ დადიანმა უჩურჩულა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. „შეხედე, რა დღეში არიან ეს მღვდლები და ბერები. რა პირწმინდად მოუსუფთავებიათ სუფრა“! თევდორემ თავის წინ სუფრა მოათვალიერა, კალმახი არსად ჩანდა. დადიანისა და ჭავჭავაძის წინ კი დიდი ლანგარი სავსე იყო კალმახით. მღვდელმა გრწელწამწამებიანი თვალები დაახამხამა, არც აცხელა, არც აცია, ლანგარს ხელით სწვდა და გრძელი კალმახი დაითრია. ამის დამნახავ ჭავჭავაძესა და დადიანს გაეღიმათ.

— არა, არ მიყვარს ეს შაოსნები, როდესაც მათ ვუყურებ, ასე მგონია ქელეხზე ეზივარ-მეთქი — თქვა გრიგოლმა.

— რათა, — გაიკვირვა ჭავჭავაძემ. — გრიგოლ ბატონო, განა იგივე მღვდლები და ბერები არ ამშვენებენ ჩვენს საქორწინო სადღესასწაულო და ნათლობის სუფრას?

— ჰო, მართალია, მაგრამ მაინც ასე მგონია, რომ სადღაც, მათ გვერდით, სიკვდილია ჩაცუცქებული და თვალებში მიმზერს. სიკვდილის მაცნენი მგონია ისინი. ამიტომ არის, რომ ჩვენს ხალხს ის დღე, როდესაც ბერი ან მღვდელი შეხვდება, კეთილ დღედ არ მიაჩნია. — თქვა დადიანმა და ისევ გახედა შავად მორთულ მღვდლებს. ისინი ისევ გამგელებით შეექცეოდნენ ვახშამს, თეფშებზე კალმახის ნამუსრევის გორა დაეყენებინათ.

— არა, მაინც რა საოცარია, ბატონო ალექსანდრე, — განაგრძობდა გრიგოლი. — ამდენს სჭამენ და სიმსუქნე მაინც არ

ეკარებათ. აბა, შეხედეთ, აგერ ხუთიოდე შავოსანია და ყველას მუცელი ჩემს მწევარს მიუგავს. აბა, თუ გინახავთ მსუქანი ბერი?

— ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ისინი თევზეულს, თაფლსა და მწვანილეულობას ეძალებიან. ამას განგებ სჩადიან. ამიტომაც მუდამ ჯანმრთელნი, წელგამართულნი არიან და დიდხანს ცოცხლობენ.

ამ საუბარში მღვდლები და ბერები სათითაოდ გაიკრიფნენ დარბაზიდან და ეკლესიას მიაშურეს.

კიდევ ორი დღე გავიდა. 11 საათზე გავარდა პირველი ზარბაზანი — ნიშანი საადგომო სამზადისისა.

მეორედ გავარდა დადიანების ზარბაზანი და სტუმრებმა სასახლის ეკლესიას მიაშურეს. სრულ 12 საათზე დაიწყო ლიტურგია. სასახლის ეკლესიის საკმაოდ დიდი დარბაზი ათასამდე კაცს იტევდა. იმ ღამეს კი ტევა არ იყო. თავადები და აზნაურები, გლეხები, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სამთავროს მთელი ამალა, სერთუკებიანი რუსი ჩინოვნიკები, რომელთაგან ბევრს ორდენები უმშვენებდა მკერდს, განსაკუთრებულ იერს აძლევდნენ ამ საეკლესიო დღესასწაულს.

ეკატერინე და დავითი ლევანთან ერთად მთავრისათვის საგანგებოდ მიჩნეულ ადგილებზე იდგნენ. — მარცხნივ—ალექსანდრე ჭავჭავაძე და სალომე, მარჯვნივ — გაგარინი და მისი ცოლი, შემდეგ — ბატონიშვილები. მთელი ეკლესია ბრწყინავდა, თაფლის სანთლებით საგანგებოდ იყო გაჩირაღდნებული. მიტროპოლიტი სწირავდა, რელიგიურ ექსტაზში შესული ხალხი დინჯად პირჯვარს იწერდა და ხმადაბლა, ჩუმად ლოცულობდა. შემდეგ ერთ ხანს ყველანი მდუმარებამ მოიცვა. ერთი წუთიც და... ეკლესიის აღსავლის კარი გაიღო; თავისი საცეცხლურით მიტროპოლიტი გამოჩნდა და ორი სიტყვა ხმამაღლა წარმოთქვა.

„ქრისტე აღსდგა“!

ხალხმა ერთი ამოსუნთქვით უპასუხა:

„ჭეშმარიტად“!

ამას მილოცვა, ერთმანეთის ხვევნა-კოცნა მოჰყვა და დარბაზში დიდი ჩოჩქოლი შეიქნა. შემდეგ, ერთბაშად ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. უცბათ დარბაზი ორად გაიპო და გზა გაკეთდა.

სათითაოდ მიდიოდნენ და მთავარსა და დედოფალს თავს უკრავდნენ თავადები და ბატონიშვილები, დღესასწაულს ულოცავდნენ. ეს საეკლესიო ცერემონიალი გათენებამდე, დილის 7 საათამდე გაგრძელდა.

დავითი სტუმრებითა და ახლობლებით ისევ სასახლეში დაბრუნდა. უკვე გახსნილდა და უხვი სანოვაგითა და ხორცეულით სავსე მაგიდას მიუსხდნენ. ღამენათევი და უძინარი სტუმრები მხოლოდ ერთ საათს ისხდნენ. შემდეგ ისევ აიშალნენ, დადიანის სტუმრები ახლა მიტროპოლიტს ეწვივნენ. აქაც რამდენიმე ხანს დარჩნენ, მეორე დღეს გრიგოლ დადიანთან გადაინაცვლეს. მესამე დღეს კი სახლთუხუცესს ეწვივნენ. ასე გაგრძელდა ეს გაჭიანურებული ცერემონიალი.

დღის 2 საათზე სტუმრები ისევ აიშალნენ. ახლა ისინი ახალ სანახაობათა საცქერლად გამოეფინენ. ეს იყო თავისებური აღლუმი, პარადი. სასახლის მოედანი, გზები და ორღობეები ხალხით იყო გავსებული. სახლის აივანზე მთავარი და დედოფალი იდგნენ. თავადი, აზნაური, გლეხი, ყველანი სათითაოდ მოდიოდნენ, მთავარსა და დედოფალს წითელ კვერცხებს აძლევდნენ, ტანისამოსზე ეამბორებოდნენ. იქვე კარისკაცი იდგა და იმ აუარებელ წითელ კვერცხს ყუთებში ალაგებდა. ყველას უნდოდა მთავართან და დედოფალთან ახლო მისულიყო და თავისი თაყვანისცემა დაედასტურებინა.

გვერდით მოედანზე კი დიდი ჭოკი აღმართეს. ჭოკის თავზე ვერცხლის თასი წამოეგოთ. ცხენებზე შემსხდარი თავადები და აზნაურები თასს განსაზღვრული მანძილიდან თოფსა და დამბაჩას ესროდნენ. ვინც ჩამოაგდებდა, საჩუქარიც მისი იყო.

უფრო მოშორებით მეორე მაღალი ჭოკი აღემართათ, მის თავზე დიდი ვაშლი წამოეგოთ. გლეხები ქვებს ამ ვაშლს ესროდნენ და ვინც ჩამოაგდებდა, მოგებულიც ის იყო. ამ სანახაობას ამთავრებდა დიდ მოედანზე გამართული ლელო ბურთი; მობურთავეთა ჯგუფი ცოლიანებად და უცოლოებად გაეყოთ.

ეს საგაზაფხულო დღესასწაული დადიანების სახლში რამდენიმე დღე გრძელდებოდა სიმღერაში, ცეკვაში. ფერხულში ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყოველ საღამოს დიდი ქეიფი იმართებოდა. ეკატერინე დედოფალს ცოტა რო-

დი უნახავს ქეიფი და მხიარულება, მაგრამ ახლა, როგორც პატარძალს, თავი მოჰქონდა ამ ზეიმითა და სანახაობით და ასე ეგონა, ამის მსგავსი ჯერ არსად არაფერი მომხდარაო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობა ამ ზეიმს განსაკუთრებულ იერს აძლევდა. 29 მარტი ეკატერინე ჭავჭავაძის დაბადების დღე იყო. იმ წელს აღდგომაც სწორედ ამ დღეს დაემთხვა. ამიტომ დავით დადიანმა ეს დღესასწაული დიდი ამბით გადაიხადა, თავის მახლობელთაგან არავინ დაუტოვებია, რომ ამ ზეიმზე არ დაეპატიჟნა. საქართველოს ამ თავკაცებში და ჩინოსებში ალექსანდრე ჭავჭავაძე განსაკუთრებულად გამოირჩეოდა. სახელოვან პოეტსა და თავადიშვილს თავს ევლებოდნენ. ამ დიდი ზეიმით მოხიბლულმა პოეტმა გულით გაიხარა, როდესაც ქეიფის ეშხში შევიდნენ და მეგრელებმა ფერხული იცეკვეს. მან უკვე ველარ დაფარა აღფრთოვანება და ხალხური შემოქმედების ამ შესანიშნავ ნიმუშს ლექსი მიუძღვნა. ეს მუნასიბი მან იქვე წაიკითხა:

ამა ველს, —
ნოხს მწვანეს
შვენის რაბამაღ,
ტურფათა
ქალ-ყმათა,
როკვა ერთბაშად...
ამოს თქმით,
ტკბილის ჰხმით
ვითა მღერიან,
ალვანი
მოძრავნი
ვით ირხეკიან.
ერთი-ერთ
მპყრობნი ხელთ
წამოსვლად ჯაჭვათ
ხან წყნარად
ხან ჩქარად
ცეკვობენ რგვილავად
იებად,
ზამბახად
და სოსან-ვარდად.
ჰვრიტოთ ვით
ღვივიან
ფერად-ფერადად.

იხარეთ,
იხარეთ,
ჰე. ბედნიერნო,
მიწისა ძლიერის
შვილნო ძლიერნო
შევწიროთ მადლობა
მადლსა უფლისას
და ყოვლსა
მიზეზსა,
ამ განცხრომისას.

მუნასიბი ტაშის ქარიშხალმა დაფარა. დიდხანს და დიდხანს არ დამცხრალა ტაშის ქარი. ალექსანდრე ჭავჭავაძე ხელში აიყვანეს, სწორედ ამ დროს ეკატერინე მიეჭრა მამას, გადაეხვია და გადაკოცნა, ჩადგა ტაშის გრიალი და ისევ წამოიწყეს ფერხული, ისევ გაინაბა მთელი დარბაზი. დასრულდა როკვა და ისევ იგრიალა ტაშმა. ქალთა და ვაჟთა გასაოცარი მიმოხვრა მთელ დარბაზს ხიბლავდა. გეგონებოდათ ეს მოცეკვავენი დადიანს საგანგებოდ გაუწვრთნიაო ამ დღესასწაულისთვის. ფერხულს ისევ გაბმული სიმღერა მოჰყვა და ისევ შევიდა ზეიმი და ლხენა თავის ეშხში.

ეს ლექსი გრიგოლ დადიანს ძალიან მოეწონა და იქვე გადაწერა. ხოლო როდესაც მეორე დღეს დიდი ბურთაობა გაიმართა, გრიგოლ დადიანმა ალექსანდრე ჭავჭავაძის წაბაძვით, ეს სანახაობა ლექსად აღწერა და იქვე წაიკითხა:

აღდგომის დღემან ბრწყინვალემ, რა შვა დღის სიცხე დაშალა,
ჰაბუკმან შემდგომ სადილის ცაცხვის ქვეშ ჯარი დასთვალა.
ცალკე უცოლო და ცალკე ცოლიანები განწვალა,
ხელიდან ბურთი გააგდო, რომლითა ყველა აწვალა,
შეიქმნა რბენა. ჰედობა, სრიალი, ნგრევა და გმერა,
დაცემა, გლეჯა და ხევა, ძახილი კვნესა და ძგერა,
გახტომა, მწრაფლად შეპყრობა, წაქცევა და ხან დაჭერა,
ირგვლივ კეკლუცთა, თვალშავთა მღერა, სიცილი და მზერა.

„კოლხიდელი“ დიდი ტემპერამენტითა და პათეტიკით კითხულობდა ამ ლექსს და, როცა დაამთავრა, პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჩააცქერდა თვალებში, — მოეწონა თუ არაო. ალექსანდრემაც თავი დაუკრა მოწონების ნიშნად. გრიგოლ

დადიანმა დიდად გაიხარა, რომ დიდებულ პოეტს მისი ლექსი მოეწონა.

მეორე დღეს ცხენოსანთა აღლუმზე მიიწვიეს სტუმრები. არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა ეს ვრცელი მოედანი საგულდაგულოდ შერჩეული ცხენებითა და ცხენოსნებით. ალექსანდრე ჭავჭავაძე ისევ გრიგოლ დადიანის გვერდით იდგა. გრიგოლ დადიანი გულმოდგინებით უხსნიდა ცხენოსნობის საქმის დადიანზე არანაკლებ მცოდნეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

ცხენოსნები ორ ჯგუფად დაეყოთ და მოედნის მარჯვნივ და მარცხნივ ჩაემწკრივებინათ. მოედნის სიგრძე ორას აოშინს უდრიდა, სიგანე — სამოცს. თვით მოედანი ოთხ ნაწილად გაეყოთ: საჯარიმო მოედანი, გასაწვევი არე, შუა მოედანი და საჯირითო მოედანი.

ცხენოსანთა შეჯიბრება ისინდით დაიწყო. მოედანზე ოცი ცხენოსანი გამოვიდა — ათი ერთ მხარეზე დადგა, ათი მეორეზე. ოცივე ყმაწვილი მხედარი საგანგებოდ მორთული და ჩაცმული იყო. ოცივე ულამაზესი ცხენი მწევარივით მუცელშეწეული, გავაკებული ზურგით. ვერცხლით მოჭედილი უნაგირით შეკაზმული და ლამაზ აბჟინდებიანი, ოცივე მხედარს თავი დარაიას ყაბალახით ჰქონდა წაკრული. მსაჯმა ამოცანა ერთხელ კიდევ განუმარტა მხედრებს. ამოცანა ასეთი იყო: რიგრიგობით ყველა მხედარი მარჯვნიდან მოედნის ნახევარს გადაჭრიდა და, როცა ცხენს მოაბრუნებდა, მარცხნიდან უნდა გამოკიდებოდა მის პირდაპირ მდგარი მხედარი და, ვიდრე ის საჯარიმო მოედანს გადალახავდა, თხილის ჯოხისაგან გამოჭრილი ისინდი უნდა ესროლა. რომელ ცხენოსანსაც ისინდი მოხვდებოდა, დამარცხებულად ითვლებოდა. რომელი მხედარიც ნასროლ ისარს ხელით დაიჭერდა, უკანვე გამოეკიდებოდა მოწინააღმდეგეს და დაჭრიდა იმავე ჯოხით, ორიქულა ეწერებოდა. საკმაო ხანს გაგრძელდა ეს საინტერესო სანახაობა. გამარჯვებული ისევ უტუს გუნდი გამოვიდა.

ახლა ახალი სანახაობა გაიმართა. შუა მოედანზე ორი ბიჭი დააყენეს, რომელთაც გრძელი ჭოხი ეჭირათ, კი არ ეჭირათ, თითის წვერზე, ციცზე ედოთ ეს ჯოხი. მხედარს ისე უნდა გადაეხტუნებინა ცხენი, რომ არც ცხენის ფეხები მიკარებოდა

ჯოხს და არც მისგან აყენებულ ქარს გადაეგდო ციცზე შეყენებული ჯოხი. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო. ეს სიძნელეც მხოლოდ უტუ მიქავამ გადალახა.

მესამე დღეს ნადირობა გაიმართა. ცხენებზე შემსხდარი სტუმრები დადიანების ნაკრძალს ესტუმრნენ. ნაკრძალი მდიდარი იყო ირმებითა და შვლებით. სახლთუხუცესმა ბუკის ხმით აუწყა ყველას, ნადირობა დაიწყოო. ალექსანდრე ცხენდაცხენ გამოეკიდა მეძებრებისაგან გამოდევნილ შველსა და ირემს და გულით გაიხარა, როცა ერთს დაეწია, ხელით დასწვდა და აიტაცა. ნადირობა გვიან დამთავრდა.

* * *

სტუმრები დიდად კმაყოფილნი გამოემშვიდობნენ დადიანების ოჯახს. გავიდა დღეები. ეკატერინე იმ ზეიმის მოგონებით ცოცხლობდა, დავითი კი მუდამ იმისთვის ზრუნავდა, რომ დედოფლისათვის ესიამოვნებინა. ცოლ-ქმარი თუმცა სხვადასხვა ხასიათისა იყვნენ, მაინც შესაფერისი წყვილი იყო.

დავითი მაღალი, გამხდარი, კაფანდარა კაცი იყო. ოდნავ მოხრილი ქართული ცხვირი, მსხვილი, მრგვალი ბრიალა თვალები და შავი დაგრეხილი ულვაშები უმშვენებდა გაბადრულ სახეს, ხოლო განიერ მკერდს მიმაგრებული სტანისლავის ორდენი გოროზი და კუშტი მპყრობელის იერს აძლევდა.

დავითი ოცდაორი წლისა იყო, როცა ბარონ როზენის წარდგინებით იმპერატორმა სტანისლავის ორდენი უბოძა. ამის შემდეგ ამ ორდენს ის არასდროს იშორებდა მკერდიდან. გარეგნულ ბრწყინვალებასთან ერთად, იგი არ იყო მოკლებული დიდ შინაგან კულტურას, განათლებული, მწიგნობარი კაცი იყო. ისევე, როგორც მისი ძმა გრიგოლი, ლექსებითა და ხელნაწერების გადაწერით ერთობოდა. ეს ყველაფერი დიდ ღირსებას აძლევდა დავით დადიანს და სრულებითაც არ იყო მოულოდნელი, რომ ასეთი კაცი მოეწონა განებივრებულსა და ულამაზეს ეკატერინე ჭავჭავაძეს.

ეკატერინეს სულ სხვა ბუნება და ხასიათი ჰქონდა, ვიდრე დავითს. მაღალი, სავსე ტანის ქალი იყო, სწორი ცხვირი, ცისფერი ჟუჟუნა თვალები, გრძელი თმანი ნაშალნი, მკერდზე დაყრილნი პაწაწა ტუჩნი ვარდებრ ნაფურცლნი ანგე-

ლოზს ამსგავსებდა. იგი მუდამ გემოვნებით იცვამდა. მისი საყვარელი ტანსაცმელი თეთრი კაბა და ლურჯი ხავერდის წამოსასხამი იყო. გვერდით ამოშვებული, მოკლე სახელოებიანი, მკერდზე ღრმად ამოჭრილი ქართული კაბა, ყელზე წვრილი, ოქროსავე ძეწკვით ჩამოკიდებული ოქროს ჯვარი, ოქროსავე სამაჯურები, მაღალქუსლებიანი წვრილწვერებიანი ფეხსაცმელი (რომელიც უფრო ამაღლებდა ისედაც მაღალ ეკატერინეს) საოცრად ამშვენებდა, ხორბლისფერი კანი კი დიდ სინაზეს ანიჭებდა. ამ მხრივ იგი ძველებური სენტიმენტალური წიგნების ტიპიურ გმირს მოგვაგონებდა. ამავე დროს განუზომლად ამაყი და ზვიადი ეკატერინე, სილამაზეს თუ მდგომარეობას ისე გაენებივრებინა, რომ არავის უწევდა ანგარიშს.

ახლად ჯვარდაწერილი მეფე-დედოფალი თითქოს შეეწყვნენ ერთმანეთს. დავითი ეკატერინესათვის არაფერს იშურებდა.

როდესაც ეკატერინე ზუგდიდში ჩაიყვანეს, სამეგრელოს უკვე მიღებული ჰქონდა რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ სამთავროს სისტემა მაინც ხელუხლებელი დარჩა. ახლა მთელ ამ დიდ სამთავროს გაძღოლა და მეთაურობა სჭირდებოდა. დავით დადიანი სულ იმის ცდაში იყო, უფრო გაეძლიერებინა თავისი სამფლობელო, მომავალი შვილები სიმდიდრით, უფლებით და მდგომარეობით უზრუნველეყო. მან მტკიცედ გადაწყვიტა, აქაც ზოგიერთი ისეთი ეკონომიური რეფორმა გაეტარებინა, რაც რუსეთსა და ევროპაში ენახა. ეს, რასაკვირველია, ადვილი არ იყო. ამავე დროს დავითს არასოდეს არ უფიქრია საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული ბატონ-ყმობის წესის შეცვლა. იგი სტოვებდა ვახტანგ მეექვსის კანონით გათვალისწინებულ ყმის და ბატონის მოვალეობას, მაგრამ იძულებული იყო ზოგი რამ მაინც შეეცვალა.

დავით დადიანმა კარგად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ სამეგრელოს დამოუკიდებლობას ბოლო უნდა მოღებოდა, როგორც ეს კახეთსა, ქართლსა და იმერეთში მოხდა. ამიტომ გულით სურდა, ისე გაეძლიერებინა თავისი ოჯახი, რომ მისი შვილების ცხოვრება უზრუნველი ყოფილიყო.

პირველი, რასაც ის ყველაზე მეტად უჭერდა მხარს, ის იყო, რომ ყმა, რომელიც სამთავროს მიწაზე დასახლდებოდა, თავისუფლდებოდა ბატონის წინაშე ვალდებულებისაგან და მას

ერთგვარი შეღავათებიც ენიჭებოდა. ამან უფრო განამტკიცა სამთავროს მიწების უპირატესობა და გლეხებიც სიამოვნებით მიდიოდნენ მის ასაღებად.

დავითმა დიდად შეუწყო ხელი, აგრეთვე, ხე-ტყით, აბრეშუმით, თამბაქოთი და სიმინდით ვაჭრობას. საფრანგეთიდან დიდი მრეწველი და ვაჭარი ჟანტი დე როზმორდუკი მოიყვანა და აბრეშუმის პარკის ძაფსახვევი ქარხანა ააშენებინა, ხოლო მისი ფილიალი ძველ სენაკში დააარსებინა.

ასევე გაჩაღდა ხე-ტყით ვაჭრობა და მრეწველობა. სამეგრელო ტყეებით მდიდარი მხარე იყო. იქ რამდენიმე ხე-ტყის დამამზადებელი კერა გაჩნდა. თეკლათელმა გრიგოლ მხეიძემ მთელ სამეგრელოში აგენტები გაიჩინა და სათავეში ჩაუდგა ამ ვაჭრობის საიჯარო საქმეს. მდინარეების — აბაშის, ტეხურის,რიონის, ენგურის საშუალებით ხე-ტყე მთებიდან ჩამოჰქონდათ ტივებით და შავი ზღვით თურქეთსა და საფრანგეთში გაჰქონდათ.

ძველი დროის ფაზისისა და დიოსკურიის მსგავსად რედუტკალე და ანაკლია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების აღებ-მიცემის ხიდი გახდა. ლეიფციგსა და ფრანკფურტში შეძენილი საქონელი ვაჭრებს ზღვით რედუტკალეში მოჰქონდათ და აქედან ურმებითა და ჯორებით თბილისსა, ერევანსა, ნახჭევანსა და თავრიზში ეზიდებოდნენ. შემდეგ რუსეთმა ანაკლიასა და რედუტკალეში თავისი ხალხი ჩააყენა და საქონელზე ბაჟი დააწესა. სამეგრელოს სამთავროს ამ ნავსადგურის დათმობის გამო ყოველ წელიწადს თორმეტი ათასი მანეთი ეძლეოდა. მერე კონტრაბანდული ვაჭრობა დაიწყო. დავით დადიანს ყველგან — სუჯუნასა, ორპირსა, რედუტკალესა და მდინარე ცივთან თავისი კაცები ჰყავდა და ჩუმათ იქიდანაც იღებდა გარკვეულ შემოსავალს. ენგურიდან ახალ მთამდე სამეგრელოს ბარი და მთიანეთი რამდენიმე ოლქად დაყო და ამის კვალობაზე ყველგან ამ საქმეს თავისი ერთგული კაცები ჩაუყენა. მთავარი ზუგდიდში იჯდა და მთელი სამეგრელოს მფლობელად ის ითვლებოდა, მაგრამ მთავრის ძმებსა და ბიძაშვილებს ასევე წილი ედოთ სამეგრელოს სიმდიდრეში.

ლევანის სიკვდილის შემდეგ დავითსა და მის ორ ძმას გიორგის და კონსტანტინეს ზუგდიდში სასახლეები დარჩათ. საზათ-

ხულო და საზამთრო აგარაკები, დავით დადიანს სალხინოსა და გორდში ჰქონდა, ხოლო გიორგისა და კონსტანტინეს — აბასთუმანსა და ახალსოფელში.

სენაკის ახლოს დიდი ნიკოს შვილები სახლობდნენ. მათში პირველი ელიზბარ დადიანი იყო. მისი სასახლე სოფელ ახალხორში იდგა. ამას მოსდევდა ნაქალაქევთან სოფელ ქვაშხორში მენიკ დადიანის სასახლე, ხოლო მარტვილთან ახლოს არჩილ დადიანი სახლობდა. ასე იყო სამთავროს მიწა-მამული განაწილებული.

ამ ბატონიშვილების შემდეგ ცნობილი თავადიშვილები მოდიოდნენ. ისინიც ბევრნი იყვნენ. ყველაზე უფრო დიდ თავადიშვილებად მაინც ჩიქოვანები, ჩიჩუები და ხეციები ითვლებოდნენ.

აზნაურობა თავის მხრივ სამ წყებად იყოფოდა: სადადიანო, საეკლესიო და უბრალო აზნაურები. ესენიც ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ. სადადიანო აზნაურებს უფლება ჰქონდათ თავადიშვილებთან ერთად დამსხდარიყვნენ და ესადილათ. მათ დეზი ორივე ფეხზე ჰქონდათ, საეკლესიო აზნაურებსაც ნება ეძლეოდათ თავადიშვილებთან ერთად დაუპატიჟებლად დამსხდარიყვნენ. ხოლო დეზი ცალ ფეხზე ჰქონოდათ. უბრალო აზნაურებს კი ეს უფლებაც არ გააჩნდათ და სინამდვილეში გლეხები იყვნენ. საზოგადოდ, აზნაურებს სამთავროსა და თავადების მოვალეობა ისევე ეკისრებოდათ, როგორც გლეხებს. აზნაურები არაფერს თაკილობდნენ: სასახლეში მსახურობდნენ, მოურავებადაც იყვნენ, ანდა ყანას თოხნიდნენ გლეხივით.

დავით დადიანმა აზნაურების უფლებები უფრო გააფართოვა და მათ მეტი შეღავათი მისცა, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. და აი, ყველაფერ ამისთვის დავითს დიდი დრო, დიდი ძალა და დიდი შრომა დასჭირდა. ისე ჩაება ამ საქმიანობაში, რომ პირადი ცხოვრებისათვის, ეკატერინესათვის დრო ცოტაღა რჩებოდა.

* * *

თაყვანისცემასა და ყურადღებას შეჩვეულმა ეკატერინემ ფრიად მოიწყინა. ფეხმძიმე დედოფალი ავად გახდა. გააცია, მთელი ღამე ცახცახებდა, ვერაფრით გაათბეს. დილით ადრე კი

მუცელი მოეშალა. დაღონდნენ სასახლის კარის ჭირისუფლები. ყველაზე უფრო ლევანი წუხდა. ერთი წელი არ იყო გასული, რაც დედოფალი მოიყვანეს და უცებ ეს უბედურება დაატყდა თავს.

დრო გავიდა. დედოფალმა მოიკეთა.

დავითი ისევ მოუცლელი იყო. ლევანი ერთავად რძალთან იჯდა. ეკატერინე რომ ჩაიყვანეს სამეგრელოში, დავითის დედა ერთი წლის გარდაცვლილი იყო. შეუყვარდა დედოფალს ლევანი, მის ასეთ ზრუნვაში მამის თბილ გულს ხედავდა. ეხლა ეკატერინეს ლევანზე მეტად არავინ უყვარდა, ლევანი კი მთელი დღე ესაუბრებოდა, რაიმეს უხსნიდა, აცნობდა, მუდამ რაღაცას უამბობდა დედოფალს.

ჯერ თავისი ბიბლიოთეკა გააცნო. ეკატერინეს ეგონა, რომ მამამისის ბიბლიოთეკის შემდეგ ლევანი ვერაფრით გააკვირვებდა, მაგრამ როდესაც დადიანების ბიბლიოთეკის კატალოგი გადასინჯეს, ფრიად გაიხარა დედოფალმა. რა წიგნს არ შეხვდებოდით ბატონიშვილის კოლექციაში; არისტოტელეს და პლატონის თარგმანებს, ძველი ქართველი პოეტების ხელნაწერებს. განსაკუთრებით კი ეკატერინეს ლევანის ბრძანებით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ მოეწონა. ფურცლავდა, კითხულობდა ათასჯერ წაკითხულ „ვეფხისტყაოსანს“. იქ ეძებდა თავის უკმაყოფილო სულის წადილს. რამდენიმე დღე ასე გაატარა ხელნაწერის კითხვაში. შემდეგ ისევ ეწვია მოწყენილობა პატარძალს. დავითი მაინც ვერ იცლიდა ეკატერინესათვის. ისევ დაღონდა დედოფალი, ისევ დამწუხრდა ოჯახი.

ეკატერინეს შვილი ეყოლა, მაგრამ ბავშვი ექვსი თვის არც იყო, რომ გარდაეცვალა, ამიერიდან იგი მთელ ქვეყანას ემდუროდა.

ერთადერთი, ვისაც ხშირად ანდობდა თავის სევდას თუ წუხილს, ისევ ჩიჩუას ქალი, ეკა იყო. ასე გალია მეორე ზამთარი დედოფალმა და ვერაფრით მოილხინა მისმა გულმა. თითქოს არაფერი აკლდა — განათლებული ქმარი ჰყავდა, ჩინებული და დიდებული სასახლე ჰქონდა, მუდამ მოფუსფუსე ქალებისა და კაცების მთელი ამალა ეხვია გარს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გათბა დედოფლის სული.

ცივი, ყინულზე ცივი აღმოჩნდა ოჯახი, რომელსაც ახლა

დედოფალი განაგებდა. ქმრის სიყვარული არ აკმაყოფილებდა. ბორგავდა, წუხდა, ვერ ისვენებდა.

ისევ დადგა გაზაფხული. დათბა. ზღვისპირეთის თბილმა ნიავმა ისევ დაუქროლა ბუნებას, ისევ აყვავდა ბაღში იასამნები, შეიმოსა ფოთლებით ჭადრის ხეები, გაიხარა მთელმა ბუნებამ, ხოლო ეკატერინეს ისევ ჩამოსტიროდა თვალები, სევდასა და მწუხარებას დაეპყრო მისი სული.

სწორედ ამ დროს დადიანების სასახლეს ეკატერინეს უფროსი და, ნინო ესტუმრა. ნინომ ერთაბაშად მოხიბლა სასახლის კარი. სათნო, კეთილი ნინო გულით შეიყვარა დიდმა და პატარამ. დებს ერთმანეთს ადარებდნენ და უკვირდათ, რომ მათ შორის დიდი განსხვავება იყო. ნინო ყოველ საღამოს მეჩონგურე ქალებს მიუჯდებოდა და მათს სევდიან სიმღერას გატაცებით უსმენდა. აქებდა ამ სიმღერებს, გულით ხარობდა. უნდოდა ეს სიხარული ეკატერინესაც გადასდებოდა, მაგრამ ამაოდ, ვერა და ვერ გაათბო მისი გული. დედოფალი ვერც თბილისიდან ჩამოტანილმა მანანა ორბელიანის ნაქსოვმა და ნაქარგმა გაახარა, ვერც მამის მიერ გამოგზავნილმა საჩუქარმა. ნინოს სწყინდა, თავის დას ასეთ ყოფაში რომ ხედავდა.

დავითს უკვე აღარ შეეძლო ამ მდგომარეობაში არ ჩარეულიყო. ერთ საღამოს აივანზე მჯდომ მეუღლეს მეგობრულად ურჩია ხელი მოეკიდა სასახლის ბაღის გამშვენიერებისა და გალამაზებისათვის. მებაღე მოიხმო. მებაღემ დავითსა და ეკატერინეს ყირიმიდან ჩამოტანილი ნერგების ქება მოახსენა. მეორე დღესვე მებაღე ეკატერინესთან ერთად ჩაება ბაღის მოვლა-პარტონობის საქმეში. საზღვარგარეთიდან ახალი მებაღეებიც მოიწვიეს, ნერგები და თესლები გამოიწერეს და სულ სამი თვის განმავლობაში ბაღი მაგნოლიებით, ბეგონიებით, პალმებით, მიმოზებით, კვიპაროსებით, მანდარინებითა და ლიმონებით მოირთო.

ბაღის ბოლოს ნაძვნარით, ფიჭვნარით, ფოთლოვანი მცენარეებით დამშვენებული დიდი პარკი იყო. სადაც აურაცხელი შველი, ირემი და ქურციკი ბინადრობდა. არც ამას დასჯერდა დედოფალი. ყირიმიდან, ვორონცოვის მამულიდან, ნერგები, ახალი ყვავილები და ვარდები მოატანინა, ბაღი ყოველდღე მშვენიერდებოდა და ლამაზდებოდა. ყოველივე ამან დიდად

გაართო დედოფალი. ბაღის მოვლასა და პატრონობაში ძალზე უწყობდა ხელს სასახლის სახლთუხუცესი. ამ უკანასკნელს ეკა ჩიჩუა მოსწონდა. ეკა განუყრელად გვერდით ახლდა დედოფალს, ამასთან ერთად, სულ ბაღში ტრიალებდა და დავით ჩიქოვანიც ამიტომ შეეჩვია ამ ბაღს. იგი ჩუმად და ფარულად უჭვრეტდა თავის სატრფოს. ეკატერინეს არ გამოპარვია ახალგაზრდა წყვილის სიყვარული.

დავით ჩიქოვანი ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, ლამაზი, ახოვანი, ეშხიანი. ჩიქოვანი უმზერდა ეკას და შემდეგ თვალთამზერას დედოფლისაკენ გადაანაცვლებდა ხოლმე. დედოფალი ფიქრობდა, თავის გულის სატრფოს ალბათ მე თუ მადარებსო, თან მის თვალთა ცქერაში ადვილად იჭერდა მამაკაცის ვნებიან მზერას. დიდხანს გრძელდებოდა ბაღში თვალებით ტრფიალი, ფარული სიყვარული. ბოლოს ეკატერინემ ცოლად შერთო ეკა დავით ჩიქოვანს. ერთხანს ამ ამბავმაც გაართო ეკატერინე, მაგრამ კვლავ მოიწყინა. ფარული მოწყენა და სევდა არ სცილდებოდა დედოფალს. ამავე დროს იგი უცნაურად დამრგვალდა. ისევ ფეხმძიმედ იყო დედოფალი, ისევ ბორგავდა. გავიდა დრო და დადიანებს ისევ ვაჟი შეეძინათ. ბავშვს ლევანი დაარქვეს. ეს ბავშვიც უიღბლო აღმოჩნდა; წლისაც არ იყო, ავად გახდა და „ორ დღეში ყბაყურისაგან გათავდა". იმ წლის 20 ივნისს ეკატერინე ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„ჩემო უსაყვარლესო ძმაო, გრიგოლ, ვიცი როგორც გიყვარვარ და როგორც შემიბრალებდი მე ჩემის პატარა ლევანის დაკარგვისათვის. ღმერთმა შენი მტერიც ნუ შეაწუხოს, როგორც ჩემი გული იყოს ამის სიკვდილით დამწვარი. ნეტავი შენი სიცოცხლით ისეთი კარგი და გონიერი არ ყოფილიყო. ორს დღეში ყბაყურისაგან გათავდა. მეორე ბიჭიც ალექსანდრე, მართალია, სნეული იყო, მაგრამ ჩემი გული და სიხარული იმათ სიკვდილმა წაიღო. შენ ეხლა არ შეგიძლიან მონაწილეობა მიიღო ამ ჩემს მწუხარებაში. შვილი რომ გეყოლება, მაშინ უფრო შემიბრალებ. ჩემი და ნინო ეს ხუთი თვე არის, რაც ჩემთან არის სოფ. გორდში. ეს მეორე კვირა არის, რაც დედა და ბაკლანაც მოვიდნენ აქ, გორდს, თან მოიყვანეს... ალექსანდრე ახვერდოვი.

შენი წიგნი მომივიდა ამას წინათ ზუგდიდს. ნეტავი იმ

დღეს, ჩემი მშვენიერი ლევანიც ცოცხალი მყვანდა. თუ გიყვარდე, ხშირად მოიწერე ხოლმე წიგნი, ჩემი დაჩაგრული გული შენის ლაზათიანი ლაპარაკით გაამხიარულე; მაგრამ ვაი შენს მტერს, ასე მაქვს გული, გრიგოლ, დახშული, რომ მე მგონია თავის დღეშიც აღარ მაამებს რა.

მშვიდობით ჩემო გრიგოლ, ემირხანობაშიც ნუ დამივიწყებ. ბევრი უნდა მომეწერა, მაგრამ ეს არის ეხლა სიმბორსკის მოველით, იფიქრე ახლა ფრანტაობის თავი ვისა აქვს? დავითთან მოდის მოსალაპარაკებლად სვანეთის საქმეზედ.

შენი ცოლის შერთვაზედ რასა ფიქრობ? აქაურს საცოლეს, შენ... ჯერაც არა აქვს და ამის მოლოდინში სულ დაბერდები. დრო ახლა გაქვს ქორწინებისა.

შენი მარად ბედნიერების მოსურნე და, ეკატერინა დადიანისა.

იქნება ამ ზამთარს თბილისში წავიდე, ნეტავ იმ დროს შენც იქ იყო, რომ გნახო".

მინაწერი:

„რა ბაიყუში ვარ, ჩემო საყვარელო გრიგოლ. ამ ოთხს თვეს რაც ვისიამოვნე, კატინას შვილების სიკვდილმა მწარედ ჩამაშხამა, ამისთანა უბედურებას ჩემს თავს ვაბრალებ. არაფერში ბედი არა მაქვს. რა არის დალოცვილო, არც ემირხანობაში და არც კურკაობაში შენი ბოროტი ენა ვერ დავაყენე? მაინდამ რაღას მეჩხუბები? მაგრამ საშინელი ეშმაკი ხარ, ვერაფრით თავს ვერ შემაძულებ, რაღაცა ჯადო გაქვს გაკეთებული.

ახლა კიდევ უფრო ისწავლიდი მაგ თათრებში, მოდი ხელი აიღე ჩემს წინააღმდეგობაზე. კარგს ამბავს გახარებ, გრაფინიას წიგნი მომივიდა, რომელშიაც გილოცავს მაიორობას დიდათ.:.

ახლა ჩემო გრიგოლ, შენ რაზე ბერდები მაგრე, ლამის ჩვენმა სონიჩკამაც დაგასწროს გათხოვება, აქაური იმედი ნურა გაქვს რა, ფეხთმძიმეობენ, ნაზობენ, მანამ ამას ნება მოუვა, შენ ერთი კბილი აღარ გეჭნება, დამიჯერე, სხვა მონახე ვინმე, ხომ იცი, მე ურიგოს არ გირჩევ, შენი ბედნიერებაც ასე მსურს როგორც დავითისა, დიდი ყოფა გაქვთ ორთავ ძმებს, თქვენ

დაგრჩათ ბურთი და მოედანი, ზაქარიას, როდესაც წიგნი მისწერო, ერთი ურემი მოკითხვა გაუგზავნე ჩემად, ვიცი ძალიან მემდურის, წიგნი ვერ მივწერე ერთხელ, ლაჩარი ვარ ჭეშმარიტად .მალე მოგართმევ ჩემს წიგნს. კიდევ სექტემბრამდინ აქ ვრჩები. მას უკან ჩავალ ისევ ჭორიან თბილისს, აქ ყურიც და გულიც მოსვენებული მქონდა თუ ეს უბედურება არ დაგვმართოდა.

ასე ჩემო გრიგოლ, გთხოვ შენს ლამაზ წიგნებს არ დაგვაკლებდე ხოლმე, თუ კიდევ ჩემს წინაალმდეგებსა მოიწერები, იცოდე აღარ გაღირსებ ჩემს წიგნს, ვიცი ჩემი უანბობისათვის არ შეწუხდები, და თუ პასტაიანი კაცი ხარ, შენი რომანის ამბავი რომ მომაკლდება, გულს დამწვავ.

მშვიდობით ჩემო ერთგულო გრიგოლ, გთხოვ გახსოვდეს მარად შენი ბედნიერების მოსურნე, შენი და, ნინო გრიბოედოვისა...

დედამ შემოგითვალა, ბევრი შენისთანა კურკახანები გვინახამსო, მაგრამ არავინ გაამპარტავნებულაო.

კიდევ მინაწერი:

— За что также не милость ко мне Ваше высокостепенства. Каким чудом Ваш проницательный взор гул с высот Аравийских гор по со... лея Мингрелии не заметил хилого, больного Давида про... своих сестер... Вижу теперь... Вашу всякую особу...».

კიდევ მინაწერი:

„ერთი დღე გაბრიელ მებაღის შიშით ვიმალებოდით.

მელანიამ თავი დაგიკრა, თუ საჭირო არს თოფხანა მზათა მაქვსო... გრიგოლ, გახსოვს თქვენს ვეჩერში მანანასა და მე რომ... დენჩიკი ქაღალდის ფულისათვის როგორ გვაშინებდა“...

* * *

დედოფლის მოწყენილობა და სევდა ბაღში ფუსფუსმა ვერ ჩაკლა.

მიდიოდა დღეები. ყოველ ახალ დღეს უსიამოვნება და წუხილი მოჰქონდა. ვეღარ გაუძლო ამ საშინელ მოწყენილობას ეკატერინემ. ახლა თბილისი მოენატრა დედოფალს, თავისი ხმაურიანი, საყვარელი თბილისი, თავისი მეგობრები და ამხანაგები გაახსენდა... ბაღში მოწყენილი დადიოდა და ტატოს

ლექსს ღიღინებდა. ეს ლექსი გათხოვების რამდენიმე დღით ადრე დაუწერა და გადასცა ეკატერინეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა. ტატოს ეს ლექსი, მის ორ სხვა ლექსთან ერთად, რომელიც ასევე ეკატერინეს ეძღვნებოდა, დედოფალს ზუგდიდში ჰქონდა წამოღებული, როგორც პოეტის სახსოვარი. ახლა იგი ამ დაზეპირებულ ლექსს ხან ჩურჩულით, ხან ხმამაღლა წარმოთქვამდა:

ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუვინ ჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი
ძნელღა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!..

თქვა ეს სტრიქონები და შეჩერდა. სახეზე სევდა გადაეფინა. ცოტა გაიარა, იქვე ახლო ერთ მაღალ ვარდის ბუჩქთან მიიჯრა. ვარდს მოეფერა, მოწყვეტა მაინც ვერ გაბედა, ახლა ისევ გააგრძელა:

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან იკრძალვის, არღა იცის
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

კიდევ შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, რაღაც მოაგონდა. მის სულს ისევ სევდა დაეუფლა:

ძნელი არის მარტობა სულისა;
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ეს თქვა და იქვე გადაჭრილ მუხის ჯირკზე ჩამოჯდა. ლექსის სტრიქონებმა სულის სიღრმეში გაიხმაურა და თითქოს დაამშვიდა მისი მწუხარე სული.

ადგა, გაიარა ბაღში და თვალწინ ჭაბუკი პოეტი ტატო დაუდგა. მოიხედა, სადმე აქ ბაღში ხომ არ არიო, ახლა თითქოს ბინდიც გადაეყარა: თურმე ტატო, ტატო აწუხებდა მის სულს, ტატო ეძახდა, ტატო მოუხმობდა. სევდისაგან გულშეღონებული რომ არ წაქცეულიყო, იქვე, ჩალის სავარძელში

ჩაჯდა, თავი სკამის ზურგს მიაყრდნო, თვალები დახუჭა და უფრო ნათლად წარმოუდგა თბილისი, მამისეული სახლი და ის ორი მშვენიერი ლექსი, რომელიც მას ჭაბუკმა პოეტმა უძღვნა. ახლა ისიც მოაგონდა, ის და ტატო ბავშვობიდანვე ერთად რომ იყვნენ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ შემდეგ ეს ბავშვური მეგობრობა სიყვარულად იქცეოდა. ტატოს გულწრფელად მოსწონდა ცქრიალა, ლამაზი, მომღერალი გოგონა, მაგრამ ვერ გაემხილა მასზე უფროსი ქალიშვილისათვის მიჯნურობის ხვაშიადი. და, როდესაც ეკატერინე თავის საყვარელ სიმღერას ფორტეპიანოზე უკრავდა, ტატო თურმე მას ლექსს უთხზავდა. ახლა ეს ლექსი მოაგონდა და ისევ ჩურჩულით გაიმეორა:

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები,
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალმუნები!
სად ხარ იმ არეს
მოჰფენ სიამეს, —
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!
შენის ენითა
სავსე ლხენითა
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!..

აქ შეჩერდა. თითქოს ამ სტრიქონის ავტორს ეკამათებაო: „არა, ჩემო ტატო, სად არის ახლა ის მხიარულება, სად არის ახლა ის ღიმილით სავსე ჰაეროვნება. შენი კატია რომ ნახო, შეგეცოდება, არა, გაქრა, წავიდა მხიარულება სულისა...“ ახლა თითქოს უცხო ხმა გაეხმაურაო: „არა, არ წასულა, შენს ხელთ არის შენი ბედნიერება, შენ ისევ დაიბრუნებ მას“. მაგრამ ამ ხმას თითქოს არ გამოეპასუხა ეკატერინე და ისევ განაგრძო:

მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ეარდსა და ბულბულს მოელხინარე,
პირმცინარითა
სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე.

(„ვარდი და ბულბული“ ლექსია სამღერალო, რუსულიდან ნათარგმნი თ-ის ჭავჭავაძისაგან“. ეს შენიშვნა ნ. ბარათაშვილს მიეწერა ამ ლექსისათვის.).

ისევ ადგა, მაგნოლიის ხესთან მივიდა, ხელით შეეხო, მოუხდა მოხვეოდა, გულში ჩაეკრა ეს ნედლი, სურნელოვანი ხე, მაგრამ შერცხვა დღისით, მზისით ამგვარი საქციელისა და ისევ უკან გაბრუნდა. ახლა ბარათაშვილის „საყურე“ მოაგონდა და უნებლიეთ ხელით შეეხო თავის საყურეს, მოუალერსა, მოეფერა. შემდეგ ორივე საყურე მოიხსნა, ხელისგულზე დააგორა, უყურა, უმზირა, თითქოს რაღაცას ეძებდა, რაღაც უნდოდა ამოეკითხა ამ საყურეებში. გაეღიმა, მწარედ გაეღიმა.

პოი, საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

ისევ გაიკეთა საყურეები, ისევ ბაღში გაიარა. ახლა კი სავსებით დარწმუნდა, რომ მისი ბავშვობის მეგობარი ჭაბუკი პოეტი მის სულში იჯდა, მის ორეულად ქცეულიყო. მოსვენება დაკარგა. უცბათ სასახლეში გაიქცა, საწოლ ოთახში შევარდა. ბალიშზე დაემხო და ატირდა. კი არ ატირდა, რაღაც საშინელ-ხმით აღრიალდა და ეს ისე ხმამაღალი იყო, რომ ეკა ჩიჩუა დაუკითხავად შეიჭრა, დედოფალო, რა მოგივიდა, რა დაგემართაო, ჩასძახა. ეკა განცვიფრდა: ბალიშიც ცრემლით დანამულიყო და დედოფალსაც პირსახე ცრემლით დაჰბანვოდა.

ეკატერინე გონს მოეგო. ადგა, ერთი საშინლად ამოიხვნეშა, იქვე სავარძელში ჩაეშვა და დიდხანს ხმა არ ამოუღია.

დავითთან შეუღლებამ ეკატერინეს ვერ მოჰგვარა სიყვარულის დიადი გრძნობა. ერთსულად და ერთხორცად ვერ იქცნენ ცოლი და ქმარი. ახლა მხოლოდ მოვალეობა აიძულებდა დავითის სარეცელი გაეზიარებინა. მათ მხოლოდ ცოლქმრობის პირობა, ეკლესია და ტახტის ერთგულება აკავშირებდათ ეკატერინეს ზვიადი გული, ტახტის მფლობელი გული უკარნახებდა ყოველივე მოეთმინა. დედოფალმა გაიგო, რომ სიყვარული სიკვდილივით დაუკითხავად მოდის და ასევე დაუკითხა-

ვად მიდის, უსიყვარულოდ შეიძლება სამოთხე ჯოჯოხეთად იქცეს.

მაგრამ დადიანის სიყვარულს ეკატერინე დიდი ხანია აღარ ეძებდა. ეს ხორციელი ვნებაცა და ბიწიერებაც მალე მობეზრდა, ეძებდა რაღაც უჩვეულოს და ვერ პოულობდა, დედოფალი გულჩათხრობილი და მოწყენილი გახდა. ეს მოწყენილობა მთელ სასახლეს გადაედო. სასახლეში გაქრა სიცილ-კისკისი, ოხუნჯობა, ლაღობა, ხუმრობა და სიმღერა. ყოველ საღამოს მაინც ცდილობდნენ გაერთოთ დედოფალი, ულამაზესი მეჩონგურე ქალები გარს ეხვეოდნენ ტანის რხევით, საოცარი ნაზი სიმღერით, მაგრამ ვერ განუქარვეს სევდა დედოფალს. პირიქით, ამგვარი მოქცევა უფრო აღიზიანებდა მას. მის სულს ღრმა სევდა აედევნა და არ ასვენებდა, მისი გული ყელამდე აღევსო სევდას. ირგვლივ სხვას ვერაფერს ხედავდა. დრო კი, მკაცრი კანონის ძალით, მიაბიჯებდა და ყოველივეს. ბედნიერებას თუ უბედურებას, სევდას თუ სიხარულს, ოხვრას თუ ლაღობას თანაბრად ანებივრებდა ამ ქვეყანაზე. ჭაეჭავაქის ასული კი ისევ ღელავდა, მით უმეტეს, ახლა ფეხმძიმე იყო.

მუცელი ისევ მოეშალა დედოფალს და ახლა მთლად გადარია, აიწყვიტა. უკმაყოფილებამ და სევდამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა. სხვა გზა არ იყო, ამ მდგომარეობიდან რამე ეკამოსავალი უნდა მოენახა. მეტის ატანა აღარ შეეძლო. ძნელი გახდა აზღვაებულ გრძნობებთან ბრძოლა. ვერც გამოიცნო ჰიზეზი ამ აღტყინებისა და უძირო სევდისა.

იმავე საღამოს ეკატერინემ ქმარს განუცხადა, წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე, ჩვენები ალბათ ცუდად არიან და თბილისს უნდა წავიდეო. ქმარი ადვილად დაეთანხმა... ეკატერინემ მეიშრო ცრემლი და თავის საყვარელ თბილისს მიაშურა. დაკითს ახლა იმდენი საქმეები ჰქონდა, რომ მეუღლის თბილისს წასვლა კიდევაც გაუხარდა.

თბილისს მთელი ამალა გაჰყვა ეკატერინეს, საგანგებოდ შერჩეული ქალებისა და ვაჟების ამალა.

ამაყი და თვითნება ეკატერინე თბილისში ეძებდა თავის დაკარგულ სიყვარულს. და აი, ახლა მიხვდა, რომ სადღაც ღრმად მიფერფლილი, გაუმხელელი პირველი სიყვარული გა-

ხუახლდა და სიყვარულის ჩატეხილი ხიდის გამთელება განეზრახა. სწორედ ამ მიზნით ესტუმრა იგი თავის საყვარელ თბილისს ქალაქს. თბილისში არავინ მოელოდა და როდესაც მამისეული სახლის კარი ნინომ გაუღო, ისე სულმოუთქმელად დაუწყო კოცნა თავის დას, რომ ნინომ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. ახლა დედას გადაეხვია ეკატერინე და ასე სათითაოდ დაკოცნა ყველა.

ეკატერინეს მამისეულ სახლში ყველაფერი ახლობელი და ნაცნობი იყო. მთელი საათი სულმოუთქმელად, მღელვარებით და აღტაცებით ლაპარაკობდა. ყველამ იგი თავისი ბედითა და ხვედრით კმაყოფილად ჩათვალა. შემდეგ ერთბაშად დაღონდა. ახლა ნინომ გაიხმო ის ცალკე ოთახში. დიდხანს საუბრობდნენ დები. ეკატერინემ დას სულის სევდა გაუზიარა და დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელ თვეებში გადახდა. მერე სთხოვა, ტატოს ახლავე ბარათი გაუგზავნე და ამ საღამოსვე შემახვედრეო. ნინომ მაშინვე დაწერა პატარა ბარათი და აფრინა კაცი ტატოსთან. ტატო ამ დროს მეფისნაცვლის კანცელარიის პატარა მოხელე იყო. სწორედ იქ მოუტანეს ბარათი. ნინო სწერდა: „ჩემო ტატო, ზუგდიდიდან გვეწვია ჩვენი კატია, მოუთმენლად გელოდებით, სამსახურს დაამთავრებ თუ არა, ჩვენსას გამოიარე. ერთად ვისადილოთ, გეხვეწები ჩვენთან გამოიარო, სახლში არ წახვიდე, შენი ნინო“.

ტატომ გადაიკითხა ბარათი. გაოცდა, მისთვის ეს მოწვევაც და ეკატერინეს თბილისში დაბრუნებაც სრულიად მოულოდნელი იყო.

ბარათაშვილი სწორედ მაშინ მივიდა ჭავჭავაძიანთ სასახლეში, როდესაც სამსახურიდან დაბრუნებული ალექსანდრე და მისი ოჯახის წევრები გაშლილ სუფრას მისხდომოდნენ. ყველას ესიამოვნა ტატოს მოსვლა, განსაკუთრებით—ეკატერინეს. ის ჯერ გაწითლდა, შემდეგ ახლო მიეჭრა ნიკოს, ერთბაშად გადაეხვია და გადაკოცნა. ეს არავის გაკვირვებია, რადგან დიდი ხნის უნახავი ბავშვობის მეგობრები აბა, სხვანაირად როგორ მოიქცეოდნენ!

სადილი დამთავრდა თუ არა, ნინომ ეკატერინე და ტატო თავის ოთახში მიიწვია. საუბარს თავი ვერ მოაბეს. შეატყო ეს ნინომ და მაშინვე დატოვა ოთახი. ტატო და კატია ერთმანეთს

დიდხანს დამდურებულივით შესცქეროდნენ. შემდეგ ისევ ეკატერინე გამოერკვა: „რას აკეთებ, ტატო, შენ ალბათ ახალ ლექსებს დაწერდი, მე კი არაფერი ვიცი, ეგებ მიამბო შენი ამბავი". მაგრამ ყველაფერი ეს ნაძალადევი იყო. საუბარი არ ებმებოდა, მათი ხმები რაღაც გაბზარული იყო და მათი სათქმელიც—დაკარგული. ახლა ტატო ეკითხებოდა ზუგდიდის. ოჯახის ამბებს. ამან უფრო გაახელა ეკატერინე და მიხვდა, რომ პოეტი დასცინოდა. ეკატერინე ერთბაშად ატირდა. ეს სავსებით მოულოდნელი იყო ტატოსათვის. იგრძნო, რომ აწყენინა თავის ბავშვობის მეგობარს და ამის გამოსასწორებლად ლექსი წაუკითხა:

ჰაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ
და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიჩნიოთ შავი ბედის მწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი.

ტატომ ეკატერინეს შეხედა და მის თვალებზე კვლავ ცრემლები შენიშნა. არაფერი უთხრა და ისევ გააგრძელა ლექსის კითხვა:

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა,
სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, რომ ჰაბუკი ბერიკაცობდეს!
მას ვაქებ ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინაც კმარა დადუმება გულის ვნებათა,
კისრად ტვირთება წუთი სოფლის მძიმე ზრუნვათა.
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეყრის სარგებელს!
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი.
არ შეემჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვეველს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს.

ტატო ეკატერინეს თვალებში შეაჩერდა. ეკატერინე დუმდა, გაოგნებული შესცქეროდა პოეტს და ესღა აღმოხდა:

„ტატო, ვინ არის ის ქალი, კეკელა ქალი? გარნა მე ვარ ეს? მე?“ — ესა თქვა და ისევ ატირდა, ახლა უკვე ისე ხმამაღლა ატირდა, რომ ნინო საჩქაროდ შემოიჭრა ოთახში. გაოცებულმა იკითხა, რა მოხდა, რა იყოო. ტატომ სერიოზული ხასიათი არ მისცა ნათქვამს, უდარდელად გადაიხარხარა და თქვა: ნინო, როგორც ეტყობა, ეკატერინე დიდ განცხრომაშია ზუგდიდში, ბავშვივით ეფერებიან, ყველა გულის საწადელს უსრულებენ და აი, საკმარისი იყო მისთვის პატარა საწყენი მეთქვა და, ხომ ხედავ, როგორც ჩვილი ბავშვი, ისე ატირდა, არ ვიცი რას მივაწერო ეს, მის ნებივრობას. ქალურ სისუსტეს თუ ეჭვსა, სულისა მქენჯნავს.

ამის თქმისთანავე ტატო ოთახიდან გავიდა.

დები სახტად დარჩნენ. ტატოსაგან ამგვარ საქციელს არ მოელოდნენ. ეკატერინეს გულის სიღრმეში ეწყინა კიდეც ტატოს ამგვარი საქციელი, მაგრამ არაფერი თქვა. დები დიდხანს ისხდნენ ასე მდუმარენი. ბოლოს ისევ ნინომ წამოიწყო: დაო, ნუ მიაქცევ ყურადღებას: ამ ბოლოს ტატო აუტანელი გახდა, არავის ინდობს. ყველას ქირდავს, ყველას დასცინის. იგი ისეთი აღარ არის, შენ რომ იცნობდი. ახლა სულ სხვანაირია. გულთან არ მიიტანო მისი სიტყვები. მე ხვალვე ვნახავ და გავუჯავრდები ამ საქციელისათვის.

ამ დროს დედა შემოვიდა და საუბარი ისევ ოჯახურ საქმეებზე გადაიტანეს.

ის ღამე უფრო გაუმწარდა ეკატერინეს. მას ასე ეგონა. თბილისში ჩავალ, ტატოს ვნახავ, დავმშვიდდები და სევდაც გამიქრებაო. მაგრამ ტატოს ნახვამ, მისმა ლექსმა, არა თუ დაუამა გულის წუხილი, არამედ უფრო განუახლა. ახლა იგრძნო, თუ რა ძლიერ ატკინა გული ტატოს, რა ცუდად მოექცა. მთელი ღამე უძილოდ დაიტანჯა.

მეორეს დღეს გვიან ადგა. უგუნებობა შეატყეს ოჯახის წევრებმა. მოეფერნენ, მიუალერსეს, მაგრამ მის სულსა და გულს სევდა და მწუხარება არ სცილდებოდა. ასე გაატარა მთელი დღე.

ახლა მისთვის თბილისი და ზუგდიდი სულ ერთი იყო. ნინო მთელი დღე ეხვეწებოდა, ქალაქს გავიდეთ, გავიაროთ. ეს სევდაც გაგივლის და ბევრ ახალ რამესაც ნახავო, მაგრამ ეკატე-

რინე სახლიდან არაფრით არ გამოდიოდა, ისევ უკან დაბრუნება ეწადა, ისევ ზუგდიდისაკენ მიუწევდა გული.

სწორედ ამ დროს მოულოდნელად შემოიჭრა შინ ტატო და თან მხიარულება შემოიტანა. პირველად ნინოს მიეალერსა, გრიგოლ ორბელიანის დანაბარეები გადასცა. შემდეგ ისევ ეკატერინეს მიუბრუნდა, სთხოვა დაეკრა, ნარნარი ხმა გაეგონებინა. ეკატერინე სრულებით არ მოელოდა ამას ტატოსაგან, ეგონა კიდევ დასცინოდა, მაგრამ როდესაც კვლავ შესთხოვა, არ დააყოვნა, ფორტეპიანოს მიუჯდა და სევდიანად ააჟღერა. ნინო და ტატო სულგანაბული უსმენდნენ. დარბაზში სამნი იყვნენ ეკატერინე, ნინო და ტატო. ეკატერინე მთელი გზნებით, მთელი გატაცებით უკრავდა. თითქოს სიყმაწვილის დღეები გაცოცხლდა. ქალი გამხნევდა, მის თითებს ძალა და ღონე მიეცა, კვლავ აათამაშა ნაზი თითები, კვლავ სევდიანმა ხმამ აავსო დარბაზი. ასე უკრავდა დიდხანს და დიდხანს. ტატო კი იჯდა იქვე, დაფიქრებული. შეწყდა ფორტეპიანოზე მომღერალი ქალის ხმა. დადუმდა დარბაზი. უცებ ეს დუმილი ტატომ დაარღვია. მან სახელდახელოდ ლექსი წაიკითხა:

ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს;
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!
ვეპრეტდი ლამაზსა,
სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოვლთ გრძნობათა
ყოვლთ გონებათა
ჭას მივაპყრობდი.
ღაწვნი ნაცრემლნი
ტრფიალთ დამწველნი,
უფრო შვენოდნენ
თმანი ნაშალნი,
მკერდზე დაყრილნი,
ემეკმკებოდნენ.
ქუქუნა თვალნი
გულთა მომკვლელნი,

მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი
ვარდებ ნაფურცლნი,
ლხენას მიჰბერვენ.

ეს ლექსი წაიკითხა და დადუმდა. ეკატერინეს და ნინოს თვალებში შეაცქერდა, უნდოდა ამოეკითხა, რას ფიქრობდნენ, ან მოეწონათ თუ არა. პირველი ნინო გადაეხვია და აკოცა, შემდეგ კატია. სწორედ ამ დროს დარბაზში ლევან მელიქიშვილი შემოვიდა. ყველას გაუხარდა მისი შემოსვლა. კვლავ საუბარი. კვლავ გართობა... ახლა კი ნამდვილად მოილხინა ეკატერინემ. გულით გაიხარა. დაწყნარდა და დამშვიდდა.

ლევანი და ტატო ჭავჭავაძის სახლიდან გვიან გამოვიდნენ. ტატო აღგზნებული, უზომოდ გახარებული იყო. ბავშვივით ეჭიკჭიკებოდა ლევანს, არ აცლიდა ლაპარაკს. ლაპარაკის საგანი კი ეკატერინე ჭავჭავაძე იყო.

— ლევან, ლევან, რა მშვენიერი იყო დღეს კატია. მშვენიერიო? არა, ეს სიტყვები ცოტაა. მშვენიერი კი არა, მომაჯადოებელი, დამპყრობელი, დამმონებელი კაცის გულისა! არა, ასე არასოდეს გავგიჟებულვარ. ხვალ, ხვალ კიდევ მივიდეთ, ლევან. ხვალ, ზეგ, ყოველ დღე. არა. მე არ შემიძლია გულგრილად ვუყურო მის თვალებს. ლევან, ძმაო, მირჩიე რამე, როგორ მოვიქცე, რა ვქნა?

ლევანი ამშვიდებდა ტატოს:

—აჩქარებულხარ, ახლა უკვე გვიანია. დადიანს შენ ცოლს ვერ წაართმევ. გულწრფელად რომ გითხრა, შენ, კანცელარიის პატარა მოხელეს, რით, როგორ, რანაირად შეგიძლია დიდებულ დადიანს წაართვა ცოლი? გიყურებდი დღეს და ვერა გცნობდი. თან მეშინოდა, ძალიან მეშინოდა. არა, არ გირჩევ ამ ნაბიჯს. თავი ანებე კატიას, შენი ასეთი ქცევა პატივს აჰყრის ქალს. გვიან არის მეთქი, ტატო, გვიან, მოერიდე ამ საქმეს. არა, არ ივარგებს შენი ასეთი მოქმედება!

— მოვერიდო და ყველაფერს ამქვეყნად დავემორჩილო? არა, ლევან, მე ეს არ ძალმიძს! შენც არ გესმის ჩემი. მე ალბათ ძალზე ადრე დავიბადე, ადრე მოვედი ამ ქვეყანაზე, ალბათ უფრო გვიან უნდა დავბადებულიყავი. არავის ესმის ჩემი. არა, მე ვერ მოვიდრეკ თავს ჩემის უბედურის ბედის წინაშე, ვე-

რა! მე ჩემი ხმა, საკუთარი ხმა, უკეთესისაკენ მეძახის. მე ვხედავ ამ უკეთესს და არა, ლევან, არ შემიძლია ამ საიდუმლო ხმას ყური არ ვათხოვო, გონება არ მივაპყრო. თქვენ არაფრით არ გინდათ გამიგოთ, დამეხმაროთ, ხელი შემიწყოთ. ოითქოს მეგობრებიც ბევრი მყავს, ნათესავებიცა და ახლობლებიც, მაგრამ მაინც მარტო ვარ ამ ქვეყანაზე.

ტატო აღგზნებით ლაპარაკობდა.

ბოლოს გონს მოეგო და პატიება სთხოვა მეგობარს:

— ლევან, ალბათ გული გატკინე, და მე თვითონაც არ ვიცი, რატომ და რისთვის.

ტატომ მეორე დღესვე ხელი ჩაიქნია ყოველივეზე და ისევ შეურიგდა ბედს, მაგრამ ეკატერინე არ ეშვებოდა. მან ვერაფრით ვერ შეძლო იმ გრძნობათა და ვნებათა ტალღის დაძლევა, რომელიც ტატოს ნახვამ აღუძრა. ტატოს ბავშვივით ეტიკეტიკებოდა, ამბებს უყვებოდა, არ უშვებდა სახლიდან, უკრავდა, მღეროდა, ლექსებს ათქმევინებდა.

ეკატერინემ ახლა იგრძნო, რომ ტატო სულ სხვა ყოფილა. აქამდე ცარიელი, ცივი და მიუკარებელი გული სიცოცხლითა და ვნებით აევსო. მის სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. გაიხარა, მოილხინა, ყველას უკვირდა ეკატერინეს ასე შეცვლა. ტატოს ახარებდა ეს, მაგრამ დიდ ყურადღებას მაინც არ აქცევდა. სადღაც გულის კუნჭულში ჩასაფრებული ეჭვი ისე ღრმა იყო, რომ მისი განკურნება ამ ოცმა ბედნიერმა და მხიარულმა დღემ ვერ შესძლო.

* * *

ეს ბედნიერი დღეებიც მიიწურა. ეკატერინე იძულებული გახდა ისევ ზუგდიდში წასულიყო, თავისი მხიარული თბილისი, გულის თანაზიარი მეგობარი პოეტი დაეტოვებინა.

წასვლის წინ ეკატერინემ ტატოს სთხოვა თავისი ლექსები გადაეწერა და მისთვის ზუგდიდში გაეგზავნა. გულწრფელად ეუბნებოდა, ეს ყველაზე დიდი ჯილდო იქნება, რომელსაც შენ მომიძღვნიო, ის წიგნი ჩემთან იქნება განუყრელად, ის დამიამებს ასე აწეწილს, გაბზარულს და სევდით აღსავსე სულსო. ტატოს უკვირდა ეს სიტყვები, ფიქრობდა, ეს მეოცნებე, მომღერალი და მოცეკვავე ქალი რა სერიოზული და დაფიქრებუ-

ლი გამხდარაო. ახლა შეამჩნია ეკატერინეს სევდიანი თვალები, ახლა მოისმინა მისგან დამაღონებელი და დამაფიქრებელი სიტყვები.

ტატო გაბრუებული გასცილდა ეკატერინეს და ისევ პატარა მოხელეთა კანცელარიაში ჩაიკეტა. ასე გადიოდა უსიამო, სევდის მომგვრელი დღეები. დაღონდა, ახლა მას მხოლოდ ლექსი ართობდა. ფიქრობდა, მართლაც გადაეწერა ეკატერინესათვის ლექსები, თან ახალი ლექსებიც დაემატებინა. მთელი ორი თვე იშრომა, მთელი ღამეები თავის ლექსებს სუფთად და ლამაზად წერდა თავის მიერვე გამზადებულ ლამაზ კრებულში. დაამთავრა და თან თავისი გული და სიყვარული ჩაატანა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა, დაკეცა და იმავე საღამოს ნინოს მიუტანა ეკატერინესათვის ზუგდიდს გასაგზავნად. თვითონ არ ისურვა მისთვის ბარათი მიეწერა. არ უნდოდა დავითისათვის ეჭვის საბაბი მიეცა.

ნინომ დიდი მადლობა უძღვნა ტატოს, როცა ამ ლექსებს მიიღებს, ეკატერინე დიდად გაიხარებს, მე ვიცი, როგორ უყვარს შენი ლექსებიო. ნიკოს არაფერი უპასუხნია, გაბრუნდა და შინისაკენ გასწია.

ამის შემდეგ კიდევ ერთმა წელმა განვლო. ქვეყნად ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ტატოს მხურვალე სიყვარული, ეკატერინეს უეცარი ჩამოსვლით აღძრული, უფრო გაძლიერდა. პოეტი სევდამ და უკმაყოფილებამ მოიცვა. წუხდა. რატომ არ მივწერე ბარათი ეკატერინეს, თუნდაც ორიოდე სიტყვაც რომ მიმეწერა, ეს მას საბაბს მისცემდა ჩემთვის სამაგიერო ბარათი მოეწერაო. წუხდა და მაინც ვერ გადაეწყვიტა მიეწერა თუ არა წერილი ეკატერინესათვის. ახლა იგრძნო, რა ძლიერ შეუყვარდა ეკატერინე. იმავე საღამოს დაჯდა და ლექსი დაწერა:

შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკ მკერდსედა. ტროფობისა ველად,
და თვალთა ჩემთან ადავრიშებენ
სან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!
ოდეს ნიავი ლამაზ დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა
ის ავალალებს.

დაწერა ეს ლექსი და თითქოს დაისვენა, დამშვიდდა, მაგრამ ამ ლექსმა კმაყოფილება მაინც ვერ მიანიჭა მის ბობოქარ აულს. მთელი ღამე ბორგავდა და შფოთავდა. მეორე დღეს კვლავ ჩაეფლო წვრილმან საქმეებში — კანცელარიის მოხელის პატარა საქმეებში. ასაფრენად გამზადებული მისი პოეტური სული, ნესტიან კედლებში გამომწყვდეული და ქაღალდებში ჩაფლული, გოდებდა და მოსთქვამდა, მაგრამ არც მეგობარი ჩანდა სადმე, არც ამხანაგი, არც სატრფო.

ასე გადიოდა ტანჯვით და წვალებით სავსე დღეები.

* * *

ეკატერინე ზუგდიდს ჩავიდა. მას დიდი ამბით შეხვდნენ. დავითი სოფელ მარანთან შეეგება, ეტლით დახვდა, მიეალერსა. თბილისიდან დაბრუნებულ ცოლს ზუგდიდამდე პატარა ბავშვივით ეფერებოდა, მაგრამ ეკატერინე ხმას არ იღებდა. დავითს ეს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ყველაფერი დაღლილობას მიაწერა. ზუგდიდში რომ ჩავიდნენ, ეკატერინემ უფრო მოიწყინა, ხოლო ის ღამე უფრო ჩაშხამდა.

დავითი ვნებიანად მოეფერა ცოლს, მაგრამ ცივად მიიღო ქალის გულმა მამაკაცის ალერსი. ტატოთი გატაცებულმა აქ, მეუღლესთან, სარეცელზე, პირველად იგრძნო დედოფალმა, რომ ეს მამაკაცი, რომელიც ახლა მის გვერდით იწვა, უცხო იყო მისთვის. ეკატერინე მზად იყო ხმამაღლა დაეყვირა მისთვის: „წადი, მომცილდი, მომშორდი“. მაგრამ ვერ ბედავდა ამ ყელზე მობჯენილი სიტყვების თქმას და ეს უფრო ახრჩობდა.

დედოფალმა მთელი ღამე წამებაში და წვალებაში გაატარა. დილით ადრე ადგა. ისევ თავის საყვარელ ბაღში ჩავიდა, მაგრამ ვერც იქ მოისვენა. სწორედ ამ დროს ჩიქოვანი შენიშნა. სახლთუხუცესი სულ ახლო მოსულიყო დედოფალთან. დედოფალი ერთბაშად შეკრთა. მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა. შეხედა და თითქოს გაქვავდაო. დიდხანს უცქერდა ამ ლამაზ მამაკაცს. კიდევ დააცქერდა და, როდესაც მის თვალებში ის ნაპერწკლები დაინახა, ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში ტატოს თვალები რომ აფრქვევდა, გაოცდა, შეშფოთდა. ისევ დააკვირდა. გვერდით მოისვა დედოფალმა, უსაყვედურა უყურადღებობა: გახსოვდესო, რომ ეკაც მე ჩაგაბარე და სახლთუხუცე-

სობაც ჩემი წყალობით გებოძა და თუ არა მე... აქ შეჩერდა დედოფალი, ჰო და ყოველივე ამას დაფასება უნდა, შენც სამაგიერო თავდადება უნდა დამიმტკიცო. უკვირდა ჩიქოვანს, რად დაჭირდაო დედოფალს ჩემთან ასეთი საუბარი, ხმა კი ვერ გაეღო. სწორედ ამ დროს მათთან ეკა მოვიდა, დედოფალს გადაეხვია, მოიკითხა. ჩიქოვანმა ამით ისარგებლა და გასცილდა ქალებს.

ეკა და ეკატერინე დიდხანს საუბრობდნენ. ახლა კმაყოფილმა ეკამ უამბო თავისი ოჯახური ამბები. გულუბრყვილო ეკას, რაკი ეს დედოფლის სურვილი იყო, არც სიყვარულის საიდუმლოება დაუმალავს. ამ მონათხრობმა უფრო გაახელა ეკატერინე. მან ახლა უფრო ძლიერად იგრძნო გამოუცნობი ტკივილები და ერთბაშად ცრემლები მოერია, მაგრამ სძლია ქალურ სისუსტეს, ბაღში გაიარა და ეკასთან საუბარი გააგრძელა.

— ჩემო ეკა, ჩვენ სახელებიც ერთი გვაქვს და ერთი ჯიშისანიც ვართ. შენ, ჩვენებურად, ეკა გქვია, მე რუსულად — ეკატერინე. მაგრამ ღმერთმა სულ სხვადასხვა ბედი გვარგუნა. არა. ეკა?! ქალისთვის უმთავრესია კმაყოფილი იყო სიყვარულით მინიჭებული შენი ბედით და ხვედრით. მდიდარი სწორედ მაშინ ხარ, როცა კმაყოფილი ხარ იმით, რაც ღმერთს შენთვის მოუცია. არა, ჩემო ეკა? — და ისე ამოიოხრა ეკატერინემ, რომ გულიც თან ამოაყოლა.

ეკა გაჩუმდა. ვერ გაეგო რას ნიშნავდა დედოფლის ეს სიტყვები, ან რით და რატომ იყო იგი უკმაყოფილო. მერე ასე უპასუხა დედოფალს:

— არა, ქალბატონო, რა შედარებაა, სად თქვენ — სამეგრელოს ბრწყინვალე დედოფალი, და სად მე — უბრალო თავადიშვილი...

ეკატერინე თვალებში შეაცქერდა ეკას, თითქოს ამ ქალის ბედნიერება იქ უნდა ამოეკითხა. სიტყვით არაფერი უთხრა, მხოლოდ გაუღიმა და ლოყებზე ხელი მოუთათუნა.

დღეები გადიოდა, დედოფალს სითბო, სიყვარული და ალერსი აკლდა, იგი გაშმაგებით დაეძებდა რაღაც დაკარგულს და შორეულს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩიქოვანი ისევ ბაღში შეხვდა დე-

დოფალს. ისევ უცნაურად დააცქერდა ეკატერინე ამ ახალგაზრდა ვაჟკაცს, თითქოს პირველად ხედავსო. თვალებიდან ისევ ის ნაცნობი ნაპერწკლები შენიშნა. აენთო ეკატერინე, უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა, ტატო, გამოცხადებული ტატო იდგა მის წინ! არა, ეს მაინც რა ემართება? ვერ იქნა და ტატოს თვალები თავიდან ვერ მოიშორა,ყველგან იგი ელანდება, ყველგან მის გამოხედვას გრძნობს და მოსვენება დაკარგული აქვს. და მოუნდა ისევ თბილისში წასვლა, მაგრამ როგორ? რა მიზეზით წასულიყო ორი დღის წინათ თბილისიდან ჩამოსული!.. ჩიქოვანს ბრძანებით უთხრა:

— იცი, მე სულ მარტო ვარ სახლში, ნინო თბილისს წავიდა. დავითი გორდს. მარტო ვარ და მეშინია. თუ შეიძლებოდეს, ამ საღამოს ჩვენსას მოდი, წუხელ მთელი ღამე ტურები კიოდნენ აი იმ მთიდან, — და ურთასაკენ გაიშვირა ხელები.

— ჰო, ურთას მთიდან კიოდნენ წუხელ ტურები.

— არა, ქალბატონო, ურთას მთიდან როგორ მოაღწევდა ჩვენამდე ტურების კივილი. აქვე, ახლო, ჩვენს ბაღში თუ არიან შემოპარულები და იქიდან თუ კიოდნენ ის ოხრები!

—მით უარესი, ბაღში თუ არიან, ხომ შეიძლება სასახლეშიც შემოიპარონ. ალბათ მგლები და დათვებიც არიან ჩვენს ბაღში! — თქვა დედოფალმა და ისევ უბრძანა, ამ საღამოს აუცილებლად მოდიო.

... დადიანების სასახლის დიდი აივანი ზედვე იყო მიდგმული დავითის სამუშაო კაბინეტსა და მისაღებ ოთახს. დავითს დასვენება იტალიელი და ბერძენი ხელოსნების ნაოსტატარ ამ ხისრიკულებიან ლამაზ აივანზე უყვარდა. ამ აივანზე დედოფლის და მთავრის გარდა არავინ დადიოდა. ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ ტურების კივილისაგან შეშინებული დედოფალი ახლა ამ აივანზე ვახშმად მიიწვევდა ჩიქოვანს და თავის სულის საიდუმლოს გაანდობდა, ბარათაშვილის სიყვარულის ფარულ საიდუმლოს. მერე დავალებას მიცემდა ერთგულ სახლთუხუცესს გათენებისას ჩუმად თბილისს წაეყვანა დედოფალი, სადაც ტატო ბარათაშვილის მხურვალე გული ელოდებოდა... ოჯახის ქალისათვის ამ მეტად ძნელი ნაბიჯის გადადგმის წინ ეკატერინე საშინელმა სულიერმა ღელვამ შეიპყრო...

ეკატერინე ხომ უზომოდ ამაყი და თავმოყვარე იყო!

იმ საღამოს კი რაღაც საოცრება მოხდა: ამ ავადმყოფურმა თავმოყვარეობამ აღვირი მთლად აიწყვიტა... ციებიანივით აკანკალებდა. ადგილზე ვერ ისვენებდა. ერთბაშად ცრემლები თვალებიდან ღაპაღუპით წამოსცვივდა. მერე გონს მოვიდა, სასთუმალთან კედელზე დაკიდებული ხატის წინ დაემხო და დიდხანს ლოცულობდა ხელაპყრობილი. შემდეგ წელში გასწორდა, ოთახში ამაყად გაიარა.

დედოფალმა მეორე ოთახში პირფარეშს გასძახა—ცირა იხმო. კარი გაიღო და რას ხედავს: აუწერელი სილამაზე გამოეცხადა! ეკატერინე მოეფერა ლამაზ ქალწულს, ლოყებზე ხელი მოუსვა, გულზე მიიხუტა და ასე უთხრა:

— ცირა, შენ ლამაზი ხარ, ლამაზი და კეთილი. ჰო, კეთილი და პატიოსანი.—სიტყვა „პატიოსანს“ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, — ქალისთვის უმთავრესი პატიოსნებაა, არა, ცირა? — და ისევ ჩაიხუტა გულში. — არა ცირა?..

ცირა გაოცებული შეჰყურებდა დედოფალს.

— ჰო, დიახ,—ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ დედოფალი,—ო. პატიოსნება ისეთივე ნიჭია, როგორიც სილამაზე. ეს ორი ნიჭი თუ შეერთდა, მაშინ, აი მაშინ არის კარგად საქმე!

დედოფალი დაბნეულად ლაპარაკობდა. ცირა ვერაფერს ხვდებოდა.

ეკატერინემ ისევ ჩაიხუტა გულში პირფარეში და ისევ იწვიმა მისი თვალებიდან ცრემლებმა...

ცირას გაუკვირდა, დედოფალს ამის ფასი რა გაუჭირდაო. და თვითონაც ბავშვივით აზლუქუნდა. დედოფალს ახლა თვითონ ცირა გაუხდა მოსაფერებელი, თან დიდად ეამა, რომ ამ მწუხარების ჟამს გულის მოზიარე თანამგრძნობი და ხელის გამწვდომი იპოვნა. ორივენი ჩახუტებული ტიროდნენ და ცალ-ცალკე არც ერთმა არ იცოდა, რატომ ტიროდა.

ცირა ერთი უბირი გლეხის ქალიშვილი იყო, მეტისმეტად ლამაზი და სანდომიანი, კეთილი და ნაზი. დედოფალს იგი პირველი დღიდანვე შეუყვარდა. ცირა ორმაგად უხდიდა ამ სიყვარულს, დედოფალი ცირას შეეჩვია და ცირა—დედოფალს.

დედოფალი ცირას ეფერებოდა და ფიქრობდა, ღმერთმა თუ მომივლინაო ეს ქალი კარზე მომდგარი უბედურების ჟამს!

ხელიდან არ უშვებდა. მერე დედოფალმა უბრძანა ცირას, აქვე-ჩემი სარეცლის გვერდით, დავითის ტახტზე დაწექიო. როცა ცირამ მორიდებით, კანკალით მოიკალათა ტახტზე, დედოფალ-მა გაიხადა, სინათლეს ჩაუწია და ცირას გვერდით თავის საკუ-თარ ლოგინზე დაწვა.

ტანჯვით, წვალებით გაათენა ის ღამე დედოფალმა. მთელი ღამე აბოდებდა, ვიღაცას ელაპარაკებოდა, წარამარა ცირას ახსენებდა, რაღაცას ავალებდა, მწოლიარე ხელებს იქნევდა. თითქოს აბეზარ ბოროტ ზრახვებს იგერიებსო. გათენებისას ჩაეძინა.

სიყვარულის სახელით ოჯახის ღალატს ეკატერინე დადი-ანის სიამაყემ და პატიოსნებამ სძლია.

მეორე დილით დედოფალი კმაყოფილი და დაწყნარებული ადგა.

* * *

... შემდეგ დავითიც დაბრუნდა ქუთაისიდან და დედოფალი გორდში წაიყვანა. ახლა ეკატერინე ქმარსაც შეეწყო, მაზლებ-საც და მულსაც. თითქოს გაქრა სევდა და წუხილი. მაგრამ დე-დოფალი სადღაც სულის სიღრმეში, განუკურნებელ ტკივილს გრძნობდა...

ერთი წლის შემდეგ ეკატერინე თბილისს ისევ ეწვია, მაგ-რამ მას ნინოსთვის აღარ უთხოვია ტატოსთან შეხვედრა. სად-ლაც გამქრალიყო ის გახელებული სურვილი და ვნება, რომე-ლიც მას ტატოსაკენ უხმობდა.

მეორე დღეს ტატოს გაეგო ეკატერინეს ჩამოსვლა და თვი-თონ მოვიდა ჭავჭავაძიანთ სახლში. ეკატერინეს ესიამოვნა ტატოს ნახვა. მადლობა უძღვნა ლექსების კრებულისათვის. მაგრამ ტატომ შეატყო, რომ ყველაფერი ეს რაღაც ცივი და ნაძალადევი იყო. ის ვნება და ეშხი, რის გამოც ამ ორი წლის წინათ პოეტი ასე გაგიჟებამდე იყო მისული, დღეს ვერც მის საუბარში იგრძნო და ვერც მის გამოხედვაში. იმედისა და რწმენის ძაფი კიდევ ერთხელ გაუწყდა პოეტს. მთელი ღამე ვერ მოისვენა, ვერ გაეგო ეკატერინეს მოქმედება, წუხდა და ბორგავდა.

მეორე დღეს ტატო ისევ მოვიდა ეკატერინესთან, რომ ეგებ როგორმე განეკურნა მისი სული სასურველ სატრფოს. მაგრამ

ვერ იქნა და ვერ გაიბა მათ შორის საუბრის ძაფი. ვერ გათბა პოეტის გული. ეკატერინე ახლა რაღაც წვრილმან ოჯახურ ამბებს უყვებოდა, ზუგდიდში ეპატიჟებოდა და ყველაფერი ეს ისე ცივად ხდებოდა, რომ ტატოს ერთხელაც არ უგრძვნია ეკატერინეს თბილი გული.

სწორედ ამ დროს ლევანი შემოიჭრა ოთახში. ეკატერინეს ხელზე ეამბორა, ტატოსაც ხელი ჩამოართვა, დარბაზი სიმხიარულით აავსო, მაგრამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა. გაუკვირდა ლევანს.

— რა ცხვირპირი ჩამოგტირით, რა მოგვიდათ! არა, მაინც რას მისტირით! ჰო, მართლა, ტატოს ხომ არ წაუკითხავს რამე სევდიანი, გულის მოსაფხანი! მახლას, ქვეყანა ასრე მქნელია... ჰო, მართლა, კატია, შენ ალბათ არ წაგიკითხავს ტატოს ახალი პოემა, დიდი ხანია ჩუმათ უბით დააქვს და არავის აკითხებს.— ამ საუბარში გონს მოეგო ეკატერინე და ტატოს სთხოვა:

— წაგვიკითხე შენი პოემა, ტატო, ჰა...

— აბა, როგორ წაგიკითხოთ, თან აღარა მაქვს ის.

ახლა ტატო ისეთ გუნებაზე იყო, პოემა თანაც რომ ჰქონოდა, მისი წაკითხვის ხალისი არა ჰქონდა. არც ეკატერინე იყო მოსმენის გუნებაზე. ბოლოს ლევანი იმდენს ეცადა, რომ ხალისი დაუბრუნა ხალისდაკარგულებს და გადაწყდა, მეორე დღეს ეკატერინესთან შეკრებილიყვნენ და წაეკითხათ პოემა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ახალი სახლის დიდ აივანზე, საკარძლებში ისხდნენ ალექსანდრე, ლევანი, მანანა, მაიკო, ეკატერინე, ნინო, სალომე და ტატო. ტატო აღგზნებით კითხულობდა, ისინი სულგანაბულნი უსმენდნენ. პოემამ დასაწყისიდანვე შებორკა მსმენელები, კრწანისის მინდვრად სპარსთან საომრად დაბანაკებული ქართველთა ჯარის წინამძღოლი მეფე ერეკლე ღმერთს ავედრებდა თავის სამწყსოს!..

სურათს სურათი სცვლიდა... ახლა ერეკლე მეფე თავის მამაც ჯარისკაცებს მიმართავდა:

> დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული
> ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!

სიმხნევის სიომ გადაუარა აივანს და შვებით ამოისუნთქეს. აქ შეჩერდა პოეტი. ახლა სხვა სურათი წარმოადგინა:—თუ

როგორ სძლიეს აღა-მაჰმად-ხანის ურიცხვ ჯარს ერეკლეს მცირერიცხოვანმა მეომრებმა:

სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით,—
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოვლით იმედ მიხდილი
ქართლითგან წასვლას დააპირებდა,
მაგრამ იუდა ქამს ეძიებდა!
აჰა მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!

აქ შეჩერდა პოეტი, შეჩერდა კი არა, ალექსანდრე ჭავჭავაძის გულიდან ამოხეთქილმა კვნესამ შეაჩერა.

— დიახ, ორგულობამ, ორგულობამ დაღუპა საქართველო...

ახლა მეორე კარის კითხვას შეუდგა:

მორბის არაგვი არაგვიანი...

ჭირგადახდილი, გულგატეხილი ერეკლე მეფე და გულშეუცვლელი სოლომონი ქართლის ბედით დაღონებულნი პაექროობდნენ: თუმცა ერეკლეს უკვე გადაეწყვიტა ბედი ქართლისა, მაგრამ შეურყეველი სოლომონი არ ეთანხმებოდა მეფის გადაწყვეტილებას.

ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

ისევ შეირხა აივნის მდუმარება, სწორედ ამ დროს ანთებული, მთლად აღგზნებული პოეტის სიტყვები გაისმა:

უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული,
რა ხელ-ჭყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?

ისევ შეირხა ჰაერი და გარინდდა აივანი.

ამით ისარგებლა მაიკო ორბელიანმა, მივარდა და გადაეხვია ძმადნაფიცს. ისევ გაბმულმა ოხვრამ გადაურბინა აივანს.

ტატო მთელ საათს მოუნდა პოემის კითხვას, რადგან რამდენჯერმე შეაჩერეს კითხვის დროს. დაამთავრა კითხვა და შვე-

ბით ამოისუნთქა. ჯერ მზერა ეკატერინეს მიაპყრო პოეტმა, მაგრამ ვერავითარი მოძრაობა ვერ შეატყო ეკატერინეს უსიცოცხლო სახეს.

ახლა ისევ ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიმართა პოეტს.

— მაშ, ასე გამოდის, ერეკლეს ასამართლებთ თქვენ ამ პოემაში. ასამართლებთ და ამტყუნებთ, არა?

— პირიქით, მე ქედს ვიხრი მეფე ერეკლეს აჩრდილის წინაშე. არა, მე ერეკლეს კი არ ვამტყუნებ, არამედ ყველა იმათ, ვინც ერეკლეს ღალატობდნენ და ამ დღეში ჩააგდეს ჩვენი ქვეყანა. მე ფაქტს აღვნუსხავ, გულსაკლავ ფაქტს, ჩვენი ისტორიული უკუღმართობის გამო ვალალებ. ჩემს სულში უკუღმართობის, ავბედობის ტრაგედიაა.—ეს თქვა და დადუმდა პოეტი. აივანიც სდუმდა. მთაწმინდიდან წამოსული ნისლი ალექსანდრე ჭავჭავაძის აივანის კედლებს მოაწყდა და სქელ ბნელ ბინდად გადაეფარა იქაურობას...

ტატოს ეგონა ამ პოემის წაკითხვით გულს აუმღვრევდა, თავის ბედზე დააფიქრებდა ოცნებადქცეულ სატრფოს, მაგრამ ეკატერინეს თვალებში ვერაფერი ამოიკითხა და დაღონებული დაბრუნდა შინ... მამას არ ეძინა. თვალცრემლიანი დედა მაგიდასთან იჯდა. ტატო მიხვდა, რომ მამას და დედას უსიამოვნება მოსვლოდათ. მამისა და დედის ჩხუბს ტატო ვერ იტანდა. ტატო მივიდა, დედას მოეფერა, აკოცა. ეს მამამ შენიშნა და გაანჩხლებით წამოიყვირა: „ჰო, მიდი, მოეფერე, აკოცე“! და ტატოს ჩხუბი დაუწყო. ტატო განურისხდა მამას. არ შეეპუა, სიტყვა შეუბრუნა. მელიტონი არ იყო ამას ჩვეული. ანჩხლი და გულფიცხი მამა გაბრაზდა, უშვერი სიტყვებითა და გინებით აიკლო იქაურობა.

დაღონდა, ძლიერ დაღონდა ტატო. ბორგავდა, მოთქვამდა, ოხრავდა. დღეს სამსახურშიაც შელაპარაკება მოუხდა უფროსთან, მოაგონდა ეს და გამწარდა, უფრო დანაღვლიანდა. ახლა ლევანის სიტყვები მოაგონდა: „სად შენ, პატარა გადამწერი და სად დადიანი! აბა შეადარე შენი თავი და გონს მოეგე“. ამ სიტყვების მნიშვნელობას თითქოს ახლა მიხვდა და მწარედ ამოიკვნესა, სევდიანად გაიღიმა. იქვე მაგიდას მიუჯდა, უნდოდა ბარათი მიეწერა ეკატერინესათვის, ბარათი უკანასკნელი გამომშვიდობებისა, დაცილებისა, მაგრამ რამდენჯერაც არ

მოჰკიდა კალამს ხელი, იმდენჯერ დადო. ვერა და ვერ გადაწყვიტა. ანდა ვისთვის რა უნდა მიეწერა, სატრფო უკვე აღარ ჰყავდა. მეგობრები? ზოგ მეგობარს ტატო კანცელარიის მოხელედ ეგულებოდა, სავსებით ვერ დაენახათ ბარათაშვილის პოეტური გენია.

ნაცემ-ნაგვემივით ეგდო ტატო ლოგინში და წუხდა. ბოლოს ესღა წაილუღლუღა: „ასე სჯობია, სულ ერთია, ჩემი საქმე წასულია. ჩემი არავის ესმის. არა, მე უნდა გავეცალო აქაურობას. მე უნდა წავიდე აქედან, სადმე შორს გადავიკარგო. უნდა მოვნახო სადმე ნავსაყუდარი, რომ დროებით მაინც დავისვენო ამ მწარე ფიქრებისა და ნაღველისაგან. არა, წავალ, ხვალვე წავალ, გადვიკარგები,გადვიკარგები სადმე შორს!“

სვებედდამწვარი პოეტი შეჩიოდა ქვეყანას—

ვერღა აღმიგო სიყვარულმან კვლავად ტაძარი.

ტატო ლოგინიდან ადგა, ლევანისაკენ გასწია. მელიქიშვილებს ეძინათ. ტატომ გააღვიძა ლევანი. ხელი მოჰხვია მეგობარს.

— ლევან, მე მოვედი, რომ გთხოვო შენთან წამიყვანო. წამიყვანე ნახჭევანს, ჩემზე კარგ თანამშრომელს და მეგობარს ვის იშოვნი. წავალთ, ვიქნებით ერთად და, ალბათ, ეს მწარე ფიქრებიც გულიდან გადამეყრება. არა, ლევან? ჰა, სულ ერთია, მე აქ გაჩერება არ შემიძლია. მე უნდა მოვცილდე აქაურობას.

ლევანს უკვირდა, აცქერდებოდა ტატოს და ვერ გარკვეულიყო რა მოსდიოდა. ბოლოს მეგობრულად ურჩია:

— არა, ტატო, მე თვითონ ვოცნებობ თბილისში გადმოსვლაზე. შენ არ იცი რა არის პროვინცია. შენ ერთ დღეს ვერ გასძლებ იქ.

მაგრამ ტატო კვლავ დაჟინებით მოითხოვდა წაყვანას, ლევანს შერცხვა უარის თქმა. მიხვდა, რომ უარი ანგარიშის გაუწევლობად, უმეგობრობად ჩაეთვლებოდა და ასე უთხრა;

— კარგი, რაკი შენ აგრე გსურს, მე მზად ვარ, წამოდი, ხვალვე წავიდეთ.

შემდეგ მეგობარს გადაეხვია, გადაკოცნა და გაშორდა. იმავე საღამოს ლექსი დაწერა და მაიკო ორბელიანის ხელით გა-

უგზავნა ეკატერინეს. დედოფალმა მღელვარებით წაიკითხა ეს ლექსი. კიხულობდა და არც ესმოდა შიგ რა ეწერა. ეკატერინე ფარულ ფიქრებს გაეტაცა. ზუგდიდისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ იძულებული იყო ბოლომდე ჩაეკითხა ეს ლექსი.

> რად ყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
> თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
> რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?
> ჰგავს, არ პასუხსსცემ შენ მას სულით მშვენიერითა.
> სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
> და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაკნების,
> აგრეთვე გულიც მხოლოდ მისდა შენამსჭვალები
> ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები...

კითხულობდა და სევდა, სულისმქეჯნავი ფარული სევდა ახრჩობდა...

მორჩა თუ არა თბილისში ოჯახურ საქმეებს, ეკატერინემ მაშინვე ზუგდიდს მიაშურა.

ქალის პირუმტკიცობისაგან გულმოკლული ტატო თავის მეგობარს მაიკო ორბელიანს სწერდა: „საყვარელო დაო მაიკო... კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი დიდი ხანია ობოლი ვარ, — არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ქონია, ვისიცა ცრემლი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, განუმეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილა ნიშანნი ცბიერებისა, წვეთი საშინელი საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო ასე გულცივად ჯერ განსჯა არ მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული—მოიგონეთ ცოტახანს დრონი წარსულნი და

მაშინ შემიბრალებ, ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდე სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა
მას ელტვიან სიმშენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხერა არის შვება უბედურისა.

ასე გულდამწვარი სწერდა ტატო თავის მეგობარს მაიკო ორბელიანს ამ ბარათს. მაიკო ორბელიანმა ტატოს წერილი ნინო გრიბოედოვისას წაუკითხა. ნინომ იგი თავიდან ბოლომდე საკუთარი ხელით გადაწერა და, როდესაც სამეგრელოში წავიდა, თან წაუღო ეკატერინეს. ეკატერინე ჯერ შეკრთა, არ ესიამოვნა ეს ბარათი, შეწუხდა, შემდეგ ისევ მოვიდა გონს, და ასე უთხრა დას.

— ტატო! ტატო, ჩემო დაო, დიდიხანია დავკარგე, დავკარგე უფრო ადრე, ვიდრე გავიგებდი ვინ იყო და რა იყო იგი ჩემთვის...

არა, ნინო, ტატოს ვერ გავუგე მე... არა, ვერ გავუგე კი არა, არ დაგიმალავ, ნინო, და გეტყვი — ყური არ ვათხოვე სიყვარულის უნაზეს ხმებს... გული ჩემი დიდებისაკენ მიილტვოდა და პოეტის სიყვარული სიმდიდრეზე, ტახტზე, დედოფლობაზე ვავცვალე... დიახ, ასე მოვიქეცი მე და თვით გავხდი ჯალათი სიყვარულისა, ახლა მივხვდი ყოველივე ამას, მაგრამ უკან დახევა გვიანაა, ჩემო ნინო, და ამ ბოლო შეხვედრისას დამცინოდა. დამცინოდა იმისა გამო, რომ მე მისი არ მესმოდა და არც მისი ლექსებისა გამეგებოდა რა.

ვაი, რომ ვერც ვერასოდეს გამოვასწორებ ამ ჩემს შეცდომას.

ესა თქვა და მწუხარებით ამოიოხრა ეკატერინემ.

— კატია, შენ მართალი ხარ, ოღონდ შენ კი არა, ვერც ჩვენ გავუგეთ ტატოს, ვერც მე, ვერც მამამ და, ალბათ, ეს თუ იყო მიზეზი, რომ შენ არაფრად ჩააგდე მისი სიყვარული და მიჯნური პოეტის გულდამწვარი ლექსები.

ტატო ისე გექცეოდა შენ, როგორც ეს სულით მაღალ პოეტს შეჰფერის და...—ნინომ დას შეხედა და პირზე მომდგარი

სიტყვები აღარ წარმოთქვა, შეატყო, რომ ეკატერინე გულის სიღრმეში შეაშფოთა მისმა სიტყვებმა.

ახლა ეკატერინემ წარუდგინა ვრცელი განმარტება დას:

— „სიყვარულით ნებივრობაზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლად შეეწირო მუხანათ დრო-ჟამთა ჭიდილს. მაშინ შენს სულში ბოროტების საზარი გრძნობა, შური და ეჭვი დაისადგურებს. ქალი, რომელიც ასე მოექცევა საკუთარ თავს, ყოველგვარი ბოროტების სათავე გახდება და დაილეწება სილამაზის წმინდა ტაძარი. მე გეტყვი, დაო, ნამდვილად ვიცი, ჩემი ნაცნობი ქალები, რომელნიც არ აჰყვნენ სიყვარულის გრძნობის კარნახს და ანაგარიშით გათხოვდნენ, ადრე მოტყდნენ, დაჩიავდნენ, დაჩაჩანაკდნენ და თვით გახდნენ მესაფლავენი საკუთარი თავისა. და უფრო მეტიც: ირგვლივ ანთხევდნენ შურსა და მტრობას.. .შურდათ სხვისი ბედი, სხვისი სიყვარული და ათასგვარ ჭორებს უვრცელებდნენ იმათ, ვინც სილამაზით და ტრფობით ცხოვრობდნენ.

რომ არ გახდე სხვისი გრძნობების ფეხქვეშ სათელი, შენ შენი გრძნობა უნდა ანებივრო. მაშინ სიკეთით შენც აღივსები და სხვებსაც აღავსებ. სილამაზე, სიყვარული და ახალგაზრდობა ტყუპები არიან. ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა და წარმავალი, ყველას ვინც გაურბის სიყვარულით ნებივრობას, აკლია ნიჭი ცხოვრებისა. და .სიყვარული ისეთი ნიჭია, რომ მას ვერც დიდკაცობა გაუტოლდება, ვერც წოდება, ვერც დიდებული სამეფო ტახტი. ეს ყველაფერი ხანმოკლეა და წარმავალი, სიყვარული კი მარადულია. ვაი, რომ ყველაფერი ეს გვიან გავიგე. შენ იცი, დაო, მე მუდამ გული მიჯნურობისკენ მეძახდა და არც მე ვიყავი გულგრილი ამ ხმების მიმართ. და თუ ცოდვად ჩამეთვლება ეს საქციელი, არავის ვთხოვ ჩემი სირცხვილი გაინაწილოს. გული არასოდეს ცხრაკილტულში არ ჩამიკეტავს და თუ ვინმეს ცივი გონება გამამტყუნებს, მე ამ სასჯელს არ შევუშინდები. ჩემი ლხენა, ჩემი დარდი მუდამ სიყვარული იყო და ამიტომაც მშვიდად შევხვდები ყოველგვარ განაჩენს. მე მონა ვარ მხოლოდ სიყვარულისა და ძალაც შემწევს ავიტანო ტანჯვა, რომელსაც ჭორიკანები მომაყენებენ. მე ეს ბედი ალბათ ბუნებამ მომანიჭა და არა მაქვს უფლება არ ავასრულო მი-

სი ნება. და როცა სიკვდილის ციცი ხელები შემეხება, ვიცი, ვერავინ დამიფარავს მისგან, მაგრამ მინდა მანამდის სიყვარულით ვიყო ბედნიერი და შემდეგ, როცა მე მოვკვდები, როგორც მოტყუებული მიჯნური, ალბათ, მტრები ჩემი ძაგების შეტს არაფერს გააკეთებენ. რაც უნდათ,ისა თქვან ჩემს შემდეგ, ამას აღარ დავეძებ, რადგან მე ჩემი აზრი, ჩემი ფიქრი და ჩემი გრძნობები მქონდა. მე სიყვარულში ძუნწი არასოდეს არ ვყოფილვარ, ჩემს თავს მუდამ ვეფერებოდი და ვანებივრებდი. მე სხვებსავით არ მიმარხვია სულისათვის, მაგრამ უპატიოსნო საქმე არასოდეს მიკისრია და ეს მე ერთხელ კიდევ დავუმტკიცე ჩემს ქმარს, როდესაც ტატოს გამოვეპარე თბილისიდან, მიჯნურობა ერთია, მაგრამ ღალატი და მიტოვება ოჯახისა, ჩემი მხრივ, ახლა დანაშაული იქნება...

ეკატერინე ნერვიულობდა, მთელი სხეული აბურძგვნოდა, თითქოს ტანზე ჭიანჭველები დაცოცავდნენ. იგი ახლა ისეთ ხასიათზე იყო, კაცს დიდი მწუხარების შემდეგ რომ მოუნდება ხოლმე ვინმე გამოეხმაუროს მის ფიქრებს. ნინომ დას შეატყო ეს და უთხრა:

— ჩემო კატია, ყველაზე წმინდა და დიდი გრძნობა სილამაზის ერთგულებაა. ის, ვინც არ უფრთხილდება ბუნების ამ დიდ საგანძურს, სულ მალე გაღატაკდება სულითაც და ხორცითაც. სილამაზეს მოვლა, პატრონობა და გაფრთხილება უყვარს. დიდებულ რუსთაველს კარგად უთქვამს, ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირადო, მართალია, ხომ?

— დიახ, მართალია.—დაუდასტურა ეკატერინემ.

ამ სიტყვებმა ეკატერინე დააფიქრა და გული შეუტოკა. მის სულს ისევ ჩვეული გაორება დაეუფლა და ახლა თვითონაც ცხადად გაარჩია ორი ეკატერინე: ეკატერინე—უზომოდ მიჯნური, განებივრებას, პატივისცემას, ზეიმს და ქეიფს აყოლილი და ეკატერინე გულზვიადი და ამაყი დედოფალი. ახლა დედოფალი გრძნობდა ამ ორი ეკატერინეს არსებობას და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო რომლისთვის მიეცა უპირატესობა. თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა ერთგულება ოჯახისა, მეუღლისა, მაგრამ პირმცინარე, „მოკისკასესა და პირუმტკიცობის“ ადრესატს მაინც არ სტოვებდა მიჯნურობისა და ტრფიალების ის განუზომელი წადილი, რომლითაც ცოცხ-

ლობდა მისი ქალიშვილობა. დედოფალს გულის სიღრმიდან კვნესა აღმოხდა.

* * *

ტატოს ეგონა, შორს გადავიხვეწები, ქალაქის ხმაურსა და ჭორებს მოვცილდები და სევდას სადმე პროვინციაში ჩავკლავო. სწორედ იმ დღეებში იგი ზაქარია ორბელიანს სწერდა: „შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდით და დაღლილობის გრძნობით, ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმად გამოხმაურება ჰპოვა ჩემს გულში, თუმცა ჩვენ ერთნაირი მიზეზი არ მოგვეპოვება ამისათვის... მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში. ასეთი მწარე ფიქრებით ვიყავი მე, გამომთელებისას შეპყრობილი, როდესაც შენი წერილი მივიღე. აი, რატომ თანაგიგრძნობდი შენ“...

ნახჭევანში მყოფი ბარათაშვილი სულ მალე დარწმუნდა, რომ ეს არ იყო სევდისაგან თავდაღწევის საშუალება. პირიქით, უფრო გაუმძაფრდა და შემოესია სევდა, სევდა სულის მქეჯნავი, ახლა ყოველივე ამას შურიც და ღვარძლიც ზედ დაემატა. ისევ თავის მეგობარს მაიკო ორბელიანს სწერდა:

... „როგორც ერთ ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც აგრე იყოს! მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრნი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის“.

ამ გადაკრულ სტრიქონებში ტატო მისთვის გამწყრალ მიჯნურს—ეკატერინეს გულისხმობდა. და იქვე უმატებდა: „არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში.—ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან“...

მეორე ტლუ ბიჭად ტატო ლევან მელიქიშვილს გულისხმობდა, რომელსაც დანიშნული ჰყავდა მისი მეგობარი ქალი

მაიკო, ხოლო ოთხმოცი წლის კაცის მოტრფიალედ—ეკატერინე ჭავჭავაძეს. ასე მწარედ ჰკილავდა ტატო უიღბლოდ აყოლილ სატრფოს. საერთოდ, ყველა ამ წერილებში იგი ეკატერინე ჭავჭავაძეს გულისხმობდა.

მართლაც არავის ესმოდა ბარათაშვილის მდურვა სოფლისა. ზოგს ასე ეგონა პირადი ხასიათისაო ეს ლექსები, სევდა და წუხილი პოეტისა, ზოგს კიდე—სალაღობოდ ან ვინმეს გასაკილად დაწერილი. ასე ზერელე დამოკიდებულება მისი ლექსებისადმი გულს უკლავდა პოეტს. ნამდვილად კი ღრმა იყო, უძირო და უნაპირო ტრაგედია პოეტისა, მისი ლექსების ფილოსოფია, მის გარშემო მოფუსფუსე ახლობლებს რომ ვერ გაეგოთ ამას ყველაზე კარგად თვითონ პოეტი გრძნობდა. ტატოს გესლიან ღიმილს გვრიდა მისი დროის ეს საზოგადოებრივი ფუქსავატობა. ერთადერთი, ვისაც ოდნავ მაინც ესმოდა პოეტისა, ისევ მაიკო ორბელიანი იყო, ამიტომაც სერიოზული და გულახდილი მიმოწერა ამ უანგარო მეგობართან ჰქონდა. მას უმხელდა თავის გულის ნადებს. მერე ის იყო ბედისაგან დაუნდობელი მის თანამედროვეთაგან დაუნახავი ეს პოეტური გენია ფოთოლივით დაეცა, რომ შემდეგ მთასავით წამომდგარიყო.

მანამდის კი რა არ გადახდა ტატო ბარათაშვილს: სამშობლოსაგან გადახვეწილი, ცხოვრების არარაობით გაწამებული, ბორგავდა, მწარედ მოსთქვამდა სამშობლოს ბედზე, ნათესავებსა და მეგობრებს მოცილებული, სიყვარულით გაწბილებული. ემდუროდა, შეჩიოდა ადამიანთა ორპირობასა და გაუტანლობას, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი.

ეკატერინემაც გათხოვების შემდეგ განიცადა პოეტის სიყვარული. ერთხელ ასეთ სურათს წააწყდა დავით დადიანი. ბარათაშვილის ლექსებში თავჩარგული დედოფალი ჩუმად კვნესოდა. ახლო მივიდა გაკვირვებული დადიანი, ხელთ აიღო ლექსების რვეული, პოეტის ეს ძვირფასი საჩუქარი ცრემლებით იყო დანამული... შეწუხდა, გაოცდა მთავარი...

სიზმარი იყო თუ მოჩვენება

მეფის ნაცვალმა ამიერკავკასიაში, პასკევიჩმა რუსეთის იმპერატორთან შუამდგომლობა აღძრა, რომ დავით დადიანი ლე-

ვანის სიცოცხლეშივე სამეგრელოს მოურავ-ზედა მოურავად და მდივანბეგად, ე. ი. ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმეთა უფროსად დაუნიშნათ. 1836 წელს ლევანი ავად გახდა და დავითი იძულებული შეიქნა დაუყოვნებლივ შესდგომოდა ამ თანამდებობას. 1838 წლამდე დავით დადიანი მამასთან ერთად მართავდა სამეგრელოს სამთავროს.

დავითი სულ მალე დარწმუნდა, რომ ლევან დადიანის სამთავროს მთელი სისტემა პრიმიტიული, ძველთაძველი და უვარგისი იყო და მთელი ენერგიით სცადა გადაეხალისებინა სამთავროს მმართველობა. ლევან დადიანს არ მოეწონა შვილის ეს კარდინალური რეფორმების გეგმა. ლევანი ერთი ქეიფის მოყვარული, უდარდელი მთავარი იყო. ის კმაყოფილი იყო ცხოვრების ძველებური წესით და ღრმად არც უფიქრდებოდა, ამ დრომოჭმული სამთავროს სისტემაში რა იყო ცუდი და რა კარგი. ხოლო ახალმა თვალმა, დავით დადიანის განათლებულმა გონებამ სულ მალე შენიშნა ეს—მამა წინ აღუდგა შვილის სურვილებს. დავით დადიანი ნიკო დადიანის, ლევან დადიანის ამ პირველი მრჩეველისა და მთელ საქმეთა ფაქტიური მმართველის წინააღმდეგობას წააწყდა და 1838 წელს იძულებული გახდა დაეტოვებინა მამისეული სამთავრო. დავითმა ისევ თბილისს მოაშურა.

დავითის წასვლის შემდეგ უფრო აიწეწა სამთავროს საქმეები. ახლა უკვე ორი ბანაკი იყო სამთავროში. ერთნი—დავითის რეფორმას ემხრობოდნენ, მეორენი—ეურჩებოდნენ და ლევანის ერთგულ კაცებად მოჰქონდათ თავი. სწორედ ამ დროს ლევან დადიანის წინააღმდეგ კაცია ჩიჩუამ სამი ათასი კაცი შეაიარაღა და ლევანს ომი გამოუცხადა. ლევანი ახლა კი დარწმუნდა, რომ საკმაოდ დაბერდა და სამთავროს მეთაურობდ» აღარ შეეძლო. მან თავისი შვილი ზუგდიდს გამოიხმო და სთხოვა სამეგრელოს სამთავრო მამის სიცოცხლეშივე ჩაებარებინა.

1840 წელს 11 მაისს დავით დადიანი სამეგრელოს მთავრად აკურთხეს. ეპისკოპოსმა გიორგი ჭყონდიდელმა ამ საჯარო ცერემონიალზე დიდი რიხით წაიკითხა ლევან დადიანის საჯარო მიმართვა სამთავროსადმი. იგი იმის აღნიშვნით იწყებოდა, რომ კეთილი მწყემსი სამთავროსი ლევან დადიანი ავად გახდა

და სამთავროს საქმეთა გაძღოლა არ შეუძლია, რომ მან მთელი უფლებები მის უფროსს შვილს გადასცა როგორც მემკვიდრეს... და შემდეგ ამ აღსარებას მოსდევდა დავითის დახასიათება და მოწოდება, რომ იგი იყოს ერთგული ღვთისა და მამულისა, მოუსმინოს ხალხს, მისი ჭირი და სიხარული გულთან მიიტანოს... ასე გრძელდებოდა ეს მოსაწყენი და ტრაფარეტული ტრაქტატი, რომელსაც საათნახევარი კითხულობდა გიორგი ჭყონდიდელი.

მთავრის ყველა უფლება დავით დადიანს საჯაროდ გადაეცა. მაგრამ მამის სიცოცხლეში დავით დადიანი ჯერ კიდევ მემკვიდრედ იწოდებოდა, მხოლოდ ლევანის გარდაცვალების შემდეგ გახდა დავითი სრულუფლებიანი მმართველი და პატრონი მთელი სამთავროსი.

ახლა კი დავითი უფრო გაბედულად შეუდგა სამთავროს რეფორმას. გამოსცა ახალი დეკრეტები და კანონები, შექმნა ორი კანცელარია—რუსული და ქართული. ორივეს ცალ-ცალკე მიუჩინა უფროსი. ქართული კანცელარიის უფროსად გეგეჭკორი დანიშნა, ხოლო რუსულისა—დეკაბრისტ ბესტუჟევის ამხანაგი პოტოცკი. პოტოცკი ფრიად განათლებული, რადიკალური შეხედულების მქონე კაცი იყო. იგი ადვილად არ ურიგდებოდა იმ უსამართლობას, რომელიც სამთავროში ხდებოდა და ამის გამო ხშირად კონფლიქტიც მოსდიოდა სამეგრელოს მმართველთან, მაგრამ დავითი მაინც ითმენდა ამ ახირებულ კაცს.

დავით დადიანმა ამავე დროს სცადა თავის სამთავრო განათლებული და ნასწავლი კაცებით გაეძლიერებინა. ამ მიზნით ის ყოველწლიურად ათ-თორმეტ აზნაურს თბილისსა და ქუთაისში გზავნიდა სხვადასხვა ხელობის შესასწავლად და სწავლა-განათლების მისაღებად. იგი ამასთანავე შეუდგა ციხე-სიმაგრეთა და ისტორიული ძეგლების განახლებას. პირველად წალენჯიხის ეკლესია აღადგინა. ეს ერთ-ერთი უძველესი ეკლესია იყო. აქ შეკედლებული ბერძენი ბერები, რომელთაც სცადეს ძველი ფრესკები შეეთეთრებინათ, დავითმა სამეგრელოდან გარეკა და ფრესკების აღდგენა ბრძანა.

იმ წელს მთელს სამეგრელოს ხოლერა მოედო. 508 კაცი გარდაიცვალა. დავითმა ქუთაისიდან ექიმები მოიწვია, თვი-

თონაც დადიოდა სოფლიდან სოფელში და უმწეო ხალხს საექიმო დახმარებას უწევდა. ყოველივე ამან იგი ხალხის თვალში აამაღლა.

დავით დადიანს მეგობრობა ჰქონდა მეფის რუსეთის დიდ მოხელეებთან—ვასილ ბებუთოვთან, გოლოვინთან, ნეიდლთან, ვორონცოვთან, განსაკუთრებით კი—ბარონ როზენთან, თუმცა ეს მეგობრები მეფის ერთგული მოხელენი იყვნენ და მთელს ამ მეგობრობას მეფის სახელმწიფოსათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით ზოგავდნენ.

1836 წელს ბარონი როზენი დავითის თხოვნით სამეგრელოს ეწვია. მთავარმა მეფის ნაცვალს საგანგებო შეხვედრა მოუწყო, მაგრამ მისგან სანუგეშებელი ვერაფერი მიიღო. როზენს არ მოეწონა სამეგრელოს მდგომარეობა და მეგობრულად ურჩია თავის მოწაფეს, ამ მხარის მართვაზე ხელი აეღო და იგი მეფის მოხელეებისათვის გადაეცა. სამეგრელოში ბარონ როზენის ვიზიტით უკმაყოფილო დავითი სწერდა თავის ძმას: „გეკითხა, მთავარმართებლის იქ ყოფნამ რა შესძინა მეგრელიასაო და რა საკითხავია? მე გკითხავ, მგელი რომ შეიპყრა და ოცდაათ წელს ღრამატიკა ასწავლო, რას ისწავლის? არა თუ სამდღეობით ბარონის მეგრელად ყოფნამ გამოიღოს ესე ვითარი სასწაული! რას მკითხავ, დადექ შენთვის, ჯერ ღმერთს ჩვენზე არ მოუცლია და როცა მოიცლის მაშინ კიდეც გავკეთდებით, რაიცა გიხილავს იგი არს და მომეტებული“.

დავითი არ იყო კმაყოფილი მეფის მოხელეების დამოკიდებულებით, მაგრამ ცდილობდა მეფის მოხელეებისათვის თავი ისე მოეჩვენებინა, რომ მათი ერთგული კაცია, ამავე დროს თავისი საქმე ეკეთებინა, სამთავრო განემტკიცებინა და სწორედ ამ მიზნით იგი მეფის ყოველ ჩინოვნიკს ეფერებოდა.

დავითთან შედარებით ლევანი უფრო თავისუფლად ექცეოდა რუსეთის მოხელეებს, იგი მათს წინაშე არ მლიქვნელობდა. ეს ქეიფისა და ძველებური ცხოვრების მოყვარული უდარდელი კაცი არავის ქედს არ უხრიდა. ერთხელ მთავარმართებლისგან გამოგზავნილი რუსი მოხელე სმიტენი დამთვრალა, უშვერი სიტყვებით დაუწყია გინება და არავის დამორჩილებია, ლევანს მაშინვე უბრძანებია, შეეპყროთ იგი, გაებაწრათ

და გაეწკეპლათ, როგორც დამნაშავე. ნოჯიჯხევის სასახლეში მომხდარი ეს ამბავი მთელს სამთავროში გახმაურებულა.

დავით დადიანის ყველაზე ახლობელი მრჩევლები მაინც მისი ნათესავები და მეგობრები — ალექსანდრე ჭავჭავაძე, პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე იყვნენ.

დავით დადიანი დიდი გულისყურით ეკიდებოდა სამთავროს ადმინისტრაციულ მართვას. მას თავად-აზნაურებისაგან შემდგარი მილიცია ჰყავდა, სამთავროსა და სასახლეში წესრიგის დაცვას ეს მილიცია განაგებდა, დაცვის წევრები: მხეიძე, გელოვანი, ფაღავა, ჩიქოვანი, დგებუაძე, დავითს ყვავლგან დაჰყვებოდნენ. იგივე ამალა განაგებდა დადიანის სასახლეში სტუმრების მიღებას და გაცილებას.

იმ შემოდგომით დავითს ეკატერინე ჭავჭავაძის ნათესავი გულბაათ ჭავჭავაძე ეწვია. დავითი თავისი ცოლის ნათესავს დიდი ზეიმით დახვდა. გულბაათი დიდი ნავალი და სახელმწიფო საქმეებში ჩახედული კაცი იყო. ამავე დროს დიდი ვაჟკაცი და განთქმული მოქეიფე.

დავითი თვითონ არ იყო მოქეიფე კაცი, მაგრამ გულბაათ ჭავჭავაძე ქეიფით იმდენად გატაცებული იყო, რომ დავითი იძულებული გახდა, არაფერი დაეკლო მისთვის. საგანგებოდ მოიწვია სამთავროში ცნობილი ღვინის მსმელები და გააჯიბრა გულბაათ ჭავჭავაძეს. ამბობენ მთავარმა ბრძანა, ვინც გულბაათს დაათრობს, ჩემი საუკეთესო აზარფეშა მიჩუქებია მისთვისო, მაგრამ თურმე გულბაათი ვერავინ დაათრო.

იმ საღამოს დავითს ცხარე კამათი ჰქონია გულბაათთან:

— ხალხის ნათქვამია, თვალი სვამს და თვალი სჭამსო. ზერელე ნათქვამია. თვალი კი არა, ადამიანის გული გრძნობს ყველაფერს უტყუარად. გული არასოდეს გიმტყუნებს. ყველაზე მთავარს თვალი ვერ დაინახავს, გული კი უთუოდ იგრძნობს. თვალი ბრმაა, გულით უნდა ეძიო. აქ შებორძიკდა, მერე ნათქვამს სხვა მიმართულება მიეცა... ჰო, გულის ხმას უნდა დაუგდო ყური, ის გაპოვნინებს მეგობარს. საქართველო უგულოებმა დაღუპეს, ერთმანეთის უსიყვარულობამ დაგვღუპა.

საგანს, ნივთს მიჩვევა უყვარს. ბავშვი სათამაშოს არ დაგითმობს, რადგან იგი გულით უყვარს, მაგრამ როცა შეეჩვევა,—შეიძულებს, გადააგდებს. ასეა: ბოლომდე უნდა გიყვარ-

დეს, რაც გულმა გიკარნახა. ქართველები კი ერთმანეთის სიყვარულს გადაჩვეულები ვართ, ცალკე ვცხოვრობთ დაქსაქსულნი. კაცს მიზანი უნდა ჰქონდეს, რწმენა უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ რწმენით სავსე გულს შეუძლია გაიხაროს თავის მამულში, სადაც შენი მიწაა, სადაც შენი მამულია, გულიც იქითკენ გეწევა, გული და მამული განუყოფელია.

ასე ელაპარაკებოდა დავითი გულბაათ ჭავჭავაძეს, გულბაათს კი ვერ გაეგო, რად სჭირდებოდა ყოველივე ეს დადიანს. ვერ გაეგო, მაგრამ მაინც გულდასმით უსმენდა მასპინძელს. დადიანს ეამა სტუმრის ყურადღება და ისევ გააგრძელა:

„— ვინც ჩვენს ისტორიას იცნობს, იმას მოეხსენება, რომ კახეთი ქართლს ებრძოდა, იმერეთი—სამეგრელოს, სამეგრელო — გურიას თუ რაჭა-ლეჩხუმს და ასე დაუსრულებლივ. ხშირად ამ ომში, ჩვენდა სამარცხვინოდ, გარეშე ძალებს იწვევდნენ და ასე ჟუჟავდნენ ერთმანეთს ქართველები. მე ამ რამდენიმე ხნის წინათ მე-18 საუკუნის ერთ რუსულ დოკუმენტს წავაწყდი და ჩემს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ თურმე ჩვენი ერთი სამთავროს მესვეური თხოვნით მიმართავდა რუსეთის მეფეს, მეორე სამთავროს, წინააღმდეგ ომში ჯარით დახმარებოდა. ქართველი მეფე ქართველ მეფეს ეომებოდა. შეიძლება კიდეც გაგიკვირდეთ ეს ამბავი, მაგრამ ასე ხდებოდა წინათ. ახლა ამას ჩვენ უკვე კარგად ვხედავთ, მაგრამ გვიან არის. გულში ხინჯად კი გვაქვს, რა უბედურებაც მოუტანა საქართველოს ერთიანობის დაშლამ ჩვენს ერსა. ვინ არ იცის, რომ ყოველი ქართველი კაცი, ვისაც კი სინდისი და პატიოსნება შერჩენია, სასოებით შემყურე უნდა იყოს ერთიანობისა და მთლიანობისა. აი, ახლა აღმოსავლეთი საქართველო უკვე მოიშალა, ქართლი და კახეთი რუსეთს შეუერთდა, მეფობა გაუქმდა. და განა არ ვიცი, რომ ჩვენც ხვალ იგივე ბედი გვეწევა? აბა, ერთიანი და მთლიანი, ერთი მეფის კვერთხით გაერთიანებული ვყოფილიყავით! მაშინ ეს უბედურება ავგცილდებოდა. ახლა სადღაა გზა თავის დაღწევისა. ეს გზა მე თვითონ ვერ მიპოვნია. თვალდახუჭული მივდევთ ცხოვრების ტალღას, ოცნებით ვეპოტინებით რაღაც მომავალს და განწირულება ჩვენი იმდენად დიდია, რომ არც კი ვიცით რა მოგველის ხვალ.

ასე ამბობდა დავითი. ასე ამბობდა და ამავე დროს ზრუნავდა სამთავროსათვის, თავისი ცალკე შემოღობილი ფეოდალური სამთავროს ხელშეუხებლობისათვის.

* * *

გულბაათ ჭავჭავაძე თბილისს წავიდა და სასახლეში ისევ საქმიანი ფუსფუსი დაიწყო.

სიცხეს გადაეკვლო. მზე ზღვისკენ დახრილიყო. ზღვიდან კი გრილი ნიავი ქროდა. სასახლის წინ, დიდი ცაცხვის ძირას, ქვის მაგიდის გარშემო შემომსხდარი დავითი, ეკატერინე და სახლთუხუცესი ქაღალდზე გადატანილ ბაღის გეგმას ჩასცქეროდნენ და დიდი დავა და კამათი ჰქონდათ. ფეხზე მდგარი სახლთუხუცესი თავის მხრივ ჯიუტად ამტკიცებდა, ეს ადგილი ჭაობიანიაო, საჭიროა რამდენიმე არხის გაყვანა, რომ წყალი ვაკეზე არ დაგუბდეს და ეს საუკეთესო ადგილი არ დააჭაობიანოსო.

ლაპარაკი იყო უცხოეთიდან ახლად მიღებულ ყვავილის ნერგებზე. დავითი, პირიქით ამტკიცებდა: ზუგდიდი მაღალზეა, ბატონო, ზღვიდან, აქ, პირიქით, არხი გამოაშრობს მიწას, ყვავილს კი ბევრი წყალი სჭირდებაო. მებაღე დავითის მხარეზე იყო.

ეკატერინე ჯერ ჩუმად იყო, კამათში არ ერეოდა. შემდეგ ერთბაშად ჩიქოვანს შეხედა და ისევ ბარათაშვილი დაუდგა თვალწინ. ის იყო გაუღიმა მოლანდებას და წონასწორობაც დაკარგა. ეკატერინე კამათში ჩაერია და მეუღლეს გაღიზიანებული, გაწიწმატებული ედავებოდა. დავითს არაფრად ესიამოვნა საქმეში დედოფლის ჩარევა, მაგრამ ყველაფერი ეს ეკატერინეს სითამამეს მიაწერა. დავითი გაბრაზებით ამბობდა, არც იმდენი არხიაო საჭირო, რამდენსაც სახლთუხუცესი გვთავაზობს, მაგრამ ერთი დიდი არხის გაყვანა, რომელიც სასახლის ბაღს შუაზე გაჰყოფს და შემდეგ შეიძლება მოსარწყავად გამოდგეს, აუცილებელიაო. ეკატერინე ყურს არ უგდებდა მის საუბარს. დავითს ეწყინა ცოლის უყურადღებობა, მაგრამ არც ეს შეიმჩნია. ბოლოს, რაკი კამათით ვერაფერს გახდა, დავითმა ბრძანა და მებაღე და სახლთუხუცესი საქმეს შეუდგნენ.

ეკატერინე და დავითი აივანზე ავიდნენ. ისინი დიდხანს ისხდნენ აივანზე ისე, რომ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, თუმც სათქმელი ორთავეს ჰქონდა.

დავითი თავის კაბინეტში შევიდა. უკმაყოფილების გრძნობამ გულში მწარედ გაჰკრა: არ მოეწონა დედოფლის გაღიზიანებული საუბარი.

— არა, რაც თბილისში სიარულს მოუხშირა ეკატერინემ, უცნაურად შეიცვალა, ნეტავ რა მოხდა? — მის სულს ეჭვი ჩაეწვეთა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, თითქოს ამით უნდოდა გაეფანტა ის საშინელი აზრები, რომელიც ახლა გარს შემოხვეოდა. მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა.

სწორედ მეორე დღეს იმ მაგიდასთან, სადაც გუშინწინ მთავარი, დედოფალი და სახლთუხუცესი ისხდნენ, დავით დადიანმა ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი ბარათი იპოვნა. დახედა, რაღაც უშნოდ ნაბღაჯნი იყო, ბოლოს ძლივსღა ამოიკითხა: „ბატონო დავით, გაუფრთხილდი დედოფალს, ასე ნუ სტოვებთ ლექსების ამარად, ნურც ეგრე ანებივრებთ, ან მარტო რად უშვებთ თბილისს?..“ ხელს არავინ აწერდა. შინაარსიდან ჩანდა, რომ მისი დამწერი უბრალო კაცი არ იყო, მაგრამ ვერავისთვის ვერ მიემგვანებინა ნაწერი. კიდევ გადაიკითხა და შეწუხდა. არ ესიამოვნა სასახლეში ასეთი სითამამე. ვერ აეხსნა წერილის მიზეზი. ვერც ის გაეგო, შურსა და მტრობას უნდა მიეწეროს ეს წერილი თუ მეგობრობასა და სიკეთეს. მოშურნე და მტერი ცოტა როდი ჰყავდა.

„შურთ, რომ ჩემი ცხოვრება ასე კარგად წარიმართა, შურთ, რომ ჩემი მეუღლე ლამაზიც არის და ჭკვიანიც. მაგრამ... იქნებ საბუთიც იყოს ამისა? მაშინ?!—ფიქრობდა დავითი. კიდევ გადაიკითხა ბარათი...

— არა,არა ღმერთმანი! ჯერ მე არაფერი მაქვს ისეთი საბუთი, რომ უმადური ვიყო ჩემი მეუღლისა, არც ეჭვისთვის მაქვს რაიმე საბუთები, მაგრამ წერილი?“

წერილი დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო. მთელი დღე ვერ მოისვენა. ჯიბეში თითქოს გახურებული შანთი ედო და სწვავდა მის სხეულს, სწვავდა და დაგავდა ეჭვჩაწვეთებულ მის სულს. მერე გადაწყვიტა წერილი ცოლისთვის ეჩვენებინა და ყველაფერი ეს ხუმრობაში ჩაეტარებინა. მაგრამ ვერც ამას ბედავდა. ამით იქნებ შეურაცხყოფა მიეყენებინა ცოლისათვის! ეს წვრილმანობაა! პატარა კაცობაა, მაგრამ ატყობდა, ვერ ისვენებდა, ვერა და ვერა! ბოლოს დაავლო ხელი ამ ბარათს და ნაკუწ-ნა-

კუწად აქცია, თითქოს ამით შვება მიეცა მის აფორიაქებულ სულს.

დავითმა ერთ ხანს მართლაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ეჭვი, საშინელი ეჭვი ვერ მოიცილა, შემდეგ ისევ მაგიდას მიუჯდა და ხელნაწერის გადაწერას შეუდგა, მაგრამ ვერ მოისვენა. სახლთუხუცესი მოიხმო, ისევ ბაღის ამბები გამოჰკითხა, სახლთუხუცესმა უქო მებაღე, უთხრა, ახლა თვით ეკატერინე იყო და თავის თვალით ნახა, რა შესანიშნავად ეწყობა ბაღის საქმეო. ეკატერინეს ხსენებამ ისევ შეაკრთოლა, ისევ წერილი მოაგონდა და დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში სახლთუხუცესს. თითქოს იგი ყოფილიყოს დამნაშავე. ამ ბარათის საიდუმლო სახლთუხუცესმა ხომ არ იცისო, ეგებ მისი დამწერიც იცისო, გაიფიქრა მთავარმა. ამან ისეთი ბრაზი მოჰგვარა, რომ ხმამაღლა ლაპარაკი და უსაფუძვლო გინება დაუწყო. სახლთუხუცესს ვერაფერი გაეგო. დაიბნა, უკვირდა მთავრის ასე უმიზეზოდ შემოწყრომა, მაგრამ დავითი მაინც არ ეშვებოდა: „მე ხვალ იქ მოვალ, მე თვითონ ვნახავ, მე თვითონ მოგელაპარაკებიო, თქვენ არავინ არ ხართ სანდო, თქვენ ყველანი მოღალ...“ მაგრამ სიტყვა გაუწყდა...

სახლთუხუცესი გაოგნებული გამოვიდა სასახლიდან, ვერაფერი გაეგო, რას ნიშნავდა სიტყვები,—„ხვალ მე თვითონ მოგელაპარაკებიო“, რაზე უნდა მოლაპარაკებოდა, ხომ არ დაბეზღეს, ან იქნებ რამე სხვა მიზეზია.

დავით დადიანს მთელი ღამე არ უძინია, ბორგავდა, შფოთავდა. ბოლოს ლოგინზე წამოჯდა და თავისთავთან ხმამაღალი საუბარი გააბა:

„ნეტავ ვიცოდე, ნამდვილად ვუყვარვარ ეკას, თუ“...

დავითს ახლა ქორწილის პირველი ღამე გაახსენდა, როდესაც ეკატერინე ცრემლითა და ოხვრით, ალერსითა და სიყვარულით უმტკიცებდა დიდ სიყვარულს და არწმუნებდა, რომ მასზე ბედნიერი არავინ არის ამქვეყნად. მოაგონდა ეს და თითქოს დამშვიდდა. მაგრამ ახლა მის გონებაში ვიღაც უცხო კაცი ჩამჯდარიყო, რომელიც სხვა რამეს ეუბნებოდა. თვითონაც თითქოს იმეორებდა მის ნათქვამს.

„არა, იქნებ მისი ცრემლი და ოხვრა ქალწული ქალის პირველი ღამის სევდა იყო, ეგებ მას ჩემი დიდება, დადიანობა

უფრო იზიდავდა, ვიდრე წმინდა სიყვარული. ეგებ ყოველივე ეს თვალთმაქცობა იყო“.

დავითს ვერ გაეგო, ვერ აეხსნა, აგერ უკვე ხუთი წელია ერთად ცხოვრობენ, რამდენი ბედნიერების, სიხარულის, წარუმატებლობის, გულისტკივილის მოწმენი ყოფილან. მართალია, პირველი ორი შვილი მოუკვდათ, მაგრამ აგერ ახლა უკვე ორი შვილი ჰყავთ, ორი მარგალიტი, ახლა რა დროს ეჭვია, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც გულაყრილობას და გულცივობას რომ ატყობს დედოფალს?!.. ვერა და ვერა, ვერ აუხსნია რას მიაწეროს ყოველივე ეს.

„თუ ჩვენი სიყვარული ქარიშხალივით გულიდან იყო ამოვარდნილი, მაშინ რასღა შეეძლო გაეციებინა ეს მხურვალე გული! არა,ეკა, ჩემი ეკა ჩემს სიყვარულს ყოველთვის სიყვარულითვე უპასუხებდა და რომ ახლა არ ვიწამო მისი გულწრფელობა, ეს ხომ უსინდისობა იქნება! რა საბუთი მაქვს ეჭვი შევიტანო მის სიყვარულში!“

მაგრამ ის წერილი, ის საშინელი წერილი... და ისევ ეჭვებმა დაიმორჩილა. მერე თბილისში ეკატერინეს წინაშე სასოებით წარმოთქმული ფიციც მოაგონდა.

„აკი მოვწყვიტე მე ცრემლი, ცრემლი სიხარულისა ჩემს ეკას. არა, ის დღე ჩემთვის დაუვიწყარი და წარუშლელია. ო, ეკა, ეკა“ — კვნესით აღმოხდა დავითს — თუ შენს გულშიაც ისევე წარუშლელია ეს სიყვარული, მაშინ ჩემზე ბედნიერი კაცი მეორე აღარ იქნება ამ დედამიწაზე, მე კი ჩემი მხრივ ისევ გეფიცები, რომ ის ჩემი აღთქმა, ჩემი წმინდა ფიცი, ჩემს გულში ისევე წმინდად მარხია. შენს შემდეგ არავისი ბინძური ხელი არ შეხებია და არც შეეხება, ჩემი გულიც და ჩემი ტახტიც, მთელი ჩემი სამთავროც შენთვის შემომიწირავს და არასოდეს არც გიღალატებ, ვიდრე ამ ცის ქვეშ ამ დალოცვილ მიწაზე დავდივარ შენი სიყვარულით ბედნიერი და კმაყოფილი. მაგრამ ღალატი. ღალატი თუ შეგატყვე, მაშინ... მაშინ არ ვიცი როგორ მოვექცევი შენს სიყვარულს და თვით ჩემს თავსაც! ღმერთსა ვთხოვ, არასოდეს მოგეცეს ღალატის საბაბი“.

თითქოს ლოცვითა თქვა დავით დადიანმა ეს სიტყვები და ამით თავისი აფორიაქებული სული დააშოშმინა. მერე საწოლ

ოთახში შევიდა. ეკატერინეს ეძინა. ეჭვებისაგან დატანჯულ მთავარს მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

* * *

ამის შემდეგ კიდევ ერთი წელი გავიდა. იმ დღეს მთელი დღე წვიმდა. დავითი იჯდა სასახლეში და წერდა წერილებს, პლატონ იოსელიანს ვრცელი წერილი მისწერა. სიყრმის მეგობარს სთხოვდა, აბატ მილორის ისტორია, რომელიც მან ამ რამდენიმე ხნის წინათ გაუგზავნა პლატონს, უკანვე გადმოეგზავნა. ეს წიგნი განსაკუთრებით უყვარდა დავითს. თარგმანი თავისი ხელით ჰქონდა გადაწერილი და ზედვე იყო მიწერილი ამ წიგნზე: „მეოცე წელსა შინა შობისაგან ჩემისა ათას რვაას მეოცდაცამეტე წელსა გადავწერე ეს წიგნი“. დავითს უყვარდა თავისი ახალგაზრდობის ეს პირველი ნამოღვაწარი და რაკი ეს წიგნი შორს ეგულებოდა, ასე ეგონა სამუდამოდ დაკარგავო. ამავე ბარათში დავითი პლატონს სთხოვდა, თბილისში თქვენს მიერ გამოცემული ახალი წიგნებიც გამომიგზავნეო. მერე პროსეს მისწერა წერილი. სამეგრელოში დიდი ხნით ჩამოსვლას სთხოვდა. მეგობარს ისტორიულ სიძველეთა და მონასტერთა ძეგლების სიუხვით აინტერესებდა: აღსაწერი, ასანუსხველი მასალები უხვად იქნებაო, თან დიდ დახმარებას და უანგარო მეგობრობას ჰპირდებოდა. მდივანი იხმო და ამ ორივე ბარათის გაგზავნა უბრძანა.

დავითი ადგა. აივანზე გავიდა. გარეთ ისევ წვიმდა გადაუღებლივ. როცა მდივანმა გორდიდან გამოგზავნილი ბარათი მიართვა, მთავარი აივანზე ბოლთას სცემდა. დახედა ბარათს და ხელათვე იცნო ეკატერინეს ნაწერი. შემდეგ ისევ შებრუნდა სამუშაო ოთახში. გახსნა ბარათი და ასევე ცივად გადაათვალიერა. თვითონაც უკვირდა დავითს, საიდან მოდიოდა ეს სიცივე. თავს ძალა დაატანა და წაიკითხა. ეკატერინე სამდურავს უთვლიდა ქმარს, ზუგდიდიდან ძალით გამომაგდეო, ერთი კვირაა აქა ვარ, არც კი გიკითხავს, თუ როგორ ვარ, რას ვაკეთებო; მპირდებოდი მეორე დღესვე ამოვალ, ეს არის შენი პირობაო, მე კარგი, მაგრამ შენი პატარები მაინც არ გენატრებაო.

აქ კი შეჩერდა დავითი. მერე ისევ გააგრძელა კითხვა და ბარათი ბოლომდე გადაიკითხა. ეკატერინე მუდარით სთხოვდა,

დაუყოვნებლივ წასულიყო გორდს. ბარათი დადო, გარეთ გამოვიდა, კიბეზე გრიგოლ დადიანი ამოდიოდა. ძმის დანახვა დიახაც ესიამოვნა დავითს.

ძმები საუბრით გაერთვნენ. თითქოს დავითს უსიამოვნო ფიქრები გადაეყარა. დიდხანს, დიდხანს ლაპარაკობდნენ შინაურსა და გარეშე საქმეებზე. და როდესაც გრიგოლი წავიდა, დავითმა ისევ მოიწყინა. დაჯდა და ბარათი მისწერა თავად თეიმურაზ აგიაშვილს. ეს ბარათი ლექსად იყო დაწერილი:

მე თუ მკითხავ, სახლსა ვზი, მოწყინებულად სულ მარტო,
გაფრთხილდი, მოდი ჩემთან, რომ დაგიყივლო რა მარტო,
თუკი იძიებ შეტყობას, რომ მოხვალ მყის განგიმარტო.

ეს ჩვეულებრივი მოკითხვა იყო დავითისა და იმას ნიშნავდა, რომ თეიმურაზ აგიაშვილი მასთან მობრძანებულიყო და მოწყენილი მთავარი გაერთო. აგიაშვილი უებარი მოსაუბრე. ნარდის მოთამაშე და მოქეიფე იყო. მოწყენილი დავითი ახლა ამ ჩინებულ თავადიშვილს ელოდა გასართობად.

დავით დადიანი გამოცანების დიდი მოყვარული იყო. ხალხში შეგროვილი და წიგნებში ამოკითხული გამოცანების მთელი რვეული სათუთად ჰქონდა შენახული. გამოცანებით ეპაექრებოდა იგი თავის ძმას, გრიგოლ დადიანს და მოურავს თეიმურაზ აგიაშვილს. სასახლის აივანზე გამოჩნდა თუ არა აგიაშვილი, სალმის ნაცვლად გამოცანა შეაგება დადიანმა სტუმარს:

„აბა, აგიაშვილო, გამოიცან:

— მაცა, მაცა, ჩემო მზეო,
პერანგს ეხლავ ჩამოვწეო,
საღამოზე რომ ჩამოვწევ,
ალიონზე ამოვწევო.

აგიაშვილმა დიდხანს იფიქრა, მაგრამ გამოცანა ვერ ამოხსნა.

დადიანს დიდად ეამა აგიაშვილის აგრე ადვილად დამარცხება.

მერე ღიმილით მიმართა სტუმარს:

— არ იცი, განა? რაკი ასეა, გამოცანაც და პასუხიც დაი-

მახსოვრე. გამოცანაში ფანჯარა და ფარდა იგულისხმება: მზეს ფანჯარა მიმართავს...

აგიაშვილმა თითი მოკაკვა, მაგრამ ის რის აგიაშვილი იქნებოდა, თუ ასე ადვილად დანებდებოდა მოწინააღმდეგეს. მან პატივისცემით მიმართა მთავარს:

— ახლა მეც გეტყვით და თუ ვერ გამოიცანით, ბარი-ბარს ვიყოთ.

ეს ჩემი ცხენი სოსანი, სოსანზე უფრო ცოცხალი,
დილას ამოვა, წყალს დალევს, საღამოს ჩავა ცოცხალი.

—მზე, — არ დააყოვნა პასუხი დადიანმა. მერე ისევ ღიმილით მიმართა.

— ეგ გამოცანა წინა შაბათს მე თვითონ გითხარი, აგიაშვილო, დაგავიწყდა? კარგი.

— რაკი ასეა, ერთსაც გეტყვი:

—ჩემო ძმაო სისო, მე რომ საქმე გიყო,
ტანზე პერანგი გაგაძრო, თავში ბერტყვა გიყო!

— სიმინდის ტარო! — ისევ არ დააყოვნა პასუხი დადიანმა. კერი დადიანისა იყო.

— აბა, აგიაშვილო, ამაზე რას მეტყვი?

— ოცდათორმეტმა ძმამ იჩხუბა, ერთმანეთსა კლავენ და ისევ ერთ ოჯახში იმყოფებიან.

ვერც ეს გამოცანა ამოხსნა აგიაშვილმა, დადიანმა სიტყვა მიაშველა:

— ეს ის საქმეა, შენ რომ გიყვარს.

ისევ დაფიქრდა აგიაშვილი. საით არ მოუარა, რა არ დაასახელა, ვერ გამოიცნო.

— ნარდია, ნარდი! რაკი თამაში იცი, გამოცნობაც უნდა შეგეძლოს.

მეორე თითიც მოკაკვა მოურავმა. დადიანი მაინც არ მოეშვა:

— არც ძმა არის, არც და არის, საცა წავალ ჩემთან არის,
არც უშველის მას გაწყრომა, არც ძლიერი მჭრელი ხმალი!

ვერც ეს გამოცანა გამოიცნო აგიაშვილმა.

—ერთი წევს და არა დგება, ერთი სვამს და არ გაძღება, ერთი დგას და არ დაწვება.

— ცხენზე ზის წიგნსა კითხულობს, კითხვა კი თვითონ არ იცის!

ბოლოს ხუთივე თითი მოკაკვა აგიაშვილმა და თავი დამარცხებულად სცნო.

გამარჯვებულმა მასპინძელმა თითქოს უკუყარა სევდა და ხაღველი, ასე რომ აეკვიატა ამ ბოლო დროს. მაგრამ სულ მალე ისევ ეწვია უსიამო ფიქრები და ისევ მოიწყინა მთავარმა, მოურავმა შეატყო ეს და სხვა საგანზე ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ ფიქრებში წასული დავითი მას ყურს არ უგდებდა.

ოფშკვითიდან ზუგდიდს გადმოსახლებულ თეიმურაზ აგიაშვილს დავით დადიანმა ყველაზე დიდი უბანი ჩააბარა. სამოურავოებად დაყოფილ სამთავროში ზუგდიდის მოურავად დანიშნა. როგორც ვთქვით, ენაწყლიანი მოსაუბრე იყო აგიაშვილი, თანაც ჭორებისა და ბილწსიტყვაობის მოყვარული, თუმცა დავით დადიანთან მუდამ თავშეკავებული, რადგან დავითს ჭირის დღესავით ძულდა ბილწსიტყვაობა. იმ დღეს კი თვითონ ჩამოუგდო საუბარი ჭორებზე და ასე კითხა აგიაშვილს:

— დგებუაძის ქალს თუ იცნობ, გიგო ფაღავას ცოლს.

— როგორ არა, ჩემო ბატონო!

— ხომ ლამაზია ფაღავას ცოლი?

— სალომე დგებუაძის ქალის სილამაზე მთელს სამთავროში ცნობილია, ოღონდ, იმასაც მოგახსენებენ, დავით ბატონო, ღალატობსო დგებუაძის ქალი ფაღავას.

— ჭორი იქნება, ალბათ მოუგონეს.

— არა, ნამდვილიაო, ამბობენ. ამას წინათ, ბანძაში, გიგო ფაღავას სახლში „ჰამლეტი“ დადგეს. სალომე ოფელიას როლს თამაშობდა, მართლაც რომ ლამაზი და მომხიბლავი იყო ფაღავას ცოლი...

დავით დადიანს გაგონილი ჰქონდა ბანძაში შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმის ამბავი, ახლა მაინც გაეღიმა ამის გაგონებს და

ისევ ჰკითხა აგიაშვილს — ჰამლეტის როლს ვინ ასრულებდაო?

— ტაია დადიანი, ელიზბარ დადიანის ვაჟი. სწორედ ტაია მოსწონებია ფაღავას ცოლს და თავად გაუმჟღავნებია მისთვის სიყვარული.

— არა, არა მგონია მართალი იყოს, ტაია მორიდებული და პატიოსანი კაცია, ასეთ რამეს არ იკისრებდა და, რაც მთავარია, თვითონ ფაღავას ვერ გაუბედავდა, ის ხომ თავზეხელაღებული კაცია.

გიგო ფაღავას და დავით დადიანს ერთმანეთი სძულდათ. კრიჭაში უდგნენ. მაგრამ დავითი ახლა მაინც იცავდა მოქიშპისა და მისი ლამაზი მეუღლის ნამუსს. მათი დამოკიდებულება ცნობილი იყო აგიაშვილისათვის, გაუკვირდა ამგვარი გამოსარჩლება, მაგრამ სიტყვა არ შეუბრუნებია დავითისათვის.

— ისე კი, — გამბით გააგრძელა დადიანმა, — ცოდვა გამხელილი სჯობია — გიგო, ეს ბრუციანი გიგო, როდია ღირსი ასეთი ლამაზი ცოლისა. თუმცა სწორედ ფაღავასავით თავზეხელაღებულები ახერხებენ ლამაზი ქალის ხელში ჩაგდებას.

— მე მაინც ასე მგონია, ლამაზი ქალი კაცს საყვარლად უნდა ყავდეს. ნაკლებად ლამაზი კი — ცოლად, თუ გინდა იგი შენი ერთგული იყოს და ეჭვი და ღელვა ნაკლები გქონდეს.. — თეიძურაზმა მიულექსა, რომ ხუმრობაში გაღაეტანა საუბარი:

სჯობს ცოლისა უყოლობა,
ლამაზი ქალის ყოლასა....

აგიაშვილი შეკრთა, შეჩერდა, მიხვდა, რომ ცუდად მოუვიდა ნათქვამი, და რომ უმშვენიერესი ეკატერინეს მეუღლეს თავისი თავი არ წარმოედგინა ამ გადაკრულ სიტყვაში ერთბაშად კილო გამოიცვალა და დაუმატა:

— არა, ბატონო დავით, რამდენი ვიცი ლამაზი ქალი, რომელნიც პატიოსანნი და ერთგულნი არიან ქმრისა და ოჯახისა. ხოლო ვინ მოსთვლის რამდენი ულამაზო და მახინჯი რქებს ადგამს ქმრებს.

— ეგეც მართალია, ჩემო თეიმურაზ, ცოტა როდია ქალებში ლამაზი და პატიოსანი, მაგრამ მაინც ლამაზ ქალს ყველა ოხერი და მამაძაღლი აეკიდება და შვებას დაუკარავს. არ მოსცილდება. ლამაზ ქალებს ბევრი მტერი ჰყავს. ოღონდ ეგეც იცო-

დე, უფრო მეტი — მოშურნე და ჭორის გამავრცელებელი. ყოველი ხელმოცარული და ულამაზო სახელს უტეხს ლამაზმანებს.

—შური და მტრობა, აი რა არის სათავე ბოროტებისა. — თავის მხრივ დაუმატა აგიაშვილმა, — და მაინც ვიტყვი. ეპვი ყველაზე საშინელი სენია. ლამაზი ცოლის ქმარი თუ ეპვს აჰყვა, მშვიდობას და მოსვენებას დაჰკარგავს. ეპვით შეპყრობილი კაცი უბედურია. ეპვი საშინელი წელკავია, თუ იგი გაგიჯდესხეულში, მერე ძნელია თავის მორჩენა. ამიტომ ყოველი შეგნებული კაცი უნდა ერიდოს ეპვის ანკესზე წამოგებას.

— მე მაინც ასე მგონია, — ისევ ნაღვლიანად ამბობდა დავითი, — ქალია მაინც ყოველთვის დამნაშავე ასეთ საქმეში.

— არა, ბატონო დავით, თქვენ არა ხართ მართალი. მამაკაცი რომ შეუჩნდება ქალს, არ ფიქრობს, რომ თვითონაც სჩადის უპატიოსნო საქმეს და ღალატობს მეგობარს. მამაკაცი ივიწყებს, რომ მასაც შეიძლება მოექცენ ასე.

— არა, ქალი იწვევს მამაკაცს. აბა ისე რომელი მამაკაცი გაუბედავს ქმრიან ქალს შეჰკადროს რამე, თუ ქალმა თვითონ არ ანიშნა, არ გამოიწვია. მე ასე მგონია, ქალია მაცდური, ცოლ-ქმრობაში ორპირობის, ღალატის თავი.

— თუ ჩვენ ჩვენივე თავის მიმართ გულწრფელი ვიქნებით, ამას ვერ ვიტყვით. საერთოდ ძნელია იმის ძიება, თუ ვინ არის დამნაშავე. ეს ისეთი რთული საქმეა, რომელიც ჯერ კიდევ არც ერთ მეცნიერს არ აუხსნია.

— ადვილია, ვთქვათ, ქალია დამნაშავეო. ადვილია შეარქვა ქალს სახელად არარაობა. მაგრამ ქალი ხომ დედაა და აღმზრდელი ჩვენი ბავშვებისა. ქალი ხომ ცხოვრების მთავარი ძარღვია და თვალი. ჩვენ ხშირად მეტისმეტად მკაცრად ვეპყრობით ქალს. ჩვენი მსჯელობა ცალმხრივია და მცდარი, ხოლო რაც შეეხება სილამაზეს, იგი დიდი განძია, ფასდაუდებელი განძია ქალისთვის, ისეთი დიდი ნიჭია, რომელსაც ღმერთი ქუჩებში როდი არიგებს. ამ განძს, ამ ნიჭს დაფასება უნდა. ისე კი, სილამაზეს, როგორც დიდ განძს, ისევე უამრავი მტერი და მოშურნე ჰყავს, როგორც დიდ სიმდიდრეს.

დავით დადიანი გულისყურით უსმენდა აგიაშვილს. ჭკუა-

ში დაუჯდა მისი ნათქვამი და მაინც ეკამათებოდა, უფრო იმიტომ, რომ ბოლომდე გაბოერკვია ის, რაც ასე აწუხებდა.

დავითი ისევ აღგზნებით ლაპარაკობდა. აგიაშვილს ამ დინჯი კაცისაგან ამ საგანზე ასეთი მღელვარებით ლაპარაკი არ მოეწონა და უნდოდა საუბრისათვის სხვა მიმართულება მიეცა. სწორედ ამ დროს ცნობა მოვიდა სასახლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალაო განჯას. მეორე დღესვე გორდს გაემგზავრა დავით დადიანი და ეს ამბავი ამცნო დედოფალს. სადღაც ძარღვი ჩაუწყდა ამის გამგონე ეკატერინეს... გულშეღონებული იქვე ჩაიკეცებოდა, ხელებით, რომ არ მიშველებოდა პირფარეში... ერთი წელიც გავიდა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებაც ამცნეს დადიანების სასახლეს...

1846 წლის 6 ნოემბერს თბილისში დილიდანვე ხმა გავარდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიღუპაო. მთელი თბილისი მოაწყდა ჭავჭავაძიანთ უბანს. ყველას სურდა გაეგო მართალი იყო თუ არა ეს ამბავი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის უბნად წოდებულ თავის ახლადაგებულ დიდ სახლში ცხოვრობდა. ეს ადგილი მაშინ თბილისის გარეუბნად ითვლებოდა და ერთი პირველი სახლთაგანი ამ უბანში სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძემ ააგო, მადათოვის მოედნის ქუჩიდან, სადაც ის წინათ ცხოვრობდა მთელი ოჯახით, 1840 წლის ბოლოს აქ გადმოსახლდა. მარტო ერთი სახლი კი არა, მთელი უბანი ააშენა. პირველი სასახლე თვრამეტოთახიანი იყო, ქვევით რვა დუქანი და ვეებერთელა ღვინის სარდაფი ჰქონდა (სხვათა შორის, ამ სარდაფში ასხამდნენ ჭავჭავაძის მამულის წინანდლის ღვინოს).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ კიდევ ერთი დიდი ორსართულიანი შენობა ააგო. ამ სახლის ზედა, დიდი დარბაზი და ოთხი ოთახი მაშინდელი თბილისის არისტოკრატიისათვის მუდამ ღია იყო. ამ ორ სასახლეს დიდი ბაღი და ორანჟერია აერთებდა. ბაღში აუზი იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი კულტურული თბილისის ლიტერატურული და პოლიტიკური სალონიც იყო და ძმობის, მეგობრობის, პაექრობის, მიჯნურობის ჯადოსნური ადგილიც. რუსეთიდან და ევროპიდან ჩამოსული მოგზაურნი და ემიგრანტებიც აქ იყრიდნენ თავს. ვინ არ ყოფილა აქ: გრი-

ბოუდოვი თუ პუშკინი, დიუმა თუ მარი ბროსე. ვინ არ დამტკბარა ხმატკბილი მგოსნის ლექსებითა და მისი ქალიშვილების სიმღერა-ცეკვით, ეშხითა და სილამაზით. მის სადარბაზო ოთახში სტუმარი არ ილეოდა, დილიდანვე დაიწყებოდა დენა ქართველი ნათესავებისა, მერე კი, სამსახურიდან დაბრუნებისთანავე, ერთი მეორეს მოჰყვებოდა რუსობა. სადილობის დროს სუფრას, ოჯახის წევრების გარდა, ოცამდე სტუმარი და უცხოელი შემოუსხდებოდა. და აი, ასეთი ოჯახის ბურჯის უეცარი სიკვდილი ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს...

ალექსანდრე დილით ადრე ადგა. უგუნებოდ იყო. სახლიდან გასვლა არ უნდოდა, თუმცა გუშინვე გაეფრთხილებინა მეეტლე. ქვემოთ, სახლის წინ, გამზადებული „ოდინოჩკა“ უცდიდა, ვორონცოვის დღეობა იყო და წინადღითვე გადაწყვიტა მისთვის დაბადების დღე დილითვე მიელოცა. ჩაი ისე დალია, ხმა არ ამოუღია. მეუღლეს გაუკვირდა მუდამ თავაზიანი და ენაწყლიანი ქმრის ასეთი ქცევა. უგუნებობის მიზეზი ჰკითხა. ალექსანდრე არ შეეხმიანა. მერე ერთბაშად თქვა, რატომღაც შინიდან გასვლა მეზარებაო.

ნაომარი მხედარი, რომელსაც ირანელებისა და თურქების წინააღმდეგ უბრძოლია, ბარკლაი დე ტოლს საფრანგეთს, ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ომში ხლებია და ხმლით შეუღწევია პარიზის უბნებში, — ოჯახში მუდამ ნაზი, სათუთი და გულისხმიერი იყო. როდესაც მის ლექსებს მისივე ქალიშვილები ჩონგურზე მგრძნობიარედ ამღერებდნენ, თვალთაგან ცრემლები სდიოდა. და აი ასეთ კაცს ამ დილით ცოლისთვის ნაზად არ შეუხედავს, ერთი ტკბილი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გავიდა სახლიდან.

საპარადოდ გამოწყობილი გენერალი უსიტყვოდ ჩაჯდა „ოდინოჩკაში“, მის მეეტლეს ეტლი მუდამ დიდი სისწრაფით დაჰყავდა. ახლაც ასეთივე სისწრაფით გამოაქანა ეტლი დაღმართზე. სწორედ ამ დროს შავებით შემოსილმა დედაკაცმა ეტლის წინ ტაშტით საპნიანი წყალი გადმოღვარა. გადმოღვრილი წყლის შხუილმა და დაცლილი ტაშტის ტკაცუნმა ცხენები დააფრთხო, მეეტლეს აღვირი ხელიდან გაუვარდა, ალექსანდრემ იფიქრა, მივეშველებიო და ხელი სტაცა აღვირს. ის იყო ზე წამოდგა, „შინელის“ მარჯვენა კალთა ძირს ჩამოიშალა, ბორ-

ბალს მოეხვია და ალექსანდრე ძირს დაითრია. გადმოვარდნილმა ალექსანდრემ თავი ქვაფენილს დაარტყა. გონებადაკარგული საკაცით შეიყვანეს სახლში, საღამომდე ფეთქავდა მისი გული, ვაგრამ სიტყვა რა იყო, სიტყვა არ უთქვამს, ენა ვერ დაძრა. საღამო ხანს გულმაც შეწყვიტა ფეთქვა.

გულმკერდზე ხელებდაკრეფილი, დადუმებული იწვა პოეტი, რომელსაც მთელი ევროპა ფეხით ჰქონდა მოვლილი, ომში ნაჭრილობევ ფეხებთან ოქროს ხმალი ედო. ეს ხმალი ჭავჭავაძეს ჯილდოდ ებოძა ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ომში თავის გამოჩენისათვის, ხელზე ეკეთა ჯილდოდ ბოძებული ბრილიანტის ბეჭედი. იქვე წითელ ბალიშზე ელაგა სამი ორდენი და სხვა ჯილდოები, რომელნიც მიეცათ მისთვის სპარსელებისა, თურქებისა და ლეკების წინააღმდეგ ომში თავის გამოჩენისათვის. გულის მომკვლელ სევდას აღევსო დარბაზი. ერთი კვირა ესვენა გენერლის მჯნდირში გამოწყობილი სარდლისა და პოეტის გვამი ჭავჭავაძიანთ დიდ დარბაზში. სამეგრელოდან ეკატერინესა და დავით დადიანის ჩამოსვლას ელოდნენ.

დიდი ამბით გამოასვენეს დარბაზიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე. სიონის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს და შავად შემოსილი ბალდახინით კახეთში შუამთის საგვარეულო მონასტერში წაასვენეს.

სად უნდა დასაფლავებულიყო ალექსანდრე ჭავჭავაძე?

მამა — გარსევანი პეტერბურგში ალექსანდრე ხეველის მონასტერში იყო დასაფლავებული, დედა — შუამთის მონასტერში, იქ, სადაც მრისხანე მამია გურიელის ასულის, კახეთის მეფის მეუღლის, შემდეგ მონაზვნად შემდგარი თინათინის საფლავია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა აქ 1836 წელს დაასაფლავეს. მაშინ ალექსანდრე პეტერბურგში იყო და დედის დატირება ვერ შესძლო. ალექსანდრეს ცოლი—სალომე სწორედ ამ საგვარეულო საკრძალში მოითხოვდა ქმრის დასაფლავებას, ამბობდა, „მე ეხლა ჩემი ცხოვრების დღეს ალბათ წინანდალში გავატარებ და ჩემი ქმარი, ჩემს ახლო მინდა ვიგულოო". სოფიო ჭავჭავაძე გრიბოედოვის გვერდით მოითხოვდა მამის დასაფ-

ლავებას. სწორედ ამ დროს ეკატერინე ჩამოვიდა სამეგრელო-დან. ისიც დედამისს მიემხრო.

ერეკლეს შემდეგ ასეთი გასვენება არავის რგებია. ალექსანდრე ჭავჭავაძე კახეთში პირველ მემამულედ ითვლებოდა და ისე დაასაფლავეს, როგორც ეს მდიდარ მემამულეს და განთქმულ პოეტს ეკადრებოდა.

1846 წელი დავით დადიანისთვის შავი წელიწადი გამოდგა, ჯერ იყო და ივლისში მამა დაასაფლავა, ახლა სიმამრი გარდაეცვალა.

„ეკლესიასა ამასა შინა მდებარებს მარიამ თავადის გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ასული ავალიშვილისა თავადის იოანესი, შობილი აპრილსა პირველსა წელსა, 1758 წელს და გარდაცვლილი 19 მაისს 1836 ეკალთა ზედა ამის სოფლისათა ასრულებული ყვავილთა შორის სასუფეველსა შენითა ღირს მყავ მე განღვიძებად, უფალო“. ასეთი იყო წარწერა, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ პეტერბურგიდან გამოგზავნა და სალომემ გაუკეთა იმ მარმარილოს, რომელიც ალექსანდრეს დედის მარიამის საფლავს დაადვეს. ახლა კი ალექსანდრე ჭავჭავაძე მარცხნივ, დედის გვერდით დაასაფლავეს. კედელზე შავ არშიაშემოვლებულ მარმარილოს ქვას ასე წააწერეს: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, გარდაიცვალა ჲ წლისა 6 ნოემბერს ჩყმვ წელსა“. რუსულადაც ასეთივე წარწერა გაუკეთეს.

ხოლო ეპიტაფიად საფლავის თავზე მონასტრის კედელზე მურავიოვის მიერ ფსალმუნიდან შერჩეული სიტყვები წააწერეს: Вечер водворится плачь и заутра радость, მწუხრისა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“. ეს ის მურავიოვი იყო, რომელსაც ეკუთვნის ორ ტომად დაბეჭდილი საქართველოს აღწერილობანი. ამ წიგნის დაწერაში მურავიოვს ალექსანდრე ჭავჭავაძე და პლატონ იოსელიანი აძლევდნენ რჩევას და უწევდნენ დახმარებას. მურავიოვი სწორედ საქართველოში იყო მაშინ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ტრაგიკულად დაილუპა.

თავის მხრივ დავით დადიანმა საფლავზე დადებულ მარმარილოს ქვაზე მიაწერა: „მარად საუვიწყოსა სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“.

* * *

მამის გარდაცვალების შემდეგ დავითმა ძმები — გრიგოლი და კონსტანტინე პეტერბურგიდან გამოიწვია, ორივეს ცალ-ცალკე თავისი წილი მამულიც მიუჩინა და სახლ-კარიც.

.გრიგოლს სასახლეში ყველაზე დიდი ფლიგელი ეჭირა, კონსტანტინეს — უფრო პატარა.

გვარდიის პოლკოვნიკი გრიგოლი ცოლ-შვილიანი იყო. მის ცოლს, გურიელის ასულს, ტერეზიას, პეტერბურგის სმოლნის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, რითაც დიდად მოჰქონდა თავი.

ეკატერინე და ტერეზია ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და დიდი უსიამოვნება ჰქონდათ. ამიტომაც ეკატერინე უფრო უმცროს მაზლს — კონსტანტინეს მეგობრობდა. კონსტანტინე ერთი მოქეიფე, მომღერალი, უდარდელი თავადიშვილი იყო. წუთისოფელს დროსტარებაში ჰკლავდა. სულ მალე კონსტანტინემაც შეირთო ცოლი და ტერეზიასა და ახალ რძალს შორის ატყდა ჩხუბი და დავა.

დავითი ჯერ არ ერეოდა ძმებსა და რძლებს შორის ატეხილ წვრილმან დავასა და უთანხმოებაში, ბოლოს კი იძულებული გახდა მთელი სერიოზულობით ჩარეულიყო საქმეში. იმ წელს ძმები ერთმანეთს გამოეყვნენ, გრიგოლი ზუგდიდის ლევანისეულ სასახლეში დარჩა, ხოლო დავითი — ახლადაგებულ, ევროპულად მორთულ სასახლეში გადავიდა. კონსტანტინე აბასთუმანში, დადიანების საგაზაფხულო აგარაკზე დასახლდა დროებით.

ვაჭრებს, კონტრაბანდისტებს ევროპაში, ოდესაში, კონსტანტინეპოლში დიდძალი საქონელი გაჰქონდათ და იქიდანაც შემოჰქონდათ. დავითმა ადმინისტრაციული სიმკაცრე შემოიღო, კონტრაბანდისტების საწინააღმდეგოდ სამი პუნქტი შექმნა — ზუგდიდსა, სენაკსა და სუჯუნაში. დავით დადიანმა ამ საბაჟოების მეშვეობით დაბეგრა ისინი. სამთავროს სალაროში დიდძალი ფული შედიოდა, რაც რუსეთის კანონს ეწინააღმდეგებოდა. ეს რომ ვორონცოვმა გაიგო დავით დადიანი საგანგებოდ თბილისში გამოიწვია, დიდხანს ესაუბრა. ეს საუბარი ბოლოს იმით დამთავრდა, რომ ვორონცოვმა ჩუმად შეაპარა: „თქვენი შვილების მოვლა და აღზრდა მოითხოვს სადმე პეტერბურგში,

ან უკიდურეს შემთხვევაში, თბილისში მაინც იცხოვროთ, თუ აძას გადასწყვეტთ და ნებაყოფლობით აიღებთ ხელს სამთავროს მართვაზე, მე მეფის სახელით გპირდებით, უზრუნველვყო მთელი თქვენი ოჯახის კეთილი ცხოვრება და შვილების აღზრდაო".

დავითმა თვალებში შეხედა ვორონცოვს და პირდაპირ უთხრა: „თანახმა ვარ, ოღონდ ოცდაათი ათასი მანეთი პენსია დამინიშნეთ და ჩემი მამულისა და ქონების მოვლა უზრუნველყავით". ვორონცოვი ამდენი თანხის დასახელებას არ მოელოდა და მაშინვე შეწყვიტა ამ თემაზე საუბარი. ირჩია სხვა შემთხვევას დალოდებოდა, — როცა მთავარი კი არ უკარნახებდა პირობას, არამედ თვითონ ვორონცოვი.

დაღონებული დაბრუნდა დავითი ზუგდიდს, ხედავდა, რომ დღეს თუ ხვალ, ნებით თუ ძალით, ბოლოს მოუღებდნენ სამეგრელოში დადიანების სამთავროს არსებობას. გადაწყვიტა იმდენი ქონების შეგროვებას შესდგომოდა, რამდენიც უზრუნველყოფდა მისი შვილების ბედს. იმავე საღამოს ახალი გადასახადები დააწესა. გადასახადები ახლა აზნაურებსაც დაადო, ისევ უკმაყოფილებამ იჩინა თავი. დავითი ახლა დღე და ღამ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, როგორმე დაეშოშმინებინა, დაემშვიდებინა სამთავრო, ისევ ვეღარ იცლიდა ცოლისათვის.

1847 წელს გარდაიცვალა ეკატერინეს დედა, დავითის ... დედრი სალომე. სალომე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე — რომანტიკული და საინტერესო ქალი, ადრესატი გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე ლექსის — „მუხამბაზისა":

არავისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან,
ამას ვამბობ მე, ბეჟანა მკერვალი,
ქალებისა ლხინი და თაიგული.

მომდევნო სტრიქონები ავტორს ამ შესახიშნავი ქართველი ქალის გარეგნულმა ბრწყინვალებამ და დიდმა სულიერმა სიმდიღრემ დააწერინა:

მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქით მოფენილი.

სალომემ ორი ულამაზესი ქალიშვილის — ეკატერინესი და ნინოს დედამ თავად პოეზიაში დაიდვა მუდმივი ბინა. პოეტების შთაგონების საგნად ყოფნა ამ ულამაზეს ქალებს დედისაგან დაებედათ.

გრიგოლ ორბელიანი სალომეს ხშირად უმეღავნებდა გულის საიდუმლოს. სალომესადმი მიწერილი წერილები ნამდვილი ლირიკული ღაღადისი, პოეტის აღსარებაა.

ეკატერინესა და ნინოს მოთხოვნით დედა — სალომე მამადავითის ეკლესიაში დამარხეს. დავით დადიანმა საფლავს მარმარილოს ფიქალი დაადო წარწერით: „მარად დაუვიწყარისა სიდედრისა სამარეს დავდევი ფიქალი ეს მთავარმა დავით დადიანმა“.

* * *

ეკატერინეს უკვე სამი შვილი ყავდა: უფროსი ნიკოლოზი 5 წლისა იყო, სალომე 4 წლისა და ანდრო 2 წლისა. ბავშვებისათვის ზრუნვამ, მათმა მოვლამ საქმე გაუჩინა დედოფალს. ეხლა იგი დილით ადრე დგებოდა, თუმცა ბავშვებს სამი გამზრდელი ჰყავდა, ეკატერინე მაინც თვითონ უვლიდა მათ. უფროს ვაჟს უკვე ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ფრანგულ ენას და მუსიკას. ამ ზრუნვასა და მეცადინეობაში გარბოდა დრო და ეკატერინე თითქოს შეურიგდა ბედს, დამშვიდდა.

გავიდა ოთხი წელი და ეკატერინეს კიდევ ერთი შვილი შეეძინა. გოგონას სახელად თამარი დაარქვეს — დიდი თამარის პატივისცემის ნიშნად.

დავითის საქმეებიც კარგად წაეწყო. ჯერ იყო და 1845 წელს გენერლობა ებოძა; მთელს საქართველოში გახმაურდა ეს მაღალი ჩინი. 1845 წლის 18 მაისს გრიგოლ ორბელიანი დაღესტნიდან წერდა შემახის მაზრის უფროსს, პოლკოვნიკ კონსტანტინე თარხნიშვილს: „ვიცი გიამება, დავით დადიანს მოუვიდა ღენერლობა“. სამი წლის შემდეგ გენერალ მაიორი გახდა. სამთავროს საქმეებიც უკეთ დაეწყო.

ამასობაში დავითს ავადმყოფობა შეეჩვია. წინა ზაფხულს მალარია შეეყარა და ზამთარშიაც შეჰყვა. ექიმები დაახვიეს და ძლივს დააყენეს ფეხზე. სამკურნალოდ სურამს წასვლა ურჩიეს. სწორედ სურამში წასასვლელად ემზადებოდნენ, როდე-

საც დავითი კვლავ მძიმედ გახდა ავად. ახლა მუცლის ტკივილები დაერთო ისედაც ცოებისაგან დასუსტებულ ორგანიზმს. ქუთაისიდან ცნობილი ექიმი თოფურია მოიწვიეს, მაგრამ საქმეს ამით ვერ უშველეს.

ისევ ჩავარდა ლოგინად მთავარი. ყველანი თავს ევლებოდნენ, მაგრამ უკეთესობა არ ეტყობოდა. იმ დღეს ძლივს ჩასთვლიმა და დარბაზიდან მაშინვე ჩუმად გაიკრიფნენ, რომ ძილი არ დაეფრთხოთ უძილო ავადმყოფისათვის, მაგრამ ნახევარი საათიც არ გასულა და იყვირა დადიანმა. — „არ გაუშვათ? საძაგელი, კაცის მკვლელია, არ გაუშვათ-მეთქი"...

შემოცვივდნენ ავადმყოფთან. პირველი ეკატერინე მიეჭრა, აწეული თავი სასთუმალზე გაუსწორა. ავადმყოფი ოფლში ცურავდა.

— რაო, რა იყო,—ჩასძახოდა შეშინებული დედოფალი ვულშეღონებულ დადიანს.

ავადმყოფმა გრძელი წამწამები დაახამხამა, თვალებში შეხედა დედოფალს და მუდარით ჰკითხა:

— არა, ვინ იყო ახლა რომ ქურდულად სახლიდან გაიპარა?

— არავინ არ ყოფილა აქ, დავით ბატონო.

— როგორ არა, მე დავინახე, სახლთუხუცესმა შემოაპარა ვიღაც სერთუკიანი კაცი, ჩუმათ, ფეხაკრეფით ზედ ჩემს სასთუმალთან მოვიდა და ჭიქაში საწამლავი ჩაყარა ქურდულად. მერე ეს ჭიქა ხელთ მომაწოდა, ძალით მასმევდა, მოვსვი კიდეც და მივხვდი, რომ მოწამლული იყო და ამიტომაც ვიყვირე. არა, სახლთუხუცესი სად არის?

დედოფალს მოახსენეს, სახლთუხუცესი დილიდანვე ექიმის მოსაყვანად წავიდა და ჯერაც არსად ჩანსო.

დედოფალმა დაუყვავა ავადმყოფს:

—მოგჩვენებია, ბატონო დავით, აქ არავინ ყოფილა და არც საწამლავი ჰქონია ვისმე. ეს რა აზრი მოგსვლია, დავით ბატონო, ვის შეეძლო ეს გაებედნა თქვენთვის! ღმერთო ჩემო, ეს რა ესმის ჩემს ყურებს: სიზმარი იყო თუ მოჩვენება?

— არა, ჭიქა ნახე, საწამლავი თუ არ არის შიგ?

ეკატერინემ ჭიქა ხელში აიღო.

— ამაში არაფერია ჩაის გარდა, წეღან რომ მოგართვეს, თუ გინდა, მე მოვსვამ.

და ტუჩთან მიიტანა ჭიქა დედოფალმა. დავითმა ისევ იყვირა:

—არა, არ ქნა, მე დავინახე, ჩემი თვალით დავინახე, საწამლავი ჩაყარა ჭიქაში.

ეს თქვა, ლოგინიდან წამოიწია, შემდეგ მოშვებით მიეგდო და მთელი კვირა ბორგავდა და აბოდებდა.

5 ივლისს შეუტია ავადმყოფობამ. მუცლის ტკივილებს ახლა სისხლის დენა დაერთო. დავითმა ბარათი მისწერა თავის დას, ნინოს. მუხრანსკის მეუღლეს. სთხოვდა ექიმები მოეშველებინა, თან საყვედურს უთვლიდა, ამდენხანს რა გულმა მოგითმინა რომ ჩემი ავადმყოფობა შეიტყე და ერთხელაც არ მნახეო.

შიკრიკი აფრინეს მუხრანსკისთან. მუხრანსკი ამ დროს არტილერიის უფროსი და ქუთაისის გუბერნიის მმართველი იყო. არტილერიის ერთი პოლკი ქვაშხორიდან ორი კილომეტრის დაშორებით იდგა და მუხრანსკი მეუღლით ნინოთი, ახლა ქვაშხორში ჭენიკ დადიანის სასახლეში იმყოფებოდა.

ორი დღეც არ გასულა და ნინომ მთელ გუბერნიაში ცნობილი სამხედრო ექიმი მოჰგვარა ძმას. დავით დადიანი ერთ თვეში მომჯობინდა.

საქმე აგვისტო იყო. ნაავადმყოფარი დავითი, დედოფალი ეკატერინე და ბეჟან ფაღავა გორდის სასახლის აივანზე ისხდნენ. უცებ დავითის უმცროსი ვაჟი ანდრია გაჭირვეულდა: გინდა თუ არ გინდათ, ცხენზე შემსვითო. დადიანმა ბრძანა მათი საყვარელი მერცხალა გამოეყვანათ და ბატონიშვილი მასზე შეესვათ. დიდი ხანი იყო გასული, რაც დავითის ავადმყოფობის გამო მერცხალას არავინ მიჰკარებოდა. პატარა ბავშვის შეჯდომა თითქოს იუკადრისაო, ახტა და დახტა ულაყი. შეშინებულმა ბავშვა ღრიალი მორთო, ამან უფრო დააფეთა ცხენი და მთლად გადარია. აქეთ დავითმა იყვირა, იქით დედოფალმა იკივლა. ცხენოსნობაში გაწვრთნილი ფაღავა მიხვდა, რომ ხიფათი იყო მოსალოდნელი და აივნიდან ისკუპა. ცხენის ლაგამს მისწვდა, ისე მძლავრად დაქაჩა, რომ ყალყზე შემდგარი ცხენი იქვე გაქვავდა. დაუყვავა ცხენს და მშვიდობიანად ჩამოსვა ბავშვი. ყოველივე ეს ერთბაშად მოხდა, ყველა დაიბნა, ფაღავა რომ არ ყოფილიყო, ბავშვი დაიმტვრეოდა.

გულშეღონებული დავითი და იატაკზე გაშხლართული დედოფალი ძლივს მოაბრუნეს. ეკატერინე რომ მოსულიერდა, აირველი ეცა ბავშვს და ბავშვის მხსნელ ფაღავას მადლიერებით სავსე თვალები შეანათა.

ის იყო და ის, დავითი ისევ ჩავარდა ლოგინად. მთელი თვე ბორგავდა ავადმყოფი.

1853 წლის 30 აგვისტოს 42 წლისა ძიიცყალა იგი.

აფორიაქდა, აირია სასახლის კარი. გლოვამ მოიცვა ჭირისუფალნი. მთელი სასახლე შავ ძაძებში იყო გახვეული. ქალებს შავი კაბები ეცვათ, თავზე ასეთივე შავი თავსაფრები ეხურათ. მამაკაცებს შავი დარაიას ახალუხი ეცვათ, მკლავზე კი შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებული.

მთელ სამგლოვიარო ცერემონიას სახლთუხუცესი განაგებდა.

ფარდაგებით მოფენილ გორდის სასახლის დიდ დარბაზში ტახტზე ესვენა დავითის კუბო. ტახტს სამეფო პორფირი ჰქონდა გადაფარებული. კუბოს მარცხნივ დავითის ქამარ-ხანჯალი ეწყო. მარჯვნივ ხმალი. მიცვალებული თეთრ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი, შიგ თეთრივე დარაიის ბლუზა ეცვა. კუბოს თავთან სამთავროს დროშა იყო დახრილი. მის გარშემო ასამდე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თავადი და აზნაური იდგა. ჩუმად ტიროდნენ და მოსთქვამდნენ სასახლის ჭირისუფალნი. მარცხნივ დედოფალი იჯდა, გვერდით შავებში გამოწყობილი შვილები. ბავშვების შემდეგ შავებში მორთული ნინო გრიბოედოვა იჯდა, შემდეგ — ჩიჩუას ქალი, შემდეგ — რძლები დადიანისა. მეორე მხარეს დავით დადიანის დები ისხდნენ, თმებგაშლილნი საშინლად მოსთქვამდნენ და ხმამაღლა ტიროდნენ.

დარბაზის შესასვლელთან ფეხზე იდგნენ ძმები.

იმერეთიდან, გურიიდან, კახეთიდან, ქართლიდან, ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ, მთელ სასახლეში ტევა არ იყო, იდგა გაბმული ზარი და ტირილი.

სამი ეპისკოპოსი წირავდა — ჭყონდიდელი, ქუთათელი (იმერეთისა) და ჯუმათელი (გურიისა).. სამასამდე შავებში გამოწყობილი მონაზონი გალობდა საეკლესიო ზარის სიმღერას. ამდენივე მეჩონგურე ქალთა გუნდი სევდიანა, გულისმომ-

კვლელად გალობდა, საშინელ გლოვას მოეცვა მთელი სასახლის კარი.

აუარება ხალხი მოდიოდა, მოდიოდნენ ცხენებით... ურმებით... მოაუახლოვდებოდნენ თუ არა მიცვალებულის ოჯახს, ნათესავები გაბმულ კივილს ასტეხდნენ და დადიანის ეზოში მყოფნი ქალის კივილით არჩევდნენ, რომელი ნათესავთაგანი იყო ეს მომტირალი ქალი და ამის მიხედვით ემზადებოდნენ შესახვედრად. ნათესავებს ჭიშკართან ცხენებს და ურმებს ართმევდნენ და მერე ეზოში შეჰყავდათ. თმაგაშლილი ქალები ლოყებს იკაწრავდნენ და გაბმულად კიოდნენ. გვერდში ამომდგარი მამაკაცები ხელით აკავებდნენ ლოყების დასაკაწრავად გამზადებულ ქალებს. და ასე შეჰყავდათ სათითაოდ მამაკაცები და ქალები. ხოლო იქვე მოსთქვამდა ზარი. თმაგაშლილ ჭირისუფალ ქალებს ახლო ნათესავები და მეზობლები მიაცილებდნენ. ზოგი შავებში იყო გამოწყობილი, ზოგს ჩვეულებრივ სარტყელ-გულისპირიანი და ყურთმაჯებიანი გრძელი კაბა ეცვა და თავზე ლეჩაქი ეხურა. მამაკაცებს კი გრძელი ჩოხა-ახალუხი ეცვათ, მაღალი ქუდი ეხურათ და ყაბალახი ჰქონდათ მოხვეული, წელზე კი ქამარ-ხანჯალი ერტყათ. ეზოში შემოსული მამაკაცები ქუდს მოიხდიდნენ, ყაბალახს მოიძრობდნენ, წელზე ქამარ-ხანჯალს შეიხსნიდნენ და იქვე მაგიდაზე სტოვებდნენ. შემდეგ თავშიშველნი თავზე ხელების ცემით და ყაივაის ძახილით შედიოდნენ მიცვალებულთან. და იყო გაბმული მოთქმა და ტირილი. შემდეგ სათითაოდ გამოჰყავდათ ნათესავმოტირალნი და ეზოში გრძელი ქელეხის სუფრას შემოუსხამდნენ, სამარხვო საჭმელებით — ლავაშით, ლობიოთი, ფლავით, თევზეულით და ღვინით უმასპინძლდებოდნენ. ეს სამგლოვიარო შეცხადება და ტირილი გორდში სამი დღე გრძელდებოდა.

ეზოში შავად შემოსილი, უნაგირებით უკუღმა შეკაზმული ორი ცხენი იდგა, რომელთა აღვირები ძიძიშვილებს ეჭირათ. ეს ორი ულაყი დავით დადიანის საყვარელი ცხენები იყო.

დავითი გორდის სასახლიდან დილითვე გამოასვენეს. თმაგაშლილი ქალების მთელი გუნდი უკან მისდევდა დედოფალს.

ეკატერინეს, აქაურ წესისამებრ თმა გაეშალა, მთელი მხარ-ბეჭი და პირისახე დაეფარა ოქროსფრად აბზინებულ თმის სქელ ფენას. თვალებიდა მოუჩანდა. გვერდით გრიგოლი და კონსტანტინე ამოსდგომოდნენ. ცხედარი ეზოშივე დაასვენეს: სამთავროს დროშა ზედ ცხედარზე დახარეს. ზარი მოსთქვამდა, ამ დროს ეკატერინეს განწირულებით ამონაკვნესმა სიტყვებმა გაისმაურა: „შენ მიდიხარ, ბატონო, და შენ შვილებსა და მე ასე უპატრონოდ გვტოვებ. ვაი ჩვენსა თავსა და ჩვენს დღეს". ესღა აღმოხდა ეკატერინეს და შემდეგ დადუმდნენ ბაგენი მისნი და მარტვილამდის ხმა აღარ ამოუღია.

გორდის სასახლის აივნიდან დავით დადიანს სიტყვით მიმართა ზაქარია ჭყონდიდელმა. მოკლედ ილაპარაკა მის ღვაწლზე. მერე პროცესია დაიძრა, შავად მორთულ ფარდაგგადაფარებულ ბალდახინს თორმეტი ცხენი ება. ცხენებსაც ასევე შავი საშოსი ჰქონდათ გადაფარებული.

ცხედარი გორდიდან მარტვილში — დადიანების მთავართა საკრძალში წამოასვენეს. პროცესიას სახლთუხუცესი მოუძღოდა. მას უკან ასამდე რჩეული თავადი მოსდევდა. ცხედარს უკან მოჰყვებოდა ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელსაც ახლა მხარში ნინო და ეკა შესდგომოდნენ. შემდეგ სასახლის ახლობლები და ნათესავები მოდიოდნენ. პროცესია გორიდან მარტვილში გაემართა. იმავე დღეს ცხედარი მარტვილში მოასვენეს. აუარებელი ხალხი მოჰყვებოდა მიცვალებულს. ქუჩებსა და ორღობეებში ტევა არ იყო. პროცესიას თავი მარტვილში ჰქონდა და ბოლო ნოღალევთანაც არ უჩანდა. ხუთი დღე ესვენა დავით დადიანის ნეშთი მარტვილში.

დავით დადიანი დიდი ამბით დამარხეს, დიდი მწუხარებით დაიტირეს. ვინ არ იყო აქ ჩამოსული, რა სიტყვები არ უთხრეს.

გაზეთმა „კავკაზმა" ასეთი სამგლოვიარო განცხადება მოათავსა:

„თბილისი, 12 სექტემბერი. 30 აგვისტოს დღის 4 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გორდში, თავის საზაფხულო აგარაკზე, გარდაიცვალა მისი ბრწყინვალება სამეგრელოს მთავარი, გენერალ-მაიორი თავადი დავით დადიანი. გარდაცვლილი თავადის ნეშთი 4 სექტემბერს გადასვენებულ იქნა სა-

მეგრელოს მთავართა საკრძალში — მარტვილის მონასტერში, სადაც დასაფლავებულ იქნა 9 სექტემბერს.

9 ოქტომბერს ორმოცი გადახდილი იქნება იქვე".

მთელი საქართველოს წარჩინებულებს წერილები დაუგზავნეს, ამცნეს დავით დადიანის გარდაცვალება.

„...თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფეე... მწუხარე და მგლოვიარე მთავრინა მეგრელიისა და სახლი ესე სამთავრო გაცნობებთ.. სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი მოაკლდა ამას ცხოვრებასა თვესსა აგვისტოსა 30-სა"... ასეთი ბარათი გაეგზავნა გრიგოლ ორბელიანსაც. გრიგოლ ორბელიანი ვერ დაესწრო დავით დადიანის დასაფლავებას, სამაგიეროდ სასოებითა, ნუგეშითა და თანაგრძნობით აღსავსე ბარათი გამოუგზავნა ეკატერინეს:

„უმოწყალესო დაო, ჩემო ეკატერინავ!

— ღ—თი, ყოვლისა, შემძლებელი და მანუგეშებელი იყოს ნუგეშისმცემელ თქვენდა უბედურებასა შ—ა, რომელიცა ზეგარდმო მოგეევლინათ და თანაერთობ სამეგრელოსა მიცვალებითა უგანათლებულესის თქვენის მეუღლისა, მთავრის დავითისა. ყ—დ სახიერმან მოგცესთ სიმტკიცე სულისა, მოთმინება მწუხარებისა და განკურნება წყლულისა გულისა! — ვაი ჩემდა, ამის მომწერსა, რომელიცა ვიყავ მარადის ჩვეულ თქვენთანა მხოლოდ მხიარულებისა! ვაი ჩემდა, ცრემლის მფრქვეველისა, წარმოვიდგენ რა სახესა თქვენსა ასე უდროოდ შეწუხებულსა. თქვენს მხიარულსა, კეთილსა გულსა ასე ადრიან დაჩაგრულს ამა მუხთალის სოფლისა ბრუნვითა!—მაგრამ იყოს ნება დამბადებლისა! სარწმუნოებითა და სასოებით მიანდე თავი თქვენი ღ-სა და იგი განგარინებს თქვენ სასოწარკვეთილებისაგან! გახსოვდეთ, რომ თავი თქვენი, სიცოცხლე, თქვენი, არა მარტოდ თქვენ გეკუთვნისთ. თქვენი შვილები! თქვენი შვილები არიან მფლობელნი თქვენისა სიცოცხლისა. მათთვის უნდა იცოცხლოთ მათთვის უნდა მოითმინოთ ყოველი მწუხარება. ყოველი უბედურება და ტანჯვა, რომელნიცა აუცილებელ არიან ყოვლისა ამა სოფელსა შ—ა მცხოვრებისათვის. ესე არს საღმრთო ვალი თქვენი, რომლისა აღსრულებას უნდა შეუდგეთ ამავე ჟამით ყოვლისა სულისა სიმტკიციითა და სასოებითა ღ—თისადმი.

ახ! ნეტავ იცოდეთ, რა სიმწრითა, რა გულისტკივილითა, გწერთ ამასა, საყვარელო დაო! ნუ დამივიწყებთ ორის სტრიქონით გამაბედნიერეთ.—

17 სეკდემ. 1853 წელს, ზ ა ქ ა თ ა ლ ი თ".

დავითის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა დედოფალი, მძიმე საგონებელში ჩააგდო, ვერ გადაეწყვიტა რა გზას დასდგომოდა, ვინ გაეჩინა მრჩევლად და დამხმარედ, რა გზით მოევლო სამთავროსათვის. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ საფლავი მოუვლელი იყო. და აი პარიზს გაგზავნა კაცი ძეგლისათვის და გზად მიმავალს თან ბარათიც გაატანა თბილისში დავითის ვეგობართან — პლატონ იოსელიანთან:

ეკატერინე წერდა პლატონს:

„მოწყალეო ხელმწიფევ, პლატონ ეგნატეს ძევ, ჩემი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ასე დასნეულებული ვარ, ჩემი ხელით ვერ ვწერ... გთხოვ, ჩემო პლატონ, არ დაიზარო და საჩქაროდ დამიწერო ჩემის თვალების დამბნელებელის დადიანის ეპიტაფია რუსულად და ქართულად, ეგზარხოსსაც ჰკითხე რჩევა, ერთად არჩიეთ და ისე დაწერეთ და მალე მიბოძე, პლანი პამიატნიკისა კიდეც გავგზავნე ზაგრანიცაში, ზედ მისაწერიც დროით მიბოძე, დიდად დამავალებ, რადგანაც მსურს გულმოდგინეობით რომ წელიწადზე უწინ შევასრულო ეს ჩემი სამწუხარო მოვალეობა. ჩემი შვილები ღვთის წყალობით, კარგად მყვანან. გუვერნანტკა მოუვიდათ. ნიკო ძალიან კარგად სწავლობს. ჩემმა დამ ნინომ პატივისცემით მოგიკითხათ, აგრეთვე კნეინა მენიკმაც, რომელიც ამჟამად აქ არის და ყველა ერთად გთხოვთ ჩვენ მაგიერად მაღალ უ—დ სამღვდელოების ეგზარხოსის წმინდა მარჯვენის ამბორებას.

სხვებ დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი.

მთავრინა მეგრელიისა ეკატერინე.

ორივე ჩემი მაზლები საომრად არის წასული. მათი მიზეზით მოკითხვას არ ვწერ მათ მაგიერ.

23 ნოემბერს 1853 წ. ზუგდიდი".

დავით დადიანის წერილები

პლატონ იოსელიანმა ცრემლმორეულმა წაიკითხა ეკატერინეს ბარათი. მერე მის პირად არქივში შენახული დავით დადია-

ნის მიერ მის სახელზე გამოგზავნილი ბარათები მოძებნა, ერთ-ხელ კიდევ გადაიკითხა. შემდეგ ისინი თავის მიერ გამზადებულ ეპიტაფიასთან ერთად ეკატერინე ჭავჭავაძეს გაუგზავნა ზუგდიდს და თან სთხოვა, როცა გადაიკითხავ, შემდეგ უკანვე გამომიგზავნეო.

ეკატერინემ გადაფურცლა ბარათები და კითხვას შეუდგა: „გორდი, 1845 წელსა 1 აგვისტოს. საყვარელო პლატონ ეგნატიჩ! რატომ აღარ გვწერ წიგნსა, მოგვიძულე. ძლიერი სიცხეები იყო აქ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. მანდ კი ისმის, ვითომდა გრილოდეს. სხვებრ ღვთით მშვიდობით ვართ".

ეკატერინე შეჩერდა, თვალებზე ცრემლები მოადგა. ჭართლაცდა რა ბედნიერი დღეები იყო სადღაა ეხლა, ჩემო დავით. ეს მშვიდობა და ბედნიერება ჩვენი ოჯახისათვის, ვაი რომ მშვიდობა შენ თვითონ დაგვირღვიე! თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა და ისევ გააგრძელა ბარათის კითხვა. „ძლიერ საჭიროდ აღმოჩნდა მხითარ ყოვლად ბრძნის სევასტოსისა სომეხთა მოძღვრისა ღრამატიკის განჩხრეკა ქართულს ენაზედ, რომელიც გადმოთარგმნა კათოლიკოსმა ღვთივ კურთხეულმან, უწინარეს ვიდრე განკარგავდა თავის ღრამატიკას და ის ღრამატიკად ბავშვობაზედ, მახსოვს, მინახავს განსვენებულს ეგნატეს ახლად შეუკრავი, თვისის ხელით დაწერილი და გთხოვთ დიდად მათხოვოთ რამდენიმე კვირით. წარვიკითხავ, განვიხილავ, გულისხმას ვყოფ და მოგართმევთ დიდის მადლობით. ასე ჩემო პლატონ, უთუოდ მიშოვი. სხვებრ რუ დამივიწყებ შენი მეგობარი დავით დადიანი".

„ფლაბიანე არქიმანდრიტმა არ მნახა და საყვედური უთხარი. იოანე არქიმანდრიტი მომიკითხე. პროკურორს ჩემს მიერ პატივისცემა განუცხადე ფ—დი. ეკატერინემ მოგიკითხათ, ჩემი ლუკა ძლიერ ავად მყავდა, ეხლა უკეთ არის. ასე რომ ლეჩხუმს წამხედრდა". ეკატერინეს თვალთაგან კვლავ ცრემლები წამოსცვივდა. თვალწინ დაუდგა მწიგნობრის, ერთგული მეგობრისა და მზრუნველი ქმრის, შვილების მოსიყვარულე დავითის სახე. ახლა მეორე ბარათის კითხვას შეუდგა. იგი უფრო გვიან, 1850 წელს იყო დაწერილი. ისევ პლატონ იოსელიანს მიმართავდა დახმარებისათვის:... „მოახსენეთ ექზარხოსს უკეთუ მისაღებია და საპატიო თხოვნა ესე — სხუებ თუ ესე არ

იქნება, მოახსენეთ ექზარხოსს სხვა უჩიტელს რომ აგზავნიდეს, ქართულის მცოდნე გამოგზავნოს, რომ წიგნიცა და ენაც ქართული მარჯვედ იცოდეს, და მოკითხვაცა და მაღალი პატივისცემა მოახსენე“:

ეკატერინეს მოაგონდა: ეს ამბავი მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს შეეხებოდა... მთელი კვირა ღელავდა დავითი, ვიდრე შესაფერისი მასწავლებელი არ გამოძებნეს მარტვილისათვის.

ახლა უფრო გვიანდელი წერილი გადაფურცლა: „ზუგდიდი. 1851—ა. წ. 15 იანვარს. სასურველო პლატონ იოსელიანო. აჰა ესე რა მოგართმევ ორმოცდაათს მანეთს მიმოსვლელობისა იოანისასა წიგნთა ფასსა, — ვისურვებ კეთილსუფევით განვლასა შენსა ასპარეზსა ამის წელიწადისასა. გთხოვთ ტკბილად მოგვიხსენიებდეთ. თქვენი დავით დადიანი“. ამ წერილს თან მიწერილი ჰქონდა. „ოცი ეგზემპლარი ახალი გამოსული წირვის განმარტების წიგნი ქართულად გამომიგზავნეთ, ფასისა აღნიშვნით. ამა უფლისა მიღებისა უწყებასა ნუ უგულებელს მყოფ.

ეს წიგნი რომ დაიწერა შემდგომ თბილისით აბელას წიგნი მივიღე, მწერს ეგზარხი ავად არისო. ადრე უწყოდა უძლებლობა მისი, გთხოვთ მაუწყოთ ამბავი სიმართელისა მისისა — ვწერ ფ— დი...“

ამ ბარათის გადაკითხვისას მგლოვიარე ეკატერინეს გაეღიმა, მოაგონდა, თუ როგორ უწუნებდა დავითი თავის ძმას გრიგოლ დადიანს, კოლხიდელის ფსევდონომით ცნობილ პოეტს, მძიმე ენას. თურმე ასეთივე მძიმე ენით ხშირად თვითონ წერდა დავითი. მაგრამ დედოფალს აქვე მოაგონდა მისი ნათქვამი, როცა პლატონ იოსელიანს ვწერ, ფრიად ვშიშობ რამე არ შემეშალოს, პლატონი ძველი ქართულის მოყვარულია. მე მამამისისგან პლატონთან ერთად მისწავლია ეს მძიმე ენა და რაკი თვითონაც ირჩევს ბარათები ძველი ქართულით მომწეროს, მეც ასევე უნდა ვუპასუხოო.

ეკატერინემ ამოიოხრა და ისევ გააგრძელა წერილების კითხვა: ეს წერილი იმავე წელს 29 დეკემბერს იყო დაწერილი, დავითი კვლავ თხოვნით მიმართავდა თავის მეგობარს პლატონ იოსელიანს.

„წერილი თქვენი 15—ის ამათთვისა და წიგნიცა სლივიცკის შარდენი კმაყოფილებით ამოვიკითხე“.

ხოლო მეორე ბარათი ზუგდიდში ახალი ტაძრის აგებას შეეხებოდა. დადიანი სთხოვდა იოსელიანს:

„მიზეზი ესოდენ იცი დუმილის ჩემისა თქვენთან, იყოს მიმოსვლელობაი ჩემი სხვათა და სხვათა ალაგებთა. აწ მოქცეული სახლად თვისსა მრთლივ ვისწრაფვი მორთმევად ერგასისა დრაკინისა ფასად ერგასისა წიგნისა ტიმოთეს მიმოსვლელობისა, რაიცა შეეხება ტაძარს, რომელი აღგიგეს ადგილთა სოლოლაკისათა მორფიეოლის ტაძრისა, დიაკეთილ გინებებია მოსატევებლად ადგილობრივთა ცოდვათასა. გთხოვ ჩემო პლატონ, იშვრომოთ მოვლინებად ჩემდა პლანისა იმა ტაძრისა, რათა უკეთუ სათნო მეყოს აღვიგო მეცა, რომელსა დაშთების სახსოვრადაცა შენსა. გარნა აქას შ—ა არა მაქვ მე პლანი ისრეთი, რომელ სათნო მეყოფოდეს და ეგე დიდ ფრიად სახალისო მექნება. —ტალახს, წვიმას, სიცივეებს, მოჭარბებით ვუჩივი — მგონია თქვენც არა ხართ მშრალად — მიამბე წერილით, თუ რასა ბეჭდ რა რის დაბეჭდვას ჰლამი — უსტარი ესე ყოვლად სამღვდელო იოანეს მიეცით — ყოველთა ჩემიანთა მოგიკითხეს ამოდ“.

ახლა სხვა ბარათი გადაშალა. აქ უკვე დავითი პლატონს თვითონ სთავაზობდა დახმარებას:

.....თითქმის უმეტეს ორი კვირისა არის, ერგასი ეგზემპლარი მროველის მოარულობისა მივიღე იმ დროს, როცა მივდიოთ ზუგდიდითგან გორდს და ნაფასევისა მისისა წარმოვლინება შემიგვიანდა, რომელსაც თავის დროს მოგართმევთ (ამო ღა კარგი წიგნია.) ჯერეთ მხოლოდ ნაოთხალი აღებულ არს — წყობილსიტყვაობის დაბეჭდვინება დია კეთილ-იღვაწე უკლისად დაიბეჭდოს. მე მაქვს არჩილ (კურთხეულის) მეფის ბრძანებით, გაშაირებული საქართველოს ზნეობა. იქნებ შენც იცნობდე მაგ შაირებს. და თუ დაბეჭდვინებას იკისრებ და არ გაქვს, გაახლებ და იმასთან მამის შენის მიერ თარგმნილს „მშვიდთათვის საკვირველებათა“. მცირეა და უვიცთათვის უცხოთა ენათა, მარგებელი. აგრეთვე „ქექაოზ ხელმწიფისაგან შვილისა მისისა ამილნასარის დარიგება“... მდაბიო და უცხო-უცხო იგავებით შემკული — ეეეც ცოტაა. ასე რომ

სამივე ძლივსლა შეადგენს დიდმოურავიანის ოდნობასა... ამის პასუხი მაცნეთ“.

აქ ეკატერინე შეჩერდა, ფრიად ეამა, რომ დავით დადიანი ასე ზრუნავდა ძველი ხელნაწერების გამოცემაზე .ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, ქართულ ლექსებზე და ხელნაწერებზე აღზრდილ ქალს, ახლა თვითონ სურდა ქმრის მიერ გაკვალული ეს გზა განეგრძო, გაემდიდრებინა დავითისეული ხელნაწერების ფონდი და ბიბლიოთეკა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არაფერი დაეშურებინა, მისი შვილებისათვისაც ქართული ხელნაწერებისა და წიგნების სიყვარული ჩაენერგა. და აი მოაგონდა: გუშინ კონსტანტინემ ურჩია ბავშვებისათვის ქართული ენის მასწავლებლად მღვდელი ხოშტარია აეყვანა. აქებენ, ძლიერ აქებენ ხოშტარიას, როგორც ქართული მწერლობის მცოდნესა და წიგნის საქმეთა მოყვარულს, დავითმა მას არა ერთი და ორი წიგნი გადააწერინაო, უთხრა კონსტანტინემ და დედოფალმა მაშინვე მოიხმო სახლთუხუცესი და დაავალა: ხვალ, თორმეტი საათისათვის მღვდელი ხოშტარია მომიხმე, ამიერიდან ჩემი ბავშვების ქართულ ენაზე აღზრდა მას უნდა მივანდოო.

დედოფალი ადგა, გაიარ-გამოიარა და ისევ გააგრძელა ხელნაწერის ფურცვლა. წერილს 52 წლის 20 ოქტომბრის თარიღი ჰქონდა მიწერილი. დავითი სწერდა მეგობარს: „ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატიჩო. მიკვირს რად გამედიდურდი. აღარავის კადრულობ, რ—ლ წერილისაგან დაცხერ, მეგობართა შორის, ჩ—ნ მოველით დღით დღე სიხარულით კნიაზ და კნეინას ვარანცოვთან ღმერთისა იერის დაცვითა ვგიეთ მშვიდობით. ამასთანავე გიგზავნით ერთისა ვისმეს მიერსა წარმოდგენილსა ლექსს-მაირებსა. გთხოვთ მისცეთ მყისვე მიღებისთანავე რედაქციასა შ—ა „ცისკრისასა“ აღსაბეჭდველად უსათუოდ.

შენ რაღას ბეჭდავ, ან „ცისკარში“ რაღაებსაც გაუგებელს ამალთ ბეგსა ბეჭდავენ, რატომ აფუჭებენ ქაღალდს და დროსა კარგავენ? — განა ძველი ლექსები და უცხო-უცხო მაირები და უცხო-უცხო მოთხრობები არ იშოვება საქართველოშიდ?“

ახლა ეკატერინეს პლატონ იოსელიანისაგან მოწერილი მოაგონდა, გიორგი ერისთავი ვორონცოვის დახმარებით ჟურნალ „ცისკარს“ აარსებსო. ისიც მოაგონდა, დავითი როგორ შეეწია

ფულით ამ დიდ ეროვნულ ღონისძიებას და როგორ გაიხარა, როდესაც ამ ჟურნალის პირველი ნომრები მიიღეს ზუგდიდში.

სულ უკანასკნელი, ბოლოდროინდელი წერილიც წაიკითხა. 14 აპრილს, 1853 წელს, დავითი პლატონს სწერდა:

„ჩემთვის მარად სასიამოვნო შენი წიგნი მივიღე 14-ის მარტისა ლიტურგიის განმარტებებით რიცხვით 60. მიხარის კარგათა ხარ და ღვაწლნნი შენნი მახარებენ. — მოგილოცავ მომავალს ბრწყინვალე დღესასწაულს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომისასა. ღმერთმან ბევრს დაგასწროს.

ელისაბედის წიგნი მივიღე. მივეც — ეკატერინეს, რომელმაცა მოგიკითხა და გმადლა ხსოვნისათვის. არჩილიანი მალე გამომიგზავნე და ტრაგედიას თუ გამოიმეტებ (ოქროპირისას) კარგი იქნება. ჩემო პლატონ გამომიწერე იოვანე პეტრიწის ყოველსადღეო, იამბიკოებისაგან 13-სა და 14-ის სეკ. და მიახლებია. აქედგან ნახავ, რომე იოვანეს, შენს ფილოსოფოსს, მოუპარავს სამი ტაეპი და ორი თვისი შეუძენია. მაშ თვითონ შეუცთენიხარ და კარგია რომ არ დაბეჭდე, თორემ სხვათაც მოაცდუნებდი. მაშინვე შეატყობს კაცი იმ სამი ტაეპის ორი უკანასკნელი უკადრისია. შენი იოანე ვერ შეესწორება ჭიმჭიმელს იოანეს. „სხვა არს ეგე, სხვა არს იგი — სხვა მართალი სხვა არს ჭორი. ზღვა ცათაგან, ცაზღვათაგან კიდის-კიდე ყოფდა შორი“ — და სხვანი. მე მგონია გულდენშტენზედ უფრო კარგად კათალიკოსს ეცოდინებოდა თვისის დედის სახელი.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო პლატონ, საამო ნახვამდე. რომლის იმედეული ვშთოი იმედიანსა ოდენ მოლოდებასა — და გთხოვდეს მარად შენი დავით დადიანი“.

ამავე წერილს ცალკე ფურცლებზე დაწერილი ხსენებული იამბიკო ერთვოდა.

თაყვანისცემა უხრწნელისა ძელისა,
და მოწამეთა ღვაწლი მაკროვიეთი,
რომელთაგანნი ზოგნი მახვილსა ხოლო,
ზოგნი ცეცხლისა, ემძლევნეს ქადებასა.
და ღირსი პეტრე ერტეველთა დიდება.
დაწვების ძილად, მასვე ჟამსა მშვიდობით
ენკენიათა თანა აღდგომისათა,
კორნიდილიონ სხიეთ მართალით დასებითურთ
ნეტარებისა ღირსად იხსენებიან.

მ-ელი სიმაღლედ, სიღრმე-სიერცედ და სიგრძედ
მპყრობელი ღვთისა, სამ ნაწილედი ნიში.
ამაღლებული, მრგვლივ წმინდა ჰყოფს ეთერსა.
ხოლო ამპყრობად, აქვს დღეს გახსნილი ღვდელი.
ოქრო სახელი ქერუბინებრი პირი,
ამაზედ დღესა მოწამე პაპა მათვე,
გვემათა შინა ღმერთსა შევედრებს სულსა.
და პალაკილთაცა დედოფალი ნეტარი.
თანამეცხედრე დიდის თეოდოსისი...
და სხვანი და სხვანი და სხვანი და სხვანი.

კიდევ გადაფურცლა ხელნაწერები და უფრო მოგვიანებით დაწერილ უკანასკნელ ბარათებს წააწყდა. ერთ ბარათს თარიღად მიწერილი ჰქონდა — 1853 წელი, 14 მაისი, ზუგდიდი" და მეორ ბარათს — „9 ივლისი". ეკატერინე ჭავჭავაძემ მადლობა მოგიძღვნათ მოკითხვისათვის და პატივისცემა განგიცხადა".

„არა, ვიცოდი, — ოხვრით წარმოსთქვა ეკატერინემ, — რომ დავითი და პლატონი განუყელი მეგობრები იყვნენ, ერთ დიდ საქმეს ერთად ემსახურებოდნენ, მაგრამ ჩემი დავითი თურმე კიდევ არ მცნობია, ამიტომ თუ გამომიგზავნა იოსელიანმა ეს მისი პირადი ბარათები".

ეკატერინე გაბრუებული იყო. ახლა მას თავის ბავშვობის დღეები მოაგონდა, მამამისის სახლში სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ეგნატე იოსელიანი, პლატონ იოსელიანი და სხვა ქართველი თავკაცები რომ იყრიდნენ თავს და მწერლობაზე გამუდმებული სჯა-ბაასი ჰქონდათ. მაშინ, უდარდელი გოგონა ეკატერინე, ხარბად უგდებდა ყურს ამ სჯა-ბაასს, მაგრამ მისი გონება მაინც სხვაგან დაფრინავდა: მას იმქამად, ვითარცა სანთელს პეპლები, ისე ეხვეოდნენ ახალგაზრდა, რჩეული ჭაბუკები და მათგან განებივრებულს ცხოვრება ერთ გაბმულ ლხენად წარმოედგინა. ახლა კი ყოველივე ეს შორს დარჩა და ძაძებმოსილ ქვრივ დედაკაცს თვალწინ კვლავ თავისი დღევანდელი დღე წარმოუდგა. ამ ბარათებმა მარტო დარჩენილ ქალს თითქოს სულის სიმხნევე შეჰმატა.

რამდენიმე დღის შემდეგ დედოფალი მარტვილის მონასტერში სამთავროს თავადაზნაურობას უნდა შეხვედროდა, რომ მათთვის ერთგულების ფიცი დაედებინებინა. ამ ბარათების წა-

კითხვის შემდეგ უფრო თვალნათლივ წარმოიდგინა თავისი მოვალეობა და სამთავროს თავადაზნაურობის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვის მომზადებას შეუდგა.

მართალაც, ერთი კვირის შემდეგ მარტვილის მონასტერში მთელი სამეგრელოს თავადაზნაურობა შეიკრიბა, ფიცი ცერემონიალს საგანგებოდ დაესწრო ვასილ ბებუთოვი, მეფის ნაცვლისაგან გამოგზავნილი კაცი, დადიანების ოჯახის მეგობარი. მარტვილის მონასტრის ეზო სავსე იყო. ვის არ ნახავდით აქ, მოხუცს თუ ახალგაზრდას, ჭაღარაშერეულ თუ თმაგრუზა ჭაბუკებს, რომლებიც მზად იყვნენ ერთ დაძახებაზე საჯაროდ ესახელებინათ დედოფალიცა და თავისი ქვეყანაც. როდესაც ფიცის ცერემონიალი დაიწყო, ჭყონდიდელმა სიტყვა წარმოთქვა და ხალხი გაჩუმდა, — დედოფალიც დამშვიდდა და უფრო გაბედულად დაიწყო თავისი პირველი საჯარო სიტყვა. ხალხისადმი მიმართული ეს ვრცელი სიტყვა ცრემლმორეულმა თხოვნითა და მუდარით დაამთავრა.

ცისფერთვალებიანი და წაბლისფერთმიანი ეს ტანადი ქალი, შავი აბრეშუმწამოსასხამით რომ იფარავდა მთელ სხეულს, ქანდაკებასავით იდგა და როცა ხმა ამოიღო, მთელმა დარბაზმა თავი დახარა, ქედი მოიხარა და პატივისცემა დაუდასტურა.

ცერემონიალი დამთავრდა. ეკატერინე ახლა მარტო იმას წუხდა, რომ ნინო არ დაესწრო ფიცის მიღებას, თუმცა წასვლისას შეჰპირდა ერთ კვირაში ისევ ზუგდიდს დაებრუნდებიო. აი უკვე ერთი თვეც გავიდა და ნინო კი არსად ჩანდა. დედოფალმა იმავე საღამოს მისწერა წერილი საყვარელ დას. ეკატერინე სწერდა:

„რაც შენ წახვედი, მას შემდეგ სულ გადაუღებლივ წვიმს. წვიმს გარეთ და ჩემს გულშიაც წვიმს. გარეთ ჩემს მაგნოლიის ხეს ეცემა წვიმის წვეთები და ეს წვეთები თითქოს ჩემს გულსაც ხვდება. ჩემს წუხილსა და ვაებას ალბათ ბუნებაც თანაუგრძნობს.

დავითის სიკვდილის შემდეგ არ გადაუღია წვიმას სამეგრელოში და წვიმს ჩემს გულშიაც. გასაოცარია: უკვე თითქმის თვეა, რაც გადაუღებლივ წვიმს და მაინც თბილა. თბილა გარეთ, თბილა ყველგან და მე მაინც მაციებს და ტანში მაკრეჭო-

ლებს. რაც შენ წახვედი, სულ თავი მტკივა და გული მიწუხს, თითქოს ამ ვრცელ ქვეყანაზე არავინ არის, რომ ხმა გავცე, წუხილი ჩემი გავანდო. შენ მეუბნებოდი ჩემზე უფრო ბედნიერი ვითა ხარ, რომ შვილები მაინც გყავს და მათ ზრუნვასა და მოვლაში დარდს ადვილად გადაიტანო. მგონი ასე უნდა იყოს. ამ უბედურების ჟამს ჩემი შვილები მიადვილებენ სიცოცხლეს. მათლა შევყურებ იმედის თვალით. ეხლა ჩემს შვილებს სძინავთ და მე მარტო ვზივარ ჩემს ოთახში. როცა ამ წერილს ვწერ, უკვე შუალამეა. სასახლეში ყველას სძინავს. მარტო მე არ მძინავს, მე უბედურს. მინდა ამ სტრიქონებს გავატანო წუხილი ჩემი გულისა, ჩემი გამოუთქმელი სადარდებელიც და განუქარვებელი სევდაც. ვზივარ, ვწერ ამ ბარათს და, ასე მგონია, შენ გეჩურჩულები, შენ გებაასები. შენ კი სდუმხარ, ვაი რა ძნელი ყოფილა ამ ვრცელსა და დიდ ქვეყანაზე მარტო ყოფნა.

ასე მგონია, რომ სულ მარტო ვარ, თუმცა ჩემდა ნუგეშად შვილებიცა მყავს, შენცა მყევხარ და კიდევ სხვებიც, მაინც მგონია, რომ მარტო ვარ, ყველასაგან მიტოვებული. ამ შუალამისას უფრო გაძლიერდა სევდა და წუხილი ჩემი სულისა. მაგრამ აი გამოვალე ფანჯარა, ბაღში გავიხედე, წვიმის შხეფებსა და რაკუნში მესმის ნაღვლიანი ხმა ჩემი ყვავილებისა. ჩემი ბაღიც ჩემსავით წუხს და დაღონებულია. მე ამ სიბნელეში ახლა ცას შევყურებ არაფერს ვხედავ და უკუნეთი უფრო მაშინებს. საწერ მაგიდას ვუბრუნდები და ისევ სევდა მიპყრობს, დაო ჩემო, გევედრები, ჩამოდი, მნახე, ნუ მიმატოვებ მარტო მე უბედურს".

იჯდა ამ შუალამისას გულდამწვარი ეკატერინე და ფიქრობდა. რატომღაც ქორწილის დღე მოაგონდა.

მაშინ განსაკუთრებით მოეწონა მეჩონგური ქალთა სევდიანი მელოდიები. ქალები ჩინებულად მღეროდნენ. დიდხანს, დიდხანს ტკბებოდა ამ სევდიანი სიმღერებით, როცა „სისატურა" იმღერეს, ტანში ერთბაშად შეაჟრჟოლა. ამ ჰანგში რაღაც ახლობელი იგრძნო. ყველაფერი ეს ჩინებული იყო. თვითონაც ჩინებულად მღეროდა და მოუნდა თავისი ხმაც აეყოლებინა ამ სიმღერებისათვის. მელოდია უკვე შეეთვისებინა მის მახვილ სმენას, მაგრამ სიტყვები ვერ წარმოეთქვა. უნდოდა მეჩონგუ-

რე ქალი მოეხმო და სიტყვების დაწერა ეთხოვა, მაგრამ გადაიფიქრა.

მამამისის ლექსები ბევრჯერ დაუმღერებია. მამა ჩონგურს უკრავდა, ეკატერინე თავის დედასთან სალომესთან ერთად ხმას ააყოლებდა ჩონგურს, მათი სიმღერა მთელ უბანში განთქმული იყო. მაშინაც მოუნდა ასევე აეყოლებინა ხმა ამ სევდიანი სიმღერისათვის, მაგრამ...სიტყვები, სიტყვები არ იცოდა.

ამის შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა. ახლა იჯდა სახლში ქვრივი ეკატერინე და პირველი სიყვარულის, პირველი ბედნიერების პირველი სიმღერის დღეებს იგონებდა.

რა მალე გავიდა ეს დღეები, რა საოცრად შეიცვალა ყველაფერი ამ ქვეყანაზე!. ქვრივსა და ოხერს ახლა არც სიმღერა ართობს და არც მოგონება უქარვებს სევდას. წუხდა, დარდობდა სიცოცხლით სავსე ასე ნაადრევად დაქვრივებული ქალი და ფიქრებისათვის თავი ვერ გაერთმია, სევდა , გულის დამაღონებელი, ძვალსა და რბილში ასე გამჯდარი სევდა დაუფლებოდა მის სულსა და გულს. ერთი მძიმედ ამოიოხრა, ზე აღმართა ხელები, თითქოს უნდოდა ხელის აქნევით გაეფანტა გარშემოჭრილი სევდათა ჯარი, მერე ისე გონს მოეგო და ასე იფიქრა: „მარტო მე ხომ არა ვარ ამ დღეში, ჩემი და ნინო ჩემზე უბედური აღმოჩნდა. მან სულ ერთ წელსაც ვერ ინებივრა და ვერ ინეტარა. არც ელენე ორბელიანი ყოფილა გახარებული, მართალია, ზაქარიამ მოსტაცა იგი დავით დადიანს, მაგრამ სად დადიანი და სად ზაქარია. მერე ბელაქანში მაზრის უფროსად დანიშნულმა ზაქარიამ თან წაიყვანა თავისი სატრფო და იქ, მიყრუებულ პროვინციაში, აბა, როგორ გაახარებდა ელენე თავის ახალგაზრდულ, სიცოცხლით სავსე გულსა და სულს, მაგრამ ამას კიდევ აიტანდა ის ახალი უბედურება რომ არ დასტეხოდა, 1850 წელს თბილისისაკენ მიმავალ ზაქარიას ყაჩაღები რომ არ დახვედროდნენ და წამებით სული არ ამოეხადნათ. და აი ელენეც დაქვრივდა.

ახლა ნინოს ნათქვამი მოაგონდა. მართალია, შავებს არ იცილებს, მაგრამ ელენეს კვლავ პატივისმცემლებისა და ხელის მთხოვნელების გუნდი ახვევია. ისე გალამაზდა, რომ ერთ დღეს ვორონცოვი ხლებია სახლში, დიდხანს უსაუბრია, სილამაზით

ჰისი გონება ისე დაუპყრია, მეფის ნაცვალი ფეხქვეშ გაგებია და დაჩოქილს თანაგრძნობა უთხოვია.

ამ მოგონებებით ეკატერინეს სურდა შვება მიეცა ფიქრისათვის...

მას ახლა სადღაც, გულის სიღრმეში, ქვრივი ელენეს ბედიც შეშურდა. ისევ მოუნდა გასჯიბრებოდა თავის მეტოქეს. მაინც რა უცნაურად აედევნა ეს ქალი ეკატერინეს! ჯერ იყო და, პანსიონში ეჯიბრებოდა, მერე დავითის თავს ეცილებოდა. მისი შურით უფრო გადაწყვიტა დასთანხმებოდა დავით დადიანს. დავითს თავდავიწყებით უყვარდა ელენე, მაგრამ შინაურებმა არ გაატანეს და ამაყ ეკატერინეს ახლა სადღაც, გულის სიღრმეში, სიამეს ჰგვრიდა, რომ დავით დადიანი მას დარჩა. თუმც ეკატერინეს გულს ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო იზიდავდა, ვიდრე დავით დადიანი, მერე ერთბაშად დავით დადიანს მიემხრო მისი გული და დღემდე ვერ აეხსნა, რის გამო ჩაიდინა ეს, შურისა, სიხარბისა, თუ სხვა რამის გამო... ქვრივ ქალს ისევ შურმა გაჰკრა სადღაც ბრჭყალები. ელენე ისევ ყურადღების ცენტრში დამდგარა! ეკატერინეს საოცრად მოუნდა ქვრივის ძაღები გაეხადა და კვლავ გასჯიბრებოდა თავის მეტოქეს. ეს ქვრივი ქალი ამ სურვილმა ისე გაიტაცა და გახელებამდე მიიყვანა, რომ მზად იყო ახლავე გადაედგა ეს ნაბიჯი.

მერე ის იყო ნინოც ეწვია ზუგდიდში დედოფალს.

ეკატერინე ცუდ გუნებაზე დახვდა დას, როცა ნინო მოესვია თავის დას და მიუალერსა. გაოცდა; ეკატერინე კანკალს აეტანა. რა მოგივიდაო, მუდარით მიმართა ნინომ.

— უბედური ვარ, უბედური. არავინ არ მწყალობს, თვით ჩემი ახლობლებიც და შინაურებიც მღალატობენ. — თქვა ეკატერინემ და თავისი მაზლის გრიგოლ დადიანის ამბავი მოუთხრო! გრიგოლი ორგულობას იჩენსო, ამ მხარის მთელი სამხედრო უფლება ხელთ იგდო და საქმეს ისე ატრიალებს, როგორც თვითონ მოესურვებაო. ეს რომ თქვა ეკატერინემ ის წერილი წააკითხა ნინოს, რომელიც ქუთაისის გუბერნატორისათვის უნდა გაეგზავნა. „ჩემი საწადელი ეს არის, ვინც უნდა იყოს რუსი ვინმე, მას ჩააბარე ეხლავე სამხედრო ადგილი, რომელიც გრიგოლს აბარია სამეგრელომდე. რაც უნდა სამხედრო

უფლება მისცენ, რუსი ჩემს უფლებას ვერ შეეხება და არც საზოგადოებრივ აღრევას იფიქრებს“.

ნინო შეჩერდა, დას თვალებში ჩააჩერდა. „რატომ გგონია, ჩემო ეკატერინე, რომ რუსები უფრო შენს მხარეს დაიჭერენ, ვიდრე შენი მაზლი, შენი ღვიძლი და ახლობელი, არა, ეკატერინე გირჩევ დაუფიქრდე ამ საქმეს. მე მზადა ვარ შენთან ერთად მოველაპარაკო გრიგოლს. არა მგონია მართალი იყოს, რასაც გულის მოსაგებად ბრიყვი მსტოვრები გეუბნებიან. არა, არ დაიჯერო ეკატერინე“.

ახლა ის ადგილები წაიკითხა, სადაც ეწერა „მე მხოლოდ უბედურებისათვის დავბადებულვარ და არც დაცხრება ეს წყეული სოფელი ჩემი ახალი უბედურების შემთხვევით“. ისევ შეჩერდა, ახლა კი შეეგბრალა, ნამდვილად შეეგბრალა თავისი საყვარელი და. არ იცოდა, რით ენუგეშებინა, რითი დახმარებოდა ამ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილს.

ეკატერინეს თავიდან არ სცილდებოდა ნინოზე ფიქრი. ის მისი დამრიგებელი იყო, მეგობარიც და შვილების აღმზრდელიც. ამას გარდა. 1854 წელს ეკატერინეს შვილების აღსაზრდელად თბილისიდან მეფის ნაცვალმა სპეციალურად გამოუგზავნა განათლებული კაცი ბოროზდინი. დავითის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ ბოროზდინი ზუგდიდს ჩავიდა.

როცა ბოროზდინი სასახლეში შევიდა, იქ ორი ქალი დახვდა — ეკატერინე და ნინო, ბოროზდინი დაიბნა. ჭავჭავაძის ქალებს პირველად ხვდებოდა, ამიტომ ვერ მიმხვდარიყო რომელი იყო დედოფალი. ორივე შავად ჩაცმული, ორივე განსაცვიფრებლად ლამაზი და მომხიბვლელი იყო. ბოროზდინი დიდხანს დაბნეული და გაოგნებული იდგა დარბაზში. ნინომ უხერხულობა შენიშნა და თითონ ანიშნა დედოფალი ბოროზდინს.

ბოროზდინი წელში მოიხარა, ორად მოიკეცა; ხელზე ეამბორა დედოფალს, ქუდმოხდილი მის გვერდით გაჩერდა. ეკატერინემ შეხედა ბოროზდინს, მოეწონა ეს ზრდილი კაცი, მათი საუბარი დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ ეკატერინემ თავისი შვილები გააცნო.

ბოროზდინი ასწავლიდა დადიანის ბავშვებს და თვითონაც სწავლობდა საქართველოს ამ მხარეს.

ბოროზდინმა სამეგრელოში ცამეტი წელი დაპყო. ჯერ დადიანის კარზე იმყოფებოდა, შემდეგ კი სენაკის ოლქის უფროსად გაამწესეს. იგი პირველი დღიდანვე მოიხიბლა სამეგრელოს ბუნებითა და ადამიანებით და მაშინვე შეუდგა მასალების შეგროვებას მომავალი წიგნისათვის. განათლებული მოხელე საკუთარ უბის წიგნაკში ყოველდღე იწერდა და ინიშნავდა საინტერესო ფაქტებს, მოვლენებს, სწავლობდა ამ კუთხის ისტორიულ წარსულს, აკვირდებოდა მის მღელვარე აწყმოსა და მეფის რუსეთის ერთგული მოხელის თვალსაზრისით აშუქებდა ყოველივე ნახულსა და გაგონილს. ეს ტენდენცია ყველგან იჩენდა თავს, ბატონყმობას შეეხებოდა, თურქებთან ომს, გლეხთა მდგომარეობას და აჯანყებას თუ ეთნოგრაფიულ ყოფასა და ტრადიციას.

დედოფალიც კმაყოფილი იყო ბავშვების ახალი აღმზრდელისა და მრჩეველისა, მაგრამ ეს კმაყოფილება დიდხანს არ გაგრძელებულა. ეკატერინე მალე მიხვდა, რომ ბოროზდინი მარტო კარგი აღმზრდელი კი არა, მეფის რუსეთის ერთგული, გამოცდილი და ეშმაკი მოხელეც იყო, მათ შორის თანდათანობით გაჩნდა ბზარი. მაგრამ ეკატერინე ბოროზდინს მაინც არ იცილებდა თავიდან, სხვა უკეთესი აღმზრდელიც არ ეგულებოდა.

* * *

დიდებული ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მთვარე ლაპლაპებდა და ისე ანათებდა იქაურობას, რომ კაცი მიწაზე დაგდებულ ნემსსაც გაარჩევდა.

სწორედ იმ ღამეს ეზმანა ეკატერინეს დავით დადიანი, მუნდირში გამოწყობილი და ორდენებით მკერდდამშვენებული, იარაღასხმული გამოეცხადა. მიუალერსა, მოეფერა ცოლს: რათა ხარ ასე ფერმკრთალი და მოწყენილიო. შემდეგ ხელით შეეხო, გარეთ გაიყვანა და სწორედ იმ დიდი მუხის ძირას დასხდნენ, სადაც მრავალჯერ მსხდარან.

ქმარი ადგა, თვალებში ჩახედა დედოფალს და მღელვარებით უთხრა: ეს რა გული გაგტეხია, ჩემო დედოფალო, ეს რა სამდურავი მესმის შენგან, ნუთუ ასე შეგაშინა წინააღმდეგობამ. იცოდე, მე შენთვის ყველაფერი გავაკეთე. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი უკეთესი ბედი, შენ და ჩვენი შვილები

ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებით. მტრებს შეუძლიათ წაგართვან ტახტი, მაგრამ სიმდიდრესთან და მამულთან ერთ მათ რა ხელი აქვთ. ღმერთმაც იცის და შენც იცი, რომ ყველაფერი ეს შენთვის და შენი შვილებისთვის მომიპოვებია. შენთვის არაფერი დამიკლია. არც ბედნიერება, არც სიმდიდრე და არც ტახტი. ისე გექცეოდი, როგორც ეს გარსევან ჭავჭავაძის შვილიშვილს ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს შეეფერებოდა. შენთვის და ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის ვიღწვოდი, ისე მეგონა, რომ შენ კმაყოფილი და ბედნიერი იყავი და რად მესმის ახლა ეს შენი სამდურავი.

ეკატერინეს ცრემლები მოერია და მწარედ შესჩივლა: რად დამტოვე ასე მარტო, რად მიმატოვე უმწეო და უბედური ქალი, ასე ადრე რად აიღე ჩემზე ხელი, ახლა ვინ უნდა იხსნას შენი დედოფალი, შენი ოჯახი.

დავითი აღგზნებით შესცქეროდა დედოფალს, თვალი თვალში გაუყარა და ისე მიმართა ჩურჩულით: „არა, შენ არც ჩემი უმადური უნდა იყო და არც შენი ბედისა, მე სულ იმას მეუბნებოდნენ, ეკატერინე შენი ორგულიაო და მე ვირწმუნე, რომ ეს ცილისწამება იყო. არც ეხლა მჯერა, შენი ორგულობა. შენც იცი და ღმერთმაც იცის, ძალით არ მომიტაცნიხარ, არც რამ თილისმა მიხმარია შენს მოსატყუებლად. შენ შენი ნებით გამომყევი. შენც გახსოვს, რარიგ კმაყოფილი იყავი, როცა ზუგდიდში პატივით და დიდებით მიგიღო ჩემმა სამთავრომ. უკმაყოფილება და სევდა შენს თვალში არასოდეს არ ამომიკითხავს, ამიტომ არ მჯეროდა შენი ორგულობა. ახლაცა მწამს, რომ შენ ერთგული ხარ ჩემი და ჩვენი შვილებისა. მთელი სამთავრო შენ ჩაგაბარე, მე ვიცოდი, რომ დღეს თუ ხვალ, ამ დიდებულ ტახტს შეგეცილებოდნენ. შენც კარგად გახსოვს, ჯერ ჩემს სიცოცხლეშიაც როგორ მებრძოდნენ, როგორ ებრძოდნენ ჩვენს ტახტს, მაგრამ შენ ისიც იცი, მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ, თუნდაც დედოფლობის ტახტი წაგართვან, დიდებას, პატივსა და უფლებას ვერავინ წაგართმევს. შენ ყველა დედათა შორის უბედნიერესი დედა ხარ და არა გაქვს უფლება, ან ბედის უმადური იყო, ან ჩემი. მახსოვს. რა დიდებული, რა ამაყი, რა კმაყოფილი იყავი, როცა დიდებას, დედოფლობას გილოცავდნენ. ახლა რა მოხდა, რამ შეგაშინა,

ჩემო დიდებულო დედოფალო, მე ისიც ვიცი, რომ ბოლო დროს, ჩემი სიკვდილის წინა დღეებში შენ რაღაც ჩუმი და გამოუცნობი სევდა შეგეპარა. ვიცი, შენ გრძნობდი, გრძნობდი როგორც ცოლი და მეგობარი, რომ ჩემი დღეები დათვლილი იყო. შენს სევდიან თვალებში ჩემი განწირული ბედის წუხილს ვხედავდი, ჩემო სალოცავო და ერთგულო მეგობარო. იქნებ უდროოდ გამოგეცალე. მაგრამ სული ჩემი შენთან არის მარად! არაფრისა არ შეგეშინდეს ამ ქვეყანაზე, გფარავდნენ ჩემი და შენი წინაპრები, არ გამაგონო უმადურობა, ღმერთმა გაშოროს აწ და მარადის რამე ისეთი უბედურება, რომელიც დაგავიწყებს ჩემს სახელს, ჩემს სიყვარულს, ჩემს ერთგულებას...

თრთოლვით და ჭმუნვით შეპყრობილი ეკატერინე ისმენდა ამ სიტყვებს და ხმას ვერ იღებდა. ბოლოს გადაწყვიტა, ეთქვა თავისი სულის მწარე აღსარება, ისიც ეთქვა, რომ ახლა მასზე უბედური არავინ არის, მარტოდმარტოა, სულით მიუსაფარი. ყველასაგან მიტოვებული, ბედისაგან და კაცისაგან განწირული. და აი, აღაპყრო თვალები. შეხედა თავის ახოვან ქმარს, თვალი თვალში გაუყარა. მაგრამ სიტყვა რა არის, სიტყვა ვერ თქვა, ყელში გაეჩხირა, ენა ვერ დაიმორჩილა. მხოლოდ რაღაც ხროტინის მსგავსი აღმოხდა. შეწუხდა დედოფალი, ახლა ხელით წაეპოტინა აჩრდილს, მაგრამ გაუსხლტა, განზე დადგა. კვლავ მიეახლა დედოფალი, უნდოდა ხმამაღლა ეთქვა ყველაფერი. ეპატიებინა სინანულიც, დანაშაულიც და შეცოდებაც, თუ კი რამ ჰქონდა ამქვეყნად ჩადენილი ქვეყნისა და ღვთის მიმართ. აღაპყრო ხელი, ვითაცრა მლოცველმა, მაგრამ ვერც ახლა მოახერხა სიტყვის დაძვრა, ისევ საშინელი ხროტინი აღმოხდა. შეწუხდა დედოფალი, ეს რა მომდისო, ერთი გაიბრძოლა და სწორედ ამ დროს გამოეღვიძა.

უკვე გათენებულიყო. თავი სტკიოდა. გონს მოეგო, მაგრამ ვერაფრით ვერ აღადგინა ის სურათი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თვალწინ ედგა. უფრო შეწუხდა დედოფალი. ბოლოს, როგორც იქნა, მოიგონა სიზმარი, ახლა კი შეეშინდა. ცუდად ეჩვენა სიზმარში ნახული, ყველაფერი წაგებულად ჩათვალა. ახლა იმდენად იმედს საკუთარ თავზე არ ამყარებდა, რამდენადაც მის ერთგულ კარისკაცებზე — ჩიქოვანებზე.

ასე ეგონა, მათ იმდენი ძალა და ღონე ჰქონდათ, რომ არავის მისცემდნენ დედოფლის დაჩაგვრის ნებას, ეკატერინე მაინც წარსულით ზომავდა და ხედავდა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. ფანტაზიის ძაფებს ქსოვდა, ოცნებით აღადგენდა ხვალინდელ დღესაც და ამ იმედით ცოცხლობდა. ძალა და ღონება არ ჰყოფნიდა, რომ უფრო ნათლად განესაჯა მდგომარეობა და თავისდაუნებურად მიჰყვებოდა ცხოვრების ტალღას. მთელი დღე შეწუხებული იყო დედოფალი, ფიქრითა და დარდით დაიღალა და გადაწყვიტა ადრე დავიძინებო, მაგრამ ძილი არ მიეკარა თვალებს.

დედოფალი ადგა, ფანჯარა ფართოდ გააღო. ოთახში ბალახისა და სიმინდის ფუჩეჩის სურნელი დადგა. მისგან გაბრუებული და გარინდებული ეკატერინე დიდხანს იდგა ფანჯარასთან. სწორედ ამ დროს, თითქოს გაუვალი სიბნელე გამოარღვიაო, ისე მოვარდა მაყრული კუჩხაბედნიერის ხმა. ვიღაცამ გაბმულად და ომახიანად შეუკიდა, შემდეგ მეორე ხმები მოჰყვა, ბანებმაც არ დააყოვნეს და მაყრულის გუგუნი ველებსა და მთებს მოედო. მრავალხმიანი ხალხური მელოდიების ხმები მარტვილის ეკლესიის ზარების ხმაზე უფრო შორს ისმოდა.

ხეციას ქალს ათხოვებდნენ ვიღაც აფხაზ თავადზე. ხეცია დადიანების თავადი იყო და, დავით დადიანის სიკვდილის გამო, ერთი წლით გადასწია ქორწილი. ახლა შუაღამე გადასულიყო და მაყრიონს მიჰყავდა ხეციას ქალი აფხაზეთში.

კუჩხაბედნიერი! — ეს ეკატერინესათვის ნაცნობი სიმღერა იყო. სწორედ კუჩხაბედნიერის სიმღერით შეხვდა სამთავროს გუნდი პატარძალს — ეკატერინე დედოფალს სასახლის წინ. მაშინ აუხსნეს ეკატერინეს ამ სიმღერის შინაარსი: კუჩხაბედნიერი — ფეხბედნიერი. ბედნიერი იყოს ამ ოჯახში ფეხი შენი — გუგუნებდა გუნდი. ეს სიმღერა დიდად მოეწონა მაშინ ეკატერინეს და თანაც იწამა, რომ ბედნიერი იქნებოდა მისი ფეხი დადიანების ოჯახში. ახლა კი რა გამოვიდა: ინგრევა დავით დადიანის ოჯახი. „აბა, ჩემი ფეხი სწორედ რომ არ ყოფილა ბედნიერი ამ ოჯახში“, — მწარედ აღმოხდა კვნესა ქალს.

„მაინც რა იყო, რა უცნაურად დატრიალდა ჩემი ბედის ჩარხი. ჯერ იყო და სამი შვილი ზედიზედ დამეხოცა, მერე ის იყო ვძლიეთ ბოროტსა და ოთხი შვილი გვაჩუქა უფალმა, მაგრამ ამას ის მოჰყვა, რომ ჩემს შვილებს მამა მოუკვდათ და დედის ანაბარა დარჩნენ. ბედმა ესეც არ გვაკმარა, ახლა ტახტს მართმევენ, მე და ჩემს შვილებს არსებობას გვისპობენ. მაგრამ, არა, ეკატერინე ასე ადვილად არ დამორჩილდება ბედს! არა, ჩემს მტრებსაც უნდა ვძლიო, ტახტის წართმევა რომ განუზრახავთ.

ესა თქვა და მხნეობა მიეცა სულს, ღონე და ჯანი ჩაუდგა მის სხეულს.

• • •

ნინო თითქმის მთელი წელი არ ყოფილა ეკატერინესთან. მისი ასე დაგვიანების მიზეზი წინანდლის უბედურება იყო.

დიდი ხნის უნახავ დებს მჭმუნვარე სახე უმტკიცებდათ, რომ მძიმე საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. დები ვერ უმკლავდებოდნენ საწყენს. ნინოს ცრემლნარევი ხმა გაბზარული ზარივით აეღარუნდა. თავის დას წუხილითა და ტირილით უამბობდა თავიანთი ძმის დავითის მძიმე დღეების ამბავს.

ყოველივე ამის მსმენელს ეკატერინეს გული უტირიოდა. და როცა გული ცრემლითა და ოხვრით მოიოხეს. მაინც ვერ დამშვიდდნენ, მათ თვალებში ჭმუნვა და სევდა გამოკრთოდა. მათ სახეზე სიხარულის სხივი ჩამქრალიყო. ეკატერინე სიცილსა და კისკისს დიდი ხანია ისედაც გადაჩვეული იყო. ახლა კი უბრალო ღიმილსაც ვერ შენიშნავდი მის სახეზე. უთქმელი სევდა გულზე ლოდივით აწვა.

— მაინც რა საშინელი წელი გაგვითენდა. — ამოოხვრით თქვა ნინომ. — უბედურად წარიმართა საწყალი ჩემი ძმის საქმე. დავითი კახეთის მისადგომებთან შამილს ებრძოდა, მისი სამხედრო ნაწილი წინანდალთან ახლო იდგა და ხშირად აგებინებდა ოჯახს თავის ამბავს. იმ დღეს ლეკები შემოესივნენ სოფელს. სოფლიდან ბავშვები, ქალები და მოხუცები გაიხიზნენ. ჩვენი რძლისათვის მოურავს უთქვამს, სოფლიდან ყველა გაიხიზნა, ჩვენც თავს ვუშველოთო. ანას დაუჩემებია, საშიში არაფერია, ლეკები აქ მოსვლას ვერ გაბედავენ, საშიში რამე რომ ყოფილიყო, დავითი შემატყობინებდაო. მაგრამ ივან

არ იცოდა, რომ იმ კვირას დავითი თბილისში გაეწვიათ და აბა როგორ მიაწვდენდა ხმას ოჯახს. მერე ლეკები მხეცებივით შემოსეულან, დარევიან სოფელს და ყველაფერი გადაუბუგავთ. ვინც კი ჩვენს სახლში ყოფილა, ყველანი გაურეკავთ: ანა თავისი შვილებით, ფრანგი ქალი, ბავშვების მასწავლებელი, გრიგოლ ორბელიანის ძმისწული, სულ ოცდაორი სული, დავითის ერთი შუათანა შვილი კი იქვე, დიდი მუხა რომ დგას, მის ფუღუროში შემალულა. ანა ცხენზე დაუკრავთ. ცალი ხელით პატარა შვილი აუტაცებია. თურმე გზაში ძალით აჩქარებდნენ და ისე მიერეკებოდნენ მდევრები. საცოდავ ანას უთხოვია, ბავშვი გამივარდება ხელიდან, ამიშვით მეორე ხელიო. მხეცებს ქალის მუდარისათვის ყური არ მიუგდიათ, დედას ჩვილი ხელიდან გავარდნია... ერთი წვივილ-კივილი აუტეხიათ ჩვენებს, მაგრამ ვინ მიაქცევდა ყურადღებას! სწორედ ამ დროს ბავშვი ლეკების ცხენებს გადაუთელავთ... საშინელი, საშინელი რამ...

დავითს ეს ამბავი თბილისში შეატყობინეს. იმავე დღეს მეც მას გავეკიდე და წინანდალში ჩავედით. საშინელი სურათი დაგვხვდა... დავითი მდევრებით გამოეკიდა ლეკებს. კახეთის მთების მისადგომებთან ის მკვდარი ბავშვი ენახათ. ტირილით და ვიშით მოვასვენეთ და ჩვენი სახლის ეკლესიის წინ დავმარხეთ... ვერ გეტყვი, დაო, რა გადაგვხვდა თავს, დავითი პატარა ბავშვივით ბღაოდა...

ამის გამგონე ეკატერინემაც თავის დასთან ერთად ტირილი მორთო. ნინომ ისევ მოთქმით გააგრძელა საუბარი...

— სასახლე ხომ ცეცხლს მისცეს და ძლივს გადაარჩინეს ერთი ნაწილი ჩვენი სახლისა. მაგრამ რაც გადარჩა, იმისმა ნახვამ გული მომიკლა. გრიბოედოვისაგან ნაჩუქარი პიანინო, შენც გახსოვს, რანაირი მოვლილი და სათუთად შენახული მქონდა, ძირს ჩამოეგდოთ, კლავიშები დამტვრეოდა, ძლივს აღვადგინე. ყველაფერი გამურული და გარუჯული იყო. ვენეციიდან ჩამოტანილი ტუალეტი. მამისაგან მოძღვნილი, სულ დაემსხვრიათ. სკამები და მაგიდა გარეთ გამოეყარათ, მამის ოთახში რაც კი რამ ძვირფასი იყო. გაეტაცნათ და ფულიც წაეღოთ. მაგრამ, რაც მთავარია, მამის ხელნაწერებიდან არა-

ფერი გადარჩენილა, დაუწვავთ. მამის ოთახი მაინც სულ აკლებული იყო. სათითაოდ ვეძებე ყოველი ნაგლეჯი ქაღალდი, მაგრამ ვაი რომ არაფერი გადარჩენილა. ჩინური და იტალიური ლარნაკები, ოქროს შანდლები, რაც რამ ძვირფასი და კარგი იყო, ყველაფერი გაეოხრებინათ და გაეტიალიბინათ. პარიზიდან ჩამოტანილი ის ორი მიდგმული სავარძელიც, შემდეგ სიყვარულის სავარძელი რომ დავარქვით იმის გამო, რომ ჩვენ, მე და გრიბოედოვი, პირისპირ ვისხედით ამ შებრუნებულად მიდგმულ სკამებზე. გახსოვს, ძვირფასი ხავერდი რომ ჰქონდა გადაკრული, აეგლიჯათ. მამის ოთახში მარტო საწერი მაგიდა, სამელნე და სათუთუნე გადარჩა, სხვა ყველაფერი, დაწერილი და დაუწერელი ქაღალდები და წიგნები დაიწვა.

ჰყვებოდა ამ ამბავს ნინო და ეკატერინეს თვალებიდან ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა.

— საწყლები! ჩვენები რომ ვნახე, ასე მეგონა, მეორედ მოსვლაა-მეთქი... ცხრა თვე ჰყავდა ტყვედ შამილს დავითის ოჯახი, მისი ცოლი, ოთხი ბავშვი და სხვა ახლობლები. დავითმა დიდი წვალებით მოახერხა მათი დახსნა. შამილმა კატეგორიულად მოითხოვა: „ბატონიშვილებს მხოლოდ მაშინ დავაბრუნებთ, თუ ტყვედ წაყვანილ ჩემს შვილს მომგვრიანო, მაგრამ შვილი შვილია, ჩემი ერთია და დავითისა ოთხიო, ამიტომ მათ გამოსახსნელად, აგრეთვე იმ თექვსმეტი კაცის გასათავისუფლებლად ოცდაათიათასი მანეთი ოქროთი მომართვანო". ჩემმა ძმამ წვალებით გრიგოლის დახმარებით მოახერხა, რომ ტყვედ მყოფი შამილის შვილი დაებრუნებინათ მამისთვის. ამავე დროს სამი ტომარა, ვერცხლით სავსე, მიართვეს შამილს და კიდევ, ვინ იცის, რა არ წაუღეს იმ მხეცს. და აი, ამდენი წვალების შემდეგ, ცხრა თვის ნატანჯი და ნაწვალებნი უდიერებისაგან, შიმშილისაგან, შიშისაგან დასნეულებულები, ავადმყოფები ძლივს დაგვიბრუნეს. ერთი თვე მოვუნდი მათ დაშოშმინებას. ახლაც რომ ნახო, ჭკუაზე აღარ არიან. ჩვენს რძალს ანას მაინც ღამე სულ აბოდებს და გაჰკივის: „გვიხსენით, მოგვეშველეთ"... არ ვიცი, იმ საწყალს თუ სული შერჩა და გონს მოეგო, შვილის დარდს მაინც ვერ გადაიტანს, სულ იმის სახელს, ლიდიას სახელს აბოდებს. დავითი დღე და

ღამ მასთან ზის და ამშვიდებს, ყველანი გადავყევით. ახლა ცოტა მოიკეთა და მოვრჩი თუ არა ამ დავიდარაბას, ისევ თქვენსკენ გამოვწიე. ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, გახსოვს, ის საექიმო წიგნი, ბებიაჩემის კარნახით რომ წერდი? აი, მარტო ის წიგნი გადარჩენილა ხელნაწერებიდან. დიდად გამიხარდა. ასევე გადარჩენილა პარიზიდან ჩამოტანილი საათი და მამაჩემის ბანქოს სათამაშო მაგიდაც. ეს არის და ეს. ვერ იცნობ ჩვენს წინანდალს, ჩვენს დიდებულ სახლს. გული მომიკვდა იმის ნახვით.

ესა თქვა ნინომ, თავი ჩაღუნა და ისევ მიეცა დარდს.

მეორე დღეს ქვრივი დები ისევ სასახლის აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ნინომ ბევრი ახალი ამბავი ჩამოიტანა და ახლა დამწუხრებულ დედოფალს უამბობდა ნამდვილსა და ჭორად გაგონილს თბილისურ ამბებს. მაგრამ ვერ იქნა და ვერაფრით განუქარვა მწუხარება. ბოლოს მანანას წერილი გადასცა. ეს წერილი მანანას გრიგოლ ორბელიანისათვის მიუწერია. ამას წინათ გრიგოლ ორბელიანი ნინოს სტუმრებია წინანდალში. სხვა ბარათებთან ერთად მას ეს წერილიც ჰაეჰაეაძეთა სასახლეში დარჩენია, ნინოს იგი თბილისში წამოუღია გრიგოლისათვის გადასაცემად, მაგრამ გრიგოლს დაღესტანში გაუსწრია. ეხლა ნინოს ეს ბარათი ზუგდიდში ჰქონდა წამოღებული. ეს მეტისმეტად ინტიმური წერილი სავსე იყო ხუმრობითა. წაიკითხა თუ არა, უმალვე ეჭვმა გაჰკრა ეკატერინეს, ერთბაშად გაბრაზდა მანანაზე, რაღაც მწარე სიტყვები უნდა ეთქვა, მაგრამ ერთბაშადვე მოტყდა.

— რა გამოუცნობ საიდუმლოებათა საფარი ჰფარავს ყოველი ჩვენგანის საქციელს. ცნობით იცნობ მეგობარს, ყოველ დღე ხვდები და ესაუბრები, თითქოს არაფერია თქვენს შორის დაფარული, მაგრამ მერე ერთბაშად ისეთი რამ აღმოჩნდება. რაც აზრადაც არ მოგივიდოდა არცერთს.

— ადამიანების სულის ფარულ ხვეულებს ვინ ამოხსნის.— ამოოხვრით თქვა ნინომ, — თვით დიდი მკითხავებიც უძლურნი არიან, ის მაინც სწორად ამოიკითხონ, რაც უკვე მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში.

— არა, მე იმას კი არ მოგახსენებ, თითქოს საერთოდ ადა-

მიანის ზრახვათა გამოცნობა ადვილი იყოს. არა! მე სულ სხვას ვამბობ. რატომ უნდა ვუმალავდეთ მეგობრები ერთმანეთს ისეთ საქციელს, რაც მეგობრობაში დამალული არ უნდა იყოს. მეგობრობა მაშ რაღას ჰქვია! მე ეს ახლა მანანაზე მოგახსენე, აი ამ წერილზე მოგახსენე. მე და შენ, ჩემო ნინო. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით მანანას მეგობრობაში და ისიც თავს სდებდა ჩვენთვის. მე ხშირად შური მიპყრობდა, როცა იგი, შენ მარტო რაღაცას გეჩურჩულებოდა, და რა გამოირკვა: მისი ფარული, საიდუმლოებით მოცული ზრახვანი არც შენ გცოდნია. თურმე ადამიანი თავის საუკეთესო მეგობარსაც არ უმხელს სულის ყველა საიდუმლოებას. აი ეს მაფიქრებს და მაღელვებს. რა გამოდის? ადამიანი სულით ობოლი ყოფილა, მისი სული საკუთარი ფიქრებით ყოფილა შემოღობილი. თავის სულში არავინ ჩაგახედებს, თუნდაც მეგობარი იყოს შენი. ამ ღობის იქით ყვავილი ყვავის თუ ძაღლყურძენა. ეს მხოლოდ მან იცის და არავის უმხელს, ერთი სახით გვეჩვენება და მეორით ცხოვრობს. ერთს გიმეღავნებს — მეორეს სჩადის. ხომ ასეა ეს, ჩემო ნინო? ან იქნებ ვაჭარბებ და ვამუქებ სურათს? იქნებ ეს ჩემი მარტოობის ტვირთი მაიძულებს, ასე მკაცრი ვიყო ყველა ჩემი მეგობრის მიმართ. იქნებ ჩემი მარტოობა შურით მავსებს, იქნებ მშურს ყოველი კაცის ბედნიერება. შენი არ ვიცი, ჩემო ნინო, შენ ხომ ჩემზე ადრე ჩავარდი ამ მდგომარეობაში, მე კი ახლა ყველაფერი მაღელვებს, ყველა ჩემი ტოლისა და სწორის ბედნიერება და ნებივრობა უზომოდ მაღიზიანებს.

იქნებ იმიტომ ხდება, რომ ერთ დროს მეც ვიყავი განებივრებული, ისე როგორც შენ, ჩემო დაო. მე მანანას კი არ ვამტყუნებ, არა! ყველას აქვს უფლება ისე მოიქცეს, როგორც გული უკარნახებს.

ადამიანის სულს, ისე ვით ჩემს ბაღში დარგულ ვარდებს, მორწყვა უნდა, მორწყვა სიყვარულითა და მოფერებით. ქალს თუ მოფერება და ალერსი მოაკლდა, ისე დაჭკნება, ვით მოწყვეტილი ვარდი. ამას მე შენისთანა მონაზვნების გასაგონად ვამბობ, ჩემო დაო, თუმცა იქნება ახლა გვიან იყოს ამაზე საუბარი. ამ ქვეყანაზე უსიყვარულოდ ცხოვრებას არავინ მოი-

სურვებდა. და ის ქალი, რომელიც ხელოვნურად ჰკლავს თავის გრძნობას, არა მგონია გმირი იყოს. საგმირო საქმე ცოტა როდია ამ ქვეყანაზე, რომ შენ თავს არ გაუხდე ჯალათად.

ყურადღებით უსმენდა ნინო გაღიზიანებული დედოფლის საუბარს.

— მართალი გითხრა, მაშინაც მშურდა მაიკოს, მანანას და ელენეს ბედი. მეგონა, ისინი მუდამ მე და შენ გვეჯიბრებოდნენ. ყველა ჩვენს პატივისმცემლებს გადაიბირებდნენ ხოლმე და ირღვეოდა ჩემი სიყვარულიცა და ბედნიერებაც. ისე გამოდის. რომ ჩვენი გრიგოლიც, ეს ზაქარიაც, გიორგიც მათი მეოხებით დაგვიკარგავს. აბა, თუ ქალი ხარ, რასა ჰგავს ეს, აბა! — და ახლა კატიამ ხმამაღლა, ბრაზმორევით წაიკითხა მანანას წერილის ის ადგილი, სადაც გრიგოლს სწერდა... „აბა, აქ ჩამოდი და ვნახოთ, ვინ უფრო ბებერია ჩვენს შორის“... ნინოს უკვირდა ეგზომ აპილპილება კატიასი და თავის მხრივ ეწინააღმდეგებოდა და ედავებოდა დას. სწორედ ამ დროს ჩიჩუას ქალი შემოვიდა ოთახში და დებმა ამ საგანზე საუბარი შეწყვიტეს.

• • •

ეკატერინე დადიანმა სცადა თანმიმდევრულად დაეცვა დავით დადიანის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ქვეყნის შიგნით თავისი გავლენა განემტკიცებინა, ურჩი მებატონეები და თავგასული სამღვდელოება დაეთრგუნა. სამეგრელოს სამღვდელოებას დიდი მამული და დიდი შემოსავალი ჰქონდა. დედოფალმა ახლა ამ შემოსავლის წილის წაღებაც მოისურვა. საჭყონდიდო მამულს ეკლესია განაგებდა, მისი კათედრალი კი სუჯუნაში იყო. წმინდა გიორგის ხატი უმაღლეს ხატად იყო მიჩნეული მთელს სამეგრელოში, დედოფალმა ჭყონდიდელ თეოფილესთან პირობა შეკრა, რომ საეკლესიო მამული სამთავროს განკარგულებაში გადასულიყო და გადაწყვიტა სუჯუნის ხატი მარტვილის მონასტერში გადაესვენებინა. გლეხებს გადასახადები შეაწერა. სუჯუნის საზოგადოება აჯანყდა. ამ საქმის მეთაურები ხოშტარიები იყვნენ. ერთი მათგანი — იოანე ხოშტარია, ივან ბერად წოდებული, ერთხანს სამთავროს კანცელარიის გამგე იყო. ყველაზე უფრო მან იუკადრისა

დედოფლისა და ჭყონდიდელის ეს გადაწყვეტილება. მას ბანი მისცეს სუჯუნის დეკანოზმა ნიკოლოზ ხოშტარიამ და მოურავებმა მეთო ხოშტარიამ და ფილიპე იოსელიანმა. ატყდა ზარების რეკვა და ბუკის ცემა, ფეხზე დადგა მთელი სოფელი... ეკატერინემ აჯანყებულებს მაზლი კონსტანტინე დადიანი, (ბოქაულთუხუცესის თანამდებობის აღმასრულებელი) — და ბოქაულები მიუსია. მაგრამ სუჯუნის საზოგადოებამ სძლია დედოფლის დამსჯელ რაზმს.

ბოლოს ამ საქმეში მეფის ნაცვალი მურავიოვი ჩაერია. სუჯუნის ხატი სუჯუნაშივე დატოვეს, ხოლო აჯანყების მეთაურები მკაცრად დასაჯეს.

დედოფალმა დეკანოზი ნიკოლოზ ხოშტარია საირმის მონასტერში გაგზავნა, მეთო ხოშტარია და ფილიპე იოსელიანი მურის ციხეში ჩაკეტა, ხოლო ივან ბერი საქართველოს ეგზარხოსს ისიდორეს გაუგზავნა თბილისში, რათა სადმე ერთ-ერთ უდაბნოში ჩაემწყვდია. მაგრამ მანამდე იგი თბილისის დარიას მონასტერში გარდაიცვალა. ეს იყო ეკატერინე დედოფლის პირველი მკაცრი ზომები თავკერძა თავადებისა, უკმაყოფილო ეკლესიის მესვეურთა და აჯანყებული გლეხკაცობის მიმართ.

• • •

ეკატერინე ყველას ემდუროდა, ახლა თვით არ მალავდა მდურვას სოფლისა, თუ სამდურავს თავისი ბედისა. იგი ბარათაშვილის ლექსებს ჩაყინებით ჩასცქეროდა და ჩურჩულით იმეორებდა:

„მე გვიან, ძალიან გვიან გავიგე შენი ლექსების ფასი, შენი ღირსებაცა და სიკეთეც. მე არ ვიცი, რა ბედი მეწეოდა შენს ხელში, მაგრამ, ასე მგონია, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ალბათ შენც ბედნიერი იქნებოდი. იქნებ ცოცხალიც ყოფილიყავი ჩემს გვერდით მყოფი...

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ქმარი ჩემთვის შეუფერებელი ყოფილიყოს. არა, ეს უსამართლობა იქნებოდა. დავით დადიანს ვერც ჭკუით, ვერც განათლებით, ვერც გარეგნობით და მით უმეტეს მდგომარეობით ვერც ერთი ჭკვიანი და ლამაზი ქალი უარს ვერ ეტყოდა. მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ყოფილხარ.

ეს მაინც იცოდე, შენი მოგონება არასოდეს დაჭკნება. არა,

ახლა უფრო ღვივის იგი ჩემს გაპარტახებულ გულში, ვიდრე ოდესმე შემეძლო ამის წარმოდგენა, ჩვენ მაშინ 14-16 წლისანი ვიყავით და მე უგუნურს მეგონა, ყოველივე ბავშვური ტიკტიკი იყო. და როგორ მოვტყუვდი! ამის შემდეგ თვრამეტმა წელმა გაიარა, რა არ გადახდა შენს ეკატერინეს! შენ თვითონ იცი, სიამაყე მე არ მაკლდა და ამის კვალობაზე შესაფერი წარჩინებაც მერგო. მე ყველაფერი მქონდა, დედოფლობაც, ტახტიც, დიდებაც და პატივიც. მაგრამ, ვაი, რომ ყველაფერი ეს წარმავალი აღმოჩნდა! სულ მალე ბედისაგან გაწბილება აგერ კარზე მომადგა, მაგრამ შენი სახე, მშვენიებით სავსე, მე თვალთაგან აღარ მშორდება. სულ იმას ვნატრობ, რომ ახლა, როცა ჩემს საწინააღმდეგოდ ყველა აღსდგა და სურთ მუხანათურად ბოლო მომიღონ, ამ სიმარტოვისა ჟამს შენა ხარ ჩემი მფარველი. ამ გაჭირვების ჟამს ისევ შენს სულს მოვუხმობ ჩემსა მფარველად, თუმცა ვიცი, რომ მე ამის უფლება იქნებ არ მქონდეს.

რომ იცოდე, ტატო, ახლა შენი სახელის გახსენება ტანში მაჟრიალებს, იქნებ დიდი ცოდვაც და ბრალიც მიმიძღვის შენს წინაშე. ჩემს სულს ცოდვად ისიც ეყოფა, რომ ტრფობა შენი ვერ დავაფასე, მაგრამ ვაი, რომ ახლა ამის გამოსწორება არაფრით არ შეიძლება. ეს კია, რომ დღეს შენ შენი ლექსებით ცოცხლობ ჩემს გულში და მეც ეს ლექსები მიადვილებს სიმწრის დღეებს. ეს შენი ლექსი, შენგან მოძღვნილი ეს დიდი განძი ჩემი სულის მოზიარე გამხდარა და ახლა, როცა ასე ძლიერად გამიჭირდა და სულ მარტო დავრჩი, ჩემთვის ბნელით მოცულ და გამოუცნობ ამ სამყაროში შენს წიგნს ავიღებ ხელთ და იქ ვეძიებ ადგილს ტანჯულის სულის დასვენებისათვის. როცა ამ დიდ განძს მიძღვნიდი, ალბათ ისიც იცოდი, რომ ოდესმე მე ძლიერ გამიჭირდებოდა უშენოდ ყოფნა და შენს მაგივრობას ეს შენი წიგნი გამიწევდა. სწორად გიფიქრია, ჩემო ერთგულო. ჩემს თავს უბედურს იქნებ არც კი ჰქონდეს უფლება ნეტარებდეს ამ შენი სულის საგანძურითა. მაგრამ მე მეტი არაფერი დამრჩენია ქვეყანაზე ამაზე უტკბესი და ამიტომ არ ვიშორებ თავიდან ამ დიდ საჩუქარს.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობ, შუაღამეა, გა-

რეთ უკუნეთია, ასეთივე უკუნეთია ჩემს სულში, ვკითხულობ შენს ლექსებს და ასე მგონია, მხოლოდ ეს თუ მიხსნის და დამეხმარება ამ უკუნეთის გარღვევაში. ვკითხულობ ამ ლექსებს და ასე მგონია, იქნებ ჩემს სულშიაც ჩადგეს ნათელი.

ეკატერინემ ესა თქვა და ზეპირად მოიგონა „მერანის" სტრიქონები. ისე გადააბა ეს სტრიქონები ერთმანეთს, როგორც ეს, მისი აზრით, მის მდგომარეობას ეხმაურებოდა:

გაკვეთე ქარი, გაიპე წყალი,
    გადაიარე ტყენი და ღრენი,
თუ აქამომდე არ ემონა მას,
    არც აწ ემონოს შენი მხედარი.

ესა თქვა და ამაყად წელში გასწორდა. ასე ეგონა, მართლაც ქარს მიაპობდა, სიბნელეს ებრძოდა, სიმხნევე მიემატა მის სულს, ნათელი ჩადგა მის გულში. ირწმუნა, ძლიერ ირწმუნა, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო განწირული, ბრძოლის ველი წინ იყო.

ასეთ ფიქრებს მოეცვა ეკატერინეს გონება, როდესაც ჩუმად დააკაკუნა ვიღაცამ კარი.

კარი გაიღო და სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი შემოვიდა.

მსტოვრებმა ამბავი მოიტანეს, ჩვენს საზღვრებს თურქეთის ჯარი მოადგაო.

აბჯარასხმული დედოფალი

თურქეთსა და რუსეთს შორის 1853 წელს ატეხილი ომი გრძელდებოდა. თურქეთმა და მისმა მოკავშირეებმა, საფრანგეთმა და ინგლისმა, რუსეთის წინააღმდეგ მთელი ევროპის არმია დაძრეს... რუსეთის არმიის ნაწილები სევასტოპოლისა და ყარსის ციხე-სიმაგრეებთან, ბათუმისა და სოხუმის სანაპიროებთან მტერს მედგრად უტევდნენ.

ეკატერინე აშკარად გრძნობდა თურქების შემოსევის საშიშროებას. ჯერ კიდევ 1854 წლის 15 თებერვალს ზუგდიდიდან პლატონ იოსელიანს ატყობინებდა: „ჩვენ ყველანი კარგად ვართ, ღვთის შეწევნით, მაგრამ ცოტა შიში არის და უფრო შიშებს მოველით გაზაფხულზე. თუ რომ კარგი ვაქკაცი ხარ, ამოიღე ხმალი და მოდი, მოგვეშველე თათრების გასაწყვეტად".

ეკატერინე სასტიკი იყო ქართველთა მტრების მიმართ. როგორც დედოფალი, იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავისი სამთავრო თურქების შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით განემსჭვალა. მისი წერილებიც ამ მებრძოლი განწყობილებით იყო გამსჭვალული.

დედოფალი იმავე 1854 წლის 25 მარტს კვლავ სწერდა. პლატონ იოსელიანს: „ჩვენ ჯერ რუსის ჯარები არა გვყავს, ვართ ამით შეწუხებულნი და არა შეშინებულნი. კნიაზ ივანე ანდრონიკოვს მოველით დიდად სანუგეშოდ...

ბატონო პლატონ, თუ რომ ვაქკაცი ხართ, წამოდით ჩემსკენ, რჯულისათვის მაინც დაიკიდე ხმალი და მეგრელებს სახელი გვაჩვენე. ნინომ შემოგითვალა: მეგრელიაში ჩვენ სწორედ ამაზონეობა გავაახლეთ და შენ რადგანაც მეგრელი ხარ, მოდი და მუშკეტერობა დაიჩემე. მართლაც, ჩემო პლატონ, სრულებით არ მეშინია, ვართ იმ იმედით, რომ ღმერთი არის მფარველი ქვრივისა და ობლის“.

ეკატერინე სწერდა ამ სტრიქონებს და შეძრწუნებული არწივივით თავს დასტრიალებდა თავის სამთავროს, ვაქკაცობისა და მამულის სიყვარულის გრძნობით აღანთებდა ახლობელსა და შორეულს და არაფერს იშურებდა თურქების წინააღმდეგ ომისათვის. ამ უაღრესად ნაზ და რომანტიკულ ქალს დიდი შინაგანი ენერგია, გაბჭრიახობა და გაბედულება გამოაჩნდა, როგორც მამულიშვილსა და მეომარს; და ახლა იგი სერიოზულად წერდა პლატონ იოსელიანს: ჩვენმა ქალებმა ამაზონობა გავაახლეთო, სიმართლეს წერდა...

უკვე ერთ წელზე მეტი იყო, რაც სასახლის კარზე ცხენოსან ქალთა ჯგუფი შედგა და ამ საქმეს ეკა ჩიჩუა ჩაუდგა სათავეში. ცხენოსანი და მეომარი ქალები საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ, ცხენოსნობაში და ომში ბევრმა ქალმა მოიხვეჭა სახელი და ეს ძველთაძველი ტრადიცია საქართველოს ყველა კუთხეში ცოცხლობდა. ეკატერინე ჭავჭავაძესა და მის დას, ნინოს, ხშირად უხდებოდათ ცხენით სიარული და მალე გაიწაფნენ ამ საქმეში. მოახლოებული ომის საბაბით შედგენილ ცხენოსან ქალთა რაზმში ყოველდღე მეცადინეობდნენ ცხენზე ჯდომასა, ჯირითსა და თოფის სროლაში. ეკა-

ტერინე ცხენოსან ქალთა რაზმელებს ყოველ დღე უხსენებდა მეომარ ქალთა სახელებს და ამით მათ საომარ განწყობილებასა და სულს უღვიძებდა.

ცხენოსან ქალებს თავისი წესი ჰქონდათ. ქალი ერთი ფეხით უნაგირზე შემოვლებული იჯდა ცხენზე. ცხენზე ასე ჯდომა და ჭენება გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ გადალაჯებით ჯდომა. ამიტომ ქალებს დიდხანს სჭირდებოდათ ვარჯიში ამგვარი ჯდომისა და ცხენოსნობის შესასწავლად. ამიტომ იყო, რომ ეკატერინე ასე განსაკუთრებულად სწერდა პლატონ იოსელიანს ამაზონობის ამბავს.

• • •

1854 წლის 7 მაისს თურქებისა და მათი მოკავშირე ინგლისელების ჯარმა ყულევს ზარბაზნები დაუშინა. თურქეთმა ომი გამოუცხადა საქართველოს და აი, აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ გეზი სამეგრელოსაკენ აიღო.

ოსმალებმა ყულევი აიღეს და ეხლა, ზუგდიდიან 20 კილომეტრის დაშორებით დაბანაკებული თურქეთის ჯარის მეთაურმა, ომარ ფაშამ, დედოფალს დამორჩილება უბრძანა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ეღონა რამე დედოფალს, მან ფიცხელი განკარგულება გასცა, — თავადაზნაურობის მილიცია შეადგინა, სათავეში გრიგოლ დადიანი ჩაუყენა, მთელს სამთავროში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა.

თავისი ბავშვები კი ეკატერინემ ცაგერში გახიზნა. მათი მოვლა-პატრონობა თავის დას, ნინოს და ბოროზდინს მიანდო, თვითონ კი განუყრელად თავის მაზლთან გრიგოლ დადიანთან ერთად სამეგრელოს ჯარს მეთაურობდა.

იმ. წელს უბედური შემოდგომა გაუთენდა სამეგრელოს. თურქეთი შავი ჭირივით დაერია საქართველოს ზღვისპირეთს, თავით ფეხებამდე შეიარაღებული ბინძური ფეხით გათელა და გადაჯეგა ხალხის შრომით და ბუნების სიკეთით შექმნილი დოვლათი. რუსეთის სარდლობამ სამეგრელოს, იმერეთის, გურიის სანაპიროების დაცვა გენერალ მუხრანსკის მიანდო. მუხრანსკის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა მეფის ნაცვალმა და იმპერატორმა მოიწონეს და დაამტკიცეს.

20 ოქტომბერს ომარ ფაშას არმია ენგურს მოადგა. ომარ ფაშა ვარაუდობდა რამდენიმე დღეში სამეგრელოს ავიღებ და მერე ქუთაისის გავლით, არმიას თბილისისაკენ დავძრავო. მამლაყინწა გენერალი თან ტრაბახობდა, ქუთაისსა და თბილისს შუა სადმე უღელტეხილზე თუ გაბედავენ ომს ჩემი მოწინააღმდეგენი, ქუთაისამდე კი თოფის გაუსროლელად მივაღწევო.

როდესაც ომარ ფაშა ენგურს მოადგა, მუხრანსკის განკარგულებაში მყოფ ჯარის ნაწილებს უკვე დაკავებული ჰქონდათ სტრატეგიული პუნქტები მდინარის გასწვრივ. მუხრანსკის სამხედრო შენაერთები, ომარ ფაშას არმიასთან შედარებით, რიცხობრივად ნაკლები იყო. მუხრანსკის განკარგულებაში იმ დროს იმყოფებოდა რეგულარული ჯარის ცხრაასი მეომარი, შვიდასამდე კაზაკი და სამეგრელოს, გურიის და იმერეთის ათი ათასზე მეტი ცხენოსანი და ქვეითი მილიციელი.

მუხრანსკიმ, გრიგოლ დადიანთან ერთად, მოხერხებული და ნაცადი პოზიციები დაიკავა. ძირითად სტრატეგიულ პუნქტად მათ ენგურის ხიდის გასწვრივ რუხის ციხე დასახეს და ეს უბანი ყველაზე უფრო გაამაგრეს. ვარაუდობდნენ: აფხაზეთიდან წამოსულ თურქებს აქ უნდა გადმოელახათ ენგური. მდინარე წვიმების შემდეგ საკმაოდ ადიდებული იყო. ფონის გადალახვა სხვაგან უფრო გაუძნელდებოდა ჯარს და, ალბათ, ხიდს თუ აარჩევდა რუხის ციხესთან.

რეგულარული ჯარის ოთხი ბატალიონი მუხრანსკიმ სწორედ აქ, რუხის ციხესთან დააყენა. ეს უბანი გენერალ-მაიორ გრიგოლ დადიანს მიანდეს. ამასთან ერთად მუხრანსკიმ ენგურის გასწვრივ კიდევ სამი სადაპერაციო პუნქტი შექმნა: სოფელ კახათთან რეგულარული ჯარის ბატალიონი და ლეჩხუმის ცხენოსანთა და ქვეითი რაზმი ჩააყენა და ეს უბანი გენერალ კონსტანტინე დადიანს ჩააბარა; სანარმანიოს უბანში საარტილერიო ორი ქვემეხი და ბატალიონი ჩააყენა. ეს უბანი მამაც პოლკოვნიკ ზვამბაიას მიანდო, სანარმანიოსა და კახათს შუა კიდევ ერთი უბანი აირჩია. ეს უბანიც რეგულარული ჯარითა და გურია-იმერეთის ქვეითი და ცხენოსანი რაზმებით სათანადოდ გაამაგრა და სათავეში დიმიტრი შერვაშიძე ჩაუ-

ყენა. მთელი სანაპირო რუხის ციხიდან კახათამდე მასვე მიანდო, ერთი სარეზერვო ჯგუფი კი სახელგანთქმულ პოლკოვნიკ იოსელიანს მიანდო.

გათენდა 1855 წლის 25 ოქტომბერი. შემოდგომის მზე სასიამოვნოდ ესალბუნებოდა საომრად გამზადებულ მხედრებს. შუადღემ მოაწია, შუა ცამდე მიღწეული მზის სხივები ცისარტყელასავით ეშვებოდა ენგურში. მთელი მიდამო გაკაშკაშებული იყო. ბუნების საოცარი სიმშვიდე ადამიანებსაც გადასდებოდათ და ირგვლივ პირველქმნილი მყუდროება მეფობდა. რომელსაც მარტო იარაღის ჟღარუნი არღვევდა.

დაფიქრებული და აღელვებული გრიგოლ დადიანი რუხის ციხესთან იჯდა. ადიდებულმა და აბობოქრებულმა ენგურის ხმაურმა გამოაფხიზლა უსიამოვნო ფიქრებში წასული დადიანი. ზეზე წამოდგა, ენგურს გადახედა, მდინარე მზეზე ლაპლაპებდა, ფაფარაყრილი აქოჩრილ ტალღებს მოაგელვებდა. გენერალმა ახლა თავის ჯარს გადახედა — ჟრიამული იდგა ბანაკში. ომისათვის ისე ემზადებოდნენ, თითქოს ქორწილში მიემგზავრებიანო. გრიგოლი გამხნევდა. რაც მას აწუხებდა, დღეს ბრძოლის ველზე უნდა გადაწყდეს.

წუხელ დადიანთან მარშანიას კაცები მოვიდნენ. არწმუნებდნენ, ომარ ფაშას ჯარი უძლეველია, მასთან ჩვენ ვერას გავხდებითო. იმასაც ეუბნებოდნენ, არც არის საჭირო მისი მომდურებაო, ჩვენო გრიგოლ, შენგან მაინც გვიკვირსო, ეკატერინემ ყველაფერი წაგართვა, ტახტიც კი უსინდისოდ წაგგლიჯა, სწორედ ახლაა შემთხვევა ეს შეურაცხყოფა გამოისყიდოო, ომარ ფაშას ნუ ეურჩებიო, შენ ოღონდ დაგვთანხმდი და დანარჩენი ჩვენზე იყოსო. ასევე მარშანიას კაცები მუხრანსკის უმტკიცებდნენ, შენს ცოლს, დავით დადიანის დას, ეკატერინე დედოფალი არაფრად აგდებს და შენ მისთვის თავს რათ იკლავ.

დადიანმა იმ საღამოს მარშანიას კაცები კინწისკვრით გაყარა.

მეორე დღეს ღრუბლები გადარეკეს ქარებმა და, ისევე ერთბაშად გადაიღო, როგორც დაიწყო მოვარდნილი ქარ-წვიმა. გრიგოლ დადიანი რუხის ციხის მარჯვნივ იჯდა. ჩაფიქრებული

საკუთარ თავს ეკამათებოდა: „ცხოვრება მოულოდნელობით სავსეა. ეს მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ამბავი ხშირად საბედისწერო ხდება. ცხოვრების კიბე იქ ჩაგიტყდება, სადაც არ მოელი. გული მტკივა, რომ ასეთ დღეში ვარ. შენ, ჩემო მამულო, მთაო და ბარო, შენ, ჩვენო მაღალო და ნათელო მზეო, მე მზად ვარ თავი გავწირო, ოღონდ მშვიდობა იყოს ჩვენს მამულში, ჩვენს ოჯახებში... მე არავითარი დანაშაული არა მაქვს ჩადენილი შენს წინაშე, რომ სიკვდილი ვინატრო. ვიცი, სიკვდილი საშინელია, მაგრამ სახელის გატეხვა, თავის შერცხვენა, სამშობლოს ღალატი ამაზე უარესია. მოღალატე კაცი ვერასოდეს ვერც ახლობელს დაემალება და ვერც შორეულს. თვითონ კი არა, მისი შვილები და შვილიშვილები, მოღალატე მამის სახელით შერცხვენილები. ვერ გაიელიან თავის მოძმეთა შორის. ისინი თითით საჩვენებელნი და საზიზღარნი გახდებიან. მე მზადა ვარ, ჩემო მამულო, ყველაფერი— სიყვარულიც, სიცოცხლეც პატიოსნად შენ შემოგწირო, რომ შემდეგ ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ყელმოღერებულებმა, თავამართულებმა თავისუფლად იარონ ჩვენ დალოცვილ მიწაზე, როგორც მამულისათვის თავშეწირული მამის შვილებმა...

ვინ ვგონივარ მაგათ მე, გრიგოლ დადიანი უღალატებს თავის სამშობლოს, თავის კერას, მამულს? მამა-პაპათა აირდილი რას მეტყვის, საქართველოს მტრებს რომ მივყიდო სული?! არა, ღალატი ჩემთან არ იქნება! მე მამულიშვილი, პოეტი და სარდალი ვარ! ჩემს მამულს უმალ ზედ დავაკვდები, ვიდრე ვუღალატებ. არა, იმ ნაძირალებმა როგორ გამიბედეს ამგვარი ლაპარაკი...“

სწორედ ამ დროს ატყდა ქვეშეხების გრიალი, ენგურის მარჯვენა სანაპიროდან სოფელ ლიასთან თურქების ჯარი მდინარეზე გადმოვიდა...

1855 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ომების ისტორიაში ერთ-ერთი გმირობის ფურცელი ჩაიწერა. რუხის ციხესთან თურქების ჯარს პირველმა გრიგოლ დადიანმა შეუტია. მისი რაზმელები თავდადებით იბრძოდნენ. ომარ-ფაშას ნაწილებმა უკან დაიხივს. ბრძოლის ველზე ხუთასამდე ასკერის გვამი ეგ-

დო. მტერმა შეატყო თუ არა, რომ რუხის ციხესთან მოწინააღმდეგის პოზიცია ძლიერ გამაგრებული იყო, გეზი შეცვალა. ქვემეხების შეუწყვეტლად ცენტრალური უბნიდან — რუხის ციხის მოპირდაპირე ნაპირიდან ჯარის დიდი ნაწილი ქვევით გადაისროლა.

ასკერებმა ორ ადგილას გადალახეს ფონი და მარცხენა და მარჯვენა ფლანგებით ცენტრალურ უბანს შეუტიეს. იმ დღეს მთელ ფრონტზე ცხარე ბრძოლა გაიმართა. ომში ერთბაშად ჩაერივნენ სანარიმანიოს, კახათის, რუხის პოზიციებზე განლაგებული რეგულარული ჯარის და მილიციის ნაწილები. მთელი დღე-ღამე გრძელდებოდა უთანასწორო ომი. ამ ომში მრავალი მებრძოლი დაეცა, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ოთხმოცი წლის სვიმონ წერეთელმა...

ქართველები უბრძოლველად მიწის ერთ მტკაველსაც არ სთმობდნენ, მაგრამ თურქებმა მოახერხეს ენგურის ქვემო წელის გადმოლახვა. თურქმა რაზმელებმა პოლკოვნიკ ზვამბაიას და იოსელიანის შენაერთებს შეუტიეს, ზვამბაია მოკლეს. მისი ადგილი იოსელიანმა დაიკავა. ისიც მოკლეს. მათ რუსი ოფიცრები — რუპკოვი, კომელევი და ივინი მიჰყვნენ...

დიდი მსხვერპლის გაღების ხარჯზე თურქებმა გაარღვიეს მუხრანსკის მთელი ფრონტი და ჯარს გარემოცვის საშიშროება შეუქმნეს. იმ ღამეს მუხრანსკის შენაერთებმა უკან დაიხიეს, შეისვენეს და კვლავ ომის ცეცხლი გააჩაღეს. ომარ ფაშა დარწმუნდა, რომ პირისპირ შეტევა და ამ გზით მოწინააღმდეგის დაძლევა ადვილი არ იყო. ამიტომ მან დაუყოვნებლივ მოძებნა თავისი აგენტები: პეტრე მხეიძე, დათა გურიელი და კაცია მარღანია, მათი დასმენით ზუსტად გამოარკვია მტრის განლაგება და რაოდენობა, მეორე დღესვე შეტევაზე გადმოვიდა და დახლართული გზების შემოვლით შეძლო კიდეც ფრონტის მთელი განლაგების გარღვევა. ახლა კი შეშინებულმა გენერალმა მუხრანსკიმ ღრმა ზურგში დაიხია. შემდეგ სრულიად მოულოდნელად მთლად დატოვა სამეგრელო. უიარაღო ხალხი თურქების არმიის პირისპირ აღმოჩნდა.

მუხრანსკის მეთაურობით წარმოებულმა საომარმა ოპერაციამ ვერ შესძლო საქართველოს ოსმალეთისაგან დაცვა. ამით

შეძრწუნებული და შეწუხებული დედოფალი თავის დას, ნინოსა და ბორჯოზდინს წერდა: „ომარ ფაშა ჯერ ძაან წყნარად მოდის. ჩვენი ჯარები მდინარეზე ვერ გადაიყვანეს. როგორც მოგეხსენებათ, თავ. მუხრან ბატონმა ყველაფერს აღრევე წაუკიდა ცეცხლი. სამეგრელოში აღარც ხიდებია სადმე და აღარც ნავები. ახლა თვითონ წავიდა თან წაიღო ხუთასი შტუცერი — თოფი, თან გაიყოლია იმერეთისა და მეგრელთა მილიცია, აგრეთვე, დონის სახაზო ყაზახ-რუსები. თავის მოქმედებას პარტიზანულ ბრძოლას უწოდებს, მაგრამ გარწმუნებთ, მტერს იმდენსავეს დააკლებს, რამდენსაც თქვენ დააკლებთ ცაგერიდან. ეს კია, რომ სამეგრელოს საშინლად ანგრევენ და ანადგურებენ. 9000-მდე კაცი ეყოლება და წარმოიდგინეთ აღარც პროვიანტი აქვს და აღარც ფურაჟი. ყველაფერი მეგრელების კისერს უნდა დააწვეს. გული მიკვდებოდა, როცა მცხოვრებნი, ტირილითა და გოდებით უვარდებოდნენ ჩემს ცხენს ფეხებში, პირდაპირ საშინელება ხდება აქ, მუხრან ბატონს სრულებით თავტანი დაეკარგა, დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, რომ გავიგე ბებუთოვი ჩამოდის“...

მუხრანსკის ჯარმა დატოვა სამეგრელო და ხონში დაბანაკდა. ამით შეწყდა საომარი ოპერაცია. გაბრაზებულმა ეკატერინემ ახლა ბებუთოვს მიმართა წერილით — მომეშველეო. ბებუთოვი წერდა ეკატერინეს: „დამაცადეთ, მე მოვდივარ მანდედ და სულ მალე მოგეშველებითო“. მაგრამ დედოფალმა არ დაუცადა ბებუთოვის ჩამოსვლას და თავის სამთავროს თავადაზნაურობისაგან გამხნევებულმა თვითონ მოკიდა ხელი საომარ ოპერაციას.

ეს ნაბიჯი ეკატერინეს დავით ჩიქოვანმა გადაადგმევინა. სახლთუხუცესი და მისი მომხრენი ეკატერინეს უმტკიცებდნენ: რა ვუყოთ, რომ მტერმა დაიპყრო ჩვენი მხარე. ფიცს გაძლევთ, რომ არც სიცოცხლეს დავზოგავთ, არც ძალას და ღონეს, რათა სამაგიერო მივუზღოთ მტერს... მუხრანსკის უთქვამს თქვენთვის, ვითომც დედოფალს გადავუდექით და თურქებს მივემხრეთ. არა, ეს მტრების მოგონილი ხრიკია. ჩვენ რუსეთთან ერთად ვიბრძოლებთ თურქების წინააღმდეგ. თურქთა სარწმუნოება სამეგრელოში ჭირისდღესავით სძულთ, ჩვენ არასო-

დეს არ გადავუდგებით ქრისტეს სჯულს და სანამ სული გვიდგას, ყველას დავუმტკიცებთ, რომ არც მუხანათები ვართ და არც ჯაბანნი. ჩვენ გვიომია და ვიომებთ კიდეც. ვიომებთ საქართველოსათვის, ქრისტესათვის. ჩვენი თხოვნაა, დედოფალო, გაგვიძეხი, გვიმეთაურე და თქვენთან ერთად მთელ ქვეყანას დავუმტკიცებთ, თუ რა შეუძლია დედოფლის ერთგულებას".

ეს აუწყეს და დედოფალს ქამარ-ხანჯალი, ჩოხა-ახალუხი, ბაშლიყი და ნაბადი მიართვეს. ეკატერინე ერთი საათის შემდეგ ჩოხა-ახალუხგადაცმული, ნაბადმოხურული, ყაბალახით თავშეკრული, ხმალამოღებული მიუძღოდა თავის სამთავროს ჯარს.

ეკატერინემ წერილი მისწერა ბებუთოვს: „მე მზად ვარ ჩემის ძალით თქვენს განკარგულებაში, მზად ვარ ოპერაცია დავიწყოთ თურქების წინააღმდეგ. განკარგულებას ველოდები თქვენის მხრივ და თუ თქვენც გადაგვიდგებით, მაშინ მე თვითონ გავუძღვები ჩემს ჯარს და როგორმე შევძლებ ან გავანთავისუფლო ჩემი მხარე, ან მტერს შევაკლავ თავს, მამულისათვის დამშვიდებული დავიხოცებით".

ეკატერინე იმედით შეჰყურებდა მომავალს. უხაროდა, რომ მის რაზმს თანდათანობით ემატებოდა ახალი და ახალი შეიარაღებული კაცი და ქალი.

ხოლო ომარ-ფაშა, რომელმაც სამეგრელო დაიპყრო, ემუქრებოდა დედოფალს, თუ ნებით არ დამემორჩილები, სამთავროს მართვას სხვას ჩავაბარებ და ამით შენს შვილებს სამეგრელოს მამულსა და ქონებას დავუკარგავო. ომარ ფაშა სწერდა დედოფალს: „თქვენო უგანათლებულესობავ! შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენი შვილის სახელით თქვენი უგანათლებულესობა ჰმართავს, ჩემს მოვალეობად ვრაცხ, გაუწყოთ განზრახვანი ჩემის უავგუსტოესის მბრძანებლის სულთანისა და დიდთა სახელმწიფოთა, მისთა მოკავშირეთა.

აწინდელი ომი, როგორც თქვენს უგანათლებულესობას მოეხსენება, დაწყებულია იმ სამართლიანი განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ და ბოლო მოვუღოთ რუსეთის. იმპერატორის სურვილს სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობისას.

აი, სწორედ ამ აზრით გახლავართ აქ; თან მყავს იმდენი

ჯარი, რომელიც, შეწევნითა ღვთისათა და იმის წყალობით, რომ საქმე, რომლისათვისაც ვიბრძვით, წმინდაა, სრულიად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულესობა მეფობს. მაგრამ შემოველ სამეგრელოში თუ არა, მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი უგანათლებულესობა, რომ ჩემს უავგუსტოეს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არ სურთ შეეხნონ სამეგრელოს მართვა-გამგეობას, ან რამე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში. ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი იყვნენ და რომ თავიანთი საკუთარი მთავრობანი თავისუფლად ჰმართავდნენ.

ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოსვლისას დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავის სახლკარისა და ქონებისათვის, რომელიც. თანახმად საერთაშორისო კანონებისა, ნადავლად უნდა ჩაითვალოს.

ძალიან მეწყინა, როცა დავინახე, რომ ჯარს, სხვა სამეზობლო ქვეყნების მკვიდრნი გაყვნენ, და მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს, თუ რა საშინელებაა ომიანობა.

მე მწადია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შევუმცირო ამ საწყალ ხალხს, ამიტომ ვიღონისძიე: ეს უცხოელნი თავთავიანთ ქვეყანაში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დავუშალე მკვიდრთა რბევა-აწიოკება. ერთი ნაწილი მკვიდრთა, რაკი გული დააჯერეს, არაფერი დაგვემართებაო, უკანვე დაუბრუნდა თავის კერას, მაგრამ ამ კაცთმოყვარულის საქმის დასასრულებლად ვსთხოვე თქვენს უგანათლებულესობას დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობა. და. ამგვარად, დაამშვიდოს თავისი ქვეშევრდომნი, და ჩააგონოს, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს, აუხსნას ისიცა, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი. სახელდობრ, უთხრას ისა, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლოს, და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი და დაუბრუნოს ძველებური მართვა-გამგეობა.

სანამ თქვენი უგანათლებულესობა მობრძანდებოდეს, თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად გამომიცხადებია ბატონი-

შვილი ნიკო, რომელიც ზუგდიდში გამოგზავნეთ. მაგრამ გთხოვთ, თუ თქვენი შვილისა და თქვენი ქვეშევრდომთა სიკეთე გსურთ, როგორც კი მოიცალოთ, მობრძანდეთ თქვენს სასახლეში ზუგდიდს, რომ თქვენ თვითონ ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავშთები თქვენის უგანათლებულესობის უაღრესი პატივისმცემელი, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი ომერი. ზუგდიდი, 31 ოქტომბერი. 1855 წელი".

წაიკითხა თუ არა ბარათი, ეკატერინე საგონებელში ჩავარდა. მიხვდა, თუ რა დიპლომატიით და ეშმაკობით იყო გაანგარიშებული ამ წერილის ყოველი ფრაზა. ომარს სურდა დედოფალი მოფერებით, დაყვავებით მოეტყუებინა. პირველ ხანებში დაემშვიდებინა და ამით გაეჩინა მოკავშირე ძალა რუსეთის წინააღმდეგ ომში. შემდეგ კი, კარგად იცოდა, როგორ მოექცეოდა დედოფალსაც და სამეგრელოსაც.

დედოფალი ფაშას განზრახვას მიუხვდა, მაგრამ მაინც თვითონ ვერ ითავა საქმის გადაჭრა. დიდი დაკვირვება და რჩევა იყო საჭირო. როგორ შეედგინა წერილის პასუხი? და აი, დედოფალმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა ეს წერილი ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს, აგრეთვე, თბილისში ბებუთოვს. მათ სთხოვა დახმარებოდნენ პასუხის გაგზავნაში.

ეკატერინეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის ჯარის დახმარებით ებრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. მაგრამ უნდოდა ყველაფერი გონივრულად, წინდახედულად მომხდარიყო. კოლუბიაკინიცა და ბებუთოვიც დაინტერესებული იყვნენ დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ დედოფალს, რათა რუსეთის დიდი მოქიშპე თურქები გაერეკათ და აი რუსმა მოხელეებმა მაშინვე გაამზადეს და გასაგზავნი წერილის ტექსტი დედოფალს მოართვეს:

„თქვენო აღმატებულებავ!

ზრდილობა მავალებს გიპასუხოთ იმ წერილზე, რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავთ.

ვეცდები იმდენად სხარტად და ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს.

თქვენ, გენერალო, სამეგრელოში იმ განზრახვით მობრძანე-

ბულხართ, რომ ეს მხარე რუსეთისაგან გაანთავისუფლოთ. მე კი სწორედ მოგახსენოთ, სულ სხვა მსურს, და, ჩემი აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა სჭირია.

გარდა ამისა, სამეგრელოს თუ ვინმე მფარველი არ ჰყავს, ისე თავისთავად არსებობა არ შეუძლია. ამის მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, და უეჭველია, ეს მიზეზები არც თქვენ გამოგეპარებოდათ. რაკი დამოუკიდებელი ვიქნებოდი, აუცილებლად საჭირო გახდებოდა ჩემთვის მფარველობა მეთხოვა სამ სახელმწიფოთაგანში ერთ-ერთისათვის. ახლა მოგახსენებთ რისთვის არ მსურს არც ერთის მფარველობა.

ოსმალეთი ფიქრადაც კი ვერ გაიტარებს სხვა დაიფაროს. ამიტომ რომ თვითონ მას სხვა პატრონობს, და უნდა გამოგიტყდეთ, არც სახარბიელო პატრონი ჰყავს.

აბა, რა ანგარიშია, საფრანგეთსა სთხოვოს კაცმა მიპატრონეო, როცა თვითონ საფრანგეთი შემთხვევითი სახელმწიფოა და, დღეს არა, ხვალ ბოლო მოეღება.

თქვენ თვითონ არ მირჩევდით, გენერალო, ინგლისისათვის მეთხოვნა მფარველობა, რადგან თავად კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხნი, ვისაც კი ინგლისი გამოუჩნდა მფარველად: ინდოელნი, ჩინელნი, იონიელნი, — ან მონებად იქცნენ, ან დამახინჯდნენ გონებით, ან გაჩენის დღის მაწყევარნი არიან.

ბოლოს, არც იმას მოგახსენებთ, რომ სამისავე სახელმწიფოს მფარველობა ერთად მინდოდეს, რათა საბუთი არ მოგცეთ დაცინვისა.

დასასრულს, გენერალო, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება იმ გრძნობათა, რომელნიც თქვენ შეგშვენიან“.

ადვილად მისახვედრია, რომ ეს წერილი რუსი დიპლომატის მიერ იყო შედგენილი და ისიც — მეტად ცალმხრივად. დააკვირდა ამას დედოფალი და მიხვდა, რომ ამგვარი წერილის გაგზავნა არ ივარგებდა, თვით დედოფლის სულსა და გულსაც არ ეკარებოდა ამ წერილის შინაარსი. და თუმცა დედოფალს გადაწყვეტილი ჰქონდა რუსებთან ერთად ემოქმედნა თურქების წინააღმდეგ, ამ დოკუმენტს მაინც არ მოაწერა ხელი.

ზუგდიდში ომარ ფაშა ბრაზობდა. დედოფლის მხრივ თავ-

ხედობად მიაჩნდა წერილის ასეთი დაგვიანება, მაგრამ თეი-თონაც არ იცოდა რა ექნა, ხედავდა, კარგად ხედავდა, რომ დედოფალი ქედს არ იხრიდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა კიდევ მიემართა წერილით დედოფლისათვის. ახლა იმავე შინაარსის წერილი კვლავ გაიმეორა და თან მუქარა და მრისხანება ზედ მიაყოლა. ომარი კატეგორიულად სწერდა: „...ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე სულთანი და მისი მოკავშირეები იძულებული გახდებიან, რაიცა მათ სრულიად არ სურთ, სამეგრელოში დაანწესონ ისეთი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც ამ ხალხისა და მხარის ინტერესები უფრო შეაწუხებს“...

დედოფალმა წაიკითხა ომარისაგან გამოგზავნილი ეს მეორე ბარათი და ახლა უფრო აწრიალდა და განრისხდა. მზად იყო ეხლავე შებმოდა მტერს, მაგრამ მაინც ელოდებოდა ბებუთოვისაგან და კოლუბიაკინისაგან დახმარებას და საომარი ოპერაციის დაწყება ისევ გადადო. რუსებს კი ახლა მთავარი ოპერაცია ყარსის ციხე-სიმაგრის ასაღებად ჰქონდათ გაანგარიშებული. სამწუხაროდ, დიდხანს ვერ აიღეს ყარსი რუსებმა. ამით ისარგებლა ომარ-ფაშამ და სამეგრელოდან ცოტა ტყვე როდი წაასხა.

1855 წლის 26 ნოემბერს ეკატერინემ ცაგერში შვილები მოინახულა, შემდეგ ხონში გადავიდა. იქ დაბანაკებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს თავისი ჯარი ამოუყენა გვერდით და იარაღასხმული ახლა განკარგულებასღა ელოდებოდა. ბოლოს რუსებმა ყარსი აიღეს და ჯარის ერთი ნაწილი სამეგრელოში ბებუთოვს მიაშველეს.

იმ დროს, როდესაც ეკატერინე ჭავჭავაძის ჯარი, რომელიც უმთავრესად თავადებისა და აზნაურებისაგან შედგებოდა, შეტევის დასაწყებად ემზადებოდა, იქ, სამეგრელოში დიდი აღშფოთება იყო. ცბიერი და გაიძვერა ომარ ფაშა სიტყვით ყველაფერს ჰპირდებოდა ხალხს, საქმით კი ტყავს აძრობდა. თურქები დაგეშილი მეძებარი ძაღლივით ნადირობდნენ ხალხზე, განსაკუთრებით ნიშანში ამოეღოთ ქალიშვილები და ჭაბუკები. სადაც წააწყდებოდნენ, პირდაპირ იტაცებდნენ ლამაზ ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს, შემდეგ ტყვედ მიერეკებოდნენ და თურქეთში სულთანის ჰარამხანებს ავსებდნენ.

ხალხი შფოთავდა. ბორგავდა, ვინმე მეთაურსა და წინამძღოლს ელოდა, რომ ეს აღშფოთება ერთიან აჯანყებად ქცეულიყო. ასეთი მეთაურები კი არსად ჩანდნენ. თავადები და აზნაურები, ბრძოლაში და ჯარში გამოწრთობილნი, ახლა ცხენისწყლის გადაღმა ეკატერინეს გარშემო იყვნენ თავმოყრილი. ზურგში დარჩენილი დადიანები და დიდი თავადები კი ორმაგ პოლიტიკას დასდგომოდნენ. ერთის მხრივ. ელაქუცებოდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ ომარ ფაშას, მეორეს მხრით შიში და რიდი ჰქონდათ. ვაი თუ ხვალ ან ზეგ ეკატერინე მოვიდეს და ყველაფერი ეს გაგვიხსენოსო.

ასეთივე ორპოფული პოლიტიკა ეჭირა მთელ საქართველოში ცნობილ ნიკო დადიანის უფროს შვილს ჭკვიანს, განათლებულსა და დიპლომატიაში გამოცდილ დიდ ნიკოს შვილს— გიორგის, რომელიც ომარ ფაშას ახლა ზუგდიდში მოეწვია და მისთვის უნდოდა მიენდო საშთავროს რწმუნება, ნიკოს შვილი გიორგი დადიანი ფრთხილად ეკიდებოდა საქმეს. მართალია, იგი ეკატერინეს ქმარმა — დავით დადიანმა გააგდო, სასახლის საქმეებს განარიდა, მაგრამ ლევან დადიანის ერთგული. დიდი ნიკოს შვილი გულში თურქების შეურიგებელი მტერი იყო. რაც დრო გადიოდა, იგი უფრო ნათლად ხედავდა, თუ როგორ აოხრებდნენ და აწიოკებდნენ ქვეყანას ქართველების მტრები და შემთხვევას ეძებდა. რომ ჩუმად გაელესა ომარ ფაშას წინააღმდეგ ის ხმალი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დიდი საზეიმო ცერემონიალით გადასცა ომარმა, როგორც სამეგრელოს საქმეთა მომავალ რწმუნებულს. ყველაზე უფრო აშკარა უკმაყოფილებას თათრების მიმართ ხალხი, ყმაგლეხობა იჩენდა. როცა ომარ ფაშამ ახალი გადასახადები შეაწერა ხალხს და ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე ნადირობა მოაწყო, ჩუმი დრტვინვა და უკმაყოფილება უფრო აშკარა გახდა.

სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო ზუგდიდში, როდესაც სოფელ ცაიშის ტყით დაბურულ ურთას მთაზე, დიდი ცაცხვის ძირას თავი მოეყარა ორმოცდაათამდე რჩეულ ახალგაზრდას. მათში პირველი უტუ მიქავა იყო.

ორი წელი იყო, რაც უტუ სასახლიდან დაეთხოვათ და

ახლა ჯვარში ცნობილ მჭედელს ჭკადუას შეკედლებოდა, ჯანლონით სავსე ახალგაზრდას სულ მალე ესახელებინა თავი, როგორც უებარ მჭედელს, მისი სამჭედლოს გარშემო მუდამ თავს იყრიდა სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა. ისინი უტუს შეეჩვივნენ, შეიყვარეს, დაუმეგობრდნენ, კვირაობით ენგურის ჭალებში ცხენებს დააჭენებდნენ, ხოლო საღამოობით ჩუმად თათბირობდნენ და გეგმებს აწყობდნენ, უტუ შეეჩვია სამჭედლოს და კმაყოფილი იყო თავისი ბედით. მაგრამ მას ის აწუხებდა, რომ სასახლეში დარჩა გულის სატრფო, დედოფლის პირფარეში, ცირა, რომლისთვისაც ცოლად შერთვის პირობაც მიეცა. უტუ დღე და ღამ თავაუღებლივ მუშაობდა სამჭედლოში, იმდენი ფულის დაგროვებას ცდილობდა, პატარა ქოხი გაეჩინა, რომ თავისი ცირა მოეყვანა და კერა გაეჩაღებინა. მამობილი ჭკადუა დახმარებას ჰპირდებოდა და თავისი ეზოს ერთი ნაწილიც მიუჩინა სახლის ასაგებად, აი, სწორედ ამ დროს შემოესივნენ თურქები საქართველოს.

სულ ორიოდე დღის წინათ გაიგო უტუ მიქავამ, რომ მისი სატრფო ცირა ომარ ფაშას კაცებს მოსწონებიათ და სხვა სამ ქალთან ერთად სასახლეში, სადაც ახლა ჰოსპიტალი იყო გამართული, მომვლელად დაუყენებიათ. ისიც გაგებული ჰქონდა, რომ ერთ დღეს, როდესაც ომარ ფაშას ამ ჰოსპიტალში თავისი დაჭრილი მეგობარი უნახავს, ეს ქალი შეჩეხებია, მოსწონებია და ვინაობა გამოუკითხავს. ეს ყველაფერი უტუ მიქავას უამბო გაწერელიასაგან გაგზავნილმა ბიჭმა. აწრიალდა უტუ, გადაწყვიტა. ჩუმად ზუგდიდს წასულიყო და ყველაფერი დაწვრილებით შეეტყო, სწორედ იმ დღეს მოიტანეს ამბავი, ომარ ფაშას ზუგდიდის სასახლიდან თხუთმეტი რჩეული ქალი და ვაჟი ტყვედ წაუსხამს, ყულევისაკენ მიჰყავთ და ანაკლიიდან კვირას სტამბოლში გზავნიანო, მათ შორის დედოფლის პირისფარეში ცირაც იყო.

ოცდახუთმა რჩეულმა ვაჟკაცმა უტუს მეთაურობით, ღამით, ვიწრო ბილიკებით ანაკლიისაკენ გასწია, ცაიშიდან ანაკლიისაკენ მიმავალ შარაგზაზე თათრების რამდენიმე საყარაულო იყო, ამიტომ ბიჭებმა ჭაობები და ვიწრო ბილიკები აირჩიეს. ისინი ღამის სიბნელეში ჩუმად მიდიოდნენ ჭაობსა და

ჭენჭყში და გათენებისას ხობისწყლამდის მიაღწიეს. ახლა აქ შეისვენეს, კვლავ მოითათბირეს. უტუს რაზმი სამ ჯგუფად დაიყო. თითო ჯგუფში ხუთ-ხუთი კაცი იყო, ხოლო იმაში, რომელსაც უტუ მეთაურობდა, — ხუთმეტი კაცი. ეს ჯგუფი პირდაპირ უნდა დასხმოდა თავს თურქების რაზმს, რომელსაც ყულევისაკენ მიჰყავდა ქართველი ტყვეები. ორი ჯგუფი კი გვერდებიდან უნდა მიშველებოდა ამ ჯგუფს, რომ მრავალრიცხოვანი ჯარის შთაბეჭდილება დაეტოვებინა და ადვილად დანებებულიყო მტერი პარტიზანებს.

ყველაფერი წინდაწინ იყო გამოანგარიშებული.

უტუ მიქავა, მართალია, ჯარში ნამყოფი არ იყო, მაგრამ ამგვარ წვრილმან თავდასხმებში რამდენჯერმე მიეღო მონაწილეობა — ტყვეთა განთავისუფლების საქმის ერთ-ერთი მოთავე იყო. ყველა ეს გამოცდილება ახლა მან დიდი მონდომებით გამოიყენა.

დღის 12 საათი იყო, როდესაც თურქების რაზმი, რომელსაც ხელებშეკრული ოცდახუთი ქართველი მოჰყავდა, ყულევთან ახლო, სოფელ ხორგაში გამოჩნდა. უტუ მიქავას ჩასაფრებული რაზმი აქ უცდიდა მტერს. თურქები უდარდელად მოაბიჯებდნენ და ტყვეებს მოერეკებოდნენ. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ვინმე გაბედავდა და დღისით წინ აღუდგებოდა. სწორედ ამ დროს ატყდა თოფების სროლა და მეწინავე ორი თურქი დაეცა. მაშინ მარჯვნივ და მარცხნივ თოფების სროლა გაისმა და ერთბაშად ყველაფერი აირ-დაირია. დაიბნენ თურქები, გაქცევა დააპირეს. ელვის სისწრაფით გარს შემოეხვივნენ რაზმელები ხელებშეკრულ ტყვეებს, გაანთავისუფლეს, ქალიშვილები ცხენებზე შეისვეს და უკანვე მოკურცხლეს.

უტუმ ცხენზე შემოისვა თავისი სატრფო ცირა. ქალს წელზე ხელები შემოეხვია, მაგრად ჩაფრენოდა ვაჟკაცს, რომ გაჭენებული ცხენიდან არ გადავარდნილიყო. საღამოს დაბრუნდა უტუ მიქავას რაზმი სოფელ ცაიშში. აქ უტუს ორჯერ გაზრდილი დახვდა თავისი რაზმი — ზუგდიდელებს, აბასთუმნელებს გაეგოთ ცაიშში შეხიზნული რაზმელების ამბავი.

იმავე საღამოს ცაიშის ეკლესიაში უტუ მიქავას ჯვარი

დასწერეს ცირაზე -და რაზმელებმა სახელდახელო ქორწილი მოუწყვეს ძმაკაცს. ღარიბული იყო ტყეში ქორწილი, სამაგიეროდ, ყელამდე სავსე ძმობით, სიყვარულით, სითბოთი და სინათლით...

უტუს თან წამოეყვანა ცირასთან ერთად ტყეობიდან განთავისუფლებული ყმები. მათ არ იცოდნენ, რით და რანაირად გადაეხადათ მადლობა, პატივისცემა და თავდადება მხსნელისათვის. ეს ბოგონები ცირას შემოსხდომოდნენ და თვალებში შესცქეროდნენ ბედნიერებით მთვრალნი. ურთას ტყეში ქორწილი გვიან ღამემდის გაგრძელდა. როცა სუფრა აიშალა, ნეფე-დედოფალმა ტყის მცველის ქოხს მიაშურა, ის ღამე იმ ქოხში გაათია ნეფე-დედოფალმა.

თურქთა ტყეობიდან გამოხსნილ ცირას ჯერ კიდევ შიში არ გაქრობოდა, შველივით კრთოდა, ხოლო როცა კლდესავით ვაჟკაცის მკერდს მიეკრა, ერთბაშად დამშვიდდა, მხნეობა მოემატა და მთლად მიენდო ერთგულ მიჯნურს.

ხის მაგარ ტახტზე იწვა ნეფე-დედოფალი და ასე ეგონათ უტუს და ცირას, ამ სარეცელზე რბილი და თბილი, ტკბილი და სასურველი არაფერი იყო ამ ქვეყანაზე. ცოლ-ქმარი სულით, გულით ერთ სხეულად, ერთ არსებად იქცა. ბედნიერებისაგან გაბრუებულ ცირას, ვნების ბურანში გათანგულ ქალწულს ესღა აღმოხდა — „ჩემზე ბედნიერი ახლა არავინაა, მაგრამ მეშინია ისევ ტყვედ, მონად არ გამხადონ, მეშინია შენი თავი არავინ წამართვას“..

— არა, ჩემო ცირა, შენ თავს მე ახლა ვერავინ წამართმევს, ტკბილზე უტკბესო, შენ ჩემი, ჩემი ხარ და მხოლოდ ჩემი, შენზე არავის გავაბატონებ, შენი ბატონიც მე ვარ, მეგობარიც და მონაც.

მთელი ღამე გამოუცნობ ვნებათა ჩურჩულში გაატარეს შეყვარებულებმა. მათ წყუროდათ დიდხანს გაგრძელებულიყო ღამის ეს ბედნიერება და გათენებისა ეშინოდათ, რომ მალე არ დამთავრებულიყო ეს სიხარული.

დილით ვნებით დამთავრალმა და ბედნიერმა უტუმ ისევ თავის რკინის ძმებს მიაშურა და საზოგადო საქმეს შეუდგა.

სწორედ ამ დროს ამბავი მოვიდა, ტყვეების მოტაცებით გაბრაზებულ ომარ ფაშას სოფლებისათვის დამსჯელი რაზმები შეუსევიაო.

უტუ მიქავას რაზმელებმა ისევ ურთას მთაზე მოიყარეს თავი. ღამის სიჩუმე უტუს სიტყვებმა დაარღვია:

— ძმებო, თქვენ იცით და ახლა ყველა ხედავს, თუ რა დღე დაგვაყენა ცბიერმა ომარ-ფაშამ. სხვა გზა არ არის. ან ყველანი უნდა დავიხოცნეთ, ან და უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა თურქებისაგან. ჩვენთან აქ დღეს სამი უცხო კაცი მოვიდა: ერთი — სალხინოდან, მეორე — კინჩხიდან, მესამეც ბანძიდან. აბა ჰკითხეთ მათ, რა დღეშია ჩვენი ცოლშვილი. სირცხვილია ჩვენს დებს და ცოლებს ნამუსს ხდიდნენ, ტყვეებად მიერეკებოდნენ და ჩვენ გულხელდაკრეფილი ვიყოთ. ვიღაცას უთქვამს, ომარ-ფაშამ რუსის ჯარი დაამარცხაო, ჩვენ რას გავხდებითო. ეს სულ ტყუილია. რუსის ჯარი ღალატით დამარცხდა. ახლა თურმე ისინი ცხენისწყლის პირას დგანან. ჩვენი დედოფალიც იქ არის. დღეს თუ ხვალ შეტევას დაიწყებენ და ჩვენც აქედან, ზუგდიდიდან უნდა შევუტიოთ მტერს...

მეორე დღეს უტუს რაზმელებმა ხობის პირველი საყარაულო განაიარაღეს, ნადავლი იარაღი და ტანისამოსი რაზმელებს გადასცეს, ხობის მთაზე დიდი კოცონი დაანთეს და ქვეყანას აუწყეს თურქეთის წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობის დაწყება. ეს ამბავი მაშინვე ამცნეს ეკატერინეს. ეკატერინე სიხარულით ცას ეწია. ახლა თვითონაც ჩქარობდა. რომ შეტევა დაეწყოთ და ამავე დროს კავშირი დაემყარებინა აჯანყებულ პარტიზანებთან. ეს საქმე თავის უფროს მაზლს, გრიგოლს მიანდო.

რუს მოხელეებს განზრახული ჰქონდათ ჩამოეცილებინათ დედოფალი თურქეთის წინააღმდეგ ომის ოპერაციებისაგან. მეფის ნაცვლის დავალებით ბებუთოვი სწერდა ეკატერინეს: „შვილები წამოიყვანე სამეგრელოდან და თბილისში წამობრძანდით". ეკატერინე არ წავიდა, კარგად იცოდა, რომ თუ სამეგრელოს დასტოვებდა, ომარ-ფაშა მთავრად სხვა რომელიმე დადიანს აღიარებდა, მერე უფლებების დაბრუნება ძნე-

ლი იყო. დედოფალი ორ ცეცხლშუა იყო — მეფის რუსეთის მოხელეებსა და თურქეთს შუა გაჩხირული. იგი მიხვდა, რომ საჭირო იყო საკუთარი ძალა ეჩვენებინა როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის, თუ არა და ტახტსაც დაჰკარგავდა და დიდებასაც.

ომარ ფაშა კარგად ხედავდა, რომ დედოფალი აყოვნებდა პასუხს და ახლა მოკავშირეების ავტორიტეტი გამოიყენა, ჯერ ფრანგების სახელით, შემდეგ — ინგლისის სახელით წერილი აფრინეს ეკატერინესთან, აი ეს წერილებიც: „მისი უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასიის ქვეყნებში აგენტად გამომგზავნა! პატივი მაქვს გამოვუცხადო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მზად გახლავართ შეგარიგოთ თქვენ და მარშალი ომარ-ფაშა, სარდალი ოსმალოს ჯარებისა. თუ კიდევ არ დაუბრუნდით თქვენის სამთავროის რეზიდენციას, ჩვენი აზრით, ამას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, რაგორც თქვენთა უფლებათა, ისე თქვენთა ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის მხრივ, მათი მდგომარეობა დღითი-დღე გაუსაძლისი ხდება. რაიცა შეეხება ოსმალთა ჯარის ქცევას, უნდა მოგახსენოთ, რომ მისი უფროსის სიბრძნისა და კეთილშობილების წყალობით, მეგრელები იმათ ძვირს ვერ იტყვიან. გარდა ამისა, თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ შემდეგშიაც ასე კარგად მოექცევიან სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ უწესობა შინაურობაში დიდია. მეზობლები ერთმანეთს ხშირად ესხმიან თავს და აწიოკებენ; ომარ-ფაშა ამ შემთხვევაში განზე დგას, არაფერში ერევა, — ჩემი საქმე არ არისო. პირიქით, მისი განზრახვა, აგრეთვე ჩემიცა, გვაიძულებს არ ჩავერიოთ იმ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, რომელიც ოსმალოს დაუპყრია. ამიტომ თუ რამ უბედურება დაატყდა თავს სამთავროის მკვიდრთ ბრალი იმ უფროსების იქნება, ვინც საჭირო არ იყო ისე, თავის ქვეშევრდომთ თავი დაანებეს. სასტიკად მხოლოდ მაშინ მოიქცევა მარშალი, თუ შინაურმა უწესობამ საზღვარს გადააცილა. ამ შემთხვევაში ომარ-ფაშა იძულებული გახდება, ახალი მთავრობა დააწესოს სამეგრელოში, რომ თავისი ჯარი უფრო უზრუნველყოს ყოველი მოსალოდნელი ხიფათისაგან. თქვენის უგანათლებულესობისა და თქვენი შვი-

ლების საკუთარი ინტერესები მოითხოვს ეს მძიმე საქმე როგორმე ჩქარა გაათავოთ.

ჩემი ამხანაგი, ბატონი შამპუაზონი, აგენტი საფრანგეთის სახელმწიფოსი, დროებით სხვაგან გეახლათ. მაგრამ მე ვკისრულობ იმას, რომ ამ საგნის შესახებ ჩვენ ორივე ერთის აზრისანი ვართ და მისი მთავრობისაგან იგივე დარიგება აქვს, რაც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა უგანათლებულესობამ საჭიროდ დაინახოს, გეახლოთ თქვენთან. თქვენი სურვილი მაშინ შემიძლია ავასრულო, თუ უბრძანებთ გზაში არაფერი შემემთხვეს. დავშთები უღრმესი პატივისცემით უმდაბლესი და უმორჩილესი მონა-მოსამსახურე თქვენი უგანათლებულესობისა.

ფ. ლ ო ნ გ უ ო რ ტ ი".

მთავარი ბანაკი ოსმალებისა, სამეგრელო, 6 დეკემბერი, 1855 წ.

გადაიკითხა თუ არა ეკატერინემ ეს ბარათი, მიხვდა, რომ ომარ-ფაშას რაღაც უჭირდა. მიხვდა იმ ფაქტის სისწორესაც, რაც მოენეებმა პარტიზანების შესახებ გუშინ მოუტანეს ბანაკში. ახლა ირწმუნა, ნამდვილად ირწმუნა, რომ სამეგრელო ასე ადვილად არ დაემორჩილებოდა თურქეთს და ეს აჯანყებული პარტიზანები მოსვენებას დაუკარგავდნენ დამპყრობელთ. მიხვდა და გულით გაიხარა. ახლა მხოლოდ იმას ჩქარობდა. როგორმე მალე მოღებულ ბოლო თურქთა ბატონობას და მზად იყო ამისთვის საკუთარი სიცოცხლეც არ დაეშურებინა. აწრიალდა, თავისი მაზლი გრიგოლი და სახლთუხუცესი მოიხმო. ახლა მათთან გამართა მოლაპარაკება, თუ როგორ მოქცეულიყო. პირობა დათქვეს, ეს ბარათი კოლუბიაკინისთვის გაეგზავნათ და თან ეთხოვათ, რომ რუსეთის ჯარის ნაწილებს დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება, რადგან სამეგრელოში ფრიად ხელსაყრელი პირობა იყო შექმნილი მტრის დასამარცხებლად. თან პარტიზანული ჯგუფების ამბავსაც ატყობინებდნენ. კოლუბიაკინისაგან პასუხი იგვიანებდა. სწორად ამ დროს ოსმალების მთავარი ბანაკიდან ისევ მოვიდა წერილი:

„ბატონიშვილო, საკვირველი არ არის, რომ თქვენი უგანათ-

ლებულესობა ამდენს ყოყმანობს, მართალია, ამდენი ყოყმანი, როგორც მანდილოსანს, გეპატიებათ, მაგრამ თუ კიდევ გასტანს, სავალალო იქნება თქვენისა და თქვენი შვილების ინტერესებისათვის. რუსები ძლიერი იქმნენ დუნაიზე, ყირიმში, ენგურზე, ყველგან, სადაც კი მტერი შეხვდათ. თქვენს უგანათლებულესობას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ იმათ არ ძალუძთ კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნები შეირჩინონ. მერე რა ღონე უნდა იღონონ ამისათვის? არაფერი. სულ უკან, უკან იხევენ, ცეცხლს უკიდებენ თავიანთ მაღაზიებს, სურსათს. კერძო პირთა ქონებასაც არ ჰზოგავენ და ამავე დროს ვერა ბედავენ და არც შეუძლიათ გაუმკლავდნენ მტერსა.

მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში უნდა იბრძოლოს რუსეთმა, მთელი საუკუნის განმავლობაში უნდა ღვაროს თავისი ჯარის სისხლი, რომ დაიპყროს კავკასია, ეს უპატრონოდ დარჩენილი და ყველასაგან მივიწყებული მხარე.

ევროპამ ახლა თვალი გაახილა, მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადაწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივი სიბნელითა და ხიდარიბით შეწუხებული, გაანთავისუფლოს, ევროპას სურს, რომ თქვენ შუერთდეთ განათლებულ ხალხს, რომ იმ განძითა და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისთვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ.

ასე და ამგვარად, ჩვენ გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი უგანათლებულესობა კი ყოყმანობს! ნება გვიბოძეთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი უგანათლებულესობა ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა. ღმერთმა ჩაგაბარათ ინტერესები თქვენი ქვეყნისა, თქვენი შვილებისა, თქვენის კურთხეულის ხარისხისა.

აქაური ხალხი და ქვეყნები სხვის ხელში თავის დღეში არ იქნებიან, მაგრამ ვინ იცის, მოკავშირე სახელმწიფოებს შეიძლება თავი მოგბეზრდეთ თქვენი ყოყმანით. იტყვიან, ამდენ ხანს ხალხის დატოვება უპატრონოდ არ შეიძლებაო. თქვენზე იტყვიან ამდენ ხანს იმიტომ ჯიუტობს, აქედან თავისი ნებით იმიტომ გაიხიზნა, რომ მთავრობაზე ხელი აიღოო და თქვენს მაგივრად სხვა თავადს დანიშნავენ მმართველად.

მე კარგად მესმის, თუ რა ძნელია ამ შემთხვევაში თქვენი მდგომარეობა როგორც ქალისა, მაგრამ რაკი თქვენს. უგანათლებულესობას მთელი ერის უფროსობა გაბარიათ, რაკი ვალდებული ბრძანდებით იზრუნოთ თქვენი შვილების ინტერესებისათვის, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა ხელის გამოღება, რისამე გაკეთება.

თქვენო უგანათლებულესობავ, მაპატიეთ ჩემი გულახდილი ლაპარაკი. თქვენ თვითონ დაინახავთ, რომ ასე გულახდილად იმიტომ მოგახსენეთ ყველაფერი, რომ თქვენის უგანათლებულესობის მოწიწებით პატივისცემა მაქვს.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იმპერატორის ბრძანებითმყოფი მის ბრწყინვალება გენერალსიმუსს ომარ ფაშასთან.

გრაფი მეფრე.

ბანაკი და მთავარი სადგომი სოფელ ონტოფოში".

ეს წერილიც გადაიკითხა ეკატერინემ.

შემდეგ გრიგოლსა და სახლთუხუცესს წააკითხა. კვლავ თათბირი გამართეს. წერილები ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ომარ ფაშას ფრანგი და ინგლისელი იმიტომ გამოეყენებინა. რომ ეკატერინესათვის ეგრძნობინებინა, თურქეთი მარტო არ არის და მას ამ საქმეში ზურგს ინგლისი და საფრანგეთი უმაგრებენო. მაგრამ ამ ბარათში ეკატერინე ახალს მაინც არაფერს ხედავდა, ზოგ უზუსტობასაც აშკარად ატყობდა. მან უკვე იცოდა, რომ ომარ ფაშამ ქვეყნის მმართველობა სხვას დაავალა. ისიც იცოდა, რომ რუსები ყარსსა, ყირიმსა და დუნაიზე კი არ მარცხდებოდნენ, არამედ იმარჯვებდნენ და ყველაფერი ეს იმიტომ იყო მოგონილი, რომ დედოფალი მოეტყუებინათ. მაგრამ ახლა დედოფალი იმასაც წუხდა, რომ რუსი მოკავშირეები არ ჩქარობდნენ, ხოლო ქვეყანა საშინელ გასაჭირში იყო.

გასაჭირში იყო ის ჯარიც, რომელსაც ახლა ის წინ უძღოდა. წუხდა დედოფალი და გამოსავალი ვერ ეპოვა. სწორედ ამ დროს ისევ მოვიდა მაცნე სამეგრელოდან. ეკატერინეს ერთგული კაცები ატყობინებდნენ, სამეგრელოში მეტად მძიმე მდგომარეობაა. ატყობინებდნენ, რომ ხალხი ააწიოკეს, რაც

გააჩნდათ ყველაფერი წაართვეს, ხალხი მთასა და ტყეში გაიხიზნა, უკმაყოფილება თანდათან იზრდება, პარტიზანების რიცხვი თანდათან მრავლდება, მაგრამ ახლა ისინიც უკმაყოფილო არიანო. მაცნემ თქვა, გუშინ ჩემი ყურით მოვისმინე, თუ როგორ აგინებენ უტუს რაზმელები დედოფალს სამეგრელოს ამ დღეში მიტოვებისათვისო, სამეგრელო შფოთავს, საკმარისია თქვენ გამოჩნდეთ, რომ ერთბაშად ადგეს ხალხი და მტერი გადათელოსო.

ეს რომ მოისმინა, ეკატერინე უფრო გაცეცხლდა და ერთბაშად მიახალა ამბის მომტანს: „მე კი არ ვაგვიანებ. ჩემი მტრები მიწყობენ ყოველივე ამას. მე თვითონ უნდა წავიდე ქუთაისს, ვეახლო გუბერნატორს და დავუმტკიცო, რომ დაყოვნება უკვე არ შეიძლება. საჭიროა დაუყოვნებლივ შეტევის დაწყება.

სწორედ ამ დროს ქუთაისიდან ცნობა მოვიდა, რომ მურავიოვს ყარსიდან შვიდი ბატალიონი ჯარი გადმოუსროლია იმერეთში, რათა დაეხმაროს ეკატერინეს და მის რაზმს სამეგრელოს განთავისუფლებაში. ორი დღე გავიდა და ეს ჯარი ცხენისწყალს მოადგა.

დაიწყო შეერთებული შეტევა ომარ ფაშას ჯარების წინააღმდეგ. ეკატერინეს რაზმმა ცხენისწყალი გადალახა დანელიების ფონთან, ლეხაინდრაოში შეიჭრა და ბანძაში შეჩერდა.

რუსი ჯარის რეგულარულმა ნაწილებმა სამტრედიიდან აბაშისაკენ აიღეს გეზი და მთელი ფრონტით გაშალეს ოპერაცია. ომარ-ფაშამ ზუგდიდში დაბანაკებულ ისქანდერ ფაშას უბრძანა თავისი გარნიზონი მოეშველებინა.

ზუგდიდში დაბანაკებული ჯარი ისქანდერ ფაშამ ომარ-ფაშას მიაშველა. ეს ამბავი შეიტყო თუ არა უტუ მიქავას პარტიზანულმა რაზმმა, ოპერაცია განაახლა და ზუგდიდს შეუტია.

ამგვარად, სამი მიმართულებით დაიწყო შეტევა ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ. ომარ-ფაშას ჯარი მძიმე გარემოცვაში მოემწყვდა.

ადრე ეკატერინე უშუალოდ ომის საქმეებში არ ერეოდა. ფიქრობდა, მისი მაზლები გრიგოლი და კონსტანტინე, და სიძე

მუხრანსკი, ისეთი საიმედო პირები და ისეთი გამოცდილი სარდლები არიან, რომ მათ ხელში სამეგრელოს არაფერი გაუჭირდებაო, მაგრამ გაიგო თუ არა მუხრანსკის ჯარის უკან დახევა და სამეგრელოს დატოვება, მიუვარდა მუხრანსკის და რა არ უთხრა უკან დახეულ გენერალს. მუხრანსკი, თავის მხრივ, ყველაფერს გრიგოლ დადიანს აბრალებდა, გრიგოლ დადიანი კი გაოგნებული იჯდა და ხმას არ იღებდა. ეხლა იგი მზად იყო მუხრანსკისთვის სილა გაეწნა იმის გამო, რომ იგი ღალატს აბრალებდა სამეგრელოს მილიციას, მაგრამ თავი შეიკავა და გასცილდა ეკატერინესა და მუხრანსკის.

იმ ხანებში რუსეთმა დიდი ომები გადაიხადა: ხან დაღესტნის მთებში გრიალებდა რუსული ზარბაზანი, ხან კიდევ სპარსეთისა და თურქეთის არმიას ებრძოდა რუსეთის გაწვრთნილი ჯარი. ომის გრიგალმა საქართველოსაც გადაუარა. ომის ჟინით ანთებული ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდა.

1855 წლის 27 ნოემბერს ეკატერინე თავის მეგობარს. კავკასია-თურქეთის საზღვარზე ჯარების სარდალს, ბებუთოვს სწერდა:

„მე გუშინ თავადებთან და აზნაურებთან ერთად ჩამოვედი სოფელ ღანირში, მომქმედ რაზმში იმისათვის, რომ პატივი მექნეს ძლევამოსილ ჯარებთან ერთად გავინაწილო ომის მთელი სიმძიმე“.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიმართავდა ივი ბებუთოვს თხოვნით, რომ მურავიოვთან ეშუამდგომლა, რათა დედოფლისათვის რეგულარული ჯარის ახალი ნაწილები მოეშველებინა.

მერე თურქეთის წინააღმდეგ საომრად აღსდგა მთელი მოსახლეობა. თავადებისა და აზნაურების გვერდით გლეხთა რაზმებიც გამოჩნდა, სამეგრელოში პარტიზანული ომი გაიშალა.

1855 წლის 15 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს და ახლა დედოფალს მეფის ნაცვალმა მურავიოვმა ჯარის ახალი შენაერთები მოაშველა. დედოფალმა მეგრელების მილიცია ორ ჯგუფად გაჰყო — ცხენოსანთა და ქვეითთა ჯგუფებად. ერთ რაზმს სათავეში გრიგოლ დადიანი ჩაუყენა, მეორეს — კონსტანტინე

დადიანი, ფაღავას ცხენოსანთა რაზმი გრიგოლ დადიანს მიამაგრა. ჩიქოვანის ცხენოსანთა რაზმი — კონსტანტინე დადიანს და თვითონ ამ შენაერთების საერთო ხელმძღვანელობა იკისრა. მთელი ფრონტით შეუპოვარი ომი გაჩაღდა სამეგრელოს ცხენოსანთა და ქვეითთა შენაერთებისა რეგულარული ჯარის მხარდამხარ.

პოლკოვნიკ შარვაშიძის რაზმმა მტერს შეუტია სოფელ სეფიეთში.

მაიორმა სიმონ წულუკიძემ სენაკში დაბანაკებულ თურქის ჯარზე თავდასხმა მოაწყო და რამდენიმე კაცი ტყვედ წამოიყვანა.

1855 წლის 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანის მეთაურობით შედგენილი რაზმი თურქების მიერ დაპყრობილ სამეგრელოს ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრა. ეს რეიდი დადიანის დიდი გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებით დაბრუნებულმა დადიანმა რამდენიმე თურქი ოფიცერი წამოიყვანა და იარაღის დიდი ნადავლი წამოიღო.

4 დეკემბერს კი ეკატერინეშ თავის რაზმით ბანძის მიმართულებით გააგრძელა შეტევა.

ბანძაში ფაღავებმა დიდი ზეიმით მიიღეს დედოფალი და მეორე დღესვე შეტევა ნაქალაქევის მიმართულებით გააგრძელეს. ომარ-ფაშას ზემო სამეგრელოს სადაზვერვო პუნქტებში მცირე რაზმები დაეტოვებინა, რაკი რუსის ჯარის შეტევას ზღვისპირეთიდან მოელოდა.

ლეხაინდრაოდან ნაქალაქევამდე ისე გაიარა ჯარმა, რომ დედოფალს მცირედი წინააღმდეგობაც არ შეხვედრია. სამეგრელოს მილიციას სწორედ ნაქალაქევთან მოუხდა პირველი შეტაკება თურქეთის რაზმებთან. ოსმალებს ნაქალაქევის ციხე გაძლიერებული რაზმებით გაემაგრებინათ. საქმე ის იყო, რომ ეს ციხე-სიმაგრე მთელი ზემო სამეგრელოს სათვალთვალო პუნქტი იყო. ერთი მხრივ მდინარე აბაშის გაყოლებაზე მარტკილიდან მომავალი შარაგზა და მეორე მხრივ ტეხურის ხეობაში გაყოლებული დიდიჭყონი თამოკონის გზაც აქ იყრიდა თავს და თურქები მთელ ზემო სამეგრელოს აქედან უწევდნენ კონტროლს. და აი გამოჩნდა თუ არა ბანძიდან მომავალი დე-

დოფლის ჯარი, თურქებმა მოხერხებული ადგილი შეარჩიეს შეტევისათვის. სულ ახლო მოუშვეს ჯარი და სროლა აუტეხეს. ეს თავდასხმა დედოფლის ჯარისთვის მოულოდნელი იყო. ჯარი დაიბნა და ის იყო დედოფალს პირადი მცველი მოუკლეს. რომელიც გვერდით ედგა, რომ სწორედ ამ დროს ნაქალაქევის ციხეს თამაკონიდან უტუს ჯარი მოადგა. აქედან შეტევას არ მოელოდნენ ოსმალები. ეს ფლანგი სავსებით გაშიშვლებული იყო. დედოფლის ჯარიც შეტევაზე გადავიდა და თურქები შედრკნენ, იფიქრეს, ალყაში მოვექეცითო და გაქცევა სცადეს. სწორედ ამ დროს ქართველებმა ორივე მხრიდან დაუშინეს თურქებს. მერე იძალეს ოსმალებმა, მაგრამ ქართველებმა ბრძოლით გაარღვიეს ნაქალაქევის ალყა და ტეხურის ბოგირზე დაუშინეს უკან დახეულ ოსმალებს. უტუს რაზმმა ზემოდან ატეხა სროლა და ახლა დედოფალმა თავის თვალით დაინახა, როგორ გადაცვივდნენ დაჭრილი თურქები ტეხურში, თურქების გადარჩენილმა ნაწილმა ძველი სენაკისკენ მოკურცხლა. ეკატერინეს მოახსენეს, უტუს რაზმელები იყვნენ, გაღმიდან რომ ესროდნენ თურქებსო. დედოფალმა ბრძანა მოეხმოთ უტუ. სირმებიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, იარაღასხმული უტუ მიქავა წარუდგა ეკატერინეს და დედოფლის პატივსაცემად თავი დახარა.

— მადლობელი ვარ, უტუ!

— ღირსი არა ვარ, დედოფალო, თქვენი მადლობისა.

— სწორედ რომ ღირსი ხარ, ამიტომაც მომიტევებია შენთვის ყველაფერი, — ეს თქვა და სახლთუხუცესს შეანათა თვალი დედოფალმა. — არა, საიდან გაჩნდი აქ წინასწარ შეთანხმებულივით?

— დედოფალო, მას შემდეგ, რაც ჯარმა სამეგრელო დატოვა, უბედურ დღეში ჩავცვივდით. აიესო მოთმინების ფიალა და ტყეში გავიხიზნეთ, იქ რაზმი შევადგინეთ და გადავწყვიტეთ შური ვიძიოთ მტერზე...

მერე სწრაფად უამბო უტუმ რომ თურქები მეგრელ ქალიშვილებზე და ვაჟებზე ნადირობენ და ტყვედ მიჰყავთ ოსმალეთშიო.

აქ შეჩერდა უტუ და ასე იფიქრა, მოდი ვისარგებლებ შე-

ძთხვევით და ვეტყვი დედოფალს, როგორ გამოსტაცეს თურქებს ტყვეები და ცირაზე ჯვარის დაწერის პატიებას ვთხოვო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, ახლა ომია და რა დროს ჩემი კერძო საქმის განკითხვაო.

დედოფალმა სიტყვა მიაშველა.

— რამდენი კაცია თქვენს რაზმში?

— ბევრი. ძალზე ბევრი, დედოფალო!

— რაკი ასეა, შეუერთდით ჩვენს მილიციას. თავადებისა და აზნაურების ჯარს.

უტუს მოაგონდა, როგორ აბეზღებდნენ თავისივე ყმებს გაბღენძილი ბატონები თურქების წინაშე და უნდოდა ეთქვა, თავადებისა და აზნაურების ნდობა ძნელიაო, მაგრამ გადაიფიქრა და ასე მოახსენა დედოფალს:

— არა, დედოფალო, ეს არ ივარგებს, თავადები და აზნაურები იუკადრისებენ ამას.

არ მოეწონა დედოფალს ეს პასუხი, მაგრამ მაინც უთხრა:

— თურქები აზნაურებისა და თავადების მტრებიც არიან და გლეხებისაც.

— ეს მართალია, დედოფალო, თავადების, გლეხების და მთელი საქართველოს მტერია თურქეთი.

არც ასეთი თამამი პასუხი მოეწონა დედოფალს.

— მაშ კარგი. — ბრძანა დედოფალმა, — რაკი ჩვენთან არ მოისურვეთ ყოფნა, იყავით ისე, როგორც ხართ და აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ ხმალსა და მამულს.

— ეს ჩვენზე იყოს, დედოფალო, მანამ არ მოვისვენებთ და მტერსაც არ გავახარებთ, სანამ თუნდაც ერთი თურქი იპოვნებს სამეგრელოში.

ესა თქვა უტუმ. ისევ თავმდაბლად დაუკრა თავი დედოფალს, მერე თავის რკინის ძმებს მოაშურა და უტუს პარტიზანები ისევ ტყეს შეეფარნენ.

ყოველმხრივმა შეტევამ დაარწმუნა ომარ ფაშა, რომ ომი წაგებული იყო და უკან დაიხია. დეკემბერი იყო და გადაუღებლივ წვიმდა, ისე როგორც ეს ზღვისპირეთში იცის. ჯარი ტალახში ეფლობოდა და წასვლა ჭირდა. ომარ ფაშა ჩიოდა: „36 ქვეყანა მოვიარე. არსად ისეთი ტალახი არ მინახავს, რო-

გორც სამეგრელოში". ტალახსა და ტლაპოში ჩაფლულ ჯარს თავს ესხმოდნენ პარტიზანები. გაჯავრებული ომარ ფაშა შურს იძიებდა მშვიდობიან მოსახლეობაზე.

ასევე სწვავდნენ სასახლეებსა და ეკლესიებს, ციხე-სიმაგრეებსა და ხიდებს, სწვავდნენ ვაჭრების დუქნებსა და მაღაზიებს. ერთი ვაჭარი ჩიოდა, ჩვენი სანუგეშო ზუგდიდის დუქნები დაწვესო. მერე რაზმორდუკის ზუგდიდის ძაფსახვევი ფაბრიკაც დაწვეს (თუმცა შემდეგ გამოირკვა, რომ რაზმორდუკი ოსმალეთს ეთამაშებოდა და მიყენებულ ზარალის სანაცვლოდ კონსტანტინეპოლში 15 ათასი მანეთი ოქროთი გადაუხადეს ამ ფრანგ მრეწველს), უკანდახევისას მთლიანად გადაწვეს ყულევის ნავსადგური და სოფელი. ხოლო ჯარის ჰოსპიტლის ნაწილებს ისქანდერ ფაშამ განკარგულება მისცა 10 ცხენოსანი ასკერი დაეტოვებინათ დადიანების სასახლეში. და, როცა ზუგდიდს გაცილდებოდა, ამ ათ კაცს უნდა გადაებუგა სასახლე და მისი ბაღი.

ხანძრის გასაჩენად ყველაფერი წინასწარ მომზადებული იყო. გავიდა ჯარი და ერთი საათის შემდეგ ზუგდიდის ცა ცეცხლის ენებმა დასერეს. მთელი ქალაქი ერთბაშად უშველებელ ალში გაეხვია.

შიშიანობისაგან დაცარიელებულ ქალაქში არავინ იყო მიმშველებელი, ხოლო ისინიც, ვინც ქალაქში დარჩნენ, თან გაერეკათ თურქებს. ხანძრის ალი კი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ზღვაური დაუბერავდა თუ არა, ველსა და ბაღებს ზედ გაეკვროდა ცეცხლის ალი. ქარი ჩადგებოდა და ცეცხლი ისევ აბრიალდებოდა, ზეცას სწვდებოდა. ზუგდიდს ცეცხლი ეკიდა, იწვოდა სასახლე. ბაღი. ხალხის შრომით და ოფლით შექმნილი და მონაგარი.

გიზგიზებდა ცეცხლი, მთელი ღამე ტიროდა ახლად აკვირტებული სასახლის ბაღის ხეები.

გათენებისას უტუს პარტიზანებმა შენიშნეს შორიდან ცაში ავარდნილი ალი და სასახლისაკენ დაიძრნენ. როცა ისინი ზუგდიდს შემოვიდნენ. სასახლე და ბაღი ცეცხლში იყო ჩანთქმული. დიდი შრომა გასწიეს პარტიზანებმა, რა არ იღონეს: დოქებით, კოკებით, კასრებით ზიდეს და ასხეს წყალი. გამ-

ძვინვარებულ ცეცხლთან ბრძოლაში ვერაფერს გახდნენ, მაგრამ სასახლის ავეჯის დიდი ნაწილი მაინც იხსნეს და გადაარჩინეს.

მეორე დღეს, როცა ეკატერინეს ჯარი ზუგდიდს შემოვიდა, ხანძარი უკვე ჩაექროთ, მაგრამ ქვის კედლების გარდა არაფერი იყო გადარჩენილი. ბაღი კი ახლაც იწვოდა, მის დახეთქილ კვირტებს და დანახშირებულ შტოებს ისევ გაჰქონდა ტკაცანი და უსიამო ბოლის სუნი იდგა.

გაცეცხლდა ეკატერინე. აღარ იცოდა რით და როგორ მიეზღო სამაგიერო მტრისათვის. უკანდახეული ომარ-ფაშა ენგურს უახლოვდებოდა. ახლა ეკატერინე აღგზნებით მიმართავდა თავის რაზმელებს: „არ დაინდოთ ომარ-ფაშას ჯარი, როგორც მან არ დაგვინდო, სამაგიერო, სამაგიერო მიუზღეთ მტერს!“.

დედოფალი შეჯდა თავის ცხენზე და გაუძღვა რაზმს ენგურისაკენ. ხმალამოღებული ეკატერინე ცხენს ენგურისაკენ მიაქროლებდა. დედოფალი ასე აღგზნებული და ამხედრებული არავის უნახავს, პირდაპირ უკვიდრათ მისი ვაჟკაცობა, სიმამაცე და თავდადებულობა. სწორედ ენგურთან გაიმართა უკანასკნელი შეტაკება. აქ მრავალმა ქართველმა ისევ ისახელა თავი. მძიმედ დაჭრეს სამეგრელოს ცხენოსანთა რაზმის მეთაური ჩიქოვანი, უტუს რაზმის გამოჩენილი ახალგაზრდა უშიშარი მეომარი ივანე თოდუა და სხვანი მრავალნი. მაინც სძლიეს მტერს და იმ საღამოს ენგურის იქით გადაყარეს.

1857 წლის გაზაფხულზე უკვე გარეკეს ოსმალეთის ჯარი, გაანთავისუფლეს მთელი ზღვისპირეთი, როდესაც ეკატერინე სასახლეში დაბრუნდა და გაიგო, რომ უტუ მიქავას ომარ ფაშასაგან ტყვედ წაყვანილი მისი პირფარეში ცირა გაუტაცნია და ცოლად შეურთავს, განრისხდა. ჩემი მოახლე ქალი ჩემს უკითხავად როგორ შეირთო, ეს როგორ გამიბედაო.

სახლთუხუცესმა ჩიქოვანმა თავის მხრით ბრძანება გასცა, უტუს რაზმელებისათვის ცხენები და საჭურველი იარაღი ჩამოერთმიათ. უტუმ ეს დიდ შეურაცხყოფად ჩათვალა და იმავე ღამეს ცხენებითა და იარაღით აღჭურვილი თავისი პარტიზანი ძმები სასახლიდან ჩუმად გააპარა. სახლთუხუცესი განრისხ-

და და უტუს რაზმელებს მოურავი და ჩაფრები დაადევნა შესაპყრობად. მაგრამ ჩიქოვანის კაცებმა ვერსად მიაგნეს უტუს ასავალ-დასავალს. ყველას გაუკვირდა ეკატერინესა და სახლთუხუცესის განრისხება, რა დროს ეს იყო, უტუმ და მისმა რაზმმა თავი დადო სამშობლოსათვის, ხმალამოღებული მკერდს უშვერდნენ ომარ-ფაშას ტყვიას, ომარ-ფაშას მიერ მიტაცებული ტყვეები თვითონ მათ გაანთავისუფლეს, ეკატერინესაგან მიტოვებული სამეგრელოს მტრებს ზურგში ლახვარს სცემდნენ, აკლებულსა და შევიწროებულ ხალხს იცავდნენ, და ახლა მადლობის ნაცვლად დედოფალი და სახლთუხუცესი პატიმრობით დაემუქრნენ.

ენგურის პირას თავის რაზმელებს ასე მიმართა უტუმ:

— ჩვენი საშველი არ არის, თურქები ხომ ჩვენი მტრები და სისხლისმსმელები იყვნენ. დიდის ვაგლახითა და უბედურებით მოვიცილეთ ეს მტერი. ახლა გვეგონა დედოფალი ჩვენთვის სიკეთეს გაიღებდა, დაგვაჯილდოვებდა და აი, განკარგულება გაუცია, უტუს რაზმელები შეიპყარით და მომგვარეთო. ურჩობად გვითვლის, რაშიაც მადლობა გვეკუთვნის. რა ვქნათ ძმებო, დავნებდეთ დედოფალს, ეგებ ვინმე იყოს თქვენს შორის, რომელიც შემიპყრობს და დედოფალს ჩააბარებს ჩემს თავს.

— არა, ვინა სთქვა ეს?! — ერთხმად იქუხეს რაზმელებმა.

პოლოს დიდის ყაყანისა და ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, დაეშალათ რაზმი და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში.

ეკატერინეს კი, თავის გადამწვარი სასახლის საქმეებით გართულს, ამჟამად არ გახსენებია უტუ მიქავა და მისი რაზმელები.

აი, ეკატერინე დგას შუა ეზოში და ცხვირ-პირში სცემს გარუჯული ხეებისა და გადამწვარ შენობათა ბოლის სუნი. ყველაფერი ცეცხლით და კვამლით სუნთქავდა. ამის შემხედვარე ეკატერინეს გული შეუღონდა და იქვე სასახლის ეზოში ჩაიკეცა.

აწრიალდა სასახლის ამალა. დედოფალს ყაბალახი მოხადეს. ახალუხის საყელო გაუხსნეს და ერთბაშად ორად დაწნული ნაწნავი ჩამოეშალა, თითქოს თმას იწეწავს, რომ ოჯა-

ხის უბედურება შეიცხადოსო. ეს შენიშნეს და უფრო აწრიალდნენ სასახლის ჭირისუფლები. იქვე ახლო თურქ ტყვეთა ჯგუფი იდგა. მოიხედეს და თვალი ჰკიდეს; ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ მეომარს თმა ჩამოშლოდა — გაოცებულებმა იღრიალეს: „ალაჰ, ალაჰ, თურმე ქალი ყოფილა, ქართველების სარდალი, ალაჰ, ალაჰ. ომარ-ფაშას, ჩვენს სარდალს თურმე ქალები ებრძოდნენ და მაინც დაგვჯაბნეს". — ეს რა უბედურებაა ჩვენს თავსო, იფიქრეს და თავში ხელი წაიშინეს.

ალაჰის მავედრებელი აღრიალებული თათრები ძლივს ჩაახუმეს. ეკატერინე კი. ხელში ატატებული, იქვე სასახლის დარბაზში შეიყვანეს. როცა დედოფალი გონს მოეგო, მდივანბეგი მოიხმო, რომელიც იმ დროს სასახლეში იყო.

მდივანთუხუცესი ეკატერინეს მოუთხრობდა, თუ რა უბედური დღე დაათენეს ზუგდიდში დარჩენილ დედოფლის ერთგულ კაცებს.

— მე — ცრემლმორეული ჰყვებოდა მდივანბეგი, — დიდ დილეგში შემაგდეს, სიკვდილით მემუქრებოდნენ, რამდენჯერმე დამაწერინეს ბარათი თქვენს სახელზე, რომ შემეტყობინებინა, თუ რანაირად გელოდათ ჩვენი ხალხი. მაგრამ. ალბათ ამ ბარათებს თქვენამდე არ მოუღწევია. მაწამეს, ყოველ წვრილმანზე მცემდნენ და მაბეზღებდნენ. ის კია, დედოფალო, უნდა მოგახსენო, რომ ნიკო დადიანის შვილი, რომელსაც შენს ადგილს სთავაზობდნენ ომარ ფაშას კაცები, უკმაყოფილო იყო.

და ახლა მდივანბეგმა ნიკოს შვილის, გიორგის კაი კაცობის ამბავი უამბო დედოფალს.

ნიკოს მამა, გიორგი დადიანი კაცია დადიანის მთავარსარდალი იყო. მან მონაწილეობა მიიღო რუხის ომში (1780) და თავიც ისახელა. ბესიკმა, რუხის ომის მონაწილემ და პოემის „რუხის ომის" ავტორმა, ასეთი სტრიქონები მიუძღვნა გიორგი დადიანის გმირობას:

> გიორგისგან განახლეჩთა კაცთა იდგა სისხლის ტლაპნი,
> მისძახდიან თქვენცა იცით, ასე გვწვრთნიდნენ მამაპაპნი
> მარდი, სწრაფი, მკვრელი ხმლისი, გამკვეთიცა ალმასისი,
> სახით ამო, საწადისი და სახელით მხედრებს ისი.

ეს სტრიქონები, როგორც ჩანს, დიდი ნიკოს მამამ, გიორგი დადიანმა დაიმსახურა. გიორგი დადიანმა შესაფერისად აღზარდა თავისი შვილი და აი, ეს ფრიად განათლებული კაცი, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, 1812 წლიდან სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის მსაჯულთუხუცესიც იყო, მთავარსარდალიც, უმაღლესი მრჩეველიც, ვეზირიც და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელიც. ფაქტიურად ლევან დადიანის დროს სამეგრელოს საქმეებს ის განაგებდა.

ნიკო დადიანმა თავი ისახელა 1828 წელს ფოთში თურქების წინააღმდეგ ომში, ამის გამო კიდეც დააჯილდოვეს, მისი „დასტურ-ლამა" კი „ივერიაში" დაიბეჭდა. ამის გარდა, ნიკო დადიანს მრავალი წერილი ჰქონია ფილოსოფიის, პოლიტიკის, ისტორიის საგანზე დაწერილი, რაც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. ნიკო დადიანსა და დავით დადიანს შორის უთანხმოებამ პირველად 1832 წელს იჩინა თავი. ნიკო დადიანის უფროსობასა და განკარგულებებს ვერ იტანდა ახალ წესზე აღზრდილი დავით დადიანი. ნიკო დაითხოვეს. ნიკოს სიკვდილის შემდეგ მისი შვილები გახელებით ებრძოდნენ დავით დადიანის ტახტს. სწორედ ერთ ამათგანს — გიორგის აქებდა ახლა მდივანბეგი.

ეკატერინე გაოგნებული ისმენდა მონაყოლ ამბავს. გვიან მოეგო გონს და ის, რაც მდივანბეგისაგან ყურში ჩაესმა, ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო მისთვის. დაღლილი. დაქანცული, სასაბლის უბედურების შემსწრე ეკატერინე შფოთავდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაც განკარგულებებს იძლეოდა, თავი ვერაფრისთვის გაერთვა.

ის ღამე ძლივს გაათია ეკატერინემ ზუგდიდს. მეორე დღესვე თავისი მხლებლებით გორდს გაემგზავრა და რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მისწერა პლატონ იოსელიანს:

„მოწყალეო ხელმწიფევ, პლატონ ეგნატეს ძევ!

კარგა ხანია, რაც მე თქვენთვის წიგნი აღარ მომირთმევია და არც თქვენგან მქონია სიამოვნება წიგნის მიღებისა. მაგრამ თქვენ თვითონ მიხვდებით, რაოდენ განსაცდელში ვიქნებოდით შემოსეულის გამო მტერისა სამეგრელოშიდ. ისეთი ღმერთმან თქვენს მტერს მოუვლინოს რაოდენი განსაცდელი

და უბედურება მეგრელიას მოევლინა. ესოდენი წლის შრომა და ღვაწლი ერთად დაიკარგა. ს-დ ამ ომიანობისა სისხლის დათხევა მათი ამაო დაშთა. მტერმა აოხრა და ნაცვლად კეთილისა ჩვენმა სიძემ და დადიანის ოჯახის ერთგულად საგონებელმა მუხრან ბატონმა ღალატიც განსთქვა, მის გამო რომ მათ უმსგავსო მოქმედება მისი და სირცხვილი, რ-იც აჩვენა რუსეთის მხედრობას და იმდენად დაუბრმავდა გონება, რომ გაბედა ჩემდა მოწერაც ნომრიანის ქაღალდით ვითომც მე აღუკრძალე მეგრელთ მტერთადმი თოფის სროლა, მაგრამ ისე გაფუჭდეს ყოველი მისი ბოროტი აზრი სამეგრელოსათვის, როგორც სამეგრელო მტერმა გააფუჭა და მთავრისა მათისა ოჯახი ცეცხლის ალს მიეცა. ზუგდიდი აღარ არის. იქაური თექვსმეტი წლის ნაშრომი ბაღი, რომელიც კავკასიის მხარეში კი არა, უცხო ქვეყნებშიც მოსაწონი იყო. მტერმა აღგავა, ყ-ლი ხილი. ყვავილი და უცხო ქვეყნის მცენარეები ზოგი წაიღეს და ზოგიც დასჭრეს. პარიჟელი და სხვა მებელი რაც იყო, წაიღეს და მთელი ოჯახები და გარემო მისი მტვრად აქციეს... კარგად განსჯით რა სამწუხარო მდგომარეობაში ვიქნებით. მიშთება აწ ერთადერთ ნუგეშად ჩემი შვილების მშვიდობა და მათი სიმრთელის მთხოვნელი ვარ ღმერთისადმი. ივანე და მისი ცოლ-შვილი და მისნი თანამზრახნი ღაღადებენ ჩვენს ღალატს. უბედურია ამ დროებით მეგრელია, გარნა ვსასოებ ოდესმე ყ-დ მოწყალე ხელმწიფე ნუგეშს გვცემს ნაცვლად მართლისა მწუხარებისა, ახლა რომ ყოველი ნამყოფი სრულიად სამეგრელოისა გაოხრდა, ყმაწვილი და ყმანი წარჯახნეს, ეკლესიანი შეურაცხყვეს, კურთხეულ არს ღმერთი.

სხვაებრ გთხოვთ მასიამოვნოთ თქვენის მშვიდობის სმენით, რომელსაც მივიღებ მარად სასიამოვნო ჩემდა... ამ ზამთარს ვართ საგაზაფხულო სასახლეში გორდს, წარმოიდგინე როგორი სამყოფი იქნება.

მტერი 28 იანვრისათვის შ-დ ზუგდიდის დაწვისა და აოხრებისა წავიდნენ ანაკლიასა და ყულევში და როგორც იტყვიან, მიდიანო სულ ჩვენის ქვეყნიდან".

ამ წერილსაც ეკატერინემ საკუთარი ხელით მიაწერა:

„ჩემის ხელით ვერ ვწერ, ჩემო პლატონ, ამდენ მწუხარებისაგან ისეთი ძნელი თავის ტკივილი მაქვს ავარდნილი.

მარად პატივცემული მთავრინა ეკატერინე.

2 თებერვალი, 1856 წელი.

გორდი“.

ეკატერინემ ეს წერილი გააგზავნინა, თითქოს გული დაიმშვიდა თავისი სინდისის წინაშე, რომ ერთხელ კიდე ამხილა მუხრან-ბატონის ორგულობა და განადიდა თავისი სამთავროს ღვაწლი და შრომა მტრის წინააღმდეგ ომში. მართლაც ჰქონდა მას საამაყო: თავის ჯარისკაცებთან ბანაკში ორი თვე თითქმის ისე გაატარა, რომ ცხენიდან არ ჩამომხდარა...

1856 წლის 19 მარტს დაიდო პარიზის ზავი, რომლის ძალით ყარსი ისევ ოსმალეთს დაუტოვეს, ხოლო სევასტოპოლი — რუსეთს.

მთელი ზამთარი დარჩა ეკატერინე გორდს. უამრავი განკარგულება გასცა და ეხლა სალხინოსაკენ გასწია. სალხინოშიაც სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ საწყენი ის იყო, რომ ახალი სასახლის მშენებლობა შეეჩერებინათ. დედოფალმა მოიხმო სახლთუხუცესი დავითი, განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ განეახლებინათ სასახლის მშენებლობა და მეორე დღესვე თავისი მცირე ამალით ისევ ზუგდიდს დაბრუნდა.

ზუგდიდში ჩამოსული დედოფალი კვლავ შეუდგა თავისი შინაური საქმეების მოგვარებას. ომარ-ფაშაისაგან შეწუხებული თავიანთი სახლებიდან აყრილი და გადახვეწილი ხალხი ნელნელა აბრუნდებოდა, მაგრამ სამთავროში წესრიგი და მშვიდობა ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული. ეკატერინემ მეორე დღესვე დაიბარა ბოქაულთუხუცესი, მდივანთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, თავისი მაზლები, გიორგი და კონსტანტინე და სასახლის განახლების გეგმის შედგენას შეუდგა. დედოფალი ფიქრობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ერთ წელიწადში აღედგინა გადამწვარი სასახლე. მან აღდგენის გეგმა გააცნო შეკრებილთ, ხმა არავის ამოუღია, ყველანი უსიტყვოდ დამორჩილდნენ დედოფალს.

ასე გაილია აპრილი, პირველ მაისს ცნობა მოვიდა სასახლეში, მოსკოვში ახალი იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის კურთხევაა დანიშნული და 26 აგვისტოს ეკატერინე

ალექსანდრეს ტახტზე ასვლის ცერემონიალზე არის მიწვეული. კვლავ აწრიალდა დედოფალი. პირველად მიემგზავრებოდა პეტერბურგს, და ახლა ამ გოროზსა და ამაყ ქალს უნდოდა ყველაფერი ისე მოწყობილიყო, რომ იქ, მოსკოვსა და პეტერბურგში განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო. ეკატერინე სამზადისს შეუდგა, თვითონ შეარჩია ამალა, რომელიც თან უნდა გაჰყოლოდა. ამ ამალაში ოცდახუთი რჩეული და ულამაზესი ვაჟკაცი იყო. სათითაოდ იზრუნა მათს გამოწყობაზე. ვაჟები საგანგებოდ შეკერილ თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოაწყო და ზუგდიდელ მეუნარგიას მიერ გამოჭედილი ქამარ-ხანჯალი შემოარტყა. ახლა ქალები! თვითონ ნახულობდა ქართულ კაბებს. რომლებიც ამ ქალებისთვის იკერებოდა. შვიდი ულამაზესი ქალი მიჰყავდა თან ეკატერინე ჭავჭავაძეს, მათ შორის თავისი და — ნინო გრიბოედოვა.

როდესაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, დედოფალმა მაზლები გრიგოლი და კონსტანტინე მოიხმო, სალხინოდან სახლთუხუცესი გამოიწვია. და ეს საზეიმოდ გამოწყობილი ამალა წარუდგინა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ეს საგანგებოდ დადგმულ სპექტაკლს ჰგავსო, ყველას მოწონება და აღტაცება დაიმსახურა.

ეკატერინემ ბრძანა, რომ მის აქ არყოფნის დროს სამთავროს საქმეებს მისი უფროსი მაზლი გრიგოლი უხელმძღვანელებდა, ხოლო კონსტანტინე თან გაჰყვებოდა პეტერბურგს. გრიგოლს გააცნო თავისი გეგმები და სთხოვა მზრუნველობა და ზედამხედველობა არ მოეკლო სამთავროს საქმეებისათვის. შემდეგ ცალკე მოიხმო სახლთუხუცესი ჩიქოვანი და გულჩუყებულმა და ცრემლმორეულმა უთხრა: „დავით ჩემო, შენ, შენ მაინც იცი, თუ რა უბედური ქალი ვარ მე. არც ქმარი, არც დედა და მამა... გარდა ნინოსი, არავინ შემრჩა. მე მარტო ვარ, მარტო ამხელა ქვეყანაზე, მაგრამ მჯერა შენი, შენ არ მიღალატებ, მარტო არ დამტოვებ. მხოლოდ შენ გესმის ჩემი გულის ნამდვილი განზრახვა და წუხილი, ამიტომ მეტს არაფერს გეტყვი, მხოლოდ გავალებ მიხედო სამთავროს. შენ კარგად იცი, რომ მე არც ჩემი მაზლი გრიგოლი გამიტანს, არც ქუთაისის გუბერნატორი და არც მეფის ნაცვალი, რომლებიც სათითაოდ მეფიცებიან ერთგულებას და მპირდებიან

დახმარებას. არა, ყველა მათგანს სურს, რაც შეიძლება მალე მომიცილოს თავიდან, ხელი ამაღებინოს ჩემი ქვეყნის მართვაზე. ეს შენც იცი და მეც. მაგრამ სანამ პირში სული მიდგას, არავის დავანებებ ჩემს სამთავროს. სანამდის ჩემი შვილები არ შემცვლიან, არავის აქვს უფლება ხელმწიფისა და ღმერთისაგან მონიჭებული ეს უფლება წამართვას, მაგრამ შენც ხედავ და მეც, რომ ჩემი საქმე თანდათანობით რთულდება. ვინც მეგობრები და ახლობლები მეგონენ, ისინიც მღალატობენ.

აი, ბოროზდინი ჩემი შვილების გასაზრდელად გამომიგზავნეს. კაცმა რომ თქვას, მართლაც განათლებულია და თავაზიანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ისიც მოისყიდეს და, შენც იცი, რომ იძულებული გავხდი გამეგდო სახლიდან.

ვიმეორებ, ისევ და ისევ შენი იმედი მაქვს".

აქ შეჩერდა დედოფალი. ცრემლი მოერია, კინაღამ წაიქცა, მაშინ დავითმა ხელი შეაშველა და სავარძელში ჩასვა.

დედოფალმა ღონე მოიკრიბა და განაგრძო:

— მაშ ასე, ჩვენ წავალთ პეტერბურგს. სასახლის მშენებლობა არც აქ, ზუგდიდში შეაჩერო და არც სალხინოში. ყველაფერი იღონე, რომ ჩემი ჩამოსვლისათვის ან ერთი დაამთავრო და ან მეორე. და თუ ორივეს დაამთავრებ — ამას რა ემჯობინება! მართალია, ფორმალურად გრიგოლი დავტოვე მმართველად, მაგრამ ნამდვილი მმართველი და ჩემი ნამდვილი იმედი შენა ხარ.

ეკატერინე ადგა. წელში გაიმართა, თვალები შეანათა დავითს და პირდაპირ უთხრა:

— იცოდე, შენ მრავალმხრივ ხარ დავალებული ჩემგან და არავინ შეგაცდინოს, ჩემი ღალატი და გადადგომა ნურავის ჰგონია ადვილი იყოს.

პეტერბურგში გამგზავრების წინ დედოფალს კიდევ ერთი საზრუნავი დარჩა: ქმრის, დავით დადიანის ანდერძის აღსრულება.

სიკვდილის წინ დავით დადიანმა დედოფალს ანდერძად დაუტოვა: მისი სულის მოსახსენებლად და ბავშვებისა და ეკატერინეს შესაწევად პალესტინაში, როგორც ამას მისი წინაპრები ჩადიოდნენ, შეწირულებანი გაეგზავნათ. დედო-

ფალმა ამ ანდერძის შესასრულებლად უკვე ყველაფერი მოამზადა და ახლა ის იყო დაუძახა მდივანს ხოშტარიას და ვრცელი წერილი მისწერა პალესტინის პატრიარქს:

— „უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარქსა წმინდისა ღ-ს ქალაქისა იერუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა კირილეოსს:

უწმინდესო მეუფეო!

განგებამან ზეგარდმომან რომელ მიუწვდომელთა საიდუმლოებათა თვისთამებრ მართავს და განაჩინებს ყოველსავე აღგებულსა წმინდისა ნებისამებრ თვისისა, სათნო იჩინა დაობლებად სამთავროისა სამეგრელოისა, სახლის მთავარი სამეგრელოისა დიდი რუსეთისა იმპერიის ღენერალი მაიორი და კავალერი და ჩემი უმოწყალესი და უძვირფასესი ქვეყნიერის დიდება და გვირგვინი, მეუღლე დავითი ლეონის ძე დადიანი ლ-სა რიცხვსა აგვისტოსა ჩყნგ-ს წლისა აღწოდებული იქნა აქაით საუკუნოსადმი ცხოვრების ოთხ ათეულ მეპირველესა წელსა თვისა შობიდან.

უნუგეშო მგლოვიარესა ქვრივსა მისს რომელსა ნეშტად სასოებისა დამიშთენ მცირეწლოვანი, ორნი ძენი — პირველნი აწ მთავარი სამეგრელოისა ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი ასაკითა ცხრისა წლისა და უმრწმესი ანდრია და ორნი ასულნი სალომე და თამარი. უსამღვთოესს ვალად მაქვნდა აღსრულებად უკანასკნელის ნების მისისა, რომელი სავსე იყო მხურვალებითა სარწმუნოებისადმი".

შემდეგ ეკატერინე ამ ვრცელს ბარათში წერდა იერუსალიმის პატრიარქს, ვასრულებ მეუღლის დავით დადიანის ნებას და ვაგზავნიო საგანგებოდ არხიმანდრიტს ჰევსხიოსს, რომელსაც თან ვატან შესაწირავადო: „ა) განმაცხოვებლად საფლავისა მხსნელისა ჩვენისა შეწირულ იქნას სამი ათასი მანეთი ვერცხლის ფულით. ბ) უწმინდესთა და უნეტარესთა მსოფლიოთა პატრიარქთა: კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა, იერუსალიმისათა — მიერთვას თვითეულს ხუთასი მანეთი ე. ი. ოთხთავ ორი ათასი მანეთი ვერცხლისა. გ) ლავრისა წმინდის საბასსა იერუსალიმში შეწირულ იქნეს ხუთასი მანეთი ვერცხლის. დ) ოცთა მონასტერთა წმინდის ათონის მთისათა წარიგზავნოს თითეულს ორმოცდაათი მა-

ნეთი ვერცხლისა: სრულად ათასი მანეთი ვერცხლისა. ვ) ყ-დ წმინდას ღვთისშობელის ჯვარის მონასტრად შეეწიროს ორასი მანეთი...

ესე იგი სრულიად ექვს-ათას შვიდასი მანეთისა ვერ-ცხლად".

შემდეგ წერილში ეკატერინე ისევ მიმართავდა პატრიარქს თხოვნით მიეღო აგრეთვე შეწირულება „ერთი ყუთი ვერცხ-ლის სამგზავრნი სახმარნი ჭურჭელნი", ესეც დავითის ნებისა-მებრ სამეგრელოს ეპისკოპოსის ჭყონდიდელის ანტონის სულის მოსახსენებლად შეგვიწირავსო. ამის მიხედვით, წე-რილს თან ერთვოდა სია: „ორი ხონჩა, ერთი დიდი და მეორე უნცროსი, ექვსი თეფში, თორმეტი სუფრის კოვზი, თორმეტი ჩანგალი, თორმეტი დანა ვერცხლის ტარითა, თორმეტი ჩაის კოვზი, ორი შანდალი, ერთი ჩაიდანი შიგნით ოქროთ დაფე-რილი, ერთი სარძევე შიგნით ოქროთ დაფერილი, ორი სამა-რილო ოქროთ დაფერილი"...

ერთხელ კიდევ გადაიკითხა მდივნის მიერ დაწერილი წე-რილი ეკატერინემ, ხელი მოაწერა და თარიღი დაუსვა „12 მაისი 1856 წელი". შემდეგ Სახლთუხუცესი და არხიმანდრიტ ჰევსხიოსი იხმო. მთელი ეს განძეულობა და წერილი ჩააბარა და სამგზავროდ საიმედო კაცები გაატანა. როცა ყველაფერ ამას მორჩა, დედოფალმა შვებით ამოისუნთქა. ახლა მას პე-ტერბურგში დამშვიდებულს შეეძლო გამგზავრებულიყო: ქმრის საფლავიც მოვლილი იყო, თურქეთთან ომი მოგებული და დავითის ანდერძიც შოგვარებული.

პეტერბურგში გამგზავრების წინ წერილი მისწერა პლა-ტონ იოსელიანს:

„მოწყალეო ხელმწიფევ, პლატონ ეგნატეს ძევ!

რუსებთან გამგზავრებული ვისურვებ თქვენთვის ყ-სა კე-თილსა და დაბრუნებულზე მშვიდობით თქვენთან ნახვას, იმე-დი მაქვს თქვენსა ნაცვლად გისურვებთ და გილოცავთ, რომ ღირს ვიქნეთ შესაბამ წარსდგომად წინაშე ყ-დ მოწყალის ჩუ-ვენის ხელმწიფის და დიდებულის მისის კარისა, რომ ჩემნი წვრილნი შვილნი უვნებლად და სიმრთელით მოიქცნენ იქე-დამ ხელმწიფის ყურადღებით. ნუგეშცემულნი და წარსული მწუხარებისაგან ამსუბუქებულნი. ამ ლოცვას დარწმუნებუ-

ლი ვარ ყოველ დღე წარმოსთქვამს პირი ღმერთისა წინაშე, რომ მისი შეწევნით გვექნეს სასიამოვნო მგზავრობა, რომ მე ჩემის ხელით ვერ ვწერ წიგნს მისთვის, ვბოდიშობ, მაგრამ მიხვდებით თუ რა საშინელი და გაუვალი შრომა და მოუსვენრობა მექნება გამგზავრებისათვის მზადებასა და წყობის გამო. მშვიდობით სასიამოვნო ნახვამდის, რასაც გისურვებ თქვენთვის მარადის პატივმცემელი მაღალკეთილშობილებისა".

მდივნის მიერ დაწერილ ამ ტექსტს საკუთარი ხელით მიაწერა ეკატერინემ:

„მარად პატივცემული მთავრინა ეკატერინე.

1 ივლისი 1856 წელი. გორდი".

რამდენიმე დღის შემდეგ ეკატერინეს მთელი ამალა ფოთში, გემში ჩასხდა, ოდესისაკენ აიღეს გეზი. ეკატერინემ თან თავისი ბავშვებიც წაიყვანა. ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი ბავშვების წაყვანა, მაგრამ მეფის ნაცვალმა საგანგებოდ შემოუთვალა დედოფალს, ბავშვებიც წაიყვანეო. მეფე ალექსანდრე კეთილი კაცია, შენს ბავშვებს რომ ნახავს და შენს მდგომარეობას გაიგებს, ყოველგვარ მოწყალებას გაიღებსო.

ნამდვილად კი დიდი და საიდუმლო განზრახვა ჰქონდათ. უნდოდათ ეკატერინეს ბავშვები პეტერბურგში დაეტოვებინათ, ვითომ აღსაზრდელად, შემდეგ ეკატერინეც გაეწვიათ და ამით ადვილად, გაურთულებლად ხელი აეღებინებინათ სამეგრელოს დედოფლობაზე. ამ მხრივ ყველაფერი გამოანგარიშებული იყო. ამიტომაც დიდი ამბით გააცილეს ფოთიდან და ასეთივე დიდი ამბით დახვდნენ ოდესაში. სამეგრელოს დედოფალი დიდი ზეიმით იქნა მიღებული მოსკოვის კრემლის სასახლის კარზე. იქ, პეტერბურგში ეკატერინეს და მისი ამალას გამოჩენამ ხომ დიდი განცვიფრება გამოიწვია.

ეკატერინე უკვე 37 წლისა იყო, მაგრამ ისევ ბრწყინავდა და თავის დასთან ნინოსთან ერთად მთელს მეფის ამალაში გამოირჩეოდა. მაგრამ ამ შესანიშნავ წყვილს დიდ იერსა და სილამაზეს მატებდა ის საგანგებოდ არჩეული ამალა, რომელიც გარს ეხვია ეკატერინეს. თვითონ ეკატერინეს, ქართულ კაბაში გამოწყობილს, მკერდზე ებნია წმინდა ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენი... მას გვერდით ედგა შავგვრემანი,

ოდნავ მასზე დაბალი, შავ ქართულ კაბაში, ნინო გრიბოედოვა, შემდეგ — რამდენიმე ქალი. მათაც ასევე ქართული კაბები ეცვათ. უკან მოჰყვებოდნენ თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თავადები, რომელთა სათავეში უმცროსი მაზლი კონსტანტინე იდგა. ყველას აცვიფრებდა ეს საგანგებოდ შერჩეული ამალა. საიდან არ იყვნენ აქ მეფის კურთხევაზე ჩამოსული: რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან, მაგრამ არავის გამოუწვევია ისეთი ინტერესი, როგორიც ეკატერინეს და მისი ამალის გამოჩენამ მოახდინა. ყველაფერ ამას ის ემატებოდა, რომ რუსეთში უკვე იცოდნენ და ახლა, მეფის კურთხევაზე, ეკატერინეს ყველა ულოცავდა იმ საარაკო ვაჟკაცობას, რომელიც ოსმალების წინააღმდეგ ომში გამოეჩინა. ყველას უნდოდა გონების თვალით წარმოედგინა, ეს უაღრესად ნაზი და ლამაზი ქალი როგორ მიუძღოდა თავის მეომრებს ცხენზე მჯდარი, ნაბადში გახვეული, თოფიარაღასხმული. დედოფალმა ყველაზე უფრო ესპანელი ელჩი ჰერცოგი დ'ოსუნა მოხიბლა. ჰერცოგმა ეკატერინე კურთხევის ცერემონიალზე ნახა. მერე ერთ დღეს სასტუმროში ეახლა დედოფალს, მუხლი მოიდრიკა მის წინაშე, გაცნობა სთხოვა და შემდეგ მუდამ გვერდით ახლდა, მას და მის დას — ნინოს ერთი წუთითაც არ სცილდებოდა. უიღბლო მიჯნურის — ესპანელი ელჩის დ'ოსუნას ამბავი ჭორად გავრცელდა მთელს მოსკოვსა და პეტერბურგში.

კორონაციის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრემ ეკატერინე საგანგებოდ მიიპატიჟა.

პეტერბურგში ჩასული ეკატერინე მეორე დღესვე ეახლა ახლად კურთხეულ იმპერატორს. სასახლის კარზე ზეიმით მიიღეს ეკატერინე ჭავჭავაძე. როდესაც ეკატერინე წარუდგინეს ახალგაზრდა იმპერატორს, იგი ადგა, სულ ახლო მივიდა ეკატერინესთან დ დაკვირვებით დააცქერდა:

— ჰმ, დიახ ლამაზი ყოფილხართ... — და კბილები გაიკრაჭუნა იმპერატორმა, თითქოს გემოს ატანსო ნათქვამს, ისევ შეხედა და ასე უთხრა: — ლამაზი ცოტაა ითქვას, არა, თქვენ მეტისმეტი ლამაზი ბრძანდებით, მე ვიტყოდი, საშიში ლამაზიც. დიახ, ასეთი სილამაზე ქალისა უთუოდ საშიშია, — და ხმამაღლა გაიცინა იმპერატორმა. იმპერატორის სი-

ცილზე მთელი ამალა აროხროხდა. მერე ხელი მოკიდა იმპერატორმა ეკატერინეს, გვერდით მოისვა და მოეფერა.

იმპერატორმა იგი თურქეთის წინააღმდეგ ომში თავის გამოჩენისათვის საბრძოლო მედლით დააჯილდოვა, ხოლო დედოფლის შვილებს: ათი წლის ნიკოს ფლიგელ-ადუტანტობა უბოძა, შვიდი წლის სალომეს — ფრეილინობა. თან დასძინა მეფემ, თქვენს ბავშვებს მზრუნველობა და აღზრდა არ უნდა მოაკლდეს, ამიერიდან მათ უფლება აქვთ ჩვენს სასახლეში იყვნენო.

ახლა ყველაზე უმცროსს მოეფერა მეფე, პატარავ — რა გქვიანო, — პატარამ ხმა ვერ ამოიღო. მაშინ ეკატერინემ მიაშველა, მეფე ბატონო, თამარი ჰქვიაო.

— ჰო, თამარი, თამარი!... — თითქოს იმპერატორი რაღაცას იგონებსო. მერე ისევ პატარას დაუწყო საუბარი. პატარამ ჯერ ისე არ იცოდა რუსული, რომ ისედაც დარცხვენილს მეფესთვის გაეცა პასუხი. — ეგებ რუსული არ იცის პატარამ და იმიტომ მორცხვობს?

— სწავლობენ, მეფევ ბატონო, ბავშვები რუსულს!

— არა სჯობია, სასახლეში იყვნენ, აქ რუსულსაც ისწავლიან და ფრანგულსაც, ჩვენი სურვილია სასახლეში იზრდებოდნენ თქვენი ბავშვები.

ეკატერინე საგონებელში ჩავარდა და ასე უპასუხა იმპერატორს:

— ჯერ პატარები არიან, მეფევ ბატონო, ცოტა რომ წამოიზრდებიან, მე თვითონ გაახლებთ ჩემს შვილებს...

მიუხვდა იმპერატორი ეკატერინეს, რომ ტახტის დაკარგვის შიში ჰქონდა და უთხრა, როგორც გენებოსო. ის იყო უნდა გამომშვიდობებოდა დედოფალს, რომ ეკატერინე მიეახლა იმპერატორს და ხელზე მოუნდომა კოცნა, მეფემ თვითონ მოჰხვია ხელი და შუბლზე ეამბორა დედოფალს.

ეკატერინე და ნინო მოიხიბლნენ ალექსანდრეს გარეგნული ლმობიერებით და დაპირებით. ეკატერინემ ცრემლმორეულმა და ატირებულმა შესჩივლა მეფეს, ცუდად მექცევიანო... და მეფის ნაცვლისა და ქუთაისის გუბერნატორების საჩივარს მოჰყვა. ალექსანდრემ კოპები აწურა, არ მოეწონა ასეთი გა-

მომწვევი საჩივარი და პასუხი ეკატერინესი, მაგრამ არაფერი უთხრა სტუმარს და მაინც ზრდილობიანად გაისტუმრა.

მეორე დღეს კი ეკატერინე ამაოდ ელოდა სასახლეში მიწვევას...

ᲐᲑᲐ ᲣᲚᲐ

მას შემდეგ, რაც თურქეთთან ომი დამთავრდა, უტუ ისევ თავის სოფელში — ჯვარში, ჯონდი ჭკადუას სამჭედლოს შეეკედლა. ეს სამჭედლო ზუგდიდის სათემო დიდ შარაგზაზე იყო და იქ ათასი გამვლელი და გამომვლელი ჩერდებოდა, ათას ჭორსა და ნამდვილს უამბობდნენ ერთმანეთს. უტუსათვის ასეთი ადგილი სწორედ რომ შესაფერისი იყო ხალხში თავისი აზრების გასავრცელებლად. უტუც, ყოველ საღამოს, მუშაობის შემდეგ სამჭედლოში შეკრებილ გლეხებსა და ყმებს უყვებოდა ცისა და ბარისას და ჩასჩიჩინებდა, დროა ხმა ავიმაღლოთ უსამართლობის წინააღმდეგო. ბევრი ყურადღებით უსმენდა უტუს და თანაგრძნობით ეკიდებოდა მის აზრს, ბევრს კიდევ არაფერი ესმოდა ამ აზრებისა. ისეთებიც ერივნენ, რომლებიც სიტყვითა და საქმით ეურჩებოდნენ ამ წამოწყებას.

სამჭედლოს პატრონი, ჯონდოს მამა დიმიტრი თავის სოფელში წელმაგარი გლეხი იყო. ბატონისაგან განთავისუფლებული, განთქმული მჭედელი იმდენს შოულობდა, რომ ბოლოს თავის სახლკარიცა და მიწაც გაიჩინა. მერე თავის შვილს ასწავლა თავისი ხელობა და სწორედ თავის ეზოში ოდა სახლის წინ ისე ააგო სამჭედლო, რომ ნახევარი ეზოში იყო, ნახევარი კი — ეზოს გარეთ. დიდი შემოსავალი ჰქონდა სამჭედლოს. თავადები და აზნაურები, წელმაგარი გლეხები და სოფლის მოხელეები ცხენებს აქ აჭედინებდნენ. მთელი დღე და ღამე გამუდმებული ფუსფუსი და მუშაობა იყო სამჭედლოში.

მოხუცებული დიმიტრი შეკრებილ ხალხს ჩაუჯდებოდა და ძველ ამბებს უყვებოდა. უტუ შვილივით შეითვისა და შეიყვარა სახლის პატრონმა. ეს ცქვიტი, მარჯვე ვაჟკაცი მოსწონდა, მაგრამ მისი აზრები საშიშად ეჩვენებოდა და გამუდმებული კამათი ჰქონდა უტუსთან.

იმ საღამოსაც სამჭედლოს წინ ორნი ისხდნენ — დიმიტრი და უტუ. ისევ ცხარედ კამათობდნენ.

— სულ იმას ვფიქრობ, ნუთუ ისე არ შეიძლება მოეწყოს ცხოვრება, რომ ერთი საერთო ბედით ცხოვრობდნენ ამ მიწაზე დაბადებული ადამიანები, ერთი საერთო სიხარული და ბედნიერება ჰქონდეს ყველას და არავინ იყოს მოტირალი და ფეხქვეშ გათელილი, მიწაზე გართხმული, — აღგზნებით ლაპარაკობდა უტუ. — ღმერთმა თუკი ერთი წესით დაბადა ადამიანი, სხვადასხვა ბედი რათ დაუწესა მათ ამ მიწაზე, ვერა და ვერ ამიხსნია ეს განაჩენი ღმერთისა. არა, უნდა გაირკვეს და გასწორდეს ყოველივე ეს, ბატონო დიმიტრი. შენ დაკვირვებული კაცი ხარ და, არა მგონია, უგულოდ უყურებდე ყოველივე იმას, რაც გარშემო ხდება.

და ახლა უტუ თავისი სოფლისა და ბატონების სამდურავს მოჰყვა.

— უტუ, აჩქარებული კაცი ხარ-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიტყოდი მართალს, მაგრამ შენ რომ თანასწორობაზე ქადაგებ, ამაზე ძნელად თუ დაგეთანხმებიან, ვინც სწყვეტს ადამიანის ბედს. — და დიმიტრიმ ხელი იქითკენ გაიშვირა, სადაც დადიანის სასახლე იყო. ყალიონი გააბოლა და ისევ გააგრძელა, — თვით ჩვენს რჯულშიც, გლეხობაშიაც ვერ იპოვი ორ კაცს, ერთი აზრისანი რომ იყვნენ, ერთს ის სურს, რომ მეორეზე მეტი ჰქონდეს, მეორეს აჯობოს და ამ გზაზე ცოდვიან საქმესაც არ დაერიდება. შენ კი გინდა, ყველა ისინი გაათანაბრო, ერთ ქვაბში მოაქციო, ერთი სახურავი დაჰხურო? არა, მე მგონია, ეს ასე არ გამოვა. აი, ეს ყმები აიღეთ, ეს ერთი კანონის შვილნი. მათი მოვალეობა, შენ ჩემზე კარგად მოგეხსენება, სხვის კარზე ყოფნა და სხვისთვის მუშაობაა. იმაში კი გეთანხმები, რომ რაგინდ კარგად ჩააცვა, აჭამო და ასვა, ისინი მაინც არ დადგებიან სხვის კარზე. ისინი მოისურვებენ სხვაგვარად იცხოვრონ, მაგრამ წინააღმდეგი იქნებიან ყველას ერთი ბედი ჰქონდეს.

მე მგონია, ადამიანის მისწრაფებაა, სხვისაგან განსხვავებული იყოს, სხვას აჯობოს. ამიტომ ყველანი ერთნი რათ იქნებიან, ან რათ არის საჭირო ყველა ერთნაირი იყოს. მე მომწონს შენი აზრი, ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ ერთი მე-

ორეს არ ჩაგრავდეს, ერთი მეორის მონა არ იყოს. მოგეცეს ბედნიერება, რომ ეს კარგია. მე სულითა და გულით თანაგიგრძნობ და მზადა ვარ, ჩემი მხრივ, ყველა მსხვერპლი გავიღო, რომ ერთი მეორეს არ ჩაგრავდეს.

აქ კი შეჩერდა მოხუცი, რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი მოიქექა და დადუმდა.

— არა, ჩემო დიმიტრი, მარტო ისეთი პირობა კი არ უნდა დაიდოს, რომ ერთი მეორეს არ ჩაგრავდეს, არამედ ისეთი კანონი უნდა შემოვიღოთ, რომ ერთ კაცს უფლება არ ჰქონდეს მეორეს წაართვას. უფლება არ ჰქონდეს მიითვისოს იმაზე მეტი, რაც კანონმა მისცა და დაუწესა. ყველას თანაბრად უნდა გაუნაწილდეს ღმერთისაგან ბოძებული სიმდიდრე ქვეყნისა.

აქ კი სიტყვა არ დაამთავრებინა მოხუცმა უტუს და ერთბაშად შეაჩერა:

— შენ ამბობ, ყველას თანაბრადო. ეს როგორ გამოვა, როცა ერთს არაფერი გაუკეთებია, მეორეს კი — ბევრი. ბუნებაში აგრე როდი ხდება. ჩემო უტუ. აი, აიღე, შე დალოცვილო, ეგ შენი ბუნება, არწივიც არის და ყვავიც, შაშვიც და ბეღურაც. ხომ ყველა ფრინველია და ფრთოსანი. მაგრამ აბა, სცადე, ყველა ისინი თანასწორნი იყვნენ. ბეღურას არწივად ვერ გადააქცევ, რა კანონებიც არ უნდა შემოიღო. ასეა ჩვენშიაც, ადამიანებშიაც. აბა, როგორ გაუტოლდება ბეგლარ ფაღავას ეს უბედური ჩვენი ბარდღუნია მაჭაცარია. აბა, შეხედე ბეგლარს, მის არწივისებრ გამოხედვას, მის მხარ-ბეჭსა, მის სიარულს, თუნდაც მარტო სიარულს დააკვირდი და მერე ყოველივე ეს ბარდღუნიას შეადარე. ამბობენ ბარდღუნიასთვის გიპრძანებია, ხეზე დაკიდებული მაჭახელა ჩამოიღე და მომაწოდეო. მას იარაღი უკუღმა მოუწოდებია, შენ გაჯავრებიხარ: აი, შე გლახა, იარაღის დაკავებაც კი არ იცი და აბა მოხმარება როგორ შეგეძლებაო?

სრული სიმართლეა, უტუ, მე არა მგონია ფაღავას და მაჭაცარიას გატოლება შეიძლებოდეს... ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, ხსენებაზე რომ იტყვიან. აბა თუ კაცი ხარ, გახედე, შენ უფრო გიჭრის თვალი. ყვავი არ არის, ახლა დიდ მუხაზე რომ ჩამომჯდარა? ჰო, სწორედ ყვავია. ჰა, დაგვჩხავლა კიდეც

იმ წყეულმა, მართალი გითხრა, ამ შეჩვენებული ყვავისა მეშინია. ცუდად მაქვს დაცდილი მისი ჩხავილი. ჰო და, იმას მოგახსენებდი, ბაბუ, ისევე როგორც დილით ამ ყვავის დანახვა არ გამიხარდება, არც მაქაცარიას შეხედვა მესიამოვნება, იმ დღეს, როცა იგი შემხვდება, მართალი გითხრა, ცუდ გუნებაზე ვარ. მაინც რა დამთხვეულია ეგ უბედური! ასეთი დამშეული და მათხოვარი მეორე არ არის ჩვენს სოფელში. მართლაც რომ მთლად დაგლახაკდა ეს გლახისშვილი!

უტუს არ ესიამოვნა კეთილი მოხუცის ასეთი საუბარი და მკვახედ უთხრა:

— რას ჩააცივდი, შე კაცო, იმ მაქაცარიას, მას თავისი უბედურება ეყოფა და ეხლა შენგან არ მიკვირს ასეთი ჩაციება! ეჰ, ჩემო დიმიტრი, ცხოვრებაა უსამართლო, ცხოვრება, უსამართლო ცხოვრებამ დაგვაგლახავა ჩვენცა და ის მაქაცარიაც, თორემ სხვაზე ურიგონი როდი ვიყავით. თუ მხარში ამოუდგებით, რაკი ადამიანია, რაკი ადამიანად დაბადა ღმერთმა, ისიც კაცი დადგება! — დადგება, ისე დადგება, როგორც მზე ცაზე ჰკიდია და ჩვენს მიწაზე ყველას ანათებს, ფაღავაა იგი თუ მაქაცარია. დადგება-მეთქი, — ახლა კი დაჯერებით თქვა ეს სიტყვა უტუმ, — და ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ მას კაცად ვაქცევთ, ოღონდ რწმენა უნდა იყოს, ხალხში რწმენა უნდა დავნერგოთ, და თუ რწმენა იქნება, ამას კი არა, უფრო მეტ საქმესაც მივაღწევთ. ამ რწმენით სავსე ხალხმა თუ მოისურვა. აი იმ შენ ტაბაკონას, კუდიანებისა და ავსულების ბუდეს ტეხურში გადაისვრის და იმ აყუდებულ მთას მიწასთან გაასწორებს. შენისთანა ურწმუნონი ვერ იზამენ ამას, ამას რწმენა იზამს, ჩემო დიმიტრი, შენი ანდაზა არწივებისა და ბეღურებისა, აქ არაფერი მოსატანი იყო. ადამიანის ცხოვრება მაინც სულ სხვაა, ვიდრე შენი ტყიურის ანდაზები.

შენ ამბობ, ფაღავა მაქაცარიას ტოლი როგორ იქნებაო? ახლა ის მითხარი, როცა ფაღავა და მაქაცარია დაიბადნენ, როცა ისინი ერთი დღისანი იყვნენ, მაშინ ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც დღეს განსხვავდებიან? არა, რასაკვირველია, არა! ერთი სახისა და ერთი პირისანი დაიბადნენ ისინი. მერე ფაღავა განცხრომაში აღიზარდა, მაქაცარია კი —

სიდუხჭირეში. ფაღავას ათასი ჯურის გადიები მიუჩინეს და მიმინოსავით წრთვნიდნენ, მაქაცარია კი ფაღავას თავლაში შეაგდეს და ხბორები ამწყესინეს, მერე ამ ერთი წესისა და ერთი ღმერთისაგან დაბადებული ადამიანები ისე განსხვავებული აღმოჩნდნენ, რომ შენ გგონია, მუდამ ისეთნი იყვნენ. აბა, მაქაცარიაც ისე აღეზარდათ, როგორც ფაღავა და მაშინ ვნახავდით, ვინ ვის აჯობებდა! თუ გახსოვს, მარტვილელი გეგეჭკორი რომ მოიყვანეს სასახლეში, აი, ის გეგეჭკორი — დედა მისი დადიანის ძიძა რომ იყო, ხომ შეიყვარა დადიანმა თავისი ტოლი ბიჭი და თან წამოიყვანა სასახლეში. ის ხომ დადიანთან ერთად იზრდებოდა, ჯერ ქუთაისსა და შემდეგ თბილისში. და როგორც ამბობდნენ, კიდეც უჯობნია დადიანისთვის, როცა სასახლეში დაბრუნდნენ, მთავარმა დიდხანს ითმინა ეს ნასწავლი გეგეჭკორი და ბოლოს პანღურის კვრით გააგდო სასახლიდან. ახლა მარტვილის მონასტერში უბრალო მასწავლებელია და გაგდებას იქიდანაც უპირებენო. ასეა, რასაკვირველია, ბატონიშვილი და თავადიშვილი არ მოითმენს აზნაურისა და გლეხის გატოლებას, მაგრამ, როცა ისეთი კანონი დაწესდება, როცა ყველა ადამიანი სწორი და ტოლი იქნება, აი მაშინ ვნახოთ, მაქაცარია აჯობებს თუ ფაღავა, გეგეჭკორი თუ დადიანი.

ამას უტუ, რომელსაც სასახლეში დაჭერითა და დილეგში ჩაგდებით ემუქრებოდნენ, ისეთი ტონით ამბობდა, თითქოს ეს კანონები დაწერილი და შემოღებული ყოფილიყო და ახლა მასზე იყო დამოკიდებული მათი დაცვა და განხორციელება.

უტუმ ახლა ჯვარის მთებს გახედა. მწვერვალებს ნისლი გადაეწმინდა და მზის სხივებზე გასაოცრად ბრწყინავდა.

— ბუნებამ ყველაფრით დაგვაჯილდოვა: დიდებული მთებით, უხვი მდინარეებით, ნაყოფიერი ჭალებით, მაგრამ ადამიანი, იმის მაგივრად, რომ ტკბებოდეს ბუნების მშვენიერებით, წუხს და მოსთქვამს თავის ბედზე. და ეს ტირილი და მწუხარება თვით ადამიანებმა დაბადეს, ერთი ჯილაგის ორმა არსებამ ერთმანეთს წაართვა უფლება, ბუნების მშვენიერებით დამტკბარი და მოსვენებული იყოს, ვაი. რა უსამართლოდ არის მოწყობილი ეს ქვეყანა!

თქვენ ჩემზე კარგად გემახსოვრებათ, დიმიტრი ბატონო, დადიანის ახმახი ყმა, ჩვენი სოფლელი ბათა. აი, იქ, მთის ძირას სახლობდა. ერთ დღეს სახლთუხუცესმა ზუგდიდში დაიბარა და დადიანების ბრძანება გადასცა. ძაღლების მომვლელად უნდა ემსახურა დადიანების კარზე. ეს ამ ახოვანმა ვაჟკაცმა შეურაცხყოფად მიიღო და სახლთუხუცესს სთხოვა — სხვა რამე კაცური საქმე დამავალეთ, რამე დიდსა და მძიმე საქმეს მამსახურეთ. ამ შეურაცხმყოფელ მოვალეობას ნუ დამაკისრებთო. ამაზე დადიანი გაჯავრებულა და უბძანებია, იმდენ ხანს ურტყით წკეპლა ბათას, სანამ თვითონ პატიებას არ ითხოვს და ძაღლების მომვლელობას არ იკისრებსო. დადიანის ბიჭები ბათას დაეტაკნენ, წამოაქციეს და ვეებერთელა კაცი, ხელფეხშეკრული პირქვე დააწვინეს და ურტყეს და ურტყეს. სისხლდადენილ ბათას დადიანის ერთმა ბიჭმა უთხრა, რათ იკლავო თავს, ითხოვე პატიებაო. თურმე ბათამ თავი წამოსწია და ასე უპასუხა: წკეპლები აგრე გენანებათო! დადიანის ბიჭები მისდგნენ ბათას და კვლავ ურტყეს და ურტყეს. ბათამ გონება დაკარგა, მაგრამ სიტყვა რა არის, პატიების სიტყვა არ დასცდა. ნაცემი და ნაგვემი ბათა ციხეში შეაგდეს.

როდესაც ბათა გონს მოვიდა, იქვე ბორკილებგაყრილი და ხელფეხშეკრული მეზობელი იცნო. არც აცია და არც აცხელა, მაშინვე გაანდო: აქედან უნდა გავიპარო, შენც ზურგზე აგიკიდებ და ჩემთან წამოდიო. მეზობელმა უარი უთხრა, ცოლშვილიანად ამოგვწყვეტენო. მაგრამ ბათა მეორე დღესვე გაიპარა ციხიდან. მეზობელმა ბათას ლექსი გამოუთქვა: ახლა მთელ ჩვენს სოფელში მღერიან ამ ლექსს:

სიქოულ ბათა ვაშემბრალენქო...

ეს გრძელი, გაბმული მოთქმაა, მოთქმა ბორკილგაყრილი, დატანჯული და წამებული ადამიანის ბედზე. გაწამებული ადამიანის მოთქმა...

და ეს ბათა დაიკარგა ჩვენი სოფლიდან, დღემდე არავინ იცის სად არის, სათათრეოშია თუ უფრო შორს...

კაცი მართლაც უზომოდ უნდა დაიტანჯოს, ცხოვრება უნდა მობეზრდეს, რომ ეს ჩვენი ლამაზი ლაკადა დატოვოს. მისი ფაცხა ახლა გამოკეტილია და უპატრონოდ არის მიტო-

ვებული. ასე დატოვა ყმა გლეხმა ჩვენი კუთხე, ეს მიწა, ეს ცა, სადაც მარტო ენგურს ამოყვანილი კალმახი არჩენდა კაცს. აბა იფიქრეთ, ჩვენი ლამაზი მთა-ბარის, კალმახით უხვი მდინარეების შვილს რა დიდი დარდი უნდა ჰქონოდა, რომ ეს სამოთხე დაეტოვებინა და სხვაგან ეძია მამული. დიახ, სამშობლო ჩვენმა გულქვა ბატონებმა ჯოჯოხეთად გვიქციეს და ჩვენ ამას გულდამშვიდებით უნდა ვუყუროთ? ბატონები, რომლებიც ღვთის განაჩენს ეწინააღმდეგებიან, მის მიერ ბოძებულ ბუნების მადლს არ გვანებებენ, მხეცები და ჯალათები არიან.

ეს თქვა უტუმ და წელში გასწორდა, როცა მოსაუბრემ უტუს თვალებში შეხედა, შეეშინდა, სიძულვილითა და მრისხანებით აღსავსე ყმა-კაცს თვალი ვერ გაუსწორა.

— არა მგონია. სადმე იყოს ისეთი სევდიანი ჰანგები, როგორიც ჩვენშია — დაიწყო უტუმ — და ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში ყველაზე ბოროტი ბატონები არიან და გლეხებიც მწარედ მოსთქვამენ, ამ სევდიან ჰანგებით გულს იოხებენ .ჩვენს გლეხს აკვნიდანვე ეს სევდიანი ჰანგი ესმის. და რა ტკბილად გვეჩვენება ეს სიმწარესა და ვაებაში ნაშობი სიმღერები! იმ ყმას — ბათას, ჩვენებურმა კაცმა თავისი გულის სევდა და ვარამი გაატანა. ამიტომ არის, რომ ასე ხვდება ჩვენს გულს ეს სიმღერა. ვიცი, მეტყვი, ჩვენს მხარეში სხვანაირი სიმღერებიც არისო. დიახ, არის მგზნებარე და ომახიანი ჰანგებიც. და ჩვენი ვალი სწორედ ის არის, რომ ჩვენ გლეხს ეს საბრძოლო ჰანგი წინ წავუმძღვაროთ, ავამხედროთ, რომ მიწაზე გართხმული ფეხზე წამოდგეს.

უტუ უკვე აღარ მალავდა თავის განზრახვას. მას შემდეგ, რაც სასახლიდან დაითხოვეს, სულ იმას ცდილობდა, სულ იმას ოცნებობდა, როგორმე დახმარებოდა თავის მოძმეთ, თავი დაეხსნა ამ უსამართლობისა და უბედურებისაგან. სამჭედლოც ამიტომ გამოიგონა და სოფლებში ჩუმად სიარულიც. მას შემდეგ სამი წელი გასულიყო, თურქებიც გაერეკათ და უტუ ფიქრობდა სწორედ ახლაა დრო ვუყველოთ ჩვენს დამაქცევარ ბატონებს, სამაგიერო მოვუზღათ ჩვენი დაჩაგვრისა და გაუბედურებისათვისო. დადიანების სახლიდან გამოგდებული უტუ მიქავა ახლა ამ ოცნებით იწვოდა და არაფერს ზო-

გავდა, ოღონდ ეს გულში დანთებული ნაკვერჩხალი ცეცხლად ექცია, რომ ხანძარს უსამართლობა გადაებუგა.

თურქებისაგან გადამწვარი სასახლეებისა და ხიდების, გზებისა და არხების აღდგენა და გაყვანა მძიმე ტვირთად დააწვა გლეხკაცობას. ამას ისიც დაემატა, რომ ვაზის, თუთის და თამბაქოს ავადმყოფობა მოედო ამ მხარეს, ის წელი სრულიად მოუსავლიანი გამოდგა. მებატონეები და სამთავროს მამულის პატრონები არაფერს უთმობდნენ გლეხებს, ღალასა და გადასახადს უკლებლივ მოითხოვდნენ. ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნება შეიქმნა მებატონეებს და გლეხობას შორის.

ზუგდიდის და სალხინოს სასახლეების აღდგენა და განახლება უკვე დაიწყეს. სახლთუხუცესმა დავითმა იასაულებს დავალება მისცა ყოველ დღე ასი კაცი გამოეყვანათ.

დაერივნენ იასაულები სოფლებს და გამორეკეს ეს დამშეული, ნახევრად ტანშიშველი და ფეხშიშველი ყმები. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თავაუღებლივ მუშაობდნენ უსმელი და უჭმელი გლეხები. ზურგით მოჰქონდათ ქვები, დახერხილი ფიცრები, გათლილი კოჭები და დირეები.

ოცდაორი ხურო, კალატოზი, მებუხრე და დურგალი იდგა სალხინოს ორსართულიან სასახლის თავზე. სასახლე საჩქაროდ უნდა გადაეხურათ. ყველას აჩქარებდა სახლთუხუცესი, დედოფლის ჩამოსვლამდე უნდა დაემთავრებიათ საქმე. ასე იყო ნაბრძანები.

სწორედ ამ დროს სამწუხარო შემთხვევა მოხდა: სალხინოს სასახლის სახურავზე თოკით აჰქონდათ დურგლებს გრძელი კოჭი. ზევით ბეკოია ჟვანია იდგა და ეზიდებოდა ერთ მხარეზე თოკს, სხვა ხელოსნები კი ეშველებოდნენ, მაგრამ თოკის ბოლო მას ჰქონდა ხელზე დახვეული. გაწყდა თოკი და კოჭი ბზრიალით ძირს დაეშვა. ქვევით მომუშავე გლეხებმა ადგილიდან დაძვრაც ვერ მოასწრეს. კოჭი ოც კაცს თავზე დაეცა და მძიმედ დააშავა. ბეკოია ჟვანია კი ამ გაწყვეტილ თოკს თან ჩამოჰყვა და მიწაზე უსულოდ დაეცა. ისედაც გაბრაზებულმა გლეხებმა ახლა კი იბღავლეს, იყვირეს, ხმამაღლა გინება და ჩხუბი დაიწყეს. გლეხებმა ოცივე დაშავებული თავიანთ სახლებში მკვდრებივით მიასვენეს და იმავე საღამოს პირობა შეკრეს სამუშაოდ არ გამოსულიყვნენ. ხატის წინაშე პირობა დადეს, სანამ სახლთუხუცესს არ დაითხოვდნენ და სა-

მუშაოზე საჭმელს არ მისცემდნენ, მანამ მუშაობა არ განეახლებინათ. სალხინოს სასახლის რაზმელების უფროსს — ივანე ჩიქოვანს ეს პირობა უტუ თოდუას და ბასაია კილასონიას, ვაკი გაბელიას პირით ამცნეს. რაზმელების უფროსმა იმავე საღამოს მოუხმო ზემო სამეგრელოს იასაულებსა და ბოქაულებს. შეიარაღებული რაზმელებით სცადეს მოერეკათ გაფიცული გლეხები .და აი, რაზმელებისა და გლეხების პირველი შეტაკება ჭყონდიდში მოხდა. გაფიცულებმა რაზმელებს სძლიეს, იარაღი აჰყარეს და რაკი ერთხელ დაიღვარა სისხლი, ამ შეტაკების ამბავი ისე გახმაურდა, რომ სოფლები ფეხზე დგებოდნენ. იასაულებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, გაფიცულებმა განიარაღებული ივანე ჩიქოვანი და მისი რაზმი გლეხ გაბელიას ცხენების სადგომში დაამწყვდიეს და მცველებად შეიარაღებული გლეხები დაუყენეს. მთელ სალიპარტიოში გაფიცული გლეხები ზოგი გადანახული თოფებით, ზოგი თურქებისაგან მოტაცებული დამბაჩებითა, ზოგიც „ბერდენკებით“ თოდუამ ერთ კვირაში შეაიარაღა. სალიპარტიოს გაფიცულთა ჯგუფი ძლიერ შეიარაღებულ ბირთვად იქცა. ჩიქვანაიები და დგებუაძენი დაფრთხნენ და ზუგდიდს მიაშურეს. მაგრამ ზუგდიდშიც არეულობა დახვდა სახლთუხუცესს.

ჩიქოვანი გაპრაზდა, ასისთავები და ათისთავები გაგზავნა ყმების მოსარეკად. ერთი მოხუცი ყმა წამოდგა და ასე მოახსენა ასისთავებს: ჩვენ აქედან ფეხის გამდგმელიც არა ვართ. სანამდის ჩვენი ბატონები ისე არ მოგვექცევიან, როგორც ჩვენს ძველებს უმასპინძლდებოდნენ. აბა რას ჰგავს ეს. ჩვენ დღედაღამ ვმუშაობთ, დღეში ერთხელაც არ გვაჭმევენ. არა, ჩვენ ასე მუშაობა არ შეგვიძლიან. ასისთავებმა დატუქსეს გლეხები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, იძულებული იყვნენ ეს ამბავი სახლთუხუცესისათვის მოეხსენებინათ. სახლთუხუცესი გაცეცხლდა, ახტა-დახტა, მაგრამ თვითონ ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა, როგორ მოქცეოდა, რით აეძულებინა. ამოდენა ხალხი სამუშაოზე გამოსულიყო.

* * *

ეკატერინეს პეტერბურგს ყოფნისას ოპოზიცია სასახლის წინააღმდეგ უფრო გაძლიერდა. ამ ოპოზიციას ჩუმად მეთაუ-

რობდნენ დიდი ნიკოს შვილები: გიორგი და ბესარიონი. რასაკვირველია, ნიკოს შვილები დავითის უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ მის სიცოცხლეში ხმას არ იღებდნენ. უფრო მეტი სამაგიეროს გადახდა უკმაყოფილო ნიკოს შვილებმა მაშინაც არ სცადეს, როცა ომარ-ფაშა პარპაშობდა სამეგრელოში და გიორგი დადიანი სასახლის კარზე მოიწვიეს მმართველის უფლებებით, მაგრამ აი, ახლა, როდესაც ყველაფერი აირია, ნიკოს შვილებიც ამოქმედდნენ, რომ სამაგიერო მიეზღოთ დავით დადიანის ოჯახისათვის. ნიკოს შვილები, გიორგი და ბესარიონი, უხმაუროდ და ფარულად მოქმედებდნენ და ჩუმად აქეზებდნენ ამ უკმაყოფილ, აჯანყებულ გლეხებს.

ყველაზე უფრო ეკატერინეს უფროს მაზლს გრიგოლს აღიზიანებდნენ, ასე იქცეოდნენ ის რუსი მოხელეებიც, რომელთაც ეკატერინეს თავიდან მოშორება უნდოდათ, ამ მიზნით ორივე დადიანს იყენებდნენ, რასაკვირველია, ასეთ განწყობილების მქონე ეკატერინეს მაზლი გრიგოლი, რომელიც ეკატერინემ თავის სამთავროს მოსავლელად დატოვა პეტერბურგში წასვლის წინ, არ იყო დედოფლისათვის საიმედო ძალა. ეს თვითონ დედოფალმაც იცოდა, მაგრამ მაინც იძულებული იყო მისთვის მიენდო მოვალეობა მმართველისა, რადგან სხვა მხრივ უფრო ავნებდა სამეგრელოში დარჩენილი გრიგოლ დადიანი. ყოველივე ამის გამო სახლთუხუცესი არ ენდობოდა ბატონიშვილს. მაგრამ ახლა იძულებული იყო (რადგან დედოფალს შეეძლო მისთვის დაებრალებინა ხალხის აჯანყება) რჩევა ეკთხა გრიგოლისთვის. გრიგოლმა მოისმინა სახლთუხუცესის საჩივარი და დიპლომატიურად უპასუხა: დედოფალს ჩემთვის ასეთი მოვალეობა არ დაუკისრებია, სასახლის აღდგენა შენ დაგავალა და იმ ხალხის მოვლა-პატრონობა, ვინც იქ მუშაობს, შენვე გევალებაო", ეს უთხრა და ცივად მოიშორა სახლთუხუცესი.

თვითონ სახლთუხუცესმა გადაწყვიტა აჯანყებულებს მოლაპარაკებოდა. გრიგოლისგან დაბრუნებულმა ყველაზე საიმედო ასისთავები აარჩია, ყმები შეაკრებინა, თვითონ მივიდა მათთან მოსალაპარაკებლად. ცივად მიიღეს სახლთუხუცესი, იგივე პირობა განუმეორეს, რაც ასისთავებს უთხრეს და ზურგი შეაქციეს. ჩიქოვანი განრისხდა, იმ შვიდ კაცს,

რომლებიც შეესიტყვნენ, იქვე ხუნდები გაუყარა და დილეგში ჩააგდებინა ბოქაულს. ამით უნდოდა დაეშინებინა უკმაყოფილო ყმები, მაგრამ საწინააღმდეგო მოხდა, იმავე საღამოს უტუ მიქავამ დილეგში ჩაგდებული ყმები ჩუმად გააპარა.

ახლა უფრო გაცეცხლდა სახლთუხუცესი, ისევ გრიგოლთან გაიქცა, მაგრამ სანუგეშო ვერსად ვერაფერი ჰპოვა. დავით ჩიქოვანი საგონებელში ჩავარდა.

სახლთუხუცესი კარგად ხედავდა, რომ ამ აჯანყებულთა საქმეს ვიღაც მეთაურობდა, თორემ ასე როგორ წაეწყო ერთმანეთს სალხინოში, ღებარდესა და ტაბაკელას მთებიდან თოვლის ზვავივით აგორებული აჯანყებები, ეპვი უტუ მიქავაზე მიიტანა.

სახლთუხუცესმა ფიცხელი განკარგულება გასცა, შეეპყროთ უტუ მიქავა, მაგრამ ბოქაულები ხელცარიელი დაბრუნდნენ ჯვარიდან და მოახსენეს: წუხელ უტუ და ის შვიდი კაცი, რომელიც ზუგდიდის დილეგიდან გააპარეს, სალხინოში გადასულანო, შეწუხდა სახლთუხუცესი, ნანობდა: როცა ჩემს ხელთ იყო ის თავზეხელაღებული, რატომ მაშინ არ ჩავაგდე დილეგშიო, ზედვე ეტყობოდა მიქავას, რაც იყოო; მუდამ კრიჭაში ედგა უფროსებს, მუდამ დოღი ელანდებოდა, ჩიჩუას ბიჭსაც იმიტომ სცემა, რომ ჩემი ნათესავი იყო, მე ვერაფერი გამიბედა და ჩემი ჯავრი ცოლისძმაზე იყარაო.

ჩიქოვანი დავითსა და ეკატერინეს აბრალებდა ვიღაც წუპაკი გლეხის ასე გათამამებას.

როცა სახლთუხუცესის დაგეშილი ბოქაულები ჯვარში დაეძებდნენ, უტუ თავის ძმაკაცებიანად სალხინოში მართალ თოდუას კართან იყო უკვე მისული.

სალხინოელი გლეხი მართალი თოდუა უტუს პარტიზანელი მეგობარი იყო. თოდუას, პატიოსანსა და გამრჯე კაცს, მეტსახელად მართალი შეარქვეს. იგი მთელ სალიპარტიოსა და სადადიანოში სამაგალითო კაცი იყო, ამავე დროს გობებისა და ხის ჯამების გამოჩენილ ოსტატად ითვლებოდა. რაც კი ხის კარგი ჭურჭელი იყო სამეგრელოში, მისი გაკეთებული იყო თუ არა, მაინც მართალის ნახელავად სთვლიდნენ, ამავე დროს ის შესანიშნავი ღურგალიც იყო და გაფიცვის დროს სწორედ ღურგლად მუშაობდა სალხინოში.

კოჩა თოდუა, რომელიც აქვე დახვდა უტუს, მართალის შორეული ბიძაშვილი იყო. კოჩა სოფელ საჭილაოში ცხოვრობდა .იქ, გზის პირად, პატარა დუქანი გაეხსნა. სახლთუხუცესს მისგან იმდენი ოქრო-ვერცხლი მოუთხოვია, რომ თვალით არც კი უნახავს კოჩა თოდუას, და როცა არ გადაუხდია ,მეორე დღესვე დაუნგრევიათ მისი დუქანი. კოჩა სალხინოში იმ მიზნით წასულა, რომ თავის ბიძაშვილისთვის რჩევა ეკითხა. სწორედ ამ დროს მოხდა აჯანყება სალხინოში.

უტუს, წერა-კითხვის კარგად მცოდნეს, გლეხთა აჯანყების შესახებ ზოგი რამ წაკითხული ჰქონდა, ზოგიც გაგონილი და ახლა, როცა ის შეფიცული ძმებით სალხინოს უახლოვდებოდა, ასე ფიქრობდა: —სწორედ ახლა დადგა დრო, რომ თავი შევწიროთ ხალხის საქმეს. როგორც სხვებს შეუწირავთ.

უტუ — პარტიზანების მეთაური — ყოფილმა პარტიზანმა მართალმა თოდუამ დიდი პატივით მიიღო. იმავე საღამოს უტუს, მართალი და კოჩა თოდუებს საქმიანი საუბარი ჰქონდათ. თოდუამ დაწვრილებით ილაპარაკა სალხინოში მომხდარ ამბავზე.

— არა, ამ საქმის დატოვება ასე არ შეიძლება. — აღელვებით თქვა უტუმ — სწორედ ახლაა დრო, რამე ვიღონოთ. ჩვენი ყველაზე დიდი მტერი სახლთუხუცესია, ის მაინც მოვიშოროთ თავიდან, თუ სხვას ვერას გავხდებით. მაგრამ, როგორ მოვიქცეთ, რით დავიწყოთ. რაგვარად ვუშველოთ თავს?

ახლა უტუს დავით დადიანის სასახლეში იური პოტოცკისთან გატარებული საღამოები მოაგონდა და ეს ამბავი მოუთხრო მეგობრებს:

— მაშინ ჩვენ ოთხნი ვიყავით: პოტოცკი, გეგეჭკორი, მიშელი და მე.

პოტოცკი კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტი იყო, საშუალო ტანისა, მრგვალი, გაბადრული პირსახე ჰქონდა. ეს კეთილი, მუდამ აღგზნებულად მოსაუბრე რუსი არასოდეს დამავიწყდება.

დავით დადიანს ეს განათლებული და ჭკვიანი რუსი თბილისში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში გაეცნო და ახლა აქ თავის სამთავროში ჩამოიყვანა რუსული მიმოწერის საწარმოებლად. პოტოცკი არ ურიგდებოდა სასახლეში გამეფებულ უსა-

მართლობას და მუდამ ჩვენს მხარეზე იყო, ჩვენს შორის ტრიალებდა, გვაიმედებდა, გვაქეზებდა, გვამხნევებდა, გვასწავლიდა...

სახლთუხუცესმა მას დავით დადიანის წინააღმდეგ შეთქმულების მეთაურობა დააბრალა და ეს კეთილი კაცი სამსახურიდან დაითხოვა.

მიშელი ფრანგი იყო, აბრეშუმის ფაბრიკაში ზეინკლად მუშაობდა. ზეინკლობა, მჭედლობა მისგან და მისი ფრანგი ამხანაგებისაგან ვისწავლე. ათი წლის წინათ ჩამოიყვანა მაზმორდუკმა მიშელი ზუგდიდს. არავინ ჰყავდა, არც ახლობელი და არც ნათესავი. მერე კვარაცხელიას ქალი, ქიონია გაიცნო და ცოლად შეირთო. ქიონია აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში მუშაობდა. ის ბიძაშვილად მერგებოდა და აი, აქიდან დავუახლოვდი მიშელსა და მის მეგობრებს, ხომ უბრალო მუშები იყვნენ, მაგრამ რამდენი რამ იცოდნენ, რა შეგნებული და განათლებული ადამიანები იყვნენ! ჰე! ყოველივე იმას, რაც იმათ იცოდნენ, როდის შეიგნებს ჩვენებური გლეხი! არა, უნდა შეიგნოს, უნდა ისწავლოს. სხვა გზა არ არის, სხვა გზით საშველი არ დაადგება გლეხკაცს...

ახლა გეგეჭკორი! ვის არ გაუგონია სამეგრელოში მისი ქება-დიდება. ალბათ, თქვენც იცით, მაგრამ ჩემსავით არ გეცოდინებათ. ო, რა სევდა და ვარამი დაჰყვა თან ამ კეთილ კაცს, სევდა და ვარამი ყველაზე დაჩაგრულისა და უბედურისა... განათლებითა და ცოდნით იგი პოტოცკის როდი ჩამორჩებოდა და ამიტომაც ასე მეგობრობდნენ .მე მინახავს, მთელ ღამეებს როგორ ათენებდნენ კამათსა და დავაში...

— პირველად აი, იმათგან, მიშელისგან, პოტოცკისა და გეგეჭკორისგან გავიგე და ვიწამე, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, შენი ხალხი, შენი მოძმე, დაჩაგრული და გაუბედურებული. დიახ, მათგან გავიგე და ვიწამე, რომ შეუძლებელია დამშეულთა არმიამ გაიმარჯვოს თუ არ იბრძოლებს, თუ არ გაბედავს წინ აღუდგეს უსამართლობას.

დიახ, ვიბრძოლებთ, შეუპოვრად ვიბრძოლებთ ჩვენი მჩაგვრელი ბატონების წინააღმდეგ. აი, ძმებო, რატომ მსურს, რომ თქვენც ისევე გქონდეთ გული აღგზნებული და ისევე

გწამდეთ ჩვენი მომავალი, როგორც მე ვიწამე, როგორც ეს რწმენა მე შევიგნე მათგან. ჩემი იმედი, გლეხკაცის იმედი ისინი იყვნენ. ვაი რომ ახლა უკვე აღარ არიან: პოტოცკი საზღვარგარეთ გადაიხვეწა. საწყალი ჩვენი მიშელი თურქებმა მოკლეს ზუგდიდში, სწორედ მაშინ, როდესაც ცეცხლი წაუკიდეს ფაბრიკას... მაგრამ ჩვენი იმედი მთლად არ დალუპულა... გეგეჭკორი! გეგეჭკორი ცოცხალია და ის არ დაგვტოვებს უპატრონოდ...

ესა თქვა და დადუმდა უტუ.

გადაწყვიტეს მეორე დღესვე ხლებოდნენ გეგეჭკორს.

ანდრი ცნობილი იყო, როგორც დავით დადიანით უკმაყოფილო კაცი. ამავე დროს ფრიად წიგნის კაცად აღიარებული მთელს სამთავროში. მან უტუ სასახლეში გაიცნო. წერა-კითხვაც უტუმ ანდრისგან ისწავლა და მათი მეგობრობაც აქედან დამყარდა. და აი ახლა, თავისი ძმაკაცები მართალი და კოჩა თოდუები მან ამ კაცთან მოიყვანა.

გეგეჭკორს დიდად გაუხარდა უტუს და მისი მეგობრების მოსვლა. მას უკვე გაგებული ჰქონდა აჯანყების ამბავი და ადგილს ვერ პოულობდა, არ იცოდა რა ექნა, როგორ გაეწვდინა მათთვის დახმარების ხელი, და აი, ახლა მასთან მოვიდნენ, მასთან მოვიდნენ, რომ რჩევა ჰკითხონ. ამ ამბავმა გეგეჭკორი დიდად გაახარა და ახლა უტუსთან ერთად აღგზნებით იგონებდა თავის ძველს და ახალ მეგობრებს.

— უტუ, გახსოვს პოტოცკი, დავით დადიანის სასახლის იმ ფლიგელში რომ ცხოვრობდა, სადაც სამთავროს კანცელარია იყო მოთავსებული? მეც იმ ფლიგელში ვცხოვრობდი.

— როგორ არა, ჩემო ანდრი, მახსოვს და რა`დამავიწყებს პოტოცკისა და თქვენს თავს! აქ მოსვლაც ამან გამაბედინა.

— დიახ, პოტოცკი უცოლშვილო, მარტოხელა კაცი იყო, მასთან ხშირად ვიკრიბებოდით ახლობლები და მეგობრები. ერთი მისი უახლოესი მეგობარი მეც ვიყავი. — ესა თქვა და ამოიოხრა გეგეჭკორმა. მერე ისევ განაგრძო საუბარი:

— მასთან მე მარტო საერთო სამსახური, კანცელარიის მოხელის ბედი კი არ მაკავშირებდა, არამედ საერთო შეხე-

დულებები და აზრები. არა, სულ სხვა კაცი იყო პოტოცკი. გახსოვს, უტუ, შენ რომ წერა-კითხვა გასწავლე, სწორედ მაშინ გაიცანი ჩემსას იური ივანიჩი, როგორ უხაროდა შენ რომ წერა-კითხვას სწავლობდი. რა აღტაცებით და აღგზნებით გაძლევდა რჩევას, გამხნევებდა. და მე ამაში მის კეთილ გულს ვხედავდი და მშრომელი ხალხისადმი დიდ სიყვარულსაც. განა ასევე არ შეიყვარა მან შენი მეგობარი, ფრანგი მუშა მიშელი? გახსოვს, ერთხელ ჩვენ სამივეს ერთად რომ გვითხრა, ჩემი რუსეთი მიყვარსო, მართალია სამშობლოდან გამომაგდეს, მაგრამ გული იქ დამრჩა, გული, რომელიც ჩემი მეგობრების ოცნებამ აღმიგზნოო, და იცით მერე ვინ იყვნენ ჩემი მეგობრები? — ამბობდა პოტოცკი; — ძმები ბესტუჟევები. ისინი ოთხნი ყოფილან, ოთხნი ძმანი: ერთი მწერალი, მარლინსკის ფსევდონიმით ცნობილი, მეორეც — განათლებული მეცნიერი. ამათ უმცროს ძმებთან, სამხედრო პირებთან ერთად შემოუვლია საფრანგეთი პოტოცკის.

. გახსოვს, რა აღგზნებით ლაპარაკობდა იგი სტეფან რაზინისა და პუგაჩოვის შესახებ? — ეჰ, ძმებო, რაზინი თითქმის ორასი წლის წინათ იყო რუსეთში. ამ დონელმა ყაზახმა, განათლებულმა სამხედრო პირმა ბატონების წინააღმდეგ მთელი რუსეთის გლეხკაცობა აშალა, მაგრამ ვაი რომ ვერაგულად მოჰკვეთეს თავი მოსკოვის კრემლის მოედანზე ისევე, როგორც მის მომდევნო პუგაჩოვს. ასეა, ძმებო, ძნელი და რთული საქმეა, ამ ქვეყანაზე უსამართლობას ბოლო მოუღო, მაგრამ კაცნი მიტომ გვქვია სახელად, რომ ისევე უნდა შევწიროთ თავი სამართლიანობის საქმეს, როგორც სახელოვანი რევოლუციონერები სწირავდნენ. და, ბოლოსდაბოლოს, არ შეიძლება სამართლიანობამ არ გაიმარჯვოს! ოღონდ, უმსხვერპლოდ თავისუფლებას ვერავინ მოიპოვებს და მე ახლა მაგონდება რა აღფრთოვანებით ლაპარაკობდა პოტოცკი პუგაჩოვსა და სტეფან რაზინზე და ფრანგ რევოლუციონერებზე. ეხლაც მახსოვს როგორ აღგზნებით მიმართავდა ის უბრალო მუშას მიშელს. „იცი შენ, მიშელ, — ეუბნებოდა იგი ფრანგს, — ფრანგები ბავშვობიდანვე მიტაცებდა. ეს ქვეყანა, ეს ხალხი, ეს სიყვარული არასოდეს გაქრება ჩემს გულში. და განა შეიძლება კაცს არ უყვარდეს მარატი, დანტონი, რობესპიერი“. — იცი

რას ამბობდა დანტონი? რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა.

ახლა კი ვეღარ მოითმინა უტუმ და ისევ ჩაერია:

— მახსოვს, მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება. ეს ჩვენთვის ჯერ გაუგებარი სახელები იყო, მაგრამ ახლა დანტონიცა და რობესპიერიც, მარატიც და ჩემი მეგობარი მუშა მიშელიც ისე შევიყვარე პოტოცკისა და თქვენი ჩაგონებით, რომ ერთნაირად ახლობლები მგონია.

ამით ისარგებლა გეგეჭკორმა და ახლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიასაც მოჰყვა.

— ეჰ, ძმებო, რომ იცოდეთ მშრომელი კაცის იმედი პირველად იქ საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში აღმობრწყინდება. იქ გაისმა სანუკვარი ხმები, თავისუფლება. ძმობა. თანასწორობა, ამას შესწირეს თავი სწორედ იმ რობესპიერმა. დანტონმა და მარატმაც და სხვებმა, მაგრამ შედეგ მათი მერყეობით ისარგებლა გენერალმა ბონაპარტმა და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტემ მთელი ევროპის დაჩოქება განიზრახა, მაგრამ სწორედ რუსეთში მიამტვრიეს მას ცხვირპირი. მერე ისევ გაიმარჯვეს მონარქისტებმა, ისევ აღსდგა ხალხი მათ წინააღმდეგ, ისევ რევოლუცია და... დღემდე გრძელდება ეს ამბები. მრავალი მსხვერპლი მოითხოვა რევოლუციამ. მრავალი ადამიანი შეეწირა, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ წაგებული. ხალხის, გამოღვიძებული ხალხის სტიქიონი არავითარ ძალას არ შეუძლია შეაყენოს...

ამ ამბავს ისე ყვებოდა გეგეჭკორი, თითქოს თვითონ იყო რობესპიერი, თუ დანტონი და ახლა თავის თანამებრძოლებს რევოლუციის ბარიკადებზე ეძახდა. მერე უცბად დაღონდა. შემდეგ კვლავ აღგზნებით დაიწყო:

— დიახ, პოტოცკისთან ერთად, ჩემს გულში ცოცხლობს და იზრდება ცეცხლი რევოლუციისა, მისი ალი არც არასოდეს განელდება ჩემს სულში. ე, ძმებო, რომ იცოდეთ რა ლამაზია, რა დიდებულია, რა საუცხოოა ეს რწმენა! და ვის სულსაც ერთხელ შეეხება ეს ბობოქარი ცეცხლი, იგი არც არასოდეს ჩაქრება მის სულში. და მე ახლა უაღრესად ბედნიერი ვიქნები თუ თქვენ, ჩემი ქვეყნის თავისუფლებისათვის ამხედ-

რებულ ძმებს და მეგობრებს რამეში გამოგადგებით. ახლა ჩემს სულში ახალი ძალით აღსდგა ამ სახელოვან წინაპართა სახე. მე მაქეზებენ, მეძახიან ისინი! — ისე გატაცებით და აღგზნებით ლაპარაკობდა გეგეჭკორი, რომ უტუ და მისი მეგობრები ამ კაცს პირდაღებული შეჰყურებდნენ და ახლავე მზად იყვნენ მასთან ერთად ბრძოლის ველზე გასულიყვნენ და ისე ეგონათ, გამარჯვებაც უკვე ხელში ეპყრათ.

ანდრიმ ახლა კი უშუალოდ პასუხი გასცა მასთან რჩევისათვის მოსულ მეგობრებს:

— არც ქართლში, არც იმერეთში ისე სასტიკად არ ეპყრობიან გლეხებს, როგორც აქ, ჩვენში. აბა რას ჰგავს ეს? გლეხი მთელი დღე და ღამე ბატონის ყანაში მუშაობს, მთელი ნამუშევარი კი ბატონს მიაქვს. მერე ამასაც არ სჯერდება და ბეგარად რამდენიმე დღე ამუშავებს თავის სახლში, იმასაც მოითხოვს, რომ იქ გლეხმა საჭმელი და საგზალი თავისი იქონიოს, არა, ასეთი ცხოვრების მოთმენა არ შეიძლება. ახლა არც ერთ განათლებულ ქვეყანაში არ არის ბატონყმობა. თურქებმაც კი დიდი ხანია გადაიგდეს ეს უღელი. ჩვენში და რუსეთში ისევე მძვინვარებს ეს სენი და ამ ავადმყოფობას ბოლო არ მოეღება, თუ ხმა არ ამოვიღეთ. ძალით უნდა მოვიშოროთ თავიდან ეს ჭირი. როგორც ჩანს, ნებით არავინ არაფერს მოგვცემს, მაგრამ ვიდრე იარაღს მოვკიდებდეთ ხელს და მტერს შევუტევდეთ, საჭიროა კარგად მოვიფიქროთ, კარგად მოვისაზროთ. და აი, გეკითხებით თქვენ, როგორ ფიქრობთ, გაგვყვება გლეხობა, წამოვლენ თქვენთან ერთად თქვენი ძმები, რომ მტერს თავს დავესხათ და თავისუფლება მოვიპოვოთ?!

მერე ისევ უტუმ აიღო სიტყვა. უკვე ეშხში შესულმა განაცხადა:

— ერთი დაძახებაა საჭირო, ერთი დაძახება და ჩვენი ძმები ჩვენთან გაჩნდებიან, განა ასე არ იყო თურქების წინააღმდეგ ომში? შემოწმებული მყავს ჩემი რკინის ძმები. ხომ გაიგეთ, რა მოხდა ახლახან ზუგდიდსა და სალხინოში, ვიღაცამ უბრალოდ წამოიძახა, ასე არ შეიძლებაო, დღე და ღამ გვამუშავებენ და საჭმელსაც ჩვენგან მოითხოვენო. წამოიძახა და მთელი ხალხი აჰყვა! ზუგდიდსა და სალხინოში მუშაობა შეა-

ჩერეს. სწორედ ახლაა დრო ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, ავიყოლიოთ ხალხი და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება!

ანდრი დაფიქრდა და სტუმრებს უთხრა:

— რთულსა და ძნელ საქმეს ვკიდებთ ხელს, მაგრამ საამისოდ მაგალითებიც გვაქვს. ალბათ, გაგიგონიათ უკვე ზღაპრად ქცეული არსენას ამბავი. ჰო, იმ გლეხ არსენაზე მოგახსენებთ, რომელმაც მთელი ქართლის თავადაზნაურობა ააფორიაქა.

უტუმ ვერ მოითმინა და შესძახა:

— როგორ არა, დედოფალი რომ ჩამოვიყვანეთ, მე თვითონ ვნახე მისი საფლავი მცხეთაში. კარგად მახსოვს, რაც ეწერა მისი საფლავის ქვაზე: „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“...

ანდრი ისევ იმერეთის და გურიის აჯანყების ამბებს ჰყვებოდა. არ დაუმალა და უთხრა ძმებს, რომ ყველა ის აჯანყება დამარცხდა, თუმცა ნაყოფი მოუტანა ხალხს. ბევრი შეეწირა ამ საქმეს. უმსხვერპლოდ არაფერი გამოვა და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ მსხვერპლის გასაღებად, რომ შემდეგ ჩვენს ძმებს, შვილებსა და შვილიშვილებს მაინც ჩამოვაშოროთ ის ჭირი, რაც მუსრს გვავლებსო.

დიდხანს ისაუბრეს ძმადშეფიცულმა მეგობრებმა. შემდეგ ანდრის წინადადებით აჯანყების ძირითადი გეგმისა და მოთხოვნის შედგენა დაიწყეს. ჯერ სასახლის კარისათვის წარსადგენი ვრცელი პეტიცია შეადგინეს, შემდეგ იფიქრეს, ძირითადი დებულებების მოკლედ და მარტივად ჩამოყალიბება აჯობებს, რომ ხალხისათვის ადვილად გასაგები იყოსო.

ყველაზე უფრო მაინც დაწყება გაუჭირდათ.

ისევ ანდრიმ აიღო ქაღალდი და დაწერა: „კაცის ბატონი კაცი არ უნდა იყოს: ძირს ბატონყმობა“.

როდესაც ეს ფრაზა წარმოთქვა ანდრიმ, უტუსა და თოდუებს სახე გაუბრწყინდათ და უნებლიეთ წამოიძახეს: „ძირს ბატონყმობა!“ ერთხმად შეთანხმდნენ, რომ პირველი მოთხოვნილება ეს უნდა ყოფილიყო. შემდეგ ანდრიმ კვლავ ვრცლად განუმარტა ახალი მუხლის შინაარსი. მართალია, გლეხს მიწას უფასოდ არავინ მისცემს, მაგრამ ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, ბატონყმობა არ იყოს, — ხოლო მიწის მეპატრონეებმა ხელ-

შეკრულება უნდა დაუდონ მიწის მუშას, რომ მთელი მოსავლის ნახევარი მაინც იმისი იყოს, ვინც ამუშავებს მიწას, ნახევარი იკმარონ მიწის პატრონებმაო. ამგვარად ჩამოაყალიბეს ეს მუხლიც: მიწაზე გადასახადებს საზღვარი დაედოსო.

ახლა კოჩა თოდუამ მოითხოვა, რუსები უნდა გავნდევნოთ ჩვენი ქვეყნიდანო. ისინი ბატონებივით წამოგვასხდნენ თავზე და როდი გვწყალობენო. რუსები, რუსები უნდა გავნდევნოთ, — გაიმეორა კოჩამ.

ანდრიმ განმარტა:

— რუსების ჩინოვნიკები რომ ჩვენს საძარცვავად არიან მოსული, ეს უდავოა, მაგრამ ახლა ჩვენი მთავარი მტერი მაინც ბატონყმობაა. რუსებს ჩვენ ვერ განვდევნით. აი, ხომ დაინახეთ, თვით თავით ფეხებამდე შეიარაღებული თურქეთის ჯარიც ვერ მოერია რუსებს, აბა ჩვენ რას გავხდებით და არც ერის სასურველი მათთან ომი, თორემ მაშინვე თურქი წამოყოფს თავს და ისევ მონად გაგვიხდის. მე მგონია, ჩვენც ისევე, როგორც ქართლში, კახეთსა და იმერეთშია ერთი მმართველი უფროსი უნდა გვყავდეს, ხოლო ამჟამად ბატონყმობის წინააღმდეგ უნდა ამოვიღოთ ხმა: ამ საქმეში მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს, დღეს კი ჩვენს უშუალო მტერს დედოფალს და სახლთუხუცესს უნდა გამოვუცხადოთ ომი. ისინი გვისევენ ამ ბატონებს და გვაძრობენ ტყავს. და ასე ჩაწერეს:

— „კაცი კაცის ყმა არ უნდა იყოს, არც დედოფალს და არც ბატონს არა აქვს უფლება გლეხი ყმად იყოლიოს, არც მისი გაყიდვის, გასაჩუქრების და გაცვლის უფლება აქვს.

სოფლის საქმეთა გამგებლად — მამასახლისებად, არჩეულ იქნან შეგნებული გლეხები: გლეხმა გლეხისა უფრო იცის“.

თავის მხრივ უტუმ დაუმატა:

— ბატონს წაერთვას ყმის დაჩაგვრის უფლება.

ესა თქვეს, ჩამოაყალიბეს ეს პირობები და ათ ცალად გადაწერეს, გადაწერილი ფურცლები სამ-სამი ცალი უტუმ და თოდუებმა წამოიღეს და იმავე ღამეს გაემგზავრნენ: უტუ ზუგდიდს წავიდა, კოჩა სუჯუნაში, მართალი კი სალხინოში დაბრუნდა.

ანდრის დარიგების თანახმად, ეს პეტიციის ქაღალდი ჯერ იმათთვის უნდა გაეცნოთ, ვისაც ყველაზე უფრო ენდობოდ-

ნენ, შემდეგ, როდესაც ასეთი ჯგუფი შეგროვდებოდა, მათი მეოხებით სოფლის კაცები უნდა აერჩიათ, ერთად შეეგროვებინათ და ერთ დღეს საჯაროდ გამოეცხადებინათ ეს პეტიცია.

ასეთ დღედ პარასკევი დათქვეს. სწორედ პარასკეობა იყო ბაზრობის დღე ზუგდიდსა, სუჯუნასა და სალხინოში. ამ დღის გამოყენება მათ გლეხთა კრებისათვის განიზრახეს.

უტუ, ჯოჩა და მართალი დიდი მონდომებით მოეკიდნენ დაკისრებულ საქმეს, შეკრიბეს თავიანთი ახლობლები, ჯერ იმათ გააცნეს ეს პირობა, შემდეგ უფრო გაადიდეს ამ საიდუმლოებათა მცოდნენი და სწორედ პარასკევ დღეს, ბაზრობის დღეს. ეს მოთხოვნა საჯაროდ გამოაცხადეს.

პარასკევს ზუგდიდში აუარება ხალხს მოეყარა თავი. ეს ჩვეულებრივ ბაზრობას არ ჰგავდა. ჩუმად მიმოდიოდნენ, რაღაცას უჩურჩულებდნენ ერთმანეთს. ფუსფუსი და მოძრაობა იყო მთელ ბაზარში. ბოლოს, სწორედ შუადღისას, ბაზრის შუა მოედანზე უტუ ერთ ამაღლებულ ადგილზე შედგა და ხმამაღლა დაიძახა:

—ძმებო, სიჩუმე და გაგონება, თქვენ ჩემზე კარგად იცით, თუ რა დღეში ვართ და როგორ ვცხოვრობთ. ჩვენ ცხოვრებას ძაღლის ბედი სჯობს, დღე და ღამე ვმუშაობთ და კაცად არა გვთვლიან, როზგებით, ხუნდებით, გაყიდვით, ძაღლებზე გაცვლით გვიმასპინძლდებიან. სანამდი ვითმინოთ ყოველივე ეს! ფოდით, ერთმანეთს მივცეთ პირობა, რომ არ ვუღალატოთ საერთო საქმეს და ერთად ვეძიოთ თავისუფლება.

პირობა დაგვითქვამს, რომ ამიერიდან არ ვემონოთ ჩვენს დამლუპველ ბატონებს. და აი ჩვენ, თქვენმა ძმებმა, კაცთა რჩევით და ღმერთის ჩაგონებით შევადგინეთ ეს ჩვენი მოთხოვნა და მე მინდა წაგიკითხოთ იგი.

აქ ხმას აუმაღლა და წაიკითხა უტუმ ის პეტიცია, რომელიც ანდრი გეგეჭკორის ხელით შეადგინეს მარტვილში. ხალხი სულგანაბული უსმენდა, როდესაც კითხვა დაამთავრა, ერთხმად იგრიალა ამოდენა ხალხმა: „ძირს, ძირს ბატონყმობა!“. დაუზოგავად დავკრათ ჩვენს ბატონებს!.. უარი ვუთხრათ ბატონყმობას! უცებ ვიღაც წვეროსანი მოხუცი ამოუდგა უტუს და შეჰყვირა ხალხს:

— ახლავე, ახლავე უნდა შევუტიოთ მტერს!

მაგრამ უტუმ დააშოშმინა:

— არა, ძმებო, ეს ასე არ გამოდგება. ჩვენ ახლა ამ პეტიციას სასახლეში გავგზავნით. ორ დღეს დავუცდით პასუხს, თუ ჩვენი პირობა არ შესრულდა შენ-ღეგ სუჯუნელი და სალხინოელი ძმები შემოგვიერთდებიან და მაშინ ძალით მოვიპოვებთ იმას, რასაც ნებით არ გვაძლევენ, ხალხი მაინც ყვიროდა:

— არა, ახლავე შევუტიოთ, ახლავე, იმათგან სიკეთეს ტყუილად ვამოველით!

მაგრამ უტუმ ახლა უფრო მკაცრად მოითხოვა წესრიგი.

ასეთივე პეტიციები წაუკითხეს სუჯუნასა და მარტვილში. შემდეგ ზემო სამეგრელოდან ხალხის აგორებული ტალღა შავი ზღვისაკენ დაიძრა...

ხალხის მიერ არჩეული სამი კაცი პეტიციით მიადგა ზუგდიდის სასახლეს. სახლთუხუცესმა ახლოს არ გაიკარა აჯანყებულთა მიერ წარგზავნილი კაცები და გრიგოლ დადიანთან გაგზავნა. გრიგოლი გაეცნო აჯანყებულთა პეტიციას. ჯერ გაბრაზდა და კინწისკვრით უნდოდა გაეყარა ეს „ბუნტოვჩიკები". მაგრამ შემდეგ ჩაფიქრდა და ასე მიმართა აჯანყებულთა წარმოგზავნილებს:

—აბა, მე როგორ შემიძლია ეგ პირობა შევასრულო, ეს ყველაფერი დედოფლის საქმეა. დედოფალი სულ მალე ჩამოვა, დავუცადოთ მას. იგი კეთილი ქალია და არა მგონია უარადღება არ მიაქციოს თქვენს თხოვნას.

კიდევ რაღაც მიკიბ-მოკიბა ბატონიშვილმა და ასე დაყვავებით გაისტუმრა აჯანყებულები.

სახლთუხუცესს არ მოეწონა ბატონიშვილის ეს მიკიბულ-მოკიბული პასუხი. მეორე დღეს თავისი კაცები აფრინა და ხალხს დაემუქრა: „ნებით თუ არ გამოხვალთ, ძალით გამოგიყვანთო".

ამაოდ უხმობდნენ სასახლის კაცები ყმა გლეხებს, მოხუცებისა და ბავშვების გარდა სოფელში არავინ დარჩენილიყო. ყველას ერთი პირი შეეკრა, გუდა-ნაბადი აეკრა, საგზალი წაეღო და აჯანყებულებს შეერთებოდა. აჯანყებულთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა.

უტუ ზუგდიდიდან ჯვარში ავიდა. იქაური საზოგადოება

მას კარგად იცნობდა და უფრო ადვილად მიენდვნენ მეთაურს. შემდეგ ჯვარის, წალენჯიხის და ობუჯის საზოგადოება ქიაჩის ჯვარზე დააფიცეს. აჯანყებულებს სათავეში ლევან კვარაცხელია ჩაუყენეს, კაცი ჯარში ნამყოფი, სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი, შემდეგ შტაბის უფროსი და სული და გული უტუს ჯარისა. ურჩი და თავნება ბატონები დაარბიეს და სრული წესრიგი დაამყარეს. ამ მხარეში და სოფლებში ნდობით აღჭურვილი პირები ჩააყენეს.

უტუს თანდათან წესრიგი შეჰქონდა ურდუმელების საქმეში და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო სოფლისა და ხალხისა. ურდუმელები უტუს გარდა არავის ემორჩილებოდნენ.

მებატონეებს ეგონათ, დღეს თუ ხვალ გაქცეული ყმები ისევ დაგვიბრუნდებიანო, მაგრამ დღეები გადიოდა და ყმები არსად ჩანდნენ.

ახლა სამეგრელოს სამღვდელოებაც შეფუცხუნდა და წერილი აფრინა ჭყონდიდელმა ბლაღოჩინ ბერიძესთან:

„მოაწია ჩემდამი ცნობამან, რომელ, რომელნიმე მდაბალები ხალხნი აბუნტებულან და აქუთ ზორბა ბუკის ცემითა და შეფიცებითა ურთიერთისადმი. — რა მიზეზია ესე ვითარი შეკრება და ბუნტობა მათი. თუ რამ გულმტკივნეულობა არის მათ შორის ვისმეზედ და სჭირთ რაიმე იძულება, ესე თხოვნით უნდა, და არა ბუნტობით, — მე ვითარცა მწყემსთმთავარი და მზრუნველი მათი ვწუხვარ მათთვის ესრეთის მათის შეცდომილებისათვის, — და მამობრივის დარიგებითა ურჩევ მათ რათა დასცხრენ იგინი ესრეთის ბუნტისაგან, ბუნტი და ამგვარი ბუკის დაკვრით შეკრება მათთვის არა თუ არის კარგი რაიმე, არამედ ფრიად მავნებელ, — რასა ზედა წარმოგიწერთ და რა დაუმტკიცოთ უფლებასა ქვეშე თქვენთა მყოფთა მღვდლებთა, რათა მათ იმეცადინონ სულიერის სიმშვიდის ქადაგებითა და შეგონებითა ისრეთთა ხალხთადმი, რომელ იგინი დაწყნარდნენ ისრეთისა ბუნტისაგან და მიიქცნენ თავიანთ სახლებში სამუშევრად წლიურსა მათისა საზრდოისა.

მთავარი ჩვენი, და მთავრინა მობრძანდებიან 20 ამა თვისას და მობრძანებამდენ მათსა უთუოდ ყველანი იგი მიიქცნენ მათ-მათს სახლებში — და უკეთუ რამე უსამართლობა და

იძულება მიაყენა ვინმემ, ბატონისაგან ითხოვენ ესრეთი და უთუოდ უსამართლობას არავის გაბედვინებს მათ ზედა. —მე იმედი მაქვს, რომ ჩემს მწყეცსმთავრულს შეგონებას და რჩევას დაადგებიან იგინი, რომელიც იქმნების მათთვის ფრიად სასარგებლო.

მენგრელიის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თეოფანე.

9 აპრილს, 1857 წ.“

თავის მხრივ სალხინოელმა თოდუამ სალიპარტიანოს მთელი საზოგადოება ზღვისპირეთისაკენ დაძრა, უტუ მიქავას რაზმეულებთან შესახვედრად.

თოდუას რაზმელებმა ბარდას, ინჩხირის, საბაჩილაოს, ნახუნავოს სოფლები აიყოლიეს, მარტვილში შეუხვიეს, არქიმანდრიტი ტარასი ელიავა და დეკანოზი ბორისოვი, რომლებიც აჯანყებულებს არ დაემორჩილნენ, დილეგში ჩააგდეს, ბახძაში გასწიეს, იქ ფაღავები დაარბიეს, მიწები გლეხებს დაურიგეს და ურჩი მებატონეები „ნაობახტში“ გამოამწყვდიეს, დილეგში ჩამწყვდეული გლეხები გაათავისუფლეს, ყველგან რაზმელები ჩააყენეს და გეზი ძველი სენაკისაკენ აიღეს.

თოდუას რაზმს წინ წითელი ფერის დროშა მიუძღოდა და ასევე რაზმეულებს მკლავებზე წითელარშიანი სამკლავე ჰქონდათ გაკეთებული.

სამეგრელოში ყველა სოფელი და დაბა აჯანყებულთა ხელში იყო. იქ, სადაც მებატონეები არ ემორჩილებოდნენ უტუს რაზმელებს, არბევდნენ ბატონის სახლკარს და თვითონ აწესებდნენ კანონებს საბატონოში. აჯანყებულ გლეხთაგან შეშინებული ზოგი ბატონი და აზნაური აფხაზეთსა და სვანეთს გადაიხიზნა. გლეხებს, რომლებიც არ უერთდებოდნენ აჯანყებულებს, ძალით აფიცებდნენ ხატზე და აჯარიმებდნენ გადასახადით. უტუს ჯარის იარაღს, ტანისამოსს და საჭმელს, ხალხის ნებაყოფლობით გაღებულს, ეს ჯარიმებიც ემატებოდა. ასეთმა ადმინისტრაციულმა ზომებმა ალაგმა ბატონიშვილებისა და მათი მოხელეების პარპაში.

უტუს რაზმელები მკაცრად ეპყრობოდნენ ყველა ურჩსა, ორპირსა და მერყევს. სწორედ ისინი იყვნენ, რომ უტუს რაზმელებს აჯანყების დამარცხების შემდეგ ასე გამეტებით ასმენდნენ საოკუპაციო ხელისუფლების წინაშე:

უფალს კ-ზ ერისთავს
ჯვარის მაზრის და სოფელ ობუჯის
მცხოვრებთა ბულათია ფიფიას და
სხვათა ერთობით მოვვარეთა მისთა
ფიფიებისაგან.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

როდესაც სოფელი ესე მიასაკუთრა მთავარმა ტარიელ დადიანს, მაშინ იმ დროიდან ჩემი გვაროვნობა მხნეობისანი ქიაჩის ხატითა დაფიცებულვართ ერთგულებისათვის, ხოლო როდესაც ტარიელ დადიანი გარდაიცვალა, მე, ძემან მისმან, ფარნაოზ და პლატონმან, ახალგაზრდა რაოდენიც ვიყავით, კვალად გვაფიცეს საერთგულოდ და კიდევაც მუნიდან მოკიდებული ერთგულიცა ვართ და არც არს ჩვენზედ მოვდურავი მებატონე, რომლისთვისაც ვართ კომლად ათი თუ თორმეტი კომლნი, მოსურნე ვიყავით და ეხლაც ვართ, სასიამოვნოდ ჩვენის შეძლებით მსახურებისა მებატონეზედ, და ეხლა ამა მდგომარე წელსა ჩყნზ (1857) მაისის თვესა მოხთა ცოდვის კითხვა: საზოგადოება მეგრელიისა და ატყდა ხალხი ბუნტად და მთისაკენ ჯვარელები და სხვებნი შეყრილნი ყოფილან წალენჯიხას და იქიდან მოციქული გამოგზავნეს ობუჯის მცხოვრებ ხალხთან: თანახმად ხართ თუ არაო? შენგელაიას ყმებმა შეუთვალათ, რომ: ჩვენ თანახმანი ვართ თქვენის ბუნტოვშჩიკობისა და კიდევაც შეგფიცებთო, მაგრამ პირველად ფიფიები თუ არ აფიცეთ, არ იქნებაო. შეუთვალეს შენგელაიას ყმებმა ჯარს, ჩვენ მოციქულების პირით შეუთვალეთ ბუნტის თავებსა: ჩვენ თქვენი თანახმა არა ვართო და ორგზის დაფიცულ ვართ ბატონისაგან ერთგულებაზედ და ანუ ვერ უღალატებთ ხატს ან ბატონსა შევუთვალეთ. ვიცით, ყმებს ჩამოართმეთ ყოველ კაცებს და ჩვენ ვერ შევალთ ამგვარ საქმეშიო განუცხადეთ, გარნაც მაისის თვესსა ვე ბულათა და ხუხუ ფიფიები წავედით ყულისკარის სოფელსა ამბის შესატყობად და ჩვენ რომ იქ დავრჩით ჩვენი ოჯახში მოსულან ჯარისკაცები სამის ბაირაღისა, ურას ძახილით და ბუკების დაკვრით, ე. ი. ხუთას სამოცდათექვსმეტი კაცები ჩვენს ოჯახსა, ორის მხრიდან რამდენიმე ჭიშკარით, და სხვანი მესერი შემოუმტვრევიათ, და პირველს მოსვლისას დაეტეხათ სამჭე-

დური, დაეტეხათ ერთი მხარე სახლისა, შემდგომ დაეტეხათ მარანი, 70 კოკა ღვინო იყო მარანში, რამდენიც დალიეს და სხვა მიწით გაევსოთ ჭურები. აქ დაამტვრიეს ყოველივე და ხორაგი რაც ნახეს წაიღეს. აქედან რომ წავიდნენ, მიუხდნენ დათიკა ფიფიას, ოცდაათი მხარი მესერი დაამტვრიეს, ერთი მხარე სახლისა დაამტვრიეს და ღვინო რაც ნახეს დალიეს და მარანი სრულიად დაამტვრიეს. რადგანაც გამოგვიმეტეს, რომელსაც შეგვეძლო გაიქცნენ; დაიჭირეს ისლამი ფიფია და გალახეს; დაიჭირეს მაქვა ფიფია და გალახეს; დაიჭირეს კუპურუა ფიფია და გალახეს; დაიჭირეს პეპუ ფიფია და გალახეს; დაჭერილებიც წაეყვანათ და საყდრისაკენ წასულიყვნენ და საყდარზე დაჭერილები, როგორც იმათ უნდოდათ, ისე დაეფიცებინათ. ამა დროს ჩვენ ამბის შესატყობად წასული ბულათია და ხუხუ ფიფიები მოვედით და ჯარისკაცებმან დაგვიჭირეს, ყოველისაგან გაგვძარცვეს, დაგვიჭირეს და ხატით დაიფიცეთო; ჩვენ უარი უყავით, მაგრამ სიკვდილი არად მივიჩნიეთ და სიკვდილის შემდგომ სული ღმერთს არ დაეკარგოს და ფიცს სიკვდილი გვირჩევნია — განუცხადეთ და ამის შემდგომ ხელი ამაღეს სასიკვდილოდ და რაოდენ რიგად შემაწუხეს და მაწვალეს, ამის ანგარიში მე თვით არ უწყი და სრულიად საზოგადოება დაამტკიცებს, რაოდენი სასჯელი სასიკვდილო მომაყენეს და ღვთის სასწაული დაილოცა, თორემ ჩემს შერჩენასა არავინ არ იტყოდა და ვინაიდან სასიკვდილოდ გალახული ვიყავით, სიკვდილად მიწევნილს კაცს მეტს რას უზამდათ და ხატზე გარდაცემული დაგვტოვეს და რომელიც ხელად ყავდათ დაჭერილი, იქიდან წაიტანეს უიარაღოთ, რომ თავთავის ოჯახში ტანისამოსის ჩაცმაც არ აცალეს უმეტნაკლოდ. გარემოება ჩვენი ეს არის, რომელსაც ემოწმება თვით ჩვენი ბატონი და ემოწმებიან ერთობით აზნაური შენგელაიები —ვემოწმებით ამ ქაღალდს ბატონიშვილი ნიკო, აზნაური ბეჟან შენგელაია, ვემოწმები ამ წერილსა მე პეტრე შენგელაია, ვემოწმები მე დათა შენგელაია".

* * *

სალხინოელი, სუჯუნელი და ზუგდიდელი აჯანყებულები ხობში შეერთდნენ. აქ ისევ ხატზე დააფიცეს აჯანყებულები და საერთო მეთაურად უტუ მიქავა აღიარეს.

უტუმ აჯანყებულები ასეულებად დაყო, თვითეული ასეულის მეთაურად ყველაზე გამოჩენილი და თავდადებული ვაჟკაცები შეარჩია.

აჯანყებულთა რიცხვი ათი ათასზე მეტი იყო. ურდუმი უწოდეს ამ აჯანყებულებს, დროებითი მმართველობაც შეუდგინეს, სიმღერაც შეუქმნეს, რომელსაც აჯანყებულნი მღეროდნენ. „აბა ულა, აბა ულა, ვარა რჯგინა, ვარა ღურა“ (აბა წავიდეთ, აბა წავიდეთ, ან გამარჯვება, ან სიკვდილი!). მღეროდა ამ სიმღერას ეს ათი ათასი კაცი და ცამდე აღწევდა გუგუნი თავისუფლების საქმისათვის ამხედრებული სამეგრელოს გლეხკაცებისა.

გავიდა დრო. სასახლის იასაულები ისევე დაერივნენ სოფელს, მაგრამ აჯანყებულთა რაზმელებმა ერთბაშად ალაგმეს შათი პარპაში, თვითონ ჩააყენეს სოფლებში თავიანთი კაცები, გარკვეული წესრიგი დაუწესეს ყმასა და ბატონს და ერთბაშად, მთელი სამთავროს ბატონპატრონნი და მმართველნი გახდნენ.

ახლა საქმეს ანდრი გეგეჭკორთან ერთად უტუ მიქავა, მართალი და კოჩა თოდუები განაგებდნენ. ყოველ დღე ბჭობდნენ, აქა-იქ მომხდარ უწესრიგობას ლაგმავდნენ და სრული წესრიგი შეჰქონდათ სამთავროში.

საქმის მეთაურები მდინარის პირას ისხდნენ და ბჭობდნენ. სასახლის აღების გეგმას ადგენდნენ. სწორედ ამ დროს უტუს რაზმელებმა ამბავი მოიტანეს, ბანძელ ფაღავებს ტყვეები გაუყიდნიათ და ოსმალეთში მიერეკებიანო. უტუს ბანაკი ერთბაშად აფორიაქდა.

ყველაზე სამარცხვინო, ადამიანის დამამცირებელი და აბუჩად ამგდები ყმების ყიდვა-გაყიდვა იყო. ფეოდალიზმის ეს სამარცხვინო წესი მუსრს ავლებდა საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს. ქვეყნის შიგნით მებატონეთა ავკაცობასა და გულქვაობას და ამ ნიადაგზე მებატონეთა შორის ადამიანთა ყიდვა-გასაჩუქრებას ემატებოდა გარეშე სახელმწიფოებთან — ოსმალეთთან და სპარსეთთან ყმებით ვაჭრობა. აშკარად დღისით-მზისით ერეკებოდნენ ასობით და ათასობით ქართველ ვაჟკაცებსა და ქალიშვილებს ოსმალეთსა და სპარსეთში. ფოთ-

თან ახლოს, ანაკლიაში უყრიდნენ თავს ამ უბედურებს. ამბობენ, ამ ადგილს ანაკლია სწორედ იმის გამო დაარქვეს, რომ ეს იყო ნავსადგური, საიდანაც ათასობით გაყიდული ბიჭები და გოგონები მიჰყავდათ. აქამდე მოაცილებდნენ მათ ფეხშიშველა და თმაგაშლილი დედები, აქ კივილით, ვაითა და ვიშით ეთხოვებოდნენ შვილებს, ხმაგაბმულად მოსთქვამდნენ და ტიროდნენ. მათი კივილი ცას სწვდებოდა. და „ანაკლიაც" გამოკივლებულ-გამოტირებულ ადგილს ნიშნავსო. სამარცხვინო წარსულის ეს სახელი შერჩა ამ ადგილს.

დავით დადიანის ბრძანების თანახმად ბატონები ერთ ხანს იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ ამ საქმეზე, მაგრამ შემდეგ ომარ-ფაშას მიერ სამეგრელოს დაპყრობას თან მოჰყვა ამ სამარცხვინო ძალმომრეობის უფრო მძაფრად განახლება. საქმე ის იყო, რომ ომარ-ფაშამ სპეციალური დავალება მიიღო სულთანისაგან, მისი ჰარამხანებისათვის ულამაზესი ქართველი ბიჭები და ქალები შეერჩიათ. თვით სულთანი პირად ბარათში აღწერდა ვაჟებისა და ქალების გარეგნობას, კერძოდ — თუ რა სიმაღლისა, რა მოყვანილობისა უნდა ყოფილიყვნენ, რა ფერის თვალები უნდა ჰქონოდათ ქალებსა და ბიჭებს და ომარ-ფაშას კაცებიც ამის მიხედვით დაესივნენ სოფლებს, საგანგებო რაზმები შექმნეს და ასე განუკითხავად მოუსვეს ხელი ლამაზ ქართველებს. მაგრამ ომარ-ფაშამ ვერ მოასწრო საკმაო ნადავლი შეეკრიბა სულთანისათვის. ომარ-ფაშას აქედან წასვლის შემდეგ კვლავ ისარგებლეს სამეგრელოს არეული მდგომარეობით და ახლა ოსმალებმა აშკარა ვაჭრობა გამართეს სამთავროს მებატონეებთან სულთანისათვის გოგო-ბიჭების შესაგროვებლად.

თურქეთის სულთანის ავხორცობა მთელ აღმოსავლეთში ცნობილი იყო. მას რამდენიმე ჰარამხანა (ქალებისათვის) და სათუქსუსო (ბიჭებისათვის) ჰქონდა სპეციალურად მოწყობილი. სულთანის სრული ნებართვით მთელ თურქეთში გაჩაღებული იყო ბიჭებითა და ქალიშვილებით ვაჭრობა. ასეთი აღებმიცემობა ჰქონდათ სულთანის კაცებს გამართული სამეგრელოშიაც.

მას შემდეგ, რაც რაზმელებმა ბანძაში ფაღავები დაარბიეს, მეორე დღესვე გაბოროტებულ მებატონეს მეამბოხეთა ოთხი

ულამაზესი გოგონა შეუპყრია და წითურ ოსმალო ვაჭრისათვის მიუსყიდია. სწორედ ეს ამბავი ამცნეს უტუ მიქავას.

გაიარა სამმა დღემ და ეს ტყვეები ფაღავების მოურავებმა ანაკლიასთან მიიყვანეს. მათ ბანძელი თავადი ფაღავაც ახლდა, რომელსაც მას შემდეგ, რაც გემში ჩასხამდნენ ტყვეებს, ფულები უნდა მიეღო ამ თურქი ვაჭრისაგან. სწორედ მაშინ, როდესაც ბანძელი ფაღავა ფულს ართმევდა თურქ ვაჭარს, თოდუას რაზმელები თავს დაესხნენ ფაღავას მოურავებს და ფაღავასთან ერთად შებოჭეს .ახლა თურქმა ვაჭრებმა კანონით მოითხოვეს რაზმელებისაგან ხელი არ ეხლოთ ნაყიდი ტყვეებისათვის. ტყვეების ნაყიდობის ქაღალდი ამაყად გადასცა თურქმა თოდუას და თან მიმართა: „ამბობენ, რომ ეხლა დედოფლის მაგიერ თქვენ განაგებთ სამთავროს და თუ თქვენ მთავრობის კაცი ხართ, კარგად გეცოდინებათ, რომ ვაჭრობას პირობის შესრულება უყვარს და თქვენ ხელს კი არ უნდა მიშლიდეთ, პირიქით, უნდა მეხმარებოდეთ“.

თოდუა განრისხდა, უნდოდა მეტიჩარა ვაჭრისათვის სილა გაეწნა, მაგრამ თავი შეიკავა, პირობის ქაღალდი გამოართვა და დაყვავებით უთხრა: ეს ყმები, რომლებიც თქვენთვის მოუყვანიათ, ჩემი ნათესავები არიან. ამიტომაც ამათი გამეტება არ შემიძლიაო. სამაგიეროდ პირობა მისცა, რომ შემდეგ პარასკევისათვის ამ ოთხივე ყმის ნაცვლად ოთხ ყმას თვითონ მოუყვანდა და საკუთარი ხელით გადასცემდა. მართლაც, შემდეგ პარასკევს პირობისამებრ დანიშნულ საათსა და დროს მიქავას კაცებმა ოთხი ხელფეხშეკრული კაცი მოგვარეს ყმებით მოვაჭრე ოსმალოს. საქმე ის იყო, რომ უტუს რაზმელების საბჭოს დაედგინა: ვაჭრისათვის ყმების გამყიდველი მებატონეები ჩაებარებინათ გაყიდული ყმების მაგივრად. ასეც მოიქცნენ, ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ერთი გამყიდველთაგანი მღვდელი იყო. იმავე დღეს უტუს ბრძანებით ეს მღვდელი გაპარსეს, ბანძელ სამ თავად ფაღავასთან ერთად (რომლებიც ამ საქმეების გამო იყვნენ დაპატიმრებული). ყმებით მოვაჭრე თურქს მიჰგვარეს. ვაჭარი რომ დააკვირდა ამ თავადიშვილებს, სამივე იცნო, ჯერ უნდოდა ხმაური აეტეხა, არაფრად ეპიტნავა ეს თავადები იმ ახალგაზრდა გოგონების ნაცვლად, მაგრამ შეატყო სხვა გზა არ იყო, ერთი იქედნურად ჩაიცინა, ამ სამ თავადსა და გაპარსულ

მღვდელს ხელი ჩაავლო, ოთხივე გემში ჩასვა და ფოთისაკენ გასწია.

თოდუას კაცები ზუგდიდს დაბრუნდნენ და საჯაროდ გამოაცხადეს, ყველა თავადსა და აზნაურს, რომელიც ყმას გაჰყიდის, იგივე ბედი ეწევა, რაც ფაღავებსა და ყმებით მოვაჭრე მღვდელსაო.

უტუს იმავე საღამოს წაუკითხა გეგეჭკორმა ასლი იმ წერილებისა, რომლებიც მან დადიანების კანცელარიაში ამოიწერა. ანდრი, როცა დადიანთან მსახურობდა, წიგნს ამზადებდა („ბატონყმობა სამეგრელოში"). სწორედ ეს წიგნი წაუყენა მაშინ მთავარ ბრალდებად დადიანმა გეგეჭკორს, და ამ საბაბით დაითხოვა სასახლიდან. ეს წიგნი შვილზე ნაკლებ არ უყვარდა გეგეჭკორს და არც არასდროს იცილებდა.

აი რა ეწერა ამ საბუთში:

1. ჩ ყლ-ს წელსა ნოემბრის იბ-ს.

„ქ. თვით დასაუბამოისა და შეუცდომელისა მღვთისა ბრძანებულისა გონებით სიმართლით ჭეშმარიტს ნასყიდობის წერილს გაძლევთ ჩვენ შელია ბესარიონ ლევანის-ძე და შელია ზურაბ მამუკიას-ძე შენ საჩიჩუოს მცხოვრებსა აზნაურს ლევან გიორგის-ძეს ფულარიას ამა საგანსა ზედა. რომელ მამაპაპით ჩვენი საკუთარი მოჯალაბე არახამია მეტია და მისი შვილები: ქაქუჩია, ვატანია მოგყიდეთ და ფასი სრული გამოგართვით როგორც გული შეგვიჯერდება და აწ გყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ყოვლის კაცის უდაოებლად; არც ჩვენ და არც ჩვენი ძე და მომავალი, არც შენ და არც შენს ძესა და მომავალს არ ედაოს და, თუ ვინმე ამ ბსენებულს მოჯალაბეში მოდაეე აღმოგიჩნდეს, ანუ შენ, და ანუ შენ ძესა და მომავალს, მაშინ ყოვლის ვარის უთქმელად, ჩვენ მოგაცილოთ და ის მოჯალაბე შენ გაკუთნოთ. ესრეთ განსაკუთრებით მოგვიყიდნია; აწ მოწმობს წერილსა ამას თვით დაუსაბამო ღმერთი და კაცთაგან შელია როსტომ, შელია ქაიხოსრო და ბერუკა, მარღანია, ბეჟან, პაპასქირი ათაია და მე ამა ხსენებულის შელიების თხოვნით ვაწერ კნიაზ დუტუ დადიანოვი და მოწამეცა ვარ იმისი და თვით ბესარიონ და ზურაბ ხელს აწერენ ++ ვმოწმობ წერილსა ამას მანუჩარის ძე კნიაზ ბროპორშჩიკ დადიანოვი".

ახლა მეორე საბუთი წაიკითხა გეგეჭკორმა:

„მე, ქუემორე ამისა ხელის მომწერი, სამეგრელოს სამთავროს სენაკის ოკრუღის სალიპარტიანოს მცხოვრები აზ-ი დათიკა ლევანის ძე ანჯაფარიძე, გაძლევ ამა მტკიცესა და საუკუნო გასათაუებელს ნასყიდობის ხელის წერილს, თქუენ იმაუე სამთავროის, ოკრუღის და სოფლის მცხოვრებს ერთ მეგვარეს ჩემსა აზ-ს მღვდელს სამსონ ანჯაფარიძეს, მას შინა რომელ მამა-პაპით კუთვნილი ჩემდამი გლეხი ამავე სოფელსა შინა მცხოვრები ტოჩიელა ახალკოჩის შვილი გადილია თავისის ცოლით და შვილით ივანეთი მოგყიდეთ თქვენ და ფასი გულის საჯერი ჩემი მივიღე რიცხვით ოთხმოცი მანეთი ვერცხლის ფული. აღნიშნული ესე გლეხი გეკუთვნის თქვენ ამიერიდან ყოვლის თვისადმი სამსახურითა დ გარდასახადითა დებულებით, ადგილ-მამულით წილით, საფლავით უძრავ-მოძრავის, საძებრისა და უძებრით, ერთის სიტყვით, ყოვლის საცხოვრებელითა, თქვენ შვილთა და შემდგომთა შთამომავლობათა თქვენთა, უდაურად ჩემგან შვილთა და შთამომავლობათა ჩემთაგან, და უკეთუ ვინმე ამაზედ მოდავე აღმოჩნდება მაშინ თანამდებ ვარ მე და შთამანი ჩემნი, მოგაცილოთ და უზრუნველგყოთ ყოვლისა პასუხისგებისაგან დასამტკიცებლად ამა სამარადისო უცვალებელისა ნასყიდობის ხელის წერილისა, საკუთრის ხელითა წერის უცოდინარობისა გამო ჯვარს ვაჯდენ. +

მოწამე არიან წერილისა ამის ქვემორე ხელის მომწერნი — ვემოწმები წერილსა ამას თავადი ალექსი დგებუაძე.

ვემოწმებით წერილსა ამას:

აზნაური სისო ანჯაფარიძე,

აზნაური მორაზ ანჯაფარიძე

აზნაური სპირიდონ ანჯაფარიძე,

დიმიტრი ანჯაფარიძე. რადგან ამათ წერა არ იციან, ნაცვლად მათდა ხელს ვაწერ პირჩედნიკი ივანე გულორდავა.

პირის-პირ თხოვნათა აზნაურის დათიკა ანჯაფარიძისათა დავსწერე ნასყიდობისა წერილი ესე აზნაურმან გრიგოლ ანჯაფარიძემ“

წაკითხა ეს დოკუმენტები და ამოოხვრით თქვა გეგეჭკორმა:

— აი, ჩემო უტუ, როგორ ექცეოდნენ ჩვენი მებატონეები გლეხებს, რაც შეეხება აწ გარდაცვლილ დავით დადიანს, ისიც გაუმაძღარი მებატონე იყო. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი მტერი იყო, არა, ის ნამდვილად მოხერხებული და ჭკვიანი ბატონი იყო. აი, რა დამაწერინა მან 1840 წელს და გეგეჭკორმა ახალი დოკუმენტი წაიკითხა:

...მშობლისა მიერ ჩემისა და ჩემ მიერ მრავალგზის არს შენიშნულ, რომელ რომელიმე უფლებიან კნიაზ და აზნაურნი ექქცევიან თვისთა ყმათა სასტიკად და უწყალოდ;... ვითაარცა ახლა ამ ჟამად შეუდგა რომელ კნიაზმან თემურყვა ანჩაბაძემ, თვით დასჯა ქორის გაქცევისათვის მისი გლეხის — ბახუტა აფშილავას მიერ; გააკეთა ზანდუკი მსგავსად კუბოსა და მას შინა ყავდა დამწყვდეული იგი აფშილავა რამდენსამე დროშიდ და აპურებდა მას გამოჭრილ მას შინა ფანჯრიდან. ესრეთი ამა ანჩაბაძის ქცევა წინააღმდეგ არს საზოგადო ცხოვრებისა და არა—კაცობრივობა". და ეს თავდებოდა ასეთი შეგონებით: „კვალად არვინ გაბედოს ქმნა თვისთა გლეხთა ზედა სასტიკი და უწყალო დასჯა"-ო.

— მაგრამ მე ხომ ვიცი, ყველაფერი ეს ფანდი იყო, რომ მერე თვითონ ადვილად ებატონა გლეხებზე. აი იმის საბუთიც. ეს დოკუმენტი დავითის ხელით არის დაწერილი. აი რა სწერია ამ წერილში: „საბატონო გლეხი ქვაცა წიწავა არის მამრობითი სქესის, სამი სული, რომელსაც მართებს სამთავროს გადასახადი ერთი საუდიერო ღორი, ერთი ქილა ღომი, ერთი კოკა ღვინო; ერთი ლანგი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიისა, საბოჭი ქათამი, ცხენის ჩაბმა ტვირთობა, ნადობა და მუშაობა".

— ეს ერთ კაცს მართებდა, ახლა იანგარიშე, რამდენი ასეთი გლეხი, ყმა და აზნაურია სამეგრელოში. ამდენ გადასახადს ახლევინებდა დავით დადიანი ხალხს და მაინც არ იყო კმაყოფილი შემოსავლით, ხშირად წეწუნებდა. ერთ ბარათში იგი ძმას სწერდა: „მწერ ნუ ხარ პირშავიო. და თუ მქონდეს და არ გიგზავნიდე, მაშინ ვიქნები შენთან პირშავად. ახლა თუ ვისესხებ, თორემ არსაიდან ღონე არ მაქვს, შენ ნუ მომიკვდე, ეს ქალების გათხოვება, (დავითი თავისი დის გათხოვებას გულისხმობდა), ამდენი სტუმარი, მასპინძელი, მტერი და მოყვარე მე და-

მაწვა ყველა. რომ იცოდე ჩემი ამბავი შეგებრალები. იმ საზომზე მივალ ხოლმე, ნეტავ შორს მქნა სადმე თქო, შენი მოძულებული მოვკვდე, თუ ჩემი ცოლისძმა მეწვია და ერთი სატევრის მეტი რამე მქონოდა მისაცემი. ან მით არ გამესტუმრებიოს. შენს რძალს მინისტრის მოსვლისთვის კაბა არა აქვს ძველის მეტი, ის შენი რძალი ნუ მომიკვდეს და ეს ვერ ვუყიდე. დამიჯერე".

— ასეა, ჩემო ძმაო. ვერა, ვერ გააძღებ ბატონების მუცელს, მაგრამ ჩვენ უნდა მოვუშალოთ მათ ეს ღორული მადა.

ყოველივე ამის მოგონებამ უტუს ძველი ჭრილობა განუახლა, სჯეროდა, რომ ამ უსამართლობას სულ მალე მოეღებოდა ბოლო და ეს ახარებდა.

უტუ შესცქეროდა ამ ამღერებულ, მოზეიმე ხალხს და თვითონაც გულით ხარობდა. ამ დიდ საქმეში, ამ ზარზეიმში თავის წვლილს ხედავდა.

— დე გაიგონ, თუ რას ნიშნავს მოთმინებიდან გამოსული. გაბრაზებული და აღშფოთებული ხალხი. ვნახოთ, რას გახდებიან ჩვენთან! თუმცა იარაღიც ჩვენზე მეტი აქვთ და მთავრობაც მათ მხარეზეა, მაგრამ ღმერთი და სამართალი ჟრ გასწირავს გლეხკაცს!

ეჰ, ჩემო ლამაზო ქვეყანავ, ვინ რა იცის, რომ შენი ერთგული გლეხია, შენი ეროვნული ხე გლეხის დარგულია ამ დალოცვილ მიწაზე და ეს ხე არ გახმება, სანამ გლეხი ცოცხლობს. ეს ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, გლეხის ოფლითა და შრომით არის აშენებული. და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ მას არ უნდა ჰქონდეს კანონიერი წილი?

უტუმ ისევ შეხედა გლეხებს. გლეხები უტუს ჯარის საყვარელ სიმღერას მღეროდნენ:

ჩარი, ჩარი, ჩარიმა,
ვორი ოხოხოია
დადიანს დადიანური,
ჩიქვანეს ხაჯალური,
ბედიენს მათრახიდი,
ყორძახიებს დიდ პანღური...

* * *

უტუ ჯარს წინ მიუძღოდა. მედიდურად, ნელა მიაბიჯებდა. მის უკან ვეებერთელა დროშა მოჰქონდათ, ხოლო დროშის უკან მიხა მოაბიჯებდა გრძელი ნაბიჯებით, ხელში ბუკი ეჭირა, რომელსაც არასდროს არ იშორებდა, მიხას ათი კაცი ახლდა, რომელთაც ეკლესიიდან საყვირები გამოეტანათ.

ეს აწოწილი მაღალი მიხა, ერთ დროს სალხინოში მეჯინიბედ ჰყავდათ. მიხა მეტისმეტად კეთილი, მაგრამ ერთი დოყლაპია, უდარდელი კაცი იყო. მოურავმა მას სასახლის ბუკი ჩააბარა. მიხა, ბრძანებისამებრ ბუკს ყოველ ცისმარე დილას უკრავდა, მაშინაც უკრავდა, როცა ყმებს მოუხმობდა სამუშაოდ და მაშინაც, როცა ბატონები სანადიროდ მიდიოდნენ. ერთი სიტყვით, ყმასა და ბატონს, მთასა და ბარს მიხას ბუკი აღვიძებდა. მას ასე ეგონა, მთელ სასახლეს ჩემი ბუკის ხმა მართავსო. ოღონდ მიხას მარტო ერთი რამე სწყინდა: როცა სასახლეში ვინმე უხეიროს და დიდთავას დასცინოდნენ, ასე ეტყოდნენ ხოლმე, რა მიხას ბუკივით გაგსიებია ეს უტვინო თავიო...

სალხინოში ყმები გაიფიცნენ. იდგა ყოველ ცისმარე დილას მიხა და თავისი ბუკით ყმებს სამუშაოზე მოუხმობდა, მაგრამ მიხას ბუკმა კი არა, ჩიქოვანის ბოქაულებმაც ვერ გამორეკეს სამუშაოდ გაფიცული ყმები. გაუწყრნენ მიხას. ერთ დილით, როცა ბუკს ჩაჰბერა მიხამ, სრულიად უმიზეზოდ მასთან გაჯაკრებული ჩიქოვანი მიიჭრა და გინებით ხმა გააკმენდინა მასაც და მის ბუკსაც. მიხამ ეს იწყინა და მეორე დღესვე თავისი ბუკით მართალ თოდუასთან გამოცხადდა. ამის შემდეგ არ მოსცილებია აჯანყებულებს. და აგერ ახლა მიხა უტუს ჯარს მიუძღვის, უტუსთან ერთად ზუგდიდს უახლოვდება თავისი ბუკით...

უტუმ თავისი ჯარი ხეთასთან შეასვენა. შემდეგ ისევ აშალა მიხას ბუკის ხმაზე და ზუგდიდისაკენ გასწია.

ჯარს წინ ისევ უტუ მიქავა მიუძღოდა:

უტუ მაღალი იყო, ტანადი, თავისი სატევარივით თხელი და მჭრელი. ხმალივით შემართულს წელზე ხმალი ეკიდა, შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცხენზე კი არა ზის, აბჟანდებზე დგას, რომ ქვეყანას ზევიდან გადახედოსო. ყელზე მოდებული სირმაშემოვლებული ბაშლიყი ზურგზე გადაეგდო. შავი ხუჭუჭა

თმა ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი, წვერმოპარსულს კეხიანი ცხვირი ვ-ჟკაცურ იერს აძლევდა.

უტუ ცხენზე ქანდაკებასავით იჯდა. ფიქრებში გართულს სახე უფრო მოღუშოდა. ერთი ომახიანად შეუძახა ცხენს, თუმცა მის ქარიგით სწრაფ, ფიცხს ცხენს მხედრის ასეთი შეძახილი არც სჭირდებოდა! წვივმაღალ, შუბლზე წითელნიშიან თეთრ ულაყზე მჯდომი უტუ ამხედრებულ ცხენოსნებს წინ დროშასავით მიუძღოდა. ცხენს ერთი კიდევ შეუძახა და მის პირქუშ სახეს ერთბაშად ღიმილი მოეფინა. ლაკადელი, მარტვილელი, სუჯუნელი, სენაკელი ამხედრებული გლეხები მიიმღეროდნენ და მიუხაროდათ. მათს ხორხოცს და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისეთ გუნებაზე იყვნენ, თითქოს უკვე დადიანებიც დაემარცხებინათ, ბატონიშვილებიც და ყველა მტერი და აუგათმახსენებელი! მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ... მართლაც და, რა ცოტა რამ ჰყოფნის გლეხკაცს კმაყოფილებისათვის და ამასაც არავინ ანებებს მას! — ასე ფიქრობდა უტუ მიქავა.

არ გვაძლევენ და ძალით უნდა მოვიპოვოთ — ისევ გაეხმაურა თავის შინაგანი ხმა უტუს, — ძალით, ძალით უნდა მოვიპოვოთ, — ისევ განიმეორა გლეხების მეთაურებმა, — რასაკვირველია, ბატონები, რომელთა რიცხვი ცოტა როდია, არც მიწასა და არც თავისუფლებას თავის ნებით არ დაგვითმობენ. რაკი ასეა, დე, ძალამ გადაწყვიტოს საქმე.

ეს უკანასკნელი სიტყვები ისე თქვა უტუმ, თითქოს მის რაზმში ვინმეს სხვა აზრი ჰქონოდეს და მას ედავებოდეს.

უტუს ჯარს წინ სალიპარტიანოს მთის გლეხობა მიუძღოდა. მათს სახეზე სევდასა და ჭმუნვას ვერ შენიშნავდით. სიკვდილსაც კი არ ერიდებოდნენ ტანჯული ცხოვრებისაგან სიკვდილმონატრებულნი. ისეთი მხიარულება და სიმღერა იყო, რომ შორიდან მოცქერალთ ეგონათ ზუგდიდში ან დოღი გაუმართავთ ან ბურთაობა და ამისთვის მიდიანო.

ეხლა ისევ შეხედა ჯარს უტუმ. დიდ შარა-გზაზე გამოსულ მწკრივში ჩამდგარ გლეხკაცობას კაცი თვალს ვერ გააწვდენდა, მაგრამ გლეხების ბელადს ეს ზღვა ხალხი საკმარისი მაინც არ ეჩვენა და როცა შარა-გზის მოსახვევზე კვლავ შეხედა თავის ჯარს, გაიღიმა და თქვა:

ახალ მთვარეს, ნამგალა მთვარეს ჰგავს ეს ჩემი ჯარი, მაგ-

რამ სულ მალე იგი სავსე მთვარეს დაემსგავსება, ამ გზაზე არ დაეტევა, ზღვას რომ მივუახლოვდებით, ზღვასავით ვრცელი და უნაპირო გახდება...

უტუს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: სად დაებანაკებინა ეს ჯარი, სად განეწყო იგი ზუგდიდის სასახლის შეიარაღებული ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად? ასე ფიქრობდა გლეხების მეთაური და, თავის რაზმთან ერთად, საბრძოლველად ამხედრებული, ზუგდიდისაკენ მიაბიჯებდა, უტუს ეგონა, აურაცხელ ჯარს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ის დღისით, მზისით, ზარითა და ხმაურით მიდიოდა, რათა მტერსა და მოყვარეს გაეგო ძალა გლეხობისა, შიში და მორიდება ჰქონოდათ მისი.

უტუს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი და ძლიერი ძალაა რწმენა. და რაკი, მისი აზრით, თანამოძმეებს ეს რწმენა ჩაუნერგა, რომ იარაღითა და ბრძოლით მოიპოვონ თავისუფლება, ახლა ეს ძალა არაფრის წინაშე აღარ დაიხევდა. ეს მტკიცედ სწამდა და სჯეროდა თვითონაც გლეხის შვილს, თუმცა კარგად იცოდა, რა ძლიერი და ცბიერი იყო მოწინააღმდეგე.

ხიფათს, ცბიერებას დიახაც ელოდა უტუ დადიანებისაგან, იმათგან, ვინც აგერ საუკუნეების მანძილზე ატყუებს და ნასუფრალით აცხოვრებს ამ პატიოსან მშრომელ ხალხს. მაგრამ, მისი აზრით, ისე იყო ყველაფერი გამოანგარიშებული, რომ თავადიშვილების ყველა ხრიკსა და ეშმაკობას პასუხს მოუძებნიდა, მოძმეებს ერთხელ და სამუდამოდ იხსნიდა.

გადიოდა დღეები და რაზმელები თანდათანობით ეპატრონებოდნენ სამთავროს, ასამართლებდნენ დამნაშავე ბატონსა და ავკაცობის სხვა მეთაურებს. ხალხმა სულ მალე შეიყვარა სამართლიანი ხელისუფლება ურდუმისა და სულითა და გულით მიენდო უტუს რაზმს.

აჯანყებულების ასე გაძლიერებამ, რასაკვირველია, უკვე შიშის ზარი დასცა ბატონებს, მაგრამ მათ ხმა ვერ ამოეღოთ, იმედით მოელოდნენ დედოფლის დაბრუნებას და „ამ მეტიჩარა“ აჯანყებულების წინააღმდეგ შურის საძიებლად ემზადებოდნენ.

აჯანყებულთა ამბავი რუსეთის მოხელეებმა სწორედ იმ დროს გაიგეს, როდესაც უტუს ჯარი ზუგდიდის სასახლეს ემუქრებოდა, ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს, რომელმაც სო-

ბუმსაკენ მიმავალმა, იქ გაიარა, დაწვრილებით მოახსენეს აჯანყებულთა ამბავი. გაგარინმა ყურადღებით მოისმინა ყოველივე, მაგრამ რატომღაც არავითარი განკარგულება არ გაუცია. ისე გაემგზავრა სოხუმს. საქმე ის იყო, რომ აჯანყება საუკეთესო ნიადაგი აღმოჩნდა მეფის მოხელეებისათვის და რუსი მოხელეებიც განგებ აჭიანურებდნენ აჯანყების ჩაქრობას, აჯანყებულთა საქმის განხილვას, რომ შემდეგ ამ ამღვრეულ წყალში ადვილად დაეჭირათ თევზი. ეს თევზი — სამეგრელოში ეკატერინე ჭავჭავაძის დედოფლობის ბოლოს მოღება იყო.

დედოფლისაგან უკმაყოფილო დიდი თავადებიც ჩუმათ იყვნენ, რადგან დედოფლის აქედან წასვლა მათთვისაც ხელსაყრელი იყო. ყოველივე ამან ხელ-ფეხი გაუხსნა აჯანყებულებს და აჯანყების ალი მთელს სამეგრელოს მოედო. მაგრამ ბოლოს აჯანყების ხანძარი ისე გამძვინვარდა, რომ რუს მოხელეებსაც და დედოფლით უკმაყოფილო თავადებსაც შიში შეუდგათ, ვაი თუ, მარტო დედოფლობას კი არა, ჩვენს ბატონობასაც ბოლო მოეღოსო. თავადები კარგად ხედავდნენ, რომ ცეცხლთან თამაში უფრო საშიში გახდა და აღარ იცოდნენ რა გზას დასდგომოდნენ.

სწორედ ამ დროს ეკატერინე პეტერბურგიდან სამეგრელოს დაბრუნდა.

* * *

ეკატერინე, ნინო და კონსტანტინე დადიანი პეტერბურგიდან საქართველოში ვლადიკავკასის გამოვლით დაბრუნდნენ. კისლოვოდსკში კონსტანტინეს მეუღლე ისვენებდა, იმას გამოუარეს. ორი დღე იქ შეჩერდნენ.

ეკატერინემ და ნინომ, დავითთან ერთად, 1848 და 1849 წლის ზაფხული კისლოვოდსკში გაატარეს და ამ ნაცნობი ადგილების ხილვამ დებს სწორედ იმ დღეების მოგონება განუახლა. ნინომ ეკატერინეს მოაგონა:

— გახსოვს ის რუსი, პუშკინის მეგობრად რომ მოჰქონდა თავი, როგორ გიყდებოდა შენთვის? მერე დები ერთმანეთში ვერეოდით და დავითი მაინც შენზე ეჭვიანობდა.

— დავითი ხშირად ეჭვიანობდა ჩემზე და ახლა ვნანობ, მაგრამ გვიანაა, ბევრჯერ ვატკინე გული ჩემს დავითს, მე და-

ვითის სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რა ბედნიერებაა ქალისათვის, როცა ქმარი ადგას თავზე. ქმარი მაინც სულ სხვა ყოფილა. ჩემო ნინო.

ნინომ ერთი ამოიხვნეშა და თქვა:

— რასაკვირველია, ეს რომ ასეა, ჩემზე უკეთ ვინ იცის, მაგრამ ყოველი ლამაზი ცოლის ქმარი მაინც უფრო მეტად ეჭვიანია. შენ კი მეტისმეტად თამამი იყავი. შენი სილამაზე მამაკაცებს აგიჟებდა და ზოგს ეჭვიანობის საბაბსაც აძლევდა.

დები ამ საუბარში იყვნენ, როდესაც კონსტანტინე დადიანი დედოფალთან მოვიდა და მოახსენა:

— ყველაფერი მზად არის, ეტლებიცა და გამცილებლებიც, გვიცდიან...

კისლოვოდსკიდან დილით გამოვიდნენ და საღამო ნალჩიკში გაათიეს. მეორე დღეს, ნალჩიკიდან გამოსულები პატარა მდინარე ურუხს გამოსცილდნენ და გიჟმაუ თერგს მიადგნენ: ნალჩიკისა და ვლადიკავკასის შუა გზაზე, დავაკებაზე, თერგი მდორედ მიედინებოდა, ისევე, როგორც ენგური რუხის ციხესთან, ზუგდიდის დავაკებაზე.

თერგის ვაკე გალიეს და პირველ ოსურ სოფელში, ბესლანში შევიდნენ, ხოლო ის ღამე ვლადიკავკასში გაათიეს.

ვლადიკავკასიდან გამოსულთ მეგზურობას კონსტანტინე დადიანი უწევდა. ათიოდე ვერსი გამოიარეს და სოფელ ბალთას მიადგნენ. კონსტანტინემ განმარტა:

— თუ მიგიქცევიათ ყურადღება ხალხში გავრცელებულ ანდაზისათვის: ერთი ალთას, მეორე — ბალთასო, ბრძნულად ნათქვამია, როცა ამბავს სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო, როცა ერთი ამბავი მეორეს არ ემთხვეოდა, ქართველი კაცი ყოველთვის ასე ამბობდა ხოლმე. ამ ანდაზაში საქართველოს ორი ერთმანეთს დაშორებული ჭიშკარი — ►ქეთ ბალთა, ხოლო იქიდან, აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე სოფელი ალთა იგულისხმებოდა.

ამ საუბარში სოფელი ლარსი გაიარეს. დარიალის ხეობა სწორედ აქედან იწყებოდა. ეს ცამდე აზიდული სალი კლდეები თერგს შუაში გაუყვია და მთებზე გამარჯვებული ღრიალით მოაგორებს ყალყზე შემდგარ ტალღებს. იქ შეჩერდნენ, სადაც სამხედრო-საყარაულო პუნქტი იყო. რუსი ჯარისკაცები გზას

სწმენდნენ მდინარისაგან მოტანილი ქვებისა და ხერგისაგან. შენიშნეს თუ არა კარეტაში სამხედრო მუნდირში გამოწყობილი კონსტანტინე, ეკატერინე და ნინო, პატივისცემა დაუმოწმეს დედოფალსა და მის მხლებლებს.

— აი, მხოლოდ მათ შესძლეს ამ გაუვალ ვიწროებში გზა გაეყვანათ. ჩვენ მადლიერი უნდა ვიყოთ რუსებისა, ამ ბილიკებით მათ დაგვაკავშირეს რუსულ და ევროპულ კულტურასთან, ახალ ცივილიზაციასთან. — თქვა ნინომ და რუსეთისაკენ გაიშვირა ხელი.

— არა, ქალბატონო ნინო! თქვენ აჭარბებთ. საქართველოს რუსეთამდე ჰქონდა კავშირი ევროპასთან. დიახ, სწორედ ზღვით და არა სალი კლდეებით! თქვენ ისიც დაგავიწყდათ, რომ პეტერბურგს ჩვენ ზღვით ვიმგზავრეთ. და უკანაც ამ გზით გამოვისტუმრეთ ეკატერინეს ბავშვები და ამალა. ეს ზღვა აერთებდა საქართველოს ევროპასთანაც და რუსეთთანაც. და ის გზა უფრო უხიფათოა, ვიდრე ეს გაუვალი ტყეები. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ მთებსა და ღრეებში ჩვენს წინაპრებს უვლიათ და იმ მიუწვდომელი სალი კლდეების თავზე მონასტრები და ეკლესიები უშენებიათ. ახლა აქედან არა ჩანს და ხვალ გაჩვენებთ ბეთლემს, სადაც მე-12 საუკუნეში ჩვენს დიდებულ თამარს მონასტერი აუგია.

ეკატერინე თითქოს თერგის ხმაურმა გამოაფხიზლა, ხმამაღლა წარმოსთქვა გრიგოლ ორბელიანის სტრიქონები:

> წყალნი, მთით დაქანებულნი,
> ალმასებრ უფსკრულს ცვივიან.
> თერგი რბის, თერგი ღრიალებს
> კლდენი ბანს ეუბნებიან...

დამთავრდა დარიალის მოტიტვლებული სალი კლდეები და ალპური ზონა დაიწყო. გავაკდა კიდეც და ყაზბეგი გამოჩნდა. ის ღამე ყაზბეგში გაათიეს. დილით ადრე ადგნენ, სასტუმროს ეივანზე გამოვიდნენ. ისევ სამნი იყვნენ: ეკატერინე, ნინო და კონსტანტინე, კონსტანტინემ ხელი სტეფნაწმინდისაკენ გაიშვირა და ქალებს უთხრა:

— აი, წმინდა სამების ეკლესია, გუშინ რომ მოგახსენეთ, ნაშთი ჩვენი ძველი დიდებისა.

შემდეგ უცბათ ნინოს პუშკინის ლექსი, „მონასტერი ყაზბეგზე“ მოაგონდა და ხმამაღლა თქვა:

— კონსტანტინე ბატონო, მე და კატიას იმითაც მოგვაქვს თავი, რომ ჩვენი ოჯახი იცნობდა და ქართველი კაცის ხალისითა და სიყვარულით კარი გაუღია რუსული მწერლობის დიდებული სამებისათვის: ერთი მათგანი — გრიბოედოვი, ქმარი იყო ჩემი და მეგობარი, მისი სიყვარული და პატივისცემა უკვდავად შევინახე ჩემს გულში, მაგრამ მე იმითაც მომაქვს თავი, რომ ჩემმა ქმარმა კავკასიის თემა ერთმა პირველთაგანმა შეიტანა რუსულ მწერლობაში.

მაშინ კი, როცა ოჯახში გრიბოედოვს ვგლოვობდით, პუშკინი გვესტუმრა. პუშკინს — რუსეთის ამ დიდებულ პოეტს, მაშინ ვერ ვეცით ჩვენ პატივი. მაგრამ ის მიგვიხვდა და ჩვენც მივუხვდით, თუ რა იყო ჩვენი ოჯახი და როგორ შეეძლო მას მეგობრული გული გადაეშალა ყოველი დიდებული პოეტისათვის. რაც შეეხება რუსეთის მესამე დიდებულ პოეტს — ლერმონტოვს, ის დიდი სიყვარულით მივიღეთ და ახლაც თვალწინ მიდგას მისი ოდნავ დამცინავი, ოდნავ მელანქოლური გამოხედვა.

ნინო ახლა ეკატერინეს მიუბრუნდა.

— ის მაშინ ჩვენთან ეგორ ახვერდოვმა მოიყვანა, არა? დიახ, ასე იყო. მაშინ ეგორი, მამაჩემი და ლერმონტოვი ისხდნენ და ცხარე საუბარი ჰქონდათ. მაიკო და მანანა ორბელიანებიც იქ იყვნენ. ხომ გახსოვს, ლერმონტოვი მაიას და მაიკოს ელაპარაკებოდა, მანანას რუსულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა, ხმა ვერ ამოიღო და ლერმონტოვს ეგონა, მუნჯიაო. მაშინ უფრო ჩააცივდა ლერმონტოვი მანანას და მაიკოს. გახსოვს. რამდენს ვიცინოდით? პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული მამა კავკასიაში გადმოსახლებულ ლერმონტოვს პეტერბურგის ამბებს უყვებოდა, ხოლო ლერმონტოვი, რომელსაც ამ ხეობაში გაევლო, კახეთი ფეხით მოევლო, მამას ქართულ ლეგენდებს, ზღაპრებს უამბობდა, ეკითხებოდა და ასწორებდა თავის წიგნაკში ჩაწერილ ამბებს, დიდი მღელვარებით ეკამათებოდა და ესაუბრებოდა.

ლერმონტოვი რომ წინანდალში გვესტუმრა, მე რაღაცას ვქარგავდი, მას მოეწონა ჩემი ნაქარგი. იმავე დღეს ცხვირსა-

ხოცზე მისი სახელის პირველი ასო M ამოვქარგე და ვაჩუქე კიდეც. მოეწონა და დიდი მადლობა მიძღვნა. მერე პაპისეული ხანჯალიც ვაჩუქე. პოეტი გულით შეიყვარა ჩვენმა ოჯახმა, მაგრამ ის იყო შემდეგ ლერმონტოვი გაიწვიეს რუსეთში და დიდხანს ვერ დარჩა ჩვენსაკენ.

— არა, რაღაც საოცრება იყო მისი გამოჩენა ჩვენს წრეში! მე მახსოვს მაშინ ლერმონტოვმა თქვა, სიამოვნებით დავრჩებოდი თბილისში და ფეხით მოვივლიდი მთელ საქართველოს, აქ ვიცხოვრებდიო, ჩემი აღმზრდელი ბებია რომ არ მომიხმობდეს თავისკენო, აბა, ამ მოხეცებულობის ჟამს მარტო როგორ დავტოვოო. მერე ის იყო, თბილისში დაწვრილებით მაამბობინა გრიბოედოვის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. რა გულით მისმენდა, როგორ განიცდიდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაფითრებული სახე, ფართოდ გახელილი და აღგზნებული თვალები, ხოლო როცა მეორე დღეს გრიბოედოვის საფლავზე ავიყვანეთ და მის ძეგლზე გაკეთებული ჩემი წარწერა წაიკითხა — «Ум и дела твои безсмертны в памяти русской, но для чего пережила тебя, любовь моя». — ხელზე მაკოცა და თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა. სახლში რომ დავბრუნდით, ლერმონტოვი ისევ მამაჩემთან იჯდა, რაღაცას იწერდა, რაღაცას ასწორებდა, ხოლო როცა კატიამ მამაჩემის მიერ თარგმნილი ოდოევსკის „ვარდი და ბულბული“ იმღერა, გახსოვს, კატია, როგორ გაიხარა ლერმონტოვმა. მაშა შეპირდა პოეტს, რომ მის ლექსებს თარგმნიდა და კიდეც შეასრულა ეს დაპირება. როგორც მახსოვს მამამ პირველმა თარგმნა ლერმონტოვის ლექსები ქართულად. ასეა, კონსტანტინე ბატონო, რუსული პოეზია ყაზბეგის ხეობის ნიავმა, თერგისა და არაგვის ხმაურმა მანამდის რუსი კაცისათვის უცნობი ხმებით აავსო. აქ ამ დიდებულ პოეტებს ჩვენი ხალხის მშობლიური იავნანა, მისი დარდი და წუხილი მოუსმენიათ და შემდეგ ყველაფერი ეს გასაოცრად გაუცოცხლებიათ თავიანთ უკვდავ შემოქმედებაში.

როდესაც სტეფანწმინდას შეხედეს, ბუნების გასაოცარი სილამაზით მოჯადოებული თანამგზავრები დადუმდენ. მუდამ ღრუბლითა და ნისლით დაბურული სამების ეკლესიას უკუე-

ყარა ნისლი, მე-12 საუკუნის ეს უძვირფასესი ძეგლი, მზის სხივებით დაფერილი, თეთრად ქათქათებდა...

იმავე დილით გამოემართნენ თბილისს. სოფელ სიონს გამოცილდნენ და ჯვრის უღელტეხილი დაიწყო. თანამგზავრებმა ჯვრის გადასასვლელის აღმართი გადმოლახეს და იქ შეჩერდნენ, სადაც რუს ჯარისკაცებს ხის ჯვარი დაესოთ და ზედ მიეწერათ: 2995. ეს ციფრი ზღვის დონიდან გადასასვლელის სიმაღლეს მიუთითებდა. დადიანმა ახლა უნებლიეთ წარმოთქვა პუშკინის სტრიქონები:

На холмах Грузии лежит ночная мгла,
Шумит Арагва предо мною...

თბილისისაკენ ქნეს პირი და ჯვრის უღელტეხილის თავდაღმართს დაჰყვნენ. მთები, მთები და მთები მაღალი უცნაურ ბალახითა, ყაყაჩო ჭრელა, ყელყურა, ტყიური ვარდებით აბიბინებული, მწვანედ მბზინავი მთები... ტიტველი, ყორნისფერ სალი კლდეები, თოვლით დაბურული მწვერვალები მზის სხივებზე ცისარტყელას ფერებით ალაპლაპებული, ვეებერთელა ხევები, თოვლის ზვინებით ამოვსებული, გარშემო სავსე საოცრებით... დიდხანს, დიდხანს ხმაამოღებლივ შეჰყურებდნენ ყოველივე ამას. მთელი დღე მოუნდნენ ცხენებით უღელტეხილის გადალახვას. ღამე მლეთში გაათიეს. დილით ადრე ადგნენ, ახლა ეტლებში ჩასხდნენ. მლეთიდან ტყით დაბურული არაგვის ხეობა დაიწყო. ცოტა გაიარეს და ისევ ნინომ წამოიწყო:

— არა, მართლაც რომ გასაოცარი ქვეყანაა ჩვენი პატარა საქართველო, რა ყოველ ნაბიჯზე იცვლება ეს საოცრება ბუნებისა, არათუ უცხოელნი, არამედ ჩვენც, ქართველებსაც, რომელთაც გომბორისა და ბორჯომის ხეობა გვინახავს, მთიანი სამეგრელო და სვანეთი დაგვივლია, — ეს ზვიადი, დარიალის ხეობა, ცარიელი ძვლები ტიალი სალიკლდეებისა, ეს მთებით დაბურული ტყეები — მაინც გვათბობს, გვაცვიფრებს და გვახელებს, და სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი მოიხიბლნენ ბუნების ამ საოცრებით. რუსულმა პოეზიამ ამ მხარის, ამ მიდამოს ეშხი და სილამაზე მთელ მსოფლიოს მოჰფინა...

— მაგრამ არც ჩვენი პოეტები დარჩენილან ამ სილამაზის

წინაშე ვალში. — თქვა ეკატერინემ და ბარათაშვილის ლექსი შოიგონა.

მორბის არაგვი არაგვიანი...
თან მოსძახიან მთანნი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჯალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შეებით მომზირნო,
ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს...

— ქართველებს დიდებული პოეტებიც გვყავს, — თავის შხრივ დასძინა კონსტანტინე დადიანმა. — რუსთაველის შემდეგ მარტო გრიგოლ ორბელიანი და ბარათაშვილი რად ღირს?

— მამა, მამაჩვენი? — ჰკითხა აღელვებულმა ნინომ.

— არა, არც „გოგჩის“ ავტორს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ხალხი.

— მამაჩემი დიდი პოეტი იყო და დიდი საზოგადო მოღვაწეც-მეთქი, რომ ვთქვა, ეს მგონია ცოტაა, თქვენ, ალბათ, დაშეთანხმებით, კონსტანტინე ბატონო, რომ ახალი ევროპული პოეზია ჩვენს ქვეყანაში მამაჩემით იწყება. ევროპის კულტურას პირველმა მან გაუჭრა აღმოსავლეთის ბნელეთისაგან დიდხანს გადაკეტილი გზა. მამაა პირველი ევროპელი მწერალი ჩვენში.

კონსტანტინე დადიანი შეესიტყვა:

— რუსთაველი?

— არა, რუსთაველი ცალკე დგას. რუსთაველი გენიოსთა შორის გენიოსი იყო და, როგორც ამბობენ, არც იყო მაშინდელ მსოფლიოში მისი ტოლი და სწორი პოეტი. მე ამაზე არ მოგახსენებ, მე მოგახსენებ იმ ახალ ევროპულ მწერლობაზე, რომელიც ჩვენში ამ საუკუნეში დაიწყო. თუ გინდათ, ვთქვათ, რუსთაველის შემდეგ დაიწყო. და ეს ყველაფერი უბრალოდ კი არ მომხდარა, თქვენ, ალბათ, იცით, კონსტანტინე ბატონო, მამას თავისი ფეხით ჰქონდა მოვლილი პარიზი და ლონდონი, ვენეცია და ჰამბურგი, ბერლინი და პრაღა, პეტერბურგი და მოსკოვი, კიევი და ვარშავა, სტამბოლი და თავრიზი. და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ევროპისა და აზიის დიდ ქალა-

ქებში უომია და უცხოვრია მამაჩემს და შემდეგ იქაური ბევრი სიკეთე ჩვენს ქვეყანაში გადმოუტანია... ბევრმა იცის, რომ ჩვენი ოჯახი ის კერა იყო, სადაც პირველი ახალი წიგნი გაჩნდებოდა, პირველი წარმოდგენა და გართობაც ჩვენს სახლში ეწყობოდა. პირველი ევროპული „ტანცაც“ ჩვენს დარბაზებში იმართებოდა. და პირველი პიანინოც, პირველი როიალიც და პირველი ეტლიც მამას ჰქონდა. არა, დიდი იყო ჩვენი ოჯახი, მამა ახალ ევროპასა და ძველ ქართულ კულტურას შორის გადებული ხიდი იყო. ყოველ კაცს, ვინც კი კეთილი გულით მოსულა ჩვენში, ამ ხიდზე გაუვლია. ჩვენი ოჯახი ის გადასახედი იყო, საიდანაც მთელი საქართველო ხელის გულივით მოჩანდა. მამასთან მოდიოდნენ, მამას ეთათბირებოდნენ მაშინდელი თავკაცები — სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები, გიორგი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი... ყოველი დიდი ეროვნული საქმე მამაჩემის რჩევითა და მითითებით კეთდებოდა. მამა იყო რუსი დეკაბრისტების მეგობარი, იცნობდა პუშკინსა და ლერმონტოვს... მამაჩემი — მამაა ახალი საქართველოსი.

კონსტანტინეს ეს უკანასკნელი ფრაზა ეუცხოვა, გადაჭარბებულად მოეჩვენა, მაგრამ ვერაფერი უთხრა, მისდაუნებურად თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

ნინო განაგრძნობდა. ახლა წინანდალი და თბილისი მოიგონა, სათითაოდ ჩამოთვალა ყველა ცნობილი სტუმარი, რომელთანაც ჰავჰავაძიანთ ოჯახს საუბარი ჰქონია. ისე დაახვავა სახელები და გვარები, რომ დადიანს თავი გაუბრუვდა.

— მამაჩემი დიდად უყვარდათ საქართველოში. მამა უყვარდა ჩვენს გლეხკაცობასაც. მე ამას წინათ, წინანდალში ჩაეიწერე ჩვენებური გლეხის ნათქვამი. ამ ლექსის დასაწყისი მახსოვს:

ბატონია, თავადია კახისა,
გამკითხავი ღარიბისა, გლახისა,
ალექსანდრე ჰავჰავაძე ქებული,
ხელმწიფისგან სახელგადიდებული.

ეკატერინე გაღიმებული შესცქეროდა დას, უხაროდა და ეამაყებოდა ეს მოგონება წარსულისა.

ცოტა გაიარეს და ისევ ნინომ დაიწყო:

— როცა აქედან ვუყურებთ ამ შესანიშნავ პანორამას და ბუნების პეიზაჟს, ჩვენი შუამთა მაგონდება. ხომ ისიც ლამაზია, კონსტანტინე ბატონო! თქვენ ხომ ჩვენებთან ერთად ნახეთ ის მამიჩემის დასაფლავების დროს. მე და ჩემი ძმა დავითი მაშინ მოსკოვში ვიყავით, ვერ დავესწარით მამის დასაფლაებას.

— დიახ, გომბორი ძალზე გვაგონებს აქაურობას, — განმეორა ნინომ, — იქაც ხომ ტყით შემოსილი უხვი მდინარეებია, ჩანჩქერებია, ცამდე აზიდული მთებია. უჯარმას რომ გასცილდები, მაინც საოცარი სანახაობა წარმოგიდგება, თითქოს მოპირდაპირე სამი მთა მათ შუა აღმართულ დიდ, თავმოტვლეპილ კლდეს მუხლმოდრეკით შესცქერის... მერე შუა მთის აღმართს რომ მოათავებ, ისევ ალპური ზონა იწყება, ზუსტად ისე, როგორც აქ. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ შუამთა აქაურობას მაინც ვერ შეედრება. აქ ყველაფერი უფრო გრანდიოზულია, უფრო ზვიადია, უფრო დიდებულია. ალბათ იმიტომ არის, რომ ჩვენმა დიდმა პოეტებმა, რუსებმა და ქართველებმა შუამთაც ნახეს, უჯარმაც, გომბორიც გადაიარეს, მაგრამ პოეზიის საგნად ეს ადგილი, ეს მიდამო აქციეს. პუშკინმაც, ლერმონტოვმაც, ორბელიანმაც, ბარათაშვილმაც ამ დიად სანახაობას მიუძღვნეს თავიანთი აღფრთოვანებული ლექსები. ჩვენს გომბორს, რომელიც, ჩემი აზრით, თავისებური სილამაზისა და ყურადღების ღირსია, მათ ხომ რატომღაც ისე ჩაუარეს, ერთი სტრიქონი რა არის, ერთი სტრიქონიც არ მიუძღვნეს, ვერ ვიტყვი, რომ ცოტა ნაწყენი არ ვიყო ჩვენს პოეტებზე. თვით მამაჩემსაც, რომელსაც ბევრჯერ გადაულახავს გომბორის მთები, სიტყვა არ დაუძრავს მის საქებად და სადიდებლად.

ამის გამგონე კონსტანტინემ ასე მოახსენა ნინოს:

— აცალე, და ჩვენი პოეტები მოიცლიან გომბორის მთების საქებლადაც — თქვა დადიანმა. ისინი უკვე მცხეთაში შევიდნენ.

ეხლა ეკატერინე ამბობდა ზეპირად ლერმონტოვის ლექსს.

Немного лет тому назад,
Там, где сливаяся шумят
Обнявшись, будто две сестры,
Струи Арагвы и Куры,
Был монастырь. Из-за горы

И нынче видит пешеход
Столбы обрушенных ворот,
И башни, и церковный свод»;

* * *

1857 წლის აპრილის იმავე დღეს, ეკატერინე და მისი ძმა ბელენი თბილისს ჩამოვიდნენ. თბილისში ეკატერინემ ყური მოჰკრა, რომ სამეგრელოს აჯანყების შესახებ ჩურჩულებდნენ, რაღაცას უმალავდნენ. მეორე დღესვე, თავის დასთან-ნინოსთან ერთად სამეგრელოსაკენ გასწია.

ეკატერინეს გრიგოლ დადიანი, სახლთუხუცესი და ჭყონდიდელი სწორედ მარანთან დახვდნენ. შეშინებულმა და გონებადაკარგულმა სახლთუხუცესმა დაწვრილებით უამბო დედოფალს სამეგრელოში მომხდარი ამბები. უტუმ, უტუმ ააბუნტა მთელი სამეგრელო... ისიც მოახერხა, რომ გრიგოლ დადიანი დააბეზღა.

დედოფალი ერთბაშად აწრიალდა. გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ზუგდიდსა და პირისპირ მოლაპარაკებოდა აჯანყებულებს. შემდეგ ისევ შეცვალა განზრახვა და გაგარინს ქუთაისში წერილი მისწერა:

„ვიღუპები, სამეგრელო ცეცხლის ალშია, მომაშველე შენი ჯარისკაცები და შენ თვითონ მომეშველე, მომეშველე მე, უმწეო დედაკაცს, ამ თავგასულ შინაყმებისაგან მიხსენი და გადამარჩინე. ეს მეფის ინტერესიც არის და თქვენიც“.

ამავე დროს ეკატერინემ მეორე ბარათი დაწერა და მეორე კაცი ზუგდიდს აფრინა. დედოფალი სწერდა მდივანბეგს: „უტუ შენთან დაიბარე მოსალაპარაკებლად, ძმობას და მეგობრობას შეჰპირდი, ჩემი ბარათი აჩვენე და ჩემი სახელით სთხოვე, აქ ამოვიდეს ჩემთან გორდაში, ვინც უნდა თან იახლოს, აქ მოველაპარაკები და ყველაფერს გავაკეთებ მათთვის“...

დედოფალმა დაწერა ეს წერილები. და დამშვიდდა. ახლა იგი ორმხრივ მოქმედებდა: ერთი მხრივ, რუსეთის ჯარის იმედი ჰქონდა. მეორე მხრივ, ისიც სჯეროდა, რომ უტუ მას ეახლებოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მაშინვე შეეპყრო უტუ და მისი თანმხლები პირები და შემდეგ, უმეთაურო აჯანყებულებისათვის შეერთებული ძალით შეეტია.

დედოფალი ამაოდ ელოდა, პასუხი არსაიდან არ ჩანდა. სამი დღე გავიდა და დედოფალმა მოსვენება დაკარგა. მან ბრძანება გასცა, სასწრაფოდ მოემზადებინათ ამალა. გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ზუგდიდს და პირისპირ მოლაპარაკებოდა აჯანყებულებს. ძველებურად ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა, იარაღი აისხა და თავის რაზმს გაუძღვა. როდესაც ლურჯთვალა ტეხურა გადალახა, დედოფალმა აშკარად დაინახა, რომ მთელი სამეგრელო აჯანყებული იყო. მაგრამ არ შედრკა, უკან არ დაიხია და მცირე რაზმით სასახლისაკენ გასწია.

საღამო იყო, როდესაც დედოფალი ზუგდიდს მიუახლოვდა. დაინახეს თუ არა შეიარაღებული ჯგუფი, რაზმელებმა თოფები მიუშვირეს და დამორჩილება უბრძანეს. ამ დროს უცბად დედოფალმა ყაბალახი მოიძრო და ხმამაღლა შეჰკივლა: „როგორ ბედავთ, რომ დედოფალს თავის სასახლეში არ უშვებთ!“.

აჯანყებული ჯარისკაცები აჩურჩულდნენ: დედოფალი, დედოფალი მობრძანდებაო, და ერთბაშად ისე დაიბნენ, რომ ხმის ამოღებაც ვერ გაბედეს. ამით ისარგებლა დედოფალმა და თავის მცირე რაზმით სასახლეში შეაღწია.

როდესაც ეს უტუმ გაიგო, ეწყინა. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და თავის ძმაკაცებს უთხრა: „აგრე სჯობს, ახლა უფრო ადვილად მოველაპარაკებით დედოფალს. და თუ ჩვენს ნებას არ დაემორჩილა, ხვალვე ვუბრძანებ რაზმელებს და იერიშით ავიღებთ სასახლეს“.

განრისხებული დედოფალი სასახლეში შევიდა. ჯერ არავის იკარებდა, ყველას დაქერით ემუქრებოდა, ყველას ბრალს სდებდა ღალატში. ბოლოს თანდათან დამშვიდდა. გონს მოვიდა, დაწვრილებით გამოიკითხა ამბავი, შემდეგ თავისი მაზლი, გრიგოლი დაიბარა. მათ შორის ცხარე კამათი გაიმართა. ეკატერინე უკიოდა:

— მე დამშვიდებული და თურქებისაგან განთავისუფლებული სამეგრელო დაგიტოვე, შენ კი ერთი წლის შემდეგ აჯანყების ალში გახვეული სამთავრო დამახვედრე. ახლავე გიბრძანებ მიიღო ზომები, დააშოშმინო და დააწყნარო მთელი სამთავრო და იგი ისე ჩამაბარო, როგორც მე შენთვის ჩამიბარე-

ბია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე შენ ბრალს გდებ, როგორც მოღალატეს და ამ აჯანყების ფარულ წამქეზებელს.

ახლა, თავის მხრივ, გრიგოლ დადიანი გაცხარდა. საბუთებით უმტკიცებდა დედოფალს, რომ ის არაფერშია დამნაშავე, რომ გლეხობა მას კი არ აუჯანყებია, არამედ თვითონ აჯანყდნენ და ახლა ამ საქმეს არაფერი ეშველება, თუ რუსეთი არ მოეშველება დედოფალს და ძალით არ ჩააქრობენ ამ აჯანყებას. გრიგოლი, როგორც სამხედრო კაცი, კარგად ხედავდა რომ საქმე ძალიან შორს იყო წასული, რომ სამთავროში არ იყო შინაგანი ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ბოლო მოეღო ამ აჯანყებისათვის, დედოფლის გაწიწმატებას საქმის შველა არაფრით არ შეეძლო. ამიტომ ურჩია დედოფალს არ გაემწვავებინა უთანხმოება აჯანყებულებთან და დინჯად მოეფიქრებინათ ამ მდგომარეობიდან თავდაღწევის გზა. ეკატერინემ კი მასთან საუბრის გაგრძელება არ მოისურვა. მას სახლთუხუცესისაგან უკვე ჰქონდა მიღებული ცნობები, რომ გრიგოლ დადიანმა დროზე არ მიიღო ზომები, თორემ საქმე არ გართულდებოდა. ახლა ერთადერთ იმედს დედოფალი მეფის ჯარზე ამყარებდა .სხვა მხრივ საქმე წაგებულად მიაჩნდა, ამიტომ არ მოისურვა შერიგებოდა თავის მაზლს და ასე ბოლომდის მომდურავი, უკმაყოფილო დაშორდა მას.

ეკატერინემ გაიგო, რომ გაგარინი ქუთაისში არ იყო და იმავე საღამოს მისწერა წერილი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კოლუბიაკინს. დედოფალი წერდა:

„სამეგრელოს სამფლობელოს დაბალ ხალხში ატყდა უწესრიგობა; გლეხები განუდგნენ თავიანთ მებატონეებს და ადგილობრივ მმართველობას. ისინი ფიცს სდებენ არ უღალატონ ერთმანეთს და ყოველ მდგომარეობის დროს ყველა ერთისთვის იყვნენ. ამ უწესრიგობის მეტს არავითარ მიზანს არ ააშკარავებენ. ისინი დღითი დღე ცდილობენ სამეგრელოს ყველა გლეხის ფიცით შეერთებას და ამის შემდეგ იმ მიზნის განხორციელებას ლამობენ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათ უწყის. უმორჩილესად მოგმართავთ, ამის მიღებისთანავე გამოგზავნოთ დაბა სენაკში 300, ან რამდენიც ხელთ გეყოლებათ, დონის ყაზახები კარგი მოთადარიგე ოფიცრით, და უბრძანოთ სის-

წორით აღასრულონ მხოლოდ ჩემგან საკუთრივ გაცემული ბრძანებები“.

კოლუბიაკინმა მიიღო თუ არა მიქაძის ხელით დედოფლისაგან გაგზავნილი ბარათი, დაიბნა. გაგარინი ქუთაისს არ იყო კოლუბიაკინს მეგობრები არ ურჩევდნენ უგაგარინოდ გარეულიყო აჯანყების საქმეში. ბოლოს მაინც თავმოყვარეობის გრძნობამ სძლია. მეორე დღესვე გაამზადა მცირე რაზმი და გასწია სამეგრელოსაკენ. ცხენისწყალი გადალახა თუ არა, მისთვის აშკარა გახდა, რომ აჯანყებულთა ბრბო სადმე დახვდებოდა და შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდა. ამიტომ საომარი მზადყოფნით, სრული წესრიგით დაიწყო სვლა ზუგდიდისაკენ...

* * *

რაკი კოლუბიაკინი იგვიანებდა, მეორე დღეს ეკატერინე თვითონ შეხვდა აჯანყებულებს. ხალხს ეგონა, დედოფალი ავ სახლთუხუცესსაც და ბატონებსაც დატუქსავდა და თავის ერთგულ ყმებს მოეხმარებოდა, შელავათებს შეპპირდებოდა. ამ იმედით აჯანყებული გლეხობა თავის დედოფალს პირმომღიმარი შეხვდა. ეკატერინემ კი განრისხებულმა შეუტია მათ და უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. ხალხი ამას არ მოელოდა და ერთბაშად შეცბა.

პირველი უტუ მიქავა შეესიტყვა დედოფალს, მის წინ წარსდგა და გაბზარული ხმით მიმართა:

— მოგვისმინე, დედოფალო! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როდესაც ჩვენს მხარეს გასაჭირი დაადგა, თურქები შემოგვესია და აგვიკლეს, ჩვენ თქვენთან ერთად ვებრძოდით მტერს და ერთგულება და პატივისცემა დაგიდასტურეთ. მერე ბატონები და სახლთუხუცესი დაგვერივნენ, საქონელი გაგვიწყვიტეს, ქათამიც არ დაგვიტოვეს, ვეღარ მოვითმინეთ, ხმა ავიმაღლეთ და ახლა თქვენს ჩამოსვლას ველოდით. გვწამდა, დედოფლის კალთას გადაგვაფარებდით. ამას კი, რაც ახლა თქვენი მხრივ მოვისმინეთ, არ მოველოდით.

უტუ აჯანყებულებს მიუბრუნდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ბარემ უბრძანე, დედოფალო, ტყვიები დაგვიშინონ, აქვე დაგვხოცონ!

მერე ისევ დედოფალს შეხედა და ცოტა შებორძიკდა. შეხედა ეკატერინეს და თურქების წინააღმდეგ მეომარი დედოფალი დაუდგა თვალწინ. იგი მაშინაც ასე იყო იარაღასხმული. მართლაც რომ ლამაზი იყო ახლა დედოფალი, თითქოს მისი სილამაზით მოხიბლულმა ქედი მოიხარაო, უტუმ ვედრებით მიმართა დედოფალს:

— ნუ იზამ ამას, დედოფალო, ნუ გაგვწირავ შენს ერთგულ ყმებს!

მაგრამ აჯანყებულთა მეთაური უმალ მიხვდა, რომ ეს უკან დახევას უდრიდა და ისევ აუწია ხმას:

— უბრალოდ ნუ დაღვრი, დედოფალო, ძმათა სისხლს, თორემ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, თუ ისე გაგრძელდა ყოველივე, როგორც იყო, დავიხოცებით და არ დაგემორჩილებით...

სიტყვაც არ ქონდა დამთავრებული უტუს, რომ ისევ იკივლა დედოფალმა:

— მე თქვენ გაჩვენებთ თქვენს დაუმორჩილებლობას!

ამ სიტყვებისთანავე დედოფალმა ცხენი მოაბრუნა და თავისი ამალით სასახლისაკენ გასწია.

ეს ყველაფერი ისე უცბად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ აჯანყებულებმა თვითონაც არ იცოდნენ, რა ეპასუხათ დედოფლისათვის, როგორ მოქცეულიყვნენ. როცა დედოფალი მათ უკვე გასცილდა, უტუ მიქავამ ერთხელ კიდევ ჩაიქნია ხელი და თავის ერთგულ ყმებს მიმართა:

— რაკი ასეა, დაე, იარაღმა გადასწყვიტოს სამართალი!

ესა თქვა და ბანაკისაკენ იბრუნა პირი.

ეკატერინე ჭავჭავაძემ, ამ ზვიადმა თავადიშვილმა, გლეხკაცობის წუხილი და გაჭირვება არაფრად ჩააგდო და გადაწყვიტა სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულ ხალხს. ხალხმაც ზურგი შეაქცია დედოფალს და მზად იყო სამაგიერო მიეზღო მისთვის.

უტუ მიქავასთან მოსალაპარაკებლად წასული დედოფალი უკმაყოფილი და განრისხებული დაბრუნდა სასასლეში.

აღშფოთებული და გაბრაზებული დედოფალი -მთელი საღამო უზომოდ წუხდა. ადგა. გარეთ გაიხედა. ეზოში სიბნელე იყო. გაუკვირდა, რომ ასეთ უკუნეთ ღამეში ფარნები არ

ენთო. სიბნელემ უფრო აღუშფოთა სული. გაბრაზებულმა გასძახა მეორე ოთახში. ერთბაშად დედოფლის წინაშე შავებში მორთული ქალი აიტუზა. ეს ეკატერინეს პირისფარეში — ᲛᲖᲔᲕᲘᲜᲐᲠᲘ იყო. შავად მორთულ ქალს რომ შეხედა, დედოფალი ერთბაშად შეძრწუნდა, ირგვლივ სიბნელე და უბედურება მეფობდა. ქალის შავი სამოსიდანაც მწუხარება უმზერდა დედოფალს. დედოფალმა იკითხა: „რატომ არ ანთიაო ეზოში ფარნები?“

მზევინარმა დაიწყო:

— ჩვენო დიდებულო დედოფალი, ისე დღეგრძელობა თქვენ მოგეცათ. როგორც მე ვწუხდე და მოვსთქვამდე იმაზე, რაც სასახლეში დატრიალდა, სამი დღის წინათ მეფარნე ივანიკა წვერა სახლთუხუცესმა დილეგში შეაგდო... მაგ უბედურს უტუ მიქავასთან კავშირს სწამებენ: სახლიდან ამბავი გაჰქონდა, უტუსაგანაც უკანვე შემოჰქონდაო. შენს სიცოცხლეს ვფიცავ, ამ ამბისა ნამდვილად არაფერი ვიცი. მე რომ მკითხო, არა მგონია, ივანეს სასახალე გაეწირა. ისე კი იმ უბედურს შვილივით უყვარდა უტუ და მე მგონია, არა თუ აქეზებდა, არამედ დაარიგებდა კიდეც, ხელი აეღო ამ შფოთსა და აჯანყებაზე.

კიდევ უნდოდა მზევინარს გაეგრძელებინა ამბავი, მაგრამ დედოფალმა მრისხანედ შეაჩერა:

— არა, მე ამას არ გეკითხები. მე იმას გეკითხები, ფარნები რატომ არ ანთია-მეთქი ეზოში? ივანიკა, კარგი, გააგდეს, მაგრამ სხვები სად არიან?

— სხვები... — დაიბნა მზევინარი — სხვები... ასე ამბობენ, სულერთიანად გაპარულან სასახლიდან და უტუს ჯარს შეერთებიანო.

* * *

ივანე გაწერელია ზუგდიდის მეფარნეთა უფროსი იყო. ივანიკა სასახლეში ყველაზე ადრე დგებოდა, თავის მოწაფე ბიჭებს სათითაოდ ჩამოუვლიდა, ფეხზე დააყენებდა. შემდეგ დაუვლიდნენ ფარნებს და ცისმარე დილით აქრობდნენ. ყველაზე გვიან კი ის დიდი ფარანი ქრებოდა, სასახლის წინ რომ იყო ამართული. საღამოობითაც ყველაზე ადრე მას

აანთებდნენ ხოლმე. ამ ფარანს თვითონ ივანიკა უვლიდა, სხვას არავის ანდობდა მის ანთებასა და ჩაქრობას.

საშუალო ტანის, ჩაკეკვნილი, მხნე მოხუცი ივანიკა სამოც წელს უკვე გადაცილებული იყო. მას თეთრი, სქელი და განიერი ქათქათა წვერი მკერდზე ჩამოფენოდა.

სასახლეში წვერი არავის ჰქონდა. დავით დადიანმა საგანგებო კანონი გამოსცა და წვერის მოშვება მთელ სამთავროში აკრძალა. მთავრის ყველა მოხელე წვერმოპარსული და თმაშეკრეჭილი იყო, მაგრამ ივანიკას წინაპრები მარტვილის მონასტრის მღვდლები იყვნენ და ამიტომ ითხოვა მისთვის დაეტოვებინათ წვერი. დავითმა შეიწყნარა ერთგული კაცის თხოვნა. სასახლეში მას ივანიკა-წვერა შეარქვეს. ახლა მას სახელს ისე არავინ დაუძახებდა, ზედ „წვერაც" რომ არ მიეყოლებინა. ივანიკაც ისე შეეჩვია ამ ზედმეტ სახელს, რომ მისთვის ივანიკა წვერას ნაცვლად მარტო ივანიკა რომ დაეძახათ, კიდევაც სწყინდა, ასე ეგონა, რაღაც ხარისხი დამაკლესო.

ივანიკას არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში დანიშნულმა ქალმა უღალატა და შემდეგ მთელი საქალეთი ჭირისდღესავით შეიძულაო. ეს უცოლშვილოდ გადაგებული ივანიკა მაინც ისეთი კეთილი და სათნო კაცი იყო, რომ ყველას უყვარდა სასახლეში, დიდსაც და პატარასაც. იგი საქმით თუ სიტყვით სიკეთეს სთესავდა. ასე მიდიოდა დღეები.

ივანიკამ უტუ მიქავა შვილივით შეიყვარა. ყოველ საღამოს, ფარნების ანთების შემდეგ, საათობით იჯდა და რას არ უყვებოდა ამ ახალგაზრდა კაცს, მამაშვილურად ესაუბრებოდა. არიგებდა, ცნობისმოყვარე, ბუნებით ნიჭიერი და გამჭრიახი უტუ გულისყურით უსმენდა .უტუს მშობლები არ ახსოვდა და ახლა მამის მაგიერიც და დედის მაგიერიც ეს მოხუცებული ივანიკა წვერა იყო. უტუს ამ ქვეყანაზე არ ჰქონია ისეთი საიდუმლო, ივანიკასთვის რომ არ გაემხილა, იმ საღამოს კი...

აგვისტოს საღამო იყო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მშვიდი და აუმღვრეველი ბუნება რაღაც ღვთაებრივ მყუდროებას ქმნიდა. ორნი ისხდნენ: ივანიკა და უტუ. ხმისამოუ-

ღებლივ ცას შესცქეროდნენ, ბოლოს სიჩუმე ივანიკამ დაარღვია:

— რათა ხარ, ბიჭო, ამ ბოლო ხანს გულჩათხრობილი და პირმოკუმული. ნამდვილად გითხრა, ვეღარა გცნობ. რას მიმალავ, ან რად მემალები ხოლმე. აკი სულ იმას მიმტკიცებდი, მამასავით მიყვარხარო, მამასავით გენდობი და შენგან წყალობას მოველიო. რას გამირბიხარ, რატომ ხარ ასე სიტყვაძვირი და გულჩათხრობილი? ეგებ არც მაქვს უფლება შენი გულის საიდუმლოებაში ხელების ფათურისა, მაგრამ, როგორც მამა, ისე გეკითხები, მითხარ, მიამბე შენი გულის დარდი. ამბობენ, დამალული და გულში ჩაკლული საიდუმლო სევდა ორმაგად მძიმეა, გამხელილი და სხვისათვის განდობილი კი კაცს დარდს უმსუბუქებსო...

ბერიკაცს შეხედა და ღრმად ამოიხვნეშა, მოუნდა დაწვრილებით ეამბნა მოხუცისათის გეგეჭკორთან ძმადშეფიცულნი როგორ ამზადებენ საიდუმლო შეთქმულებას სასახლისა და ბატონების წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გაბედა, ეს ისეთი საიდუმლო იყო, თვით მამობილსაც ვერ გაუმხილა და სათქმელს სულ სხვა მიმართულება მისცა:

— ჩემი სადარდელი და საფიქრებელი თითქოს მცირე მეგონა, მაგრამ ცუდ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული. არც კაცია ჩემს მხარეზე და არც ღმერთი. მე ვიცოდი, რომ ბედი არასოდეს მწყალობდა, მაგრამ მეგონა, ვინც მე გულით შევიყვარე, იმ უბედურს მაინც სწყალობდა ღმერთი. ვიფიქრე, ჩემს ბედს მას მივანდობ და იმის ღმერთი მეც შემიფარებს-მეთქი, მაგრამ როგორც ჩანს, ღარიბი კაცისათვის ღმერთს ჯერ არ მოუცლია... ჩემი გულის დარდი, ჩემო ბატონო, ის გოგოა, რომელიც როგორც მისგან გამიგია, შენც ისევე გიყვარს როგორც მე შემიყვარე. უპატრონო და უთვისტომო. ი ი იმ ცირაზე მოგახსენებ, ჩვენი დედოფლის პირფარეშ გოგოზე....

აქ ისევ შეჩერდა უტუ.

— მე იგი გულით შევიყვარე და ღმერთს შევფიცე, ამქვეყნად მის გარდა ცოლად არავინ შემერთო. შემდეგ გავუმხილე კიდეც მას გულის სატკივარი, ცირა ჯერ გამირბოდა, არ მენდობოდა; ბოლოს დარწმუნდა ჩემს სიწრფელესა და პა-

ტიოსნებაში და გულით მომენდო. რამდენი უმთვარო ვარსკვლავიანი ღამე ჩვენ ერთად გაგვითენებია, ამას ვინ მოსთვლის... ერთხელ, ღამით, იმ დაწყეველილ სახლთუხუცესს შევუნიშნივართ, შემდეგ დაგვდარაჯებია, და როდესაც ცირა ჩემგან წავიდა, გზად გადასდგომია, გასჯავრებია, უთქვამს, დედოფალს ვეტყვი ყველაფერს და შენ თავს აქედან გავაგდებინებო. დამუქრებია კიდეც. ცირამ მითხრა, ან თავს დავიხრჩობ, ან შენ უნდა მიხსნა ამ უბედურებისაგანო. მე შევპირდი კიდეც. რომ გავიტაცებდი. მაგრამ სად, როგორ, რანაირად? ორი დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა და ვერაფერი მომიფიქრებია, ვერაფერი გამიწყვია. აბა, რომ მეთქვა, როგორ და რით დამეხმარებოდი. არ მინდოდა ზედმეტი სადარდებელი და საფიქრებელი გამეჩინა თქვენთვის. და რაკი არ მომეშვით, აი, აღსარებასავით მითქვამს ეს ჩემი გულისტკივილი.

უტუს თავისივე თავისა შერცხვა, რომ ნამდვილი სადარდებელი დაუმალა მოხუცს, მაგრამ სინდისის წინაშე თავი იმით იმართლა, რომ ცირა მართლაც გულით უყვარდა და მისი ცოლად შერთვა გადაწყვეტილი ჰქონდა. ახლა უკვირდა კიდეც, რომ ასე ადვილად დაფარა სიყვარულის საფარით ნამდვილი საიდუმლო ძმად შეფიცულთა...

მოხუცმა შვილივით გადაკოცნა გამიჯნურებული უტუ და დახმარება აღუთქვა, მე თვითონ ვთხოვ მთავარს და ამ საქმეს მოვაგვარებო. მერე დავითიც გარდაიცვალა, სასახლეს ახლა ერთპიროვნულად სახლთუხუცესი განაგებდა. ამიტომ იფიქრა ივანიკა წვერამ, სახლთუხუცესისთვის ეთხოვა დახმარება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა; რადგან იცოდა რა გულღრძო იყო სახლთუხუცესი, და გადაწყვიტა ისევ დედოფლისათვის გაენდო ქალ-ვაჟის საიდუმლო, მაგრამ ახლად დაქვრივებულ დედოფალს ვერ გაუბედა ეს სათხოვარი.

გეგეჭკორის სახლიდან დათხოვნის შემდეგ უტუსაც უნდობლად ეკიდებოდნენ. მერე ის იყო უტუმ ჩიჩუას ბიჭს, სახლთუხუცესის ცოლისძმას სცემა და ამ საბაბით სახლიდან დაითხოვეს იგი. უტუ ცნობილ მჭედელს ჭკადუას მიეკედლა. ამის შემდეგ მიჯნურთა ამბავი ივანიკა წვერას მიჰქონდა და მოჰქონდა. იგი დროს ელოდა, რომ ეს საქმე ბედნიერად დაემთავრებინა. მოხუცს სჯეროდა, რომ ეკატერინე მის სათხო-

ვარს შეიწყნარებდა. მაგრამ შემდეგ თურქებთან ომი დაიწყო, ცირა სხვა ტყვეებთან ერთად სტამბოლს მიჰყავდათ, მაშინ კი თავი გამოიდო ივანიკამ და დროზე ამცნო ეს ამბავი უტუს. მერე უტუს პარტიზანებმა იხსნეს კიდეც ტყვეები და ცირა ცოლად შეირთო უტუმ.

სახლთუხუცესის ყურამდე სწორედ აჯანყების დღეებში მიაღწია მეფარნე ივანიკას და უტუ მიქავას ამბავმა. გულუბრყვილო მოხუცმაც მაშინ გაიგო უტუს ფარული ზრახვანი... ეს საკმარისი საბაბი იყო, რომ სახლთუხუცესს მეფარნისათვის აჯანყებულებთან კავშირი დაებრალებინა, ფეხებში ხუნდები გაეყარათ და დილეგში ჩაეგდოთ. მეორე დღეს მკვდარი ნახეს დილეგში ჩამწყვდეული ივანიკა წვერა. ამბობენ, ამდენი ნამსახურევი, შეურაცხყოფილი მოხუცი გულს შეასკდაო.

ივანიკას სიკვდილის შემდეგ სასახლიდან მისი შეგირდი ბიჭებიც სათითაოდ გაიპარნენ.

* * *

დადიანების ისედაც დადუმებული სასახლე დაბნელდა. და როცა ეკატერინემ ახლა ამ მდუმარებით და შიშით მოცულ სასახლეში სიბნელე იხილა, უფრო შეძრწუნდა. ხოლო როცა მზევინარისაგან მოისმინა ივანიკა წვერას ამბავი, აღშფოთდა, ალბათ, სათითაოდ დააგლეჯდა წვერს, სადმე ახლო რომ ყოფილიყო, რა იცოდა, რომ სახლთუხუცესისგან დილეგში ჩაგდებული ივანიკა მკვდარი იყო.

ეკატერინე დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა. ბაყაყების ყიყინმა არ დააძინა. არა, კი არ ყიყინებდნენ ბაყაყები, გაბმულად, გულისდამაღონებლად მოსთქვამდნენ, ამან უფრო დააღონა და შეაწუხა დედოფალი. და ის იყო ჩაეძინა, რომ სასახლეში ხმაური ატყდა. ისევ გამოეღვიძა ძილდამფრთხალს, ადგა, გაიხედა, ისევ მოიკითხა თავისი პირფარეში. როცა დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო, ისევ დაწვა.

დედოფალი პირაღმა იწვა და ფიქრობდა. ბაღში ბულბული უსტვენდა. მარტო დარჩენილი ბულბული საოცრად სევდიანი და გულდათუთქული ეძახდა, ეძებდა მეორე ბულბულს. ასევე მარტო იყო ახლა ეკატერინეც. დედოფალს უფ-

რო ის აგიყებდა, რომ კოლუბიაკინისაგან არაფერი ისმოდა. ეკატერინეს ახლა ქვეყანაზე კაცი არ ეგულებოდა, რომელიც მეგობრობის ხელს გაუწვდიდა. მარტო, სულ მარტო დარჩა ამ ქვეყანაზე. სატრფოც დაკარგა, ქმარიც და სიყვარულიც. ამ წუთში მამაკაცის ჯილაგი სძულდა და არც კი იცოდა, როდის და სად დაკარგა გულისწორი და გულისტოლი. ეძებდა, მოუხმობდა ვიღაცას და არავინ ჰყავდა ამ ქვეყანაზე.

ბულბული ისევ უსტვენდა. ისევ მოსთქვამდა, ისევ ეძახდა ტოლსა და მეგობარს.

ასევე უხმობდა ეკატერინე გულის მეგობარს. და აღარსად ჩანდა ეს მეგობარი. ისევ ღრმა სევდით გაიმსჭვალა. ალბათ გული გაუსკდებოდა, ცრემლები რომ არ ჩამოგორებოდა თვალთაგან. ხელი მოისვა, თბილი ცრემლი მოიწმინდა, თითქოს საკუთარი თავისა შერცხვაო, ისევ ჩაეძინა ნამძინარევ დედოფალს.

გადანახული დროშა

აუტანელმა მდგომარეობამ გლეხი სწორედ იქამდე მიიყვანა, რომ ხელთ ნაჯახი და ჯოხი აეღო, ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებულიყო. და ახლა ამ აჯანყების ალში გახვეული სამეგრელო დიახაც რომ საშიში იყო ეკატერინე დედოფლისათვისაც და ყველა მებატონისათვისაც.

გაბოროტებულთა ბრბომ თავი აიშვა, დიდ სტიქიონად იქცა, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ბატონყმობის სამარცხვინო სისტემას. გაანჩხლებულ დედოფალს მისი შეჩერება განეზრახა და ელოდებოდა გარეშე ძალას, რუსეთის არმიის ძალას, რომელიც ჩაახშობდა ამ „ბრბოს თავხედობას“. ეკატერინეს ეგონა, ისევ დაიბრუნებდა ადრინდელ მშვიდ დღეებს. რუსი მოხელეები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ. უნდოდათ ესარგებლათ ამ არეულობით და გაეუქმებიათ ეს ძველთაძველი სამთავრო და ის, რაც აქამდე ვერ გაეკეთებინათ ნებით. ახლა ჯანყის გამოყენებით გადაეწყვიტათ. ამ განზრახვით მიუძღოდა კოლუბიაკინი რუსთა არმიის ერთ ბატალიონს სამეგრელოსაკენ.

კოლუბიაკინი ცხენისწყალს მოადგა. ცხენისწყალი ადიდე-

ბული იყო და, ვიდრე ბორნამდე მიაღწევდნენ, რამდენიმე პატარა შენაკადი, შტო ცხენისწყლისა, გადალახეს. მებორნე გაღმა ნაპირს იდგა და აქედან უყვიროდნენ, გამოღმა გადმოეყვანა ბორანი. მოხუცმა კაცმა ბორანი აუშვა, ადიდებულ ცხენისწყლის ტალღებს მიანდო და გაღმა გამოვიდა. როცა ამ მოხუცს შეხედა ბრაზმორეულმა გენერალმა, იკითხა სად არიანო უფრო ახალგაზრდები. ამან როგორ უნდა გაგვიყვანოსო გაღმა.

რაფიელ ერისთავი, ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებისა და რუსული ენის ჩინებულად მცოდნე, კოლუბიაკინმა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ და თარჯიმნად სულ რამდენიმე თვის წინათ აიყვანა, მაგრამ ისინი უკვე დამეგობრდნენ. მართალია, კოლუბიაკინი ერთი მყვირალა კაცი იყო, და ძნელი იყო მასთან მეგობრობა, მაგრამ ერისთავი მაინც ახერხებდა გამოენახა მასთან საერთო ენა. კოლუბიაკინს ახლა თან ახლდა ეს დიდებული ქართველი პოეტი.

კოლუბიაკინმა ისევ ზიზღით შეხედა მოხუცს, მერე რაფიელ ერისთავს მიმართა: კითხეთ ამ მოხუცს, სხვები სად არიან, რომ მისთვის დაუტოვებიათ ეს ბორანი? წელში ორად მოკაკულმა ბერიკაცმა რაფიელ ერისთავისაგან ქართული სიტყვა რომ გაიგონა, თავი ასწია და მამაშვილურად მიმართა ქართველს: ახე გადაეცი. შვილო, ამ რუსს, ბავშვებისა და მოხუცების გარდა სოფელში არავინ დარჩა, ყველანი აიყარნენ და ზუგდიდს უტუს ჯარს შეუერთდნენ. არ ვიცი, რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავს, მაგრამ ის კია, რომ მოგვაბეზრეს სიცოცხლე, სიკვდილი გვირჩევნია ასეთ სიცოცხლესო.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ რუსმა მრისხანედ შეხედა მებორნეს და რაფიელ ერისთავმაც მოკლედ უთარგმნა კოლუბიაკინს მოხუცის ნათქვამი.

ცხენისწყლის გაღმა გავიდნენ და გეზი ქვაშხორის სასახლისაკენ აიღეს. ქვაშხორში კოლუბიაკინს მისი მეგობარი მენიკ დადიანი ეგულებოდა და იქ უნდოდა შეესვენებინა. კოლუბიაკინმა ბრძანება გასცა ცხენოსანთა ჯგუფი მასთან დარჩენილიყო, ხოლო ქვეითთა განაყოფებს სრული სამხედრო მზადყოფნით განეგრძოთ გზა ზუგდიდისაკენ. კოლუბიაკინმა იფიქრა. რამდენიმე საათს აქ შევისვენებ, შემდეგ ეტლებითა და ცხენებით ქვეითთა ჯარს ადვილად დავეწევიო.

ქვაშხორში, მართალია, კოლუბიაკინს მენიკი არ დახვდა. მაგრამ დადიანებმა დიდი პატივისცემით მიიღეს და ისიც და მისი მხლებლებიც მოასვენეს, ასაუზმეს და პატივისცემით გამოუშვეს. თან აჯანყების სურათი დაუხატეს, მეტ წილად ბრალს სახლთუხუცესს სდებდნენ. ამბობდნენ, მართალია, ახლა დედოფალი ჩამოვიდა, მაგრამ სახლთუხუცესმა ისე უკუღმართად გადასცა მას აჯანყების ამბავი, რომ დედოფალი დიდად განრისხდა, აჯანყებულებს მოწყალე თვალით არ შეხედა და მდგომარეობა უფრო გართულდა, ახლა თქვენ თუ იხსნით ხალხს სისხლისღვრისა და უბედურებისაგანო.

კოლუბიაკინი და მისი მხლებელი პირები სენაკთან დაეწივნენ ქვეითი ჯარს. ჯარს ახლა თვით კოლუბიაკინი გაუძღვა და ნელი სვლით გაუდგნენ გზას. ღამე ხობში გაათიეს სახელდახელოდ გამართულ ბარაკებში. დილით ადრე აიშალნენ. იმავე ღამეს მოეტანათ მზვერავებს ამბავი, უტუს ჯარის მთავარი რაზმი ზუგდიდიდან ხუთი ვერსის დაცილებით მდინარის პირას არის თავმოყრილი, ხოლო ამ ჯარის მცირე რაზმი სასახლეს გარსშემორტყმიაო.

კოლუბიაკინმა ქვეითი ჯარის ნაწილი გაისტუმრა და მეთაურს უბრძანა, ხობთან დაეცადათ მისთვის. თვითონ კი ერთი საათის შემდეგ, პირი რომ მოიპარსა და ჩაი დალია, ეტლში ჩაჯდა, რაფიელ ერისთავი გვერდით მოისვა და გზას გაუდგა.

ხობს რომ გასცდნენ, წინ მიმავალმა კოლუბიაკინმა და რაფიელ ერისთავმა რამდენიმე ცხენოსანი შენიშნეს, რომლებიც თავგანწირვით მიაჭენებდნენ ცხენებს.

უტუს ჯართან ჭენებით მიიჭრნენ რაზმელების მზვერავები და ქაქანითა და ყვირილით უამბეს: „აუარებელი ჯარი მოდის, რუსის ჯარი მოდის“... სასწრაფოდ ჩაბერა მიხამ ბუკსა და მთელი ბანაკი ფეხზე დადგა. უტუმ სიტყვით მიმართა ბანაკს:

— რუსის ჯარი მოდის, უნდა დავხვდეთ და განვუმარტოთ ჩვენი გასაჭირი. ჩვენ ვერ შევძლებთ იარაღით გავუმკლავდეთ ჯარს, ამიტომ სიტყვით ვცადოთ, სიტყვით დავარწმუნოთ ჩვენს უბედურებაში და შემდეგ ყველა ზომა მივიღოთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული.

უტუმ რაზმელებს უბრძანა, შუაცეცხლის პირას დაბანაკებულ ბავშვებსა და ქალებს გარს შემორტყმოდნენ და მისი

განკარგულებისათვის დაეცადათ, ხოლო თვითონ რამდენიმე წითელრაზმელი აარჩია, რომელთაც მკლავებზე წითელი არშია ჰქონდა შემოვლებული. ამ ასიოდე კაცისაგან შემდგარ რაზმს წინ წაუძღვა და რუსის ჯარის შესაგებებლად გაეშურა. ამ მზადებაში კოლუბიაკინის ეტლი უკვე მოუახლოვდა ბანაკს. უტუ მიქავასა და მის რაზმელებს ცოტა მანძილი ჰქონდათ გავლილი, რომ ეტლიც გამოჩნდა და ცხენოსანთა ჯარიც. უტუ მიქავა უცბად ჩამოხტა ცხენიდან, ასევე მოიქცნენ რაზმელებიც. ასამდე რაზმელი გამოეჭიმა კოლუბიაკინსა და რაფიელ ერისთავს. კოლუბიაკინს თვალში მოხვდა ყველაზე უფრო წარმოსადეგი კაცი, რომელსაც შავი ჩობა-ახალუხი ეცვა, წითელარშია შემოვლებული ქუდი ეხურა და მხრებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაკიდებული. იგი რაზმს წინ ედგა. კოლუბიაკინი მიხვდა, რომ აჯანყების მეთაური, რომელსაც უტუ მიქავას ეძახდნენ, ის უნდა ყოფილიყო.

კოლუბიაკინმა რაფიელ ერისთავს უბრძანა.

— გადაუთარგმნე ჩემი სიტყვა ამ ვაჟბატონს: გვითხრას, სად არიან მისი აჯანყებულები, რამდენი კაცისაგან შედგება მისი რაზმი, რა სურთ? ისიც უთხარი, რომ მარტო ეს ცხენოსნები კი არ არიან, უკან დაუთვლელი ჯარი მოდის. (აქ კი იცრუა კოლუბიაკინმა. მართალია ქუთაისს აფრინა კაცი და ჯარის მოშველიება ითხოვა, მაგრამ მაშველი ნაწილი ჯერ არსად ჩანდა). რა სურთ, მშვიდობიანი მოლაპარაკება, თუ ომი?

უტუმ რუსულად ნათქვამიც კარგად გაიგო, მაგრამ რაფიელ ერისთავს მაინც უსმენდა. როცა რაზმელებმა კოლუბიაკინის სიტყვები მოისმინეს, ომი გსურთ თუ მშვიდობაო, ერთხმად იღრიალეს: „მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა!“

შემდეგ უტუმ გამართულად დაიწყო:

— ჩვენ უბრალო მხვნელ-მთესველები, ყმები ვართ, თოხზე, ბარზე და გუთანზე უფრო მჭრელი იარაღი ხელთ არ აგვიღია. ომი თავადებისა და ბატონების საქმეა, ჩვენი საქმე მრომაა, თავაუღებელი შრომა. მაგრამ ვაი რომ სული ამოგვხადეს, სული! მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო და აი, ბარისა და თოხის ნაცვლად, ნაჯახი, ხანჯალი, თოფი და ჯოხი ავიღეთ ხელში. ახლავე გადავყრით ამასაც, ოღონდ გვიშველეთ, გვიხსენით

ჩვენი ბატონებისაგან, რომლებიც ძაღლსავით გვექცევიან, პირუტყვისავით გვყიდიან და განუკითხავად სულსა გვხდიან...

კოლუბიაკინმა უტუს სიტყვა შეაწყვეტინა და რაფიელ ერისთავს უბრძანა დაუყოვნებლივ ეთარგმნა მისი ნათქვამი. და როცა თარგმანი მოისმინა, ეს ფიცხი კაცი დამშვიდდა, მიხვდა, რომ იარაღის ხმარება არ დასჭირდებოდა და მხოლოდ ისღა თქვა:

— ეს მარტო ამ კაცის აზრია, თუ მთელი მისი ბანაკისა?

კოლუბიაკინმა მოისურვა თვითონ ენახა ბანაკი.

კოლუბიაკინი რაფიელ ერისთავისა და თავისი რაზმის თანხლებით ბანაკს მიუახლოვდა. რომ შეხედა ფეხშიშველა ქალებსა და კაცებს—ჯოხებით, ნაჯახებით, თოფებით შეიარაღებულ ამ დიდ ბრბოს, კოლუბიაკინმა შეჰყვირა:

— დაიჩოქეთ!

უტუსა და მისი რაზმელებისთვის ამ მშვიდობიან საუბრის შემდეგ ასეთი ბრძანება მოულოდნელი იყო. და ვიდრე რაფიელ ერისთავი ამ ბრძანებას სთარგმნიდა, უტუ მიქავამ იყვირა:

— არა, არ დანებდეთ მტერს!

და უტუს ურდუმი როგორც ზღვის ტალღა, ისე აღიმართა ნაჯახით, ჯოხითა და თოფით. მაშინ უტუმ ისევ იყვირა:

— ქუდები მოიხადეთ, ქუდები! დაჩოქებით კი არ დაიჩოქოთ! — ამ ხორხოცისა და ყაყანისა ვერაფერი გაიგო კოლუბიაკინმა და ისევ იყვირა:

— დაიჩოქეთ!

სწორედ ამ დროს ამ ბრბოდან მოხუცი გამოვარდა, კოლუბიაკინის წინ დაიჩოქა და შეჰღაღადა:

— მოგვისმინეთ, ჩვენო ბატონო! მოგვისმინეთ და მერე თუ გინდა მაშინვე დაგვხოცეთ! ამგვარ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი გვირჩევნია!

მოხუცმა მღელვარე ხმით განაგრძო:

— ჩემო ბატონო და ჩემო ხელმწიფევ! ჩემს ჭაღარას, ალბათ, დაეჯერება და არ ეკადრება ტყუილი. მე უკვე სიკვდილის პირას მიღწეული ვარ და სიკვდილი მენატრება. ამიტომ ჩემთვის სულერთია ჩემი ნათქვამის გამო რა განაჩენს გამოიტანს ჩემი ხელმწიფე, მაგრამ მე ჩემი შვილებისა და შვილთაშვი-

ლების ბედი მალაპარაკებს. როგორ უნდა გავჩუმდე, როცა ჩვენი ბედი უნდა გადაწყდეს! ორი წლის წინათ ოსმალეთი შემოგვესია, აგვაოხრეს, აგვაწიოკეს, ბეგარა და გადასახადი არ გვაკმარეს, რაც ჩვენ მხარეში გოგოები და ბიჭები იყვნენ, მოგვტაცეს, მათ დედებს შავები ჩააცვეს. აბა, შეხედეთ, რას დამგვანებიან ეს უბედურები! შემდეგ რუსი დაგვეხმარა და ის წყეული დამპყრობელი თავიდან მოვიცილეთ. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენი ბატონები და დედოფალი გვაკმარებდნენ ოსმალებისაგან მოყენებულ ტანჯვას და ცოტა ხანს მაინც დაგვასვენებდნენ, მაგრამ ახლა დედოფლის კაცები, სახლთუხუცესი და მისი დაგეშილი რაზმელები შემოგვესივნენ, სასახლეები უნდა აღვადგინოთო, და დამშეულები და უპატრონოები იქ წაგვასხეს, არც გვაჭამეს, არც გვასვეს, სულის ამოხდომა მოგვინდომეს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და აი,იარაღი ავიღეთ. და ახლა ან მოგვეცით უფლება ვიცხოვროთ ჩვენივე შრომითა და ოფლით, ან დაგვხოცეთ! ახლავე დაგვხოცეთ! მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია!

მოხუცის სიტყვა გაჭიანურებული მოეჩვენა კოლუბიაკინს და შეაწყვეტინა.

კოლუბიაკინი უფრო ახლოს მივიდა აჯანყებულთა ჯართან. ჯარს რომ ათვალიერებდა, უტუმ იფიქრა, ალბათ ჯარი იცოტავაო და ასე მოახსენა.

— ბატონო, ამდენივე აჯანყებულთა რაზმი ხობის გაღმა დგას.

კოლუბიაკინს არ ესიამოვნა ეს ცნობა, მაგრამ არ შეიმჩნია და ისევ დააკვირდა ჯარს.

უტუს ჯარი ასეულებად დაეყო. ასეულში ათისთავებად შერჩეული ვაჟკაცები ჩაეყენებინა. პირველი ათეული ამ დანაყოფებში საგანგებოდ გამოირჩეოდა. ამ მეწინავე დანაყოფს მეთაურად ომში გამოცდილი კაცი ედგა. შეიარაღებაც საგანგებოდ გამოირჩეოდა. შემდეგი ათეული უფრო მარტივი იარაღით იყო აღჭურვილი და, ბოლო ათეულები კი, სულ უბრალოდ, ჯოხებითა, ნაჯახებითა და წალდებით იყო შეიარაღებული. მაგრამ მთელი ასეული ისე იყო შეკრული, რომ ის გაწვრთნილი ჯარის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

კოლუბიაკინი სულ ახლო მივიდა ჯართან, ერთ ჯარისკაცს

კიდეც გაუსინჯა იარაღი. თვალს არ უჯერებდა, უკვირდა, რომ ამ უბრალო გლეხკაცებს თავი ისე ეჭირათ, როგორც გაწვრთნილ ჯარისკაცებს. შემდეგ უცბად მიუბრუნდა და დაცინვით მოახსენა სარდალს:

— სად გიშოვნიათ ეს იარაღი, ვისი ნადავლია-

უტუ მიქავამ მოკრძალებით მოახსენა გენერალს:

— ეს თურქების წინააღმდეგ ომის დროს ნაქონი იარაღია-ის ერთი ზარბაზანი, რომელიც ახლა ჩვენს ჯარს აქვს, მუხრანსკის ჯარის ნაწილებს ჩარჩენოდათ ჭალადიდის ჭაობში, იქიდან ამოათრიეს ჩვენმა ჯარისკაცებმა და ჩვენებურმა მეჭედლებმა შეაკეთეს...

კოლუბიაკინს უკვირდა ეს ყოველივე. მის სახეზე გაოცებაც იხატებოდა და კმაყოფილებაც. მას, როგორც გენერალს, მოეწონა ეს დიდი წესრიგი ჯარისა, ოღონდ კარგად შენიშნა ის საშიშროებაც, რომელსაც ეს აჯანყებული ხალხი უქადდა მეფის წესრიგს.

ამ ფიქრში იყო კოლუბიაკინი, რომ უცბად ბანაკიდან შავებში ჩაცმული თმაგაშლილი ქალი შემოვარდა, მანდილი მოიხადა, ხელი აღაპყრო და ხმამაღლა შეუცხადა ყველას:

— აი, მე დედა ვარ, დედა იმ შვილისა, რომელიც ორი წლის წინათ წამართვეს და სადღაც შორს გადაკარგეს. ალბათ, მე იმას ვეღარასოდეს ვნახავ, მაგრამ კიდევ დამრჩა ერთი შვილი, რომელიც დავმალე. ახლა ამასაც არ მანებებენ, ამასაც მართმევენ. სახლთუხუცესს გამოუცხადებია, დედოფალს პირისფარეში სჭირდებაო, შენ ბეგარად გაქვს შეწერილი მოახლე ქალიო და ეხლაც ეს ერთადერთი შვილი უნდა წამართვანო. შე და ჩემს შვილს გვირჩევნია დავიხოცოთ, ვიდრე ისევ მონები გავხდეთ!

კოლუბიაკინმა ეს ხელებაპყრობილი და ქადაგად ქცეული ქალი შეაჩერა და ბრძანა:

— უტუ მიქავა გამოვიდეს წინ! მან გვითხრას ყველას სახელით, რას მოითხოვს იგი დედოფლისაგან და რას მოითხოვს ჩვენგან!

უტუ წინ წარსდგა. ჯერ თავის რაზმელებს მიმართა:

— ძმებო, დამშვიდდით, ჩვენ არაფერს მოგვცემს რუსის

ჯართან ომი! ჩვენ უნდა ვთხოვოთ და მჯერა, რომ ჩვენს სათხოვარს შეიწყნარებენ.

მერე კოლუბიაკინს მიუბრუნდა. ხალხმა იფიქრა, ჩვენს მიერ შედგენილ თხოვნას წაუკითხავსო, მაგრამ უტუმ კოლუბიაკინს ასე უთხრა:

— ჩვენ იმას მოვითხოვთ, რასაც ჩვენი მოძმეები, ჩვენი მეზობლები, თუნდაც ინვერლები მოითხოვდნენ. მოვითხოვთ ერთი იყოს ჩვენი ბატონი, ერთი უფროსი გვყავდეს. მიწით, ტალახით გაზანგული გლეხკაცის თოხი დამძიმდა, მას ზედ აზის ათასი მძარცველი, დაწყებული დიდი ქალბატონით — დედოფლით, და დამთავრებული სიხარბით თვალმოქცეული თავადაზნაურობით. ასე გამოდის, ამ ქვეყნად ჩვენ შარაგზაზე დაყრილი უპატრონო მგზავრები ვყოფილვართ, მუდამ ლუკმაპურის სათხოვრად დაბადებული... ამდენი ბატონის ატანა აღარ შეგვიძლია. დედოფალი ცალკეა ჩვენი ბატონი, და ბატონი — ცალკე! ახლა მაზრის ბოქაულები და მდივან-ბეგები, მამასახლისები და მოურავები? ყველანი ცალ-ცალკე გვაძრობენ ტყავს. ჩვენ წაგვართვეს სამშობლო, ყველაფერი ბატონებისაა: სოფლები, ტყეები, მთები, მდინარეები, ცა და ჰაერი. მზეც მათთვის ანათებს. ყოველმხრივ გაძარცული ყმის გულში შურისძიების ცეცხლმა იფეთქა. სადაც ხაჯალური და დადიანური მძვინვარებს, იქ სიმართლის დადგენა შეუძლებელია. ესა თქვა და უტუ მიქავამ ხუნდების, ხაჯალურების, ქანჩების, — ჯაჭვების მთელი ხროვა კოლუბიაკინს ფეხებთან დაუყარა.

— აი, ეს იარაღები ბანძელ ფაღავებს, აბედათელ ანჯაფარიძეებს და ზუგდიდელ ხეციებს წავართვი. ისინი ამ იარაღებით თოკავდნენ, ბორკავდნენ და აწამებდნენ ჩემს ძმებს, ყმა გლეხებს. ჩვენ იმას მოვითხოვთ, რომ ამგვარ მონობას და დამცირებას ბოლო მოეღოს.

ამის შემხედვარე კოლუბიაკინს შეხედულება შეეცვალა აჯანყებულებზე. მიხვდა, რომ მეტისმეტმა შევიწროებამ აიძულა ეს ხალხი იარაღი აღემართა. დაფიქრდა გენერალი, მაგრამ მაინც წინასწარ მოფიქრებული წინადადებით მიმართა რაფიელ ერისთავს:

— გადაეცით ჩემი ბრძანება: აჯანყებულთა მეთაურმა მი-

ქავამ ახლავე გასცეს განკარგულება, ყველა ყმა და გლეხი უკანვე დაბრუნდეს თავის სახლსა და ოჯახში, თავის ბატონთან გამოცხადდეს. ჩვენ ამ საქმეს შევისწავლით და რაც კანონითა და წესით ეკუთვნის გლეხს, ყველაფერი მიეცემა. ჩვენ უკანონობისაგან დავიცავთ მათ, მაგრამ არავის მივცემთ უფლებას ურჩობა გასწიონ, ურჩობისათვის ყველა პასუხს აგებს. ებრძანებ: ახლავე დაბრუნდნენ, დაიშალონ. უტუ და მისი რაზმელები კი თან გამოგვყვენ, ჩვენ მათთან გვექნება საქმე! მე შემიძლია ახლავე ჯარს ვუბრძანო, ყველანი დავაპატიმრო და ციხეებში დავალპო. მაგრამ მეფე კეთილია და ჩვენ, მის მოხელეებს, ვალად გვმართებს კეთილად მოვეპყროთ ხალხს. როგორც ჩანს, ესენი შეაცდინეს, ააჯანყეს. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთვის დახმარება გეთხოვათ, თქვენ იარაღს მოჰკიდეთ ხელი, ეს კი დანაშაულია, მაგრამ ამ დანაშაულს გაპატიებთ ერთი პირობით: ისევ დაუბრუნდეთ თქვენს სახლკარს და მშვიდობიანი ცხოვრებით იცხოვროთ.

ესა თქვა და ახლა უტუ მიქავას მიუბრუნდა, მკაცრად უბრძანა:

— გამოუცხადე შენს რაზმელებს და აჯანყებულებს ჩემი ბრძანება, ხვალამდე მოგვიცია დრო, ერთ კაცს არ ვუნახოთ იარაღი. იარაღი აქვე დატოვეთ და უკანვე დაბრუნდით.

სწორედ ამ დროს რუსების მაშველი ჯარიც გამოჩნდა.

მერე მაიორ მიქელაძეს უბრძანა:

— თქვენ ამ კაზაკებით, — და იქვე გამოჰყო კაზაკების რაზმი, — გაღმა გახვალთ და გადასცემთ ჩემს ბრძანებას, იარაღი დასტოვონ და უკანვე დაბრუნდნენ თავიანთ ბატონებთან. ხვალ მე თვითონ გამოვივლი და შევამოწმებ ყოველივეს.

კოლუბიაკინმა თავისი ერთი ასეული გამოყო და უბრძანა აჯანყებულებს გარს შემორტყმოდნენ, ყველასათვის იარაღი ჩამოერთმიათ. თვითონ თან გაიყოლა უტუ მიქავა, კოჩა და მართალი თოდუები და ზუგდიდისაკენ გასწია. მთელი აჯანყებული ხალხი გაოგნებული დარჩა. მაგრამ უტუს უკვე ებრძანებინა თავისი რაზმელებისათვის უსიტყვოდ შეესრულებიათ ეს განკარგულება, რადგან სხვა გამოსავალი უკვე არსად ჩანდა და ასევე უსიტყვოდ, ნაცემი ძაღლივით თან გაჰყვა კოლუბიაკინს.

ბანაკში დიდი აურზაური ატყდა. არ უნდოდათ იარაღი ჩაებარებინათ, ამბობდნენ: ჯერ გვითხრან რას გვპირდებიან, საქმე მოგვიწესრიგონ ბატონებთან და იარაღი მერე ჩაიბარონო, მაგრამ უტუს რაზმელები დატრიალდნენ ბანაკში და იარაღის ჩაბარებაც დაიწყო.

დიდხანს, შუაღამემდე ისმოდა ბანაკში ხმამაღალი უკმაყოფილების, უარის გამომხატველი ყაყანი, მაგრამ ბანაკი თანდათანობით დაიშალა და ეს უკმაყოფილო ბრბო ნელნელა გაუდგა გზას. — შეჩვეულს და მძიმე გზას, შეჩვეულსა და მძიმე ჭირს, ბატონის სახლ-კარს, თავის სახლ-კარს უბრუნდებოდნენ, მაგრამ მათ სახეზე უკმაყოფილება და სიძულვილი არ წაშლილიყო. ბანაკში რაზმის მეთაურები დარჩნენ, ისინი უტუს მობრუნებას ელოდებოდნენ.

სასახლის ეზოში ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა, — კოლუბიაკინი მობრძანდებაო. ეკატერინე აივანზე იდგა. ყური მოჰკრა თუ არა ამ ხმას, გახარებული გამოიქცა გენერლის შესაგებებლად. სასახლის რკინის ჭიშკარი გაიღო და გენერალი რაფიელ ერისთავის თანხლებით შემოვიდა.

დედოფალს სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა, ცრემლი მოერია, ცოტა უკლდა ატირებას, მაგრამ სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ კოლუბიაკინის უკან, სამხედრო პირთა შორის, უტუ მიქავაც მოაბიჯებდა და სახე ეცვალა. ჯერ ეგონა, ალბათ, დაუჭერიათ და ამ ნადავლის მოგვრით კოლუბიაკინს გადაუწყვეტია მასიამოვნოსო, მაგრამ მის ვაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შენიშნა, რომ უტუს მხარზე „ბერდენკა“ გადაედო, წელზე ტყვიებით სავსე სარტყელი ერტყა და ადლნახევარი ხანჯალი ეკიდა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს თავზე წითელლენტიანი სამხედრო ქუდი ეხურა.

შეცბუნებული დედოფალი ახლო მიეჭრა გენერალს. კოლუბიაკინი სამხედრო წესით გამოეჭიმა ეკატერინეს, შემდეგ თავი დახარა და ხელზე ეამბორა. ახლა რაფიელ ერისთავი შივიდა დედოფალთან, იმანაც იმავე წესით თავი დახარა ეკატერინეს წინაშე. დანარჩენები შორს დადგნენ. დედოფალმა ერთი ნაბიჯი წინ გადადგა, უტუს გადახედა და, თვითონაც არ იცოდა რატომ, ისე უნებლიეთ თქვა: „აჰა, ესეც თქვენი დან-

ტონი, აქ არ ბრძანებულა?“ ეკატერინემ ეს სიტყვები განგებ რუსულად წარმოთქვა, შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა, წინ გაუძღვა და აივნისაკენ მიიპატიჟა. ეკატერინე, კოლუბიაკინი და რაფიელ ერისთავი აივანზე ავიდნენ, დანარჩენი მხლებლები და უტუ მიქავა ეზოში ცაცხვის ძირას დადგნენ.

გაბღენძილმა და გამარჯვებულმა კოლუბიაკინმა დედოფალს დაწვრილებით უამბო, როგორ დაშალა აჯანყებულები, როგორ დააჩოქა ისინი მეფისა და კანონის წინაშე და თან დაუმატა:

— ეს დიდი გამარჯვებაა, დიდი გამარჯვება, ჯერ არ ახსოვს არავის ასეთი აჯანყება უსისხლოდ დამთავრებულიყოს. დედოფალო, ჩვენ უნდა გვიმადლოდეთ, რომ ასე მშვიდობიანად დასრულდა ცეცხლთან თამაში.

კოლუბიაკინი მიუახლოდა დედოფალს, ისევ სამხედრო წესით გამოეჭიმა და კვლავ ეამბორა ხელზე ნიშნად ამ გამარჯვებისა.

დედოფალმა ერთბაშად წაჰგლიჯა ხელი და იყვირა:

— მე თქვენ იმისთვის კი არ მოგიწვიეთ, რომ აქ მოწყალება არიგოთ და შუამავალი იყოთ ჩვენსა და გლეხებს შორის. არა! მე თქვენ გთხოვეთ, ეს ჩემი ურჩი და უტიფარი ყმები სასტიკად დაგესაჯათ, მე, ქვრივი და საწყალი ქალი, დაგეფარეთ, დაგეცავით ამ აჯანყებულთა ბრბოსაგან, რომელსაც ჩემთვის ტახტის წართმევა უნდოდა. თქვენ კი მობრძანებულხართ აქ, ჩემ მტრებთან საუბარი გაგიბამთ და შემდეგ თავისუფლად, დაუსჯელად გაგისტუმრებიათ ისინი თავიანთ სახლებში. ისე გამოდის, რომ თქვენ მფარველობთ ჩემს მტრებს და ამით გინდათ ტახტი წამართვათ, ძირს დამცეთ. გლეხებთან გამათანაბროთ. ამის შემდეგ ვინ რას დამიჯერებს მე! ამის შემდეგ ვინ იწამებს ჩემს დედოფლობას სამეგრელოში! არა, გენერალო, მე არ მომწონს ეს თქვენი გადაწყვეტილება. მე მოვითხოვ უკლებლივ ყველა დაისაჯოს, ვინც იარაღი ამართა ჩემს წინააღმდეგ. თუ ეს არ შესრულდება, მე ხვალვე წავალ პეტერბურგში, პირადად ვნახავ მეფეს, ავუხსნი ყველაფერს. ის ადვილად გაიგებს ჩემს გასაჭირს, და მჯერა ასე უპატრონოდ მიტოვებულ ქალს ყურადღებას მომაქცევს...

ეკატერინე გაბრაზებული და გაღიზიანებული გაჰკიოდა.

კოლუბიაკინი გაკვირვებული შესცქეროდა. მას ეგონა დედოფალს ასიამოვნებდა და „თურმე ამ უმადურ დედაკაცს არც განსჯის ნიჭი ჰქონია და არც მდგომარეობაში გარკვევის უნარი!“ არა. ეს რაღაც შეუძლებელსა ჰგავს,—ფიქრობდა კოლუბიაკინი. მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა გენერალი, ისევ განაგრძო ეკატერინემ:

— მე მგონია, ჯერ რუსეთის მეფეს ბატონყმობის წესი არ დაურღვევია, და ამ წესის თანახმად, ვახტანგის კანონის თანახმად, გლეხს, ყმას არასოდეს ჰქონია უფლება ეჩივლა მებატონისათვის და ვფიქრობ, ის ამბავი, რომ თქვენ ეხლა ჩემს მტრებს—ყმებს უსმენთ, როგორც მომჩივანთ, სხვა არა არის რა, თუ არა ჩემს წინააღმდეგ მათი ამხედრება. რას ჰგავს ეს? თქვენ აქ რუს მოხელეებთან ერთად შეიარაღებული შემოგყავთ ჩემს ეზოში, და აი, აგერ, ჩემს გვერდით დგას კაცი, რომელმაც ხელი აღმართა ჩემი დედოფლობის წინააღმდეგ. არა, მე ამის მოთმენა არ შემიძლია. მე მოვითხოვ ახლავე დააპატიმროთ ეს უტიფარი, ეს გველის წიწილა, რომელმაც ჩემი თაყვანისმცემელი, კეთილი გლეხები ამიჯანყა და, სანამ ამას არ შეასრულებთ, მანამდის თქვენთან საუბრის გაგრძელებას აღარ ვისურვებ.

ამის გამგონე კოლუბიაკინი ახლა კი განრისხდა.

— დედოფალო,—მიმართა მან,—თქვენთვის ჩემი გასამართლების უფლება არავის მოუცია. თავი დაანებეთ ჩემს უსაფუძვლო გინებას. გირჩევთ, უფრო გონივრულად შეხედოთ საქმეს. აი იქ, აქედან ორი ვერსის მანძილზე, ათი ათასი შეიარაღებული ყმა-გლეხი დგას. იცით თქვენ რა მრისხანე ძალაა იგი? ჩვენ, მე და ჩემი ამხანაგები, რუსის სამხედრო ძალა რომ არ ყოფილიყო, თქვენ დღესვე აგიკლებდნენ, თქვენი სახლისა და თქვენი ტახტის ნატამალიც არ დარჩებოდა. ჩვენ დაგიცავით, ამ სისხლისღვრას, უსისხლოდ, ადვიდარაბოდ აგაცდინეთ და ყველაფერი ეს მადლობის მაგიერია?

კოლუბიაკინმა ახლა რაფიელ ერისთავს მიმართა:

— წავიდეთ, აქედან წავიდეთ! მე ახლავე ვუბრძანებ ჩემს შეიარაღებულ რაზმებს, დავტოვოთ სამეგრელო. თვითონ განაგოს დედოფალმა თავისი სამთავრო და თვითონვე მოუაროს აჯანყებულ ხალხს.—ეს თქვა და ძირს ჩასვლა დააპირა.

ახლა უკვე საქმეში რაფიელ ერისთავი ჩაერია. კოლუბიაკინს სთხოვა, აპატიე, გენერალო, აპატიე ჩვენს დედოფალს, ეს გამოუცდელობით მოუვიდაო. და სხვა ამგვარი სიტყვებით თითქოს დააშოშმინა კოლუბიაკინი. კოლუბიაკინი მაინც ძირს ჩავიდა, რაფიელ ერისთავი თან გაიყოლა, უტუ მიქავას მიუახლოვდა და ბრძანა:

— ეს ჩემი ოფიცერები თან გაჰყვნენ უტუ მიქავას, შეამოწმონ შესრულდა თუ არა ჩემი ბრძანება. და თუ აჯანყებულნი ამ საღამომდე არ დაშლილან და შინ არ დაბრუნებულან, ხვალვე ცეცხლითა და მახვილით გავუმასპინძლდები...

კოლუბიაკინი ისევ აიფინისაკენ შემობრუნდა. დაუყვავა დედოფალს, განუმარტა საშიში მდგომარეობა და მთელი სერიოზულობა ამ საქმისა, თან დაუმატა:

— ძნელია, ძნელი, დედოფალო, ცეცხლთან თამაში. გირჩევთ დამიჯეროთ, დაუჯეროთ ჩემს გამოცდილებას. საქმის დამთავრება ასე სჯობია. პირობას გაძლევთ, ყველა ეს ურჩი ყმა და გლეხი უფრო ერთგულნი იქნებიან დედოფლისა და ბატონებისა. ჩვენი მეფე სულგრძელია და ჩვენზე უფრო კარგად განსჯის და გაერკვევა შექმნილ მდგომარეობაში. ახლა კი ასე დავამთავროთ ეს საქმე. შემდეგ კი, როგორც თქვენ ბრძანებთ: თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

ეკატერინე თანდათანობით დამშვიდდა, გონს მოვიდა, შელახული თავმოყვარეობა და დედოფლური სიფიცხე თანდათანობით დაუცხრა. და, რომ შექმნილი უსიამოვნება გაეფანტა, სტუმრები მიიწვია სასახლის დიდ დარბაზში, სადაც სუფრა გაიშალა.

დასხდნენ, ეკატერინეს გვერდით კოლუბიაკინი გამოიჭიმა. თუმცა ახლა ეკატერინეს არაფრათ ეპიტნავებოდა გენერლის გვერდით ჯდომა, მაგრამ სტუმართმოყვარეობის წესი აიძულებდა დამორჩილებოდა ბედს. მეორე გვერდით რაფიელ ერისთავი მოუჯდა, შემდეგ ბატონიშვილები და სხვა ოფიცრები. რამდენიმე ჭიქა ღვინო რომ დალიეს, კოლუბიაკინმა არაყი მოითხოვა: გამიგონია თქვენებური არაყი „ჭაჭა, ჭაჭა“ უებარი წამალია გაციებული კაცისთვის. მე ცოტა გაციებული გახლავართ და ალბათ, თქვენებური ჭაჭა თუ მომარჩენსო. კოლუბიაკინს მაშინვე მოუტანეს ჭაჭის არაყი. მან ზედიზედ გა-

დაჰკრა ორი ღვინის ჭიქა და სულ სხვა გუნებაზე დადგა. ახლა იგი არავის უგდებდა ყურს, სავსებით დავიწყებოდა ეკატერინესთან ინციდენტი, ლაპარაკობდა, როხროხობდა, ცქმუტავდა, შღეროდა, სხვებისაგანაც სიმღერას მოითხოვდა.

კოლუბიაკინს გვერდით მოუსხდნენ მისი ამფსონები და რუსული სიმღერა წამოუწყეს, მაგრამ ვერა და ვერა, სიმღერა ვერ ააწყეს. ყველაფერი აირია. თამადამ ვერ შეაკავა ქეიფის ეშხში შესული კოლუბიაკინი და მიუშვა თავის ნებაზე.

ეკატერინემ რაფიელ ერისთავს უჩურჩულა:

— ნამდვილი სულელია ეს თქვენი უფროსი. შეხედეთ, თუ კაცი ხართ, შეხედეთ ამ შენს გენერალს თავი ჩვენებურ გიდელს არ მიუგავს, აი ყურძნის საკრეფად რომ ხმარობენ ჩვენში, იმ გიდელს!..

მართლაც, კოლუბიაკინს წვრილი და გრძელი მელოტი თავი გიდელს მიუგავდა. წვრილ და გამხმარ გრძელ კისერზე დადგმული ეს გაგრძელებული თავი, ბოლოში მუშტისოდენა იყო. პირი გაპარსული ჰქონდა და უფრო ქოსას ჰგავდა. დაღმეჭილი, ნაოჭებიანი სახე, მიჭყლეტილი ცხვირი, წიწიპლიანი, წვრილი, პატარა მუხუდოსოდენა ჩაცვენილი თვალები, ბალანგაცვენილი წარბები და ყვითელი, ყვითელი კი არა, მიწისფერი სახე მეტისმეტად ულაზათო შეხედულებას აძლევდა გენერალს. ამ წვრილსა და გრძელ თავს წვრილი კისერით უერთდებოდა დაბალი, ჯუჯა, ბურთივით მრგვალი და მსხვილი ტანი, მაგრამ სამხედრო მუნდირში გამოწყობილი გენერალი ისე იჭიმებოდა, თითქოს მისი ტოლი და მსგავსი არავინ ყოფილიყოს იქ.

რუსი არ ეშვებოდა ჩიჩუას ქალს, რომელიც იქვა იდგა, გინდა თუ არ გინდა, ჩემთან ერთად მაზურკა იცეკვეო, და გამომთვრალი გენერალი ბუქნას უვლიდა. ჩიჩუას ქალი იძულებული იყო ხელები გაეშალა და ეცეკვა. ახლა რუსი აჰყვა მას ფეხების ბრახუნით, ხელების ფათურით, შესციცინებდა იგი ლამაზ ჩიჩუას ქალს...

ისევ უჩურჩულა ეკატერინემ რაფიელს:

— არა, ღმერთმანი, საოცარია, რას ჰგავს ამის საქციელი, როგორი თვითნებაა და ამავე დროს რა ეშმაკურად გამაბა მახეში! არა, რას ჰგავს ეს, ჩემო რაფიელ, ეს რა გამოიგონა

კოლუბიაკინმა. ეს აჯანყება მღვრიე წყალია მათთვის, ნიღაბია, რომლის იქით თავისუფლად აფათურებენ ხელს ჩემს უფლებებში. მათ სურთ, რაც შეიძლება მალე მომიღონ ბოლო, და ყველაფერი ეს ჩემს თვალწინ ხდება. კოლუბიაკინს სურს ეს აჯანყება იმისთვის გამოიყენოს, რომ შემდეგ არზები წერონ ხელმწიფის სახელზე, რომ ქალი ვერ უძღვება სამთავროს და საჭიროა წესრიგის დამყარება, ქვეყნის მართვაში საქმიანი კაცების ჩაყენებაო. არა, ეს ძალიან შორს მიდის. წესს გვიგებენ, ცოცხლად გვმარხავენ, ჩვენ კი ასე ბრიყვულად ხმა ვერ ამოგვიღია. პირიქით, ჩვენ ჩვენივე ხელით ცოცხლად ვიმარხავთ თავს და ქელეხს ვმართავთ.

სიტყვა გაუწყდა ეკატერინეს, ცრემლი მოადგა, რაფიელს შეეშინდა, დედოფალი კიდევ არ აღელდესო და დაუყვავა:

—ეკატერინე, ნუ ავჩქარდებით, მივანდოთ ჩვენი ბედი ჩვენზე უფრო დიდ მოსამართლეს—ღმერთს. ჩვენ ახლა უძლურნი ვართ ვებრძოლოთ იმ უბედურებას, რომელიც ჩვენივე სურვილით ჩვენს ქვეყანას მივაყენეთ. ახლა ჩვენ სხვა რუსეთს უნდა ვუცადოთ, ახალ რუსეთს. გამოჩნდება ეს ახალი ძალა და, ალბათ, ის გვიხსნის.

მაგრამ რაფიელის სიტყვები გაუგებარი იყო დედოფლისთვის. ასე ეგონა, თუ ხმას მიაწვდენდა მეფეს, ის არავის დაანებებდა ქალის დაჩაგვრას. ეკატერინეს თავისი ცხოვრება ჰქონდა. ხედავდა, ეს საკუთარი ცხოვრება ერღვეოდა, და სწამდა, რომ ყველაფერი ეს კოლუბიაკინისა და მისი ძმაბიჭების მეოხებით ხდებოდა. ცხოვრების კარნახს, ბუნების კარნახს ის არ გრძნობდა. არც იმას გრძნობდა, რომ ის ნიადაგი, რომელზედაც ხუხულასავით იყო აშენებული მისი დედოფლობის ტახტი, დიდიხანია უკვე შერყეული იყო. დედოფალი ხელებით ებჯინებოდა ამ შერყეულ სახლს, დედაარწივივით გადაფოფრილი ახლოს არავის უშვებდა, ახლოს არავის იკარებდა, სურდა, დაჟინებით ცდილობდა გაემაგრებია თავისი სამთავროს ძველებური ცხოვრების ღერძი. მაგრამ ხედავდა კი, რომ კოლუბიაკინი და მისი მსგავსნი ხელს უშლიდნენ და მთელი მისი აღშფოთება ახლა სწორედ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული—უტუ მიქავას და კოლუბიაკინის წინააღმდეგ, ურჩი ყმებისა და თავნება, თავკერძა რუსი მოხელეების წინააღმ-

დეგ. დათრგუნვა ერთისაც და მეორისაც გულით სურდა დედოფალს და ღმერთსაც ამისათვის შესთხოვდა დახმარებას.

ქეიფი ისევ გრძელდებოდა, თუმცა კოლუბიაკინს თავისი საქციელით დიდი არევ-დარევა შეჰქონდა ქართული ქეიფის წესში. ეკატერინემ ერთხელ კიდევ ზიზიღით შეხედა კოლუბიაკინს და თითქოს თავისი თავიც შეეზიზღაო, როცა მოაგონდა, რომ ერთ დროს პატივს სცემდა ამ კაცს და მწარედ, მწარედ გაეღიმა. კოლუბიაკინმა თვალი შეასწრო დიდოფლის ღიმილს, იფიქრა, მე მიღიმისო და მის წინ გამოიჭიმა. იგი ისევ წაეპოტინა დედოფალს ხელზე საკოცნელად. შეურაცხყოფილი დედოფალი ზე წამოდგა, მზად იყო სილა გაეწნა ამ გაბღენძილი და თავხედი გენერლისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. შემდეგ თავისებურად შეუბღვირა თავხედ სტუმარს და მეორე ოთახში გავიდა.

კოლუბიაკინმა იფიქრა დედოფალი სწორედ იქ, მეორე ოთახში მიხმობსო. დედოფლის ღიმილი გონებას ურევდა გენერალს და მისკენ გასწია ბანცალით. მაგრამ ამ დროს ფეხი წაჰკრა რაღაცას და ერთბაშად ბრაგვანი გაადინა. დარბაზში ხარხარი ატყდა. რაფიელ ერისთავი პირველი მიიჭრა წაქცეულ გენერალთან, ფეხზე წამოაყენა. შემდეგ სხვებიც მიეშველნენ და მეორე ოთახში კუნძივით გაიტანეს უგონოთ გამომთვრალი, ბატის ბჟიტივით გაბრუებული გენერალი.

დილით კოლუბიაკინს უგუნებოდ გამოეღვიძა. ნამთვრალევს ისევ ჭაჭის არაყი მოუტანეს და, როცა ისევ ქეიფის ხალისზე დადგა, სწორედ იმ დროს აცნობეს, გაჯავრებული დედოფალი თავის მხლებლებით ალიონს გორდას გაემგზავრაო...

კოლუბიაკინმა რაფიელ ერისთავთან ერთად განიზრახა შემოევლო მთელი სამეგრელო და ჩაექრო აჯანყების ცეცხლი, იგი მეორე დღეს სოხუმიდან მომავალ გაგარინს შეხვდა რუხის ციხესთან...

იმ დღეს გადაუღებლივ წვიმდა. ორი ცხენოსანი კაცი ნაბადმოხვეული და ყაბალახით თავშეკრული უთენია მოადგა დადიანების სასახლეს გორდში. გამოირკვა, რომ გაგარინისაგან ოფიციალური დავალებით გამოგზავნილი მოხელენი დედოფლის ნახვას მოითხოვდნენ. სახლთუხუცესმა ეზოში შეიყვანა ისინი, მოასვენა, ასაუზმა, ვიდრე დედოფალი ადგებოდა

და მომსვლელთა მიღებას ინებებდა. მერე დედოფალს გადასცეს გაგარინის დანაბარები: მარტვილს გელოდებითო. მეორე დღეს მარტვილში შეხვდა დედოფალს გაგარინი. დედოფალი კოლუბიაკინს უჩიოდა და მას დედოფლისადმი უპატივცემულობას აბრალებდა. გაგარინმა დააშოშმინა დედოფალი და იმავე დღეს გაემგზავრა ქუთაისს.

ბანაკის დიდ მუხაზე დროშა ფრიალებდა, მუხის გასწვრივ ჯარისკაცებივით გამწკრივებული ჭადრის ხეები იდგნენ და ელოდნენ ურდუმის მეთაურს. უტუ კი არსად ჩანდა. მესამე დღეს თავის ურდუმელ მეგობრებთან ერთად გამოჩნდა უტუ.

ბანაკში დაბრუნებულმა უტუმ განკარგულება გასცა, დიდ მუხაზე აზიდული წითელი დროშა ჩამოეხსნათ. გრძელი მიხა ხეზე აღოღდა და ტოტზე ბაწრით მიკრული დროშა ჩამოხსნა.

ძირს დახრილ ურდუმელების საბრძოლო დროშას უტუ ახლოს მიეკრა, ქუდი მოიხადა, დაიჩოქა და ეამბორა დროშის კალთას.

ჩუმმა ქვითინმა გადაუარა ურდუმელთა ბანაკს.

წამოდგა ურდუმის მეთაური, წელში გასწორდა, საკუთარი ხელით დროშა თავის ტარზე სათუთად დაახვია და მიხას გადასცა:

ეს დროშა და ეს ბუკი შენთვის ჩამიბარებია, წაიღე, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი, მტერს არ ჩაუვარდეს, იცოდე, მოვა დრო და ისევ მოგთხოვთ ამ გადანახულ დროშას... ეს დრო კი მოვა, მოვა, ადრე თუ გვიან... ახლა კი წადით, მიხედეთ თქვენს სახლსა და ოჯახს და ელოდეთ ჩვენს დაძახებას.

შემდეგ ურდუმის მეთაურმა სათითაოდ ჩამოუარა, გადაეხვია და დაკოცნა თავისი ძმაკაცები.

* * *

კოლუბიაკინს ეგონა, 21 მაისს უტუ მიქავას რაზმელებთან შშვიდობიანი მოლაპარაკებით აჯანყებულები დააშოშმინა და საფრთხე ჩააქრო. მის მიერ უხვად დარიგებული შეპირებები, პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება, მართლაც ასეთ სურათს ხატავდა, მაგრამ პრაქტიკული გლეხკაცობა სულ მალე დარწმუნდა, რომ კოლუბიაკინის შეპირება შეპირებად დარჩა. რაც მთავარი იყო, კოლუბიაკინისა და გაგარინის მიერ ამავე სა-

კითხზე მეფისნაცვლის წინაშე წარდგენილი მოხსენებანი ბევრი წვრილმანით განსხვავდებოდა. ბოლოს მეფის ნაცვალმა სპეციალური კომისია გამოგზავნა სამეგრელოში აჯანყებულთა საქმის შესასწავლად და გამოსარკვევად.

მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩებოდა. აჯანყებულები შფოთავდნენ, ხოლო რეგულარული ჯარის ნაწილების რიცხვი თანდათანობით დიდდებოდა, რომ მასობრივი აჯანყების საფრთხე ჩაექროთ. მიუხედავად ასეთი ადმინისტრაციული ზომებისა, მაისში დროებით შეჩერებულმა აჯანყებამ ივნისსა და ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში კვლავ წამოყო თავი ხან სენაკში, ხან ჯვარში, ხან სუჯუნაში, ხან კიდევ ჭარტვილსა და ნახუნავოში. გლეხკაცობა კვლავ უკმაყოფილებას აცხადებდა ბატონებისა და რუსი მოხელეების უკანონო მოქმედებისა და დამსჯელი რაზმების განუკითხავი რეპრესიების გამო.

ბოლოს კოლუბიაკინმა, გაგარინმა და დეკრუასმა პირობა შეკრეს, საერთო ენა გამონახეს და მეფისნაცვალს ბარიატინსკის ერთხმად უმტკიცებდნენ, თუ თქვენი საერთო სურვილია აჯანყება უსისხლოდ დამთავრდეს და სამეგრელო დამშვიდდეს, აუცილებელია, ეკატერინე დაუყოვნებლივ მოშორდეს სამეგრელოსო.

20 ივნისს ბარიატინსკი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორეს სთხოვდა, დედოფალი პეტერბურგს გაეწვია, სამეგრელოში რუსმმართველობა შემოეღო, აჯანყებულთა მეთაურები უტუ მიქავა, მართალი და კოჩა თოდუები, ანდრი გეგეჭკორი და სხვები დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ.

მიიღო თუ არა იმპერატორის მხარდაჭერა, ბარიატინსკიმ უმალვე დაიწყო მოქმედება სამეგრელოში. დედოფალს თავისი პირადი ადიუტანტი ჩერტკოვი გაუგზავნა. ეს უკანასკნელი ეკატერინეს არწმუნებდა საქმისათვის სჯობია დასტოვოთ სამეგროლო და დროებით მეფის კარზე იცხოვროთო. კოლუბიაკინი და გაგარინიც ამასვე ურჩევდნენ დედოფალს.

აღშფოთებულმა ეკატერინემ ასე მოახსენა მეფის მოხელეებს:

— სანამ პირში სული მიდგას ფეხს არ მოვიცვლი სამეგრელოდან.

ელიზბარ დადიანისა და გიგო ფაღავას რუსთა ხელისუფლების მომხრე პარტიამ უფრო აშკარად დაიწყო მოქმედება. ყოველდღე აბეზღებდნენ ერთი მხრივ დედოფალსა და მეორე მხრივ აჯანყებულ გლეხკაცობას.

რუსი მოხელეებისა და გათამამებული თავადიშვილებისაგან შევიწროებული სამეგრელო კვლავ ბორგავდა. გლეხკაცობა კვლავ იარაღით ებრძოდა ბატონების პარპაშს. მართალია, უტუ მიქავა კოლუბიაკინს უკვე შინაურ პატიმრობაში ჰყავდა, მაგრამ უტუ მაინც ჩუმად ამყარებდა კავშირს გლეხკაცობასთან. ისევ აჯანყების ცეცხლი ბობოქრობდა სამეგრელოში.

ქვალონში და სენაკში შეიარაღებული აჯანყებულები რეგულარული ჯარის ნაწილებთან შეტაკებაში დამარცხდნენ, მაგრამ ამას კვლავ სხვა სოფლებში მოჰყვა აჯანყებათა დიდი ტალღა. ახლა გლეხკაცობა რუსეთის რეგულარულ ჯარის ნაწილებს ბრმად აღარ უთმობდა და იბრძოდა მემამულეებისა და რუსი მოხელეების აღვირახსნილი პარპაშის წინააღმდეგ.

გეგეჭკორი ლოგინად ჩავარდა. აჯანყებულთა ხელმძღვანელები აღარ ემორჩილებოდნენ სათათბიროს გადაწყვეტილებებს და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. განსაკუთრებით კოჩა თოდუა გავიდა თავს. დადიანად წარმოიდგინა თავი და ბატონკაცურად გაიბღინძა. თვითონ ადგენდა კანონსა და სამართალს. აჯანყებულთა რიგებს რღვევა დაეტყო.

ეკატერინეს მომხრეებსაც არ ეძინათ. მათ განიზრახეს ახლა აჯანყებულები რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში მიემხროთ და სახლთუხუცესმა კინჩხსა და სალხინოში ახლად აბობოქრებულ მეამბოხეთა მოლაპარაკება დაიწყო. მაგრამ მთელი სალიპარტიანოს აჯანყებულთა სახელით მართალმა თოდუამ სახლთუხუცესს შემოუთვალა: ჩვენი და თქვენი გზები საბოლოოდ გაიყარა და, თუ ეს გზები, სადმე ვინმეს წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს ხვდება, ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ მოკავშირეებად გამოგადგებითო.

დედოფლის კაცების მიერ დაწყებული ეს მოლაპარაკება რუსმა მოხელეებმა ხელზე დაიხვიეს, ეკატერინე დედოფალს კინჩხასა და ზანაში დაწყებულ გლეხთა ამბოხებასთან კავშირი დააბრალეს და კატეგორიულად მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაეწვიათ დედოფალი სამეგრელოდან.

სწორედ ამ დროს გორდში ამბავი მოვიდა: ქუთაისში გენერალ-გუბერნატორი გაგარინი მოკლესო.

გაგარინს ცოლად ჰყავდა სილამაზით განთქმული მანანა ორბელიანის ასული ტასო. მანანას ქალიშვილი დიდად იყო მიღებული ეკატერინეს კარზე. ტასო გორდში იყო, როცა გაგარინის სიკვდილის ამბავი მოიტანეს. სწორედ გაგარინის საყვედურით ავსებდა ტასოს ეკატერინე, ეს ამბავი რომ მოახსენეს. ამის გამგონე ეკატერინე შეცბა. მერე ატირებულ ტასოს მოეფერა და თან გაჰყვა ქუთაისს.

* * *

სამეგრელოში რუსეთის ჯარი იდგა. ერთადერთი რეალური ძალაც ეს იყო, მაგრამ რაკი ფორმალურად სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები არსებობდა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს უშუალო, ოფიციალური ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდათ მათთან და, როდესაც თურქეთი და მისი მოკავშირეები—ინგლისი და საფრანგეთი, აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ ომის მზადებას შეუდგნენ, სცადეს უშუალო დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ სამთავროებთან.

განსაკუთრებით თურქეთთან ომის დროს ნათელი გახდა, რომ სამთავროების არსებობა ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა ამიერ-კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას და რუსეთის ტახტის ერთგულნიც ყოველნაირად ცდილობდნენ სამთავროთა მოშლას.

ალექსანდრე მეორის კურთხევის დროს სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენი ებოძა. იგი საპატიო სტუმრად მიიღეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს. ეს ამბავი გარეგნულად იმდენად მომხიბლავი და იმედისმომცემი იყო, რომ ეკატერინეს ეგონა, მოწყალე მეფე არ გაიმეტებდა, არ გასწირავდა, სამთავრო შერჩებოდა. მაგრამ ეს გარეგნული მომხიბვლელობა იმისათვის იყო გაანგარიშებული, რომ ქალის გული ადვილად მოეგოთ და როგორმე მოეხერხებინათ სამთავროსათვის მისი ჩამოცილება.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმება დიპლომატიურ სამოსელში იყო გახვეული. იგი წლების განმავლობაში მზადდე-

ბოდა. რუსეთის ერთგულ მოხელეებს კარგად ესმოდათ, რომ მეფის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურობის აღშფოთება არ იყო საჭირო. პირიქით, ერთადერთ დასაყრდენ ძალას მეფის მოხელენი ქართველი თავადაზნაურობის სახით ხედავდნენ და კიდევაც განიზრახეს ისინი საქართველოს საბოლოოდ დაპყრობისათვის მოსერხებულად გამოეყენებინათ. ამ მიზნით თანამდებობის პირთა შორის ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენლებს აწინაურებდნენ. სამთავროები კი ხელს უშლიდნენ მეფის მოხელეებს.

მას შემდეგ, რაც სამეგრელომ მეფის რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მეფის მინისტრი ფრთხილად სწერდა თავად ციციანოვს: „ვის შეუძლია ამტკიცოს, მემკვიდრენი ბოროტად არ გამოიყენებენ ესოდენ შორეულ მხარეში მთავრის ტიტულსა და უფლებას“, და მოითხოვდა სამეგრელოს მთავრის უფლებები თანდათან შეკვეცილიყო და მთელი მმართველობა გადასულიყო მეფის მოხელეთა ხელში. სამეგრელოში გაგზავნილი მეფის მოხელე ლიტვინოვი ყველაფერს აკეთებდა მთელ საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში მეფის მმართველების ფეხის მოსაკიდებლად. ამისათვის ძალადობის გზასაც არ ერიდებოდა. ლიტვინოვი ციციანოვს სწერდა: „თავადები, აზნაურები და მოურავები რუსების შემოსვლის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ მე ძალითა და მახვილით მივიკვლევ გზას“.

მთელი საქართველოს ძალითა და მახვილით დამორჩილება შენიღბულადაც ხდებოდა. ამავე დროს დიდ სახელმწიფოებს ხურდათ თურქეთის ომი ამიერ-კავკასიაში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ამას არც ფარავდნენ, ეკატერინესადმი მიწერილ წერილში პირდაპირ ეწერა, რუსი მეფე თერგისა და ყუბანის იქით უნდა განიდევნოს, დიდ სახელმწიფოთა საბჭოზე საბოლოოდ ასე გადაწყდაო. ამით ეკატერინეს უღვივებდნენ დამოკიდებულობის გრძნობას.

სამეგრელოს შიგნით ვაჭრებიც ევროპისაკენ იცქირებოდნენ და საგაჭრო ოპერაცია უშუალოდ ზღვის საშუალებით წარმოებდა. ზღვისპირეთის საშუალებით ევროპასთან საქართველოს დაკავშირებას მეფის დიდი მოხელეები არ თანაუგრძნობდნენ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ერთ საიდუმლო ბარათში წერდა: „ზღვისპირეთში მოსახლე ხალხი საზღვაო პორტით.

რედუტკალეს საშუალებით, საზღვარგარეთ სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებს. ეცნობა და უახლოვდება უცხოელებს, კერძოდ, თურქებს, ხოლო ზოგიერთი ფრანგი, დადიანების მოწვევით, დიდიხანია ცხოვრობს სამეგრელოში. ფრანგებმა შეისწავლეს ადგილობრივი ენა და ცოლად შეირთეს მეგრელების ქალები"...

სამეგრელოში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრები ორპირი და სუჯუნა იყო, ხოლო ვაჭრობისათვის თავდადებულთა შორის მთავარი ფიგურა ცხაკუნია მიხელაშვილი. შემდეგ ვაჭრობის ცენტრი მდინარე ხობის არხით ზუგდიდში გადავიდა. ზუგდიდმა კი ზღვით უშუალო კავშირი დაამყარა თურქეთისა და ევროპის ბაზრებთან. იქიდან შემოზიდული საქონელი მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. აქ სავაჭროდ მოდიოდნენ ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, შემოჰქონდათ მაუდის, აბრეშუმის, შალის ქსოვილები, შაქარი და მარილი, რაც შემდეგ სამეგრელოდან ქუთაისსა და თბილისში გაჰქონდათ. სამეგრელოდან ევროპაში ეზიდებოდნენ ხე-ტყის მასალას, აბრეშუმს, თაფლს, ტყავეულობას. ამგვარად, ზუგდიდი იმქამად დიდი სავაჭრო ცენტრი გახდა, რამაც ხელი შეუწყო ევროპასთან ურთიერთობის განმტკიცებას. ვაჭრობის საქმის მეთაური დათია ჭედია იყო.

ხოლო ომის დროს ზუგდიდის აბრეშუმის სართავი ფაბრიკის პატრონი როზმარდიუკი და ზოგი დიდი თავადი ფარულად ემხრობოდნენ ომარ-ფაშას. ეს იცოდნენ რუსეთის მესვეურებმა და თურქეთთან ომის გაჭიანურებაც იმით იყო გამოწვეული, რომ საბოლოოდ გამოერკვიათ სამეგრელოს, კერძოდ, ეკატერინეს პოზიცია, შესაძლო შემთხვევაში ღალატი დაეწამებინათ ეკატერინესათვის და ეს გზაც გამოეყენებინათ სამთავროს გაუქმებისათვის.

მაგრამ ეკატერინე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, იგი, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, თურქეთს ვერ ენდობოდა. ეკატერინე საქართველოსაგან მოწყვეტით ვერ განიხილავდა თავის სამთავროს ბედს, მერე კიდევ, ისიც იცოდა, ისტორიულად თურქეთი დაუნდობელი მტერი იყო საქართველოსი, კერძოდ, სამეგრელოსი, და ხალხი არ დაუჭერდა მხარს თურქეთთან კავშირს.

სამთავროს მკვიდრთ თურქთა ბატონობა კარგად ახსოვდათ და, ამიტომაც, როდესაც სამეგრელოში თურქეთის ჯარი შემოვიდა, ხალხი მთებში გაიხიზნა, უფრო სწორად, ბავშვები და ქალები გაიხიზნენ მთებში, მამაკაცებმა კი იარაღი აისხეს და პარტიზანული ომი გააჩაღეს. ამ ომმა დაადასტურა, რომ ხალხის გულში დიდი ეროვნული გრძნობა ღვიოდა. ეკატერინეს ჯარმა, თავადაზნაურობისაგან შემდგარმა რაზმმა და გლეხობამაც ერთიანად უკუაგდეს თურქეთთან კავშირის გზა და დამპყრობელთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართეს.

რაკი თურქეთთან ომი რუსეთმა ვერ გამოიყენა ეკატერინეს ჩამოცილებისათვის, ახლა ომის შემდეგ შექმნილი სიძნელეებისა და სამთავროს შიგნით არსებული ქიშპობის გამოყენებას შეეცადნენ, სახალხო აჯანყებასაც აქეთკენ უბიძგებდნენ. ომით, შიმშილითა და სიღატაკით გამოწვეულ ხალხის უკმაყოფილებასა და აღშფოთებას დაკვირვებული რუსი მოხელეები კარგად გრძნობდნენ.

მეფისნაცვალმა მურავიოვმა, როცა თურქები ენგურის გაღმა გარეკეს, ზუგდიდში თავმოყრილ თავადაზნაურობას ასე მიმართა: „თურქეთს ჩვენ გავუსწორდებით. ის ჩვენთვის საშიში არ არის... მაგრამ არის მეორე მტერი, რომელიც ამოწვდილი ხმლით კი არა, არამედ მალულად მოდის, ეს მტერი იყო საფრანგეთის რევოლუციისა და გერმანიაში მომხდარი არეულობის მიზეზი. ეს მტერი კავკასიის მთებშიაც ბუდობს და საშიშია აქაც გამოჩნდეს“...

ეს იყო გაფრთხილება მეფისნაცვლისა, რომელსაც დაეყნოსა, რომ აჯანყება კარზე იყო მომდგარი. რუს მოხელეებს მისი გამოყენება სამთავროს გაუქმებისათვის სურდათ, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად მისი გაღვივებისა თვითონაც ეშინოდათ. მათი სურვილის წინააღმდეგ, სამეგრელოში გასული წლის შემოდგომაზე დანთებული აჯანყების ცეცხლი 1857 წლის გაზაფხულზე დიდ ხანძრად იქცა და მისი ბრიალი გადაბუგვით ემუქრებოდა ბატონყმურ სამყაროს. აჯანყებამ ნათელი გახადა, რომ ამბოხებათა მიზანი მარტო დედოფლის ტახტის დამხობა კი არ იყო, არამედ ბატონყმობისა და ჩაგვრის უღელისაგან ყმა გლეხთა განთავისუფლება. კოლუბიაკინი სწერდა: „არ არის საეჭვო, რომ მმართველობის ნაკლს და შინაურ ბო-

როტ ჩაგონებებს დაერთო დასავლეთელების იდეათა გავლენა, შემოტანილი განვლილი ომით, მოვაჭრე უცხოელების აქ ყოფნით, კონტრაბანდებით და, დასასრულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზღვიდან, ქარით“...

ასეთ რთულ ვითარებაში იბადებოდა სამეგრელოს ეს პირველი დიდი სახალხო აჯანყება. როცა სამთავროს ძალებმა ვეღარაფერი გააწყეს აჯანყების წინააღმდეგ, დახმარება მეფის რუსეთის სამხედრო ძალას სთხოვეს.

და აი, მოვიდა კოლუბიაკინიც, მაგრამ ის მოვიდა, როგორც სამეგრელოში მეფის პოლიტიკის დამცველი და გამტარებელი, არც კი შეეკითხა ეკატერინეს, ისე დაიწყო აჯანყების საქმის მოგვარება.

1857 წელს 6 ივლისს მეფისნაცვალი ბარიატინსკი სწერდა ქუთაისის გუბერნატორს: „გლეხების საჩივრებს მეტად დაწვრილებით და სამართლიანად გაარჩევთ, და ამ მიზნით თქვენ უნდა განუმარტოთ ხალხს, რომ არავის არ დავაჩაგვრინებ მათ უკანონოდ“...

ეს ეკატერინეს წინააღმდეგ გლეხკაცობის ჩუმად გამოწვევა იყო. ეკატერინე, ფრიად დაკვირვებული და განათლებული ქალი, რომელმაც ეგზომ დიდი გამოცდილება შეიძინა თურქეთის წინააღმდეგ ომში და რუსეთისა და მოკავშირეების რთულ დიპლომატიურ ქსელში არ გაება, ახლა ცდილობდა თავი დაეღწია დაგებული მახისათვის, და როდესაც დარწმუნდა, რომ ბარიატინსკიც, გაგარინიც, კოლუბიაკინიც, მეფის ნაცვლის მიერ დანიშნული კომისიის მეთაური დეკრუპსიც, ყველანი მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ფრიად აღშფოთდა. ერთ ბარათში იგი ბებუთოვს შესჩიოდა:

„არაკეთილად განწყობილებმა ხმა დაყარეს, დედოფალი შვილებითურთ დიდი ხანია თბილისიდან რუსეთში წაიყვანესო. ჩემს ნაცვლად კი ვითომ მოიყვანეს ვიღაცა ტიკინა, რომელიც დაჰყავთ და ალაპარაკებენ ჩემს ხმაზე. შემდეგ: თითქოს ჩემს ნაცვლად ჩამოვიდა ჩემი და, ნინო გრიბოედოვა და ბოლოს თითქოს მე კიდევაც ჩამოვედი და ყოველგვარ ხელისუფლებასა და გავლენას მოკლებული ვარ და, თითქოს რუსეთის მეფემ მცირეწლოვან მთავარს და მე ჩამოგვართვა სამეგრელოს მართვის უფლება და სხვა მისთანანი. ამით გლეხებს უნერგავენ

სურვილს აჯანყდნენ ჩემს წინააღმდეგ... ნაცვლად იმისა, რომ ჩაახშონ აჯანყება. იკვლევენ მიზეზებს. კოლუბიაკინი ჰკოცნის დამნაშავეთ და დასჯის ნაცვლად მათ უნერგავს უცნაურ ილუზიას, თითქოს მთავრობა მათ მხარეზე იყო".

ასე შესჩიოდა ეკატერინე თავის ძველსა და ახალ მეგობრებს. ვის არ უჩიოდა, ვის არ ემდუროდა, მაგრამ გამოსავალი არსაიდან ჩანდა, რადგან ყველაფერი წინასწარ გაანგარიშებული იყო და მეფის მოხელეები ცდილობდნენ საქმე იმგვარად წარემართათ, რომ ეკატერინეს სამთავრო იძულებით დაეტოვებინა.

ბარიატინსკი დარწმუნდა, რომ დედოფლის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. და 1857 წლის 1 აგვისტოს ჯარის ახალი შენაერთები გაგზავნა სამეგრელოში. ამასთან ერთად ჯარს თან გაეყოლა ინსტრუქცია: „სამეგრელოს სამთავროს თავადებისა, აზნაურებისა და გლეხებისადმი. თქვენის მთავრის გენერალ მაიორ დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ ინება სამეგრელოს მმართველად დაენიშნა თქვენი მთავრის ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანებამდე, განსვენებული მთავრის ქვრივი ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი და დასახმარებლად მისა დანიშნულ იქნა საბჭო, შემდგარი განსვენებული მთავრის ძმების, გრიგოლისა და კონსტანტინესი და სამეგრელოს ეპისკოპოზისაგან. ვცანი რა საჭიროდ ამ საბჭოს შეცვლა, მე უზენაეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ მონიჭებული ძალაუფლებით დავნიშნე სამეგრელოს მმართველად ამ დრომდე არსებული საბჭოს ნაცვალი ახალი საბჭო ამიერ-კავკასიის მთავარ მმართველობის წევრის დეკრუპასის თავმჯდომარეობით. ეს ახალი საბჭო შედგებოდეს ოთხი წევრისაგან: ორი მთავრობიდან და ორი სამეგრელოს საპატიო თავადებისაგან და განაგებდეს სამეგრელოს მთავარ ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანებამდე.

მოვაღწევინებ რა ამ განკარგულებას სამეგრელოს ყველა წოდებათა: თავადთა, აზნაურთა, სამღვდელოებათა და გლეხთა ყურამდე, სრულს რწმენაში ვრჩები, რომ თითოეული თქვენთაგანი შეძლებისდაგვარად ეცდება ხელი შეუწყოს მთავრობის კეთილ განზრახვებს, ურთიერთის წინაშე მთავრობისადმი მორ-

ჩილების მაგალითის ჩვენებითა და თითოეულისადმი დაკისრებულ მოვალეობათა მართებულად შესრულებით“.

ბარიატინსკის განკარგულება ფაქტიურად ნიშნავდა ტახტიდან დედოფლის გადაყენებას. შეურაცხყოფილმა დედოფალმა განიზრახა იმპერატორისათვის მიემართა. და კიდეც შეადგენინა მდივანს შესაფერისი თხოვნა და საჩივარიც ბარიატინსკის წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ამ დროს სახლთუხუცესმა ურჩია თვით ბარიატინსკისთვის მიემართა თხოვნით, რათა დედოფალი ეკატერინე მემკვიდრის სრულწლოვანებობამდის თავის უფლებებში დაეტოვებინა. დაფაცურდნენ დედოფლის ერთგული თავადები.

სამეგრელოს თავადაზნაურობა ორ წყებად გაიყო. ერთნი ბოლომდე დედოფლის ერთგულნი დარჩნენ და მისთვის თავს სდებდნენ, მეორენი — რუსთა მმართველობის შემოღების მომხრენი იყვნენ და მეფისნაცვალთან და ქუთაისის გუბერნატორთან შეეკრათ კავშირი. თავადაზნაურობის ეს პარტია დედოფალსაც და გლეხკაცობასაც აბეზღებდა მეფის წინაშე: რუსეთის ჯარის წინააღმდეგ შეთქმულნი არიანო. ისინი, რუს მოხელეთაგან გათამამებულნი, ისევ ავიწროებდნენ და ძარცვავდნენ გლეხკაცობას. უტუ მიქავას ყოფილი ჯარისკაცები კვლავ აჯანყდნენ ბატონების წინააღმდეგ. ახლა ბატონებმა გლეხკაცობა კოლუბიაკინთან და გაგარინთან დააბეზღეს: გლეხები აჯანყდნენ და რუსის ჯარის გაწყვეტა სურთო, საქმეში კოლუბიაკინი ჩაერია და აჯანყებულებს ქვალონსა და ნოჯიხევში, ხორგასა და ნახუნაოში რუსის ბატალიონი წაუსია .

მეორეს მხრივ, სამეგრელოში მეფის მმართველობის შემოღებით ეკატერინე დედოფლის მომხრენი უკმაყოფილონი იყვნენ, ისევ ხელისუფლების დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და არაფერს ერიდებოდნენ ამ გზაზე. ეკატერინეს მომხრე ას სამოცდაექვსმა თავადმა და რვაას ოთხმოცდაცხრა აზნაურმა 27 ივლისს მეფისნაცვალ ბარიატინსკის თხოვნით მიმართა:

„სამეგრელოს მთავრები ლევანი და დავითი რუსეთის ტახტის მაღალი მფარველობის შემდეგ ყოველთვის განუსაზღვრელ გულმოდგინებას იჩენდნენ ამ ყოვლად მოწყალე ტახტისადმი, წინ გვიძღოდნენ, ხელმძღვანელობას გვიწევდნენ თავი-

ანთ ქვეშევრდომებს, რათა გაგვეწია სამსახური დიდი ხელმწიფის საერთგულოდ...

უკანასკნელი მთავრის დავითის გარდაცვალების შემდეგ ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მართლმსაჯულებამ, გაიხსენა რა მთავართა ზემოაღნიშნული განუსაზღვრელი გულმოდგინება და ხელსადები სამსახური, აიყვანა 7 წლის ობოლი ყმა ნიკოლოზი მისი მშობლების სამთავრო ხარისხზე და განამტკიცა სამთავრო უწყება მისი ყოვლად მოწყალე სიგელით. ჩვენ აქ კვლავ დავინახეთ რუსეთის ტახტის დიდი ყურადღება ჩვენი სამთავრო სახლისადმი, ვიქნეთ ერთგულნი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და ამიტომ განვაახლეთ ფიცი ყოვლად მოწყალე რუსეთის სახელმწიფოსა და ჩვენი მცირეწლოვანი მთავრისადმი. ჩვენი მთავრის მცირეწლოვანებამ დააკისრა ქვრივ ეკატერინეს მმართველობის უღელი და ეს მან მიიღო უზენაესის ნებით.

ამ მმართველობის ჩაბარების დროს მოხდა განხეთქილება ხელმწიფეებს შორის და ჩვენმა ქვეყანამ სამი წლის განმავლობაში განიცადა ყველა საშინელება და განადგურება ომისა... ჩვენს დედოფალს იმ საშინელ დროში მიუძღვის იმდენი ამაგი და დაუფასებელი სამსახური ხელმწიფისათვის, რომ ეს აღემატებოდა მამაკაცის ძალ-ღონეს. უყურადღებოდ დასტოვა რა მტრის მაცდური დაპირებები, მან შესწირა ყოველგვარი თავისი სარგებლიანობა შურისძიებისა და ხელმწიფისადმი ერთგულებას.

დღეს კეთილად მსუფევმა ალექსანდრე მეორემ მას უაღრესი წყალობის ნიშანი უჩინა, გამოიწვია რა ის თავისი მცირეწლოვანი მთავრით თვით საღვთო ცერემონიალზე და მით განასხვავა ის განსაკუთრებული წყალობით.

მაგრამ ყველაფერ ამასთან, სამწუხაროდ, დედოფლისა და მცირეწლოვანი მთავრის წასვლამ წააქეზა ზოგიერთი უწესო პირები ახლანდელი ამბოხების დაწყებაში.

დასაბამითგან არ გაგონილა, რომ მეგატონის ან მთავრის ძალაუფლება ყოფილიყო გლეხების მიერ შეგინებული...

ამისათვის ჩვენ ვკადნიერდებით მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა ჩვენი საჭიროების შესახებ.

ა) რის გამოც უნდა იყოს წამომდგარი სამეგრელოს თანამე-

დროვე უწესრიგობანი, მაინცდამაინც ბრალის დადება დედოფალზე და 10 წლის ყრმაზე, ჩვენ ვფიქრობთ, არავინ უნდა ჩაიდინოს, რადგანაც ამათში, პირველი, ვიტყვით სიმართლით, იცავს თავის მოვალეობას, როგორც შეჰფერის ხელმწიფისა და ხალხის მზრუნველობისათვის ჭეშმარიტად თავდადებულს. უკანასკნელი კი შეუძლებელია მონაწილე გავხადოთ ამა თუ იმ დანაშაულისა;

ბ) ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ზოგიერთი ბოროტად განწყობილი პირები, რომლებსაც ჩვენ დავასახელებთ დაკითხვისას, არიან დამნაშავენი ყველა აქაური უწესრიგობისა. ჩვენ ამას დავამტკიცებთ, როგორც ფიცის ქვეშ, ისე შეურყეველი ფაქტებით. მაშასადამე, მხოლოდ მათს დასჯას, როგორც მშვიდობიანობის მტრებისას, შეუძლია დააწყნაროს მხარე. უმართებულოდ გამტყუნება ამაში სამთავრო სახლისა და უკანასკნელის დაცემა გვიჩვენებს ჩვენ უმაღლესი მფარველობის აღკვეთას და აჭეშმარიტებს ბოროტად განწყობილთა ნალაპარაკევს, რომ ეს იყო ვითომდა მთავრობის ნებაყოფლობა;

გ) არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ ამ საგნისათვის გამომძიებლის სახით მოქმედ პირებს არ მიუქცევიათ ჩვენი მცირე ყურადღებაც, არ მოუთხოვიათ საქმის გამოსარკვევად არავითარი საჭირო პასუხები. ჩვენი წერილობითი თუ ზეპირი განცხადებანი მათ არარაობად ჩათვალეს, მოწინააღმდეგენი კი, ეს საზოგადოების მტრები, რომელთაც ჩვენ აშკარად გამოვრიცხავთ ჩვენი საზოგადოებიდან, სარგებლობენ მათგან აღმატებული ნდობით, ყურადღებითა და მორჩილებით, რაც ჩვენ იმ ზომამდე შეურაცხყოფას გვაყენებს, რომ სიკვდილამდე ვართ მიყვანილნი;

დ) გვესმის, რომ ჩვენს მოწინააღმდეგე პირებს ჩვენისა და სხვების სახელით შეაქვთ თხოვნები თითონ და მათ მიერ მოსყიდული პირები აწერენ მათზე ხელს ჩვენს მაგივრად. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვამოწმებთ, რომ გარდა ზემოხსენებულისა, ჩვენ სხვა არავითარი სურვილი არა გვაქვს, რადგანაც ყველაფერი დანარჩენი მოგონილია ღვარძლიანი პირების მიერ. ჩვენი ასეთი შევიწროებისა და მოუთმენელი უბედურების წარმოდგენით თქვენს ბრწყინვალებასა და როგორც ჩვენი მეფის მოადგილეს, ასე ყოვლად მოწყალე ჩვენს ხელმწიფეს, ცრემ-

ლიანი შევსთხოვთ ყურად იღოს ჩვენი ასეთი მდგომარეობა და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მიერ თქვენდამი მინიჭებული ძალაუფლებით გვიხსნათ ჩვენ მსგავსი შედეგებისაგან მშვიდობიანობის აღდგენის ბრძანების გაცემით, რომ ყველა ურჩი პირები იქნენ მორჩილებაში მოყვანილნი, საზოგადოების მტრები განდევნილნი და მცირეწლოვანი მთავრის უფლება დაცული ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მფარველობითა და სახლი მისი განმტკიცებული მისი უზენაესი ძალით. თუ კი სამეგრელოში ადგილი აქვს რამე ნაკლს, ასეთ შემთხვევაში ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ეს ენებება უმაღლეს მმართველობას სამთავრო სახლის ხელისუფლების დამსხვრევის გარეშე. რომ არ მოგვაშოროთ მცირეწლოვანი მთავარი და უსაყვარლესი დედა ჩვენი დედოფალი. სამეგრელოს საზოგადოებას 53 წლ. განმავლობაში არ შეხვედრია საჭიროება შეეწუხებინა მმართველობა თავისი თხოვნითა და, რადგანაც ეს არის პირველი, ამისათვის ყოვლად მოწყალე ხელმწიფის მაღალი სულითა და განუსაზღვრელი გულკეთილობით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაგინდ ეს ჩვენი თხოვნა არ იმსახურებდეს პატივისცემას, ის მაინც მიღებული იქნება, ვითარცა პირველი და მოგვანიჭებს ჩვენ ამ გამოსათხოვ წყალობას და მით მოგვაწვდის ჩვენ ახალსა და გამოუთქმელ შენდობას. თქვენ კი, უბრწყინვალესო თავადო, ვითარცა ხელმწიფის ნაცვალი, იყავით შუამავალი მის საიმპერატორო დიდებულების წინაშე, როგორც ეს შეჰშვენის კეთილ სათნოიან ჩამომავლობასა და თქვენს კაცთ-მოყვარეობას".

ბარიატინსკიმ დაკვირვებით წაიკითხა ეს თხოვნა სამეგრელოს თავადაზნაურობისა, მაგრამ მეფეს და მეფისნაცვალს უკვე დიდი ხნის წინათ გადაეწყვიტათ ბედი დედოფლისა და აჯანყება ახლა მხოლოდ საბაბი იყო ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად. და, აბა, ამ შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან ბარიატინსკი, მოხერხებულმა ბარიატინსკიმ ფორმალურად საკმარისი საბუთები შეადგინა კოლუბიაკინისა და დეკრუპასის (დეკრუპასი ხელმძღვანელობდა სამეგრელოს საქმეთა სპეციალურ კომისიას) მეშვეობით. დედოფლის მომხრეების 27 ივლისის თხოვნის უკუსაგდებად დეკრუპასის კო-

მისიის ხელისმოწერით ბარიატინსკის თხოვნა წარუდგინა, რათა სამეგრელოსათვის მოეშორებინათ დედოფალი.

კოლუბიაკინი კი თავის მხრივ წერდა მეფისნაცვალს ბარიატინსკის:

„ეკზეკუცია ვერ გამოიღებს არსებითად ნაყოფს, თუ კი პირადი შემადგენლობა სამეგრელოს ადმინისტრაციისა არ იქნება შეცვლილი. რა სამართლიანობაა, მდინარე ცხენისწყალი, რომელიც გეოგრაფიულად შუაზე ჰყოფს ერთ მხარეს, ერთი თავისი ნაპირით იძლეოდეს კანონიერი იურიდიკაციას, მეორით კი სრულ უსამართლობას? შეუძლებელია ამ ფაქტს მუდამ გვერდი ავუხვიოთ“.

ასე გაიმართა სამეგრელოს ორი პარტიის — ეკატერინეს მომხრე თავადაზნაურობისა (უმრავლესობის) და მის მოწინააღმდეგეთა (უმცირესობის) ბრძოლა. მართალია, უმცირესობას მხარს უჭერდნენ მეფის მოხელეები, მაგრამ აშკარა ბრძოლაში მაინც ვერაფერს გაბედნენ და ბოლოს თვითონ მეფე იძულებული შეიქნა ჩარეულიყო საქმეში.

ბარიატინსკისაგან გაგარინმა ასეთი დავალება მიიღო: „ჩვენი თხოვნის თანახმად, მეფემ ინება სამეგრელოსა და სვანეთში სამთავრო გააუქმოს ისე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, რუსული მმართველობა გაუძღვეს საქმეს ამ სამთავროებშიაც, სვანეთის მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი ერევანს უნდა წავიდეს, ხოლო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე მეფესთან პეტერბურგს არის გაწვეული. საჭიროა ყველაფერი ეს შეატყობინოთ და აცნობოთ ერთსაც და მეორესაც. და ისე აცნობოთ, რომ ეს საქმე მშვიდობიანად, წესრიგის დაცვით და განკარგულების შესრულებით დამთავრდეს“.

გაგარინი გამოცდილი და ჭკვიანი კაცი იყო. იცოდა, რომ არც კონსტანტინე და არც ეკატერინე ნებით არ მოისურვებენ თავი დაენებებინათ სამთავროსათვის და ამიტომ ამ საქმეში ოპერატიული ჩარევა იყო საჭირო. ამ მხრივ მას მძიმე მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

* * *

გაგარინმა კოლუბიაკინთან და მის ახლობლებთან თათბირზე გადაწყვიტა სვანეთიდან დადეშქელიანი გამოეწვია და ჯერ მასთან დაემთავრებინა საქმე, შემდეგ კი, დაუყოვნებლივ

შესდგომოდა პეტერბურგში ეკატერინეს გაცილებას. ყველაფერი ეს 25 ოქტომბრამდე უნდა მომზდარიყო.

სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი.

სამი დღის შემდეგ კონსტანტინე დადეშქელიანი ქუთაისს გაიწვიეს. იგი გაგარინს ეახლა. გაგარინმა მეფისნაცვლის განკარგულების შინაარსი შერბილებულად გააცნო: „მეფეს პეტერბურგში ჩვენი შვილების აღზრდა უნებებია და, როგორც მე მატყობინებენ, სათანადო მოწერილობაც ბარიატინსკის უკვე მიუღია ამის თაობაზე. ხვალ თუ ზეგ მე მომივა ის ინსტრუქცია და დაწვრილებით გაგაცნობთ. მანამდე კი თქვენ აქ დაისვენეთ და ამ ქაღალდს დაელოდეთ“. გაგარინმა თვალებში შეხედა სვანს, თითქოს უნდა ამოიკითხოსო პასუხი. დადეშქელიანი კი, ეს ახმახი, ზორბა სვანი, რომელსაც წელზე ვერცხლით მოჭედილი ორადლიანი ყამა-ხანჯალი ეკიდა, ბრინჯაოს ქანდაკებასავით იდგა მოღუშული. მერე ისე გავიდა დარბაზიდან თვალებიც არ დაუხამხამებია.

ორი დღის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც დადეშქელიანი ეკლესიაში ლოცულობდა, გაგარინისაგან გაგზავნილი კაცი ეახლა და ასე მოახსენა: „გაგარინი გიბარებს, ბატონო“.

დადეშქელიანს არ ესიამოვნა ასე სახელდახელოდ დაბარება, მაგრამ არ შეიმჩნია, ლოცვა გააგრძელა, თითქოს არაფერი მომზდარაო.

დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ დადეშქელიანი არ ჩქარობდა. ახლა ხელმეორედ გაგზავნა გაგარინმა კაცი. კატეგორიულად მოახსენეს სვანეთის მთავარს — დაუყოვნებლივ მობრძანდეს დადეშქელიანი, ასე დაუბარებია გაგარინსო.

როდესაც დადეშქელიანი გაგარინთან გამოცხადდა, ეს ამაყი სვანი უკვე შეურაცხყოფილი იყო, რომ ლოცვას მოსწყვიტეს, მართალია, გაგარინს უკმეხი სიტყვა არ უთქვამს დაგვიანებისათვის, მაგრამ რიხით წაუკითხა ბარიატინსკის მოწერილობა იმის თაობაზე, რომ დადეშქელიანი დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ერევანს და იქიდან ერთი თვის შემდეგ — პეტერბურგს.

კონსტანტინე დადეშქელიანი, ეს ღაჟღაჟა სვანი, მიუკარებელი თეთნულდის შვილი, იმ აგვისტოს დილას თეთნულდის

წვერზე შერჩენილ თოვლივით გათეთრდა, ფერი ეცვალა, მაგრამ თავი შეიკავა და ესლა სთხოვა გაგარინს:

— თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით: სამი დღით სვანეთს მივბრუნდები, ცოლ-შვილს ვნახავ, ოჯახს ფულით მოვამარაგებ და შემდეგ მზადა ვარ ხელმწიფისა და ღმერთის განაჩენის აღსასრულებლად.

გაგარინმა კატეგორიულად განუცხადა, მე იმის უფლება არა მაქვს, რომ თქვენ სვანეთში გაგიშვათ, დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ ერევანსო.

— წელან ღმერთს ვეველერებოდი და არ დამაცადეთ. მის წინაშე ჩემი ვალი აღმესრულებინა, ახლა ცოლ-შვილთან გამოთხოვების უფლებასაც მართმევთ, ნებას არ მაძლევთ სადმე ფული ვიშოვნო, ავუტანო ცოლ-შვილს და ნუგეში ვცე უპატრონოდ დაგდებულებს...

— გიმეორებთ, ასეთია ბრძანება მეფისა, ხოლო რაც შეეხება ფულს, ფულს ჩვენ მოგცემთ და გავუგზავნით თქვენებს.

ეს რომ თქვა, გაგარინმა სალაროს უჯრა გამოაღო, მაშინ კი იფეთქა დადეშქელიანმა.

— მე ფულზე როდი ვყიდი ცოლ-შვილს, თქვენი ფულიც შერცხვეს და თქვენი კაცობაც! — წამოიძახა, იძრო ხანჯალი და გაგარინს შიგ მუცელში გაუყარა, სწორედ მაშინ, როცა ფულს იღებდა გამოღებულ სალაროდან.

ყველაფერი ეს ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, მაგრამ გაგარინის შინაკაცები არ დაიბნენ და დადეშქელიანის გაკავება სცადეს: სასხლისაგან გახელებულმა დადეშქელიანმა სამიც ზედ წააკლა გაგარინს და ქუჩაში გავარდა. გამოეკიდნენ ჯარისკაცები, მაგრამ დადეშქელიანმა მდევარს წითელი ხიდის კუთხეში, ბაქრაძის სახლში შეასწრო. მთელი ასეული გამოიყვანეს, მთელს სახლს გარს შემოერტყნენ და სროლა აუტეხეს. დადეშქელიანი იძულებული გახდა დანებებოდა ჯარს.

გაგარინის მოკვლამ დიდი აურზაური გამოიწვია. დაიბნენ გუბერნიის მოხელენი. გადაწყვიტეს სასტიკი შური ეძიათ დაპატიმრებულ დადეშქელიანზე.

* * *

დედოფალი დაესწრო ქუთაისში გაგარინის დამარხვას, ეკატერინე აღშფოთებული და შეძრწუნებული იყო, მოოქმით

სწყევლიდა ყველას, ვინც ასე აიძულებს კაცს კაცი მოკლას. დედოფლის გაჯავრებას სხვა მიზეზიც ჰქონდა: კოლუბიაკინმა ამცნო ეკატერინეს მეფის განკარგულება შვილებით პეტერბურგს გამგზავრების თაობაზე.

ეკატერინე მიხვდა, რომ ის, ისევე, როგორც დადეშქელიანი, ფაქტიურად გადააყენეს მთავრის თანამდებობიდან და ახლა იგი წყევლა-კრულვით იხსენიებდა გაგარინსაც და კოლუბიაკინსაც. გორდს ზიმავალი ეკატერინე აღშფოთებული ეუბნებოდა მბლებლებს: გაგარინს დადეშქელიანისა და ჩემი შვილების ცოდვამ უწიაო, კოლუბიაკინსა და გაგარინს ჩვენი გაუბედურება მოუსურვებიათ, მაგრამ ღმერთმა სამაგიერო ერთს უკვე მიუზღო და ეჭვი არ მეპარება, მეორესაც იგივე ბედი ეწევაო.

დამჭრელა ჭარმან სასტიკმან...

დედოფალი გორდაში აპოვიდა თუ არა, იმავე საღამოს ბის გარშემო თავი მოიყარეს შექმნილი მდგომარეობით შეწუხებულმა სამთავროს რჩეულმა თავადიშვილებმა და აზნაურებმა, იმდენს ვერას შველოდნენ დედოფალს, რამდენადაც ათასგვარ ჭორებით გულს უსიებდნენ, კოლუბიაკინს მტრად სახავდნენ და დედოფალს არწმუნებდნენ, ეს რომ ხელმწიფემ გაიგოს, აუცილებლად დასჯის კოლუბიაკინს და დედოფალს ხელშეუხებლად დატოვებსო.

ახლა ეკატერინე და სახლთუხუცესი იმ წერილს ჩაჰკირკიტებდნენ, რომელიც ამ დილით კოლუბიაკინმა გადასცა დედოფალს. ალექსანდრე მეორეს ხელმოწერილ წერილში ეკატერინე დადიანს იმპერატორი სწერდა: „თქვენი შვილების აღზრდის ინტერესები მოითხოვს საცხოვრებლად პეტერბურგს გადმოსახლდეთ. აქ თქვენ თვით ჩვენს მიერ ყოველგვარი დაცმარება გექნებათ გაწეული. მე ვიქნები თქვენი პირადი მფარველი და მზრუნველი და თქვენ თქვენი შვილების ღირსების შესაფერისი ხარჯების უზრუნველსაყოფად თქვენს განკარგულებაში გინიშნავთ 30.000 მანეთს წელიწადში, ვიდრე მთავარი სრულწლოვანი გახდებოდეს“.

ეკატერინე ხომ ქუთაისშივე დარწმუნდა და ახლა სახლთუ-

ხუცესმაც დაუდასტურა, რომ ეს წერილი დედოფლის გადაყენებას უდრიდა. თავმოყვარე დედოფალი კიდევ ერთხელ აღშფოთდა .ეკატერინე დაჟინებით უმტკიცებდა სახლთუხუცესს: „სამეგრელო წარმოადგენს სამთავრო კარის მემკვიდრეობით საკუთრებას, საუკუნეების მანძილზე ნაკურთხი მისი უფლებები დადასტურებულია უმაღლესი სიგელებით. გარდა მთავრისა, სამეგრელოზე არავის არ ჰქონია და არც აქვს ბატონობის უფლება. მთავრის განუსაზღვრელ უფლებაზეა დამოკიდებული ყოველგვარი საკუთრების ბოძება და ჩამორთმევა. არასოდეს და არავის კრინტიც არ დაუძრავს მთავრის ასეთ მოქმედებათა წინააღმდეგ. სამეგრელოს ყველა წოდებას მთავრის მითითებით გამოყოფილი აქვს მიწისა და გლეხების ნაწილი და არავის აქვს უფლება მიწის საკითხი გაარჩიოს და გადაწყვიტოს“...

როდესაც ეკატერინე დარწმუნდა რომ ამ უფლებებს უკვეცავენ, გრიგოლ ორბელიანს მიაწვდინა ხმა დაღესტანში და დახმარება სთხოვა. პატრიარქალური საქართველოს მამამგულთან მიიტანა ეკატერინეს განწირულება, მაგრამ ვერაფერს გახდა. მან მწუხარებითა და სევდით სავსე წერილი მისწერა თბილისში მეგობარს.

„დღეს მომივიდა დიახ უსიამოვნო ამბავი თბილისიდამ: გაგარინს თურმე ჰსდომებია დადეშქელიანისა — ვლადეტელის — გაგზავნა რუსეთში, როგორც ეკატერინა დადიანისა. ეს რომ შეუტყვია დადეშქელიანსა, ამოუძვრია ხანჯალი და შეუცია ფერდში გაგარინისათვის, მოუკლამს პერეოჩიკი, ჩინოვნიკი ილინი, გარეთ რომ გამოვარდნილა, იქ დახვედრია მზარეული, და ესეც დაუჭრია; მერე შევარდნილა ერთს ვიღაცის სახლში და იქიდამ დაუწყვია თოფის სროლა, ვიდრე არ მოსულან სალდათები: მაშინ ხმლით გამოვარდნილა, გაქცევა ჰსდომებია, მაგრამ ტყვიით დაჭრილი დაცემულა და დაუჭერიათ. — გაგარინისას იწერებიან, რომ არ მორჩებაო და ივანეც, მანანას შვილი, მაშინვე წასულა ქუთაისს, სადაც მომხდარა ეს ამბავი.

აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობ, რომ ეგრე ერთბაშად, სხარტულად ახალი რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა, აი რას მოასწავებს! იმდენი დღეგრძელობა

მე მქონდეს, რამდენი ამ გვარი საქმე მოხდეს მენგრელიაშიცა!

აბა, ერთი ვჰსთქუათ, დადეშქელიანის ოჯახის ამოფხვრა რას სარგებლობას მისცემს ჩვენ მმართველობასა და ანუ, ვინ უნდა გაგზავნონ ჩინოვნიკთაგანი სვანეთის მოსავლელად?

აბ, და კიდევ ახ!"

ამ სტრიქონებს დაღესტნიდან წერდა გენერალი, რომელიც ფეოდალურ ბუდეს უნგრევდა შამილს და უმოწყალოდ უმასპინძლდებოდა ლეკებს, რომლებიც მიუვალი მთების ორწოხებში იცავდნენ ძველ ადათ-წესებს. თუმცა ქართველ გენერალს საქართველოში ლეკიანობის მოგონება უმღვრევდა სისხლს, მაგრამ ზუსტად ვერ წარმოედგინა, რომ იგი დაღესტანში იმავეს აკეთებდა, რასაც ბარიატინსკი ეკატერინეს მიმართ სამეგრელოში.

* * *

იმ საშინელ წელს ეკატერინეს არ მოსცილებია ნინო და რაც შეეძლო ამხნევებდა იმედდაკარგულ დას. სწორედ ამ დროს თბილისიდან ნინოს წერილი მოუვიდა. ნინო იძულებული გახდა თბილისს წასულიყო.

იმ ზაფხულს თბილისში დიდი სიცხეები დაიჭირა, ამას ისიც მოყვა, რომ ქალაქში ხოლერამ იფეთქა. სრულიად მოულოდნელად ნინო ავად გახდა. მთელი დღე პირისღებინება ვერ შეუჩერეს, დასუსტდა, თვალები ჩაუცვივდა, ხმა გამოეცვალა. საღამოს ცოტა მოიხედა. ნინომ სარკე მოითხოვა და შიგ ჩაიხედა, თავის თავისა შეეშინდა. ერთბაშად დაბერებულიყო ეს ულამაზესი ორმოცდახუთი წლის ქალი. შეშინებულმა ნინომ მოსამსახურე მანანა ორბელიანთან აფრინა. მანანა სახლში არ დახვდა მოსამსახურე ქალს.

ხოლერის ეპიდემიით შეშინებული თბილისელები ქალაქიდან გახიზნულიყვნენ და ჭავჭავაძის მოსამსახურემ ექიმი ძლივს მონახა. ექიმი დიდხანს სინჯავდა ნინოს, მისთვის ნათელი იყო, რომ ხოლერა სჭირდა ავადმყოფს, მაგრამ მაინც დაკვირვებით გასინჯა, გულს მოუსმინა, სათანადო ზომებიც მიიღო და წამლებიც გამოუწერა, მაგრამ ამაოდ.

ღებინებისაგან მისუსტებული ნინო მთელი ღამე ჩუმად კვნესოდა. გათენებისას უფრო ცუდად გახდა. ხოლერას ზედ

დაერთო სხეულის მოწამვლა. სიცხემ ერთბაშად აუწია და ბოდვა დააწყებინა ავადმყოფს...

მისუსტებული და სიცხიანი ნინო იწვა, სიცხისაგან პირგამომშრალი და თვალებგაღებული. გარეთ პაპანაქება თბილისური სიცხე იდგა. შიგ დარბაზშიც, სადაც ნინო იწვა სულის შემხუთველად ცხელოდა. ღია ფანჯარაში ფარდას ნელი ნიავი არხევდა, ფარჩის შარიშურმა თუ აუტანელმა სიცხემ შეაკრთო გონწასული ავადმყოფი... გაბელილი თვალებით შეაჩერდა ფანჯარას და ვერ გაარჩია, ეს ნამდვილად ფარდის კალთების შარიშური იყო თუ სიკვდილის შავი აჩრდილი შემოფარფატებდა ღია ფანჯარაში.

უცნაურად გაეღიმა მომაკვდავს. ახლა მამის ლექსი მოაგონდა, გრიბოედოვთან ერთად ფორტეპიანოზე რომ ამღერებდა:

> როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
> მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად!..

სიტყვები მოაგონდა, მაგრამ ბაგე ვერ დასძრა, სიმღერა ვერა სთქვა და ისევ დახუჭა თვალები ბედისაგან ვანწირულმა.

მეორე დღეს მანანა ორბელიანი შეშფოთებული მოვარდა ნინოსთან, სულ ახლო მივიდა ავადმყოფთან, ხმამაღლა მიუალერსა, მაგრამ სიცხისაგან გათანგულ ნინოს არც არაფერი გაუგონია და არც არაფერი უგვრძნია. გაქვავებული მანანა დაჟინებით დააცქერდა მეგობარს. თვალებგაღებულ ნინოს ხმამაღლა აბოდებდა. ბურანში ვიღაცას ესაუბრებოდა.

— არა, სულ მალე მოვალ, ჩემო. გავიტანჯე უშენოდ ამ წუთისოფელში. რა არ გადახდა შენს ნინოს მას შემდეგ, რაც ასე უმწეოდ და მოულოდნელად დამტოვე. მე აქ დავდიოდი ვით მოჩვენება. სულით და გულით კი შენთან ვიყავი, ჩემო, შენით ვცხოვრობდი, ბევრჯერ მინატრია სიკვდილი შენგან მიტოვებულს და, აჰა, აღსრულდა ჩემი ნატვრაც, მოვდივარ შენთან და გიამბობ ყველაფერს. ეს კია, რომ აწ კი შენთან ვიქნები მუდამ, ჩემო სანეტარო. ღმერთმაც იცის და კაცმაც რომ შენთვის არასოდეს მიღალატია .არც განზრახვით და არც მოქმედებით. შენი ვიყავ მე, შენი ერთგული. — ესა თქვა და თითქოს გაიღიმა, — სწორედ ასე მოეჩვენა მანანას. დიახ, უკანას-

კნელად გაიღიმა სიცხიანმა და ეს ღიმილი ტუჩებზე შეაკვდა მშვენიერ ნინოს.

მანანა უფრო ახლო მივიდა, ნინოს დახედა. ტუჩებიღა ტოკავდნენ, სუნთქვით კი აღარ სუნთქავდა. მანანა გაფითრდა. თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა და ზედ ლოყაზე დაეცა ნინოს, თითქოს ცხელმა ცრემლებმა იმოქმედესო, ნინომ თვალები დაახამხამა, მაგრამ ეს ერთი წამით, ისევ მილულა თვალები. ახლა ხელების აწევა ეწადა, თითქოს ვიღაცას ეძახისო, მაგრამ ამაოდ. ვედრებით მიმართა მანანამ: „ნუ, ნუ, შენი ჭირიმე, ასე ნუ წახვალ დამდურებულივით, მითხარი რამე", — მაგრამ ნინო უკვე აღარ იყო ამ ქვეყნისა. ერთი იკივლა მანანამ, არ მოერიდა ხოლერიან ავადმყოფს და ზედ დაემხო მეგობრის ჯერ კიდევ თბილ ცხედარს.

მეორე დილით, იმ დარბაზში, სადაც ნინო ესვენა, თავი მოეყარათ ჭავჭავაძეების ახლობლებსა თუ ნაცნობებს. ვინ არ იყო აქ: მეფისნაცვალი, გენერლები, მწერლები...

ეკატერინე დადიანს შეატყობინეს თუ არა ნინოს ავადმყოფობა, იგი იმავე დღეს წავიდა თბილისს, მაგრამ ცოცხალს ველარ მოუსწრო დასა და მეგობარს. იგი სწორედ იმ დროს შემოვიდა დარბაზში, როდესაც ნინოს ცხედარს დასტიროდნენ ახლობლები. ეკატერინეც აღრიალდა, თავში ხელები წაიშინა, მუხლები მოეჭრა, ჩაიჩოქა და ზედ დაეცა ცხედარს. ზეწარი გადახადა და ხელებზე ხელები მოუსვა გაციებულ დას. გულშეღონებული მეორე ოთახში გაიყვანეს.

გონმოსული ეკატერინე ხმამაღლა მოთქვამდა... „ვერა, ვერ მოგისწარ, ჩემო ნინო, დავიგვიანე, ვინ იცის, იქნებ მეშველა შენთვის, ვინ იცის, იქნებ რაიმე სათქმელი გქონდა ჩემთვის, ვაი, ჩემს ბედს და ჩემს უბედურ დღეს, ამას რას მოვესწარი მე ბედშავი."

ჭავჭავაძიანთ ვრცელ დარბაზში ესვენა ნინო. კუბოს თავზე თაფლის სანთლები აენთოთ და ოდნავ განათებულ დარბაზში, ისედაც ფერმკრთალ ნინოს სანთლის ფერი დასდებოდა. ხოლერის ეპიდემიისაგან შეშინებული თბილისი დაცარიელებულიყო, მაგრამ ნინოს გასვენებაზე მაინც ბევრმა თბილისელმა მოიყარა თავი.

ღრმა მწუხარებით დაიტირეს თბილისის ეშხი და სილამა-

ზე, თბილისის ციხეკარი — ნინო ჭავჭავაძე. ანდერძის თანახმად, ნინო მთაწმინდაზე, მისი ქმრის ალექსანდრე გრიბოედოვის გვერდით დაასაფლავეს.

კიდევ ერთი ძარღვი ჩაუწყდა ეკატერინე ჭავჭავაძეს.

* * *

მთლად დაღონებული, უსასოობით შეპყრობილი დაბრუნდა იგი თავის სამთავროში. მაგრამ არც აქ დახვდა კარგი ამბავი. კოლუბიაკინს მეორედ გამოეგზავნა კაცი გორდში, რომ დედოფალი პეტერბურგში გასამგზავრებლად მოემზადებინათ. უფრო გაბრაზდნენ და გაბოროტდნენ სამთავროს მესვეურები, ისინი ახალ უთანხმოებასა და არეულობას ამზადებდნენ, ბრაზობდნენ, ცდილობდნენ წაგებული საქმის მობრუნებას. საიდუმლოდ აწყობდნენ ამის გეგმას. აჭიანურებდნენ დედოფლის გამგზავრებას. სწორედ ამ დროს ეკატერინეს კოლუბიაკინისაგან კვლავ მოუვიდა გაფრთხილება, 22 ოქტომბრისთვის უნდა გაემზადო შვილებით, 25 ოქტომბერს კი ფოთში გემი გელოდებაო.

ეკატერინე იძულებული გახდა სამზადისს შედგომოდა. წუხდა, წუხდნენ მისი ახლობლებიც, განსაკუთრებით კი სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი. ახლა ის ერთდროულად სახლთუხუცესობასაც ჰკარგავდა და მფარველ დედოფალსაც.

ეკატერინე ჭავჭავაძე და მისი ამალა მთელ ღამეს ალაგებდნენ ნივთებს. გვიან ღამით ეკატერინემ საგანგებოდ აიღო ხელთ ბარათაშვილის ლექსების კრებული და სასოებით ჩადო იმ ნივთებს შორის, რომელსაც ალაგებდნენ პეტერბურგში წასაღებად. ახლა აღარც ტატო იყო ცოცხალი და აღარც ნინო. ტატო 1845 წელს განჯაში დაასაფლავეს, ახლობლებისაგან, სამშობლოსაგან დაუტირებელი. ნინო კი, მისი საყვარელი და და მეგობარი, მისი ყველაზე ახლობელი ადამიანი ერთი თვეა, რაც თბილისში ხოლერით გარდაიცვალა, თავზარდაცემული ეკატერინე მეგობარს წერდა: „მე დავკარგე ჩემი ნინო, ჩემი ანგელოზი, 29 ივლისს თბილისში ხოლერამ მომტაცა მისი თავი და ამით დავკარგე ერთადერთი ჩემი მეგობარი". ასე დარჩა სატრფოსაგან, მეგობრისაგან, ახლობლებისაგან მიტოვებული ქვრივი ქალი ეკატერინე ჭავჭავაძე. აღარც ახ-

ლობლები და აღარც მეგობრები! ახლა ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ დედოფლობის ტახტიც წაართვეს, ძალით მოსტაცეს, ახლა იგი თავის თავს, ცოცხალ თავს ტიროდა.

რა ერთმანეთს წაეწყო ყოველი უბედურება. ხვალ თავისი საყვარელი გორდიც უნდა დატოვოს, და, ვინ იცის, როდის დაბრუნდება ისევ უკან, ვინ მოუვლის ყოველივე იმას, რაც მის შვილებს მემკვიდრეობით ეკუთვნის.

სწუხდა, მოთქვამდა ეკატერინე. ისევ ამოიღო ბარათაშვილის ლექსები. ახლა ამ ლექსებში ეძებდა თავისი უბედური ცხოვრების პასუხს. გადაშალა, სულმოუთქმელად წაიკითხა მრავალჯერ წაკითხული სტრიქონები.

„ოხვრა არის შვება უბედურისა“, — გაიმეორა ეს სიტყვები და ზეზე წამოდგა.

„არა, მაინც რა უკულმართად წარიმართა ეს წლები, როგორ გამძარცვეს, როგორც წამართვეს ყველაფერი. რატომ, რისთვის, რა დამიშავებია?“

ეკატერინე წუხდა და მოთქვამდა, მოთქვამდა და პასუხს ვერ პოულობდა. ისევ ბარათაშვილის ლექსი გადაშალა:

დამჭროლა ჭარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი:
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი!
აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჭკნობს,
მოძულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკბობს,
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

რარიგად ეხმაურებოდა და ეხმიანებოდა ბარათაშვილის ეს სევდიანი სტრიქონები ეკატერინეს განწყობილებას, მისი დიდების დამხობის დღეს! კითხულობდა ამ სტრიქონებს და ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა დედოფალს, ტიროდა თავის ბედს. ასე ეგონა, ყველაფერი ეს დაუძინებელმა მტრებმა, ბოროტმა სულებმა მოუწყეს.

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

წაიკითხა და შეჩერდა. ამოიოხრა, სული კინაღამ თან ამოატანა ამ ოხვრას. შემდეგ ისევ განაგრძო:

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

— არა, ბრმად ვერ დავემორჩილები შენს განაჩენს, ბოროტო სულო. ამაოდ ცდილობ ჩემს მოსპობას. მართალია, უმწეო ქალი ვარ, მაგრამ ამ ქვეყანაზე კიდევ არის სადღაც სამართალი, — ამბობდა ამას და თვითონვე არ სჯეროდა თავისი სიტყვებისა, ღელავდა. ისევ გააგრძელა კითხვა:

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მოპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?
წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი ვუმსხვერპლიდი, ჩემთ გულისთქმათა.
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო.
ჰკეთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

— ჩემს ბედზე დაუწერია ეს ლექსი ტატოს, ჩემს დღევანდელ ბედზე. რა გულთამხილავი ყოფილა ჩემი ტატო. თურმე იცოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, მაგრამ არა, არავის დავუთმობ მე ჩემს ბედს ასე ადვილად! — ახლა კი გაბოროტებით ადგა, გასწორდა, მზად იყო ყელში სწვდომოდა კოლუბიაკინს და ყველა იმას, ვინც აუბედურებდა მას.

სავარძელში ჩაჯდა, ისევ ტატოს ლექსებს დაუბრუნდა. ჩასთვლიმა. დაღლილ-დაქანცულს იარაღასხმული ტატო გამოეცხადა. შეხედა და გაუკვირდა. არასოდეს ენახა პოეტი ხმალგადაკიდებული. ეამა ეკატერინეს აწეწილ სულს სიყრმის მეგობრის ზმანება, გაუღიმა და სწორედ ამ დროს თითქოს ჩასძახა პოეტმა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ეჰსგავსოს“...

— რაო! არც კაცი ვარგა... მერე როგორ, რით? — ესა თქვა დედოფალმა და გამოფხიზლდა, თითქოს ხელით ხმალს წაეპოტინა.

— მომე ეგ ხმალი და დამილოცე გზა შენსა მიჯნურსა, უნდა შევიჭრა ცხარე ბრძოლაში. დე, ნახოს ყველამ, რა შეუძლია გაბოროტებულ დედოფალს.

თქვა და წამოდგომა დააპირა. გამოელვიძა, მიმოიხედა, ოთახში არავინ იყო. კარგად ეხსომა ეს ზმანება. ახლა ისიც მოაგონდა, რომ სწორედ თურქობის დაწყების წინ იარაღასხმული დავითი გამოეცხადა და მაშინ ქმრის აჩრდილმა გაუღვიძა ჟინი ომისა. ახლა კი ამ განსაცდელის ჟამს ტატო გამოეცხადა:

— მე აწ გარდაცვლილ ჩემიანებში უფრო მეტს ვხედავ ძალას და რწმენას, ვიდრე ჩემს გვერდით მოფუსფუსე ამ ცრუ ცოცხლებში. — წელში გაიმართა დედოფალი, წიგნი სასოებით მაგიდაზე დადო და მტკიცედ თქვა: „არა, ხვალ უნდა გადაწყდეს ბედი!“

სწორედ ამ დროს დარბაზში სახლთუხუცესი შემოვიდა, მოკრძალებით დაუკრა თავი დედოფალს და მერე ასევე მოკრძალებით შეეკითხა: როგორაა საქმე, დედოფალო, რჩებით თუ მიდიხართ პეტერბურგს?

— როგორც ხედავ, მივდივარ, მივდივარ და თვით არ ვიცი, წინ რა გველის მე და ჩემს შვილებს.

— არა, დედოფალო, ნუ იზამთ ამას. ნუ წასვალთ სამეგრელოდან... — შეჩერდა, შეყოყმანდა სახლთუხუცესი და მაინც გააგრძელა — ალბათ, გემახსოვრებათ, ან იქნებ გაგიგონიათ მაინც, სოლომონ მეორის მეუღლე დადიანის ქალი იყო. იგი დიდი პატივისცემით გაიწვიეს პეტერბურგში. მერე რა! — მოატყუილეს, ისე მოკვდა უბედური, აღარ უხილავს თავისი სამეფოს კარი.

გაღიზიანებულმა დედოფალმა იყვირა:

— თქვით, მაშ რა გზას დავადგეთ?

— არის გზა, დედოფალო. თქვენ კარგად იცით, თუ ამ ერთი თვის წინ რა დღე დაგვაწია დეკრეტამ. იგი სამეგრელოს თავადაზნაურობას ჩვენს საწინააღმდეგოდ ამხედრებდა. და

მერე რა, ასოცი კაცი ძლივს მოაგროვა. სამაგიეროდ ჩვენს მხარეზე იყო მაშინ ის ასსამოცდაექვსი რჩეული თავადი და რვაას ოთხმოცდაცხრა აზნაური, რომელთაც პეტიცია წარუდგინეს მეფისნაცვალს — ჩვენ ჩვენს ბედიღბალს მხოლოდ დედოფალს ვანდობთო. თქვენ ბრძანეთ და ხვალვე დავაყენებთ ამ ათას ხუთას კაცს, თუ დამჭირდება, — ორ ამდენსაც.

ეამა დედოფალს ეს ნაუბარი. თითქოს დაწყნარდა კიდეც. სახლთუხუცესმა ისარგებლა ამით და ისევ უთხრა:

— უნდა აღვადგინოთ სამთავროში ის მდგომარეობა, რაც აწ განსვენებული დავითის დროს გვქონდა. აბა რას ჰგავს ეს, კოლუბიაკინის გამოგზავნილი კაცები შემოგვისიეს, ყურს არავინ გვიგდებს. თვითონ იძიებენ და თვითონ სწყვეტენ ჩვენს დაუკითხავად ყოველივეს.

— მაშ ჩემი დაბრიყვება გადაწყვიტეს, რაკი ქალი ვარ, არა!

სახლთუხუცესმა ფიცით შეჰღაღადა:

— ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეთ, ერთ დღეს მოვუღებთ ბოლოს კოლუბიაკინის თავგასულ კაცებს.

ბოლოს ასე შეთანხმდნენ: დილითვე დედოფლის გასაცილებლად ამოსულ კოლუბიაკინს და მის თანმხლებლებს დააპატიმრებენ და ყველას დილეგში ჩაჰყრიან. მერე დედოფალი ზუგდიდში წაბრძანდება, ხატზე დააფიცებს სამეგრელოს თავადებსა და აზნაურებს და პეტიციას წარუდგენენ რუსეთის იმპერატორს, რათა დაიფაროს დედოფალი თავგასული მტრებისაგან.

სახლთუხუცესი არწმუნებდა დედოფალს, ჩვენი მხარე საზღვარზეა, ეს კარგად მოეხსენება იმპერატორს და არ იზამს იმას, რომ საქართველო რუსეთს გადაამტეროსო, ის კი არა, ასე მგონია, თვით იმპერატორია შეცდომაში შეყვანილი და როცა ყოველივე ეს გამოირკვევა, დასჯის ბარიატინსკასაც, დეკრუასსაც და კოლუბიაკინსაცო.

ჩიქოვანი დიდხანს არწმუნებდა დედოფალს. მერე გამოემშვიდობა და მთელი ღამე თათბირობდა თანამოაზრე თავადიშვილებთან.

მეორე დილით, ჯერ კიდევ მზე არ იყო ამოსული, სახლთუხუცესი დედოფალს ეახლა და ასე მოახსენა: ყველაფერი მზად არისო, ასი რჩეული თავადიშვილი, თავით ფეხებამდე

შეიარაღებული, თან გაჰყვება ჩვენს ამალას და სადაც საჭირო იქნება, თავს დასდებსო შენთვის, დედოფალო.

ასე იყო დათქმული. მათბოჯთან, ცხენისწყალის პირას, გაჭედილთან უნდა დახვედროდა კოლუბიაკინი თავისი ეტლითა და მცირე ამალით დედოფალს და ფოთამდე უნდა ჩაეცილებინა იგი. დედოფალმა და სახლთუხუცესმა გადაწყვიტეს, სწორედ აქ შეეპყრო კოლუბიაკინი და მისი მცველები, მაგრამ მოწინააღმდეგეებსაც არ ეძინათ. შეთქმულების ამბავი უკვე იცოდა კოლუბიაკინმა და მეორე დღეს მცირე ამალით კი არა, ორასი რჩეული ოფიცრითა და ჯარისკაცით გორდში ეახლა დედოფალს, რომ ამით ვითომ დედოფლისადმი პატივისცემა ორმაგად დაემტკიცებინა.

დედოფალი და სახლთუხუცესი ამას არ მოელოდნენ. უკვე გვიან იყო. განგებას ყველაფერი გადაეწყვიტა. დედოფალიც და კოლუბიაკინიც გულცივად მიესალმნენ ერთმანეთს. შემდეგ კოლუბიაკინმა უთხრა დედოფალს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ასე საზეიმო ვითარებაში გაგაცილოთ სამეგრელოდან, დაე ჩვენმა მტრებმა იცოდნენ, თუ რა პატივისცემით ეპყრობიან დედოფალს ხელმწიფე და მისი ქვეშევრდომებიო.

კოლუბიაკინმა რომ შენიშნა იარაღში ჩამჯდარი ნაბდიანი თავადები, თითქოს არაფრად ჩააგდო. ნამდვილად კი იცოდა საქმის ვითარება, მაგრამ რაკი ახლა ეკატერინეც მიხვდა, რომ ყოველგვარი ცდა უაზრო იყო, კოლუბიაკინმაც თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი სცოდნოდეს.

* * *

შუადღისას ეკატერინე და მისი თანხმლები პირები ორპირის ნავსადგურში იყვნენ. ნავსადგურში ოთხი სანდალი იდგა. ერთი სამთავროსეული, სამი — ფოთის პორტისა. დედოფალს აუარებელი ხალხი ეხვია. აქ იყვნენ სამეგრელოს რჩეული ქალები და კაცები. ზოგი კაბას უკოცნიდა, ზოგი ხელს ართმევდა... ტიროდნენ, ცრემლმორეულნი ეთხოვებოდნენ დედოფალს.

სწორედ ამ დროს ერთბაშად ორასამდე თავადმა, აზნაურმა და გლეხმა ნაბდები იქვე დააყუდეს, თავზე ყაბალახი მოიხადეს, დედოფლის წინაშე თავი დახარეს. ეს ორასი ნაბადი

ახლა იმ სამხედრო აღლუმის კარვებს ჰგავდა, რომელიც ორიოდე წლის წინათ აქ, რიონის პირას, სამხედრო ბანაკს თურქების წინააღმდეგ ომში დაედგა. ამის მოგონებაზე ეკატერინეს თვალზე ცრემლი მოადგა. ცრემლს მოერია და გონებაში გაუელვა: მაშინ ამ ბანაკიდან გასულმა მეომრებმა თურქებთან ომი მოაგებინეს დედოფალს. ახლა... ახლა კი საბოლოოდ წაგებულია ომიც და ბრძოლაც! ამაოა ყველაფერი. ალბათ, დედოფალი ბავშვივით აზლუქუნდებოდა, რომ ამ დროს მასთან ეკა ჩიჩუა არ მისულიყო და არ გადახვეოდა. დედოფალმა ამით ისარგებლა და ახლა ჩიჩუას ქალთან გადახვეული ხმამაღლა მოსთქვამდა და დასტიროდა თავის სამთავროს და ვიენიცის, კიდევ რას...

დედოფალს სათითაოდ გამოეთხოვნენ. კოლუბიაკინი ახლო მივიდა, ეკატერინე კოლუბიაკინს ცივად შეხვდა:

— ერთადერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, — ზვიადად მიმართა დედოფალმა კოლუბიაკინს, — ნურაფერს ეტყვით ჩემს ხელქვეითებს, ნუ გაუჯავრდებით, მე ესენიღა შემრჩენენ ჩემს ერთგულ ჯარისკაცებად. თუ რამეში შეცდნენ, მხოლოდ ჩემი ბრალი იყო, ჩემი პატივისცემით მოსდიოდათ, ჩემი ერთგულებისა და თავდადებისთვის იქცეოდნენ ასე. ჩემი თხოვნაა შეუნდოთ მათ ყველაფერი და აპატიოთ.

ესღა თქვა დედოფალმა და შეჩერდა, მერე ღრმად ამოისუნთქა და ისევ განაგრძო:

— მე კიდევ არ ვთვლი ომს წაგებულად... მე თუ არა, ჩემი სრულწლოვანი შვილი, სამეგრელოს მთავარი დაიცავს მის თავისუფლებას. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ ვნახოთ რით დამთავრდება ჩვენი ფარული და აშკარა ომი...

ისე გაღიზიანებული ლაპარაკობდა ეკატერინე, რომ კოლუბიაკინს ეგონა ტირისო და არაფერი უპასუხა ამ გამომწვევ სიტყვებზე. ხოლო როცა დაცხრა დედოფალი, კოლუბიაკინმა ხელი ჩამოართვა და ღიმილმორეულმა უთხრა:

— ნახვამდის, მშვიდობით დაბრუნებას გისურვებ, დედოფალო!

დედოფალი უკან მიტრიალდა და სანდალში ჩაჯდა. ოთხივე სანდალი ერთბაშად მოსწყდა ორპირის პორტს.

დედოფალი ეთხოვებოდა საყვარელ სამთავროს და რუსე-

თის მეფის გაწვევით პეტერბურგს მიემგზავრებოდა. არავინ იცოდა, თვითონაც არ იცოდა როდის დაბრუნდებოდა ისევ სამშობლოში, ისე კი ნათელი იყო, რომ მიდიოდა ეკატერინე დედოფალი და ამით იხურებოდა სამთავროთა ისტორიის უკანასკნელი ფურცელი.

დასასრული პირველი წიგნისა

სარჩევი

გამხიარულდი ბუხარო!	3
ოცნების ბურანში	34
ბოშა . .	58
წინანდლის ვარდი	63
მაყრიონი	85
ოდიშის სიგელი	101
დოღი	122
ურთა . .	127
სიზმარი იყო თუ მოჩვენება	169
დავით დადიანის წერილები	198
აბჯარასხმული დედოფალი	222
აბა ულა .	263
გადანახული დროშა . .	317
დამკროლა ქარმან სასტიკმან	349

Г2
899.962.1-31
ჯ.46

რედაქტორი გ. ნატროშვილი
გამომც. რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ლ. არაბიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/I 1966 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/32
ნაბეჭდი თაბახი 19,11
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,8

უე 00204. ტირაჟი 20.000. შეკვ. №2681

ფასი 52 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.